

ლიზიკო ქავთარაძე

28 წელი გულაგში

MEMORIA



საბანო 2008

პროექტის ავტორი ვახტანგ როდონია
ავტორ-შემდგენელი გია ჭუბაბრია

მხატვარი გია ცხადაია
რედაქტორი ნათელა ჭყოიძე

ოპერატორი ლია სულაქველიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა შ.პ.ს. „მაცნე პრესი“

© გია ჭუბაბრია, 2008

© გამომცემლობა „პეგასი“, 2008

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-9028-1-9

გამომცემლობა „პეგასი“
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 27
ტელ.: 39 07 27; ტელ./ფაქსი: 42 10 00
ელ-ფოსტა: book@pcgasus.ge
ვებ-გვერდი: www.pcgasus.ge

წიგნს ვუძღვნი ჩემს ლამაზ,
ტრადიციულ, დიდოჯახს, ერთ-
გულ და თავდადებულ ბებიას
– ოლია გაბიტაშვილის ნათელ
ხსოვნას.

ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებ
არაადამიანური სისასტიკით პატი-
ვყრილ და დაქცეულ ოჯახებს.

ისიც კარგად ვიცოდით, რომელი დროის შვილები ვიყავით და მაინც დალუპვისაკენ მივისწრაფოდით, რადგან სხვა გზა არ იყო ჩვენთვის. ცეცხლს ვეტანებოდით, ფუჭად ვინვოდით და ისიც ვიცოდით, რომ ჩვენი ხვედრი ფერფლია მხოლოდ. მაგრამ განა როდესმე ჩამქრალა ჩვენი კერია საქართველოში? მამა-პაპისგან ასე გვჩვევია — კერიის ცეცხლს ვუფრთხილდებოდით, ფერფლში ვახვევდით და ვინახავდით. ნაცრის ქვეშ ღველფილადარი ყოველთვის გვეგულეობდა.

ლიზიკო ქავთარაძე



ზევით, მე-3 რიგი, დგანან: ნატა ბერიძე, ქაიხოსრო ქავთარაძე, მისი მეუღლე ოლია გაბიტაშვილი (ლიზიკოს დედ-მამა), დისშვილი, ოფიცერი ლავერენტი ბერიძე (დაღუპული პირველ მსოფლიო ომის დროს ქ. იასში, რუმინეთი), ქეთევან გაბიტაშვილი.

მე-2 რიგი, სხედან: ნინა ბერიძე-შათირიშვილისა, დედა და ბებია ეკატერინე გოგოლაძე-გაბიტაშვილისა, კალთაში — პატარა მარიამ ქავთარაძე, სონია გაბიტაშვილი-ბერიძისა, პატარა ლიზიკო ქავთარაძე, თვითონ იოსებ ბერიძე (კუკიის ეკლესიის დამაარსებელი), გაიოზ კანდელაკი, მისი მამა ბენიამინ კანდელაკი — სტალინის სემინარიის ახლო მეგობარი, რომელიც 1937 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა გადასახლებაში.

1 რიგი: შურა ბერიძე, ილიკო ბერიძე, შალვა კანდელაკი (ქ. ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, დასმენით მოკლული), ლეო კანდელაკი.

კუკიაზე დეკანოზმა იოსებ ბერიძემ დააარსა ნმინდა ნინოს ეკლესია, გალაკანი და მის ირგვლივ შენობა-ნაგებობანი. დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით.

შალვა კანდელაკი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, დაიჭრა მუცლის არეში კახეთში, ვენახში. ცნობილია, დაჭრილს წყურვილი ანუხებს. იქვე მოხუც ქალბატონს სთხოვა ჭიქა წყალი. დედაკაცმა შალვა დააბეზლა „სათანადო ორგანოში“. მოვიარდა დამსჯელი რაზმი. დააგდეს შალვა ურემზე. ნაიყვანეს ჰოსპიტლის მიმართულებით განსაკურნებლად, შემდეგ წამებით რომ გამოეტყუათ. გზაში მამის (ბენიამინის) ნაცნობმა ქილა მანონი მიანოდა. შალვამ მოახერხა ქილის გატეხა და ნამსხვრევები ჩრილობაში ჩაიყარა. ჰოსპიტლამდე ვერ მიაღწია, გზაში დაღია სული. სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...

ასე აღასრულა ვალი 19 წლის შალვამ თავისი სამშობლოს წინაშე.



წმინდა საფლავებს მიღმა ჩვენი ნამდვილი სამშობლოა

28 წელი გაატარა ქალბატონმა საბჭოთა გულაგებში. გაათავისუფლეს. თქვენ არავითარი დანაშაული არ მიგიძღვით, მოუბოდიშეს. ასეთ პასუხს იძლეოდნენ საბჭოთა რუსეთში. რეაბილიტაცია!

„В нашей крови есть нечто. враждебное всякому истинному прогрессу. Ныне же мы, во всяком случае, составляем проблк в нравственном миропорядке“, ბრძანა პეტრე ჩადაევმა.

ქალბატონი, რომელიც მე ვახსენე, გახლდათ ჩემი ერთადერთი დეიდა ლიზიკო ქავთარაძე, პატრიოტი, დიდი მოქალაქე, ივანე ჯავახიშვილისა და ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ღირსეული მონაფე, მათი პრინციპების მიმდევარი. მან მუდმივ ნამებასა და დაუსრულებელ ეტაპებში გაატარა თავისი სიცოცხლე. ბოლოს სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს ყაზახეთში, ქ. კოკჩეტავში. ხრუშჩოვის „ოტტეპელმა“ დააბრუნა იგი საქართველოში. დედას ვერ ჩამოუსწრო. შვილის მოლოდინში ხანდაზმული, სასტიკი სკლეროზით დაავადებული ერთი წლით ადრე წავიდა ამქვეყნიდან.

„მკითხველო! ამ ფურცლებს რომ შეეხები, უნდა გახსოვდეს, რომ ისინი ცოცხალი ადამიანები არიან,“ ასე მინდა მოგანოდოთ დიდი უოტ უიტმენის სიტყვები.

ლიზიკო ქავთარაძე პირველად დააპატიმრეს ქ. სოხუმში 1928 წელს, მოსკოვის რომელიღაც უნივერსიტეტის ლექტორისა და „როტ-ფრონტის“ კორესპონდენტის, ვინმე გერმანელ ვილიამ სპიროს დასმენის შედეგად. იმ პერიოდში უშიშროების ორგანოები უფრო ლოიალურად აფასებდნენ დისიდენტურად მოაზროვნე ადამიანებს. სწორედ 30-იან წლებში რუსეთისა და სხვა კუთხე-

ბის რჩეულმა ინტელიგენციამ დატოვა ბოლშევიკური რუსეთი და შორეული, უნუგემო ემიგრაციის გზას დაადგა.

ლიზიკო ქავთარაძესაც შესთავაზეს დაეტოვებინა ქვეყანა და დასავლეთ ევროპისა თუ უფრო შორეული კონტინენტის გზას გაჰყოლოდა. მაგრამ მან, როგორც მარო მაცაშვილმა, ბრძანა: „სადაც ჩემი თანამემამულეთა სისხლი და ცრემლი იღვრება, მეც იქ უნდა ვიყო“. ასეთი გახლდათ, სამწუხაროდ, ან დაინწყებულ ქართველთა ჭეშმარიტი მრწამსი.

პატიმრობა. მეტეხის ციხე. საკანი, სადაც ბედისწერის დაუნერელი კანონებით კედელზე მამის წარწერას წააწყდა (პაპაჩემი ქაიხოსრო ქავთარაძე რუსეთის ციხეებში „გამოვლილი“ პიროვნება გახლდათ. საუკუნის დასაწყისში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე და, როგორც იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის დიდინაწილი, ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტიას ეკუთვნოდა. იგი იყო ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი, შემდგომ მისი დამკრძალავი კომისიის წევრი. წინამურის ტრაგედიის შემდეგ პაპაჩემის განკარგულებაში იქნა გადაცემული ილიას არქივი და სახლი თბილისში. აქ გაიზარდნენ დედა და დეიდა).

საქართველოს იმ დროს ფართოდ გავრცელებულმა სოციალ-დემოკრატიულმა ტალღამ გადაუარა. გავებდავ და ვიტყვი, რომ ეს იყო ინტელექტუალურ წრეებში მოდად ქცეული მარქსიზმი. თვით დიდ რუსეთში, სადაც არავითარი პროლეტარიატი არ არსებობდა, ქარხნებში მუშაობდნენ გლეხები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული სოფელთან; იქ ძირითადად უნიგნური გლეხობა განუვითარებელ „მეურნეობას“ მისდევდა. თვით მარქსის თქმით, მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია რუსეთიდან ვერ დაიწყებოდა. გარდა ყველაფრისა, მარქსიზმის უბედურება „უღმერთობის თეორიიდან“ და კერძო საკუთრების უარყოფიდან მომდინარეობდა. ერთ-ერთი ფილოსოფოსის თქმით: „*Русская Марксистская философия, делаящая все человечество на буржуазию и пролетариат, представляет себе всю жизнь общества как примитивную «борьбу классов» и не имеет понятия об условиях необходимых для сохранения интеллектуальной жизни общества.*“

„ძმობა განა ჭირის და ლხინის გაზიარება არ არის?“ ბრძანებს დიდი ილია, ესეც თქვენი მოწონებული და მრავალთათვის თვალუბ-ასაფარებელი კლასოვია ნიჟნა?“ და ერთობას ეროვნული საკითხების გადაჭრის უპირატესობას აძლევს. სამწუხაროდ, მსოფლიო რევოლუციის იდეებით შეპყრობილმა სოციალ-

დემოკრატიის ზოგიერთმა ადგილობრივმა მესვეურმა ამის გამო ილიას „მომავალი“ მსოფლიო რევოლუციის განვითარების პროცესის „ნაფოტი“ უწოდა.

ლიზიკო გადაასახლეს ნარიმის მხარეში, მდ. ობის ნაპირზე, სოფ. კოლპაშოვოში. კოლპაშოვო დღესაც მიუნდომელი ადგილია და ზაფხულში მხოლოდ მდინარით, ხოლო ზამთარში ძალღებით შებმული მარხილით თუ შეიძლება იქ ჩაღწევა. ამ უკაცრიელ და კოლოებით საესე ტაიგაში რუსეთიდან გაგზავნილი სხვადასხვა მრწამსის პოლიტპატიმრებთან ერთად რჩეულ ქართველთა გუნდი იყო „გახიზნული“. გაყვითლებულ და გაცრეცილ ფოტოსურათებზე შეიძლება ამოვიკითხოთ გვარები, რომელთა სახსენებელი ალბათ უკვე გამქრალია ამა ქვეყნიდან: კაპიტონ თევზაია, ვასო ჯაფარიძე, მიშა ჩაჩუა, ოლია მესხი, გიორგი მიქაძე, კოტე ბოკერია, გიორგი რევიშვილი, ბაგრატ ბაქრაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ს. ნარიმი 1932/14 მაისი.

აი მეორეც, ნარნერით „მოსაგონებლად ჩემს ვერას (იგულისხმება ვერა ასათიანი გ. ჭ.) ლიზიკო“ კოლპაშოვოს პოლიტ. გადასახლებულთა ჯგუფი. ნარიმის მხარე. სოფ. კოლპაშოვო 12/IV, 19305. 1. ევგენი სედერსტრენი, 2. ნესტორ იმნაიშვილი, 3. კატო პრეობრაჟენსკაია, 4. არონ შვადრონი, 5. გრიგოლ ველიკოვსკი, 6. მეერ ცეიტილინი, 7. მიხაილ ვინოგრადოვი, 8. იაშა შტაკელბერგი, 9. გერმან კონი, 10. მიხაილ მატროსოვი, 11. მინა ბაცერ-მატროსოვა, 12. ლიზიკო ქავთარაძე. ამ სხვადასხვა რჯულისა და მრწამსის პოლიტპატიმრებს შორის ლიზიკო ქავთარაძე უცვლელი პოლიტიკური არბიტრი იყო. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩემმა თავდადებულმა და გამწარებულმა ბებია, ექიმმა ოლლა გაბიტაშვილმა, კოლპაშოვოში ჩააღწია და თავისი საყვარელი შვილი ინახულა. ეს იმ დროისთვის თავგანწირვის ტოლფასი იყო.

ლიზიკო ქავთარაძეს პირადი ცხოვრება არასდროს ჰქონია. უსაზღვროდ უყვარდა „მის ხელში დაბადებულ“ ჩემი ქალიშვილი რუსუდანი, ვაჟი ერეკლე (კახი) და ჩემი მეუღლე ლეილა. მიუხედავად ამისა, ყოველ ჩვენგანს გაგვნირავედა სამშობლოს საკეთილდღეოდ, რაც არაერთხელ ხმამაღლა განუცხადებია. საქართველო იყო მისთვის ერთადერთი ხატი. ასეთი იყო იმდროინდელ ქართველთა მოქალაქეობრივი მრწამსი.

1956 წლის „ოტტეპელის“ შემდეგ სასწაულად გადარჩენილმა ყოფილმა პოლიტპატიმრებმა დეიდა თბილისში ინახულეს. კარგად მახსოვს ქ. პერმის უნივერსიტეტის პროფესორი, უგანათლებულესი ქალბატონი ეკატერინე პრეობრაჟენსკაია და მისი ვაჟი;

ანტონ რუბინშტიინის შვილთაშვილი (ვეცილია (ლიოლია) კინი, რომელიც საბჭოეთის საგარეო მინისტრის მაქსიმ ლიტვინოვის პირადი რეფერენტი იყო, და რომლის ბედი მეტად ტრაგიკულად წარიმართა; ნესტორ იმნაიშვილი, რომელიც სოფ. კოლპაშოვოში იყო გადასახლებული. იმ უკიდურესად გაჭირვებულ დროს მასთან მისი ერთგული მეუღლე ოლია მესხი ჩავიდა. მათ იქ ქალიშვილი თინა შეეძინათ. ბავშვს საგანგებოდ ფეხქვეშ საქართველოს რუკას უფენდნენ, აქაოდა, ქართულ მიწაზე აიდგას ფეხიო. თინა იმნაიშვილი ყველასთვის საყვარელი, დიდი ქალბატონი იყო, ღირსეული მშობლების შვილი, მაღალი ტრადიციების მატარებელი პიროვნება. თვით ნესტორ იმნაიშვილს სამშობლოში დაბრუნება არ ენერა. ვინ მოთვლის, რამდენი ათასი სასიქადულო მამულიშვილის სისხლით იყო გაპოხიერებული ციმბირისა და კოლიმის მუდმივი გამყინვარების მიწა!

მოგვიანებით ლიზიკო ქავთარაძე ვორონეჟის ციხეში გადაჰყავთ. მისი მოგონებიდან მახსოვს ღრმა პატივისცემა სოციალ-დემოკრატების გრიგოლ ლორთქიფანიძის, უსპეტაკესი მუშა-პატიმრის ალ. დგებუაძისა და ლეო რუხაძის მიმართ. გრიგოლ ლორთქიფანიძე ამბობდა: „ბოლშევიკებმა სიცოცხლე შთაბერეს ჩამორჩენილ, თითქმის ისტორიულად განწირულ ერებს და პირიქით ძველი კულტურის ხალხებს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა მოუსპეს და საგრძნობლად ჩამოაქვეითეს. რუსეთ-მა ყაზახეთი და სხვა კოლონიები სანაგვედაც გამოიყენა, როგორც ამას აკეთებდა თვითმპყრობელობა“

80-იან წლებში, ვორონეჟში ჩატარებული კინოფესტივალის დღეებში, ვიხელთე დრო და ადგილობრივი ციხის ეზოში, ცნობილი რუსი სცენარისტის, ლეონიდ გურევიჩის თვალწინ, წითელი მიხაკები გადავყარე, რამაც მასში გაოცება გამოიწვია: როგორ, სტალინის ქვეყნიდან მისმა მრავალმა თანამემამულემ რეპრესირებულთა სასტიკი ბედი გაიზიარაო?!

1936 წელს ლიზიკო პირობითად გაათავისუფლეს, იგი საქართველოს უბრუნდება. სუკის „ფხიზელი“ თვალი მას არ შორდება. კონსპირაციის მიზნით ხშირად იცვლის სამსახურს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ოჯახში უძილო ღამეებმა დაისადგურა. ღამის სიჩუმეში ყოველი მანქანის მოძრაობა და გაჩერება ავის მომასწავებელია. ჩვენი ოჯახის ერთგულ შინამოსამსახურეს, კატიას, სუკის სარდაფებში ფეხის გულებზე ცემით აწამებენ. დაბრუნებისას ის ძლივს ჩადის კიბეებით სანოლ ოთახში (ეს ამბავი დიდი ხნის შემდეგ შევიტყვე, დეიდას ყაზახეთიდან დაბრუნების შემდგომ).

და აი, როდესაც სამი წლის შესრულებამდე 13 დღე მაკლდა, 1940 წლის 15 მაისს, სალამოს სოლოლაკში, ჩვენსას ჩაიკოვსკის ქ. 11 ნომერში გამოჩნდნენ ჩეკას „რაინდები“ კაცობრიობის „ნათელი მომავლის“, კომუნიზმის შემოქმედნი!

რუსეთი მსოფლიო ბატონობის ფსიქოზით იყო შეპყრობილი.

გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული დეიდა ხელმეორედ დააპატიმრეს. ასე რომ, ჩემი პირველი ამქვეყნიური შთაბეჭდილება არის ჩხრეკა, სუკის აგენტების გაპრიალებული ჩექმები, გადმოყრილი ნიგნები, ფოტოგრაფიები და დოკუმენტები, ქართული და არაქართული ფიზიონომიები, ოდნავ ყალბად მომღიმარე სახეებით, ოთხკუთხედი უღვაშებით და ჩენი სასადილო ოთახის ცისფერი ჭალის ცისფერი შუქი. შემდეგ ყრუ ჩასასვლელის ხის გრძელი კიბის საფეხურები და კარებთან გაჩერებული M-1 გვერდითა ნათურით. ეს მანქანა დეიდას კატეგორიული მოთხოვნით იქნა გამოძახებული. დეიდამ პატარა ხელზე მომითათუნა, შუბლზე მაკოცა და ჩვენ დავშორდით. მეორე თუ მესამე დღეს დეიდასთან შეხვედრა ორთაჭალის ციხის ბინძურ დარბაზში მოხდა. სადღაც გისოსებს უკან მომცრო კარები გაიღო და გამოჩნდა ხელებგაშლილი ტანმორჩილი ჩემი დეიდა, გისოსებს მოუახლოვდა და ხმამაღლა, უტეხად შემოგვალადა: „წუხელ მანამეს“!

ეს დააფიქსირა ჩემმა ბავშვურმა მზერამ! ყველაფერი, რასაკვირველია, მოგვიანებით გავაცნობიერე.

რა მოხდა იმ ღამეს? მოვიხმობ ერთ ნაწყვეტს მისი მოგონებიდან: „ღამით კვლავ გამომიძახეს. გცემენო, შემფოთდნენ ქალები და რამდენიმე ქვედა საცვლის და წინდების ჩაცმას მაიძულებდნენ. ყური არ ვათხოვე, გაგულისებულმა ხალათი გადავიცვი. ღამის ორ საათზე ლოგინიდან რომ წამოგაგდებენ, იმის იმედიც არ უნდა გქონდეს, რომ „საპარადოდ“ გამოწყობილი ეახლები. ასეც მოვეუბოდიშე. სკამი შემომთავაზეს. დაკითხვას სათნო შესახედაობის, ჭალარაშერეული რაფავა წარმართავდა, რომელსაც გვერდში ორი მუტრუკი ამოსდგომოდა. „რას გვეტყვით თქვენი არალეგალური მუშაობის შესახებ, ჩვენ ყველაფერი ვიცით“, პირდაპირ მიახალა რაფავამ“ ლიზიკომ უარი განაცხადა. „სტყუით!“ იღრიალა რაფავამ. ლიზიკოც არ შეეპუა და უეცრად სკამი გვერდზე გადავარდა, ლიზიკოს კი ორმა მუტრუკმა ცემა დაუნყო. იყენებდნენ აგრეთვე მათრახებს, რომელთა ბოლოშიც რკინის ბურთულები იყო ჩაჭედვლილი. „ვის ხედებოდი გასტრონომში, ვის? თქვი, თქვი! დამბლაოდნენ გამგელელებული ჯალათები და თავანყვეტილი კეპავდნენ და კეპავდნენ ცოცხალ ხორცს... იატაკზე განრთხმული ვგდივარ...“

ჩემი სხეული, ჩემად რომ ვთვლიდი ლაღი, ხელშეუხებელი... ამაყი ყოფილა, დიდი სირცხვილისა და რიდის მქონე... მაგრამ მე იგი არ მეკუთვნის, ბღღენიან, კეპავენ... ეს არ არის მხოლოდ ტკივილი და მხოლოდ შიში. შემზარავი ფიზიკური შეურაცხყოფა. ამაზე უწინ არც დაფიქრებულვარ, თურმე რა ზუსტი თქმაა შეურაცხყოფა. შეურაცხყოფის, უზომო დამცირების გამანადგურებელი ძალა იმდენად დიდია, თუ შეურაცხმყოფელი არ მოკალი, იგი შენ მოგკლავს. ეს კრიზისია, თუ საპასუხო ძალა არ აღმოგაჩნდა, ის, რაც იყავი, უკვე მკვდარია. ნამუსახდილი ქალი ძნელად თუ გამოიხედავს. თავს იკლავს და ხშირად, რაც თითქოს პარადოქსულია, კახპად იქცევა. ასეთია ერის ბედიც: თუ მოძალადეს არ უმკლავდები, იგი იხრნება კატასტროფული სისწრაფით. უნდა მოერიო! მორჩა და გათავდა! თუ არა და ვაი დამარცხებულს. მონობა არის განცდა არა ბატონის ძლიერებისა, არამედ საკუთარი უძლურებისა. ამაშია მონობის ფსიქოლოგიის ძლიერი ნანამძღვართაგანი. მონა იმიტომაც არის მონა, რომ შინაგანად არის პატივყარი და მუხლზე დაჩოქილი. საშინელია მონათა ამბოხი, შურისგებაში საკუთარი უკმარისობის დაძლევის გააფთრებაც არის. მას შეუძლია, დიახ! გახელებულს ყველაფერი ეცოტავება და ხარბი ვნებით ენაფება საკუთარი ძალის ჭაშნიკს. ასეთია პუგაჩოვი, რაზინი და რუსეთის ოქტომბერიც. მათ აჯანყებებს ერთი დასასრული აქვს, მოხედვასაც ვერ მოასწრებ, ახალი მონობის უღლის ქვეშ ამოყოფ თავს. განმათავისუფლებელი თებერვალი ლენინმა ოქტომბრით მოკლა. კერენსკიმ სამართლიანად უწოდა მას რუსეთის შარლოტა კორდიე.

ბოლო არ უჩანს ბღღელს და ცეცხლის სეტყვას. ნადირებმა აინყვიტეს, სხეული ერთ მთლიან ტკივილად იქცა. დაბეგვილი ძელების სიმნარე, დახლეჩილი ხორცის მდუმარება, გავარვარებულ თონეში ვინვი... რაფავა სკამზე ზის, როგორც აშენზე და იქიდან აწყობს კადრებს. რაც თვალში მეცა რაფავას გათეთრებული სახე. თაებრუა თუ სინამდვილე? ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი მიტკალივით გათეთრებული სახის ყველა ნაკვთი იკრუნჩხება, იმანჭება. მე ქვევიდან შეეცქერი, მოზიდული ვარ და დაძაგრული, ასე თუ ბოჭავს ფრინველს გველის თვალები.

მოჩვენებასავით გაქრა მბღღენიანი ცეცხლის ქაოსი. არ წყდება ჯოჯოხეთური ფანტასმაგორია. უცებ აზვირთდა ახალი, სრულიად შეუსაბამო, ირაციონალური და გაუგებარი, ნიაღვარივით ნამოვიდა რალაც და გულში ზღვად ჩადგა. დაიფარა ზიზლიც, სიძულელი, შიში... არაფერი აღელვებს მის წყნარ ზედაპირს და ეს წყნარი

ზღვა გრძნობა არის ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული სიბრაღული, გულშემატკივართა შეცოდების ნაცნობი გრძნობა. მაგრამ ჩემ ირგვლივ ყოველივე ჯადოსნური სისწრაფით იცვლიდა ფერს, ზომას, მოცულობას, დნებოდა, იჩუტებოდა, პატარავდებოდა. ჩემი ხელქვეითი მორჩილი, უბრალო, ხელმისაწვდომი ხდებოდა.

— როგორ მეცოდებით, რა საბრალო ხართ, რა უბედური... გულმხურვალედ ვეჩურჩულები მას.

რაფავა თითქოს ქარის ტალღამ დასხლიტა. თვალი გამიყარა. ზიზღს ვერ მიაგნო, ვერც დაცინვას. გაქვავებული იჯდა. შეიძლება გუმანით ყველაფერს მიხვდა. შეიძლება უფრო მეტს, ვიდრე მე მაშინ... და კვლავ უკონტროლოდ, თითქოს ჩამორღვეული კედლის იქით სხვა ზეცა და სხვა ხმელეთი იყო, მინდობილად, როგორც ახლობელს, რომელსაც ზოგავ და უფროთხილდები, მორიდებული ჩივილი გავუზიარე: დავიღალე.

მან აქეთ-იქით დაყრილ ფეხსაცმელებზე თავის ოსტატებს ანიშნა... ამ ნამიდან კადრებს მე ვალაგებდი... ფაქტია, დღეს იგი ცოფიანი ძალლი იყო, სრულიად გადაუჭარბებლად, სრულიად რეალურად საინკეიზიციო სამძებროს მხეცი-ჯალათი, მაშინ მისი შეცოდება გულმა როგორ გაბედა?!"

ამ ღამის შემდგომ ლიზიკოს ეტაპისთვის ამზადებენ. საით და რამდენი ხნით ოჯახისთვის უცნობია. ჩემი თავდადებული ბებია, რომლის ცხოვრება ტანჯვით იყო მოცული, საყვარელი შვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო, უჩვეულო სენით ავადდება თვალსა და ხელს შუა პროგრესირდება სხეულის ნაწილების შემუშება. მხოლოდ ბებიას კოლეგა, ექიმი კოლუაშვილი, გვაძლევს მისი გადარჩენის იმედს. ერთი რამ ნათელია, ლიზიკოს ელის ეტაპი რუსეთის სუსხიან, უსასრულო სივრცეებში. სასწრაფოდ საჭიროა თბილი ტანსაცმელი. ქვეყანაში კი მასობრივი რეპრესიებია, ომის მოახლოების ატმოსფეროა. ოჯახს მამაკაცის ხელი აკლია. პაპაჩემი ქაიხოსრო ქავთარაძე ერთი წლის წინ გარდაიცვალა. ისევ დედაჩემისა და ლიზიკოს გიმნაზიის მეგობრები თინა მრეველიშვილი, მარგო შენგელია და სხვები ცდილობენ მხარში ამოდგომას. ეყიდით ბინის ნაწილს, აქაც ჩვენი გამოუცდებლობით ავანტიურის მსხვერპლი ვხდებით (თანხას ნაწილობრივ გვაძლევს და ამას კადრულობს დიდი ქართველი მწერლის ქალიშვილი; გვარს და სახელს განგებ არ ვასახელებ).

მაღე ლიზიკოს კვალი იკარგება (წერილებს ვერ ვიღებთ და ვერანაირ დახმარებას ვერ ვახერხებთ). ისევ ეტაპი, „სტოლიპინე-ბი“. „სტოლიპინეკა ადამიანის ბოროტების ერთ-ერთი სახეკმნილე-

ბაა და, როგორც სახელწოდება მოწმობს, სტოლიპინის მძვინვარე ფანტაზიის ნაყოფია". ციხე ბორბლებზე, ყოველგვარი ადამიანის არსებობის ნორმების (უფლებებს არ ვახსენებ!) დაცვის გარეშე, სადაც საპირფარეშოც კი ღია ჭრილია თვით „სტოლიპინკაში“ და შეიარაღებული ნითელარმიელი სალდათის თანდასწრებით „ხდება“ ფიზიოლოგიური პროცესები. სტეპებში, ჩვეულებრივ, „სტოლიპინკები“ სახურავებს რწყავდნენ და ჩამოლევნითილი წყლის წვეთებით პატიმრები წყურვილს იკლავდნენ. ეტაპი მარტო ციხე არ არის. გადარბენები, ხშირად ქარბუქში, სადგურიდან ციხის კარიბჭემდე, საკნამდე და უკან, ასე განუწყვეტილვ. ასეთია გულაგის არქიპელაგის ბანაკის სისტემა, რომელიც ქურდობის, მტაცებლობის, სპეკულაციისა და გარყვნილობის ბუდეა. აზარტული თამაშები, ნარკოტიკები და პროსტიტუცია ამ ლაგერების ყოველდღიურობას წარმოადგენს. პატიმრისთვის ციხე საოცნებო სადგომია. „ვისაც ეტაპი განუცდია, წერს ლიზიკო ქავთარაძე, მან იცის, რა არის ოცნება ციხეზე. იქ ჩვენ ვართ ჩვენივე სამყაროში ჩაკეტილი, იქ კუნჭულს მიგიჩენს საკნის მამასახლისი. გახრეკილ ნარებზე დაოსებულ სხეულს მიაგდებ, ძონძებს ნაიხურავ, საკუთარ თავთან დარჩები. აღარ გჯიჯგნიან, ყურში არავინ ჩაგნივის „დავაი, დავაი“. მოღერებულ კონდახს აღარ ხედავ, ჯაჭვის ღრჭიალი აღარ გესმის, ნაგაზები აღარ გიღრენენ. მაგრამ რჩება გზა სადგურიდან ციხემდე“ სამამულო ომი შუანელს ითვლიდა, როდესაც ჩვენ შევიტყვეთ დეიდას ადგილსამყოფელი. ეს იყო აკმოლინსკის (ყაზახეთი) დახურული ლაგერი, რომელსაც პატიმრებმა Агжир-ი შეარქვეს (Акмолинский лагерь жён измстников Родины). ასეთი იყო ამ ბანაკის რუსული აბრევიატურა.

აკმოლა ყაზახურად თეთრ სამარეს ნიშნავს. დეიდას ადგილსამყოფლის აღმოჩენის ცნობამ იმედის ნაპერწკალი აანთო ჩვენს ოჯახში.

ჩემი ამაყი ბებია, წარმოსადეგი ქალბატონი, დარდმა და მწუხარებამ შეცვალა. უკვე არც ასაკი ჰქონდა ახალგაზრდული, სხეულითაც დაპატარავდა. მთელი სიყვარული ჩემზე, ერთადერთ შვილიშვილზე, გადმოიტანა. მან სიცოცხლე შემინარჩუნა. ჩემი დედულეთის, ზემო იმერეთის სოფ. ივანწმინდის სუსხიან, თოვლიან ზამთარში საკუთარი სხეულის სითბოთი დამიცვა ფარღალაღა, ძნელად გასათბობ ოდა-სახლში. ხშირად მიფიქრია, ქართველი ბებია ხომ განსაკუთრებული ფენომენია; ნუთუ ჩვენს ხელოვან მოქანდაკეებს ერთხელაც არ უფიქრიათ ქართველი ბებიის ქანდაკების შექმნა?

ოჯახი მძიმე მდგომარეობაში იყო. ბებია მ გადაწყვიტა, სასწრაფოდ გაეგზავნა ამანათები შვილისთვის. მას მხარში ისევ დედაჩემის თანაგომნაზიელი, უკეთილშობილესი ქალბატონი მარგო მუჯირი ამოუდგა (რეპრესირებული ელგუჯა ლორთქიფანიძის ქვრივი, ჟურნალისტ ჯანიკო ლორთქიფანიძის დედა). ის სისხლის გადასხმის ინსტიტუტში განყოფილებას განაგებდა. ბებია, როგორც დონორი, სისხლს აბარებდა, გარკვეულ თანხას იღებდა, თავის მოკრძალებულ პენსიას დაუმატებდა და მე პატარა ბიჭი, და შავებში გამოწყობილი ბებია ასე ვაგზავნიდით ამანათებს ყაზახეთის „ალჟირში“. ჩვენ ისეთი რუდუნებით ვაკეთებდით ერთად ამ საქმეს, რომ ხშირად უცხო ადამიანი თვალს შეგვაველებდა და ლოცვა-მადლს დაგვადევნებდა. „ალჟირის“ სასტიკ ლაგერში მრავალი ჯურის პატიმრები იყვნენ. მათ შორის გამორჩეული და ლიზიკოსთან დაახლოებული იყო ქალბატონი ცეცილია (ლოლია) კინი მწერლისა და ჟურნალისტის საფრანგეთსა და იტალიაში, ტასს-ის კორესპოდენტის, მოსკოვის ფრანგული გაზეთის „ჟურნალ დე მოსკუ“-ს რედაქტორის ვიქტორ კინის (სუროვიკინის) მეუღლე. ცეცილია კინი ანტონ რუბინშტეინის შვილთაშვილი და საბჭოთა საგარეო მინისტრის მაქსიმ ლიტვინოვის რეფერენტი გახლდათ. ეს იყო ქალი ინტელექტუალი, მრავალი ენის მცოდნე და იტალიის საგარეო საქმეებში ჩახედული სპეციალისტი. დახურულ, მკაცრი რეჟიმის ლაგერში იმყოფებოდა მათი საერთო მეგობარი, ერთ დროს შორეული აღმოსავლეთის სუკის წარმატებული თანამშრომელი, ვიქტორ შნაიდერი. სამივე ბოლშევიკური იდეებით იყო შეპყრობილი. მიუხედავად ამისა, ვიქტორ კინი დახვრიტეს, ვიქტორ შნაიდერი ლიფორტოვოს ციხეში სასტიკად აწამეს და შემდეგ ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნეს. ამ ოჯახის ისტორია ტრაგიკულად დამთავრდა. ცეცილია კინს ჰყავდა მომზიბლავი და განათლებული ბიჭუნა ლოვუშკა. დახვეტილი მამისა და უგზოუკვლოდ დაკარგული დედის ერთადერთი ვაჟი ლოვუშკა ფრონტზე მოხალისედ წავიდა. გამოუცდელი ყმანვილი პირველსავე დღეებში ომის მსხვერპლი გახდა. სასიკვდილოდ დაჭრილი ჰოსპიტალში უიმედო „გადარჩენილთა“ სიაში აღმოჩნდა. ყმანვილმა წინასწარ ათიოდე ბარათი დაწერა, მონყალების დას დაუბარა, რომ წერილები გარკვეული დროის შუალედებით ბებიასთვის გაეგზავნათ. და როდესაც ბოლო ბარათმა ოჯახამდე მიაღწია, ლოვუშკა იუნყებოდა, რომ ის უკვე რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. ასე „დაინდო“ თავისიანების გული ამ ახალგაზრდამ, ბოლშევიკური რომანტიზმით შეპყრობილმა ლოვუშკამ.

ლიზიკოსათვის ეროვნული საკითხი და პოლიტიკა მისი ცხოვრების არსი იყო. თუმცა ისიც კარგად იცოდა, „რომელი დროის შვილები ვიყავით და მაინც დალუპვისაკენ მივინრაფოდით, რადგან სხვა გზა არ იყო ჩვენთვის. ცეცხლს ვეტანებოდით. ფუჭად ვინვოდით და ისიც ვიცოდით, რომ ჩვენი ხვედრი ფერფლია მხოლოდ. მაგრამ განა როდესმე ჩამქრალა ჩვენი კერია საქართველოში? მამა-პაპისგან ასე გვჩვევია კერიის ცეცხლს ვუფრთხილდებოდით, ფერფლში ვახვევდით და ვინახავდით. ნაცრის ქვეშ ღველფი-ლადარი ყოველთვის გვეგულებოდა.“ ლიზიკომ „აღჭირის“ ციხეში გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ცეცილია კინზე. მან მეგობარს პოლიტიკურ ჭრილში დაანახა ქვეყნის რეალური სახე.

აქ მახსენდება ერთი პასაჟი მაია პლისცეკაიას მოგონებიდან, ახალგაზრდობაში მან თავის ერთ-ერთ კოლეგას უთხრა: „А мой отец был истинный коммунист. Каким же ледяным сожалением смерил меня его доягний взгляд. Если честные коммунисты тогда и были, то они были скудоумными (в лучшем случае - 1°.4.) допкинхотами. За спос легконерие и прожекторство отец заплатил сполна. В 1938 году чекисты расстреляли его, тридцатисемилетнего. а в Хрущевскую «оттепель» посмертно реабилитировали «за отсутствием состава преступления. Какая банальная заурядная история“.

„ეს არის ქვეყანა, სადაც ადამიანი ყველაზე ნაკლებად ფასობს“, როგორც ამბობს მარკიზ დე-კიუსტინი.

1948 წ. ცეცილია კინი ციხიდან გაათავისუფლეს. ლიზიკო კი სამუდამო გადასახლების განაჩენით ქ. კოკჩეთავეში გაამწყესეს. ქალბატონი ცეცილია პირდაპირ ჩვენს ოჯახში გამოემგზავრა (დიდ ქალაქებში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა). ჩვენი ოჯახი მას დიდი სიყვარულითა და სითბოთი შეხვდა; ცდილობდა, როგორმე დეიდაჩემი შეეცვალა ჩვენს გარემოში. დეიდას მუდმივი გადასახლების ცნობით ჩვენმა ოჯახმა და, განსაკუთრებით, ბებიამ ძლიერი და აუნაზღაურებელი ემოციური სტრესი მიიღო. მიუხედავად ამ ტრაგიკული მდგომარეობისა, ლოლია კინი ჩვენი ოჯახის ნევრად დარჩა.

მამინ 11 წლისა ვიყავი, მრავალი მქონდა ნანახი, მოსმენილი და განცდილი. ლოლია კინმა მთელი დედური ინსტინქტი ჩემზე გადმოიტანა. მეც დიდი სიყვარულით ვპასუხობდი და ასე დავრჩით მისი სიცოცხლის ბოლომდე.

1953 წელს სტალინის გარდაცვალების ცნობამ დეიდას გადასახლებაში მოუსწრო. იგი ფეხზე წამოდგა და პატივი სცა თავ-

ვის პოლიტიკურ მონინალმდეგეს. „როგორც ნიგნის ფურცლების შრიალი, ისე წარმომიდა ნინ ნანახი და განცდილი. სტალინმა გაიმარჯვა. საბოლოო ჯამში მან დაამარცხა პიტლერი და არა მხოლოდ არცთუ ისე ბრწყინვალე სამხედრო სტრატეგიით, არამედ შორს გამიზნული დიპლომატიური ტაქტიკით. ევროპის გორიზონი მედიდურობის ცბიერ დიპლომატიას დაუპირისპირდა აზიის მოკატუნებული თავმდაბლობის ცბიერი პოლიტიკა“, წერს ლიზიკო ქავთარაძე. სტალინის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, გაზაფხულზე, დეიდა საქართველოს დაუბრუნდა. მთელი ნათესაობა, ახლობელ-მეგობრები, გიმნაზიის თანაკლასელები მოუთმენლად ელოდებოდნენ თბილისის ვაგზალზე მატარებელს. გულმა ვერ მომითმინა და შემხვედრი მატარებლით გორში გავემგზავრე. გორში მოსკოვის მატარებელი ჩამოვდგა, რომლითაც დეიდა მოემგზავრებოდა თბილისში. ვაგონის ნომერი კი ვიცოდი, მაგრამ მისი სახე, რასაკვირველია, მხოლოდ მისი ახალგაზრდობისდროინდელი სურათებით იყო ჩემთვის ცნობილი. სასწრაფოდ გავივრინე ვაგონის კუპები და ოი, საოცრებავ, ჩემი ყურადღება ხელებმა მიიქცია, რომლებიც დედის ხელებს ჩამოჰგავდა, შემდეგ პატარა ტანის ქალბატონი დავინახე. ქვეცნობიერმა გრძნობამ თავისი გააკეთა. ჩავეხუტეთ ერთმანეთს ყოველგვარი სიტყვების გარეშე. ვსაუბრობდით. კარგად არ მახსოვს რის შესახებ. დედამისის გარდაცვალება მან უკვე იცოდა. რასაკვირველია, ის სხვა სამყაროგამოვლილი იყო, მაგრამ გაუტყხელი, შემართული, კვლავ ეროვნული დამოუკიდებლობის ცეცხლით ანთებული. თბილისში საგანგებო შეხვედრა მოუწყვეს. თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ იგი ისევ დაუბრუნდა თავის სახლს, ჩაიკოვსკის ქ. 11-ს, სადაც დიდი ხნის წინ დაეშორდით ერთმანეთს. დედის გარდაცვალება მძიმედ გადაიტანა. დეიდა თავიდანვე აქტიურად ჩაეფლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქართველოს დამოუკიდებლობა იყო მისი მთელი ცხოვრების არსი. წერდა, კამათობდა, თარგმნიდა. მის გარშემო იკრიბებოდა ახალგაზრდობა და იგი ეროვნულ თვითმეგნებას აღვივებდა მათში. მქონდა ბედნიერება, ჩვენს ოჯახში შეხვედროდი. იმ რეპრესირებულ ქართველ (და არა მარტო ქართველ) „ნამსხვრევებს“, რომლებმაც 25-30 წელი საბჭოთა გულაგებში გაატარეს. დაბრუნდნენ ისინი, ვინც ბედისწერამ გადაარჩინა, სულიერად გაუტყხელნი და შემართულნი, მაგრამ ფიზიკურად განადგურებულნი, უპატრონონი და ხშირად არასრულფასოვანნი არსებულ რეალობაში.

ვინ იცის, საზოგადოებისთვის ფართოდ ცნობილ პიროვნება-

თა ფონზე ვინ იყვნენ: ვერა ასათიანი, ლიზიკო ქავთარაძე, შალვა ჩხიკვაძე, ნესტორ იმნაიშვილი, პართენ ხურციძე, გივი აბრამიშვილი, თამარ ნულუკიძე-გობრონიძისა, დიდი მეცნიერი ბიძინა რამიშვილი, თამარ ნულუკიძე-ახმეტელისა და ათასობით ფერულად ქცეული გმირები, რომლებიც შიშველი გულით დაედნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ბურჯები, რომლებზედაც ჭეშმარიტი ქართული სახელმწიფო აშენდებოდა, მართალი ხალხი, თავისი ქვეყნისათვის უანგაროდ თავდადებული, სანკტ-პეტერბურგის, ჰაიდელბერგის, სორბონისა თუ კემბრიჯის უნივერსიტეტების აღზრდილები, ივანე ჯავახიშვილის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და სხვათა სახელოვანი მონაფეები.

შალვა ჩხიკვაძე, პიროვნება, რომელმაც თითქმის სამი ათეული წელი საბჭოთა გულაგებში გაატარა, მომხიბვლელ რაინდად, დიდ ჰუმანისტად დარჩა, მაგრამ ფიზიკურად მოტეხილმა, გადაავლო რა თვალი ქვეყანას, ბრძანა: „ორი ღირსეული თაობა მაინც უნდა გაიზარდოს, რომ ჩვენი ერი ნამდვილ საქართველოს დაუბრუნდეს!“

ასეთი სასტიკი იყო მისი განაჩენი საკუთარი სამშობლოს მიმართ; იგივე, რაც თავის დროზე საქართველოსთვის ნამებულმა უნმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ იწინასწარმეტყველა: „ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რასაც ახდენდნენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკური გადაშენების, სულიერი გავლეწურების და გახრწნის კარამდე!“

როგორც კი მცირე შესაძლებლობა მომეცა, 1972 წელს პირველად ვენეიე კოლიმის კონტინენტს, გავეყვი მის უკიდევანო სივრცეებს, სადაც ამბობენ: „Тысяча километров не расстояние, сорок градусов – не волка, тысяча рублей – не деньги. шестьдесят градусов – не мороз, а шестьдесят лет – не старуха!“ მაგადანში ჩემი ყოფნის დროს უკვე არსებობდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ფოტობუბზე კარგად ჩანდა, თუ გამყინვარების პირობებში როგორ ცხოვრობდნენ გადასახლებულნი ჩვეულებრივ ნაჭრის კარვებში. ადგილობრივებმა გულწრფელად გამანდვეს: „Здесь были погребены славянские воины общества, грузинская интеллигенция“. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი მათგანი ჯერ კიდევ დაუნერელი წიგნია. ვცდილობ, ქართველთა ნაკვალევს გავეყვე. ჩემთვის უკვე ნაწილობრივ ცნობილია „კოლიმჩანების“ გვარები: სერგო მიგინეიშვილი, კარლო ღუტიძე, მ. ნერეთელი, ბ. ჭკუასელი, ვ. გუგუშვილი, თბილისელი ექიმი ავანიანი დაბა ტალაიადან, მშენებელი კარლო სოზიაშვილი, გრიშა მაისურაძე, სასწაულად გადარჩენილი და თბილისში

გაცნობილი ნინა ღვინიაშვილი, თამარა ვარაზაშვილი, ლუსია ჯაფარიძე, 16 წლის ვერიკო დუმბაძე, რომელიც მამისადმი ნაყენებული უსაფუძვლო ბრალდების გამო გადაასახლეს. ჩემი უახლოესი მეგობრის, ირაკლი ჯაბადარის (მან თავის მშობლებთან ერთად გამოიარა ღვითთ დავინწყებული კოლიმის „პლანეტა!“) მონათხრობის შედეგად გარკვეული წარმოდგენა მქონდა ამ კონტინენტის შესახებ. მივყვები ამჯერად უკაცრიელ ათასკილომეტრიან მაგადანის ტრასას: პალატკა, ატკა, ტალაია, ოროტუკან, იაგოდნოე, ბურხალა, უღელტეხილი სინეგორიე, დუქანი „Душкин пун“ ეს მთელი საგაა ამ უღელტეხილისა და ვინმე კრიმინალ დუნკას შესახებ; სუსუმან, ბელიჩან, მიაუნჯა, იქვეა ვერხოიანსკის ქედის გადაღმა „სიცივის პოლუსი“ – დაბა ოიმიაკონი, სადაც დაფიქსირებულია ყველაზე დაბალი ტემპერატურა დედამიწაზე 71. მიაუნჯაში შემხვდა არაჩვეულებრივი პიროვნება, „ხალხის მტრად“ შერაცხილი აგრონომი კარლო ლუტიძე, რომელმაც თითქმის 40 წელი გაატარა კალიმის ზონებსა და მიაუნჯაში, სადაც ზამთრის ტემპერატურა 55-60 გრადუსია. ამ მარჯვენადალოცვილმა ქართველმა კაცმა სასტიკ კლიმატურ პირობებში, მუდმივი გამყინვარების მიწაზე (სათბურებში, რასაკვირველია!) ყურძენი და ბახჩეული კულტურები გაახარა. მართალია, მოსავლის რაოდენობა რამდენიმე ფუთს არ აღემატებოდა, მაგრამ ფაქტი სენსაციური იყო და მაგადანის ხელმძღვანელობა დიდად ამაყობდა რეაბილიტირებული კარლო ლუტიძის პიროვნებით. მახსოვს, იმ დროს მასთან იყო ჩამოსული გურიიდან ახალგაზრდა კაცი, თუ არ ვცდები, გვარად ხუნდაძე, რომელიც რეპრესირებული მამის საფლავს ეძებდა. ბატონი კარლო აღმოჩნდა ცოცხლად გადარჩენილი ერთადერთი კაცი, ვინც იცოდა ადგილი, სადაც „ეტაპის“ დროს დაიღუპა ეს გურული კაცი და სადაც მუდმივი გამყინვარების მიწაში გაჭრილ თხრილში ჩაფლეს. სწორედ გაყინული მიწის „სიკეთის“ იმედი ჰქონდა ახალგაზრდას, რომ მამამისის ჯერ კიდევ გაუხრწნელ სხეულს მშობლიურ მიწას მიაბარებდა. სახელმწიფოს მხრივ ბოდუმის მოხდის (!) შემდეგ ფეხმოყინული, ოჯახგაპარტახებული ბ-ნი კარლო სამშობლოს დაუბრუნდა, გურიაში ღრმად მოხუცებული დედა ინახულა, რომელმაც ვერ იცნო საკუთარი შვილი, ნათესავებს მოეფერა და, მძიმედ დაავადებული, სამწუხაროდ, მალე წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის ხანაში გავიცანი ახალგაზრდა კაცი გაგა დემეტრაშვილი. იგი დათაშკა კავსაძის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ყოფილი წევრი იყო. მან მიაბო, თუ რო-

გორი ცბიერებით შემოიტყუეს ეს ანსამბლი საბჭოეთში და შემდგომ მის თითქმის თითოეულ წევრს 25 წლით უკრეს თავი კოლიმის კონტინენტზე. მისგანვე გავიგე პირველად გენერალ* გარანინის გვარი, რომელიც საოცარი სისასტიკით უსწორდებოდა პატიმრებს. „Полкомник Гарагин -- заместитель Сталина на этой окочевенной колымской земле, император и самодержец в этом забытом богом краю зверствовал. Он строил больших «отказчиков» от работы и, обходя строй, расстреливал их в упор. Сзади шли охранники, меняя ему штыклеты. Трупы складывали у ворот лагеря -- срубом. На колымской земле хозяйничали блатары. Отъявленные урки. Лесъ было копоть длинные, по росту трупов могилы, и они снежпсали, рубили трупы на куски, чтобы свалить их потом в поверхностную круглую яму за бугром, поросшим лиственницами. На длинных якутских санях трое блатарей тащили рубленную человечину. Бесстыдно торчали синие замерзшие окорока. Волочились по снегу отрубленные руки. Иногда на землю выпадали куски внутренностей" (ევეგენია გინზბურგისა და ედუარდ რაძინსკის მოგონებიდან).

გაზაფხულზე, როდესაც მინა ოდნავ გალღებოდა, ამ განწირული ხალხის კიდურები ამოიჩნებოდა მინის ზედაპირზე. კოლიმის ლაგერებში ზეკები თავიანთ ჟარგონზე მათ „ჟმურიკებს“ უწოდებდნენ. ქვეყანა კი ისააკ დუნაევსკის ხალისიანი მელოდიების თანხლებით და გამოჩენილი რეჟისორების ფილმებისა თუ დადგმების პარმონიული შეთავსებით კაცობრიობის ნათელი მწვერვლებისკენ ამაყად მიიბიჯებდა. გარეთ და შიგნით მძვინვარებდა შიმშილი, გასაიდუმლებული ეპიდემია პარტახტიანი ტიფი, კაციჭამიობა და სხვა მრავალი ბოლშევიკური თუ რუსული უბედურება. ყოველივე ამას მისმა შემოქმედმა „Головокружение от успехов“ უწოდა.

რამდენიმე წლის წინათ ზემო ალვანში მოხუცი თუში ქალბატონის სკივრში ბარათს ნავენყდი. გამრჯე და უტეხი ივანე ბართიშვილის, უდანაშაულო თუშის გოდება ამოვიკითხე: „სული კიდევ მიდგა. ვარ ამ ცივ ციმბირში, არც ლოგინი, ისეე ჩემი ტანისამოსის ინიბარა! ერთი პატარა პალატკა მომცეს და იმის ინიბარა ვარ, სიცივიტ ვკვდები, არც დღე მაქვს ძილი, არც ღამე!“ მთაში, კლდე-ღრეში, ყიამეთ ავდარსა თუ თოვლსა და ყინვაში არასოდეს გამიგია თუში კაცის ჩივილი, კლდესავეთ მტკიცე და უტყვი თუში

* ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ის პოლკოვნიკად მოიხსენიება.

დაობლებულ ოჯახს მიმართავს: „პატარა ქვაბი, ცოტა საპონი, ცოტა ერბო. გთხოვთ უფულოდ და უპასილკოდ ნუ გამიშვებთ“ რა მოკრძალებული თხოვნაა შეჭირვებული სულის ამ ყვირელში!

დამთავრდა, ჩვენ თვალწინ დამთავრდა „მსოფლიო რევოლუციის“ შედეგად კაცობრიობის ნათელი მომავლის, კომუნიზმის (უფრო ზუსტად სლავიანური ფაშიზმის), ბაბილონის გოდოლის მშენებლობა. დამთავრდა ტრაგიკული აბსურდით, მილიონობით ადამიანის გაჩანაგებით, ეკონომიკური სტაგნაციით, ქაოსით, ადამიანში პიროვნების ფენომენის განადგურებით, ქვეყანაში გაბატონებული სიყალბით, სიცრუით და ვინ ჩამოთვლის კიდევ რით? აღსანიშნავია, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, სამწუხაროდ, საკუთარ თვალში მუდამ უდანაშაულოა. მონანიების ცნება მისთვის უცხოა. თითქოს მართლდება ნიკოლოზ ბერდიაევის სიტყვები: „Россия живет во вред себе. и назло другим народам.“

დავიბრუნოთ საქართველო უპირველეს ყოვლისა, ქართული კაცის ღირსების დაბრუნებას, მისი ფსიქიკური, ფსიქოლოგიური და ეთიკური ნორმების აღდგენას ნიშნავს. ჩვენმა ავბედითმა ისტორიამ ვერ ჩამოაყალიბა მდგრადი სახელმწიფოს კანონმორჩილი პიროვნების მოდელი. უფრო კი გათითოკაცებული, მერყევი სულით, საკუთარი ოჯახის დამცველი და მძარცველი შექმნა. ისტორიულ რაკურსში სტაბილურ, მეტ-ნაკლებად სრულფასოვან ქართულ ეთნოსს ვერ დაეინახავთ. ამაზე მეტყველებენ ჩვენი დიდი წინაპრები: ილია, აკაკი, დავით გურამიშვილი, არსენ ბერი, კონსტანტინე კაპანელი, უცხოელები: იოჰან გოტფრიდ პერდერი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, არქანჯელო ლამბერტი, ალექსანდრე დიუმა და სხვები. დღეს ჩვენ „თავისუფლების ტყვეობაში“ აღმოვჩნდით. როგორც დიდი ილია იტყოდა: „ვინც ყმობიდან გამოდიოდნენ, არც იცოდნენ, როგორ უნდა შეეშენიათ მინიჭებული თავისუფლება“. ჩვენ დავემსგავსეთ შინაურ პირობებში გალიაში გამოზრდილ იმ ფრინველებს, რომლებსაც ერთ დღეს კარი გაუღეს და გაურკვეველ ველურ სივრცეში გასტყორცნეს, სადაც არც კანონია, არც ზნეობა და მტაცებელი ფრინველები დაპარპაშობენ. ეს ის სივრცეა, სადაც თითქმის საუკუნის განმავლობაში შეიქმნა საბჭოური პროდუქტი, რომელმაც „მოახერხა“ საკუთარი ძლიერი ეკონომიკური ბაზისის შექმნა და მიმიკრიის დიდოსტატური უნარი გამოიჩინა. ზეავივით აგორებულმა ბოლშევიკურმა ურდოებმა სრულიად გაანადგურეს ორთავიანი არნივის ქვეშ მყოფი ქვეყანა, იმპერია (აკი აღადგინეს კიდევაც გულწრფელად ეს დროებით მიჩქმალული სიმბოლო!). მსოფლიო პროლეტარიატის სახელით შეიარაღებულებს დროშე-

ბზე ეწერათ: „Кто нын ищем, тот станет всем“ როგორც პერბერტ უელსი წერდა 1924 წელს „В полном сотрудничестве с учением Карла Маркса“, ბოლშევიკები მოვიდნენ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის სათავეში და თავისი მსოფლიო რევოლუციის მოძღვრების იდეა „მოახვიეს“ მთელ ქვეყანას.

ეს აბსურდული ლოზუნგი პოლიტიკური ჟონგლიორობა იყო, გათვლილი არაფრის მქონე და მოძალადე ბრბოს ფსიქოლოგიაზე. რადგან არარაობა ვერასდროს ვერავითარ ფასეულობას ვერ შექმნის. „Эти нын вызванный отчаянием взрыв самых темных сил человеческой природы“ აგრძელებს ბრიტანელი მწერალი. პერბერტ უელსი კრიტიკის ცეცხლში გაატარეს, აქაოდა, ვერ მიხვდა პროლეტარული რევოლუციის არსს, პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავის ისტორიულ როლსო (აკვიატებული პათოლოგიური იდეები!). უელსმა იწინასწარმეტყველა ბოლშევიკური რუსეთის კრაზი, რაც დღევანდლობამ ტრაგიკულად დაადასტურა. აქვე საინტერესოა გავიხსენოთ რუსეთის ტახტის ერთგული, თავდადებული მონარქისტის, ვასილ შულგინის აზრი ოქტომბრის რევოლუციაზე: „Только свинцом, может записать обратно в его историю. вырвавшегося на свободу страшилого зверя... Увы – вот зверь нын... его величество русский народ“. ასე შეუსიეს მშრომელ, განათლებულ, მარჯვე არისტოკრატებს უნიათო, უტიფარი, არაფრის მქონე და ყველაფრის მსურველი, უჯიმო პროვინციალები:

„ჩვენი სახლ-კარი აანიოკეს,
დაუბანელმა გლეხის კაცებმა“

ლადო ასათიანი

ქართველმა და სხვა მოდგმის მოძალადეებმა ისარგებლეს „მსოფლიო რევოლუციის მოძახილით“, დაარბიეს და დაკეჭნეს ნათელი და ჭეშმარიტი ჩვენი მიწა-წყალი, გაჟლიტეს ათასობით ღირსეული მკვიდრი ჩვენი მამულისა.

მაუზერშემართული წითელი ჯალათები ანადგურებდნენ ყველას, ვინც მათ აბსურდულ იდეებს არ იზიარებდა, ვინც სრულიად განზე იდგა, ვინც მათი ბოროტი იდეების შეწინააღმდეგებას ცდილობდა. ანადგურებდნენ სოღანლულის ტრამალებში, ვარაზის ხეეში, საფიჩხიასა და სალორიას ტყეებში, ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ. ათასობით ახალგაზრდას ზაფხულში პერანგის ამარა გაუყენებდნენ კოლიმისა და ჩუკოტკის გრძელ გზას, აგზავნიდნენ

ვანილოს, ნახოდკის თუ ნაგაევოს ყურეში. შემდგომ მცურავი ციხით, რომელსაც ბედის ირონიით „ფელიქს ძერჟინსკის“ სახელი ერქვა, ზღვით, უკიდურეს ჩრდილოეთში სასტიკი კოლო „გნუსის“ სამფლობელოში, კოლიმის „პლანეტაზე“.

ზაფხულში გაგზავნილი რეპრესირებულნი ჯერ გადავსებული „სტოლიპინკებით“ გაივლიდნენ შუა აზიის ქვიშიან უდაბნოებს, ურწყავ მხარეს და შემოდგომა-ზამთრის პირს საზაფხულო პერანგ-კოსტუმებით გამყინვარების პირისპირ აღმოჩნდებოდნენ.

ვის ახსოვს ჯართად ქცეული ქართველი კაცის სიცოცხლე? დღევანდელმა ახალგაზრდობამ შეიძლება უკმეხი და ირონიანარევი პასუხიც გაგცეს ამ შეკითხვაზე. სწორედ ეს არის „ანწყო შობილი წარსულისაგან“... მაგრამ არ გაავარძელებ, თავს შევიკავებ!

აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ჩემი თაობის შესანიშნავი მწერალი და პუბლიცისტი ვახუშტი კოტეტიშვილი. ჩემი ყმანვილკაცობისას მამამისის სახლის წინ წუთით შევჩერდებოდი, თვალს შევაჯვლებდი გამოღამებულ, შავ, უსიცოცხლო სარკმლებს, გაძარცვული აივნების ნაღვლიან მზერას და პატივს მივაგებდი მისი პატრონის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ნათელ ხსოვნას, რომელთა მსგავსებსაც ანადგურებდნენ „ჭკუის გამო, ცოდნის გამო, პატიოსნებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ და მხოლოდ სილამაზის გამოც კი... მოსპეს რაინდთა ჯიში, სულიერი არისტოკრატია, საზოგადოების ნაღები. ილიას მოკვლით დაიწყეს საქართველოს გონის ამოშანთვა და ჯიშიან ქართველთა ამონყვეტით გააბერნეს საშოერისა“.

ყოველივე ამის შემდეგ ვფიქრობთ საქართველოს დაბრუნებას?!

*კინორეჟისორი გია ჭუბაბრია,
საქ. სახელმწიფო და ალბერტ შვაიცერის
პრემიების ლაურეატი (გფრ),
სრული პროფესორი*

P.S. ნიგნის შედგენის პროცესში კიდევ ერთხელ მწარედ განვიცადე განვლილი ცხოვრება, ჩემი ოჯახის სასტიკი ბედისწერა.

სულში მწუხრი იდგა, ყოველი სიტყვა კვამლის „სურნელში“ იყო გახვეული, განსაკუთრებით იმ დრამატული მოვლენების ამსახველ ნაწერებში, რომლებიც ჩკ-ს და გულაგის სისტემას ეხებოდა.

„ცეცხლს ვეტიანებოდით, ფუჭად ვინვოდით და ისიც ვიცოდით, რომ ჩვენი ხვედრი ფერფლია მხოლოდ“.

საკმარისი იყო მცირე დათმობა, რომ ლიზიკო ქავთარაძე ნამების გზას ასცდენოდა, მაგრამ ზნეობრივ სამჭედლოში ნანრთობი სული ამის უფლებას არ აძლევდა.

დაბრუნდა. ხარბად დაენაფა ყველაფერ ქართულს. მისთვის ეს საოცნებო ჟანგბადი იყო, რომლის სურნელება ათრობდა და ისიც უხვად გასცემდა თავისი გულისა თუ სულის მადლს. ენოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, კამათობდა, თარგმნიდა, წერდა, აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს და არასოდეს შეუწყვეტია საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ფიქრი საქართველოს მომავალ თავისუფლებაზე. ჩვენც გადავწყვიტეთ, ისე წარმოგვედგინა ნიგნი, რომ გულაგის დრამატულ მოგონებათა შორის მკითხველისათვის მშვიდი სავანე გადაგვეშალა მოთხრობებისა თუ ესეების სახით.

ცნობილია, თაობებს შორის ხსოვნა ფერმკრთალდება. ამისათვის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, ათასობით წმინდა სახელის ხსენებაც კი აკრძალა, სამაგიეროდ ყალბი ძეგლებით მოჰფინა მოედნები და დარბაზები.

დრო ისტორიის მკაცრი მსაჯულია. ერთი ხელის მოსმით გააცამტვერა საბჭოთა ბონზების ხელთუქმნელი ანსამბლები.

ლიზიკო ქავთარაძე ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებდა ახალგაზრდებში, ცდილობდა საქართველოსთვის ბრძოლის ხიდი აღედგინა თაობებს შორის. ყოველგვარი კომპრომისი, უკანდახევა, მრწამსისა და პრინციპის ლალატი მისთვის სრულიად მიუღებელი გახლდათ. მისი არც ერთი მოწაფე არ წასულა კომპრომისზე, არ გამოუჩენია მერყევი სული, არც ერთს უთხოვია პატიება დამპატიმრებლისათვის.

მინდა, ნიგნის დასაწყისში მადლიერების გრძნობით შემოგათავაზოთ მისი მოწაფეების მოგონებანი, რათა შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვადგინოთ მისი ნათელი სულიერი სამყარო, ღრმა პატივისცემით მოვიხსენიოთ ათასობით განწირული ქართველი, რომლებიც შიშველი გულით ფერფლად დაედვენენ დღევანდელ თავისუფლებას.

გია ჭუბაბრია


„აქ ვდგამარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“...

უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც ელისაბედ ქავთარაძე ჩვენ შორის აღარაა. ეს პერიოდი ისეთი სიდუხჭირითა და მშფოთვარებით იყო აღსავსე, რომ თითქოს ვერც კი მოვახერხეთ ამ ნათელი ადამიანის ჯეროვნად გახსენება, დაფიქრება მის მრავალტანჯულ ცხოვრებაზე, შეფასება მისი ღვაწლისა, მის მიერ სათუთად დაცული იმ დიდი მადლისა, რომლითაც დღეს ვიკვებებით და საიდან მივიღეთ, არც კი ვიცით.

ვინ იყვნენ ისინი, ვინც დემოკრატიულ საქართველოსა და ჩვენს თანამედროვეობას შორის შემაკავშირებელ ხიდად გაიდნენ, ვინც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კერაში დანთებულ ცეცხლს ჩაქრობის საშუალება არ მისცეს... კიდევ მრავალი კითხვის დასმა შეიძლებოდა, რომლებზეც პასუხის გაცემა გვიჭირს და ვცდილობთ, ჩვენს მეხსიერებაში გაეაცოცხლოთ ის ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც ჩვენი უახლესი ისტორიის ვაკუუმს ავსებს. ნიკო ლორთქიფანიძეს უთქვამს, „დიდი ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო“. თუმცა ზოგმა გააზრებულად იმუშავა ძეგლად ქვევისათვის და ქმნა თავისი თავისაგან კერპი, რომელსაც დროის ქარტეხილი ერთი ხელის დაკვრით დაამსხვრევს და გააცამტვერებს; ზოგის ცხოვრება კი თავად ძეგლად შეგვიძლია მოვიაზროთ: მათი უხილავი სახეები მათს ღვაწლში განხორციელდა და ასე ეზიარა მარადისობას. ჩვენთვის კი, შთამომავლათათვის, ერთგვარი მორალური ვალიც კია, დაეინყებინათ არ მიგვეცა ამ ადამიანთა სახელები და მათი სათანადო ადგილი წარმოგვეჩინა ისტორიაში. ეს მიზანი გვამოძრავებდა, როდესაც ქალბატონ ლიზიკოზე ვფიქრობდით, ვიხსენებდით მასთან დაკავშირებულ ამბებს და მის ნათელ სახეს ჩვენს წარმოდგენაში აღვადგენდით. ვესაუბრები მისი ოჯახის წევრებს: მის დისშვილს, ბ-ნ გია ჭუბაბრიას, რომელთანაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა ქ-ნი ლიზიკო, მის მოსწავლეებსა და ახლობლებს. აი, მისი ოთახიც: პატარა და მყუდრო, კუთხეში მისი სანოლი, იქვე სანერი მაგიდა, ბიბლიოთეკა, კედელზე მისი სათაყვანებელი ადამიანების დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ივანე ჯავახიშვილის, გალაკტიონის, გრიგოლ რობაქიძის, ნოე ჟორდანიას სურათები. სასთუმალთან იესო ქრისტეს თაბაშირის ქანდაკება მოკლე წარწერით: „დეიდა ლიზიკო, გადმოსულიყოს მადლი მაცხოვრისა თქვენზე! სიყვარულით, გია ჭანტურია“

ელისაბედ ქავთარაძე დაიბადა 1905 წლის 24 ივლისს თბილის-

ში, მონინავე ქართულ ინტელიგენტურ ოჯახში. მამამისი, სოციალ-ფედერალისტური პარტიის ნეერი ქაიხოსრო ქავთარაძე, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის არაერთგზის განეცადა რეპრესიები. ქაიხოსრო ქავთარაძის დიდ ავტორიტეტზე ისიც მეტყველებს, რომ ილია ჭავჭავაძის დამკრძალავი კომისიის ნეერი იყო, ხოლო ილიას დალუპვის შემდეგ მისი სახლი თბილისში და არქივიც სწორედ ქაიხოსრო ქავთარაძის ოჯახს გადასცეს. ამ სახლში გაუტარებია ბავშვობა ქალბატონ ლიზიკოს. მამის ახლო მეგობართაგან ყველაზე უკეთ მიხეილ ჯავახიშვილი ახსოვდა და ბ-ნ ქაიხოსროსა და ბ-ნ მიხეილის ურთიერთობის ერთი მშვენიერი მომენტის გახსენება უყვარდა. ერთხელ თურმე ქაიხოსრო ქავთარაძე და მიხეილ ჯავახიშვილი მეუღლეების უჩუმრად მეჯლისზე გაპარულან. მათი მეუღლეები კი შეთანხმებულან, უჩუმრად გაპარული ქმრებისათვის ოინი მოეწყოთ. ისინიც წასულან მეჯლისზე საკარნავალო კოსტუმებითა და ნიღბებით და ისე მოუხერხებიათ, რომ ერთმანეთის მეუღლეებთან დაუნყიათ ცეკვა, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილს ქაიხოსრო ქავთარაძესთან მროკავი „უცნობი“ ქალბატონის ფეხსაცმელი უცნია და მაშინვე მიუძახებია მეგობრისათვის: „ქაიხოსრო, ჩემმა ნაყიდმა ფეხსაცმელმა არ შეგაცდინოსო...“ უფრო ბუნდოვნად იგონებდა ქ-ნი ლიზიკო მამამისის ასევე ახლო მეგობარს არჩილ ჯორჯაძეს.



ლიზიკოს ოთახი

გასაგებია, რომ ასეთ გარემოში გაზრდილ ელისაბედ ქავთარაძეს ღრმად პატრიოტული და პუმანისტური მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდა. იგი, ისევე როგორც მაშინდელი ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, XX საუკუნის დამდეგს საქართველოში ფართოდ გავრცელებულმა სოციალ-დემოკრატიულმა ტალღამ აიტაცა და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ამ პარტიის წევრი გახდა. მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი მოსწავლისა და მეგობრის, თამარ ჩხეიძის სიტყვით, „ქ-ნი ლიზიკო სოციალ-დემოკრატიის იმ ნაკადის წარმომადგენელი იყო, რომლისთვისაც სოციალ-დემოკრატია ეროვნულ ნიჰილიზმთან კი არა, პირიქით, სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის სამ წელიწადთან იყო დაკავშირებული. ქართული სახელმწიფოს არსებობის ამ სამი წლით უაღრესად ამაყობდა უკვე ღრმად მოხუცებული ქ-ნი ლიზიკო. საოცარი გატაცებით გვიამბობდა ხოლმე ამ პერიოდის საქართველოზე. საქართველოს დამოუკიდებლობა შეადგენდა ქ-ნი ლიზიკოს ცხოვრების მთელ აზრს!.. მძიმე გადასატანი იყო მისთვის საქართველოს თავისუფლების ხელყოფა ახალი, სასტიკი და დაუნდობელი დამპყრობლის ბოლშევიკური რუსეთის მიერ. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას არასდროს შეგუებია და 1921 წლიდანვე აქტიურად ჩაება მისი აღორძინებისათვის ბრძოლაში. ამ დროს იგი ამთავრებს გიმნაზიას და თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. უნივერსიტეტში მას მრავალ ცნობილ მეცნიერთან ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ თავის მოგონებებში ყველაზე დიდი მონივნებით პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს იხსენიებდა. პარალელურად აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას აგრძელებდა. ხშირად იგონებდა ერთ მეტად კურიოზულ ამბავს. 1924 წელს, როდესაც საქართველო აჯანყების ქარცეცხლს მოეცვა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ტარდებოდა ქართველი ინტელიგენციის შეხვედრა ამიერკავკასიის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებასთან. საღამოს თურმე სერგო ორჯონიკიძეც ესწრებოდა. 18 წლის ლიზიკო ქავთარაძეს პარტიული დავალება ჰქონდა, ოპერაში პროკლამაციები შეეტანა და საღამოს მიმდინარეობის დროს დარბაზში გადმოეყარა. იგი პროკლამაციებიანი ჩანთით ხელში ოპერის წინ იდგა და მოსაწვევის უქონლობის გამო შესვლას ვერ ახერხებდა. ამ დროს თეატრის წინ გაჩერდა მანქანა და იქიდან ფილიპე მახარაძე გადმოვიდა. ქ-ნი ლიზიკო მაშინვე მიჭრილა მახარაძესთან და უთქვამს, რომ შეხვედრაზე დასწრება და პროკლამაციის ცნობილ ლიდერთა ნახვა სურდა, მაგრამ მო-

სანვევის უქონლობის გამო ვერ ახერხებდა და მისთვის დახმარება უთხოვია. ფილიპე მახარაძეს მონყალების თვალთ შეუხედავს ახალგაზრდა გოგონასათვის, შეუყვანია და თანაც პროკლამაციებიანი მძიმე ჩანთის შეტანაშიც მიხმარებია. ამის შემდეგ ქ-ნ ლიზიკოს პარტიული დავალება ბრწყინვალედ შეუსრულებია. ასე რომ, ქ-ნ ლიზიკოს გამჭრიახობით, ფილიპე მახარაძე ანტიბოლშევიკური აქციის უნებლიე მონაწილე გამხდარა. სტუდენტობის წლები ქ-ნ ლიზიკოსათვის მარტო პოლიტიკური აქტივობით არ გამოირჩეოდა. სახლი, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, იმდროინდელი ქართველი ახალგაზრდობის ლიტერატურულ-კულტურულ სალონად იყო ქცეული. იქ იკრიბებოდნენ ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, თამარ ნულუკიძე, გრიგოლ რობაქიძე და სხვები. განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ქ-ნი ლიზიკო გრიგოლ რობაქიძეს იგონებდა. კარგად ახსოვდა გერმანიაში მისი გაცილება, რომელიც უკანასკნელი შეხვედრა აღმოჩნდა. თითქოს ყველანი ვგრძნობდით, რომ სამუდამოდ ვეთხოვებოდითო გრიგოლს, მეტყოდა ხოლმე. იგონებდა მასთან გამომშვიდობებასაც: რკინიგზის ვაგზალში სკამზე მჯდარა და ჩუმად ტიროდა თურმე ქ-ნი ლიზიკო. უცებ ვილაცას ბეჭებზე ხელი მოუხვევია დასამშვიდებლად. როდესაც უკან მოუხედავს, მის წინ გრიგოლ რობაქიძე მდგარა. გრიგოლისადმი დიდი სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. კარგად ახსოვდა და მუდამ ასრულებდა გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელ და თანაც ერთადერთ თხოვნას სამშობლოსადმი: „როცა მოვკვდები, ყოველწლიურად, მნიფობის თეეს, 28 რიცხვში, ჩემს დაბადების დღეს, ქართველმა მანდილოსანმა სანთელი დაანთოს სვეტიცხოვლის ტაძარში ჩემი სულის შესავედრებლად. მეტს არასა ვთხოვ საქართველოს...“

1928 წელი ქალბატონ ლიზიკოსთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა, პროვოკაციის შედეგად 23 წლის ქალიშვილი ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. პირველი, ყველაზე შთამბეჭდავი ის იყო, რომ სკანში, სადაც იგი მოათავსეს, კედელზე მამამისის ასევე პოლიტპატიმრის (მხოლოდ ნიკოლოზ II-ის დროის) წარწერა ნახა. დაპატიმრებისას პოლიტიკურ წრეებში ლიზიკო ქავთარაძე უკვე იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ მეტეხის ციხეში მყოფ პოლიტპატიმრებს მისი იქ მოყვანისას ერთხმად დემოკრატიული საქართველოს ჰიმნი „დიდება“ და მის პანგზე ლიზიკო ქავთარაძის სახელი დაუმღერებიათ. აქ მრავალი ტანჯვა-წამების, საპროტესტო შიმშილობისა და თავდაუზოგავი ბრძოლის შემდეგ მიუღწევია იმისათვის, რომ

„ჩეკა“ იძულებული გამხდარა პროვოკაციულად მიყენებული ცილისმნამებლური ბრალდება შეეცვალა. მალე ლიზიკო ქავთარაძე ციმბირში, მდინარე ოზის პირას მდებარე დასახლება კოლპაშოვოს კოლონიაში გადაასახლეს, 1936 წელს კი პირობით გაათავისუფლეს და საქართველოში დაბრუნების ნება დართეს, მაგრამ არც აქ შენელებულა მისი დევნა-შევიწროება, რის გამოც იძულებული იყო ხშირად შეეცვალა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი. ქ-ნი ლიზიკო ასე იგონებს თავისი ცხოვრების ამ პერიოდს: „იქ, სადაც მუშაობის შესაძლებლობა იყო, ცხოვრების უფლებას „მგლის პასპორტით“ არ გვაძლევდნენ, სადაც გვეცხოვრებოდა – მუშაობას გვიკრძალავდნენ. გზადაგზა დავეხეტებოდი. ხან პურჭყითა და ნაგვით საესე ერთ სადგურში ამოვყოფდი თავს, ხანაც მეორეში. ტანსაცმელი „საამო“ სუნით მქონდა გაჟღენთილი, სული კი არანაკლებ გულისამრევი სანახაობით...“ მაგრამ არც ასეთი ვითარება გაგრძელებულა დიდხანს. 1940 წლის 15 მაისს დააპატიმრეს. სურდათ აბსურდული ბრალდებებისათვის ხელი მოეწერიებინათ. არა გამოუვიდათ რა. სასტიკი წამების შემდეგ ციმბირში, ქ. აკმოლინსკის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. აქ იგი 1948 წლამდე იყო. შემდეგ კი სამუდამო გადასახლების განაჩენით ქ. კოქჩეტავში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, 1956 წლის ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს და თბილისში დაბრუნების ნება მისცეს. ასე დაბრუნდა 28 წლის ტანჯვა-წამების შემდეგ ლიზიკო ქავთარაძე სამშობლოში. აქ იგი მუშაობდა თავისი სპეციალობით (იურისტ-ეკონომისტად) და ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ნახევარზე მეტი უცხო გარემოში ჰქონდა გატარებული, ქართული ენის სილამაზე და მაღლი მაინც არ დაჰკარგოდა, რაც ნათლად გამოჩნდა კიდევ მის მოთხრობებსა თუ ესეებში, აგრეთვე წერილებში ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ქ-ნ ლიზიკოს ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. ქართულიდან რუსულად თარგმნიდა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს, აღსანიშნავია ლევან გოთუას ცნობილი მოთხრობების „ყინვისის ანგელოზის“, „მამის დაბრუნების“ და სხვათა ელისაბედ ქავთარაძისეული თარგმანები. ამასთანავე არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ფიქრი საქართველოს მომავალ თავისუფლებაზე; პერიოდულად წერდა სტატიებს ეროვნულ პრობლემებზე, რომელთაც მაშინ, რა თქმა უნდა, გამოქვეყნება არ ეწერა, და მხოლოდ ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა საზოგადოებაში. ქ-ნმა ლიზიკომ პირველმა გასცა პასუხი რუ-

სულენოვან სომეხ მწერალ ვედემიშევს, რომლის რომან „ამირსპას-ალარში“ შეურაცხყოფლად დამახინჯებული იყო საქართველოს ისტორია. მისი ეს ვრცელი ნაშრომი მხოლოდ ხელნაწერის სახით გავრცელდა.

ლიზიკო ქავთარაძე ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებდა ახალგაზრდობაში. 60-70-იან წლებში მისი ბინა, ფაქტობრივად, ეროვნული მოძრაობის არალეგალურ შტაბად იქცა. მან პოლიტიკურად აღზარდა მთელი თაობა, რომლის დიდი ნაწილიც დღეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უდგას სათავეში. აი, როგორ იგონებენ ლიზიკო ქავთარაძეს მისი მოსწავლეები და მეგობრები:

გიორგი ჭანტურია: „მე ღმერთმა წყალობის თვალით გადმომხედა; დაახლოებით 5-6 წლის ასაკიდან ვიცნობდი ლიზიკო ქავთარაძეს. მან მასწავლა ძვირფასი თვლების ყალბისაგან გარჩევა, მასწავლა პოლიტიკური აზროვნება. ჯერ კიდევ ბავშვობაშივე შემაგნებინა, რა დიდი ერის შვილი ვარ, როგორ უნდა გვებრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. რუსეთში ცხოვრობდა ერთი საოცარი ქალი ბრეშკო ბრეშკოვსკაია, რომელსაც რუსეთის რევოლუციის დიდებას უწოდებენ. თამამად შეიძლება ჩვენი ეროვნული მოძრაობის დიდება ლიზიკო ქავთარაძეს ვუწოდოთ. ვის გამონრთობაში არ შეიტანა მან დიდი ღვაწლი: ირაკლი წერეთელი, თამარ ჩხეიძე, ირაკლი შენგელაია, ავთანდილ იმნაძე... და, როგორც ხედავთ, ყოველი მათგანი თავისი გზით წავიდა, მაგრამ ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ დაივინყებს ამ საოცარ ქალს, რომელიც იყო ნიმუში პოლიტიკური სიბრძნისა, უდრეკი ნებისყოფისა, სულიერი სიმტკიცისა და კაცთმოყვარეობისა“.

ირაკლი შენგელაია: „საოცრად კაცთმოყვარე ქალბატონი იყო ლიზიკო ქავთარაძე. უყვარდა ყველა, ვინც კი საქართველოსთვის ოდნავ მაინც გაიღებდა ხელს. მისი უდიდესი სიყვარული სამშობლო იყო, რომლის თავისუფლებისთვის ბრძოლასაც შეაღია მთელი სიცოცხლე...“

თამარ ჩხეიძე: „დღევანდელი პროპაგანდა ცდილობს, ქართველ ერს ეროვნული მოძრაობის გაყალბებული სურათი მოახვიოს თავს, ქრონოლოგიურად უაღრესად შემოზღუდოს ამ დროის პერიოდი და ერთი ცალკეული პიროვნების სახელს დაუკავშიროს იგი. სინამდვილეში, თებერვლის იმ საშინელი დღის შემდეგ, საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა, მიუხედავად სასტიკი, დაუნდობელი რეპრესიებისა, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ბრძოლას არ წყვეტდნენ. მათ შო-

რის ერთ-ერთი პირველთაგანი სწორედ ქ-ნი ლიზიკო იყო. საქართველოს სიყვარულში, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გარდაიცვალა იგი...”

მართალია, დღეს გამოჩნდნენ ისეთი ცრუნინასწარმეტყველნი, რომლებსაც ქ-ნი ლიზიკო „ბოლშევიზოიდებს“ უწოდებდა და რომლებიც ეროვნული მოძრაობის ისტორიას საკუთარი თავიდან იწყებენ, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს ისიც, რომ ქ-ნი ლიზიკო იყო ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა. ლიზიკო ქავთარაძე იყო ნამდვილი დისიდენტი, ერებისა და ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლი. არც 28 წლის პატიმრობის პერიოდში და არც შემდეგ არ არსებობდა მისთვის კომპრომისი და უკან დახვევა. აქვე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დისიდენტი ის ფენომენია, რომლისთვისაც არანაირი კომპრომისი, არანაირი „ტაქტიკური ნაბიჯები“ არ არსებობს. როგორც ბერს არა აქვს უფლება მარხვა გატეხოს, ანდა იმრუშოს, ასევე დისიდენტს არა აქვს უფლება უკან დაიხიოს, თავის სულიერ მრწამსსა და პრინციპებს უღალატოს. და ეს პრინციპი, რომლის მატარებელიც ქ-ნი ლიზიკო იყო, მის მოსწავლეებზეც გადავიდა: მისი არც ერთი მოსწავლე არ ნასულა კომპრომისზე. არც ერთს უთხოვია პატიება დამპატიმრებლებისათვის...

ელისაბედ ქავთარაძე 1988 წლის 2 თებერვალს გარდაიცვალა. თითქოს მოსესავით არ ეწერა აღთქმულ ქვეყნამდე მისვლა, რომელიც ჰორიზონტზე უკვე ნათლად ჩანდა და რომლისკენაც სწრაფვას შეაღია მთელი ცხოვრება. ვერც დიდი ხნის შემდეგ პირველად ნაზეიმებ 26 მაისს მოესწრო და ვერც ეროვნული მოძრაობის ტალღის აზვირთებას, რომელსაც მისი მოსწავლეები მიუძღოდნენ. არადა, რა ახლოს იყო მასთან.

მისი გარდაცვალებიდან ზუსტად 12 დღის შემდეგ, 24 თებერვალს უნივერსიტეტის ეზოში ჩატარდა პირველი მიტინგი, რომელიც მალე ეროვნული მოძრაობის ზვირთებად იქცა. მაინც როგორ შეგვიძლია მოკლედ განვსაზღვროთ ქ-ნი ლიზიკოს ღვაწლი?

არ გააცვივა კერია ლიზიკო ქავთარაძემ და მისმა თანამებრძოლებმა მოგვიტანეს გრაალის თასი, რომელმაც თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა გაგვინათა ქართველებს, იმედი და რწმენა შთაგვებრა, მოთმინება და სიმშვიდე გვასწავლა, რადგანაც სწამდათ, რომ, „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“. მისთვის ყოველად მიუღებელი იყო სისხლიანი გზით თავისუფლების მოპოვება, პოლიტიკაში მაკიაველისტური პრინციპების გამოყენება, უგუნურება და სიბნელე, მასის ნერვებზე თამაში და

პირადი მიზნებისათვის მისი გამოყენება. პოლიტიკაში იგი რეალიზმისა და ეთიკური ნორმების დაცვას მოითხოვდა, თუმცა კი ბოლო დროს ამ პრინციპების გამო ხშირად ეკამათებოდნენ, მაგრამ მისი პოზიცია იყო „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“. დაბოლოს, ამ წერილს ისევ ლიბიკო ქავთარაძის სიტყვებით დავამთავრებ, რომელიც ანდერძივით დაგვიტოვა შთამომავლობას: „ასე მგონია, ასე მნამს ვინმე ქართველი არსაკიდის მტევანს გამოიბამს, ცამდის აზიდავს აკლდამას. არ ვიცი როგორ და იგი ჩვენს კერიას დაემგვანება, ნათელი იქნება. ბედნიერი, იმედიანი... ერის მარადი საგუშაგო თქვენს (ერისთვის წამებული გ.მ.) წმინდა სახელებს ჩაიბარებს... მაგრამ ვიკმაროთ... მსურს მსჯელობა ცივი. ნუ დამძრახავთ, თუ კვლავ ოხვრა აღმომხდა. ასეთი ყოფილა თქვენი მამების, თქვენი დედების ხვედრი და წილი...“

გიორგი მაისურაძე
გაზ. „ქართული ფილმი“, 11 ივლისი, 1990წ.

ჩემი „პატარა ბელადი“

რაც თავი მახსოვს, მახსოვს ლიზიკო. ნათესაური კავშირის გარდა, კარგად მოგეხსენებათ, განსაკუთრებული სიახლოვის და სიყვარულის განცდა აქვს ადამიანს იმით მიმართ, ვინც ცნობიერ „მე“-ს თან დაჰყვა. ასე იყო ლიზიკოს მიმართაც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასაკმა და ერთად ცხოვრებამ ურთიერთობის დადგენილი ფორმები გვარიანად შეცვალა და უნინ აღმართული „ზღუდეები“ მიანგრ-მოანგრია.

ჩემს გაჩენაში ბებიაჩემს მეტად მნიშვნელოვანი როლი უთამაშია. საერთოდ, გულგრილად ვერ ჩაუვლიდა ხოლმე ორსულ ქალს და სულ იმის ცდაში იყო შეძახილით მაინც, საქართველოსთვის სასიკეთოდ შეეცვალა დემოგრაფიული სურათი. ლიზიკოს დაჟინებული მოთხოვნა რომ არა (ხაზგასმით ვამბობ არა თხოვნა, არამედ მოთხოვნა), ვინ იცის, როგორ გადაწყდებოდა ამქვეყნად ჩემი მოვლინების საქმე, რის გამოც (და სხვაც, რა თქმა უნდა, ბევრი მაქვს მის მიმართ სამადლობელი) უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ლიზიკო ორთაჭალაში ცხოვრობდა. თავიდანვე მეც ჩემს მშობლებს იქ დავყავდი. არაჩვეულებრივად კარგად მახსოვს მისი ოთახი. ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული კრძალვით შევაბიჯებდი ხოლმე და უცნაურია, მაგრამ წყნარად მეჭირა თავი. თვალი კი კარადისკენ გამიბოდა. როგორც წესი, იქ, წყლიან ქილაში, დაბერილი ქიშმიშები მელოდა, რომელთაც ნებართვის მიღების პირველივე წუთიდანვე დაუნდობლად ვანადგურებდი. ოთახში ვანილის სუნი იდგა. კედელზე კი „ვეფხისტყაოსნის“ საკმაოდ დიდი ზომის მამისეული რეპროდუქცია ეკიდა, კიდეც ლადო გუდიაშვილის „ფრესკა“ და „ტვინის ჭყლეტა“, რაც ლიზიკოს განსაკუთრებით უყვარდა.

ლიზიკო უცნაურ ნამცხვარს აცხობდა, ასევე კატლეტს კი არ შენვავედა, დანვავედა ხოლმე, მაგრამ მაინც მადიანად შევექცეოდი ამ უცნაურობას და არა მარტო ბავშვობაში, უკვე მოწიფულ ასაკშიც კი. ლიზიკო რომ გარდაიცვალა, მე უკვე 24 წლის ვიყავი. ჩემს მეხსიერებას კარგად შემორჩა ხორციით, არაუნით, ზეთით, ძმრითა და სუნელებით გაკეთებული კერძიც. ლიზიკოს სიტყვებით რომ ვთქვათ, რაღაცას „ჩირთიფირთობდა“, მაგრამ გამოსდიოდა. როგორც ჩანს, მარტო მე არ ვიყავი მისი უცნაური კულინარული ხელოვნების ტრფიალი.

საშინლად მინდოდა ბალეტზე სიარული. „Тылько через мой труп“-ო, — გაიგიჟა თავი. ძალიან გავიკვირვე და მიზეზი ვკითხე.

„Они не имеют детей и вообще это категоричный труд“. „არა, ბებო, ახლა არა, შენ რომ მოკვდები-მეთქი“, დავაიმედე (მაშინ 5 წლის ვიყავი). მისეულ გამოთქმაშიც: „Я могу быть мистом для членовечества, но кастылсм никогла!“ ძალიან კარგად ჩანს მისი პათეტიკური შემართება. ახლა მახსენდება, მეცინება და მეტირება იმავდროულად.

რაც მახსოვს, სულ „პატარა ბელადი“ იყო. ჩვენთან შემოსვლისთანავე, რამდენი ხალხიც არ უნდა ყოფილიყო, ყველა საუბარს წყვეტდა და ინტერესით ადევნებდა თვალყურს მისეულ დაუნდობელ და უკომპრომისო პოლემიკას. ტანად პატარა იყო და ძალიან აქტიური. თუ მოისურვებდა, ნებისმიერი ასაკის ადამიანს გაუტოლებდა თავს. არცთუ იშვიათად არაჩვეულებრივად მხიარული, ხშირად „ხულიგნობდა“ კიდევ. მაგალითად, ახლაც მახსოვს ე.წ. „შანხაის“ კინოთეატრში ანი ჟირარდოს მონანილეობით ფილმი გადიოდა, სახელწოდებით „უკანასკნელი კოცნა“. ლიზიკომ კარგა ხანს უყურა, უყურა და ხმამაღლა გამოაცხადა: „Знаю, поилуем не пашлет!“ დარბაზში სიცილი ატყდა. მგონი, ფილმს აღარავინ უყურებდა, მაყურებლები სიცილით კვდებოდნენ და ლიზიკოს მეტად მოხდენილი და დროული კომენტარებით იქცევდნენ თავს.

ფიციბი იყო და ამ დროს სრულიად უმართავი. ერთ დღეს შეიძლებოდა რალაც არ მოსწონებოდა, ორი კვირის შემდეგ იმავეზე გადაირეოდა და მიმტკიცებდა, პირველად ვხედავო, შენ რალაც არასწორად გახსოვსო. ასე დაემართა თენგიზ აბულაძის „ვედრებისა“ და „მონანიების“ ნახვისას. ბოლოს ორივე ფილმი ძალზე მოსწონდა და აფასებდა.

ძალიან უყვარდა გია ჭანტურია. ისინი ერთად ცხოვრობდნენ ორთაჭალაში და მეგობრობდნენ. გიას ნასვლა ამ ქვეყნიდან უზომო ტკივილი იქნებოდა მისთვის. ბუნდოვნად მახსოვს, ლიზიკო თავის ჭრელ ბალიშს რაფაზე დადებდა, მე ხელებს ნელზე შემომხვევდა და ამ ბალიშსა და თავის მუცელს შორის მომიქცევდა, და ასე გაიზარდა გიაც. ლიზიკო ჩვენთან ნუცუბიძეზე გადმოვიდა საცხოვრებლად, თუმცა მათი მეგობრობა არ განელეზულა, პირიქით. გიამ წერა რომ დაიწყო, ხშირად ვხედავდი ჩვენთან. მისი დედა – ქალბატონი ლილიც ხშირი სტუმარი იყო ჩვენი. ქალბატონი ლილი და ლიზიკო იყვნენ გიას პირველი მესაიდუმლენი და პირუთენელი შემფასებლები. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცი და მახსოვს. არა მგონია, ვცდებოდე.

ბევრნი მოდიოდნენ ჩვენთან: თამრიკო ჩხეიძე, ირაკლი შენგელაია, ავთო იმნაძე, ირაკლი წერეთელი და მათი ამხანაგები. ერ-

თობ ხმაურიანი იყო ეს თავყრილობები.

კარს ხშირად მე ვაღებდი. თამრიკოს უნდობელ მზერას გადავანყდებოდი, მერე გაიღიმებდა და გაოცდებოდი. იშვიათად მინახავს, ასე მოხდენოდა ვინმეს ღიმილი. ძალიან ბევრს კამათობდა თამრიკოსთან. არაფერს უთმობდნენ ერთმანეთს. „I'OBOPAT. YTO OHA «MИЗНКО В ЮНКЕ», НУЧЕГО ПОДИНХОИО“, ამბობდა გაბრაზებული, მაგრამ ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა. ალბათ, ამ კავშირების და მამაჩემის გია ჭუბაბრიას კომუნისტების მიმართ გამულაუნებული გულწრფელი ანტიპათია გახდა ჩვენი დაინტერესების მიზეზიც უშიშროებაში, ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ მას კარგა ხანს საზღვარგარეთ გამგზავრება აეკრძალა.

ეროვნული საკითხი, პოლიტიკა იყო ლიზიკოსთვის ყველაფერი. ეს იყო მთელი მისი ცხოვრების არსი. 28 წელი პატიმრობაში, წარმოგიდგენიათ? ხანდახან მგონია, რომ მან რამდენიმე ადამიანის ურთულესი, მაგრამ უზომოდ საინტერესო ცხოვრება განვლო. მახსოვს, უკვე სიკვდილის სარეცელზე მწოლიარე, როგორ მომენტალურად ცოცხლდებოდა და უბრუნდებოდა ძველი შემართებით ამქვეყნიურ ყოფას, როგორც კი მისთვის საინტერესო საკითხზე დაინყებოდა ლაპარაკი. სწორედ იმ დროს გია ჭანტურიამ და მისმა მეგობრებმა მოინახულეს, თავიანთი „მომამბეც“ მოუტანეს და საკმაოდ სახელდახელოდ გაკეთებული მონაბობაც გადასცეს. ბედნიერი იყო და ღრმად დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირს დიდი დღე აღარ ეწერა. მკრეხელობაა, მაგრამ, როცა მას ფილიპე მახარაძის საფლავის აფეთქების ამბავი აუწყეს, გაიხარა.

უკვე ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: შეურიგებელი იყო რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისას. უახლოესი მეგობარი ჰყავდა ლოლია კინი, რომელსაც მეუღლე დაუხვრიტეს და ვაჟი ფრონტზე ტრაგიკულად დაელუპა (ეს ცალკე ისტორიაა). ლიზიკომ და ლოლიამ გადასახლების უმძიმესი წლები ერთად გაატარეს. ერთხელ ლოლია კინს ასეთი ფრაზა დასცდა: „Лети в Грузию могут Бахуака читать и по-русски“. ლიზიკომ ვერაფრით აპატია და სამუდამოდ მოიკვეთა. ვერმიშვეის „ამირსპასალარის“ წინააღმდეგ მიმართული წერილის გამო სომხეთის მწერალთა კავშირმა თავის დროზე უშიშროების ორგანოებთან აღძრა სარჩელი.

ოთახში მისთვის სათაყვანებელ მწერალთა და მოღვაწეთა გარემოცვაში სანოლთან პატარა რადიო ჰქონდა ჩამოკიდებული. ეს რადიო კოჩეტავს უკავშირდებოდა და ძალიან უყვარდა. „სამყაროს ამ რადიოს მეშვეობით ვუკავშირდებოდიო“, ამბობდა. არც იმქვეყნად დაგვიშორებია ისინი ერთმანეთისთვის, მხოლოდ

გადასახლებიდან ჩამოტანილი ცოცხისგან გაკეთებული თოჯინა დავიტოვე. ის ახლა ჩემი ოთახის კედელზე ჰკიდია და იმედია, დიდი ხნის შეიძლება ჩვენც ერთმანეთს ავეკიდებით სულეთისკენ მიმავალ გზაზე.

გადასახლებისდროინდელი მისი მონათხრობიდან რამდენიმე ფრაგმენტი შემომჩნა, რამაც, როგორც ჩანს, ემოციურად შემძრა. საერთოდ, ბერს არ ჰყვებოდა, ძირითადად წერდა. მახსოვს, არ უყვარდა ყვავილები ნაშრომ-ნაჯაფნი რომ ვბრუნდებოდით, გვაიძულებდნენ კასრები აგველო და ჩვენი ბარაკის ირგვლივ გასალამაზებლად დარგული ყვავილები მოგვეჩვენაო.

ლერნამს ჭრიდნენ, კონებად კრავდნენ და ეზიდებოდნენ და ეზიდებოდნენ. ნყალში მდგარს ერთხელ ჩასძინებია და კინალამ გაყინულა კიდეც, მაგრამ დედის თუ დის ხმას გამოუღვიძებია თურმე. არ ენერა მაშინ სიკვდილი. საშინლად მძიმე სამუშაო ყოფილა, გამთანგველი და გაუსაძლისი. ლიზიკოს ხერხისთვის მიუმართავს, კონა ზურგზე მოუგდია, მინაზე განოლილა და ოთხით გაუგრძელებია გზა. „ო, ეს საოცარი ნეტარება იყო, რომ იცოდე, როგორ იოლად მივათრევდი ჩემს ტვირთს, ის იყო უკვე ფონს გასულს აღმომჩენლის ყიჟინა უნდა აღმომხდომოდა, რომ გაეშეშდი... ჩემ ირგვლივ ყველა ოთხზე იდგა და ჩემებრ ზურგით ეზიდებოდა ლერნმის კონებსო“. ლიზიკო ფეხზე ნაშრომტარა და სიხარულშვების ნაცვლად განგაშის ზარი დაუცია – ხალხნო, ახლავე ფეხზე დადექით, ჩვენ ხომ ცხოველებს ვემსგავსებითო.

გადასახლებამდე საზღვარგარეთ გამგზავრება შეუთავაზებიათ, კატეგორიული უარი უთქვამს. ღრმად სწამდა, რომ საქართველოს განთავისუფლება გარდუეალი და არც ისე შორეული მომავლის საქმე იყო.

თვითონ რაფავამ მცემაო, უთქვამს ჩემთვის.

ალბათ, საინტერესოა მისი დამოკიდებულება სტალინის პიროვნების მიმართაც. „Он зной человек, проигреть голю и со временем сн. как политического деятеля, все больше и больше будут ценить“, იმეორებდა ხშირად.

ერთხელ სახლში ვბრუნდები და ვხედავ ლიზიკოს თავისი „ტახტრევანი“ ამოუტრილებია და რალაც იღუმალებით მოცული ფუსფუსია ირგვლივ. მიმოვიხედე კვლავ უშიშროება ხომ არ გვესტუმრა-მეთქი (ერთხელ დაგვაფასეს და მთელი ბინა გაჩხრიკეს). უცხო არაეინ ჩანდა. მერე გამომიტყდა. შინსახკომის მუშაკთა მოსვლას ველოდი და ყოველი შემთხვევისთვის ჩემი ნანერები საეარძელს ქვემოთ ამოვუკერეო.

ლიზიკო ყოველნაირად მარიდებდა პოლიტიკას. მართალი გითხრათ, არც მაინტერესებდა. სახლში ისეთი რევოლუციური აღმაფრენა იყო მუდამ (ყოველთვის აინტერესებდათ და მით უმეტეს დღეს, ჩემი მშობლები დიდი გატაცებით კითხულობენ პოლიტიკურ ისტორიას), რომ მე, როგორც ჩანს, პროტესტის გრძნობა გამიჩნდა. ახლაც მიმაჩნია, რომ იყო პოლიტიკოსი ეს მონოდებაა და მეტად საპასუხისმგებლო, სერიოზული საქმე, რისთვისაც ნამდვილად არ გამოედგები, არა იმიტომ, რომ სერიოზულობა მაკლია, უბრალოდ, თავმოყვარეობა მაქვს და დაახლოებით მაინც ვიცი საცდელად ჩემთვის რა ღირს და რა არა.

სასაცილოდ იცოდა გაბუტვა. პატარა ბავშვივით გაიბერებოდა, კიდევ უფრო დამრგვალდებოდა და მკაცრი გამომეტყველებით, პირმოკუმული დაჰქროდა. სჯობდა, ამ დროს გზაზე არ გადაჰყროდი, მაგრამ „ბოდიშს“ დიდი ძალა ჰქონდა.

ადამიანს ბავშვობიდან ეტყობა ხასიათი, ამას გადაჭრით მოგასენებთ. ლიზიკოსაც კარგად ეტყობოდა, რა კერკეტი კაკალიც ბრძანდებოდა. ადრევე ისწავლა კითხვა. კითხულობდა უამრავს. სხვას თვალში რომ არ მოხედროდა, თავშესაფარსაც მიაკვლია ლოგინის ქვეშ ძვრებოდა ნიგნით ხელში და დიდი ჩხუბითა და დავიდარაბით ძლივს გამოჰყავდათ თურმე იქიდან.

მამამისი ქაიხოსრო ქავთარაძე სოციალ-ფედერალისტი იყო, ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. ორი პარტია ოჯახში, ხომ კარგია? ნერდა ფსევდონიმით „ქაქუჩელა“. ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ილიას ბინა ქაიხოსრო ქავთარაძის ოჯახს დაუთმეს. ამ სახლთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები მეტად ცოცხლად ჩანს ლიზიკოს ნაწერებში.

დედა ოლია გაბიტაშვილი დიდი ჭკუით, გამბედაობითა და სიმტკიცით გამოირჩეოდა თურმე. იშვიათად თუ მუშაობდნენ იმ დროს ქალები. ოლია არ შეკუთვბია დადგენილ წესებს და მშვენიერი ექიმი დამდგარა. სასწავლებლად მიმავალს ლანდივით დასდევდა ბნელ ქუჩებში ვილაც, ცდილობდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ბებიაჩემის მონათხრობიდან მახსოვს, ის „ვილაც“ ოლიას მამა ყოფილა. ლელავდა თურმე, შვილი რაიმე უსიამოვნებას არ გადაჰყროდა.

და ჩემი გამზრდელი ბებია, არაჩვეულებრივი ქალი. განათლებით აგრონომი. ლიზიკოს უზომოდ უყვარდა თავისი სტუდენტობის უნივერსიტეტი, თავისი პედაგოგები. განსაკუთრებით ხშირად ახსენებდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილს. პოლიტიკონომიას როცა ვაბარებდი, ინტერესით ათვალთვლებდა ჩემს სახელმძ-

ღეანელოს და, როგორც სჩვეოდა, მრისხანე უკმაყოფილებით იქნევედა თავს ეს რას გასწავლიან, მარქსის „კაპიტალი“ იცი, რა საინტერესოაო. თავის ოთახში სიცოცხლის ბოლომდე მარქსის პატარა ბიუსტი ედგა და ნოე ჟორდანიას სურათი ეკიდა. ძნელად წარმოიდგენდა ილიას მკვლევლობაში სოციალ-დემოკრატთა აქტიური მონაწილეობას. განსაკუთრებით უყვარდა ილია.

ქართველი მენშევიკები არ არსებობენ. ბოლშევიკები და მენშევიკები რუსული მოვლენაა და რუსეთის საკუთრებაა, იმეორება და ხშირად, ჩვენ ვართ სოციალ-დემოკრატებიო.

უზომოდ უყვარდა ლევან გოთუა, როგორც პიროვნება და როგორც მწერალი. მე ბატონი ლევანი ჩვენთან მოსული არასდროს მინახავს, მოვესწარი მის მეუღლეს ქ-ნ ციცოს, რომელიც მწერალთა პოლიკლინიკაში თერაპევტად მუშაობდა და ჩვენს ოჯახზე დიდი ამაგი აქვს. სალაგის კუნძულებზე, სადაც ბატონმა ლევანმა კარგა ხანს უმძიმეს პირობებში დაჰყო (საერთოდ საოცარია, როგორ გადარჩა ცოცხალი), ლიზიკო არ ყოფილა, მაგრამ მათ მეტად ძლიერი მეგობრობა აკავშირებდათ, როგორც მეტად საინტერესო პიროვნებებს და გადასახლებაში მყოფთ. ლიზიკომ არაერთი მისი მოთხრობა თარგმნა რუსულად. სწორედ მისი მეშვეობით გავეცანი და ძალიან შევიყვარე ეს დიდებული მწერალი. ლიზიკო სრულყოფილად ფლობდა რუსულს. იცოდა ფრანგული, მაგრამ არა „ბრწყინვალედ“, როგორც ამას ზოგჯერ წერდნენ. ლიზიკოს პიროვნებას რაიმეს მიმატება ღირსების წარმოსაჩენად არ სჭირდება, ყველაფერი ჭარბად ჰქონდა. ზოგიერთმა მისმა ახლობელმა (აღბათ, ლიზიკოს ახლობლად გამოცხადების ცოტუნებას ვერ გაუძლო, ადამიანები მაინც სუსტნი ვართ) ისიც კი დანერა ქალბატონი ლიზიკო წიგნაკს დაეკონა და სული განუტევაო, ზოგს თურმე მის სასთუმალთან „დასთენებია“. მისი აღსასრულის ჟამს მამა, დედა და მე ვიყავით მხოლოდ სახლში. ჩემი ძმა, კახა, თავის ოჯახთან ერთად მოსკოვში იმყოფებოდა. ეს პირველ თებერვალს მოხდა, შუალამისას. შემეძლო ეს სისუსტეც მეპატიებია იმ ადამიანებისთვის, მაგრამ ვერც ჩემს თავს და, მით უმეტეს, ბებიაჩემის ნათელ ხსოვნას სიყალბეს ვერ ვაკადრებ.

განცვიფრებული იყვნენ ექიმები მეორე ინფარქტი 83 წლის ასაკში და მაინც გაუძლო თითქმის 3 თვე.

ათეისტი იყო, ამიტომ ძალიან გამაკვირვა მისმა ნათქვამმა: „იცი, ღმერთი, მგონი არსებობს, არ შეიძლება ამ სამყაროს რაიმე ძალა არ მართავდესო“ სანამ აგონია დაენწყებოდა, დამიძახა: „ბუცუნა (ასე მეძახდა), ჩამეხუტე, მეშინიაო“ ეს იყო, აღბათ, მისი

პირველი და უკანასკნელი ვინმესთან გამყლავნებული სისუსტე. ჩავეხუტე და ვიგრძენი მიდიოდა... მეტი არც არაფერი უთქვამს ჩემთვის. რამდენიმე დღეში ჩემ თვალწინ დალია სული. პირველი იყო... მახსოვს, გათენებამდე მთელს სხეულში განოლილი სისველის გრძნობა არ მტოვებდა... „ჩემი მიცვალებულის არ უნდა გეშინოდესო“, მითხრა ოდესღაც. არ შემშინებია არც მისი და მერე აღარც არავისი. აღარ გაქვს უფლება...

მამაჩემს უთხრა კიდევ: „გია, მე ცხოვრება უქმად დაკარგეო“. არ ვიცი, რას გულისხმობდა.

ერთხელ ამიხირდა რატომ შეხვედი კომკავშირში? ძალიან გამიკვირდა. არც კი წარმომედგინა, რომ სხვაგვარად შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენთან ყველა იყო ჯერ პიონერი (მახსოვს, ერთი სული მქონდა წითელ ყელსახვევს როდის გავიკეთებდი), მერე კომკავშირელი გარკვეული ვადით. სიახლე იწვევს არჩევანს, კომკავშირლობა კი ჩემთვის ძველზე ძველი იყო, როგორც „ბატონები“, რომელიც აუცილებლად უნდა მოიხადო სიყმანვილეში.

მადლობის მეტი რა მეტქმის ჩემი ბავშვობის მეგობრის, თამარიკო შარაბიძის, მიმართ, რომელმაც ამ დიდებულ ქალთა შესახებ მასალის მოძიება და მკვლევართათვის გზის გაკაფვის არცთუ იოლი საქმე იტვირთა. ლიზიკო ქავთარაძის ნაწერები, რომლის მხოლოდ ორი ტომის აკინძვა-დაბეჭდვა მოვახერხე, ძალიან ბევრ საინტერესოს შეიცავს და ვფიქრობ, თავის ღირსეულ სიტყვას აუცილებლად იტყვის. თვითონაც სჯეროდა ამის. ძალიან ვწუხვარ, რომ გ. მამულიას ნალებული ერთადერთი ეგზემპლარი „აკ-მოლა ანუ თეთრი სამარე“ არ დაგვიბრუნდა. სამუშაო კიდევ ბევრია. იმედი მაქვს, ბებიაჩემისა და მისი თაობის ღირსეულ შვილთა ხსოვნას დავინყება არ უწერია.

რუსუდან ქუბაბრია

15.10.2003 წ.

უშიშარი მიცინოვნა

მხოლოდ ერთ მასწავლებელს სწამდა ჩემი ეს ლევან არაბული იყო ისტორიის მასწავლებელი, რომელმაც ისტორია შემაყვარა და გადამაწყვეტინა ისტორიის ფაკულტეტზე ჩაბარება. სხვა მასწავლებელიც მყავდა ოლონდ არა სკოლაში. მასწავლებელი, რომელმაც „ყალბი თვლების ძვირფასი თვლებისაგან გარჩევა“ მასწავლა ქ-ნი ელისაბედ ქავთარაძე, იგივე ლიზიკო დეიდა. ეს პიროვნება „ქართული რევოლუციის დიდება“, ქართველი „ბრემკო ბრემკოესკაია“ (ჩვენ ასე ვუნოდეთ, რაზედაც ბევრი იცინა) 28 წლის განმავლობაში გულაგის სისტემაში იყო. ერთხელ, სიკვდილით დასჯაც პქონდა მისჯილი. ეს უტეხელი და საოცარი ნებისყოფის ქალი, უნივერსალურად განათლებული და მშვენიერი პუბლიცისტი იყო. დიდი პოლიტიკოსი და მკაცრი მსაჯული და უმკაცრესი კონსპირატორი, მრწამსით ათეისტი და სოციალ-დემოკრატი... მხოლოდ ამ ბოლო საკითხებზე ვერ ვენყობოდით ერთმანეთს. ხშირად გვიკამათია კიდევ. ბოლოს შევთანხმდით აღარ „გვეჩხუბა“ მე სოციალ-დემოკრატიას აღარ ვუგინებდი, ის კი რელიგიას აღარ მეეხებოდა...

დეიდა ლიზიკო 5-6 წლის ასაკიდან მზრდიდა. ჩვენ მეზობლები ვიყავით და დედაჩემმა სთხოვა ქ-ნ ლიზიკოს ჩემი რუსულში მომზადება. რუსული როგორ ვისწავლე ვერ გეტყვით, მაგრამ 15 წლის ასაკში პოლიტიკის საფუძვლებს რომ დავეუფლე, ეს ფაქტია. 16-17 წლის ბიჭი, მრავალთა თქმით, უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი ვიყავი. თან უკვე მქონდა პოლიტიკურ პროგნოზებში პირველი ცდები, ამას დიდ ყურადღებას უთმობდა ლიზიკო დეიდა. ლიზიკო ქავთარაძე იმდენად დიდი ავტორიტეტი იყო ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის), რომ დღესაც კი, როდესაც რაიმე ნაბიჯს ვდგამ, ყოველთვის ვფიქრობ, რა შეფასებას მისცემდა ამას ლიზიკო დეიდა. იატაკქვეშეთში აღდგენილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც პირველად ლიზიკო დეიდას, ჩვენს დიდ მასწავლებელს, დავალოცვინეთ. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, მისი გონება სრული დატვირთვით მუშაობდა. ამ გონებას კი ბევრი საფრთხის თავიდან აცილება შეეძლო ჩვენი სამშობლოსათვის.

გია ჭანტურია

მოგონებები

* * *

ესეი

* * *

მოთხრობები

* * *

წერილები

ქვეყანა დაკარგული საფლავებისა

სწრაფად მიდიოდა მატარებელი ჩრდილოეთისაკენ და გათო-
შილი ჩემი ფიქრები, წეროებივით ჩამწკრივებულნი, თბილი ქვეყნი-
საკენ მიისწრაფოდნენ...

საქართველოში კომეტას კუდიან ვარსკვლავს უწოდებდნენ
და ბავშვობაში ასე მეგონა, რომ მართლაც კუდი ჰქონდა კომეტას,
ნამდვილი კუდი, მოსაქნევად გამზადებული ბასრი, ბოროტი,
შხამიანი... მას შეუძლია გაბზაროს ზეცა, დაგესლოს მინა, ყველა
მცენარის, ყველა სულდგმულის ძირი გაახმოს.

ჩვენი ცა ისე მშვიდია, ისე ლაჟვარდი, მისი მზე უზომოდ
უსაყვარლესი „მზე შინა და მზე გარეთა, მზე შინ შემოდო“...
ჩვენ გვჯერა ზეცის, დილის მაცნეს ცისკარს ვუწოდებთ, ხოლო
ზღაპრის „ცისკარას“ გმირს ხალხისათვის წყლის მძიებელს. აქ
მნათობები ამღერებდნენ შოთა რუსთაველს, ქალებს არქმევდნენ
მზიას, მზიულას, მზისას, მზექალას, მარეხს, მთვარისას... და, აი,
ცაზე გამოჩნდებოდა უცხო კომეტა, გესლიანი კუდით დამუქრე-
ბული. მისი შიშით იძინებდნენ და იღვიძებდნენ საქართველოში.

ყველაფერი გვაქვს. არც არავისი არაფერი გვეშურება. ოქროს
სანძმისის წარსატაცად არსად წავსულვართ.

ბევრი არნივი აგვიფრენია, მაგრამ ჩალისფერ დროშას არ
ვაკადრებდით ორთავე არნივს, ან ერთთავიანს. ლომებივით ბრძო-
ლა ვიცოდით, მაგრამ დროშაზე არც ლომი აღგვიბეჭდია...

ერთადერთ დროშად მიგვიჩნევია შუბიანი თეთრი გიორგი,
თეთრ ცხენზე ამხედრებული, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ურჩხ-
ულთან შერკინებული. შემთხვევითია ეს ემბლემა ჩვენს ქვეყანაში?
მაგრამ უხსოვარი დროიდან ასე მღეროდა საქართველოში ხალხი
„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“

ზღაპარში დევებს დედები არა ჰყოლიათ. არ ვიმეტებდით სა-
შოს დედისას ბოროტების წარმოსაშობად. არც ქრონოსი გვყავს
ძველ საღმრთოში, გააფთრებული რომ ნადირობდა თავის შვილე-
ბზე ურანის ხედრით დაეჭვებული.

ზეცის მკვიდრთაგან შემოვიჩინეთ, ერთი დავტოვეთ საშ-
ვილიშვილოდ და, თუ ესქილემ შემოგვაპარა, რომ შეურიგდა პრო-
მეთეოსი ოლიმპიელებს, დღესაც კორტნიან ყვავ-ყორნები ამი-
რანის გულს, ჯაჭვებს გულდასმით ლოკავს გოშია... და სჯერა
ყველას ხუნდებს აიყრის დასჯილი ღმერთი... არა სიკვდილით
სიცოცხლის მიმნიჭებელი, არამედ დღესაც ცოცხალი, სიცოცხ-
ლით სიცოცხლის დამთრგუნველი, არა მოთმენის, მორჩილების,

თეინიერების ღმერთი, დევგმირი, ბოროტებასთან მებრძოლი ურჩი, უტეხი, როგორც ძელქვა, რომლის სამშობლოც მინა ჩვენი (თუ არადა, მაინც ნათლია მისი).

ასეთია ღვთისმორწმუნება ამირანისა და თეთრი გიორგის სამფლობელოში. ყველა კუთხეში, ყველა ტაძარში, მთაშიც და ბარშიც წინ მიგვიძლოდა წმინდა გიორგი. დღესაც ხატია სალოცავი, დღესაც დროშაა ამაღლებული, წმინდათაწმინდად შენახული ქართველთა გულის საკურთხეველში.

რად ეძიებდნენ ძველი ბერძნები ოქროს სანძისს საქართველოში? განა მისხლობით ნყალში ნაცხრილავი ქვიშის სანაცვლოდ სანძისზე რომ გროვდებოდა, სხვაგან არ იყო ოქროთი უხვი, ხელმისაწვდომი საბადოები?! და, თუ სიმდიდრე არა, აქ რა სიკეთე ეგულებოდათ?! ელადა თვითონ ედემი იყო, ფასდაუდებელი მარგალიტი, პოსეიდონისაგან გამეტებული და ზღვის ფსკერიდან ნაპირზე გადმოტყორცნილი. მაშ, ტაციტუსი რად ირწმუნება, რომ იაზონი კვლავ დაუბრუნდა კოლხეთის მიწას?! ხომ წარიტაცა ოქროს სანძისი, მედეამ შვილები მოკლა და რალა ჰქონდა საძიებელი?!

ან მედეა, დიდი ვნებების ზვიადი ქალი, შავი ზღვის სუნთქვით რომ დამუხტულა, რომელიც თურმე მკურნალიც იყო, ბალახის ძებნას არ იშურებდა. მაშ, სათნო და ქველი ყოფილა ამპარტავანი მუფის ასული! გრძნეულიც ყოფილა. მაშ, ბრძენი ყოფილა, სწავლული, ღმერთთა რჩეული და მათი მესაიდუმლე. რისთვისღა გასწირეს ეგზომ მდიდარი, დიდსულოვანი, ეგზომ უმსგავსო ქმედობისათვის? ხომ არ ეშინოდათ ძველ ბერძნებს... ხომ არ აშინებდნენ თავიანთ შვილებს, რომელთაც ანდამატივით იზიდავდა ჩვენი ქვეყანა?

უსამართლოა ეს იერიშები? მაგრამ საბერძნეთის სიყვარულს არავის დაევუთმობ. მიყვარს ელადა, მიყვარს ოლიმპიც! იქ არ წყდება ფარული და აშკარა ბრძოლა, უსასტიკესი და უმძაფრესი. ლალად, თამაზად, მსუბუქად დანავარდობდნენ მხიარული ოლიმპიელნი სიცოცხლით სავსენი, ხორცძარღვიანნი, ყველა მინიერი ვნებებისათვის ხელმისაწვდომნი, რადგან მათთვის „არაფერი ადამიანური არ იყო უცხო“ ტროას კედლებთან ჰომეროსმა მთელი ოლიმპი ჩამოიყვანა. იქით მიჰქროდნენ და გამშაგებით დათარეშობდნენ მღვები ღმერთები, ბრძოლით მთვრალეები, ქიშპით და მეტოქეობით გახელებულნი, დაუნდობელი ნამქეზებლები... და მაინც მახსოვს

მოძალადეებმა უბილწესი ბოროტება თავს მოახვიეს მედეას, რათა დაეფარათ საკუთარი დანაშაული ერის საუნჯის სანძისის გატაცებისა...

კოქჩეტავის აეროდრომზე დაგვიანებული თვითმფრინავის

მომლოდინეთა ტკბილ საუბარში ვილაცამ საქართველო ახსენა. თითქოს სანატრელი რამ გაიგონა, სახე გაუბრწყინდა ჩვენს ერთ-ერთ თანამგზავრს:

წარმოშობით ოსი გახლავართ, ჩრდილო ოსეთიდან, პაპა პაპიდან ალმაატაში დასახლებული, გვითხრა მან, ჩვენს ოჯახში დღესაც ინახება ვერცხლის აზარფეშა, რომელიც თავისი ხელით მეფე ერეკლეს უბოძებია ჩემი წინაპარისათვის. პაპისაგან გამიგონია საქართველო ღვთის ნალკოტია და ქართველები ღვთის შვილებიო.

ცრემლები წამომცვივდა. ალელვებული მგზავრი ჩემკენ გამოეშურა რამ შეგანუხათო, მეკითხებოდა. ცრემლების უცაბედობით შეცბუნებულმა ავუხსენი, რომ ქართველი ვარ. ის დაიხარა და გულათრთოლებული მონინებით ხელზე მაკოცა, თითქოს ქართველობა საქმარისი საბუთი იყო მოკრძალებული პატივისცემისათვის...

მაშ, რად ეძიებდნენ ოქროს სანმისს საქართველოში? მაშ, რად რჩებოდნენ, გვეთვისებოდნენ?! მეზობელ ერებს მეტწილად ერთმანეთი სძულთ.

ბევრჯერ მსმენია ქართველი ხალხის სილამაზის ხოტბა-დიდება. ნუთუ მხოლოდ ნაკეთების პროპორციები, ხორციელი სინატიფე ხიბლავს მის მჭვრეტელს?! ალბათ, არის კიდევ რაღაც ემხი, მიმზიდველობა, ხიბლი.

ძვირფასი ნაკეთობა-ნახელავისათვის ჩვენ ჩინებული გვინოდებია, რადგან ვიცოდით ფასი იმისა, თუ რა შეუძლია შექმნას ჩინელის დიდი ოსტატობის, მგრძნობიარე სათუთმა თითებმა.

არც ის იქნება მცდარი და შემთხვევითი, რომ ინდოელნი სილამაზის პირობით ცნებად სიტყვა „ქართულს“ ხმარობენ, მაგრამ ინდოეთის ეთიკის და ესთეტიკის შემეცნება, მთლიანად ინდური მსოფლშეგრძნება და მსოფლგაგება ისე ზედმინვენით სპირიტუალურია, რომ მხოლოდ ხორციელი სილამაზე ვერ დაამკვიდრებდა მათ ლექსიკაში ასეთ სინონიმურ თქმას.

მახსოვს მზიანი დღეები. რუსთაველის გამზირზე ჩვენი ქვეყნის შვილები გამოეფინებოდნენ. თვალი გიჭრელდებოდა. აღარ იცოდი, რომელი ერთის მზერით დამტკბარნიყავი.

ოლიმპიელის ძალმოსილებით გრიგოლი პროსპექტს შემოუვლიდა. იტყოდი: შუბლზე რომელმა ღმერთმა გადაგისვა ხელი, ნეტავ რამდენი საუკუნე იყო საჭირო, რომ ასეთი „რჩეული ფერის“ წარმოშობა შესაძლებელი გამხდარიყო?..

გამოჩნდებოდა პაოლო და იფიქრებდი ალბათ, ეს-ეს არის

დასცილდა ღმერთი დიონისეს და მოგვიტანა სიცოცხლის ლხენა-ხალისის ზემთაგონება, გზნება ისეთი, რომლის ღირსადაც ყველა მომაკვდავს ღმერთი არა თვლის.

ტიციანი მძიმე ნაბიჯით ნამოვიდოდა, უფრო ბოჩოლასავით ჯიქურ. აი, ისე, როცა არ იცი, რომ ცეცხლი მწველია. ირწმუნებოდა „საკუთარ ძმასაც ველარ გავუმხელ, რაც ჩაიკრულა გულში ბალღამი“... და იქვე სულ გულუბრყვილოდ ასე გოდებდა:

„სული დააღპეს და მერე მძორი...
მძორიც ძერებმა გამოათავეს,
ასე უჭირდა, ალბათ, ამირანს,
რომ დაუღენეს ჩვენსავით მკერდი“

გალაკტიონი გრძნეული კრძალვით სიღრმეში იმალებოდა. ერიდებოდა, რომ ფარულად ეოლის ქნარი გულში ჩაუდგამს და სიმებად მთვარის სხივები შეულოცია. მე კი ორთავეს სულგანაბ-ული შეეჩერებოდი. მაოცებდა შიშველი გულის ალაღბავშვური მი-ამიტობის გამოსხივება (რატომ და ვისგან, არ ვიცი, მაგრამ დაცვა გინდოდა მათი).

კონსტანტინე გამსახურდია თუ დამინახავს, მომჩვენებია ასხლეტილი კლდის მწვერვალზე ორბია შემომგდარი, თავს რომ მედიდურად აქეთ-იქით ნელ-ნელა ამოძრავებს და ამაყი მზერით სერავს სივრცეებს... ან ახმეტელი, ან მიქელაძე, ან ნატო ჩვენი. რომელი ერთი უნდა ვახსენო...

ამბობენ, მიქელანჯელო გონჯი ყოფილა. ეს სიცრუეა, მკრეხ-ელობაა! მრუდე თვალს დაუნახავს! „საიდუმლო სერობის“ დროს ლეონარდო და ვინჩი იესოს და იუდას აპირისპირებს, როგორც სი-ლამაზეს და სიმახინჯეს. აპოლონი მახინჯად არავის გამოუსახავს. ნექტარი და ამბროსია უმშვენიერეს სარწყულს მოითხოვს.

კრიალოსანივით მარცვლავდა მარგარიტა რომელიღაცა გოგ-ონას თითებს და, თითქოს მირონ-ზიარება მიეღოს, სახენათელი თავისთვის ჩურჩულებდა: „რა ხელებია, რა თითებია!..“ მას ბესიკი არ წაეკითხა და ვინ მიაჩნა ასეთი ტკობის ტალანტი?! დიდი ტა-ლანტი! სოფელში ხელებს გარჯით თუ მოიწონებენ. ფართოდ გახ-ელილი თვალებით ენაფებოდა იგი ქვეყნის მშვენიერებას და თვი-თონაც გამოსცემდა მის ჟღერადობას.

პასტერნაკი და ბევრი სხვაც ამბობს, რომ ქართველები პოეტ-ებად იბადებიან. უცხოელს აჯადოებს და ამეტყველებს ჩვენი ქვეყ-ნის სილამაზე, მით უფრო, მის ნიაღში დაბადებული გულგრილი

ვერ დარჩებოდა. ამას ბუნება არ დაუშვებდა. თავის შვილებს მან თვით ჩაუდგა მემბრანასავეთ მგრძნობიარე გული, რომ უქმად არ შეენილიყო სწორუბოვარი მისი მშვენება.

დიდი გლოვა, დიდი ზარი იცის ქართველმა ხალხმა, მაგრამ ჭირი და ბოღმა არ აძაბუნებს, არ ანადგურებს მას სულიერად. გლოვაც სიცოცხლის წყაროდ იქცევა და პოეზიად გადმოდინდება.

ზემო სვანეთში, მესტიის ახლოს, არის სოფელი ლატალი. იქ ფალიანები სახლობენ. კოტე გოცირიძეს, პროფესიით გეოლოგს, ხალხური თქმულება-ზღაპრები უყვარებია. ტყის სანყობის დარაჯს, გრიგოლ ფალიანს, მისთვის უამბნია, როგორ გაჩნდა ჭიანური საქართველოში როდესაც დოტო მექმურზა ომში წასულა, ზონარზე გამობმული ლილაკი, სვანები ქუდზე რომ იკეთებენ, ცოლისათვის გადაუცია და ასე დაუბარებია:

თუ ვაჟი გეყოლოს, დოტო დაარქვი და ეს ლილაკი გულზე აუბი!

ლეგენდა ამბობს, რომ მექმურზას ომში დიდი სახელი მოუხვეჭავს და ფალავანიც გამხდარა. მეფე დოტოს არ იშორებდა, ხან ომში მიჰყავდა, ხანაც – საფალავნოდ. ამასობაში მისი ვაჟიშვილი წამოზრდილა. თექვსმეტი წლის ჭაბუკს მამა მოუკითხავს. დედას გზა უსწავლებია.

ისე მომხდარა, რომ შეხვედრისას პატარა დოტოს განთქმული ფალავანი დაუმარცხებია. დიდი დოტო აღტყინებულა და, როდესაც სამაგიერო ასპარეზობაში ჭაბუკი არ გაჰყოლია, შეურაცხყოფილ ფალავანს მისთვის გულში ხანჯალი ჩაურტყამს. მომაკვდავისათვის მკერდზე საკინძე შეუხსნიათ. მამას ლილაკი უცვნია.

ორმო გაუთხრია დოტოს და იქ გარიყულა. გლოვობდა და გლოვობდა თავის პირმშოს, რომლის ნემტი, მკლავზე გადასვენებული თან ჩაუტანია... დრო მიდიოდა. გვამს ხორცი ჩამოეშალა. მამას ძვლები შეუკრავს, მისივე ოქროს თმა სიმებად გადაუჭიმავს და მწუხარება შვილის მოკვლისა საკრავზე აუხშიანებია.

მკვდრეთის ქვეყანას სიცოცხლემ არ დაუტოვა ნადავლი. დავიწყების არარაობიდან უკვდავებაში გადაიყვანა, ცოდვა-ბოროტება სიკეთედ გადააქცია, მჭმუნვარე სულის ნაჟური პოეზიად და სილამაზედ. სიკეთე სილამაზისაკენ მიილტვის, სილამაზე სიკეთისაკენ და ორთა შერწყმული ძალა მარადიული სიცოცხლის გამოვლინება არის მისი გვირგვინი, მადლი, ხალისი და გახარება.

ეს უქმი თქმანი როდია. შოპენჰაუერს ქართული მინა ვერ გამოზრდიდა, ვერც დოსტოვესკის, ლმერთის (სიკეთის) დიდ მამ-

იბელს. ჭარბად უხვია სიკეთე ირგვლივ, ყველაფერი და ყოველივე მისი ნათელით გაჟღენთილია. ამ სიკეთეს და სილამაზეს აირეკლავს ჩვენი გული და სული, სიტყვა და საქმე. თავისი ბუნების შვილია ქართველი ადამიანი.

სხვა რომ არაფერი, „ვეფხისტყაოსანი“, ეს უდრტვინველი მრწამსი სიკეთის, ლალი და ლაჟვარდოვანი, რომელსაც პირქუში ფანატიზმის, პედანტური რიტორიზმების, რისხვა-დასჯის ჯაჭვთა ნიშანწყალი არ გააჩნია, შოთას ქართველობის მონმობად დარჩებოდა საუკუნეებს.

ვუმზერ და ვუმზერ (ვეკვა „ქართულს“, ვტკბები კეთილშობილი მშვენიერებით და ჩუმად ვტირი... მინდა ვილოცო მაშინ... გული კაეშნიანი ბედნიერებით მევესება, რომ ბუნებამ ღირსმყო და ქართველად გამაჩინა...

ქართული ბალეტი მთლიანად აღებული სნორუპოვარი დიონისურია ყოფის მიმართ, დიახ, როკეით განფენილი გაიხარე-გამაზარე (კურსივი ჩემია). ასეთი ხალისი, ასეთი სიხარული, ასეთი ლხენა საუკუნეებში ტანჯული საქართველოს წიალიდან. არაა ეს საკვირველი? მართლაც რომ საკვირველია. ამას ამბობს ჩვენი დიდი მწერალი და ამბობს ქვეშარიტებას.

ბებიასაგან თქმულება გამიგონია თითქოს ერთხელ ჩვენს წინაპარს, ცხენით მიმავალს, უკან ეშმაკი შემოსჯდომია. გივის პირჯვარი გადაუსახავს და ეშმაკი ტყვედ უქცევია. ეშმაკი შეხვენია: „სიმდიდრეს მოგცემ, მინა-წყალს უხვად და ყოველივეს, რასაც მოისურვებ ამქვეყნიურსო“.

გივის ავსულთან საქმის დაჭერა არ უსურვებია. მიუყვანია სახლში „ეშმაკი“, ბუხართან დაუბამს და დაუხარკავს იგი მძიმე გარჯითა და ჯაფით. ერთხანს აჯიგლიგა თურმე უღელქვეშ, რომლის მერქანზე ნაკვერჩხლით ჯვარი ამოუნვაეს, მაგრამ შრომით ნაოფლარს „ეშმაკის“ სუნი თან აჰყოლია. მაშინ მიმხვდარა გივი, რომ ბოროტებას სიკეთეს ვერ უმსახურებ, რომ კეთილ მიზანს გზაც კეთილი უნდა ჰქონდეს და ეშმაკი აუხსნია... მხოლოდ ერთი პირობა დაუდევით და ამის შემდეგ მის ფრჩხილსა და თმაში საოცარი ძალა ჩამდგარა ცეცხლზე დამწვარი თმა-ფრჩხილის ფერფლითა და ოხშივრით ინკურნებოდა ავზნიანი, ჭკუაზე შემცდარი, „უხსენებლით“ შეპყრობილი ადამიანი. როგორც ეს საგვარეულო თქმულება ირწმუნება, ასეთი უნარი გივის მოდგმის ქავთარაძეებს სამემკვიდრეოდ მინიჭებიათ თურმე.

რატომ აუშვა გივიმ ეშმაკი? ამით ხომ ბოროტებას სათარეშო გზები გაუხსნა? დიახ, ხალხის სიბრძნემ მხოლოდ ერთი რამ ძალა

დაუტოვა გივის: *ძალა ეშმაკის დაძლევისა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ავსული მთლიანად დაეუფლება, დააბრმავებს ადამიანის ცნობიერებას, წაართმევს ნების თავისუფლებას, მოუსპობს არჩევანის, შინაგანი დაძლევისა და თვითსრულყოფის უნარს, ამ შესანიშნავ ნიჭიერებას, რომლითაც ადამიანი ადამიანობს და განირჩევა ყველა ცხოველისაგან.*

საოცარია ამ ლეგენდის დაბოლოება, მაგრამ რაღა უნდა გვაოცებდეს ჩვენ, ხალხის მაღალი ზნეობისა და სიბრძნის მარგალიტებით სავსე საუნჯის პატრონს?!

განა საკვირველი არ არის „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“. აქ ადამიანური უზენაესი სიკეთის ირაციონალური განფენილობა სადღაც შორს მიდის და მას იქით უკვე აღარაფერი არ შეიძლება იყოს:

„წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა,
იქნება, ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სჭირისა“...

მაშ, რა არის ჩვენი სილამაზე?! ქართველი ქალის ქველობა, კდემა ნატიფი, თამარი და ქეთევანი, რომელთა წინაშე ლოცვას თუ გაბედავ, თაყვანისცემას... ან ქართველი კაცის ვაჟკაცობა, ამონვდილი ხმალივით შემართული, ან დარბაისლობა, ზვიადი ღირსება ისეთი, თავს რომ დაგახრევიანებს, ხან სიცოცხლის ელვარება გრიგალივით ამოვარდნილი, ხან ბაღის მსგავსი სუფთა გულის მიაშიტობა, უანგარო, ხელგაშლილი თავდავიწყების სიკეთე, ეს საოცარი „გაიხარე გამახარე“... ხან ერთი, ხან მეორე, ყოველივე თავისებურად შედუღებული. აი, რას გამოასხივებს ნაკვთების ხორციელი სილამაზე ქართველი ადამიანისა!

არც შეიძლება იყოს სხვანაირად. ჩვენი ფესვები ისტორიის სიღრმე-უკუნეთში ისე წასულა და ჩამალულა, რომ ვერც მიგვიგნია:

„და თრთოდნენ,
თრთოდნენ ნაცრად ქცეული
ფესვები ჩვენი ათასწლეული,
ქცეული ნაცრად, ქცეული ფერფლად“

ასეა! ქართველი ხალხი ერთი იმ პირველთაგანია, ტყე რომ დატოვა და ადამიანის მძიმე გზას შეუდგა. და, როგორც ძველი მონეტა თვითონ ამცნობს ნუმიზმატს თავის ასაკს, ასევე ათარილებს

ქართველობას შორეული გზების მონაგარი, გულში ჩალექილი სიძველის განძი ათასწლობით ნანახები ადამიანობა. ჭირსა და ლხინში ნანართობი სულის ელვარება და ვრცეულობა.

„თვალი პატიოსანი“ ამის მთქმელმა იცოდა, რომ პატიოსნება უძვირფასესია და უძვირფასესი არ შეიძლება იყოს არაპატიოსანი.

კვლავ მინდა მოვიგონო ოტია მესხის ნათქვამი:

„ჯორზე იმიტომ ვზივარ, რომ, თუ მტერი დამესხა, ვერ გავიქცევი და, თუ გამექცა, ვერ დავენევი“.

ვგონებ, არც ეს საოცარი თქმა საჭიროებს კომენტარებს. დღეს ამ ხალხურად უბრალო და ხალხურად ბრძნული ფორმულის საფუძველზე წარმოშობილია მრავალი ყრილობა, კონფერენცია, საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის ერთა გაერთიანების, საერთაშორისო სამართლის დებულებები, კონვენციები, ხელშეკრულებები.

და კიდევ ერთი ქართველს არ დასჭირვებია ადამიანის აღმოჩენა. ჩვენი სოფლის წყაროს თავზე, სიონის ზარებივით რეკდა და გუგუნებდა ეს სიმღერა, დღეს რატომღაც მივიწყებული:

„რა ვუყოთ, რომ შავი ვარ, დამწვარი ვარ მზისაგან,
მეც ხომ ადამიანი ვარ, გაჩენილი ღვთისაგან“...

ასეთია თვითშეგნების მაღალი დონე ჩვენი ხალხისა, დიდი ღირსების განცხადება, „ადამიანის უფლებების“ ხალხისეული დეკლარაცია, ღვთაებრივი წარმოშობისა და უზენაესობის თვითშემეცნება.

საშუალო საუკუნეების წყვილადს არ იცნობდა ჩვენი ქვეყანა. „დიდი ღამე“ შორიდან შემოჭრილ კუდიან ვარსკვლავებს მოჰქონდათ მხოლოდ... მისი შიშით იძინებდნენ და იღვიძებდნენ საქართველოში...

რუსთაველი ადრიანი რენესანსის ზღუდეებში ვერ ჩაეტევა. „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ხასიათის, ზნეობის, აზროვნების, მსოფლმეგრძნობისა და გაგების ხვაშიაღია. სიღრმით, სიგანით იგი არის ქართული სულის ემანაცია, ხალხის ეროვნული სულის არსი, მისი სუბსტრატი.

დიახ, არსებობს ეროვნული სულის, მეობის ყალიბი. ამის უარყოფა არ შეიძლება (პირობითად). „ეროვნული სული“ ბუნების, გეოგრაფიისა და ისტორიის ბედ-იღბლითაა გამოტვიფრული და ამის უარყოფა, ვიმეორებ, არ შეიძლება ისევე, როგორც ვერ

უარყოფ ეროვნული კულტურისა და ენათა სხვაობის ფენომენებს. *ერს ნირი არ შეეცვლება, ვერ გადააჯიშებ, მხოლოდ დაასახიჩრებ, წარყვნი და გაათახსირებ.* ბულბულს ბელურად ვერ გადააქცევ-
ლამურა დღის სინათლეს ვერ ეჩვენება.

ახალს, საკაცობრიოს ერი საკუთარი მეობით აღიქვამს, ეროვნულ ბრძმედში გადაადულებს, საყოველთაოს განსხვავებულად მოირგებს, თავისთავადი დარჩება.

„ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი არსია და უმტკიცესად ჩაიკრული ჩვენი ეროვნული ბალავარი. სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსანს“ თვით ხალხი დაეპატრონა ან და მარადის!!! „ღვთაებრივ კომედიას“ გააქრობდი და იტალიელი ხალხი ვერც გაიგებდა. „ჰნაბეტ სუა ფატა ლიბელი“ ნიგნს თავისი ბედი გააჩნია. შოთა რუსთაველი და მისი ქმნილება მხოლოდ და მხოლოდ თავისი ქვეყნის ბედს იზიარებს.

უტკბესია სიცოცხლე. მას თავდავიწყებით ეტრფის ქართველი, ამიტომაც ცისკროვანია ლხენა ქართულ სუფრაზე, ზარდამცემია ჩვენი გლოვა სიკვდილის კარზე, მაგრამ სიცოცხლეზე მეტად უფრო ძლიერ სხვა რაღაც გვიყვარს თვით სიცოცხლეში.

„ბატონიშვილ ალექსანდრეს ეკუთვნის პატივი პირველს ჩაედგა ქვა რუსეთის საარტილერიო მეცნიერების საძირკვლისათვის“... შვედებმა მის საფასურად ათი ტონა ოქრო მოითხოვეს. საკითხის გადაჭრა პეტრე დიდმა მასვე მიანდო, მას დააკისრა (?). საპასუხო ბარათით ალექსანდრე ბატონიშვილი საუკუნეებს დაემგზავრა:

-- არათუ ენით ვიტყოდი, აზრადაც ვერ გავივლებდი, რომ ჩემს გამოსახსნელად სახელმწიფოსთვის ასეთი ზარალი მიმეყენებინა...

ათი წლის შემდეგ ტყვეობისა სტოქჰოლმიდან ალექსანდრეს ნეშტი მისმა ლალამ მოსკოვს ჩამოასვენა...

შენგრაბენის ოპერაციისათვის სასიკვდილოდ განწირულმა პეტრე ბაგრატიონმა იქ სამხედრო სასწაული მოახდინა. რუსი ხალხის პირველი სამამულო ომის გმირი ზამბარასავით აისხლიტა, როდესაც მოსკოვის ბედი გაიგო. ეს რეფლექსური წამოვარდნა გულის უკანასკნელ ფეთქვად გადაიქცა მისთვის.

-- ფელდმარშალი სერჟანტზე არ გაიცვლება! გადასძახა საუკუნეებს რუსი ხალხის მეორე სამამულო ომის ტიტანმა და, ვიდრე მზე არ ჩაქრება, ამ სიტყვების ზეადამიანური ძალა არ შესუსტდება. ფანატიკური გაბოროტებით ბევრს დაუსრულდა გოლგოთის გზები და, როცა ჯერი დაუდგა, გამოგვეცხადა გოლგოთის თხემზე და მისი მზერა კვლავ ადამიანთა ხედის იქით გადადიოდა...

„Мы лишь песчинки мироздания
И больше не встретимся с тобой“

არშეხვედრის ავბედითობა კარგად იცოდა, მაგრამ ამ უკუნეთის პირისპირ, გვერდიგვერდ უდგნენ მილიონები და რჩეულის ხედერი ზვიადი ზიზლით მან კენჭით გადაისროლა.

ქართველი გმირების პანთეონის შემოსავლელად მე არც დრო და არც ძალა მყოფნის. მის შუაგულში ერთი პატარა ბორცვია მოკლე სახელით „პაატა“... და არაეინ ჰკითხა ღმერთს, თუ რად დაუჯდა, რა იყო მისთვის ის ერთი ღამე, ღამე „გეთსემანიისა“ მაგრამ ღმერთი ხომ ღმერთი იყო და არა ადამიანი!..

მწვავე შეტევის შემდეგ მამაჩემი მის მეგობარს სამსახურიდან ხელმკლავით მოჰყავდა. მძიმედ, სვენებ-სვენებით მოაბიჯებდნენ. ტროტუარის მოპირდაპირე მხარეს პატარა ბიჭუნას მასზე უფროსი ცემდა და ატირებდა. მამას ჯერ შეუძახია, მერე სულმოუთქმელად მათთან მიჭრილა და ბიჭუნა დამჯაბნავისაგან გამოუხსნია. გულმოსულ სვიმონს საყვედური უთქვამს თუ ავადა ხარ, ასეთ რბენას და დავიდარაბას როგორ ახერხებო. დარცხვენილ მამას ხმა არ ამოუღია. სახლში მოვიდა. არ უსადილია. ერთი საათის შემდეგ მისი ცხედარი საწოლზე იყო დასვენებული... (ეს ამბავი გადმოცემულია აბსოლუტური სიზუსტით, სიმონის მონაყოლის ჩართვით).

კი მაგრამ, ამით რას მიაღწია, რა გააკეთა, რა დაგვიტოვა?!

მხრებს აიჩეჩავს ჭარბად „ჭკვიანი“ რაციონალისტი. ასეა განა?! მამ, სად არის აბურძგნული, ჯაგარაფხორილი ნადირი?! სად არის ძირფესვეული ინსტიქტი, ტყიდან წამოღებული ბრდღვინვა პირველი, საკუთარი თავის გადარჩენისა?!

ანგარიშმიუცემელი, რაციოს მიღმა, კალკულირების მიღმა, ანონ-დანონის, თავგამოდების, თავგამეტების მძლავრი იმპულსი, აი, ყივილი უპირველესი, კიდიდან კიდემდე გადაძახილი (ამას ცოტნეს იმპულსი უნდა ეწოდოს)!!! რადგან სუნთქვაზე უფრო, ყოფაზე უფრო უმძლავრესია ის, რაც არსებობას სიცოცხლედ აქცევს, რადგან ეს არის ორფეხა ცხოველში გამარჯვებული ადამიანი, რადგან ეს არის ბე-სანინდარი დედამიწაზე „ალთქმული ქვეყნის“ დამკვიდრებისა, რადგან ეს არის არსი და აზრი სიცოცხლის უკვდავებისა..

შეავლეთ თვალი საქართველოს სისხლიან ნარსულს და გადარჩენა სასწაულად მოგეჩვენებათ. მტერს იგი ერთ ლუკმად არ ეყოფოდა. მაგრამ ურთიერთის ღრენა-კბენას, ყელის გამოლადვრას

დამპყრობლები ვერ ელეოდნენ, ამით ციციქნა ერს სულის მოთქმის შესაძლებლობა ეძლეოდა, მაგრამ, თუ გარე ქვეყნის რყევადობა, ძალთა თამაში გადარჩენის ძირითადი ფაქტორი იყო, მხოლოდ იგი რას იკმარებდა, ეროვნული გამძლეობის შინაგანი კატალიზატორიც რომ არ ჰქონოდა.

„ჭირთა თმენანი“ თუ საბოლოოდ არ აძაბუნებს ხალხს, ძირს არ მოუთხრის, გამობრძმედავს, გააკაჟებს, თავდაცვის ალლო-გუმანს მჭრელი აღმასივით გამოცდის. საქართველომ მეორე ხედრი ირგუნა: ბასრი მახვილი ხელს შეუხორცა, ასზე ერთი მიუშვა, კომუფლიაჟის მრავალი ხერხი ისწავლა, ათასი თვალი, ათასი ყური გამოიბა. რაც გააჩნდა, გააჩნდა, რაც არა შემოიგროვა, შემოიმტკიცა და ყოფნა-არყოფნის ბედი დასძლია. მოძალადეთა მძვინვარების მიუხედავად, და იქნებ სწორედ ამიტომ, ქართველმა ხალხმა საკუთარი სახე შეინარჩუნა და დღევანდელ დღემდე მოიტანა. ძალადობის აღმოუფხვრელი სიძულვილი, თავისუფლების აღმოუფხვრელი სიყვარული, ადათ-ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი, აღქმა და რეაქცია უსწრაფესი, სიტყვა და ბგერა, ლექსი, სიმღერა ყველგან: გლოვისას, ლხინში, ბრძოლასა და შრომაში, უკვდავი ქვების მეტყველებაში... არა მარტო ნაცად თვალს, ფხიზელ გადამთიელსაც ქართული სხვაში არ აერევა.

საკაცობრიო მაგისტრალეებში ჩვენ გაგვაჩნია ჩაუკარგავი ჩეენი ბილიკი.

შუქი უჩრდილოდ არ არსებობს და ჩრდილიც არ არის შუქის გარეშე. ამდენი ჭირ-ვარამის ამტან ხალხსაც განა თუ კარგი და ნათელი დაემკვიდრებოდა მხოლოდ?! მაგრამ ისიცაა, რომ მშობლიურად ძვირფასი სხვას ეუცხოება, შეურყეველს ვერ ერყვევა, უნებურად ითვალისწინებს, კიცხავს და გმობს. ჩვენ კი, რაცა გვაქვს, ისა გვაქვს. არავის ვეძალებით, ცუდიც ჩვენი ასატანია, მადლიც ჩვენი სიხარულია.

მაღელვებს, მონინებული აღფრთოვანებით ვიმსჭვალეები იმის გამო, რომ ჩვენი ხალხი მტრობა-შუღლით ნაგვემი, რელიგიური და ნაციონალური ფანატიზმით დასახიჩრებული ქვეყნების გარემოცვაში სასწაულებრივად ინარჩუნებს ამაღლებულ, ნათელი სიბრძნით აღსავსე ეროვნულ და სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას. უფრო მეტიც ზეეროვნულ, ზესარწმუნოებრივ ადამიანობას. დიახ! უზენაეს ადამიანობას!!!

„წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა, იქნება, ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა“...

ომ! დაგელოცოს, ჩემო ქვეყანავ, შენი გზა, შენი ნადილი!

რელიგიაც ხომ უფრო თავდაცვის დროშა იყო, ვიდრე ცეცხლი-თა და მახვილით მსახურება, აზრის მეტაფიზიკური მწვალებლობა, მისტიკური ჭვრეტის ბინდ-ბუნდები და ასე შემდეგ. თვით ჩვენი ეკლესიაც თავიდანვე ცეცხლის ხაზზე იყო გამოსული, უმაგალითო მსხვერპლის გაღებით იგი გვერდში ედგა არაქათგამოცლილ ხალხს ბრძოლა-გადარჩენის საქმეში. იმავე დროს მას საოცრად დიდი წვლილი შეჰქონდა ეროვნული კულტურის საგანძურში და უფრო მეტიც ცნობიერად თუ შეუცნობლად, ეროვნული გამოძლეობის ერთ-ერთი კატალიზატორის როლი მან შეასრულა.

უნდოდათ თუ არ უნდოდათ სასულიერო ოლიგარქიის დიდ მოღვაწეებს, ორთოდოქსალური თეოლოგიის დოგმატიკების ხარჯზე ეკლესიამ ხელი შეუწყო რელიგიის თავისებურ ფორმირებას საქართველოში ისე და იმგვარად, როგორც ეს შეესაბამებოდა მეზობელი ხალხის სულისკვეთებას: ბოროტების წინააღმდეგობის, მორჩილება-მიღების იდეას (მიეც კეისარს კეისრისა, ნაგვემ მარცხენა ყვრიმალისათვის მარჯვენა მიაპყარო) ხალხმა ნაუყრუა. დიდი სიფრთხილითა და ტაქტით ხალხმა ჯვარცმულს წმინდა გიორგი გვერდში ამოუყენა, როგორც ბოროტების დამთრგუნელი (აქტიური, ქმედითი) ძალა. ფრთხილი გადანაცვლება მოხდა აგრეთვე მარადიული სიკეთის კონცეფციაშიც: მრისხანე, ცოდვა-მადლის განმკითხავი, ჯოჯოხეთ-სამოთხის გამრიგე ღმერთი შორს, მალლა დარჩა, მიუწვდომელში გადამალული. საქართველო ხალხმა ღვთისმშობლის წილად გამოაცხადა და კალთა მისი — მარად მფარველად.

რა თქმა უნდა, ორიგინალური აქ არაფერია. „მადონას“, „ნოტრ დამის“ კულტი საქრისტიანოში საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ ნიუანსს, აქცენტს ზოგჯერ მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე დებულების ძირეულ აზრს. შემწე, ქომაგი, ცოცხალი მოქმედების სიკეთე ხალხმა ღვთისმშობელში განასახიერა, რომელიც, სხვათა შორის, მონისტურ და იმავე დროს სამსახოვან საღმერთოში ღმერთადაც არ იყო ცნობილი.

თითქოს ასეთია „მადონას“ ცნებაც, მაგრამ, ვიმეორებ, ქართველმა ხალხმა სიკეთის ყოვლადშემძლეობა ღვთისმშობლის კალთით ირწმუნა და ამ რწმენას ხსნისა და გადარჩენის თავისთავადი ძალა მიაკუთვნა და, რაც უფრო საოცარია, ამ თავისთავად ძალას, ანუ სიკეთეს ენიჭებოდა არა მხოლოდ ზეციური ხსნისა და ანაზღაურების უფლებამოსილება, არამედ აქვე, ადამიანთა მიწაზე ხორცშესხმისა და გამარჯვების მძლეთამძლეობა.

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი იყო და მისი კალთის ქვეშ თავგანწირულად მებრძოლ ქვეყანას ბოროტება ვერ მოერეოდა. შესაძლოა, ასეთი გაგება იყო მისი ეროვნული მხნეობის ეკვივალენტური სახიერება და იმავდროულად მისი მხნეობის უძღლავრესი კატალიზატორიც.

ამრიგად, სამოთხე-ჯოჯობეთის, ანუ სიკეთე-ბოროტების ორი ურთიერთუარმყოფელი ძალის შემთავსებელი ღმერთის ცნება ხალხმა საოცარი გაბედულებით დაშალა, უარმყოფელი ელემენტებისაგან სრულიად განმინდა, გაასუფთავა და ეს არის ღმერთის, ანუ თეოლოგიური გაგების, ჭეშმარიტად რომ, უქმარისი სიკეთის აბსოლუტურ სიკეთემდე დაყვანისა თუ აყვანის საოცარი ფაქტი ჩვენი რელიგიური შემეცნებისა.

ცხოველმყოფელი, მარად ქმედითი, მინიერი სიკეთის ცნება გამოუმუშავდა საქართველოს, როგორც ეროვნული უბედობის მეზამრიდი, როგორც მიმიკრიული საფარი, შავბნელი გზების მოგვთა მნათობი. იგი შეუსისხლბორცდა ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას, მისი ეროვნული სულის კომპონენტად იქცა. სიკეთის ამ შეგნებით ზრდიდნენ ბავშვებს, უტევდნენ მტერს, აშენებდნენ განადგურებულ ქვეყანას და საშვილიშვილოდ უმტკიცესი რწმენის ამავე ანდერძს ტოვებდნენ.

შემთხვევითი არ არის, რომ ასეთი მრწამსი პეტრე იბერისა და რუსთაველის ფილოსოფიის ამოსავალ სანყისად იქცა. ვიმეორებ, პესიმიზმს საქართველოში გასავალი არ გააჩნდა. „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება“, უთქვამს ბარათაშვილს.

აი, ეს არის და ასეთია კალთის ლეგენდა საქართველოში და, ვფიქრობ, სადაც კი გასწვდა ჩვენი მარჯვენა, სამშობლოში თუ უცხოეთში, სიკეთის ნარუშლელი ანაბეჭდი დაგვიტოვებია. დე, პარადოქსად და მიკერძოებად ეს მსჯელობა ნუ ჩამეთვლება. არ მავინყდება არაკრევეი და მსგავსნი მისნი. ჯოჯობეთში ანგელოზები არ დაფრინავენ, ფრთების ნაცვლად იქ კლანჭები ეზრდებათ მხოლოდ. ისინი ჩვენს ნიადაგზე არ აღმოცენებულან და ჩვენი მინის შვილებად არც ითვლებიან. სოციალური გარემოს ურთულეს კომპლექსებსა და მის ისტორიას სუბიექტური ნება არა ქმნის. აქ უკუქცევითი პროცესებია, მაგრამ ამის შესახებ ლაპარაკი შორს ნავიყვანდა.

არა, მე არ ვაპირებ საპარადო ექსპოზიციებსა და სხვათა წინაშე სადღეგრძელოებს. მე ჩემი ოჯახის შვილებთან ტკბილი საუბარი მნადია. მსურს, გული აღვივსო სიხარულით და სიყვარუ-

ლით... ჯვარი მინდა ვახსენო საქართველოს გულმკერდზე ამოტვიფრული, როგორც ემბლემა ქართველობისა, ურომლისოდაც თვით საქართველოს ვერ წარმოიდგენ, ვერ გაიაზრებ.

თითქოს ბუნებას დიდების ტახტად თავისი ქედი მიურთმევია. ზეაზიდული, ამაღლებული მშვიდად დაგვეყურებს ჯვარი, როგორც სიკეთე სამარადისოდ დაფუძნებული. უმეტესად მისი სიმშვიდე მიყვარს. ეს საოცარი ჰარმონიის სიმშვიდე ბრძნული. უბინო გულისა და წმინდა ზრახვის, ნათელი აზრის, მარადი სწრაფვის ჯვარი ლოცვაა ცად აღვლენილი, ჯვარი სიკეთისა და სილამაზის აბსოლუტია..

ვახტანგ გორგასალს აქ მოესმა რეკვა. ჯვრიანი ხმლით და ნერაქვით შეუკრავს, შეუკრეფია ჩვენი ქვეყანა გოლიათს, აქ აღმოსხდა დავითის შეძრულ გულს „გალობანი სინანულისა“, მეფეთა მეფე თამარი ხალხს აქ წმინდანად უკურთხებია. აქ პეტრე იბერს თავისი ეტრათი გადაუშლია, აქ ეზიარა უკვდავებას შოთას გენია, აქ აუნყვიტა მერანს სადავე ბარათაშვილმა. აქ დაიმუხტა ვაჟას „ვედრება“, აქედან მოდის წინამურის გზა... ურმული ისმის, „მოყმისა და ვეფხის ლექსს“ ამბობს დიდი მთხრობელი, სისხლიანი გზებით ნავალი შეფიცულების დროშა გუგუნებს: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ სადღაც გამოკრთის ცეკვა „ქართული“, ნარნარი საგალობელი უზენაესი ადამიანობისა, უნატიფესი ვაჟაკობისა, გელათის ფრესკის უკვდავებისა.. რაღაც ჯადოსნური გზებით, რაღაც უხილავი ალით ცეკვა „ქართული“ ჯვართან მიგიყვანს და უკუქცევით ჯვარი როკვაში აღიმართება... როცა ჯვარს ვხედავ, გული სინათლით მევსება ვლოცავ ქვეყანას, რომელმაც ჩვენ გაგვარჩინა და კალთის მადლსა, რომელმაც გადაგვარჩინა.

თუ წინამურის ცას ცისარტყელა გადასერავდა, ნამოდგებოდა სისხლიანი შუბლით ერი უკვდავი... კვლავ გაისმოდა ურმული, ამწვანდებოდა მთა და ბარი, ამოდდიოდნენ ტაძრები... დიდი ყოფილა გულისთქმა და აღსრულების ძალა – უშრეტი.

ასე ყოფილა! ასე იქნება!!!

ერი აღმშენებელი! ამ სიტყვის დიდ სიმართლეს, მის დაუჯერებელ საკვირველებას იგრძნობს ის, ვისაც ჩვენი წარსული და ჩვენი ჯვარი უგრძნია. დიახ, ჯვარი უგრძენია უხრწნელი სიკეთის დიდი ტაძარი, რომელიც ქვეყნის შუაგულს, მაღალ კვარცხლბეკზე აღგვივლენია, როგორც ემბლემა ქართველობისა.

სადღაც მის ქვაზე სომეხს თავისი სახელი ამოუჭრია... ჭიანჭველასავით ირეოდნენ იქ მშენებლები, ბევრი სხვაც იქნებოდა

სომეხი, ქურთი, ბერძენი და ვინ მოსთვლის ვინ... მრავლად ყოფილან, ახლაც არიან მიკედლებულნი ჩვენს ქვეყანას უცხო შვილები. განა გული არ აუძგერა, არ დაუმუხტა მარჯვენა ყველა მშენებელს იმ დალოცვილმა, ვინც ქართული გზებით ჩაიფიქრა და ააგო სვეტიცხოველი?! ნუთუ კოცონზე შესაძლებელია ნაფოტი დაუნველი დარჩეს, ცეცხლის ალი მას არ მოედოს?! ის უცხო ვინმე ყოფილა. აღარც სომეხი იყო და აღარც ოსი. ის ბგერა იყო ქართული სულის მეტყველებისა. მზისკენ ყველა სულდგმული პირს მიიბრუნებს, მისი მცხუნვარებით კლდეც იმსჭვალება, აყვავილდება. სადაც ზღვა არის, მდინარენიც იქითკენ მიისწრაფვიან, რომ მცირე წყალი ზღვას შეუერთონ, თუ მღვრიე იყო, ზღვა დაწმინდავდა, თუ მდორე იყო მისი ტალღა, აიტაცებდა, თუ მოეკიდებოდა ხავსი ზედაპირს, მიწაში იპარებოდა, გამოყოფნავედა, ხუჭუჭ ღრუბელში მოექცეოდა, შხაპუნა წვიმად წამოვიდოდა, რომ ის ხავსი გადაერეცხა. რამდენ შორეულს შორს გადაუგდია უცხო სამოსი, რამდენი დადნა და ენამა შვილობილის თავდადებითა და სიყვარულით...

— თუ საქართველომ გამიხსენა, ის ყვავილები ჩამატანეთო! უთქვამს უორდროპს. ასეც მომხდარა. ბედნიერი ხარ, ჩემო ქვეყანავ! კურთხეულ იყოს შენი გზა, შენი წადილი!!!

მიდიოდა და მიდიოდა მატარებელი... სწრაფად გარბოდნენ „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტის“ კომნია პეიზაჟები და აზიდული „მთანი მაღალნი“... თითქოს პატარძალს, ზღაპრულ მშვენებას, თავიანთ დედოფალს მიაქროლებდნენ მაყრად მოსული გოლიათები...

ბინდის თალხებში იმოსებოდა, უკან მრჩებოდა ქვეყანა ამირანისა, მერანის თავგანწირული ფრენისა, ქვებში ჩაკირული ბრძოლისა და ფრენის უკვდავებისა, ქვეყანა დაკარგული საფლავებისა... ნეროებივით ჩამწკრივებული მათ მიჰყვებოდნენ სითბოს ნატრული, ნაღვლიანი ჩემი ფიქრები...

დედაქალაქი, 1964 წ.

P.S. ასლს, საიდანაც ჩვენ ეს წერილი გადმოვბეჭდეთ, ბოლოში დართული აქვს მინაწერი. ირკვევა, რომ ეს ეგ ზემპლარი ელისაბედ ქავთარაძეს 1985 წლის 1 იანვარს უჩუქებია ოჯახის მეგობრის პატარა ვაჟისთვის გიორგი ვანიძისთვის. საჭიროდ და საინტერესოდ მივიჩნიეთ ამ მინაწერის ამობეჭდვაც:

ცქრიალა პანანა გიორგი!

შენ მომილოცე ახალი წელი და აღუწერელი სიხარულით ორი

კანფეტი შემომაგებე. მერე მოულოდნელად ჩქარა-ჩქარა გაცუნ-
ცულდი და ორივე ხელით ბლუჯა კანფეტი მომირბენინე. ალბათ,
ორი თუ ეცოტავა სიუხვის გზნებით აგიზგიზებულ შენს პატარა
გულს.

ამ ულამაზესი ნუთებისათვის მეც მინდა შემოგაგებო დან-
ისლული გულის უქრობი ნაპერწკალი დიდი რწმენისა. რამეთუ,
მჯერა, დადგება დრო და ჩვენი სამშობლო აღარ იქნება „ქვეყანა
დაკარგული საფლავებისა“. საუკუნეების ნანატრ ამ უბედნიერეს
დროს წინასწარ გილოცავ და გულით გიმკვიდრებ, ჩემო პატარა
მახარობელო!

ჩვენი ცხოვრების შავბნელი გზებით

ეტაპი

1940 წლის სუსხიან ზამთარს ქ. პეტროპავლოვსკში ჩავედით.
ტუსალის ჩვეული მარშით ქალაქი გადავირბინეთ და ციხეს მივად-
ექით. უზარმაზარი ალაყაფის კარს მიღმა კარდახშული საკანი მე-
ლოდება და... მეც მას ველოდები. ეს მეორედ მასტუმრეს ქალაქს,
უფრო სწორედ, მის საპყრობილეს. ახლაც ეტაპით ჩამომიყვანეს.

გადასარეკ პატიმართა ნახირს ეტაპი ეწოდება, გადარეკვის
პროცედურასაც იგივე. იზოლატორისაგან განსხვავებით, პეტ-
როპავლოვსკის ციხე გამანანილებელი პუნქტია. აქ სხვადასხვა
მიმართულებით ეტაპის დაშლა და კვლავ ფორმირება წარმოებს.
ასეთი გზაჯვარედინების უჩინარი ქსელი აბლაბუდასავით აქვს
შემოხვეული ამ ბედუკულმართი ქვეყნის უთვალავ გზებს. ეტაპის
გადაყალიბება-ჩამოყალიბებას პატიმარი ხშირად თვეზე მეტ ხანს
უცდის, რაც არაფის ეუცხოვება და, პირველ რიგში, პროკურა-
ტურის ზედამხედველობას. საზოგადოების ჩვეული ნყობა-გარე-
მოდან ძირფესვიანად ამოგდებული პატიმარი საეტაპო მანქანის
კლანჭებშია მოქცეული. გააფთრებული მუშაობის ეს უჯმაჯური
მექანიზმი ატრიალებს თავის შემზარავ ბორბლებს და უსასრულო
საეტაპო ტრასებით ხან აქეთ და ხან იქით მიათრევს პატიმარს,
შეაგდებს ხან ერთ, ხან მეორე ციხეში, ვიდრე სამშობლოს არ მოს-
წყვეტს მრავალი ათასი კილომეტრით და არ ჩაკარგავს სადღაც
რუსეთის ჯოჯოხეთურ უფსკრულეთში.

რკინიგზით ეტაპის გადაყვანა ამჯერად სტოლიპინკით ხდებო-
და. სტოლიპინკა ადამიანის ბოროტების ერთ-ერთი სახექმნილებაა
და, როგორც სახელწოდება მონიშნავს, სტოლიპინის მძვინვარე ფან-

ტაზიის სახსოვარი უნდა იყოს.

ვაგონი შიგნით სამსართულიანი გალიების წყებას ნარმოადგენს. როგორც წესი, გალიები პატიმრებითაა ამოვსებული: ქვედა ორ სართულში ექვს-ექვსი პატიმარია, უკანასკნელ ზედაში თითო-თითო... თავშექცევით ორ-ორი აქაც ჩაიჭედებოდა, მაგრამ მენახირებს საქონელი თავების რაოდენობით აქვთ ჩაბარებული და ანგარიშ-დათვლით გაოგნებულებს სათვალავის დეადამიანიზირებული ერთეულები ყოველთვის მხედველობის არეში უნდა ჰქონდეთ, რაც თავშექცევას გამორიცხავს. ამავე მიზეზით შესაწონლი თარო დღისით არ იკეცება. ქვევითაც, გალიის სიენროვემ 12-14 ტუსალი რომც დაიტოს, „ფხიზელ თვალს“ თავები აერევა, ეს კი წესდებით „ნეპოლოჟენო“.

კორიდორისაგან, სადაც გუშაგები უწყვეტ ყარაულში მიდმოდიან, გალიები რკინის რიკულებითაა გამოყოფილი. რიკულებში ჩატანებულია ურდულ-ბოქლომით აღჭურვილი გისოსიანი კარი. გალიებში სარკმელი ყველგან ამოშენებულია. საიმედოდ ჩაკეტილი და იმავე გისოსით „დამშვენებული“ ფანჯრები კორიდორისათვის შემოუტოვებიათ. პირქვე დამხობილი ტუსალების ნაღვლიანი მზერა მათენაა მიქცეული. მტერით და ჭუჭყით დაბურული მინის მიღმა თავისუფლების „ნაკრძალი“

მიქრის და მიქრის მატარებელი. ყოველნამიერად იზრდება მანძილი ჩემსა და ჩემს ქვეყანას შორის. საით მაგზავნიან გაავებული, გზაბნეული მისი შვილები, ნამდვილად რომ ჩემზე მეტად ბედკრულნი და უბედურნი. ასე იყო ყოველთვის: იქ, სადაც მურვან ყრუს ფეხი დაუდგამს, მინას ჭინჭარიც ამოუზრდია.

„ქვა რომ მენახა, რომელზედაც ფეხი წამომიკრავს, ფრჩხილი წამიგლეჯია, სისხლი მდენია და მწარედ ავტირებულვარ, ღმერთო ჩემო, დავუწოქებდი, გულში ჩავიხუტებდი, მის გამჩენს ლოცვას ვეტყვოდი“... ათრთოლებული მეუბნებოდა ჩვენებური გლეხი და ჩამოგორებულ კურცხალს ველარ ამჩნევდა.

ალბათ, ამაშია ჩვენი ძალა და ღონე. ათასწლეულების მიუგნებელ სიღრმეში აქვს დასაბამი ამ იდუმალ გრძნობას: მამიდან შვილზე, თაობიდან თაობაზე, საუკუნიდან საუკუნეზე გადადის იგი. ამითაა ერი შეკრული. შესაძლებელია, გრძნობა მიყუჩდეს, გაუჩინარდეს, მაგრამ მოვა წამი და ეს დიდი ვაება-სიხარული მეტის ძალით აღზევდება. ეს არის ერის ბედნიერება, მისი გამძლეობის აღმოუფხვრელი ფესვი.

გზები და გზები, მათ დასასრული არ უჩანს. პატიმართა ნახირიც უღევად მოედინება. ყმუის და ბლავის, კივის ლეგენდარული

ათასთავიანი ურჩხული, მიერეკება ნადავლ საქონელს. ხალხმა გაიღო ეს მსხვერპლი მისთვის...

ვინ მოთვლის, რამდენი მეხოტბე ჰყოლია რუსეთის თვალშეუდგამ სივრცეებს?! დღესაც ვერ ნახავ ისეთ რუსს, რომ თავისი ქვეყნის სიგრძე-სიგანის გახსენებაზე არ იბნიდებოდეს და მის მეტად გასიებაზე არ ოცნებობდეს, ოღონდაც ერთი გოჯიც არ მოაკლდეს ამ მიტაცებული მიწებიდან, ოღონდაც ერთი გოჯი კიდევ მიიტაცოს და იგი მზად არის, შეურიგდეს გაბერილი ვეშაპის უმსგავსობას, მის ანტიადამიანურ, მის ანტისაზოგადოებრივ არსებას.

ამ უკიდუგანო, დღესაც აუთვისებელი სივრცეების საბედისწერო მნიშვნელობა კარგად ესმოდა ჩაადაევს. უშიშრად, ხმამაღლა აღიარებდა კიდევ, რომ სწორედ „მეექვსედობამ“ განაპირობა რუსეთში ფეოდალიზმის ცენტრალიზმ-დესპოტიზმის მძვინვარება, სიმახინჯე და ხანგრძლივობა. რუსეთის მოწინავე საზოგადოება ერთსულოვანი აღფრთოვანებით ეგებებოდა რომანოვების კოლონიალურ ექსპანსიას და მხოლოდ ჩაადაევს ეყო სიბრძნე და ვაჟაკობა, ჩაენერა თავის „ფილოსოფიურ ნერილებში“, რომ უცხო ქვეყნის დაპყრობით ჩვენ თვითონვე ვჭედავთ და ახალ ჯაჭვს ვუმატებთ საკუთარი მონობის ბორკილებსაცო.

ნიკოლოზ „პალკინმა“ იგი შეშლილად გამოაცხადა, დამუნჯების ხელწერილიც ჩამოართვა, რაც სავსებით გაუმართლა იმპერიის მტაცებლურმა სიხარბემ და იმდენად, რომ დღესაც კი ერიდებიან ჩაადაევის „ფრიად სახიფათო“ რეფლექსიების გახსენებას. ჩაადაევის გარდა, სხვა ასეთი რამ რუსეთში არავისგან მსმენია.

ნაკატორლალ დოსტოევსკის, კაცობრიობის საყოველთაო სიმართლის დიდ მაძიებელს (და მაინც „ყიდების“, „პოლაჩიშკების“ და სხვათა აუგად მხსენებელს) სტამბული მოსვენებას არ აძლევდა. „დნევენკი გრაჟდანიანას“ ფურცლებზე მართლმადიდებელი რუსეთის „მემკვიდრეობის“ უფლებებს ასაბუთებდა და ბიზანტიური კონსტანტინეპოლის შემოერთების პრეტენზიას აყენებდა. ამაზე ოცნებობდა მილუკოვიც და სხვა მრავალი.

მტაცებლური ჟინის დაძლევა პატივად ვერ ირგო დიდმა ჰუმანისტმა ლევ ტოლსტოიმ: „მიყვარს ჩვენი გლეხი, რუსული მდინარესავით კალაპოტში რომ არ ეტევა, ადიდდება, ნაპირებს გადალახავს, ივრცობა და გარე მიწას ეფინება. მერე ფესვებს გაყრის, იჩემებს, არუსებს უცხო მხარეს თავისთვის და თავისი ქვეყნისათვის“ ასე გადმოგვცემს ქმრის ნათქვამს მარია ანდრეევანა თავის დღიურებში.

„ვლადი“ კაკეავი, „ვლადი“ ვოსტოკი და კიდევ რამდენი

„ვლადი“?! დამპყრობლური იმპერიის უკუზრნებელი ციებ-ცხელება ლენინმა და მისმა პარტიამ მემკვიდრეობით მიიღეს. ვერაგობა-ცბიერებაში მათ არა მარტო რომანოვები, სხვებიც ვერ გაუტოლდებიან. ფასადიდან „ვლადი“ მოხსნეს უფრო მეტი გულმოდგინებით, თანამედროვე ტექნიკის მაქსიმალური გამოყენებით, მეტი ნარმატებით გააგრძელეს დაპყრობილი „ინოვაციების“ ათვისება-მონელების „რუსული საქმე“. ახლა ფასადიც არ ენალვლება: აკმოლინსკს ყაზახეთის ბრწყინვალე ათვისების დასამონებლად ცელინოგრაფი უწოდეს, კანტის ქალაქს კალინინგრაფი და ა.შ.

თბილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის ნამონათფარმა, გარუსებულმა უცხოელმა, გრაფ ვიტტემ გაბედა და ურჩია დიდ მპყრობელს: „იქნებ ჩვენთვის, რუსებინათვის, უკეთესი ყოფილიყო, რომ იყოს რუსეთი და ჩვენი ვიყოთ მხოლოდ რუსები... მაშინ უარი ვთქვით განაპირა მხარეებზე, რომელთაც არ ძალუძთ შერიგება და არც არასდროს შეურიგდებიან... რუსეთის იმპერიის იდეალს“...

გაფრთხილება ამაო იყო, აყლაყუდა ბუმბერაზს, უშეცარსა და უგუნურს მხოლოდ ერთი რამ აბოდებდა: დაპყრობილი ერების გასრესა, გათქვეფა და მონელება.

გედი არ ლალატობს მეუღლის ხსოვნას (ქართველი ქალი მისი მსგავსია). პინგვინი მრავალ კილომეტრს გაივლის, რომ დააპუროს ბარტყები; კვერცხებს გუგული სხვის ბუდეში დებს; ყვაფი მძორს ეტანება, მერცხალი სახლის აივანს. ბელურაც არის, არნივიც, ტოროლაცა და ბულბულიც. მხოლოდ რეგვენს მოუვა თავში მათი გადაჯიშება. ვიდრე სიცოცხლე გრძელდება, ვერც „მრავალი“ და ვერც „ძლიერი“ ვერ მოსრავს ბუნების პატარა მკვიდრებს.

ხოლო მინის ნიალიდან ხშირად ამოაქვთ გარდასულ დროთა ვეშაპების ზორბა ჩონჩხები. ალიგანენ დედამინის ზურგიდან უზარმაზართა მოდგმანი, ვითარცა ჭარბად უზარმაზარნი. ბუნებამ მსხვილ ფორმებს მცირე და უფრო ეკონომიკური ამჯობინა. მათი სახეები დახვენა და განასხვავა: ზოგი ცურავს, ზოგი ცოცავს, ზოგიც ცაში დაფრინავს.

ნარსულს ჩაბარდნენ კაცობრიობის ლევიანებიც. ამ ვეება ფორმების დაშლა და რღვევა ჩვენ თვალწინ გრძელდება. ტექნიკური პროგრესისა და დოვლათის დაგროვების ფანტასტიკური შესაძლებლობანი სულ უფრო ამოკლებენ ტყის ბიოლოგიურ რადიუსს. ეს განვითარების დიალექტიკაა კანიბალიზმიდან კაცთმოყვარეობამდე, მონობიდან კოოპერაციამდე, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ისტორია თავის ნიალში დააბინავებს „ძლიერის“

და „მრავლის“ ჩონჩხებს, ან მათი სიხარბე წაღვეკავს ჩვენს ცოდვილ მინას. მესამე დღეს უკვე გამოორიცხულია.

დაეუბრუნდეთ თხრობას:

ნექოს, ოფლის, ნვირიანი საცვლისა და კიდევ სხვა რაღაც სიმყრალითაა შედედებული გალიებში ჰაერი, მაგრამ მასზე უფრო მყრალია და ბინძური გულის ამრევი ყიჟინა: „დავია!“, „დავია!“ „დავია!“ გინებასავით უხამსია და მურღალი იგი.

ჩვენი ბადრაგი ნითელარმიელის ფორმაშია. ბადრაგი ეტაპის განუკითხავი ბატონ-პატრონია. მის შემადგენლობაში ნაირყაიდის ჯარისკაცია. პატიმარი თავის თავზე განიცდის ახალწვეულის ფეთებას, დაგეშილი სალდათის ღვარძლიან ხითხითს, წესდებით გამოშიგნულდ გუშაგის ყრუ და ბრმა უგულობას. მკაცრი, მაგრამ კანონიერად მკაცრი, გონიერად სამართლიანი, ელემენტარულად ადამიანური დამოკიდებულება ბადრაგისაგან არ მახსოვს. იქნებ, ეს ასეც უნდა იყოს. არ ვიცი, მაგრამ არც ის ვიცი, რად უნდა იყოს ეტაპი ასეთი ველური, უგზური და სრულიად გაუმართლებელი ტანჯვა-წამება.

ეტაპი არის განადირება და სასონარკვეთა გალიაში მომწყვდეულისა, შიმშილი, ნყურვილი და განრიგი საპირფარეშოში გასვლისა, სიმწარე, დამცირება, სირცხვილი კუჭის ამლისა, შარდის მოძალებისა... ეტაპი რუსული ულუფის თევზია, უმნუთხესი თევზი და ნყურვილი აუტანელი... ნყურვილი, რომელიც თავზე ხელს აგალებინებს. მუდარა ისმის ხმაჩახლეჩილი:

ვოდიჩკი, ბრატოკ!..

ნეპოლოჟენო, ნე უმროშ!

და კვლავ მუდარა პირდამწვარი, ნაცემი ძალღივით მორჩილი...

ვაგონმა ზოგჯერ დუმილი იცის, უსასრულო, გულშემზარავი. წამიერი გარინდება მოიცავს ტუსალს, მოარული სენივით მოედება ყველას. რომ გაგრძელდეს... მაგრამ რაღაცა მოხდა, ვილაცას ეჭიდებიან, მძიმედ მიათრევენ, ბორკილების ღრჭიალია, სამაჯურები წინა მხრიდან ფოლადის ეკლებია დატანებული... მერე კარცერის ღმუილი-გრგვინვა, გადაბმული, შეუნყვეტელი... და მოლოდინი: გაძაგრული, სუნთქვაშეკერული, დაფეთებული... გაჩუმდი! ვერას უშველი! ხმა, კრინტი! ყურები თითებით დაგმანე! მონა, იავარქმნილი და უსამველოდ განწირული, ეტაპის მარწუხებში ხარ. ბედნიერია ის, ვინც არ იცის, რა არის გაჩუმება, როდესაც შენს ბედში მყოფი შენ გვერდით ყმუის... ვილაცა ღმუის, მას არავინ მიეშველება, თითებით ყურებს დაიცობს. სიმები ისე დაჭიმულია,

რომ გაინძრე, ვინმე აგყვება და მაშინ მთელ ვაგონს ააღმუელებენ. მერე უარესი მომხდარა კიდევ და კვლავ მოხდება.

უკაცრიელ ტრამალებში ტლუ ჯალათების გაშიშვლებული მონა ხარ, ხალხით რომ აავსო ეს ტრამალები, მთელი თავისი შემადგენლობით აკადემია რომ მოიყვანო, ტაშს შემოკრავენ მხოლოდ. შიშით დაბორკილნი, შიშით შეძრულნი, შიშით სრულიად განადგურებულნი... შიშის ფსიქოლოგიური გალიები უფრო შემზარავია, ვიდრე სტოლიპინკები.

და ასე განა ერთი დღე, განა ორი?! წყუღიმც იყავ, რუსეთო! წყუღიმც იყოს შენი სივრცეები მონათა სისხლით გაჟღენთილი და მოდორბილი რეგვენთა ხოტბა-დიდებით. დამნაშავეს და უდანაშაულოს მათივე სამშობლო ვერ მოუვლიდა?! მაგრამ კანონზე და სამართალზე დაკანონებული უკანონობის ქვეყანაში ვის უნდა ელაპარაკო?! განა რუსეთმა ასე არ დაასახლა, ასე არ გაარუსა, ასე არ შემოიმტკიცა ციმბირი?! ასე გადაიშლართა ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე ეს უმსგავსო ვეშაპი და სათარეშოდ პლანეტის მეექვსედი მოითალა. სივრცეების ოკეანეებში მეკობრენი განუკითხავად დათარეშობენ, ადამიანი არარაა, მოქალაქე ცარიელი ფიტული და „ედინაია, ნედელიმაია“ სალოცავი ხატია მონები-სათვის და მონათა მონებისათვის.

გაგონილი მაქვს: დახშულვაგონებიანი სპეცემელონებიც ყოფილა. ეტაპის დასაბამიდან საგზაჯვარედინო ინტერვალების გარეშე მატარებელი მიდის ერთი დანიშნულების მიმართულებით. კარებს დროგამოშვებით აღებენ, მკედრები გააქეთ. ხმელი ულუფა ნინასნარ დარიგებულა, კლოზეტი იქვე კუთხეშია გაჭრილი, რა თქმა უნდა, ტიხარიც კი არა აქვს. საქონელს არც რიდი უნდა და არც პატივი. შორეულ ჩრდილოეთში ფეხითი ეტაპებიც ყოფილა. თუ სასნაული მოხდა და ვინმე გადარჩა, ოდესმე იტყვის თავის სათქმელს, მაგრამ დამჯერი არ ეყოლება.

ამას ვერც მე ვიჯერებ. ზამთრის ყინვა-ქარბუქი, გაზაფხული-სა თუ შემოდგომის თოვლ-ჭყაპი, ზაფხულის ქუნქლა-კოლოები და სიცხეები... ნუთუ ასეთ კილომეტრებს და კილომეტრებს გაუძლებდა ყოველთვის შეუფერებლად ჩაცმული, დამშეული, დახუთული და არაქათგამოცლილი ტუსალი?!

ჩემს მებსიერებაში ბადრაგი და სტოლიპინკა ერთ განუყოფელ მთლიანობად დარჩა. არ ვიცი, როგორი იყო მათი ურთიერთზემოქმედების ვითარება. იქნებ ბადრაგი ქმნიდა სულისშემხუთავ სტოლიპინკას, ან სტოლიპინკა სულისშემხუთავ ბადრაგს.

აქ სათვალავში სულადობრივი ანგარიშია. მის იქით სამუდამოდ

დაკარგულია ადამიანი, დე, ბოროტმოქმედი და მაინც „ჰომო საპინენს“, საზოგადოებრივი არსება, მისი პატივი, ღირსება, უფლება. ვერავინ განსჯის, თუ რას მოიმოქმედებს ადამიანი, რომელიც ყოველთვის არა ბოროტების, არამედ დიდი სიკეთის ჩაუნვდომელ კიდობანს წარმოადგენს. მის არსებაში საოცარი გარდატეხა ხდება. გარდა ამისა, რაგინდ მავნე უნდა იყოს ადამიანი, იგი ბოროტ-მოქმედად არ დაბადებულა. ასეა თუ ისე, საზოგადოებას მისთვის დედინაცვლობა გაუწევია. ეს ორი ძირი, თუ არას ვიტყვით მოყვასის ცნებაზე, ეთიკურ დონეზე, კაცთმოყვარეობის თვითშემეცნებაზე, ყველა კულტურულ ქვეყანაში აპრობებს პენიტენციარული სამართლის, საერთოდ, სამართლის ჰუმანურ საფუძვლებს.

საბჭოეთში ორფეხა ნომერი პირუტყვის ფასადაც არა ღირს. რიკულებსა და ურდულებს მიღმა, ისეთ ყოფაში, როგორიც ოთხფეხა ცხოველისათვის აბსოლუტურად გამორიცხულია, მომწყვდეული არიან ადამიანები. ეს ნიველირებული მასაა, სახენაშლილი, ციფრად ქცეული, ყოველგვარ ფასეულობათა ბალანსგარეშე წარჩენი.

მაგრამ რა ნაშლის ადამიანის თვალებს და გალიასაც თოთხმეტი წყვილი ცოცხალი თვალი გამოუბამს. მუცელზე ხობავს, მინას ეკერის, ნაცემი ძაღლივით მორჩილი ნკმუტუნით გილოკავს ჩექმას... მაგრამ რად გეშინია ამ მორჩილების?! რად გეშინია საკუთარი ძაღლის?! თვალებად ქცეულა ეს ინერტული მასა და ამ თვალებში კიდევ სხვა რაღაც სხივი ჩამდგარა. ვინ არიან? რა არიან? რად ირისხება და რად სჯის რაღაც, რაც დამალულა თვალის სიღრმეში?! მაგრამ ამ ნომრის თვალები რა საშიშია? მალე სხვას გადააბარებს, თვალებიც დაიკარგება. და... ნახირის ახალ პარტიას ჩააბარებენ, იქაც იგივე თვალები შეეფეთება, გამოკრთის, კი-აფობს სხივი. ურდულს გააძნობს ამ სხივის ძალა, გულს ბურღავს, შანთავს, სულის ფსკერს სწვდება და იქ ფათურობს იღუმალად... რატომ? ვინ არიან, რანი არიან? ამოუცნობის ეშინია ადამიანს და შემინებულის ბოღმა აფთარივით დაგეტაკება. შიშით ძლეული არ გაპატიებს ამ დამცირებას, შურისძიებით გაგაჩანავებს. მაგრამ ვის აჩანავებს? შენ თუ თავის თავს? სხივს გამოკრთობილს თუ იმ იღუმალ ხმას, მისით რომ გულში ამბობებულა?! არა, არ იცის ეს ჯარისკაცმა. ამის შესახებ წესდებაში არაფერი წერია. ამოუცნობის ამოსახსნელად მდუმარე კითხვით თვალს შეგაპარებს და კვლავ რისხვად გადაიქცევა. რადგან შენი ეშინია სალდათს, ეშინია თავისი თავის და ეშინია რუხი ფარაჯის.

იქნებ გალია უსპობს ბადრავს ადამიანის გულისსათქმელს, ან

იქნებ, ბადრაგის ბეჭედი დაღაცს გალიას?!

„საზოგადოებრივმა ცხოველმა“ სხეული სამოსით დაიცვა, შემდეგ მთელი თავისი მეობაც შემოსა და დაიფარა. უფლებამოვალეობის ჯავშანი: სამართალი, მართლშეგნება, ეთიკა-მორალი, უბრალოდ, ზრდილობაც კი ძირითადი პირობაა ადამიანის საზოგადოებრივი არსებობისა. ასეთი აღჭურვილობის მეტ-ნაკლებობა თავისთავად მაჩვენებელია იმისა, რაოდენ სრულყოფილია კულტურა და მისი სოციალური რაობა. რაც უფრო ნინ მიდის ორფეხა ცხოველი, მით უფრო რთულდება და ფართოვდება მართლწესრიგიანობის საფუძვლები და მით უფრო დომინირებულად მძლავრდება მართლშეგნებაც (პრაქსოზონანე). სამართლის მრავალი და მრავალი ნორმა მორალში გადაინაცვლებს და ხშირად მორალი ჯენტლემენურ თავაზიანობაში. ვილაცამ იდაყვი გაპკრა: ბოდში! და მიდის ადამიანი ჯავშნით დაცული. მშვიდია მისი ნაბიჯი, ხოლო რეაქცია (ორთა მხრივ) პირობითი რეფლექსი: ბუნებრივი, თავისთავადი, შეუმჩნევი. ეს ყოველივე ანბანური და ცნობილი ჭეშმარიტებანია.

საზოგადოებრივ გალაქტიკაში დიდი თუ პატარა, ყველა თავისი ორბიტის მქონეა. იგი მყარია, მტკიცე და შეუვალი. ინგლისი ასეთი გალაქტიკის კლასიკური ქვეყანაა. იქ სკრუპულოზურად განსაზღვრულია ორბიტები და საოცრად მალა დგას სამართლის თვითშეგნებაც. დღეს უკვე მოსწავლეებმაც იციან, რომ ამ ქვეყანას დანერილი კონსტიტუცია არ გააჩნია, რომ მისი ურთულესი სახელმწიფოებრივი მექანიზმი თუ ორგანიზმი მწყობრი სიზუსტით მუშაობს პრეცედენტების საფუძველზე და ყველას ანცვიფრებს თავისი უბადლო დემოკრატიული მართლწესრიგიანობით.

გავიხსენოთ პიროვნების ხელშეუხებლობის უსასტიკესი გარანტიები (სახლი ჩემი ციხესიმაგრეა ჩემი), დეტალურად დამუშავებული პროცესუალური სამართალი, სასამართლოების უმაღლესი ხარისხის პრაქტიკა, უბრალოდ, პოლისმენის ფიგურაც კი (თუნდაც კერძო მოქალაქის უფლებამოსილება მხარზე ხელის შეხებით ნებისმიერი პიროვნების დაპატიმრებისა. უკანასკნელი თავისუფლების აღკვეთას უსიტყვოდ ემორჩილება, მაგრამ უსაფუძვლობის შემთხვევაში უმკაცრეს პასუხს მოსთხოვს იმპროვიზირებულ პოლისმენს). გავიხსენოთ პარლამენტი, მისი მუშაობა, თუნდაც ემბლემა-სიმბოლოების უხვი დეკორი, რომელიც ავლენს მის ნამდვილ არსებას, მტკიცედ დაცულს ყოველგვარი ბუტაფორიული სიყალბისაგან. გავიხსენოთ საარჩევნო სისტემის მტკიცე გარანტიებით არჩეული მთავრობის კაბინეტი, რომელიც

თავდახრილი დგას ხალხის უზენაესი ნების წინაშე და უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ახორციელებს გადადგომის ვალდებულებას. გავიხსენოთ უმაგალითო ისტორია ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებისა: ოციან წლებში მაკდონალდმა აღუთქვა, ოცდაათიან წლებში ჩერჩილმა კონკრეტული ვადა დაუთქვა, ორმოციან წლებში ეტლიმ პირნათლად აღასრულა.

მართლწესრიგინაობაში ინგლისს სხვა ბევრი სახელმწიფოც არ ჩარმოჩა, მაგრამ საგარეო-საშინაო პირობების განსაკუთრებული სირთულის მიუხედავად, მისი კლასიკურად დახვეწილი დემოკრატიული სისტემა დღესაც ყველასათვის სანიმუშოა. ტალეირანისეული დიპლომატიის პრინციპი (აღამიანს ენა იმიტომ აქვს, რომ თავისი ნამდვილი აზრი დაფაროს) თითქოს დღევანდელი ინგლისისათვის სრულიად უცხოა. არ ვიცი სხვა ქვეყანა, გუშინ კი მას სამართლიანად უწოდებდნენ „ვერაგ ალბიონს“, სადაც კანონსა და სიტყვას ასეთი შეუბღალავი ღირსება გააჩნია. არც სხვა ქვეყანა მეგულება ისეთი, სადაც უსამართლობას, სიყალბეს, უკანონობას, ყოველგვარი სახის უნამუსობას, ცინიკურ ფარისევლობას, კორუპცია-გარყვნილებას, საზოგადოების, მოქალაქის, ადამიანის დამცირება-გაჩანაგების ასეთ აპოგეამდე მიეღწია, როგორც რუსეთში. ვინ და რამ შექმნა „გულმართალი რუსის“ ლეგენდა?! განა შეიძლება მონა გულმართალი იყოს?! განა მონობა ნადირად არ აქცევს, არ ანადგურებს ადამიანს, მოქალაქეს, საზოგადოებას, სახელმწიფოს?! რუსეთმა კი მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გზა დუხჭირ მონობაში გაიარა.

საბჭოურ ეტაპში, სადაც კონდენსირებულია ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი უბედურება-უკულმართობა, პატიმარი პირწმინდად გაჯავშნულია და ეს უსაშველო დაუცველობა, სრული სიშიშველე, უმწარესი განსაცდელია თანამედროვე ცივილიზირებული ადამიანისათვის.

ეტაპში მხოლოდ ერთი რამ სუფევს: მორჩილება, მორჩილება და მხოლოდ მორჩილება. სად არის საზღვარი? ხომ უნდა იყოს სადაც, ასეთი ბადრაგის ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა სრულდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბადრაგი გესვრის გაუფრთხილებლად. ეს არის და ეს. არსად ჩანს უზენაესი კანონის ძალა, რომლის წინაშე ყველა თანაბრად ვალდებულია და რომელსაც პირუთვნელად ორბიტები დაუდგენია, გოჯისოდენა, სულ ნამცეცა, მაგრამ, რომლის ფარგლებშიც თავისი თავის უფალი ხარ მთელი ქვეყნის ძალმოსილებით დაცული. ცალმხრივი კანონი წესდების ხაზით მხ-

ოლოდ ბადრაგისთვის არსებობს. ამორფულ მასას მან საიმედო გარეკანი სრულიად შემოაცალა და განუსაზღვრელი უფლებანი რუხ ფარაჯებს მიანიჭა.

ასეთია ეტაპის არსი და სხვა სიდუხჭირესთან ერთად იგი უდიდესი უბედურებაა პატიმრისთვის, მაგრამ ამ ათეული წლების განმავლობაში რა ვისწავლეთ, თუ არა მოთმინება. რა სათქმელია შიმშილი, ნყურელი, ასკინკლით მოგზაურობა... რალას არა ხარ შეჩვეული... ადამიანისა და მოქალაქის უფლება-გარანტიებით არც გარეთ ყოფილხარ განებივრებული და მაინც ეტაპი თავზარს გცემს თავისი შიმშველი შეპირისპირებით, განსაკუთრებით კი ჩემი გადასახლების მეორე ტურის პერიოდში.

ვისაც ბადრაგი არ უნახავს, ის არ იცნობს რუსი სალდათის ბუნებას.

1927 წელს ლიკო ხუციშვილი, ყელის ქლექით მძიმედ დაავადებული, სპეცეტაპით რუსეთში მიჰყავდათ ჩვეულებრივი სამგზავრო ვაგონით და სამი ჯარისკაცის თანხლებით. საპირფარეოში სალდათი გაჰყვა. იქნებ, ჰგონიათ, რომ კარებთან გაჩერდა, იმ სივინროვეში შეჰყვა და ქალს პირისპირ გაუჩერდა. აღმფოთებული ლიკო უკან გამოტრიალდა. ორი დღე-ღამის განმავლობაში იგივე მეორდებოდა. ლიკო თავისუფალ გადასახლებაში, მარიუპოლში მიჰყავდათ, ავადმყოფობა ფორმულიარში და სახეზედაც ენერა, მაგრამ წესდებით პატიმრის უგუშავოდ დატოვება „ნეპოლოჟენო!“

სადგურზე ჩასვლისას, უკვე მონამლულმა და სიცხით გათანგულმა ლიკომ ბაქნის საპირფარეოს მიაშურა, ფართობი გაითვალისწინა. იქ რომ სალდათის თანხლებით შევიდა, ქალები საცემრად ეცნენ როსკიპი ეგონათ, მაგრამ, როდესაც გაერკენენ, ცოცხალი კედლით დაიფარეს და სალდათს მუჯლუგუნით უკან დაახეინეს.

ლიკო ხუციშვილი 1930 წელს ტომსკში გარდაიცვალა. ამხანაგებს უხმო, მადლობა უთხრა და პატიება სთხოვა თუ რაიმეთი შეგანუხეთო. მერე დასვენება მოიმიზეხა და ყველა მშვიდობით გამოისტუმრა... მისი ცხოვრების სევდიანი და ძუნწი ნუსხა ოჯახის წერილებში თუ დარჩებოდა. მაპატიე, ასე ხელგაკვრით რომ გაგიხსენე! თუ დამცალდა, შენი მოკრძალებული ვაჟკაცობის ამბავსაც ვიტყვი!..

აი, ასეთია რუსის ჯარისკაცი. რა არის ზემდგომისაგან მიღებული წესდება მისთვის? ეს მოუქნელი, ხელმეუველები, ციხის კედელივით სლიპი და კუმტი „ნეპოლოჟენო“ და „პოლოჟენო“? შეიძლება სწორედ ის არის, რაც რუს მხედრობას მძლე მეომრის

სახელს უხვეჭს? მაგრამ ასეთი სახელი ველურ ურდოებს ყველას აქვს. ვერც ფაშისტ მეომარს, ბრმა შემსრულებელს და დაუნდობელს დაინუნებდი.

დღესაც მადლობის გრძნობით ვიგონებ „კობტა გიგოს“... ასე უძახდნენ ერთ ზედამხედველს თბილისის შინსახკომის ჯურღმულეთში: მოულოდნელად გაიღებოდა კარზე ოთხკუთხა ამონაჭერი, გამოჩნდებოდა ხელის მტევანი და ნუთიერად თეთრ ცხვირსახოცს ააფრიალებდა. სუნამოს ფაქიზი სურნელი ეფინებოდა საკანს, ვარდ-ყვავილები გადაიშლებოდნენ, ზღაპრულ ბალნარში შეცურდებოდი... უმალ ქრებოდა ეს ჯადო-აფრა, მაგრამ ნალკოტი კვლავ ფიანდაზად ყვავილს გიშლიდა და უცნაური ძალით გჯეროდა, რომ სიცოცხლე არ გათავებულა, რომ არსებობს ადამიანი, რომ არსებობს სიკეთე და სილამაზე დაუთრგუნაფი... განწირულ გულში კვლავ აღდგებოდა ნება თავდაცვის, უტეხი ნება არსებობისა...

ჭალარა გიგო, სიტყვაძვირო „კობტა გიგო“! სად მონახე სათუთი ნუგეში ბედკრულთათვის?!

შინსახკომში ყველა მსახური უსახელოა, მაგრამ შეუცნობლად თითოეული შერქმეული სახელით არის მონათლული. პატიმრები იცვლებიან, სახელი კი რჩება.

მას „სოლნიშკო“ ერქვა. სომეხი იყო. სხვებისაგან თითქოს არც განირჩეოდა. გამოძიებლის მიერ სასტიკად ნაცემ, სიკვდილის პირას მიყვანილ ფეხმძიმე ქალს კიბეებზე მოჰყვებოდა. გათენებულიყო, მთებიდან მზეს თავი ამოეყო.

ნუ ტირი, გეთაყვა, ნუ ტირი... ხედავ, „სოლნიშკო ვსტალო“...

თვალცრემლიანი ეჩურჩულებოდა იგი უბედურს. ასეთი იყო მისი სახელის მოკლე ლეგენდა. შესაძლებელია, ტომები დაინეროს და ამ სამი სიტყვის განზომილება ვერ დაიტვიცნა.

სახელად „გურული“ შფოთიანი ზედამხედველი იყო, ბუზლუნა და ყოველთვის საოცრად გაკვირვებული.

მამინ ჩემთან საკანში ორი შეშლილი იმყოფებოდა. „ზევითაც“ (საგამომძიებლო) და „ქვევითაც“ მძაფრი ბლოკადა მქონდა. უძილობით ვიტანჯებოდი. რომც ჩამძინებოდა, ერთ-ერთი გიჟი, ან ორივე ერთად აუცილებლად გამაღვიძებდა. მწვავე ნერვიულობისას მთელი სხეულის დაუძლეველი და საშინლად მომქანცავი ცახცახი ვიცი. პოდა, ასე ვინეჭი თვალგახელილი ორხმად მოქოთქოთე საკანში და ზოგჯერ ისეთი ძიგძიგი ამიტანდა, რომ ბნედამორეულივით ლოგინზე ვხტოდი. საბედნიეროდ, ჩემს გიჟებს რატომღაც ამის ძალიან ეშინოდათ. მყისვე გაისუსებოდნენ და მეც, საშინლად დაღლილს, ჩამეძინებოდა ხოლმე.

საშველი არ იყო, თავს ვეღარ ვერეოდი, კონტროლი მეკარგებოდა, წინ სულ დამარცხება მელანდებოდა. შიშმა ამიტანა, რადგან ჩემი გამძლეობის აღარ მჯეროდა. დაყოვნება დანაშაული იქნებოდა: ღამე საბნის ქვეშ სარტყელი წაეიჭირე... „გურული“ რაღაცნაირად მიხვდა (საკანს ეძინა). საბანი გადამხადა, სარტყელი მომხსნა, უჩუმრად მომაბრუნა ისე, რომ ექიმიც არ გამოუძახებია:

შენ და და მე ძმა, სიტყვასიტყვით ლულულულებდა იგი, ნენა არა გყავს? ჩემგან რა გესწავლება, ზღვა რომ ლელავს, მერე წყნარდება. არ იცი განა, რომ უნდა მოითმინო?

ამას რაღა დაემატება, ძმაო შორეულო და უკვალოდ დაკარგულო...

ეგ ზეკუცია გათავებულია. თმები ჩამომშლია, თმის სარტყები იატაკზე მიმოხნეულა. ეგ ზეკუციის მონანილე ფინია-გამომძიებლებს მოულოდნელად რუხადემ მკვახედ უბრძანა:

რას უყურებთ, მიანოდეთ თმის სარტყები!

(ინტონაცია დღესაც ყურში მაქვს).

ამ სცენას ჩემ წასაყვანად გამოძახებული ზედამხედველი ესწრება. ვაივავლახით ვიბნევ თმის სარტყებს თმაში და მივყევბი. საკანთან მიახლოებისას წინ გამისწრო და მრისხანედ წაისისინა:

„დაიტე!“

რა უნდა მოგცეთ?

თვალით მანიშნა, რადგან დერეფანში პატიმართან ლაპარაკი „ნეპოლოჟენო“. უზომოდ დაქანცული ძლივს მივხვდი, რომ თმის სარტყებს მთხოვდა. გამომძიებელმა რომ დამიბრუნა, ეს კი დაინახა, მაგრამ წესდებით „საჩხვლეტი იარაღი“ პატიმრისათვის „ნეპოლოჟენო“. მას კუკუტარია ერქვა ზედმეტსახელად (რაფავას მოადგილის გვარია). მისი სახელი „ზევითელებმაც“ იცოდნენ თურმე, კუკუტარიამაც.

ასეთია რუსი სალდათი. სჯულის ფიცარია წესდება მისთვის. „ნეპოლოჟენო“ და „პოლოჟენოს“ ფარგლებით იზომება მისთვის საზოგადოებრივი და ადამიანური ფასეულობანი. რა თქმა უნდა, რუხ ფარაჯებშიც შეხვდებოდიტ გამონაკლისს, მაგრამ ძირითადად საერთო იერი ასეთი იყო, განსაკუთრებით ოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ.

ვისაც ეტაპი გამოუცდია, მან იცის, რა არის ოცნება ციხეზე: იქ ჩვენ ვართ ჩვენს სამყაროში კარჩაკეტილნი, იქ კუნჭულს მოგიჩენს საკნის მამასახლისი, გახრეკილ წარებზე დაოსებულ სხეულს მიაგდება, ძონძებს წაიხურავ, საკუთარ თავთან დარჩები. აღარ გჯიჯგნიან, ყურში არავინ ჩაგნივის: „დავაი“, „დავაი“, „დავაი“.

მოღერებულ კონდახებს აღარ ხედავ, ჯაჭვის ღრჭიალი აღარ გესმის, ნაგაზები არ გიღრენენ... არა უშავს, რომ უნმანური გინება ახლაც ჩარდახივით თავზე გადგას და ვის არ ნახავ ამ ჩარდახის ქვეშ სულითა და ხორციტ მახინჯსა და ხეიბარს, ტყის კანონის რაინდებს, თვალებს რომ მგლურად აცეცებენ, მორჩილსა და ბეჩავს, ციხის უტიფარ „დიასახლისებს" და მიამიტ „ფრაერებს"... არა უშავს, აქ ჩვენ ყველანი ერთი ბედის მოზიარენი ვართ და რომელიღაც ნერტილში აქ ერთი მდგომარეობის ერთიანობა სუფევს, ერთიანობა რკინის დახშული კარის წინაშე. მის იქით შენთვის მხოლოდ ნაგაზების, კონდახების, შეურაცხყოფის ქვეყანა ძევს...

უკან მოვიტოვეთ სტოლიპინკა, სახელდახელოდ დაცარიელებული ბაქნის უნუგემობა და პატიმართა გადმოტვირთვის შემზარავი სანახაობა. სალდათებისა და ნაგაზების ესკორტიტ ეტაპი ციხისაკენ მიემართება.

ყოველთვის მძიმე იყო ეს პატარა მანძილი (მაშ, რა უნდა ყოფილიყო ფეხითი ეტაპები?!) სადგურიდან ციხემდე. ბუნებას თითქოს პირი პქონდა შეკრული ჩვენს მტარვალებთან: ჭრაქი მზე, ქარი და მტვერი, წვიმა, ტლაპო-ტალახი, თოვლი, ყინვა და ძლიერი ქარბუქი. ასეთი იყო ეს რამდენიმე კილომეტრიანი მანძილი. სხვას თუ არაფერს ვიტყვიტ, სულ უმცირესი, ზაფხულში კონიუქტივიტი მძვინვარებდა, ხოლო ყინვა-ქარბუქში კიდე მოზრული ადგილების დაიარება. გზების გასაჭირი ქალებისათვის უფრო საგრძნობი იყო. ჩვენ უფრო ჩახაბაკებული ვიყავით, გარდა ამისა, წესისამებრ, ყოველთვის უკან მოვდიოდით. მამაკაცების მიერ დაყენებული მტვერი ყელს გვიხლიჩავდა, ფეხებქვეშ თოვლ-ჭყაპი იზილებოდა, ბადრაგი და ძაღლები პირდაპირ ზურგში გვეტანებოდნენ.

ვაგონიდან დახუთული გამოდიხარ, მთვრალივით ფეხი გეშლებ. ბალანსირებაში ბარგი-ბარხანა გეხმარება და უზომოდ გტანჯავს, შეჩერება აკრძალულია, ჩამორჩენა მით უმეტეს, ხელს ვერ ინაცვლებ, ბარგიც გადასაყრელად არ გემეტება, მოგაქვს მხოლოდ აუცილებელი. თითოეულ ნაბიჯს განიცდი, მაგრამ შეუძლებელს შეძლებ – უკან კონდახებია, ნაგაზები, „დავაი“, „დავაი“, „დავაი“...

აგერ გამოჩნდა რკინასა და ქვაში ჩასმული ციხე – კუშტი, მრისხანე, მიუკარები. ჩაშავებული უპეებიდან გიმზერს და გყინავს მისი უღიმო მრავალი თვალი. აქ ნაირფერი არასოდეს აცქრიადება, მის გვერდით ჭრელთვალა სახლი არ დაიბუდებს... მაინც გიზიდავს შავი სავანე, ცოცხალტ სამარხში შვებას მოელი, თითქოს

ლონე მოგემატა. ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ... მაგრამ პატიმრისათვის იქ შესვლაც ვაებისა და შეურაცხყოფის მძიმე ხვედრია.

-ჩაცუცქულა, რადგან დგომა და მოძრაობა აკრძალულია, პატიმართა ნახირი, ჩაცუცქულა და უცდის, ვიდრე გაიღება ალაყაფის კარები, ვიდრე საბუთებს ჩაიბარებენ, ვიდრე დაგთვლიან და კიდევ დაგთვლიან, ვიდრე ნაღდ საქონელს ფორმულიარებით შეგამონმებენ, შეცდებიან და თავისი უილაჯობით გახვევებულნი ბრაზიანი ძაღლებივით დაგერევიან.

ცოტა კიდევ, ორი ნაბიჯი კიდევ და უსასრულო ლოდინიც უკან დაგრჩება, უსასრულო გზებიც, გარე ქვეყნის მიჯნაც, იმ საშინელი „არაშენის“, რომელიც შენტვის მწვეარ-მეძებრად გადაქცეულა. აღარ შეგიძლია? ან რად უნდა შეძლო?! ადამიანთა სიიდან ამოშლილი ხარ, ხვალაც საქონელი იქნები უმდაბლესი, ვიდრე გაუძლებ და მერე ფეხზე ნომერს გამოგაბავენ და ძაღლის ლეკვივით ორმოში გადაგისერიან. მაშ, გათავდეს ყველაფერი, აი, აქ დაეცემი და, დე, რაც უნდა მოხდეს! მაგრამ არა! ნამოგადგებენ და შენც ნამოდგები, რადგანაც ნაწილი ხარ ჯოგისა – მეობა გამოშიგნული, ნება ამოცლილი, განუყოფელი ნაწილი. ამ ჯოგში ქმედობის და გამძლეობის რალაც სხვა კანონები ბატონობენ, ჯოგური ინერციის, ინსტიქტების, ბრძანება-მორჩილების მძლე კანონები. ადამიანური და საზოგადოებრივი ნორმატივების გარეშეა ეს უკაცრიელი ყოფა, იგი ამ უტეხ სალტებშია გადაგრული. თავმოძულებული, ცოცხალმკვდარი, ხო, მკვდარიც კი ადგები და ნახირს გაჰყვები, დიახ, მკვდარიც-მეთქი!

აგერ ორ ტუსალს მესამე მოჰყავს. იგი თვითონ მოაბიჯებს, ამას კარგად ვხედავ. ხელები გაშეშებია, შუშის თვალებს მეტყველება დაუკარგავს.

ის ხომ მკვდარია! ჩაეულაპარაკე გვერდით მდგომს.

ხო, მკვდარია! -- ყრუდ მიპასუხა დაღლილმა, სულერთია ხმამ.

მაშ, როგორ მოდის?!

ხო, მოდის. ჩაიკეცა, მაგრამ უბრძანეს: „ნინ იარ!“ და ნამოვიდა.

ვახტაზე მისვლისას ხელი უშვეს და ისიც ნამოყირავებული ლოდივით პირქვე დაეცა. მკვდარი იყო, მაგრამ ჯოგის კანონს გაღვანური ძალა გააჩნია. არავის აინტერესებს, ვინ იყო იგი. განა სულ ერთი არ არის?! დაცემული პირუტყვის შესახებ აქტს შეადგენენ, „საქმეს“ დახურავენ და სიიდან ნომერი ამოიშლება. ცხედარს ამ ნომრიან საჭდეს შიშველ ფეხზე გამოაბამენ, უკანასკნელ

ნესს აუგებენ ვახტიორი შეამონმებს ხიშტით დაჩხვლეს და სხვებთან ერთად მერე ორმოში გადაუძახებენ. ჭირისუფალი ნუ ეიებს, ნურას უცდის... ნესი არ არის, აცნობონ, არავინ მიაწვდის საანდერძო სიტყვას, ტიალ ნაცვეთ-ნაგლეჯს, სამახსოვროდ თუ რამ დატოვა...

ბანდიტს, მკვლელს, რომელიც სიცოცხლეს ელექტრონის სკამზე ათავებს, აბა, ვინ დაუქარგავს ადამიანისა და მოქალაქის ამ უკანასკნელ უფლებას?! მაგრამ ბურჟუაზიული სამართლის მონონება უკვე საკმარისია, ამ საბჭოური სამართლის „ბედნიერება“ მოგანიჭონ. ესეც სათქმელია, რომ საბჭოური დასჯის ადგილებში ბანდიტი, მკვლელი და ჯიბგირი ფონს გლეჯა-გლეჯით გადიოდა. ვაი მას, ვინც ამ კატეგორიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ ამის შესახებ თავის ადგილას ვიტყვი.

ამ გაღვანური დენით ვართ შეკრული და გაჩერებული ციხის წინ დღესაც. ამჯერად ყინავს. ჩაცუცქულნი ფეხებს ვაბაკუნებთ, გათოშილ ხელებს მკერდზე ვირტყამთ, ზოგს მოზრულ სახეზე სილის ლანალუნი აუტეხია. ზოგი თოვლით იზელს მოყინულ ცხვირსა და ლოყებს. კონდახიანი სალდათები გარდუვალ წრეს საზღვრავენ, ვეებერთელა ნაგაზები ჩვენკენ მოინევენ და ავად იღრინებიან.

„ძალი ადამიანის მეგობარია“. ეს თქვენ გვასწავლეთ, პატივცემულო მაქსიმ გორკი! კაცთმოყვარე, გულთამხილავი მხატვარი ბრძანდებით და სიყალბეს არ იკადრებდით. მამ, რად გვესევთან ასე ბოროტად ძალღებნი? ჩვენ ხომ... დიახ, დიახ, სწორედ ამიტომ! ჩვენ აყრილი გვაქვს პატივი ადამიანისა და ეს კარგად შეუხმენინებიათ დაგეშილი ძაღლებისათვის.

ჩამოდექით, პატივცემულო მაქსიმ გორკი! მე თქვენთან საქმე არა მაქვს. თქვენი კოპნია, ფაქიზ-ნატიფი ცნებანი ადამიანთა საზოგადოებისათვის არის განკუთვნილი, ასე გასინჯეთ, მისი ფსკერის ნაძირალებისათვისაც კი. ჩვენს მძვინვარე ყოფაში რა ბედენაა ეს სათუთი სამკაულები?! თქვენ კარგად იცით, ვინ არიან ეს „ყოფილი“ ადამიანები, არაფერს ერიდებიან, თუ დრო იხელთეს... ხელყოფს „ყოფილი“ ადამიანი ამ ერთგული „მეგობრის“ ლეშსაც... მოვა დრო, როდესაც... თვით ადამიანის ლეშსაც არ დაინდობს... მაგრამ თქვენ რა საქმე გაქვთ ამ „ყოფილებთან“?! რა შუაში ხართ?! ხელი დაიბანეთ, პატივცემულო მაქსიმ გორკი პილატევე და ჩამოდექით! არ გემართლებით არც თქვენ და არც თქვენს თანამოღვანეებს! ჩამოდექით, მე თქვენთან საქმე არა მაქვს, აი, აქ ჩემს ყოფილ „მეგობარს“ მინდა გაეუხსნორო ანგარიშები:

მეგობარო! შენც იყავი მათ შორის, ვინც გამიკაფა ციხისკენ

გზები. გახსოვს, როგორ გარბოდი თავგამეტებით? გახსოვს, როგორ გესროლეს დიდი კომბალი? მინაზე ზურგით დაასკდი, ჯერ ჰაერში შემოტრიალდი, მერე დაეცი და ფეხები სიმწრით ააფართხალე... როგორ ღმუოდი, როგორ ნკმუოდი... უცნაურად იკლაკნებოდი, შადრევანივით აღმოგსკდა შარდი. შენთან მოვირბინე. თრთოდი, ყოველი ნაკვთი ვერხვის ფოთოლივით გიცახცახებდა. მე ვტიროდი, გეხეოდი და შენც ტიროდი, ნკმუტუნებდი დაოკებულნი, ნდობით, მუდარით, სიყვარულით შემომყურებდი. უცხო იყავი, მაინც გიყვარდი, რადგან შენი ტკივილი მტკიოდა... გახსოვს, ბალღი ვიყავი მაშინ, ცხრა წლისა. შენი თვალები ყველგან თან დამყვება, მეძებს და მპოულობს... რად მიღრენ ავად?! შენ წაგახდინეს, გაგათახსირეს, ცხრათავიანმა როკაპმა გარყვნა უტყვივც და მეტყველიც... ახლა მშვიდობით. შეგხვდები კიდევ...

მორჩა, გათავდა! ციხეში მიიღო მაშერალი ხალხი. მამაკაცებს დაგვაცილეს, გვერეკებიან სანგანყოფილებისაკენ. აბანოს წინა ოთახებში იწყება უცხო ხელების ფათური და მკებენარის ძებნა. თმაჩატილულებს გაკრეჭა მოელით. შემოდიან დალაქები. „ურკები“ იქაურობას ნივილ-კივილით აყრუებენ: ადგილზე გვალირსეთ ჩასვლა, თქვენი დედა და სულიო... თმებთან რა ხელი გაქვთ, თვეობით რომ გზებზე გვანანნალებთ... ქალები სულ უფრო და უფრო ანჩხლობენ. მათი ურცხვი უესტები და „სიტყვათა კონა“ ქალაღზე გადატანას არ ემორჩილება. დამფრთხალი დალაქები იერიშს ვეღარ ბედავენ, ოთახიდან უჩუმრად იკრიფებიან.

1937-38 წლებში შორეული მიმართულებით ჩრდილოეთისაკენ გადიოდნენ და გადიოდნენ დახვერტას გადარჩენილი „ხალხის მტრების“ სპეცეშელონები. მათ შორის „ჩესეირების“ ემელონებიც. „ჩლენი სემიი იზმენიკოვ როდინი“. აქედან წარმოსდგა „ჩესეირი“. პატიმართა ამ კონტიგენტს შემოკლებით „ცოლებსაც“ უწოდებდნენ, ხოლო ასეთ ლაგერებს „უონსკი ლაგერს“ მაშინ ციხის სანსამმართველოს განკარგულებით ქალებს პირწმინდად პარსავდნენ თავებს. ახლახან ოჯახიდან გამოსულ ქალებს საიდან უნდა ჰქონოდათ ტილიანი თმები, მაგრამ ეს სადისტური ღონისძიება აგდების და, ალბათ, საკუთარი „გულმოდგინეობის“ გამოსაჩენად იყო ნავარაუდევნი. მათ კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ: ქალობის ამ ნიშანდობლივობის დაკარგვით თითქოს დაბრუნების გზაც იკარგებოდა. ქრებოდა უკანასკნელი იმედი, სულ უკანასკნელი, რომელიც გულის სიღრმეში მაინც ბუჟუტავდა. თვით ასეთი იძულების უხამსობაში იყო ქალობის წარხოცვა, შეურაცხყოფა, იგი მონა იყო, რომელსაც საკუთარ თმაზედაც არ

გააჩნდა უფლება.

ეტაპის წინ ადრევე დაერეოდნენ ქალებს. ზოგი უძალიანდებოდა და თრევა-თრევით მიჰყავდათ, ზოგი ქვითინებდა, ზოგს გული უღონდებოდა, ან შოკისაგან ქვედებოდა. იყო ნივილ-კივილი, რბევა და ძალმომრეობა. ქალებს ამ სურათის გახსენებისას ჟრუანტიელი უვლიდათ. ასეთია ციხე, ბევრს ითმენ, ბევრს უძლებ და მერე ერთი ნაპერწკალიც კი საკმარისია, რომ ნაღველა გასკდეს.

მართლაც და ქალებს თმა რალას ედარდებოდათ?! მეხივით დაატყდათ თავზე ოჯახის დანგრევა ქმრები უგზოუკვლოდ გადაუკარგეს, რაც გააჩნდათ, ჩამოართვეს და მკერდიდან მოგლეჯილი შვილები უპატრონოდ, უსახლკაროდ, უსახსროდ დააყრევინეს. მერე იქ, საგამომძიებლოში, ინკვიზიციის უბედურებანი, ფანტასტიკურ ბრალდებათა საკუთარ თავზე ალება, საკანშიც გაგიჟებისა და ფეთების ლამეები, როცა მათსავით უდანაშაულო ქალებს დასახერეჭად ისტუმრებენ... ამას გაძლება უნდოდა, გაუძლეს კიდეც და ყოველივე ამის შემდეგ თავის გადაპარსვას განა ასეთი რეაქცია უნდა გამოენჯია?! მაგრამ ეს ციხე იყო და ციხეში ბევრი პარადოქსია.

ლაგერში თუ გაპარსული ქალების პარტიას ჩამოიყვანდნენ, ყველამ იცოდა – ეტაპი თბილისიდან მოდის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მრავალი უმსგავსობა ხდებოდა და ეს სრულიად ბუნებრივი იყო. დამპყრობელთაგან და მათთან თანამშრომლობისათვის მხოლოდ გარენარნი და ნაძირალები ამოტივტივდნენ. კრემლის იმპერიალისტური ექსპანსიისა და ძალმომრეობის სათარეშოდ ქცეული საქართველო ფანატისკოს ძერჟინსკებს ვერ წარმოშობდა. ქართველმა კომუნისტებმა ლენინს დაუჯერეს, მოტყუებული რუსი ხალხისაგან მიტაცებული ხელისუფლების შიშველი ძალადობა ჭემმარიტ რევოლუციად მიიღეს, საშუალო საუკუნეების აღდგენილი საინკვიზაციო სამსჯავრო რევოლუციის უნმინდეს სადარაჯოდ, მაგრამ ოკუპირებულ საქართველოში ძალმომრეობის ავაზაკობა, სიტყვა-საქმის სიყალბე, დამპყრობელთა ვერაგი ცბიერება, ხალხის ფიზიკური და სულიერი განადგურების იმპერიალისტური ხერხები გაასკეცებულად პირდაპირ ცხვირში სცემდათ და მალე გამოფხიზლდნენ. მოძალადეებს მხარში ამოუდგნენ ბნელი ავანტურისტები, მედროვე კარიერისტები, კრიმინალური ნაძირალები და სხვა მისთანანი. თავის ერთგულებას აბა, რითი დაუმტკიცებდნენ რუსეთს, თუ არა ბოროტმოქმედებით?! დიდი ბატონები სწორედ ამ ნიშნით აწინაურებდნენ, სწორედ ამას უწონებდნენ და „არ მოუნონეს“ მხოლოდ მაშინ, როდესაც წვირიანებმა ხელების

შეხოცვა ქართველებზე მოინდომეს.

ასეთი იყო „პიროვნების კულტის“, რაფაეა-რუხაძის, შორეულ აღმოსავლეთში გოგლიძისა და სხვა ქართველების გასამართლების ქვეტექსტი. აქ ახალი არაფერია. „ედინაია, ნედელიმაიას“ პოლიტიკა გუმინ და დლესაც პოგრომშიკების ბნელ ინსტიქტებზე თამაშობს.

გუმილიოვი საბჭოეთის ყველა პოეტს ერთ ჯიბეში ჩაისვამდა. იგი ქართველს არ გაუწირავს. პლესხანოვისა და სხვათა მრავალთა სულიერძ და ფიზიკური განადგურებაც ჩინგიზ-ხანის ღირსეული მემკვიდრის სინდისს მოეკითხება.

რუსეთი ისტორიულად არის ცნობილი, როგორც რუსი ხალხისა და ორმაგად „ინოროდცების“ მტარვალი, როგორც მათი საუკეთესო შვილების დაუნდობელი ჯალათი. თუ არა კრემლის პოგრომშიკები, რომელი მოაზროვნე ანალიტიკოსი, მით უმეტეს, მარქსისტი, ისე გაისულელებდა თავს, რომ რუსეთის ისტორიული მოვლენა ბოლშევიკების პარტიული და სახელმწიფო ქართველი მოღვაწეების ეროვნული თვისებებით აეხსნა.

ქართველების დაუხმარებლად კრემლმა თავი ისახელა: ცხრა მარტის ბავშვთა ტრაგედიით საქართველოში, ჩრდილო კავკასიაში, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ულექით და სხვა ასეთი სისხლიანი ამბებით, თუ არას ვიტყვივით ხელოვნება-მეცნიერების მოღვაწეთა დევნა-რეპრესიებზე, მაგრამ კრემლის ველიკოდერჟავული ფაშიზმის კლასიკური დასასრული ჯერ კიდევ წინა გვაქვს. ვაი ჩვენ, და უფრო მეტად, ვაი მათ.

სხვათა შორის, 37 წლის ნაძირალებში საგრძნობი იყო სომხების ხვედრითი წონა და მათი „განსაკუთრებული“ გულმოდგინება. ამბობენ, რუდენკო სასტიკად აღშფოთებულა, როდესაც აღნუსხა, გვარი თუ არ მემულება, კრამარიანცის საღისტური ნამოღვაწარი. პოზაა და სიყალბე კეთილშობილური აღშფოთება, როდესაც ამას ხელისუფლება გაეალებს. მანამდის სად იყო, ან ახლა რად არ შფოთავს?! განა ადამიანისა და მოქალაქის უფლებანი დლესაც იგივე სამსჯავროს, იმავე დახურული კარებით ფეხქვეშ არ ითელება?! განა ხელისუფლების ბარბაროსობა-უკანონობა დლესაც უსინდისოდ არ იფურჩქნება?!

ხატისოვების ნაშიერნი იმ სახიფათო დღეებშიაც კი ახერხებდნენ სომხურ მზაკერობას. საინტერესოა თამარა დავთიანცის (მიხა კახიანის ცოლი) გადარჩენის ბნელი საქმე. როგორც მან მიაგმო, რეაბილიტაციასთან დაკავშირებით რუდენკოს მისთვის ორი საბუთი წარუდგენია. ერთი დახვრეტის განაჩენისა და

მეორეც განაჩენის სისრულეში მოყვანისა. ამის გამო დავთიანცს დასჭირდა სასამართლოს წესით პიროვნების დადგენის ფორმალობის შესრულება. თურმე გამოძიების დროს, მოულოდნელად იგი თბილისის ჩეკადან ორჯონიკიძის ციხეში გაუსტუმრებიათ და რამდენიმე თვის შემდეგ პირდაპირ ლაგერში. ასეთ „ბედნიერ“ გაუგებრობას ადგილი არა ჰქონია აღნიაშვილის, ყურულაშვილის, ბედიას და სხვათა მრავალთა ცოლების მიმართ. ვინ დახვრიტეს ამ ქალის ნაცვლად, ვისი განკარგულებით და რა საბაბით მოხდა მისი „ბედნიერი“ გაუგებრობით ქ. ორჯონიკიძეში გამგზავრება, ეს არავის გამოუძიებია.

აღსანიშნავია, რომ ქართველებისადმი მას დაშნაკურად ორგანული სიძულელი ახრჩობდა. ცოფებს ყრიდა, რატომ 9 მარტს ქართველების ულელა გრანდიოზული მასშტაბით არ ჩაატარეს. როდესაც შევეუტიე მოიკუნტა.

მაშ ასე ჩემი თბილისიდან გადასახლების დროს ქალების გაპარსვით თავს უკვე აღარ ირთობდნენ, ხოლო პეტროპავლოვსკის ციხეში გაკრეჭისაგან რეციდივისტებმა გვიპატიეს. სწრაფად ვიხდით ტანისამოსს, რგოლზე ვაცვამთ და დეზკამერას ვაბარებთ. მიძვლები თითო-თითოდ მივდივართ. მხარზე ხელის ტყელაშუნით ვილაც გვთვლის. ვილაც საპნის კუბიკებს გვირიგებს. აბანოს მსახურნი პატიმარი კაცები არიან ურკები. ჩვენ მიძვლები მივდივართ, მაგრამ „დავაი“, „დავაი“, „დავაი!“

აბანოში ზოგან შხაპი არ ფუნქციონირებს, დანარჩენს ციხის „დიასახლისები“ იმარტოხელებენ. აბა, მიეკარე! ცხელი წყალი უკვე შემწყდარია, ცივს თუ ერიდები, გასაპნული გამორბიხარ. მეც ციხის მკვიდრი ვარ, წამის ფასი კარგად ვიცი. ურკამ სისუსტე არ უნდა შეგატყოს, შედავებაც არ შეიძლება, იგი გაჯობებს, მისთვის ყველა საშუალება თანაბრად მისაღებია. დამარცხებას და გამახსოვრებს და აბუჩად ავიგდებს. თავდარწმუნების სიმტკიცე დიდებული იარაღია, უნდა მოიქცე მშვიდად, უყოყმანოდ. თვალებით ზემოქმედების რეფლექსები ხომ პირდაპირ საოცარია. თუ არ შეგაპინა, თვითონ შემინდება. როგორც ყველა ლაჩარი, ურკა თავხედი და უტიფარი, ამიტომაც იოლად იჯაბნება.

ყველაფერს ვასწრებ, სხვასაც ვეხმარები. ახლა საიერიშო აბანოს მეორე გარე ოთახია (პრედბანიკ). იქ ხროვად ყრია ჯერ კიდევ ცხელი ტანისამოსი. ტრუსის, „დამწვარი“ სიბინძურის სპეციფიკური სიმყრალეა. ვინც ბენვეული არ გადაძალა, ხელში ტყავილა შერჩება. სწრაფად უნდა მონახო შენი რგოლი. აცმა საკმაოდ შეთხელებულა, ურკებს დაუსწრიათ, ზოგი რამ „უსესხებიათ“, მაგრამ

ვის რა ეკითხება? „დავაი“, „დავაი“, „დავაი!“ და გარბიხარ ზოგჯერ უწინდებოდ, ზოგჯერ უკაბოდ...

კიდევ ერთი ჩხრეკა. მოხერხებულად აპარებ თიხის ნატეხი-დან გაკეთებულ დანას, შემორჩენილ ნემსს და ციხის „რობიზონადის“ სხვა ფასდაუდებელ ნაწარმს. ბარგი-ბარხანის უმეტეს ნაწილს შემნახველი კამერა იბარებს. ახლა უკვე მზადა ხარ საკანში შესასვლელად.

ბინდია. დილეგის გრძელი და უსიამოვნო ცივი ტალანებით მიჰყვები ზედამხედველს: მიხვეულ-მოხვეული, გულსაკლავად ერთნაირი, ყრუ, ჩაკეტილ-ჩარაზული კარებებით. ნესტის მომწვანო ხაოთი გადაკრული რუხი კედლები, ქვას რომ ხელი ახლო, ასეული წლების ნალექი ტენიანი წვირე აგყვება. გარედან კორპუსების განლაგება რუსული E-ს კონფიგურაციისაა. ასეთ ციხეებს „ეკატერინკებს“ უწოდებენ. რუსეთის იმპერატორები და მათი დიდი მოურავები სახელის უკვდავებას გალია-დილეგებშიც იმკვიდრებდნენ... საქართველოში თავისუფლების დასაცავად აგებულ ციხესიმაგრეებს ხალხი თამარის ციხეს უწოდებს...

უიმედობად ჩანვა და ალიბეჭდა გულში საუკუნოვანი დილეგის პირქუში კედლები და აღარ იცი, რა გირჩევნია საეტაპო გზების ტანჯვა-წვალება თუ ეს ტიალი უიმედობა. ზედამხედველმა კარი გააღო. საკნის დახშული სუნი და ოხშივარი სახეში მეცა. კარების ჩარჩოში უცნაური პანორამაა: ბინდ-ბუნდში მატლებივით ირევიან ნახევრად შიშველი სხეულები. ნარები და იატაკი პირნმინდად დაფარულია მოფუსფუსე მატლების თუხთუხით. უნებურად უკან დავიხიე. ზედამხედველმა ჩვეული ხელით გაჭედო საკანში ჩამტენა და კარი გამომიკეტა. ადგილზე მიკრული დავრჩი. ფუთაზე ნამოვჯექი და ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოვიღე. აქეთ-იქით შიშველი მკლავები წამოიშალნენ. საკანი თითებგამლილი ხელების ტყედ გადაიქცა: მომე პაპიროსი!.. მეც მომეცი, მეც, მეც, მეც... -- მრავალ ხმაზე ახმაურდა ტყე. ზოგის ხმა დამუქრებული ბრძანებაა, ზოგის მათხოვრის ღრეჯა, ზოგს კი ახლაც არ დაუქარგავს ჩვეული თავაზიანობა და მორიდებული თავაზიანობითა და მოუთმენლობით ჟღერს.

აყაყანებულ საკანს თვალი მოვაღვე. უკმეხი ბრძანება ნარებიდან მოდიოდა, მოკრძალებული მუდარა იატაკიდან ისმოდა.

დეკლასირებული ბოგანო ნაძირალები საკანში გაბატონებულ „წოდებას“ წარმოადგენდნენ და უპირატესი ადგილები ნარები მათ ჰქონდათ მიტაცებული. იატაკზე განუკითხავად დაჯაბნილი ორმოცდათერთამეტმუხლიანი „ინტელიგენცია“ სახლობდა. ძირს

მობინადრენი შეშინებული ცხვრის ფარასავით შექუჩულიყვნენ, ირგვლივ მგლები სართულის ავცია მტაცებლები დათარეშობდნენ, „ძლიერის უფლებას“ ცხვრების ღრენა-კბენით იმტკიცებდნენ. ეს გამახატავდა გარე ძალთა განწყობილება-მიმართულებას. რუსეთის რევოლუციამ თავისი ინტელიგენცია პირნმინდად „პადლეცებად“ მონათლა და აქცია კიდევ. „პადლეცის“ ეტიმოლოგია სიტყვა „პადვლიდან“ მოდის. ველურმა რევოლუციამ არ დაინდო, ანუ ვერ გამოიყენა საუკუნეებით ნანრთობი კულტურული ძალა და ღონე ხალხისა, მისი აკუმულირებული, კონდენსირებული გონებრივი და ზნეობრივი ენერგია, როგორც ნაგავი, სანაგვეში გადაუშვა.

სიტყვა „ინტელიგენცია“ ციხეში საგინებელი სახელია. აბა, ურკას აკადრე: მე შენ გიჩვენებ „ინტელიგენციას“, შენი დედა და სულიო... მასწავლებელი მიაბობდა, რომ რევოლუციის პირველ ნლებში, შემონმებისას, კომისარმა მუქარით დაასკვნა: მაშ, ინტელიგანცია ყოფილხარო. ჩაპაევი ვეტექიმად ტლუ გლესს ანინაურებს და ა.შ.

ანეკდოტი: როგორ მიცანით? ეკითხება „გენერალმა“ ექიმს, „პო მეხამ?“.

არა! პასუხობს ექიმი, „პო უხამ!“

საკმარისად დამახასიათებელია ჩვენი „ნუვორიშების“ საზოგადოებისათვის. ჭინჭები, შეკნაჭული თმები, ბუერას თმა-ვარცხნილობა, პრიალა ჯოხებით და შუშებით დახუნძლული ბინები, ევროპის მოდების ბრმა, უგემოვნო გადმოლების ფსიქოზი კულტურის უპირველესი საზომი გახდა. გაბატონებულა, ტონის მიმცემია ნუვორიშების ფსიქოლოგია, რომლისგანაც თავდახსნილს იშვიათად თუ ნახავ ვინმეს. ჩვენი კულტურისა და ცხოვრების ჭირ-ვარამი ილიას სახლისაკენ იზიდავს მონინავე საზოგადოებას. დღეს ჩვენი დროის „მონინავე“ საზოგადოება გ. აბაშიძის სახლისაკენ მიისწრაფოდა, რომ მისი ბინის ახლად შეცვლილი მოდური ავეჯი შურიანი თვალით დაეთვალეირებინა.

საზოგადოების საშუალო დონე გონებრივი და ზნეობრივი დაცემის მაგალითია, რომლის პარალელები ჩვენი ცივილიზაციის ადრიან პერიოდებში უნდა ეძიო. ზოლას ბრწყინვალე ტილოები თითქოს ჩვენი დროისათვის ყოფილა დაწერილი. საბჭოეთის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული „მიღწევანი“, სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ჭაობი დღეს უკვე ბრმებისთვისაც ნათელყოფს სოციალ-დემოკრატიის მარქსისტული აზროვნების სიმართლეს ლენინის პოგრომპჩიკული, კონტრრევოლუციური

ოქტომბრისადმი. რუსეთმა, სხვა მრავალ ბოროტებასთან ერთად, თავისი პროგრესული ინტელიგენციაც ხალხის ამგვარ „პადლეცებად“ აქცია, ანდა კომფორტული ზედა სართულების ნამდვილ „პადლეცებად“, რომელნიც დღეს ჩვენი საზოგადოების მესვეურებად გვევლინებიან.

ციხეში იატაკსა და ნარებს შორის ანტაგონისტური განწყობა პიპერტროფიული ანარეკლი იყო გარე ქვეყნის სულსკევეთებისა და ძალთა შეფარდებისა. ბევრჯერ მინახავს და განმიცდია ამ განწყობის დრამატიზმით აღსავსე შედეგები, მაგრამ ამის შესახებ თავის ადგილას ვიტყვი.

პოლიტპატიმრებისა და სისხლის დამნაშავეთა გათანაბრება-გაერთიანებაც ბოლშევიზმის ბარბაროსობა იყო. თვითმპყრობელობის რევოლუციონერთა მძიმე ბრძოლით მოიპოვეს პოლიტპატიმრების სტატუსი. საბჭოეთის პენიტენციარისტებმა მათი დაუნერეღი, პრეცედენტული უფლებანი ძირფესვიანად მოსპეს და პოლიტპატიმრები მრავალმილიონიანი ურკების ლეგიონებს პირში მისცეს. ამ არაადამიანობის მასშტაბების წარმოდგენა გამოუცდელისთვის ყოვლად შეუძლებელია. ინგლისის გამოჩენილი პენიტენციარისტი (გვარი არ მახსოვს) ამბობს: ციხე ერის კულტურის უტყუარი ბარომეტრიაო.

პეტროპავლოვსკის საპყრობილედ ტიპური იყო. ალღოს აღება არ გამჭირვებია. ბლუჯად ამოვიღე კოლოფიდან პაპიროსები და აქეთ-იქით ვისროლე. ზოგს კონვეიერით გადავანოდე. ტყე არ შეთხელებულა.

— მეტს აღარ მოგცემთ! -- ვთქვი და კოლოფი დავხურე, სადაც ყველას დასანახად ორიოდე პაპიროსი ჩავტოვე, ეს მე დამჭირდება, — დავძინე მშვიდად და პაპიროსს მოვუკიდე. მტკიცე სიმშვიდემ თუ მშვიდმა სიმტკიცემ საკანზე შთაბეჭდილება მოახდინა. იგრძნეს „ჩაგრულთა“ ფენას არ ვეკუთვნოდი, თუმც ჩაცმულობა და იერი იატაკის მოსახლეობასთან ნათესაობას ამკარად მიმტკიცებდა.

„ჩაგრულებმა“ ღიმილი შემომამპარეს. აქეთ-იქით მიინ-მოინიეს და მეც ჩემი ფუთით ფრთხილად გავყევი ვინრო ბილიკს საკნის შუაგულისაკენ. მოპირდაპირე კედლის ძირას ჩაბუდებულმა ჭალარა ქალმა მონვევის ნიშნად ხელი დამიქნია. მეც გეზი მისკენ ავიღე.

ვერა ივანოვნა ტიმოფეევა კამჩატკიდან მოდის. მისჯილი აქვს, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი, შრომითი გამასწორებელი ლაგერის ხუთი წელი. იგივე ვადა აქვს მის მეზობელს ბარონესა გრევენ-

იცს. გუშინ ეს ორი ქალი მოსისხლე ბანაკებით იყვნენ დაპირისპირებული, დღეს კი ერთ ქვაბში იხარშებიან. ვერა ივანოვნას წარსულში 1905 წელია, დევნა, პატიმრობა, თავდადებული საერო მასწავლებლობა და სხვა ფარული და აშკარა საზოგადოებრივი საქმიანობა. ბარონესა დამარცხებული წოდების ნაბოლარაა. ბარონ გრევენიცი რუსეთის უკანასკნელი იმპერატრიცას გერმანიიდან სადედოფლო წამობრძანების ბრწყინვალე მაყრიონის მონაწილეა.

შეიღმა უნდა ზღოს მამისა და თავისი წოდების ცოდვანი, ასეთია რევოლუციის უღმობელი კანონი! ამბობს ბარონესა და ფილოსოფიურად ურიგდება თავის ხვედრს, მაგრამ თქვენ რატომ... ჩემთან ერთად? თქვენ ხომ რევოლუცია გინდოდათ?! გვეკითხება იგი თავაზიანი ირონიით.

უნაყოფოდ ტყვეს ვერ აჩეხავ! თავგამოდებით პასუხობს ტიმოფეევა, რუსეთი გაუტეხელი ყამირი იყო, ახლა ნახეთ, როგორი ძვრებია, რა დიდი გეგმები, საქმენი. მთელი ხალხი ამოძრავებულა. იგი ისტორიას ქმნის.

თქვენ ისე გულმოდგინეთ ცდილობთ, რომ ვშიშობ, ტყე მთლად ნაფოტებად არ აქციოთ! საუბარში ერევა პოლონელი ქალი ნიკა კრუკოვსკა.

ახალი ცხოვრება მდიდარია, ნაფოტებს არ შეიმჩნევს! მიუზრუნდა მას ტიმოფეევა, ეკლესიას ღვთის ტაძრად ვსახავდი, იქ კი, სამლოცველოს ერთი კუთხე ქათმების ძვლებით იყო გამოტენილი. ცხოვრება ამა ქვეყნის ძლიერთა ოინბაზობაა და თქვენ კი წყალნაღებელი მეოცნებე, ჩემო ძვირფასო ნაფოტო... ამბობს ბარონესა. ეტყობა, გაუთავებელი დავაა მათ შორის. ასე იცის საეტაპო ციხემ ფიქრისათვის, მსჯელობა-კამათისათვის დრო თავზე საყრელია.

აბა შეხედეთ ამ ნაძირალებს, სიტყვა ჩამოართვა კრუკოვსკამ, სხვას ვერაფერს ვიტყვი, თქვენისთანების „განაფოტება“ წვიმასავით ამრავლებს ასეთ შხამიან სოკოებს. თქვენ ციხეში ნამოგიყვანეს და უკან ასიათასობით ამისთანა ნამოგყვა, ხელს ნარებისკენ იშვერს, გაზეთებში როგორ წერთ? წუნდებული, ჩამოსაწერი ნარჩენი, ამას არამწარმოებლურ დანაკარგებს უწოდებთ, არა? კმ... წუნი თუ ასე მოგძალეობიათ, ტექნოლოგიაში არცთუ ყველაფერი რიგზე გქონიათ.

აი, ეს უკვე სტატისტიკური შეფარდების უტყუარი მაჩვენებელია, უხარია ბარონესას, მაგრამ, მაპატიეთ, თქვენ არ გიყვართ სტატისტიკის გახსენება, ეშმაკურად ილიმება იგი. ვერა ივანოვნაც იცინის. ოცდახუთი წლის შემდეგ ერობის ტრადიციებ-

მა ტიმოფეევას რაღაც სტატისტიკური გაყალბების წინააღმდეგ პროტესტი უკარნახა. თავიდან მოიცილეს, ლენინგრადიდან კამჩატკაზე მასწავლებლად გაამწესეს და მერე ოცდაჩვიდმეტი წლის სტიქიონებმა იქ მიუსწრო.

აჭარბებთ, ნიკა! ამბობს ვერა ივანოვნა, დიდი ისტორიის თვალსაზრისით ეს ყოველივე უმნიშვნელო წერილმანია, რევოლუციის აუცილებელი დანაკარგი.

რევოლუცია ნგრევას არ ნიშნავს მხოლოდ, გაბრაზდა ნიკა, იგი კონსტრუქციული გარდაქმნებია, ახალი მყოფადისათვის საძირკველის ჩაყრაა. საუკუნის მეოთხედი განა არ გეყოთ? მაგრამ თქვენ დღესაც გააფთრებული ნგრევის მეცხრე ზვირთში ხართ, თქვენ დღესაც „ნაფოტი“ ხართ, ესენი კი უმნიშვნელო „წერილმანი“, ხოლო „ნაფოტი“ და „წერილმანი“ მილიონები და მილიონები. თუ მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით არა, თავისთავად ნუთუ თქვენთვის უმნიშვნელოა მილიონების უბედურება?! მაშ, რა არის მნიშვნელოვანი? ხვალინდელი აბსტრაქტული ადამიანის აბსტრაქტული ბედნიერება?! მერე და რად გჯერათ, რომ ხვალინდელ ადამიანს ჩვენზე უპირატესი უფლება აქვს ბედნიერებაზე?! თქვენ, თქვენ კი არ გაქვთ ეს უფლება?!

რას ამბობთ, ნიკა, მომავალზე ზრუნვა პირუტყვმაც იცის. ეს ბიოლოგიის კანონია.

ბიოლოგია შორს ნაგვიყვანს. თვითდაცვააც ბიოლოგიაა. ამას რად ივიწყებთ? მაგრამ „ქერა ნადირის“ ნახტომი და „ძლიერის უფლებაც“ იქიდან მოდის, ნურც ამას დაივიწყებთ. უმჯობესია ბიოლოგია ბიოლოგებს მიანდოთ, როდესაც ადამიანთა საზოგადოების შესახებ გესურს მსჯელობა. მომავალზე ზრუნვის ტვირთი სამართლიანად უნდა ნაწილდებოდეს და ერთი თაობა ასეთი ველური გამეტებით მეორეს არ უნდა ენიერებოდეს. მერე და როგორ! ბედის გამრიგე ღმერთები თქვენთან ლანირაკები არიან. თვით ზევსის უზენაესობას სხვა ღმერთები ალიმიტირებდნენ. ქრისტიანულმა ღმერთმაც ვერ გაუძლო თავის უზენაესობას. იესო, ღვთისმშობელი თვითმზღუდვის რეგლამენტებია. აქ კი განუკითხავ უფლებამოსილებას არავენ და არაფერი საზღვრავს. რუსეთ-გერმანიის ტოტალიტარიზმი ევროპის ცივილიზაციაში შემოიჭრა, როგორც აზიური ციკლონი და, როგორც ასეთმა უნდა გაიაროს კიდევ.

-- კი მაგრამ, მტერი რომ თავზე დაგვესხას, განა ჩვენი თაობა სამომავლო ბედნიერებისათვის არ გაინირება? ისევ დაუბრუნდა ვერა ივანოვნა სადავო პირველ დებულებას.

ომი ფორსმაჟორია, საგანგებო მდგომარეობა, უცბად

აენიო ნიკა, თითქოს ხელი ნატკენ ადგილას მოახვედრეს, როდესაც ომი თავდაცვაა, იგი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაა საკუთარი მყოფადის შენარჩუნებისათვის სწორედ ასეთ ძალთ-მაცხოვნეთა წინააღმდეგ, შორეული იდეალებით რომ ინიღბებიან და თავის თავს ჭეშმარიტების მონოპოლისტებად რომ აცხადებენ, სიცოცხლეს ვერ დაიბრუნებ, ისევ თავისი მსჯელობის ძაფს იწყვე ნიკა, ბედნიერება კი ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა. კარგად უთქვამს კოროლენკოს, რომ ადამიანი ბედნიერებისათვის არის დაბადებული, როგორც ფრთოსანი ცაში ნავარდისათვის... მაგრამ არ არსებობს ბედნიერება თავისუფლების გარეშე, საზოგადოება მონოდებულია იმისათვის, რომ გადაუდებლად, დღესვე შეუქმნას ადამიანს ბედნიერებისათვის ოპტიმალური და გარანტირებული პირობები. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ხალხი თავისი თავის ბატონ-პატრონი იქნება. ვფიქრობ, ეს არის ევროპული ცივილიზაციის სოციალური პირობები. ამ ურყევი პრინციპის საფუძველზე თითოეულ იდეოლოგიურ დაჯგუფებას ფართო შესაძლებლობა ეძლევა იბრძოლოს საკუთარი დოქტრინისათვის, მაგრამ იბრძვის ადამიანური საშუალებებით და არა ძალ-მიმრეობით. ჩვენი სოციალური პრინციპი უტყუარი ეტალონია. მისით უნდა შემოწმდეს თითოეული პოლიტიკური მოძღვრების სიაყვარგე. თუ ბედნიერების საფასურად საზოგადოებას გოჯი-სოდენა თავისუფლების დათმობას თხოვენ, ხვალ ეს გოჯი გალიად გადაიქცევა. ხვალინდელი ადამიანის შორეული ბედნიერებით შეპყრობილი ფანატიკური სწავლება ყოველთვის გაყალბებას განიცდის და მარჯვე ხელში სიცოცხლის მოგუდვის იარაღად იქცევა. ქრისტიანობაც თვითყველფის დოქტრინაა, სამოთხე ალთქმის ქვეყანა. ამას რელიგიურ ოპიუმს ვეძახით და მერე როგორი მზაკვრული თვალთმაქცობით იყენებთ ნაცად შხამებს. მთელი ქვეყანა გააბრუეთ, ამასობაში სისტემა შექმენით რომის ეკლესიაზე უფრო შავბნელი. თქვენ ამახინჯებთ, დაუზოგავად ასახიჩრებთ ადამიანს, საზოგადოებას, სიცოცხლეს და...

გიმეორებთ, აღშფოთდა ვერა ივანოვნა, ჩამორჩენილ რუსეთს მაქსიმალური დაძაბვა მართებს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სახელმწიფოს დიადი გეგმები...

სანარმოო ძალთა განვითარება, სიტყვას აწყვეტინებს ნიკა, ტექნიკის, კულტურისა და საერთოდ, საქმიანობის ყველა დარგის პროგრესი, კერძო კაპიტალის დვრიტაა, მისი ძირეული ატრიბუტი. ამის გარეშე კაპიტალიზმი ვერ იარსებებს, როგორც ვერ იარსებებს ცოცხალი ორგანიზმი ნივთიერებათა ცვლის გარ-

ეშე. მაშ, რა განსხვავებთ კაპიტალისტური სისტემისაგან? თქვენ პირდაპირად თქვით, რომ დააფუძნებდით ახალ საზოგადოებას შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის ახლებური გადანწყვით და პირიქით, კაპიტალიზმის ეს მეორე სასიცოცხლო ატრიბუტი ზედმეტი ღირებულების მითვისება, ანუ ექსპლოატაცია ჩვენი სისტემის ორგანულ თვისებად აქციეთ და მერე რა ხარისხში აიყვანეთ?! კაპიტალისტურ ექსპლოატაციას წინ ელობება მშრომელი მასების ეკონომიკური ბრძოლის, სრულიად ლეგალიზებული პროფკავშირების ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ ორგანიზებული მოძრაობა, აქ კი ექსპლოატატორი სახელმწიფო მთელი თავისი ძალმოსილებით, კანონით და კანონობით, იძულების ყველა ორგანოებით, სადაც უპირველესი ადგილი სწორედ პროფკავშირებს ენიჭება, ემბრიონშივე კლავს ყოველგვარი სახის წინააღმდეგობას. თქვენი დიდი ინკვიზიტორი...

კარგით, გეყოფათ, ნიკა! წამოდგა ვერა ივანოვნა. მეც ავდექი. იგი ჩემ გარშემო აფუსფუსდა:

ვინროდ ვართ, მაგრამ არა უშავს, ჩემ გვერდით მოგანყობო.

არა, ქართველებსაც ძვირად გვიჯდება თქვენ გვერდით ყოფნა! უხერხულობის გასაფანტავად შევეხუმრე ვერა ივანოვნას. ნიკა თანაგრძნობით მილიმის.

ნუ შენუხდებით, ზევით ავალ, კარგად ვეგუები! დავუმატე შემოთვებული ქალების დასამშვიდებლად.

— გოგოებო, აბა, დაიჭით, მანდ ფანჯარასთან მოვენყობი! ავძახე ზემოთელებს და ფუთა ავუგდე.

გადატვირთული საკანი ნამდვილი მალჩობელაა და ფანჯარა დღედაღამ ღიაა. სიცივის შიშით მის მახლობლად არავინ ბინადრობს. მე თბილად მაცვია. ბენვის ქურქი და ქუდი ჩემოდანში ჩავდე და დეზკამერას გადავარჩინე.

ზევით სიხარულის ჟრიაბულია. გრიმსავით ჩამოირეცხა უხამსი კადნიერება, რითაც ურკებს თავი მოაქეთ. ახალგაზრდულმა უშუალოდ იხე მიამიტად გამოანათა, რომ ვერა ივანოვნა კმაყოფილებით იღიმება და ნიშნის მოგებით უყურებს ნიკას, თითქოს შეწყვეტილ დავაში ახალი დაუჯერებელი საბუთი მოიპოვა:

თქვენ მართალი ხართ! ნაამები მეჩურჩულება იგი (თუმცა არც ვიცი, რატომ ვარ მართალი). ალბათ, იმიტომ, რომ ძვირფას მასალას ასე არამწარმოებლურად აფუჭებენ და აჩანაგებენ, მაგრამ ფანატიზმს ლოგიკა არ გააჩნია.

გოგოებს ყველაფერი ახარებს ის, რომ მარტომ გავბედე

მათთან დასახლება, რომ ფუთა სრული ნდობით გადაეცეც (ეს მთავარია), რომ თბილად მაცვია და ფანჯარასთან საფრად ვიქნები, ერთი სიტყვით, რომ ადამიანებად მივიჩნიე და არა გარიყულ ნაძირალებად. რა თქმა უნდა, უკვე გეგმავდნენ, როგორ დაეთრიათ „ფრაერის“ საკმაოდ მოზრდილი ფუთა, ახლა კი სიგელივით ჩაიბარეს. ფანჯრის წინ ადგილს უსუფთავებენ, კრიახობენ, გულმოდგინეობაში ერთმანეთს ეცილებიან. მოკრიალებულ სასთუმალთან ფუთა „დაასვენეს“, დროგამოშვებით თვალს მაპარებენ, შიშობენ, არ გადავიფიქრო. ზურგით ვზივარ და ყოველივე ამას ვერა ივანოვნა მენურჩულება, რომელიც მათ შეუმჩნევლად უთვალთვალებს. ვსაუბრობთ, ასვლას არ ვჩქარობ. ვგონებ, ესეც უხარიათ, რადგან ამგვარი საქციელი მათდამი ნდობაზე მეტყველებს.

ტიოტია! (უკვე ტიოტიაც ვარ) ამოსულიყავით, გენახათ მაინც, ვაითუ გაცივდეთ... არ ისვენებენ გოგოები.

საკნის შემადგენლობა, როგორც ყოველთვის, საეტაპოში მეტად ჭრელია. მრავლად არიან პოლონელები. პოლონეთის მინა-წყლის უსინდისოდ ნაგლეჯის შემდეგ ხალხი აყრილი ფუტკარივით დაიძრა. ფაშიზმით ზარდაცემული პოლონელების საკმაოდ დიდი ნაწილი, ისევე როგორც პოლონეთის ებრაელობა, გაოგნებული, საბჭოთა ოკუპაციის ზონას მოასკდა, მათ გარდა, ვინც ოკუპაციის ზონის ბინადარი იყო. ჯეროვნად დახვდნენ, ყველას „აღსარება“ ათქმევინეს და გასავათებულ „ჯაშუშ-დივერსანტებს“ გამასწორებელი ლაგერის სხვადასხვა ვადები სეფისკვერივით შეაგებეს. ასეთი „ზიარების“ შემდეგ შეშინებული ტყვე-ლტოლვილები ნაცვლად კონცლაგერებში ინტერნირებისა, ჩვენთან და ურკებთან ერთად უცდიან „ათას ერთი ლამის“ შემდგომ განვითარებას. გაფაციცებით მეკითხებიან:

რა არის შრომითი გასწორების ავან-ჩავანი? კატორღა ხომ არ არის?

მაგრამ ლაგერისა და შრომითი გასწორების ტექნოლოგია არც მე გამეგება.

ლტოლვილები უმონყალოდ დაარბიეს. ყველას ნამოულია ცოტა რამ, რაც ხელში მოხვედრია საათი, ბეჭედი, ტანისამოსი და სხვა, ალბათ, ცოტაოდენი ვალუტაც. „ზედმეტი“ ბარგისაგან „გაანთავისუფლეს“. ჩხრეკა-გამოძიების შემდეგ, განაჩენის მიხედვით, ზოგს „ქონება“ კონფისკაციით ჩამოართვეს, ზოგმა ქვითრები

* ფრაერი სისხლის სამართლის დივერსიის ობიექტი.

მიიღო, ზოგიერთისთვის მიცემა „ავინყდებოდათ“, რაც შერჩათ, ურკებმა გაუჩანაგეს.

უცნობი სამყაროს ბარბაროსული გზებით მოდიოდა რუსეთს უკვე გადაჩვეული პოლონელი ხალხი. მათ არც მზრუნველი გააჩნდათ და არც ქომაგი. საერთაშორისო კონვენციები პირატებისათვის ლიტონი სიტყვა იყო და ძალმომრეობა სვე-ბედის გადამწყვეტი.

ვინ არ ნამოელ ომის ნიაღვარს: მუშა და ქედმაღალი არისტოკრატი, მენერილმანე და მსხვილი ბურჟუა, მოხუცი და ნორჩი, ნაგავი და ერისათვის ფასდაუდებელი გმირიცა და ნურბელაც. თავიანთ ქვეყანაში მრავალი სოციალური ტიხრით გათიშულნი პანიკის ორომტრიალში, ალბათ, მუჯღუგუნებსაც აკადრებდნენ ერთმანეთს, აქ კი ზიზლით და სიძულვილით შეკავშირებულან. მათ შორის ერთობაა და გამტანობა. შეთქმულებივით გამოიყურებიან.

განდგომილნიც ჰყავთ აგერ, ბანკირის ცოლი და შვილი ყველასაგან განმარტოებულან. მათთვის თანაბრად სულერთია ურკაც და პოლიტიკურიც. თავისიანებსაც ერიდებიან, თითქოს საკუთარი სამყაროს შეუვალლობას აქაც ამყარებენ. თუ სიცოცხლე შეინარჩუნეს, თორემ აქ არც არაფერს შეიძენენ და არც არაფერს დაკარგავენ.

ეს მოხუცი ქალი იურისტია, ნარების ქვედა სართულზე ნევის და ილუკმება. პეტროპავლოვსკში გაძლიერებული საავადმყოფო ულუფა იშვიათია - ამ ქალს ესეც მოუხერხებია.

ტიოტია, - უყვირიან ზევიდან გოგოები, კიკის მადლისათვის მოგვიკითხე, მისი სულის შესანდობარი გვინყალობე!

კიკი კატა ყოფილა. ქვეყანას მტერი უოხრებდა, ის კი დაკარგულ კატას მისტიროდა.

რვა წლის შემდეგ ეს ქალი ყაზახისტანის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში, ვოლოდაროვკაში, ვნახე. ჩემი დიასახლისისაგან ადრევე „შავი“ აბანო ექირავებინა და ოთახად ექცია. სამი კატა ჰყავდა - ნალებიან რძეს მათ აჭმევდა, თვითონ მოხდილს შეექცეოდა. ქონით დასიებულ, დაზანტებულ პირუტყვს საათობით უტრიალებდა, ჯამში ცხვირს აყოფინებდა და ნიოკობდა: ვაითუ ავად გამიხდნენ და მადა ამიტომ არა აქვთო. ერთხელ გამიცხარდა: როგორ თუ ბავშვი ავიყვანო, ადამიანის შობილს არ მივეკარები, უმადურები, წვირიანები არიანო.

ამას წინათ, მიყვიროდა, დილით ამდგარიც არ ვიყავი, მიმომ სანოლის წინ დამხრჩვეალი თავგები დამილაგა. ჩემ წინ დაჯდა, პირს ილოკავდა და თვალებით ცხადლივ მეუბნებოდა: შენია,

შენთვის მომირთმევიო.

რუსთაველმა თამარს „ვეფხისტყაოსანი“ მიაართვა, კატამ ამ დედაკაცს დამხრწვალ თაგვები. ყველას საკადრისი ერგება და მაინც რომელიღაც წერტილში თითქოს პარალელები ერთმანეთს ეხებიან. თავდადება ხელმოკლე ქალისა, გინდა-არ გინდა, უანგარობის მწვერვალი და კატა, რომელსაც ვერაფრით მოინადირებ, განდაგან დადის და აგერ, უცნაური ნობათი. შეშლილი გოფმანის გმირები გაცოცხლებულან... გროტესკი იყო, სიმახინჯე, გნებავთ, პათოლოგიაც და მაინც მასშტაბური და საოცარი. ქვეცნობიერის ჯურღმულეთია ჩვენი ცხოვრება... ბნელია, გამოუცნობი, მეტყველიც და უტყვევიც. ნეტავ, ეს ქვეყანა რად იქცეოდა, სიყვარული რომ დაკარგულიყო?

მარიმა ტანწერწეტა ქალიშვილია. თავის მეგობართან ერთად „სურნელოვანი პარაშას“ გვერდით მონყობილა. მისი ფიქრიანი თვალები ყურადღებით იმზირებიან. ცნობილი ქიმიკოსის შვილია. თვითონ პილოტი. მის ხელში ხშირად დაინახავ პანანინა სახარებას. მამაც მორწმუნე ჰყავდა.

პოლონელები დილას ლოცვით იწყებენ. ყველას წამოუღია მინიატურული სალოცავი. კითხულობენ რწმენით და სასოებით.

ღმერთი რომ სწამდეთ, ასეთები აღარ იქნებიან! მტკიცედ ამბობენ ქალები. უღმერთო სამყარომ ზნეობრივი გაველურება დაუპირისპირა მათ ქრისტიანობას, მაგრამ იქ, სადაც სუსტია მოქალაქეობრივ-საზოგადოებრივი სანყისები, ქრისტიანობაც ვერას გააწყობს.

ერთხელ, მორიგი „შპანური“ ექსცესის შემდეგ ზოფია, მარიმას მეგობარი, ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი, ნარების პირველ სართულზე შედგა, ბოძს ხელი ჩაჰკიდა და საკანს მიმართა. ლაპარაკობდა უბრალოდ:

ხვალაც ერთად ვიქნებით. ციხემ შეგვაამხანაგა, მაშ, ერთმანეთი უნდა გავიტანოთ. თქვენ წაგართვეს ყველაფერი, რისი წართმევაც კი შეიძლებოდა: შვილობა, ცოლობა, დედობა, სიყვარული, პატივისცემა, ნდობა, მაგრამ თქვენ ხომ ადამიანმა გმობათ?! ნუთუ სახლში მაშინ ვიპარებით, როდესაც დედა შვილის ცხედარზეა დამხობილი? ჩვენც დაკარგული გვაქვს ყველაფერი: სამშობლო, ოჯახი, საყვარელი ადამიანები, არ ვიცით, ვინ და რა ვიტიროთ... უკან სიკვდილი მოგვდევდა, წინ მახე დაგვახვედრეთ. რატომ? მერე აქ შემოგვრეკეთ, გვჯიჯგნით, უმონყალოდ გვჯიჯგნით... რატომ? ნუთუ ესა ხართ რუსები?!

საკანი დუმდა. ვილაც ჩუმი ოხვრით ითუთქებოდა.

კლემენტინა, ერთი მოყვებით, გამომძიებელმა როგორ შეგიბრალოთ? იცინის ნიკა. კლემენტინასაც ელიმება.

ერთხელ, ყველა იგი თავისი ჩიქორთული რუსულით, გამომძიებელმა დიდხანს მიყურა, თავი გააქნია და სინანულით მისახრა:

შენისთანა „ბ...“ ჯერ არ შემხვედრია...

ვიფიქრე, მოლბა-მეთქი გამომძიებელი, შეყვცოდე-მეთქი. სახეზე ხელი მოვისვი და მაღლიერმა ვკითხე:

ნუთუ ასეთი ბლიადა ვარ!

გამომძიებელი აჭიხვინდა და ტელეფონს ეცა. მალე ოსახში სამხედროები შემოცვივდნენ:

აბა, გაიმეორე, რა ხარ?!

ძალიან ბლიადა ვარ, თუ თქვენც შეამჩნიეთ! უკვე შეშინებულმა გავუმეორე.

ბლიადი ყოფილხარ, ბლიადი, ნუ დაუქარგავ, ოქმში ჩაუნერე, თუ ღმერთი გნამს! ხარხარებდნენ ახალგაზრდა „ჯენტლმენები“. მიეხვდი, რალაცას მაიმუნობდნენ და ცრემლი მომერიო. მერე საკანში ამიხსნეს, რაში იყო საქმე. თურმე პოლონელები ფერმიხდილს ბლიადას უწოდებენ.

თქვენი ქარხნის ნაწარმია და, რა თქმა უნდა, პირველხარისხოვანი, თორემ კანონის დამცველად როგორ გააგზავნიდით?!

ღრძოდ ეუბნება ნიკა ვერა ივანოვნას. ტიმოფეევა თავდახრილი ზის.

კლემენტინა 28 წლის ქალიშვილია და, როგორც მრავალი მისი ტოლი, 5-6 წლის დანიშნული საცოლეა.

მერედა რას უცდიდით? ვეკითხები მე.

როგორ შეიძლება, პროშე პანი, ოჯახს მონყობა უნდა, შვილების აღზრდას ნორმალური პირობები, ბოგანო ხომ არა ვარ, პროშე პანი! გაოცებული შემომყურებს კლემენტინა და თითქოს იმონმებსო, ნიკას უყურებს. პოლონელებისათვის ნიკა ავტორიტეტია და, ვგონებ, უყვართ კიდევ.

ნიკა კრუკოვსკა სამართალმცოდნეობის კათედრის მეცნიერი მუშაკია. პოლონეთის ჯიბგირული განაწილება-დარბევის დროს მოსკოვში ყოფილა პოლონეთის საელჩოს დიპლომატიურ კურიერად. უფლებები აუყრიათ და გამოძიების ინსტრუქციების შემდეგ ჯაშუშობის ბრალდებით ციმბირში გამოუსტუმრებიათ. ქმართან გაყრილი ყოფილა, მეგობრებად დარჩენილან, ქალ-ვაჟი მის იმედად დაუტოვებია ვარშავაში. 32-33 წლის პოლონურად ელეგანტური ქალია. რუსული ჩინებულად იცის. უზომოდ აოცებს და

აბოროტებს საბჭოური ძიება-მართლმსაჯულების უმსგავსობანი.

უდანამაულოების პრეზუმციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, პირიქით, გამომძიებელი არ არის ვალდებული, დაგიმტკიცოს დანამაული, რა ბრალდებასაც უნდა, ნამებით მიგალებინებს.

არც თქვენ ხართ გასამართლებული? მეკითხება იგი.

არა, ვეუბნები მე, მაგრამ აქაც აწყობენ საჩვენებელ პროცესებს. რეჟისურას ვერ დაუნუნებ. ბრალდებულნი, როგორც წესი, თვითონვე გამოდიან პროკურორის როლში და მაინც ასეთი გასამართლებაკი გამონაკლისია. მასიური ნარმოება ჩქარ მეთოდებს მოითხოვს. შეგვყრიან ხოლმე კომენდატურაში და როგორც ფილანთროპიულ სამზარეულოში ჩამოგვირიგებენ ე.წ. „ოსობოე სოვესჩანიეს“ გადანყვეტილება-ტალონებს სამი წლიდან დახვერცტამდე.

თუ ჩეკას ანალოგების ძებნას შევეუდგებით, ინკვიზიციაზე უნდა შევჩერდეთ! მხრებს იჩეჩავს ნიკა.

საუბარს ვაგრძელებთ და ვერა ივანოვნას ნერვიული უკმაყოფილების მიუხედავად, ვიხსენებ მთელ რიგ სავეალალო კურიოზებს, რომელიც ასეთ უკანონობას თან ახლავს.

1940 წელს თბილისის შინსახკომის პატიმარი, რომელიც სამი წელიწადი გამოუძიებლად საკანში იჯდა, მისჯას მონყალებასავით ითხოვდა. ჯერ არწმუნებდნენ სხვა ხარო, მერე კი მოსკოვში შეკითხვა აფრინეს სიით დახვერცილი ცოცხალი აღმოჩნდაო. მოსკოვმა კაზუსი მის სასარგებლოდ გადანყვიტა: რალაი გადარჩენილა, სულ გაანთავისუფლეთო. გაუშვეს ბედშავი და მეზობელმა საკანმა ეს ამბავი იმ დღეს კედელზე გადმომიკაქუნა. არა მგონია, ეხუმრათ, პატიმრები გულწრფელად გახარებული მიყვებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, თამარა დავთიანის ანალოგიური საქმე ამ ამბავსაც დამაჯერებლობას ანიჭებს.

გალიტო კვაჭანტირაძის მეზობლად ერთეულში კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი, ცეკას ნევრი მოდებამდე იმყოფებოდა. პირადად ვიცნობდი. ფიზიკურად და ხასიათით მაგარი კაცი იყო. 37 წელს დააპატიმრეს. ახლა კი მის საკანთან ყავარჯნები იყო მუდამ მიყუდებული. კედელზე კაკუნით გალიტოს უთხრა, რომ საშინელ ტკივილებს განიცდის, ვინაიდან ფეხები და მთელი სხეულიც დაღუნლილი აქვს. მიუხედავად სამი წლის წამებისა, ბრალდებანი მაინც ვერ მიაღებინეს, ხოლო საქმეს კი არ ასრულებდნენ. არც საავადმყოფოში გადაიყვანეს, ალბათ, ასე უმონყალოდ ნანამების ჩვენებას გაურბოდნენ. საკანშივე ამოხადეს სული. ამ იშვიათი ვაჟკაცის გზა-კვალიც გაქრა.

ჩემი ამხანაგის მაგულია მამალადის ქმარმა, ფანატიკოსმა კომუნისტმა სტეფანოვმა სასწაულით ცოლს ფარატინა ქალაღის ნაგლეჯი გამოუგზავნა. სწერდა, რომ შინსახკომის ფაშისტური დივერსიის მსხვერპლია და რომ აქ წამებით კლავენ სტალინისა და პარტიის ერთგულ ადამიანებს. ემუდარებოდა, ეცნობებინა სტალინისთვის ეს საშინელი უბედურება.

მაგულია მოსკოვში გადაფრინდა. სტალინის ნაცვლად კალინინმა მიიღო. სისხლით ნაწერი ნაგლეჯიც სტალინისთვის გადასაცემად მან ჩაიბარა. მტკიცედ დაჰპირდა, სასწრაფოდ ყველაფერს გამოვარკვევთო. დარწმუნებული მაგულია თბილისში დაბრუნდა. სტეფანოვი უკვალოდ გაქრა.

თბილისის საკანში ქალი დამხვდა. მოსკოვში ბერიასთან ნასულიყო და იქ ტელეფონით მიღება ეთხოვა, ოდესღაც კარგი ნაცნობობა ჰქონიათ. ქმრის ერთგულებას უსაბუთებდა. ბერია კი იმას ჩასციებია, თუ ვინ გაუმხილა ტელეფონის საიდუმლო ნომერი. ღიმილით დაუიმედებია, ქმარი თბილისის სადგურზევე დაგზავდებო. თამარი ფრენა-ფრენით წამოსულა. სადგურიდან ორმა ჩეკისტმა პირდაპირ საკანში მოაბრძანა. არაფრის შესმენა არ უნდოდა – გაუგებრობა არისო, მაგრამ, როდესაც ლაგერის წელი მიიღო, თავისი ბედუკულმართობა და ან უკვე არა „ჩქიმი“ ბერიას მუსანათობა მეგრული მოთქმით იტირა... ვიდრე არ გაათავა, ძვრა ვერ უყვეს. ვგონებ, მოხიბლულმა ზედამხედველებმა ფეხი ითრიეს. ხატოვნად მოთქვამდა, გულში ჩამწვდომი დამღერებით.

იმავე საკანში ჩვენთან ერთად აბაშელი მონაფე იჯდა, მისი თანაკლასელი კი მეზობელ საკანში. ორივე ლაგერიდან ჩამოყვანათ. მათ ყოფილ გამომძიებელს სხვა დანაშაულთან ერთად იმ გოგოს გაუპატიურებაც ბრალდებოდა. დაკითხვაზე ერთად შეყარეს.

რას ჩამაცივდით, „მოი ჩემოდან, კომუ ხაჩუ ტამუ დამ!“ ასე ცინიკურად უპასუხია იმ გოგოს, ჟიგანურ ყაიდაზე. ლაგერს თავისი წარუშლელი ბეჭედი დაესვა მისთვის. 17-18 წლის გამოუცდელი გოგონები ამ წუმპეს აბა, როგორ გაუძლებდნენ...

ჩემმა თანამოსაკანემ რუსული კარგად არ იცოდა, რუსული გინების „ხელოვნებას“ კი ჩინებულად ფლობდა. დერეფანში გასვლისას ზედამხედველს ისე გაუღიმებდა, რომ გული მიკვდებოდა. აბაშის სკოლის მასწავლებელი დაეხვრიტათ, ოციოდე მოსწავლე კი ლაგერებში გაეგზავნათ. ეს ორი გაათავისუფლეს, დანარჩენ გოგო-ბიჭებს სამშობლოში ჩამოსვლაც არ ღირსებიათ. ჩრდილოეთიდან წამოყვანისას რომელიღაც ზღვაში თუ ოკეანეში ყველა

დალუპულიყო.*

ამას და ბევრ ამის მსგავსს ვუამბობ ქალებს. ვერა ივანოვნა მაინც არ ცხრება, გაუბედავად ბურტყუნებს, რომ ასეთი „ქაოსი“ 37 წელს იყო მხოლოდ.

1929 წელს ბუტირკაში პატიმარი ქალი მოიყვანეს. გაცეცხი-საგან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო. გასავათებული მეკითხებოდა, თითქოს გამოძიების ავან-ჩაევანის რეალობაში უნდა დარწმუნებულიყო:

იცით, რატომ დამაპატიმრეს? თვითმფრინავის გადამაღვინათვის... და მიამბო: ექვსი თვის წინ მეგობრის ოჯახში ერთ-ერთ სტუმარს პარიზში ყოფნა უნატრია, რომელიღაცა გამოჩენილი მომღერლისათვის რომ მოესმინა. ქალს უხუმრია საკუთარ თვითმფრინავს მოგართმევთო. ყველას გაუცინია. გამომძიებელს დანვრილებით სცოდნია მთელი ამ ექვსი წლის განმავლობაში ვის და სად ხვდებოდა, რას ჭამდა და როგორ ეძინა. ბოლოს, როდესაც „ექვსიმოტანლად დაუმტკიცებია“, რომ „ყველაფერი იციან“, მისგან მოუთხოვია:

თვითმფრინავი ვიცით, სად გაქვთ გადამაღული, მაგრამ უკეთესია, თქვენ თვითონვე ჩაგვაბაროთ!

ასეთი ჭრელი, აბდაუბდა ბრალდებებით იყო დაპატიმრებული 50% მაინც.

დაბურული კარები, „Stulus in statu“,** ნალვლიანად შენიშნავს ნიკა.

თქვენც წილი დაგვდეთ. ლენინისაგან ნაკურთხი ჩეკა ძერჟინსკის შემოქმედებაა! შხამი გავეურიე მე.

ერთი კი უნდა ითქვას, ყური არ მათხოვა ნიკამ, საფრანგეთის რევოლუციაც, როგორც საერთოდ რევოლუცია, დაუნდობელი და სისხლიანი იყო, მაგრამ ასეთი მზაკერული, სულმდაბალი და ნამდვილად ლაჩრული სამსჯავრო არა ჰქონიათ. იქ იყო ვაჟაკური სისასტიკე, კულტურა, რევოლუციური ჰუმანიზმის პათოსი. ემაფოტზე დარხეული პანტის ხესავეთ ბერტყავდა გილი-

* პატიმრების ასეთი დალუპვა არცთუ იშვიათი იყო. მარგო ტროცკის დამამბო, რომ მათი გემიც ჩაძირულა და თითქმის ყველა დამხრჩეალა. სასწაულით რამდენიმე პატიმარს და მათ შორის მარგოსაც საშინელ ქარში იალქნებზე ჩამოკიდებულებს გაუძლიათ. იაპონიის გემს უხსნია და გადარჩენილები გადაუცია საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

** სახელმწიფო სახელმწიფოში.

ოტინა მოკვეთილ თავებს, მაგრამ ასამართლებდნენ, დამნაშავე თავს იცავდა ხალხისა და კონვენტის წინაშე, ბოლოს და ბოლოს მას შესაძლებლობას არ უსპობდნენ ღირსეულად მაინც დაეტოვებინა ნუთისოფელი. „დღეს ჯალათი ემაფოტზე ჩემს თავს დააგორებს, ხვალ კი ჩემი სახელი ისტორიის პანთეონში ამობრწყინდება“, ამავად გადასძახა დანტონმა ხალხს, რუსეთში რევოლუციის გამირები ცილისნამების წუშაშუში ამოსვარეს, ნამებით და, ვინ იცის, კიდევ რა ხერხებით გატეხეს, სამარცხვინო ბრალდებათა მიღება და მონანიება გამოსძალეს, მუცელზე ხობვა-ხობვით, ზეზეურად აყროლებულნი ქურდულად საფლავში გადაუძახეს. ისტორიის წინაშე უკანასკნელი სიტყვა ნაართვეს მათ, ვინც მთელი სიცოცხლე ხალხსა და ისტორიის დიდ საქმეს შესწირა, უბრალო ადამიანების შესახებ რალა ითქმის...

ისტორია სახიფათო თემაა, საუბარში ერევა გრევენიცის ქალი, ერთმა თავის სამბნკარიან ლექსში ათი წლის პონორარი მიიღო. 37 წელს დახვრეტა არ ასცდებოდა, მიიხედ-მოიხედა ბარონესამ, Жан Жак Русселя попернул истории карусель. пухляк. не Русселя, а Руссо. Ну так, чтож попернем обратно колесо...

ვერა ივანოვნა იმშუშნება, მაგრამ რა ეთქმის?! ისტორიის მასწავლებლობის მწარე გამოცდილება მანაც იწენია.

ათწლიანი პონორარის მქონე ლექსს კიდევ გეტყვი, ახლებს ბარონესა ტიმოფეევას, ლ. ფეიხტანგერი 37 წელს რუსეთს რომ ესტუმრა, გასუსული დადიოდა, სტალინიც კი მოინახულა, პრესაშიც ცოტა აქო და უკან დაადევნეს:

Стоит Фейхтвангер у двери скромно-скромным шилом. Боюсь, что сей сврей окажется просто жилом...

ანდრე ჟიდის ჩამოსვლა, ვგონებ, თქვენი მწერლებისათვისაც საბედისწერო გამოდგა, არა? მეკითხება ნიკა.

ვიგონებ ტიცინანს, მიხაკოს, ნიკოლოზ მინიშვილს, პაოლოს, რომელმაც თოფის ლულა პირში ჩაიდო და ტვინი მწერალთა სასახლის კედელს შეასხა. მახსენდება ისიც, რომ წინა დღეს პაოლოს ბინიდან გიორგი იაშვილი პირდაპირ ჩემთან მოიჭრა:

გამიგონია „ღრანჭი მოექცაო“, მეტაფორა მეგონა, ახლა კი ჩემი თვალით ვნახე, პაოლოს ყბა მოქცეული ჰქონდა... აღელვებული მიყვებოდა იგი პაოლოს ბერიასაგან დაბრუნების ამბავს.

ლენინმა ჩვენი „მოქცევა“ მოინდომა, კუდიით ქვა ვასროლინეთ. მამაჩემი იტყოდა ხოლმე: უტოპიური ექსპერიმენტის ბაჭიად აქცევდნენ პოლონეთსო, ის კი არ იცოდა, რა კაციჭამია დამპყრობლებს გადაურჩა პოლონელი ხალხი.

„მოქცევამ“ მაინც გინიათ! ვახსენებ მე.

ამაში კი თქვენა გაქვთ წილი, ძერუინსკისათვის რევანში აილო ნიკამ, მაგრამ ეს ქარიშხალია, როგორც ამოვარდა, ისევე ჩადგება. ჩვენ უკვე მტკიცედ ვართ შესული საერთაშორისო ოჯახში. აი, თქვენ კი რა გეშველებათ? თანაგრძნობით მიყურებს იგი.

დავამთავროთ ორმოცდამეთვრამეტე მუხლით გათვალისწინებული „ყბედობა“! ამბობს ვერა ივანოვნა და თავისი ოხუნჯობით კმაყოფილი გულიანად იცინის.

მინდა დამსახურებულად ვქამო სახაზინო პური. გარეთ თევზივით ვიყავი, ახლა მაინც გავემართლო ბრალდება. ისე კი ამით მაინცა ვარ ბედნიერი, რომ 23 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც მელირსა ხმამალა თქმული სიმართლის მოსმენა, კმაყოფილებას გამოთქვამს ბარონესა გრევენიც.

აი, ვის ნისქვილზე ასხამთ წყალს, საყვედურით შემოგვხედა ტიმოფეევამ.

ის ნისქვილი დიდი ხანია მოიშალა, ინყინა ბარონესამ, და სხვათა შორის, ჩემი არ ყოფილა, თორემ ემიგრაციას როგორმე მეც მოვახერხებდი.

ვგონებ, ჩემი მოთმინებაც ამოიწურა:

რეაქცია ბოსტნის საფრთხობელაა და თქვენ მაინც ნუ კადრულობთ ხალხის გულუბრყვილო ჩიტებად წარმოდგენას. ბოლოს და ბოლოს როდისმე ხომ უნდა სცნოთ ხალხი თავისი თავის ბატონ-პატრონად?! ეს ნამდვილად თქვენი რუსული უბედურებაა და მთელი თქვენი ისტორია ამ უბადრუკი, ყალბი მეურვეობის პოზიციებიდან ხალხის ტანჯვის ისტორიაა და სხვა არაფერი. ამაზე უარესს რას მოელით?! გარდა იმისა, რაც ამ სისტემა-პოზიციების შინაგანი ლოგიკით იქნება განპირობებული. ალბათ, თქვენც კარგად იცით, პერსპექტივაში რა ისახება...

ფამიზმი? ფარული შიშით წამოცდა ტიმოფეევას.

ფაშიზმი და ბოლშევიზმი ერთი მედლის ორი მხარეა!

გული მოუვიდა ნიკას, იმ განსხვავებით, რომ ფაშიზმი დაუფარავი, ამკარა მტერია, ბოლშევიზმი კი შენიღბული, ცრუ, ვერაგი და გაიძეკრა. ამაზე უფრო საშიში მტერი პროლეტარიატს არ ჰყოლია და არც ეყოლება. ჩვენ კი, რუსეთის ინტელიგენციას, პასუხისმგებლობისაგან იმაზე, რაც მოხდა, არაფერი და არავინ აღარ გაგვანთავისუფლებს.

პეტროპავლოვსკი ორი კვირა გაგვაჩერეს. ერთფეროვნად ენაცვლებოდა ღამე დღეს და დღე - ღამეს. მორიგეობით, მხარზე

ჯობებგადადებული „მივასვენებდით“ საესე „პარაშას“, ვრეცხ-
ავდით საკან-დერეფნის იატაკს, საპირფარეშოებს და მოუთმენ-
ლად ველოდით თხუთმეტნუთიან სეირნობას.

ოთხკუთხა ეზო ყრუ კედლებში იყო ჩამჯდარი. ზევიდან
ჩრდილოეთის მოქუფრული ცა დაგვეყურებდა, მაგრამ იგი მაინც ცა
იყო. ირგვლივ კი ფანჯრები ჩონჩხის ცარიელი თვალის ღრმულები-
ვით შემოგვეცქეროდნენ გულმემზარავი, უტყვი მზერით და მაინც
უდიდესი ნეტარება იყო ეს თხუთმეტნუთიანი სუფთა, ცივი, გამჭ-
ვირვალე ჰაერი. ვენაფებოდით, ვთვრებოდით, სხეულიც, სულიც,
გულიც ხარობდა. ეს სიამის გრძნობა დღესაც ცხადლივ მაქვს
შემონახული. ქალები თოვლის პატარა გუნდებს აიტაცებდნენ,
თავდავინყებთ ყნოსავდნენ, თითქოს სურნელოვანი ყვავილი იყო
და მერე დაფიქრებული მისჩერებოდნენ, თუ როგორ ნელ-ნელა
ქრებოდა ხელისგულზე მსუბუქი ფიფქი. თოვლის გუნდები საკან-
შიც მოჰქონდათ. აქაც რალაცნაირი სურნელებით იბნიდებოდნენ
და სადღაც შორს მიცურავდნენ.

ურკები ციხის მსახურებთან კინკლაობით ერთობოდნენ და
მიყვებოდნენ, როგორ მივიდნენ ასეთ მდგომარეობამდე („კაკ დო-
შლა ია დო ჟიზნი ტაკოი“). ეს იყო მათი საყვარელი ზღაპრები, რაც
ანმყოს ალამაზებდა, აკეთილშობილებდა. რა თქმა უნდა, ყველა
კარგი ოჯახის შვილი იყო, ბავშვობა ნებიერი ჰქონდათ და საა-
რაკო ფუფუნებით აღსავსე. აქ საღებავებს არავინ ზოგავდა. წინა
გადასახლებიდან „მოგონების“ გმირები იყვნენ: უმაღლესი არის-
ტოკრატია, ულამაზესი დედა, რევოლუცია და ჩეკა. ახლა პროფე-
სორები, დიდი თანამდებობის პირები, ისევ ულამაზესი დედა და
1937 წელი. მოგონილს თვითონვე იჯერებდნენ და გულაჩუყებულ-
ნი ცხარედ იცრემლებოდნენ. ზოგი სინამდვილეს ყვებოდა, მაგრამ
უმთავრესად ეს იყო მათი ტკბილი ნაოცნებარი, მწარე სინანული
ნახდენილი ცხოვრებისა. თითოეული მათგანი უნდა ყოფილიყო
ისეთი, როგორიც ჩვენ. ბედნიერი ბილეთი არ შეხვდათ, თორემ
გაფუჭებული არავინ დაბადებულა. ასე ფიქრობდნენ და თავი
ებრალეობდათ.

მაგონდებოდა ბოგდანოვის აზრი, რომელსაც გარკვეულ ხანს
ლუნაჩარსკიც იზიარებდა: ხელოვნება დუხჭირი სინამდვილიდან
გაქცევაა, წარმოსახვითი ანაზღაურება იმისა, რაც აკლდათ და
რაც მწარედ ეწადათ. ხოლო, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბა სავსებით დასძლევს სოციალურ უკულმართობას, მოიშორებს
პირობითობის სირთულეებს, გახდება მარტივი და უშუალო, ხე-
ლოვნებაც თავისთავად მოკვდება. ლამაზი და ბედნიერი სინამდ-

ვილის განცდა წარმოსახვის საჭიროებას სრულიად გამორიცხავს. შემოქმედება ხელოვნებისათვის გადაინაცვლებს უშუალოდ ცხოვრების შექმნის შემოქმედებაში. არ ვფიქრობ, რომ ეს აზრი სწორია, მაგრამ ხელოვნების ერთ-ერთ ფაქტორად, ალბათ, ასეთი გაქცევაც უნდა ჩაითვალოს, ყოველ შემთხვევაში, გოგონების მონათხრობი პრიმიტიული ხელოვნების სწორედ ამ მიზეზით და ამ სახის ჩასახვას მონშობდა.

ორმოცდამეთვრამეტე მუხლიანები მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ყვებოდნენ რომანებს, ფილმებს, პირადი ცხოვრების ამბებს და მოგონებებით ისევ და ისევ განიცდიდნენ დაკარგული ცხოვრების სიტკობებას. საყვარელი ადამიანების, შვილის გახსენებას ისევე, როგორც მწუხარე ეპიზოდებისას, ყველა გაურბოდა. ეს იყო ციხის ეთიკის, საკანში ერთად ცხოვრების უცილობელი დებულება, რომელსაც შეთანხმების გარეშე, ინსტიქტურად ყველა იცავდა. საერთო იყო განუწყვეტელი დავა-თათბირი მომავალზე და პიპოთეზების ათასნაირი ვარიანტი. მომავალი ყველას აღელვებდა, ადგილზე ჩასვლას ყველა ჩქარობდა.

მოესწრებით წელის წყვეტას და ზურგით თრევას, ვადაში არავინ შეგეცილებათ! გესლიანად იღრინებოდნენ ურკები.

საკნის უმრავლესობას ყარაგანდის ოლქის სალაგერო სისტემის ლაგერი (სახელდობრ, რომელი, არავინ იცოდა) ჰქონდა მისჯილი, ზოგს ხუთი, რვა და ათი წელი. ჩვენ შორის ლაგერში ნამყოფი არავინ იყო და ლაგერის ავანჩავანზე წარმოდგენა არც არავის ჰქონდა... ვეარაუდობდით, რომ ერთმანეთს დაგვაცილებდნენ და ოლქის სისტემის სხვადასხვა ლაგერებში დაგვფანტავდნენ. დაცილება ყველას ადარდებდა. იზოლატორის საკანი მეგობარს გიკარგავს, ეტაპი მეგობარს მოგინახავს. ასეთია პატიმრობის თავისებურებანი (ალბათ, საჭიროა ამის ახსნაც).

ეტაპი პირველად შთაბეჭდილებათა კომპლექსია. თითქოს უღრანი ტყის მიუჩვეელი ბილიკებით მიდიხარ. თანამოეტაპე შენი შემნეა, საერთო ჭირ-ვარამის, უშუალო დაინტერესების უშუალო მონაწილე. სწრაფად ცვალებადი, მოულოდნელი ხიფათების გარემო არ აცლის, უშუალო რეაგირებას მოითხოვს. საერთო ინტერესები ან მჭიდროდ დაგაახლოვებს თანამოეტაპესთან, ან გაგთიშავს. ლაჩარი, ორგული, ოხერი აქ ვერ დაიმალება. გარდა ამისა, როგორც ახლად გაცნობილი, თუ სიმპათიას არა, ყოველ შემთხვევაში, ინტერესს ინვევს და მობეზრებას გამორიცხავს. იზოლატორის საკანი თავისი მონოტონური ყოველდღიურობით, არასრულფასოვანი, უადამიანო ყოფით, რომლის თითოეული წვრილმანი მოსა-

ბეზრებლად ცნობილია, თავის საქმეს აკეთებს. თანამოსაკნეს, როგორც საკუთარ თავს, ისე იცნობ, ენდობი, გიყვარს, ერთად ბევრია განცდილი. შენ წინასწარ იცი, რას გეტყვის, როგორ გეტყვის, როდის გაიღიმებს, როდის მოილუშება. ყოველივე ერთგვაროვანია და ასეა დღესაც, ხვალაც... მზადა ხარ, ინატრო თუგინდ მიწისძვრა, თუგინდ ხანძარი, ოღონდ მოხდეს, რაიმე მოხდეს... მოგძულდება მეგობარი, საკუთარი თავიც...

ვორონეჟის ციხის საკანში ვიყავით მხოლოდ მე და რიმა სარქისიანი. გამოძიება მოთავებული იყო. ერთფეროვნება რეზინასავით გაინელა. გაზაფხული იდგა. რიმა თავისი ქორწინების საღამოს დააპატიმრეს. მისი ქმარი ლეო ვიტკუპი გარეთ დატოვეს (რიმა ქართველი ეგონათ). ხაფანგში მომწყვდეული თავივით ზოგჯერ რკინის რიკულებს ეძგერებოდა ხოლმე. ერთმანეთს კარგად შეეწყვეთ. დაშნაკი იყო, მაგრამ ჩვენს გარემოცვაში მოხვდა, ქმარიც სოციალ-დემოკრატი იყო. თუ ცოლ-ქმარი გადაურჩა ჩვენი დროის ციკლონებს, ვფიქრობ, რიმა დღესაც თავისუფალი იქნება დაშნაკური ზოოლოგიისაგან. მათი გზა-კვალი დაკარგული მაქვს.

საკანი დიდ სულგრძელობას მოითხოვს. როდესაც ბოლმა შემომანვებოდა, კედლისკენ ვიცოდი პირით მიბრუნება. ძალ-ღონეს მოვიკრებდი, გადავლახავდი, წონასწორობას აღვიდგენდი ხოლმე.

თქვი რამე, თქვი... მეხევენებოდა გამნარებული რიმა.

მეც ვამბობდი, მოქმედების ილუზიას ექმნიდი, ადმინისტრაციას ვუხირდებოდი, განვიმუხტებოდი ხოლმე...

დილას პირი დავიბანე, რკინის ფინჯანი სკამზე დავდგი. ამის ატანა რიმას სწორედ დღეს გაუძნელდა. ყოველ დილას ერთი და იგივე, ერთი და იგივე. ახლა თმას შეეისწორებდი. მან ესეც იცოდა, თითოეული მოძრაობა წინასწარ იცოდა. რიმა გიჟივით წამოხტა, ფინჯანი იატაკზე დაანარცხა. არა მითქვამს რა, ფინჯანი მშვიდად ავიღე და კვლავ თავის ადგილზე დავდგი. იმ ღამეს ცუდად გავხდი. ისნტიქტურად კარებისაკენ წავედი და გრძნობა დავეკარგე. როცა გონს მოვედი, გულ-მკერდი და პირ-სახე დასველებული მქონდა. რიმას შეეხსა ნყალი. ჩემ წინ მუხლებზე იდგა, ხელებს მიკოცნიდა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, ბავშვივით მემუდარებოდა:

არ მოკვდეთ, არ მოკვდეთ; მე უთქვენოდ არ შემიძლია! მაპატიეთ, აღარაფრით აღარ შეგანუხებთ. თქვენ ხომ იცით, ძალიან მიყვარხართ...

ასეც ხდება. ზოგჯერ კი, ვიმეორებ, საკანში მეგობარი მეგობარს ჰკარგავს. ეს შეუხორციებელ ჭრილობად რჩება. ამ ტკივილს სიკვდილამდე ვერ მოიძორებ. ასეთები მიწასავს, ხოლო პირადად

არ განმიცდია.

ისევ სტოლიპინკით მივდივართ. როგორც ყოველთვის, არც ახლა ვიცი მიმართულება. ამჯერად გალიაში, ერთი-ორის გამოკლებით, რჩეული კონტიგენტია. ზედა თაროებზე პოლონელი გოგონები მოთავსდნენ, იქიდან მათი მელოდირი ხმების გაუთავებელი ჟღერტული ისმის: იაიკო, მლეკო, მასლო... კულინარული რეცეპტებისა და კერძების მზადების ოცნებაში არიან.

დამშეულები ვართ და მშიერს ისე არაფერი უყვარს, როგორც საქმლის შესახებ სჯა-ბაასი. მაცივდებიან: რას ჭამენ და როგორ ამზადებენ კერძებს საქართველოში? მეც ვყვები, გოგონები იცინიან, ტექნოლოგიის სისუსტეს მიკიჟინებენ. ვერა ივანოვნასაც ნასძლია სულმა. რაღაც კერძის შესახებ მიყვება და ადგილზე ჩასვლისას გაგასინჯებო, მპირდება. ურკებთან მეზობლობამ უქმად არ ჩამიარა – თავი მეფხანება, წვრილ სავარცხელს ვიშველიებ. სათვალეებით შეიარაღებული ტიმოფეევა აქტიურად მეხმარება. ახლაც მოვტყუვდით, ლაგერი ჯერ კიდევ შორს ყოფილა. ჩაგვიყვანეს ყარაგანდაში. ვაგზლიდან ციხემდის ისევ ფეხით თრევის ტანჯვა. მადლობა ღმერთს, არავინ მოიყინა. მეორე დღეს კვლავ სადგურისაკენ. კვლავ გალიები. როგორც იქნა, ჩავალნიეთ ყარაბა-ზში.

გრიგოლ ლორთქიფანიძე ამბობდა, რომ ბოლშევიკებმა სი-ცოცხლე შთაბერეს ჩამორჩენილ, თითქმის ისტორიულად გან-წირულ ერებს და პირიქით ძველი კულტურის ხალხებს თავისუ-ფალი განვითარების შესაძლებლობა მოუსპეს და საგრძნობლად ჩამოაქვეითეს.

რუსეთმა ყაზახეთი და სხვა კოლონიები სანაგვედაც გამოიყე-ნა ისე, როგორც ამას აკეთებდა თვითმპყრობელობა. ინმინდებოდა ცენტრალური ქალაქ-ოლქები, მათი საზოგადოებრივი მოუწყობ-ლობის ნაგავი, მაგალითად, ყარაგანდას უნდა ეკისრა და ნორმალ-ურ ცხოვრებაზე ხელი აეღო. დაბინდებისას ე. ი. ოთხ საათზე წყდებოდა ქალაქის მაჯისცემა, მაგრამ კარჩაკეტილობა და ურდულები ვერ იცავდნენ ოჯახის სიმშვიდეს. ორგანიზებული თავდასხმებით, მკვლელობითა და სხვა დივერსიებით მდიდარი იყო სანაგვე ქა-ლაქ-ოლქების სისხლის სამართლის ქრონიკა. პრესაში ანარეკლს ვერ მიაგნებდი, სამაგიეროდ იზრდებოდა ბიუჯეტის არამწარმოე-ბლური ხარჯები, ნვალობდა ხალხი, ძირს ინევდა საზოგადოების მორალურ-ინტელექტუალური და საერთოდ, კულტურული დონე.

ცინიზმი იქამდე მიდიოდა, რომ ე.წ. სარეჟიმო ქალაქ-ოლქებ-ში ნაპატიმრალს და უკვე სასჯელმოხდელს აღარ შეეძლო მოქა-

ლაქეობრივი უფლებების აღდგენა-მოპოვება. გადმოსახლებულთა და ნაპატიმართა მასა (მრავალმილიონიან სახელმწიფოს გაუტოლდა ერთად) ჭეშმარიტად ბაბილონის გოდოლს წარმოადგენდა. დანესებულებაში, საყოფაცხოვრებო ურთიერთობაში ძალაუნებურად მტკიცდებოდა რუსული ენის საჭიროება. ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა. მეორე და მესამე თაობისათვის რუსული უკვე მშობლიური ენა ხდებოდა.

განვლილი ათეული წლები ყაზახეთისათვის ურკა-ნაძირალებისა და პოლიტ „დამნაშავეთა“ ინტენსიური და მასობრივი ჩასახლებით აღინიშნებოდა, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის ექსტენსიფიკაციის კურსი ყამირი მიწების ათვისება-დამუშავება, თუ ყოველთვის ეკონომიკურად გამართლებული არ იყო, სამაგიეროდ ბრწყინვალედ ემსახურებოდა ყაზახეთის კოლონიზაციას და მის რუსიფიკაციას. ყაზახეთის ტერიტორიალური ათვისება უკვე დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. სადღეისოდ ყაზახები მექანიკურად გაზრდილი მოსახლეობის ოც პროცენტსაც აღარ შეადგენენ. ასეთია ჯერჯერობით ჩამორჩენილი რესპუბლიკების „ეროვნული გადარჩენის“ სურათი.

ყარაბაზი გადასახლებისა და უმთავრესად, ყარაგანდის სალაგერო სისტემის გამანაწილებელ გზაჯვარედინს წარმოადგენდა. თვალუწვდენელი სტეპის მიკარგულ სიღრმეში, ვით უდაბნოში, გაშლილი იყო ეს საბჭოური „ოაზისი“ საიმედოდ ორმაგი ეკლიანი მავთულების, ხლართებში იყო მოქცეული. მავთულხლართებს შორის ხუთი თუ ექვსი მეტრის სიგანის ხნული იყო გატარებული... ქართველს მიწისათვის დედამინა უწოდებია, მაგრამ ეს საგანგებოდ გამწირებული და უნაყოფოდ შთენილი ხნული ადამიანს აქ დედობას არ უწევდა. იგი სიკვდილის ზონა იყო და, თუ ვინმე მას მაინც გადაურჩებოდა, სულერთია, გაქცეულის ნაფეხურები ხნულის ბელტებზე აღიბეჭდებოდა, ძაღლები კი თავისას გააკეთებდნენ. მავთულებს მიღმა, ორი ფარგლის იქით, ბოძებზე ირგვლივ რკინის მოქნილი ტროსი იყო შემოჭიმული. მის მოძრავ რგოლებზე ჯაჭვით ძაღლები იყვნენ გამობმული და მათ გააფთრებულ ყეფას ჯაჭვების ღრჭიალის აკომპანიმენტით, ალბათ, საფლავი თუ დამავინყებს... საზვერავე „ვიშკა“ — კოშკურების მეოთხე წრე აგვირგინებდა მონათა გასაიდუმლოებული ბაზრის გარე-სადარაჯო სისტემას.

მრავალბარაკიანი მასივი ათიათასობით იტყვდა „ზეკებს“. დე, მაპატიოს მკითხველმა ეს რუსიციზმები. ზოგი ნახულ-განცდილი იმდენად საბჭოურია, იმდენად ბილნი სათქმელად, რომ ქართული არ მემეტება. დე, იმ ენამ ზლოს, რომელმაც მათ სიცოცხლე მის-

ცა.

„ზეკა“ „ზაკლუჩონის“ ორი ასოს კომპოზიტია და ქართულად პატიმარს ნიშნავს. ძველი პატიმარი, ტუსალი, არესტანტი და სხვა ხმარებიდან თავისთავად ამოღებულ იქნა და მისი ადგილი ციხის ლექსიკაში ზეკას ცნებამ სტიქიურად დაიკავა. დიახ, ჩვენ შევდიოდით ახალ სამყაროში, სადაც ძველი კატეგორიები აღარც კი გამოგვადგებოდა. ზეკა ახალი კატეგორია, სოციალურ ბალანსს გარეშე მყოფი ახალი ფორმაციის სრულიად უუფლებო მდგომარეობის აღმნიშვნელი. ზეკა იყო მონა, რომელსაც არავითარი უფლება არც ადამიანის, მით უმეტეს, არც მოქალაქის, არც პატიმრის აღარ გააჩნდა.

ყარაბაზის კონტინგენტი დღენიადაგ იცვლებოდა. მოდიოდნენ ეტაპები და ერთდროულად, სალაგერო სისტემის სხვადასხვა მიმართულებით გადიოდნენ დახარისხებული ზეკების ქარავნები. მიუხედავად უწყვეტი დენადობისა, ყარაბაზის სახე არ იცვლებოდა. ეს იყო საშიშ ორფეხა მტაცებელთა სამყარო, ურკების საუფლო, „ტრუშრობა“, მსუყე მალინა, სადაც საგლეჯად და სათარეშოდ იყო მიჩნეული არაურკული კონტინგენტი. ყარაბაზი იყო ქურდობის, ჯიბგრობის, მტაცებლობის, სპეკულაციის, გარყვნილების ჩინებული ორგანიზებული ბუდე. არაყი და სპირტი, მორფი და ოპიუმი, აზარტული ბანქო, აშკარა და ფარული მკვლევლობანი, ძარცვა-ყვლეფა ყარაბაზის შემზარავ ყოველდღიურობას წარმოადგენდა. კარტი ურკების ხელში თავბედითი ძალა იყო. მისით შექმნილმა დაუნერეღმა თამასუქებმა ხანდაზმულობა არ იცის. განაღდება ათასი და ათასი კილომეტრების იქით, მრავალი წლის შემდეგაც ხდებოდა. კარტში აგებდნენ და იგებდნენ „ფრაერის“ (დივერსიის ობიექტი) ავლადიდებას, მის სიცოცხლესაც. ბანქო წყვეტდა დივერსანტის ვინაობასაც. ვაი მას, ვინც შიგნით ლალატს განიზრახავდა, თავის ამფსონებს უღალატებდა. ურკების მართლმსაჯულებამ აპულაცია და შენდობა არ იცოდა. აქაც აზარტული თამაშით აგებდნენ და იგებდნენ ჯალათის მოვალეობას და, თუ გნებავთ, შურისძიების საპატიო უფლებას. ბანქოს შემდეგ სიმღერისა და ცეკვის სატანური რიტუალი თავზარს სცემდა ყველას: გადანყდა ვილაცის ბედი, ვინ იცის ვისი და განაჩენი აღსრულდება, თვით ქვეყანაც რომ გადატრიალდეს.

რეციდივისტების თარეშს ყარაბაზში ყველაფერი ხელს უწყობდა: მისი პირველადი ადმინისტრაცია, რომელიც დაგეშილი ურკებისაგან შედგებოდა, ბარაკების, მათ შორის ქალებისა და მამაკაცების ბარაკების შეუფერხებელი ურთიერთობა, ზონის გა-

რეშე კავშირები, რაც თვალნათლივ ჩანდა, ზეკების სრული, ამ სიტყვის ზედმინევენითი მნიშვნელობით, უფლებობა. საპროკურორო ზედამხედველობის უმოქმედობა, არც კი ვიცი, იყო ამის მსგავსი რაიმე თუ არა; და თვით ბარაკების აგებულება-მონყობილობაც კი.

ჩვენი ბარაკი, როგორც ზონის ყველა სხვა ნაგებობა, ერთ-სართულიანი სამანით, ანუ თიხა-ბზით ნარევი ალიზის ბოსელს წარმოადგენდა. განსხვავება იმაში იყო, რომ საქონელს გააჩნია დატიხრული სუფთა სადგომები, ჩვენს ბოსელში კი ორთავე მხარეს გრძელი, ორსართულიანი ნარები იყო თავიდან ბოლომდე გადაჭიმული, უტიხრო და გამჭოლი. რა თქმა უნდა, ხმელ ფიცრულს თივასაც არ აღირსებდნენ. ზედმინეობით აქ 300-400 ზეკა იყო მოთავსებული. კარგი, რომ ბუნებას ადამიანისათვის ძილი ნოლით დაუნესებია, თორემ მოგვაქუჩებდნენ, როგორც ბოსტნეულს. არა! შეეცდი! საბჭოურმა დილეგებმა ასეთი მიქუჩებაც კარგად იცოდა.

32-33 წლებში ევრონეის ციხეში ჩემი და რიმას საკანი მეორე სართულზე იყო და, მიუხედავად ამისა, გლეხების სეირნობას იმით ვიგებდით, რომ აუტანელი სიმყრალე ტალღა-ტალღა სარკმელში შემოდოდა. ჩამოქნძილი, წვირისაგან ჩაშავებული გლეხები ძლივს მილასლასებდნენ.

ციხეში არაფერი იმალება და ყოვლისმცოდნე ურკამ აგვიხსნა, რომ საკანში გლეხებს ერთიმეორეზე მიყუდებულებს ფეხზე სძინავთო. „Стоят родимые на ноженках и головушки друг дружке на плечо кладут. Вот те крест“, – გვეფიცებოდა იგი, რადგან უნდობლობას გვატყობდა. ქალთა საკნებში დედაბრებს, იატაკზე მსხდომთ, ერთიმეორეზე მიყრდნობით ეძინათ. მხარის გამოცვლა ჯაჭური რეაქციით ხდებოდა (ამის მომსწრე კი მე თვითონ ვარ).

მაშინ ორსართულიანი ნარების „რაცინადადება“ ჯერ დანერგილი არ იყო და ზეკებსაც ბარაკები ჯერ არ აეშენებინათ. რომანოვების ციხე-საპატიმროების რაოდენობა-ტევადობას ვერ დაემდურებოდი, მაგრამ მოთხოვნილება დღითიდღე იზრდებოდა. იმ პერიოდში დილეგები „განკურნების“ კამპანიას ემსახურებოდნენ. გარეთ და შიგნით მძვინვარებდა შიმშილი, გასაიდუმლოებული ეპიდემია პარტახტიანი ტიფი, კაციჭამიობა და სხვა მრავალი ბოლშევიკური თუ რუსული უბედურებანი. ყოველივე ამას მისმა შემოქმედმა „Головокружение от усталости“ უწოდა. რა თქმა უნდა, ორიოდე „ოტ უსაქება მიბნედილიც“ მისაკლავა. ხალხის ძვლებით და სისხლით იქმნებოდა რუსეთის ინდუსტრიალიზაციის ბაზა. ეს იყო მეოცე საუკუნისათვის გაუგონარი მასშტაბის ველურობა.

ნიკოლოზ პირველის დროს ჩამოსული მარკიზ დე-კიუსტინი პეტროგრადაში ზამთრის სასახლის მშენებლობას შეესწრო და გაცემულმა დანერა: სასახლე ოთხმოც დღე-ღამეში ააგეს. ევროპამ არ იცის ასეთი ტემპები. ეს მხოლოდ რუსეთში არის შესაძლებელი, სადაც ადამიანი ყველაზე ნაკლებად ფასობს. გარეთ ზამთარი, შიგნით გავარვარებული თონე. მუშა-ყმები მხოლოდ ნახევარ საათს ძლებდნენ. მკვდარი თუ ცოცხალმკვდარი გამოჰყავდათ, რომ კვლავ ახალი პარტია შეეყარათ გასაშრობად უმონყალოდ გახურებულ თონეში სასახლეში.

თუ არას ვიტყვით პეტრე დიდის შესახებ, ესეც საკმარისია, რომ ბოლშევიკებს ასეთ საქმეებში პიონერის საეჭვო ღირსება არ მიეკუთვნოთ. ბოლშევიკებს შეეძლოთ, კაპიტალის პირველადი დაგროვების ჯოჯოხეთი ხალხისათვის აერიდებინათ, როგორც ეს, მაგალითად, იაპონიამ გააკეთა და როგორც დღეს აკეთებენ სუსტად განვითარებული ქვეყნები... მაგრამ კრემლმა „იოლი“ მამა-პაპური გზა არჩია. კაპიტალის პირველადი დაგროვება, მრენველობისათვის ნედლეულის ბაზის შექმნა, გლეხთა პაუპერიზაცია, სოფლიდან მათი ემიგრაცია და სხვა ჩატარდა ხალხის, არნახული უღმობლობის ჟღერა-ყვლეფის ხარჯზე. ეს შავბნელი ხანა თავის მკველევარს, თავის ენგელსს ელოდება.

მახსოვს, მანამდე დანერილ მოხსენებაში ვამბობდი: კრემლმა რიაბუშინსკი მოიშორა, რომ თვითონ გარიბუშინსკებულისყო-მეთქი, მაგრამ ამ გარიბუშინსკების მძვინვარება მთელი სიგრძე-სიგანით მაინც ადამიანის წარმოდგენას აღემატება. მარქსმა თავის დროზე ბრწყინვალედ დაასაბუთა სახელმწიფო კაპიტალიზმის უბედურება მუშათა კლასისათვის. რუსეთმა ეს გაამართლა და ინგლისის პირველადი დაგროვების ხანას არაადამიანური სიმძაფრით ათასწილად გადააჭარბა. ვინც 30-32 წლების ხალხთა ამ დიდ უბედურებას მოესწრო, იგი ვერ აპატიებს ვერც ლენინს, ვერც სტალინს, ვერც ცოცხალს და ვერც 37 წელს დაღუპულ კომუნისტებს ხალხის, განსაკუთრებით, ბნელი გლეხობის ამ უღმობელ და უაზრო გაჟლეტას, თუგინდ საზღაურად ხვალვე დაემყარებიათ სოციალიზმი.

ჯერ კიდევ წარმის მხარეში მახსოვს, როგორ ჩამოჰყავდათ ხალხით დახუნძლული ბარყები, რომელნიც განკუთვნილი იყვნენ საქონლის, მერქნისა და სხვა ტვირთის საზიდად. მოჰყავდათ მთელი სოფლები სრული ოჯახური შემადგენლობით. გაძარცვულ გლეხობას ასახლებდნენ კოლოებით სავსე გაუჭრელ ტაიგაში. ჩრდილოეთის მოკლე ზაფხულის პირობებში მათ უნდა აეჩეხათ ტაიგა, დაე-

დგათ ქოხები, მოემზადებინათ საყანე მინები... თითოეული ასეთი დასახლება იყო ბლოკადაში მომწყვდეული ლენინგრადის განმეორება მინიატურაში. მინა იქ ხალხის ძვლებით და ხორციტ გაპოხიერდა, მაგრამ ვისთვის?!

ამ წლებს „ცეჩეოში“ (ცენტრალნაია ჩერნოზემნაია ობლასტი) შევესწარი. კურსკის ქუჩებში დილდილაობით მეეზოვენი ბავშვების გვამებს ტომრებით აგროვებდნენ, მოხუცების და, უფრო მეტად კაცებისას კი დიდი ფორნებით. ვორონეჟის ციხეში კაციჭამიების საკნები იყო გამოყოფილი. მრავლად იყვნენ აგრეთვე ადამიანის ხორციტ მოვაჭრე-სპეკულიანტებიც. მახსოვს დედაქალი, რომელსაც თავისი ბავშვი შეეჭამა...

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მე და ვერა ასათიანი ერთად ვცხოვრობდით. იგი მშენებლობის კანტორაში მუშაობდა. სამსახურიდან ბრუნდებოდა საშინელი განწყობილებით. მშენებელი მუშები მონამლული ბუზებივით ცვიოდნენ. მორწმუნენი სულთმობრძავს, მისივე თანხმობით, კუბოსათვის ზომას უღებდნენ. ჩვეულებრივი იყო მთლად ამონყვეტილი სოფლებიც. იქ შესულს სუნი აბრჩობდა. ქუჩებსა და ქოხებში დაუმარხავი გვამები იხრნებოდა. ერთგული მრევლი „გოლოვოკრუჟენიე ოტ უსპეხა“-ს მქუხარე ტამით აჯილდოებდა.

ვინც ამ დროის აღწერას მოისურვებს, ფანტაზია-ნარმოსახვა პირუკუ უნდა ნაიყვანოს: შერბილების, შეკვეცის, გაფერმკრთალების მიმართულებით. მაშინდელი გადარჩენილები, დარწმუნებული ვარ, ომის მორალურ, ფიზიკურ და მატერიალურ უბედურებებს იოლად გადასატან ამბებად ჩათვლიდნენ.

საბჭოთა რუსეთის ოციან და ოცდაათიან წლებში ჩვენ პოლიტპატიმრებს ციხე-გადასახლებაში სხვა მდგომარეობა გექონდა. იძულებითი მუშაობა ჩვენზე არ ვრცელდებოდა, ანუ არ ვივრცელდებით. გექონდა წიგნები, ყველა სახის პერიოდული პრესა, ცალკე „პოლიტსაკნები“, კვების შედარებით გაუმჯობესებული რაციონი, მინერ-მონერა, ქალებისა და მამაკაცების ერთობლივი და გახანგრძლივებული სეირნობა და სხვა მნიშვნელოვანი უპირატესობანი. ყოველივე ეს მეტად ძვირად გვიჯდებოდა, მაგრამ აქ დათმობა გამორიცხული იყო. სასჯელის ვადის გათავებას საშველი არ ადგა; „სამ პერიოდში...“ ვხუმრობდით ჩვენ მაშინ, გათავებისთანავე სამი წელი ავტომატურად მეორდებოდა, ყოველგვარი ბრალდებისა და პასუხისმგებლობაში მიცემის გარეშე, უბრალოდ „ოსობოე სოვემჩანიეს“ მიერ იმავე ვადის პროლონგაციით, მინუს ექვსი, მინუს ათი ე. ი. ცენტრალური ოლქების გამოკლებით,

საიდანაც სამშობლო ყველა პირობებში გამორიცხული იყო. ერთი ამხანაგი, რომელსაც შემთხვევით თუ დახმარებით საქართველოში დაბრუნების უფლება მისცეს, თითქმის ტიროდა და გვემუდარებოდა – დაგვეჯერებინა, რომ მას ეს არაფრით დაუმსახურებია. ეს იყო მანამ, ვიდრე 33-34 წლებში ახალი კონსტიტუციის საზეიმო მოლოდინში, დაგვინყებდნენ მასიურ განთავისუფლებას, მაგრამ, როგორც ვიცით, 37 წელს ჩვენ და ჩვენთან ერთად მილიონობით ხალხი ისევე, როგორც სავიტრინო კონსტიტუცია, საბოლოოდ დაიმარხა.

თუ არ ვცდები, თვითმპყრობელობის ციხის ისტორიას პროგრესული რეფორმატორები არ ახსოვს. რევოლუციონერებს ორგანიზებული შიმშილით თავგამეტებული სისხლიანი ბრძოლით მოპოვებული ჰქონდათ თავისებური, ციხური „ჰაბეას კორპუსი“. პოლიტპატიმართა მტკიცე სტატუსი პრეცედენტების საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული და ციხე ფხიზლად იდგა მონაპოურის სადარაჯოზე. პოლიტპატიმართა ქვეშ იგულისხმებოდა სხვადასხვა სოციალისტური პარტიებისა და სხვა რევოლუციური (მაგ., ანარქისტები) მიმართულების დაჯგუფებანი, რომელნიც ციხე-გადასახლებაში შეკავშირებულ და მებრძოლ ძალას წარმოადგენდნენ.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრისა და საქართველოში 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ ციხის რეფორმებისათვის ჯერ არავის ეცალა, თუ ფასადების ბუტაფორიას არ მივიღებთ მხედველობაში, რაც, ჩემი აზრით, უფრო რყენიდა და ამრავლებდა სისხლის დამნაშავეთა კონტინგენტს. ძირითადად კი, რამდენადაც ეს ჩვენ შეგვეხებოდა, ციხე განაგრძობდა ცხოვრებას ძველი ტრადიციების მიხედვით (ჩეკა მხედველობაში არა მაქვს). რა თქმა უნდა, იყო პარტიზანული და ფრიად არაპარტიზანული იერიშებიც, რის შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი, მაგრამ პოლიტპატიმრები ზოგჯერ დიდი მსხვერპლის გაღებითაც სტატუსკვოს ინარჩუნებდნენ. ციხეში მტკიცე ერთობა და ვაჟკაცური სულისკვეთება სუფევდა.

რევოლუციით მოტანილმა თავისუფლებამ რუსეთში ანარქიასავით გაიელვა, მაგრამ განახლებულმა ბოლშევიკურმა რუსეთმა მალე აღადგინა თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივი

* *საწყისი სიტყვები პიროვნების ხელშეუხებლობის კანონის შესახებ, მიღებულ იქნა 1679წ. ინგლისის პარლამენტის მიერ.*

ბასტიონები და იმ ზომით, რომ რომანოვ-სტოლიპინებს შეეხარბებოდათ ტოტალიტარიზმის მოდერნისტული სიახლენი. ხალხის თავისუფლება და სუვერენიტეტი ყველგან მოიგუდა. ციხე კი აუღებელ სიმაგრედ რჩებოდა. ლენინი თუ კალინინი იკვებნიდა, რომ არ არის სიმაგრე, რომელსაც ბოლშევიკები ვერ აიღებნო.

აი, 1937 წელს ციხეც გატყდა. პოლიტიკური დაჯგუფებანი პირნძინდად ამონყვიტეს, აქა-იქ შემორჩნენ დაქსაქსული ერთეულები. პრეცედენტებს, ტრადიციებს ბოლო მოეღო. ციხე-პატიმრობაში ყველასთვის საერთო რეჟიმი დამყარდა, უმთავრესად ლაგერულ-კატორღული. ამის შესახებ მშვიდად ვერ იმსჯელებ. არ ვიცი, ადამიანში ადამიანობის მეტ მარცხად რა ჩაითვლება – ჯვარცმა თუ ეკლიანი გვირგვინით მაღალი შუბლის შეგინება და ბილნი ფურთხი... ბედის მწარე დაცინვაც ის არის, რომ ჯვარცმულის მემკვიდრეობას კვლავ პილატი, კვლავ ჯალათი, კვლავ ბრბო ეპატრონება და მხოლოდ იმისათვის, რომ მაღალი შუბლის სახელით კვლავ და კვლავ მაღალი შუბლი ისუსხებოდეს.

ლაგერში არსებობდა ერთი ნეტარ-ბოლშევიკური დანესებულება: „კულტურნო ისპიტატელნაია ჩასტ“ ე.წ. „კეეჩე“. თვით ამ სიტყვის გაგონება ტანში ჟრუანტელს მგვრის, როგორც დაუჯერებელი პათოლოგიური კომპარის გონება. აკოლინსკის დახურულ ლაგერში საბჭოეთის ელიტა შვიდი ათასი თავრეტდასხმული უდანაშაულო დედაქალი ენამებოდა. ესენი იყვნენ ხელოვნების, მეცნიერების, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმიანობის მუშაკები, უბრალოდ, ოჯახიდან ამოგდებული ქალები, რომელთა ქმრები, ვინ უწყის, სად და რატომ ჩაკლეს, რომელთა შვილები, ვინ უწყის, ვის ხელში ნადგურდებოდნენ (ამასაც თავის დროზე ვიტყვი).

ამ ქალებს, თავის ნაზარდ ელიტას, კულტურულ აღმზრდელად მიუვლინეს რეციდივისტი ნაძირალა, თავიდან ფეხებამდე გარყვნილი დედაკაცი, პატივცემულო გორკი! არა „ყოფილი“ ადამიანი, არამედ არასდროს არყოფილი ადამიანი!!!

ეს ხდებოდა მეოცე საუკუნეში, ტოლსტოის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, გერცენის, პლენანოვის ქვეყანაში და, ვინ მოსთვლის ყველას. ეს ხდებოდა გამათავისუფლებელი რევოლუციის შემდეგ მარქსიზმის, სოციალიზმის, მაღალი კაცთმოყვარეობის სახელით, ეს ხდებოდა ქვეყანაში, რომელიც მთელი კაცობრიობის გასაგონად ურცხვად გაჰყვიროდა, რომ მან უკვე შექმნა ახალი საზოგადოება, ახალი მორალი, ახალი ადამიანი, ახალი ქალი მაღალი ღირსების პატივისცემით გამოზრდილი, იმ ქვეყანაში,

რომელიც თავის „ახალს, ახალს, ახალს“ ცეცხლითა და მახვილით თავზე ახვევდა დაპყრობილ ხალხებს და ამასვე ჰპირდებოდა მთელ კაცობრიობას.

ჭიხონოვ, ერენბურგ, აბაშიძეებო! თუ დროშის ერთ მხარეს ადამიანი გყავთ გამოსახული და, მე მჯერა, რომ თქვენ ამისათვის ჯიღნით, მეორე მხარეს ველური კაცისმჭამელი, ხალხის მტარვალი, უგნური ბოროტების სისხლიანი ჯალათია აღბეჭდილი. გახსოვდეთ ეს! ამას არავინ და არასდროს დაგივიწყებთ.

გორკის ხსენება არ შემიძლია. თუ იგი მართლაც ფეხებში ჩაუვარდა ლენინს გუმბილიოვისათვის, მანვე გაგზავნა ემაფოტზე ათასი და ათასი რჩეული და ღირსეული. ამ ჯალათურ საქმეს ემსახურებოდა იგი სიცოცხლის დროს და ამასვე ემსახურება სიკვდილის შემდეგაც. არა განა? 1921-24 წლებმა ისე ჩაიარა საქართველოში, გორკის და მთლიანად რუსეთის ინტელიგენციას წარბიც არ შეუხრია. 1930-1933 წლებში უსიტყვო, უდანაშაულო და უპატრონო გლეხობა ისე გაიჟლიტა, რომ არც გორკის და არც რუსეთის ინტელიგენციას კრინტი არ დაუძრავთ...

დავუბრუნდეთ თხრობას:

როგორც ზემოთ ითქვა, შეიცვალა დილეგების ფიზიკური სახეც. საკნის ადგილი მონების ბარაკებმა დაიკავეს. შევცდი, როდესაც ვამბობდი გაზეთის ენით -- მზარდ მოთხოვნილებას რომანოვების ციხეთა ტყუადობა აღარ აკმაყოფილებდა-მეთქი. საკანი პატიმრებისათვის იყო განკუთვნილი. იგი ერთიდან ათამდე. პატიმარს იტყვდა ნორმალურ პირობებში. ზეკებს კი ბარაკებს უშენებდნენ. მათი აგება ხდებოდა ბოსლის ნაგებობის ტიპობრივი პროექტების მიხედვით ქვესაქონლური შემასწორებელი კოეფიციენტის გამოყენებით.

ბარაკების ანტიადამიანური, ანტისანიტარული და სხვა მრავალი ანტი-ანტიების შემცველი მონყობილობა მაქსიმალური სიმჭიდროვის პირობებში ხელოვნურად ნერგავდა მრუშობას, სქესობრივ პათოლოგიას, ფსიქოზს, მასიურ ეპილეფსიას, ძარცვა-გლეჯას, ძალმომრეობა-მკვლევლობებს და ა.შ. ზედმეტია იმის თქმა, რომ პატიმარს არ გააჩნდა ყუთ-კარადა, კოვზი, ჯამი, ბალიშ-საბანი, ბარაკში არ მოიპოვებოდა მაგიდა, სკამი, თივის ნაგლეჯიც კი, ურომლისოდაც წარმოსადგენია, რა უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის ცივი ბარაკების ნარები. კლოზეტი შორს იყო, ტამბური შარდითა და განავლით ყარდა. ეს სიმყრალე აუტანელი ხდებოდა, განსაკუთრებით ქარბუქის პერიოდებში, რომელიც, როგორც ნესი, გრძელდება ან სამი, ან ათი დღე-ღამე.

ერთხელ მაინც შემოეხედათ ამ ბარაკებში ბერნარდ შოუს, რომენ როლანს, გაბედვდნენ თავიანთ ლამაზ ყბედობას?! დიდ მოაზროვნეებს არ ეპატიებათ ისეთი უბრალო ამბის ვერგაგება, რომ მდგომარეობას განსაზღვრავს არა მაღალფარდოვანი იდეები, არამედ ხალხის ნების უგულვებელყოფელი სისტემა, რომელსაც თავისი შინაგანი კანონზომიერება, თავისი განვითარების უტეხი ლოგიკა გააჩნია. ვინც მოისურვებს ხალხისათვის ედემის შექმნას მისგან დაუკითხავად, მისი ნების გარეშე, ერთი სიტყვით, ხალხისათვის და არა ხალხის მიერ, იგი ჯოჯოხეთს უქმნის. ბერნარდ შოუ, ეს ბრწყინვალე გაბედულების მოაზროვნე, რომელსაც დიდი სულიერი ძალა შესწევდა კრიტიკის, ხელყოფის გარეშე არ დაეტოვებინა არც ერთი კერპი, არც ერთი საყოველთაოდ აღიარებული საუკუნოებრივი საფუძველი და ავტორიტეტი, იყო ინტელექტუალური არისტოკრატიზმის კლასიკური წარმომადგენელი, მისი ყველაზე უფრო უბადრუკი, უგნური და მავნე სახიერება, მაგრამ ხალხი არ არის ყურით სათრევი ობიექტი, როგორც ეს ბერნარდ შოუს წარმოუდგენია, ხალხი თავისი მყოფადის სუბიექტია. ეს დებულება მიეკუთვნება აბსოლუტურ ჭეშმარიტებათა მწკრივს, აქსიომას. დე, ეს მყოფადი უფრო დაბალი დონისა იყოს, ვიდრე დანიანურებული ინტელექტუალების იდეალები, მაგრამ ეს სწორედ ხალხის დონეა და, რაც უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება ხალხს თვითონ იყოს ბატონ-პატრონი თავისი ცხოვრების, მით უფრო იოლად და უმაღლ დაენევა იგი წინგასწრებულ ინტელექტუალებს. აქ არის პირდაპირი პროპორცია: რაც უფრო ფართოა, გარანტირებული, შეუბღალავი ხალხის სუვერენიტეტის ორგანოები და ნორმები, მით უფრო ნაკლებია შეცდომა და მეტია მათი გამოსწორების შესაძლებლობა. ხალხს შეუძლია ჩაიდინოს მხოლოდ ერთი ძნელად გამოსასწორებელი, საბედისწერო შეცდომა განასხვისოს თავისი სუვერენული უფლებები. დანარჩენი ყველა შეცდომა მისთვის არასოდეს იქნება საშიში.

ყარაბაზი სახელმწიფო დანესებულებას არ ჰგავდა. იგი ნაძირალების შხამიანი „ტრუმპობა“ იყო, რომელიც სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ წარმატებით ყვაოდა და იფურჩქნებოდა. შორეული წარსულის მონებს დროის შესაფერისი პირობები ჰქონდათ. მონები სამუშაო საქონელი იყო და ამის მიხედვით პატრონიც სიფრთხილეს იჩენდა. ზეკები ან სასიკვდილოდ გადადებული ხალხია, ან სრულიად ფასდაკარგული სამუშაო საქონელი, რადგან შემცველი მილიონები ნიაღვარივით აწყდებოდა ლაგერის კარებს.

ლაგერში არა ასი და ათასი მორალურად ჯანსაღი ადამიანი

განადგურებულა, არა ასსა და ათას შემთხვევით დამნაშავეს მი-
ულია პროფესიული წრთენა, არა ასი და ათასი პოლიტპატიმარი
დაღუპულა ურკების ხელით და ამას ვამბობ სრული პასუხისმგე-
ბლობით, ადმინისტრაციის ნება-უნებური ნაქეზებით. ამ საშინელი
დივერსიების მოწმეც და ობიექტიც ვყოფილვარ და, თუ დამცალ-
და, თავის დროზე ვიტყვი.

ყარაბაზი დროებითი, ეტაპური მოვლენა არ ყოფილა. იგი
ტიპური იყო ყველანაირი „საერთო“ ლაგერებისათვის, იმ განსხ-
ვავებით, რომ მისი უბედურება-სამშინელებანი იქ გაათქეცებული
სიძლიერით მეორდებოდა და სტაბილურ ხასიათს იღებდა. მხედვე-
ელობაში არა მაქვს საყოფაცხოვრებო მოწყობილობა-ინვენტარი,
რითაც საეტაპო ლაგერებთან შედარებით „შრომითი გამასწორე-
ბელი ლაგერები“ უკეთ იყვნენ მომარაგებული.

ლაგერებში ადგილი ჰქონდა მასიურ შეტაკებებს. მაგალი-
თად, აღსანიშნავია ქართველების, ქისტ-ჩეჩნებისა და სხვა კა-
ვკასიელების ერთობლივი სისხლიანი შეჯახება რუს პატიმარ რე-
ციდივისტებთან. იყო დასავლეთ უკრაინელებისა და ლიმიტროფ-
ული* ქვეყნების პატიმართა ერთობლივი გამოსვლებიც. წყდებოდა
უამრავი ხალხი. ბოლოს ადმინისტრაცია ერეოდა ე. ი. ვინც ერთმა-
ნეთს გადაურჩებოდა, ტყვიამფრქვევებით და სხვა საშუალებებით
იჟლიტებოდა. განსაკუთრებით შეურიგებლობას და სიძულვილს
დასავლეთ უკრაინელები იჩენდნენ. ყარაგანდის ლაგერში ერთ
დასავლეთ უკრაინელ გლეხს ზედამხედველისათვის უყვირია: რა
გინდა, ძაღლო, ჩემი ლეში?! აჰა, გაძეხი! და თვალის დახამხამე-
ბაში მუცელი გაუშიშვლებია, რაც მუჭით აუტაცია, დანით მოუ-
ჭრია და თავისი სისხლიანი ხორცის ნაჭერი მისთვის ცხვირ-პირში
მიუხლია. მიაბზო თვითმხილველმა ე. თოფურიაამ.

ყარაბაზში დღისით ჩავედით. პროცედურები გავიარეთ და
ახლა ბარაკში დაბინავება იყო საჭირო. სველი მინური იატაკი
გამოირიცხა. ასი-ას ოცი მეტრის სიგრძეზე ნარებს შორის ვიწრო
გასასვლელი იყო დატოვებული. გატეხილ ფანჯარასთან ცარი-
ელი ადგილი დავიკავე. ბენვის ქურქმა და ყურებიანმა ქუდმა აქაც
მიხსნა. არა ერთხელ გამღვიძებია თოვლით დაბურულს, ან ყინ-
ვის ჭირხლით გადაკრულს, ისე კი სიცივეს გატეხილი ფანჯრიდან
ცოტად თუ ბევრად თოვლის კედელი ანელებდა. გვერდით ბუმბუ-
ლიანი საბნით ბეკერი და ერთი ჩეხი გოგონა მოკალათდნენ. ისე

* პოლიტ. მოსაზღვრე სახელმწიფოები.

აიფუთნებოდნენ ხოლმე, რომ საბანი ლეიბის მაგივრობასაც უნ-
ევდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნარების ფარალალა
ფიცრულის გამო. შორიახლოს ვერა ივანოვნა მოენყო გრევენციის
ქალთან ერთად. კლემენტინა, მარიშა და სხვა პოლონელი ქალები
ზედა სართულზე ავიდნენ. იქ ცალკეულად „ინტელიგენციიდან“
არაეინ სახლობდა, მაგრამ პოლონელებს სიმრავლის გამო მთლი-
ანად დაკავებული ჰქონდათ ერთი ნაწილი, მიინ-მოინეოდნენ და
თავისიანებს აბინავებდნენ.

ყარაბაზის პოლიტპატიმრებსაც პოლონელები სჭარბობდნენ.
მიდიოდა და მოდიოდა მათი ეტაპები. ერთხელ საშინელმა წივილ-
კივილმა გამომალვიდა. ბარაკის ტამბურს მიშენებული ჰქონდა
მომცრო საკარანტინო სადგომი, რომელიც ყოველთვის ცარიელი
იყო. სწორედ იქ ხდებოდა რალაც. თმა ყალყზე დამიდგა, მასიური
წამების ასეთი ხმები გამოძიების შემდეგ აღარ მსმენია. თითქოს
კვლავ იმ წყეულეთში ვიყავი, სადაც გონება უარს ამბობდა დაე-
ჯერებინა, რომ კაბინეტების ეს უსაშველო გნიასი, აღუნერელი,
არაადამიანური ღმუილი და ყვილი იყო არა კომშარი, არამედ
სინამდვილე.

დეკემბერი იწურებოდა. ჩრდილოეთისთვისაც ძალიან უჩვეუ-
ლოდ სუსხიანი დარი იდგა. რკინიგზიდან ყარაბაზამდე რამდენიმე
კილომეტრიანი გზა იყო გადასარბენი. პოლონელების ეტაპი, რა
თქმა უნდა, ფეხით გამოერეკათ. შიშველ-ტიტველი, მოუმზადე-
ბელი და გაძარცული ქალები ასეთ სუსხიან გადარბენას როგორ
გაუძლებდნენ?! ჩამორთმეულის საფასურადაც კი ვერ გაიმეტეს
მათთვის მცირედი რამ ბამბეული.

ოციან წლებში საეტაპო გზაჯვარედინებთან არსებობდა სათ-
ბურების გამანაწილებელი ე.წ. „კაპტიორკა“. იძლეოდნენ ახალსაც
კი, მაგრამ უფრო ძველმანებს, მუშებისა და ჯარისკაცების გამო-
ნაცვალს: ბუშლატებს, ყურიან ქუდებს, ვალინკებს, ბატინკებს,
ხელთათმანებს და სხვ. რევოლუციონერების მიერ მოპოვებული
ეს საეტაპო წესი რომანოვების ციხეებმა დაუტოვეს მათ, ვისაც
თავის თავზე ჰქონდა გამოცდილი იმ ღონისძიების სამკვედრო-სა-
სიცოცხლო აუცილებლობა. დღეს ისიც გაუქმებული იყო.

ყინვის პირველი შემოტევის შემდეგ, ვიდრე რბენა-რბენით
ერეკებოდნენ, მგრძნობელობა მიყურებული ჰქონდათ, მაგრამ
ბარაკის სითბო როგორც კი მოხვდათ, მოზრულმა კიდურებმა და
ცხვირ-პირმა ღლობა დაიწყო, საკარანტინო ბარაკი ჯოჯოხეთუ-
რი ხმებით აღმუვლდა. ნაკუნ-ნაკუნ დაიფლითა ლაგერის ღამე.
შენყდა იდუმალი სიზმრების ყრუ ვიბრაცია, თითქოს დაჭიმული

სიმები დანყდა. ლაგერის ღამე მისტიკური სპექტაკლია, ჟიზელის ერთ-ერთ სცენას მოგაგონებს. თითქოს გადაიხსნებოდა ხოლმე სამასი ლოდი, სამასი ქალისა და ამ ქვების სიმძიმის ქვეშ დამარხული სულები ლანდებივით ამოდრიოდნენ, შეწყვეტილ სიცოცხლეს უბრუნდებოდნენ. აგერ ვილაცამ გადაიკისკისა და ეს უადგილო ლალი კისკისი უფრო შემზარავი იყო, ვიდრე ქეთიინი, რომელიც მას სხვა კუთხიდან ეგებებოდა. აგერ ვილაცამ ამოიოხრა, მთელი გული ამოატანა, აგერ ვილაცა რალაცას უხმობს, სიტყვაუთქმელი სინაზით ემუდარება... ათასი და ათასი ამ ღამეული სპექტაკლებიდან... ბერნარდ შოუს ერთისათვის მაინც ეფუხიზლა...

იმ ღამეს კი ყველაფერი ფანტასტიკურად აირ-დაირია: სიზმარი, ცხადი, სინამდვილე და მოლანდება. სიზმარი გაფრთხობდა, როგორც სინამდვილე, სინამდვილე სიზმარივით დაუჯერებელი გეჩვენებოდა.

ტერფ-კანჭებზე კანიანად ეშვლიპებოდათ წინდის თხელი ქსოვილი, ფეხსაცმელებსა და რეზინის ბოტებს ველარ იხდიდნენ, ცხვირზე, ლოყებზე, პირ-სახეზე ქაფქაფა მდულარე ესხმოდათ. ზოგი ბარაკის მინურზე იკლანებოდა, ზოგი კედელს ეხეთქებოდა, ზოგს ისეთი გამეტებით წაეშინა თავ-პირში ხელი, თითქოს ხელოვნურ ტკივილს ძალა ჰქონდა მწარე მდულარის შენელებისა. ზეკა-ექთანო ქალები მათ შორის დაფუსფუსებდნენ, თასებით თოვლი შემოჰქონდათ, მოზრულ ადგილებს უსრესდნენ და ამაოდ ცდილობდნენ შიშისა და ტკივილისაგან გადარეული ქალების დამომშინებას. არ ვიცო, რა უფრო რევდათ შიში თუ ტკივილი, თუ შიში და ტკივილი ერთად, რომელიც ხანძარივით მოსდებოდათ მასიურ ფსიქოზში გადაზრდილ თავმოყრილ ქალებს.

გარეთ გამოვევარდი. თოვლის სითეთრით მოცული ყარაბაზის ღამე მოჩვენებასავით გაფითრებული იდგა. ყინავდა. ბარაკების მბუჟტავ სინათლეზე ლანდ-ჩრდილები ირხეოდნენ და იქიდანაც გმინვა ისმოდა, პოლონელი მამაკაცები თუ იყვნენ. ღმუოდნენ ძაღლები და ჯაჭვის ხრჭიალით გამგელებულნი ლაგერს უვლიდნენ გარშემო. ბურუსიანი ირმის ნახტომი ცის გაკვალულ შარაგზას ჰკავდა, მაგრამ მას არც დასაბამი და არც დასასრული არსად უჩანდა. იგი თავისი განდგომილი, შორეული, უცხო სიცოცხლით მხოლოდ თავისთვის ცოცხლობდა... ჩრდილოეთის მსხვილი ვარსკვლავები ცივად ახამხამებდნენ ოქროს წამწამებს, მიუკარებელი ამპარტავნობით აელვარებდნენ უცნაურად ცვალებად ფერებს... ზეკა ათასი თვალთ გულგრილად დასცქეროდა უკუღმართ მიწას, სადაც ავბედითად ირეოდნენ ბოროტებით აღსავსე ტერმიტების

ამლილი ბუდეები... ყინავდა, უღმერთოდ ყინავდა...

მძიმე გამოდგა მიუჩვეველი პოლონელებისათვის ჩრდილოეთის შორი და სასტიკი გზები. მათ ჩვენისთანა ფსიქოლოგიური მომზადებაც არ გააჩნდათ, რაც ბევრ რამეს გვიადვილებდა კიდეც.

პოლონელებში ებრაელებიც ბევრი ერია, მათ შორის კომუნისტებიც. ისინი იზოლირებულად ჯგუფდებოდნენ.

რეგინა ყოველთვის ქათქათა სისუფთავით გამოირჩეოდა. თავისებური შესისხლხორცებული ნესრიგიანობა და მზადყოფნა ახასიათებდა, თითქოს საყვირის ხმალა აკლდა, რომ ჩვეულ ფერხულში ჩაბმულიყო. რეგინა პოლონურ „დეფენზივასაც“ იცნობდა: და, აი, თურმე რა! ამბობდა ხოლმე ისეთი სევდიანი ღიმილით, რომ გულს მიტრიალებდა. ზოსია, მისი მეზობელი ებრაელი კომუნისტი, თავისი სილამაზით თავმომწონეობს და კეკლუცობს, მეტად ახირებულად არ აეინყდება თავისი გარეგნობა იმ დროს, როდესაც ამ გარეგნობით გამონეული შიში ბევრს ამკარად ეტყობა. მისი სიტყვა ქცევაში გათამაშებული მანჭვა-გრეხაა. ირწმუნება, რომ გამოქცეულია აღმოდებული სახლიდან, სადაც ფაშისტებს ებრაელები დასაწვავად ჩაემწყვდიათ. რეგინას პატივს სცემენ, ზოსია არც სიმპატიით და არც ნდობით არ სარგებლობს.

ჩემი მეზობელი გენა ბეკერი მშვენიერი ბუთხუზა გოგონაა, მას დღესაც ბავშვის პუტკუნა გარეგნობა აქვს... ებრაელია, პოლიტიკის არა ესმის რა. მისი ოცნება სამედიცინო ფაკულტეტი და ამერიკა, სადაც ბიძა ეგულება. აუხდა კიდეც ზღაპარივით. მის გაბრწყინებულ სახეს მრგვალი, რქოვანჩარჩოიანი სათვალეები უფრო ამრგვალებს. იგი ყოველთვის იღიმება, მაშინაც, როდესაც შემოჩენილი ურკები ზურგჩანთას მოხერხებულად „უმსუბუქებენ“, ეს კი ხშირად ხდება.

-- ფაშისტკა შვინია, პროშე პანი, განმარტავს იგი.

კლემენტინა კარგი ორგანიზატორია, ახალგაზრდობას თავის ირგვლივ რაზმავს. ლოტბარობს კიდეც. ხშირად გვესმის მათი პატრიოტული სიმღერები. გალობენ ისეთივე გულმოდგინე სერიოზულობით, როგორც ლოცულობენ. კარგად ესმით, თუ რა ძალა აქვს ჩვენს ყოფაში მშობლიურ ჰანგებს და სიტყვებს. მათი ერთობა სულ უფრო გარკვეულ სახეს იღებს. გამახსენდა, როგორი

* თავდაცვა პოლონეთის დამოუკიდებლობის პერიოდში, 1939 წლის სექტემბრამდე.

უხმო მუქარით ამოუდგნენ აქეთ-იქიდან გვერდში ერთ პოლონელ დედას. იგი ექიმია. 17-18 წლის ორი ქალიშვილი თან ახლავს. გოგონები ისე ცქრიალებენ დედის მკლავებში, თითქოს ახლად გადაშლილ კოკრებს ნიაფი არხევს და ეთამამება. ნახევრად შიშვლები იყვნენ (პეტროპავლოვსკის ცხელ საკანში) და, ალბათ, ამიტომ დედის ლამაზ მკლავებში მოციმციმე ორი გოგონა ანტიკური ქვეყნის სკულპტურულ ჯგუფს მოგაგონებდათ, ან, უფრო სწორედ, დიდებული ბარელიეფის ჩამონატეხს. შეუფერებელ გარემოში იგი თავისთავად, ცალკე ბრწყინავდა უცხო და შეურეველი, როგორც არა აქაური, დაკარგული მხატვრობის შემორჩენილი ნამსხვრევი. დედის თვალებში ნიობიას შიში და სასონარკვეთილებაა. სევდის, განწირულებისა და უმანკოების მშვენიერებამ ურკების გულიც კი მოაღბო. პეტროპავლოვსკის საკანში არავინ უხირდებოდა და ისინიც მტრედებივით თავისთვის ღულუნებდნენ.

მერე ყარაბაზში დავინახე, რომ ხელგამლილი დედა დიდი ფრინველივით ყიოდა და გააფთრებული წრიალებდა:

არ მომეკაროთ, შვილებს არ მოგცემთ! დაშნასავით ტრიალებდა იგი და მართლაც საშინელი იყო. პოლონელი ქალები უსიტყვოდ გვერდში ამოუდგნენ. ისინიც ამონვდილ დაშნებსა ჰგვანდნენ...

რა სადისტური ავხორცობით, რა ბოროტებით უნდა ყოფილიყო დაგესლილი ის მბრძანებელი, რომელიც „საქმეში“ სამივეს ფოტოსურათებს ათვალერებდა, დედა-შვილების დაცილებას ცდილობდა და უპატრონოდ, ნამდვილად ლაგერის ჰარამხანისაკენ ისტუმრებდა. რა არის ეს? გალიზიანებული ავხორცობა, დაუქმყოფილებელი სურვილების კომპლექსი, პათოლოგია, სალდათური ნადირობა თუ ბიუროკრატიული მანქანის უსულგულობა?! განა სულ ერთი არ არის?! საშიში მხეცი ნადირივით გალიაში კი არ იყო ჩაკეტილი, არამედ გალიების განუკითხავ მბრძანებლად იყო წარგზავნილი ყველაზე „კაცთმოყვარე“ მთავრობისაგან.

დედის გულის მოსაკლავად ისიც კმაროდა, რომ აბანოში შიშველ გოგონებს მის წინ მიერეკებოდნენ და მათ უმანკო სხეულებზე კაცების ხარბი და მსუნაგი თვალები დათარეშობდნენ.

არ ვიცი, რით დასრულდა ეს ამბავი, მე მათზე ადრე გამამგზავრეს, ხოლო იმ დღეს გააფთრებულ დედასა და საიერიშოდ გამზადებულ პოლონელ ქალებს ველარაფერი შეჰბედეს, ალბათ, როგორც სჩვეოდათ, ზემდგომებს შეკითხვა გაუგზავნეს და ახალი განკარგულება ჯერ მიღებული არ ჰქონდათ. თბილისში ერთ-ერთმა ლაგერში ნამყოფმა მითხრა, რომ ურკებს პოლონელები

ბარაკში მოემწყვდიათ და ყელი გამოეღაღრათ. კლემენტინა და ორშვილიანი დედაც ამ ჟღერში მოყოლილან.

ამაღლეებელი სურათი იყო პოლონელების ეტაპში გასვლა: ზედამხედველი ტამბურში დგას და პატიმრებს სიის მიხედვით იძახებს. პოლონელების გვარი ბევრია. ქალები მკვირცხლად იგდებენ უკან ზურგჩანთებს, ხელს მალლა სწევენ და პატიმართა ცოცხალ ორღობეში კარებისაკენ მიაბიჯებენ.

დოვიძენია! ერთმანეთს ეთხოვებიან პოლონელები და ხელაღმართული, მხნედ, ვაჟკაცური სიამაყით მიდიან განაჩენის აღსასრულებლად. თითქოს ერთმანეთს ეფიცებიან, თითქოს „დოვიძენია“ შეთქმულთა პაროლი იყოს, დაპირება, რწმენა მალე შეყრისა, აღთქმა ხსნისა და გამარჯვებისა.

ცრემლს ვერ დაინახავ, არავინ ნუნუნებს, არავინ გოდებს, ანთებული თვალებით, კრიჭაშეკრულნი მდუმარედ მიაცილებენ. ისმის მხოლოდ „დოვიძენია“ და მუქარასავით მიგრუხუნებს იგი. ერთიმეორეს ენაცვლებიან მედგარი ხმები, თითქოს დროშა გადადის ხელიდან ხელში და რისხვით აღმართული წინ მიუძღვის მამაც მეომრებს, თითქოს შეუპოვარი ამორძალები სალაშქროდ მიისწრაფვიან, უნახესი ქალობის ნორჩი გოგონები, საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად ამორძალებად ქცეული... ლამაზად, ვაჟკაცურად ნაყიდნენ გამოუცდელი ქალები ლაგერისაკენ, უკვე იცოდნენ, რა იყო ლაგერი, რა მოელოდათ მათ პოლონელებს, ადამიანებს, დედაქალებს, უმანკო გოგონებს...

გზა მშვიდობისა, პოლონელებო! და, თუ არავინ დაგინდოთ, დე, გფარავდეთ თქვენი უფალი, გულით რომ ატარებთ... ქართველებსაც გადასახლება ტყვეობად მიგვაჩნია, მაგრამ ჩვენი ცოტანი ვართ, იქ, აზიის საზღვარს მიკრულნი და დღეს რუსეთის ზეკები გავხდით... გამარჯვებული დაბრუნებულიყავით!!! მხურვალეა ქართული ლოცვა...

აღბათ, ჩვენც მალე გამოგვიძახებენ. ყარაბაზში ყოფნა სულ უფრო გვიმძიმს. ნიკა კრუკოვსკა ყარაგანდაში ჩამოგვაცილეს. ჩემთვის იგი ამოუხსები დანაკლისია, მეც – მისთვის. ვერა ივანოვნა თავს დამტრიალებს, მაგრამ მისი მიამიტი, სანახევროდ ცბიერფანატიკური სიბეცე ზოგჯერ მეტისმეტად აუტანელი ხდება. ამხანაგებს დავეძებ. არსად ჩანან. მნახველსაც კი ვერ მივაგენი. აღბათ, უფრო ადრე დააბინავეს ყველა, მაგრამ სად?! იქნებ, სამარეშიც, მაშინ ჯერ კიდევ არა ვიცოდი რა. ბევრს ვხვდებოდი, მაგრამ ბევრი ფანტასტიკურ, დაუჯერებელ ჭორად მიმაჩნდა.

ვიდრე ზეკები გავხდებოდი, ჩვენი გაუთავებელი წანწალი

და ეტაპები თითქმის რომ საამო მოსაგონებელი გახდა. გზადაგზა საეტიკო სატუსალოებში თუ მატარებელში მრავალი ნაცნობი და უცნობი ამხანაგი მხედებოდა და მეყრებოდა. ზოგი გადასახლებიდან, ზოგი იზოლატორიდან, ზოგი ჩემსავით იატაკქვეშეთიდან მოდიოდა. იმედით, ხალისით იყო სავსე შეხვედრაც და განშორებაც. პირადული გაცნობისათვისაც ვერ ვიცლიდით, მოზომილი ნუთები გვენანებოდა. შევეყრებოდით, ვდავობდით, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით, ეჭვებს, დიაგნოზ-პროგნოზებს ვეძიებდით. დაძაბული, მთელი არსებით, მოდავეზე ვამონმებდით ჩვენი ფიქრების სისწორეს... ახლა კი ფეხმოტეხილ წინილასავით მარტო მივჩანჩალეხები. მახსენდებოდა ერთი ნარიმელი გლეხის სიტყვები, მემარხილე იყო:

მიხარია, როცა ბევრი გადამყავხართ, ასე იყო ნიკოლოზის დროსაც. როცა თქვენისთანები ბევრი დამრჩა გადასაყვანი, რევოლუციაც მალე მოხდა.

ახლა კი თითქოს კვლავ თავიდან უნდა დანყებულყო, მაგრამ ვინ იქნებოდნენ ისინი, საიდან წამოვიდოდნენ, რომელი დროში ივლიდნენ... ვინ იცის... Есть ли в поле жия члоники?!.. და წინ უზარმაზარი ომია...

ჩემმა მოუსვენრობამ იმატა. დიდი ხანია რალაც სნეულება შემომეპარა. უძილობას გატეხილი ფანჯარა და მათრობელა ჰაერი აღარ შევლის. გულს ახარებს პოლონელი გოგონების ალერსი:

თქვენ ქართველი ხართ! მეუბნებიან მტკიცედ.

ნამოსვლისას დედამ მომწერა – ქუდს მოუფრთხილდი, ყურები თბილად გექნებაო. პატიმრის მახვილ გულისყურსაც მეტი რა უნდა?! მოვსინჯე. ყურებთან ფული ჩაეკერებინათ, ძალიან გამოგვადგა. საარაკო ფასებში „შავ ბაზარზე“ ცოტაოდენ რამეს ვმოულობთ. ნიორი ხომ იშვიათი და უგემრიელესი დელიკატესია. შავ პურზე მივახეხავთ, მარილს წავაყრით და ამაზე უკეთესი არც არასოდეს არაფერი გვიჭამია. თუ არ ვცდები, პურის ნორმა 400 გრამი იყო, ჭვავისა და კარგად გამომცხვარი, დოსტოვესკისაგან საკმარისად ქებული. ნექო ერთი ასანთის კოლოფი თუმანი ღირდა. ლაგერის სპეკულიანტები მერქნის ნახერხს ბლომად ურევენ და ძალიან ცუდი მოსაწევეია, მაგრამ რას იზამ. სხვათა შორის, პოლონელთაგან ყველა მწვევლია.

ვსადილობთ ნარებზე, ჩვენს ადგილებზე. ჯამ-ჭურჭელი ვისაც რა გააჩნია. ცნება სადილისა ჩვენი ლექსიკონიდან დიდი ხანია ამოგდებული იყო. „ბალანდა“ მხარზე ჯოხგადგმული პარაშას-მაგვარი ავზებით მოჰქონდათ. მისი მაღლი ისაა, რომ ცხელია, თუ

მიუსწარი. ჩაშავებული ბოსტნეულის ნახარში ზოგჯერ თევზის თავსაც წააწყდები, რაღაც ბურღულეულიც ცურავს მარცვალ მარცვალს მისდევს და ვერ დასწევიაო, ხუმრობენ ზეკები.

ამ არისტოკრატ პოლონელ ქალსაც უძილობა დასწემებია. ჩამომიჯდება ხოლმე გვერდით და იწყებს:

— ხრინწიანი, უმსგავსი ხმები აქვთ რუს დედაკაცებს, „ტრაქტირების“ პერსონაჟები არიან, თავანწყევით ყვირიან, არც ერთი გულში ჩამწვდომი მელიოდია... ზიზლით ამბობს იგი. ვახსენებ, რომ „დედაკაცები“ ურკები არიან.

ნუ იტყვი, პროშე პანი, „მუჟიჩკებს“ სული არ გააჩნიათ, ხორცი, კუნთები და ამ კუნთების ენერგია უტლანქესი. უხამსი ხორცი აქვს ყველას. გინდათ გიმღეროთ? მოულოდნელად მთავაზობს იგი და დანჯღრეული კონტრალტო ვერტინსკის მიბნედილ ჰანგებს აწვალებს. ამასაც ხომ უნდა გაძლება?! გეოლოგიური ჭრილივითაა ეს ლაგერი, რა ნიაღისეულს აღარ წაანყდები...

მემსოვაც მაკითხავს. სტამბულში პავლუშა ქავთარაძის ოჯახში უცხოვრია. მის გარდაცვალებასაც შესწრებია. ქმრის გარდაცვალება ცოლს ვერ გადაუტანია და ზღვაში დაუხრჩვია თავი. მწარეა ემიგრანტული უთვისტომობა. აინტერესებს პავლუშას ძმების ბედ-იღბალი. ვუყვები: 1937 წელს პეტრესაც „ესტუმრენ“. ასეთი ვიზიტი ერთ და იმავე ფორმულით იწყებოდა: „ჩაგვაბარეთ იარალი!“ პეტრეს სანერი მაგიდის უჯრიდან ჯაყვა ამოულია. გ. პლახანოვმა თავისი ნაშრომებით სავსე თაროზე მიუთითა აი, ჩემი იარალიო.

პეტრე სოციალ-დემოკრატი იყო, იატაკის ზევით-ქვევით პარტიულ საქმიანობას სრულიად მონყვეტილი. 1933-34 წლებში პეტრე, კოლია ქარცივაძე, იაშა შტაკელბერგი, სულ 25 კაცამდე დააპატიმრეს მავნებლობისა და მსგავსი საარაკო ბრალდებებით. სტალინს ეგნატაშვილთან საუბარში პეტრე და კოლია მოუკითხავს. ამბავი რომ შეუტყვია, უთქვამს, რა ყველგან მავნებლები გელანდებათო. საქმის გამოკვლევა უბრძანებია. ეგნატაშვილს მყისვე ბერიასთვის დაურეკავს. „მავნებლები“ მეორე დღესვე გაუნთავისუფლებიათ. გამოძიების შესახებ ნურაფერს შემეკითხებითო, ფითრდებოდა იაშა. ალბათ, „საამო“ მოგონებანი აღელვებდა.

ასეთი იყო საბჭოური მართლმსაჯულება დღიდან თავისი წარმოშობისა და იგი ცეცხლთან თამაში აღმოჩნდა თავისი ქურუმფარეშებისათვის. 1937 წელს პატრონებსაც დაუტრიალდა საქმე. „მონამლულია ის დაშნაც, მამ, სანამლაგო, ჰქმენ შენი საქმე!“

გავიმეორებ შექსპირის სიტყვებს. ოცდაჩვიდმეტი წლის დაპატიმრების შემდეგ პეტრე აღარ დაბრუნებულა. რომელიღაც ლაგერში სული ამოხადეს შიმშილით.

პეტრეს მეუღლემ, ანიკომ, მისი თარგმანები მისახსოვრა და გრიგოლ ნერეთლის ნათქვამიც გაიხსენა: მარტოობას აღარ განვიცდი, როდესაც ვიცი, რომ საქართველოში პეტრეც არისო. პეტრემ კარგად იცოდა ლათინური და ბერძნული ენები. ნიჭიერი მთარგმნელიც იყო, ვინ იცის, რომ დასცლოდა, „ლიტერატურული საქართველო“ კონსტანტინე გამსახურდიას აღარ მიმართავდა

ეგებ ჰომეროსი გადაგვითარგმნოო. ჰომეროსის უქონლობა უდიდესი დანაკლისია და ჩვენისთანა ძველი ერისათვის სამარცხვინოცაა. ნიჭი და ცოდნა რომ მქონდეს, სიცოცხლეს მის თარგმნას შევნირავედი და თავსაც ბედნიერად ჩავთვლიდი.

სერგო ქავთარაძე ერთი პირველი „უკლონისტთაგანია“. საინტერესოა, რომ საქართველოში ცეკას არც ერთი მდივანი ოპოზიციას და განადგურებას ვერ გადაურჩა. ყურმოჭრილი ლენინელები ჩვენ აბა რას დაგვეჯერდებოდნენ, ვიდრე ლენინის ქმნილება სავსებით არ დაასაკდებოდა იმდენად, რომ თავისი არსება მთლიანად გამოეყვინა. მაინც ასეთი ბრძელები როგორ იყვნენ?! მათ მწვავედ განიცადეს თავიანთი პოლიტიკური კრახი, მაგრამ უკვე გვიან იყო.

გორკის ერთი იტალიური ციკლის ზღაპარი აქვს: დედა შვილს დაჰხარის. გატაცებული სულ იმას ცდილობს, რომ შვილს მადა გაუღვივოს. ღორმუცელა წამი წამს იზრდება, მადაც ერთითად ემატება. მთლად გადაჭამა ოჯახის სარჩო-საბადებელი, ვერ იქნა და ვერაფრით გაძლა. ბოლოს გაჩეყული კბილი მშობლებსაც გაჰკრა.

„საკუთარი ენთუზიაზმის ცეცხლით რევოლუციის ლოკომოტივს ვერ ვატარებო“. ამ ცინიკურ ენამახვილობას კარლ რადეკს მიაწერენ საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით. ლოკომოტივის „რევოლუციურმა“ გაქანებამ იგიც ლაგერში შეაქროლა და ურჩობისათვის „ურჩის“ ამპლუით დააჯილდოვა. „ურჩი“, „უჩეტნო რასპრედელიტელნაია ჩასტ“, ლაგერის გასაიდუმლოებული და ყველაზე უფრო შავბნელი ორგანოა. იქ მომუშავეს სინდისზე ხელი უნდა ჰქონდეს აღებული. ადმინისტრაციის ნდობადამსახურებული ბობოლა რეციდივისტები „ურჩში“ მოღვაწეობდნენ. სიკვდილსიცოცხლის საგზურს პატიმარი „ურჩში“ იღებდა. გასაიდუმლოებული პირადი საქმის მიხედვით, ან სხვა ფაქტორების ჩარევით, თუნდაც ვინმეს ათვალისწინებით, პატიმარი ისეთ საქმეზე იგზა-

ვნებოდა, რომელიც სულს მალე ამოხდიდა, ან პირიქით თავს შეანახვინებდა. მაგალითად, საკვებ ობიექტზე გაგზავნა სიცოცხლის საგზურს უდრიდა. პატიმრის მონაცემების მიხედვით, შრომის პატიოსანი და სამართლიანი განაწილებით მრავალი და მრავალი სიცოცხლე დაიზოგებოდა ლაგერში, მაგრამ დაზოგვა არავის აინტერესებდა. რაც უფრო ნაკლები მონმე და მთქმელი გადარჩებოდა, მით უკეთესი. მხოლოდ ერთეულები გადაურჩნენ ლაგერის სასაკლაოს. მოვა დრო და მკვლევარი აამეტყველებს შემზარავ ციფრებს. რადეკი ერთ-ერთი შორეული ლაგერის „ურჩი“ ყოფილა. ეს მითხრა იქიდან მოსულმა ქალმა ყარაბაზში. მისი გვარი და ლაგერის სახელწოდება გადამავინყდა. როგორი იყო მისი საქმიანობა და რამდენად ამართლებდა ადმინისტრაციის ნდობას, არ ვიცი.

„Я не буду Буду, если комиссаром в Тбилиси не буду“ კალამბური გამართლდა, მაგრამ კომისარს მარიონეტობა არ ექაშნიკა. ბუდუ იმ საკანში მოხვედრილა, სადაც ჩემი ამხანაგი გ. თოხაძე იატაკზე ეგდო სხვა ნაცემ-ნაგემ პატიმრებთან ერთად. „ეს რა არისო?!“ აღშფოთებულა ბუდუ და საკუთარი თვალისათვის არ დაუჯერებია „აქ, ალბათ, რაღაც სხვა ამბავიაო“. მალე ზევით გამოუძახეს და რამდენიმე საათის შემდეგ პორიზონტალურ მდგომარეობაში ამხელა კაცი ძლივს შემოუთრევიათ საკანში. თოხაძეს წყალი შეუსმევია. სისხლს აფურთხებდა, ლულულულებდა თურმე ძლივს. როცა გაუგია, ვინ იყო თოხაძე, უთქვამს: საცემი მართლაც ვყოფილვარ და რატომ დროზე არ მცემეთო.

დახვერეტის ღამეს ბუდუ მდივანის მჭექარე ხმა პატიმრებს გაუგონიათ: ხალხის მტერი მაშინ გავხდი, როდესაც საქართველოში შემოგიძეხითო. რობესპიერის ბედი, თქმა არ უნდა, უკეთესი იყო. სამჯერ გაცოცხლება და სამჯერ სიკვდილის განცდა გერიჩოს ამ სამარცხვინო, საშინელ ცემას...

1937 წელს სერგო ქავთარაძე დააპატიმრეს, 1940 წელს გაანთავისუფლეს. დაპატიმრებამდე „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მისი სამარცხვინო, ყალბი, მლიქვნელური ნარკვევი, თუ როგორ „ბრწყინვალედ გაიმარჯვა“ სტალინმა ჭიათურის მემალაროელთა მიტინგზე. ეს ამბავი პირუთვნელად სადმე იქნება აღწერილი და შენახული, მაინც ზედმეტად არ მიმაჩნია გრიგოლ ლორთქიფანიძის მონაყოლის გახსენება:

სტალინის ოპონენტად გამოსვლა ყოველთვის მეჯავრებოდა, მიამბობდა გრიგოლი ვორონეჟის გადასახლებაში, კონსპირაციის პირობებში აკრძალული ლიტერატურით სავსე ხურჯინი თან უნდა მეტარებინა. ვინ იცის, სად რა დამჭირდებოდა,

რადგან, თუ ნაბეჭდ საბუთს არ წარუდგენდი, სტალინი მაშინვე მომამახებდა:

ასეთი რამე მარქსსა და ენგელსს არსად უნერია!

ჭიათურაშიც ხურჯინით წასულა.

სიყალბეაო, ჩვეულებისამებრ უყვირია სტალინს. რა საკითხი იდგა, აღარ მახსოვს, ვგონებ, კვლავ იმავე პროლეტარიატის დიქტატურა თუ დემოკრატია.

აი, მარქსი და აი, ენგელსი! შეუგებებია გრიგოლს. სხვამ თარგმნოსო, უნდობლობა გამოუცხადებია სტალინს. მემალაროელებმა თარგმნა მიტინგის მონაწილე, თავის ამხანაგ ფერშალს დაავალეს. სტალინმა ციტატის დასრულება ფერშალსაც არ აცალა ვერ ხედავთ, ღიპი ხალხის ნაოფლარით უსკდებოა, ესეც მოისყიდაო და გრიგოლისათვის მუჯღუგუნი უკრავს. გრიგოლს არ მოუთმენია (მაშინ თავმომნონე სტუდენტი ვიყავიო), საპასუხოდ იმასაც ამოუკრავს. სტალინსაც ეს უნდოდა მენშევიკები მორალურად დამარცხდნენ და ფიზიკურ ძალადობას ცდილობენო. ატეხილა აურზაური. დარცხვენილ თანამოაზრეებს სტალინი უჩუმრად თბილისში გამოუსტუმრებიათ.

გრიგოლი ამას დიდი იუმორით ყვებოდა. აღარ მახსოვს, ამბის გახსენება რა კონტექსტში მოხდა. ეპიზოდისათვის გრიგოლს დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია და არც სტალინის საქირდავად მიყვებოდა, თუმცა მისი დემაგოგიური თვისება, სიტლანქე და არაკეთილსინდისიერება ნათლად იხატებოდა. უნდა ვთქვა, რომ სტალინის საქმიანობას, ისევე, როგორც მის პიროვნებას, გრიგოლი სრული სერიოზულობით ეკიდებოდა და, ვფიქრობ, გადაფასების მიდრეკილებასაც იჩენდა, მაგრამ ამის შესახებაც სხვა დროს და უფრო დანერჩლებით.

თუმცა უადგილოა, მაგრამ მაინც მიზანშეწონილად მიმაჩნია ერთი ამბის გახსენება:

1961 წელს მამიდაჩემის უბედურებასთან დაკავშირებით ს. ქავთარაძესთან მისვლა მომიხდა. სხვათა შორის, მან მიაგმო, რომ პარიზში ყოფნისას, სტალინის დავალებით, ნოე ყორდანას ესტუმრა და რომ ნოემ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკა დამარცხებულად სცნო და სრული განიარაღების სურვილიც კი გამოთქვა. ამის საბუთად სერგო ქავთარაძემ ნოეს ნათქვამი მოიშველია, თითქოს ნოეს ეთქვას, რომ იგი საჭიროდ მიიჩნევს ემიგრანტების დაბრუნებას საქართველოში, მაგრამ ამის განხორციელებისათვის ავტორიტეტი აღარ შესწევს.

საკადრისი მაშინვე ვუთხარი და თანაც ვიფიქრე ასეთ გროშ-

კაპიკიან სიყალბეს მოხუცი ჩემ დასაჯერებლად თუ ამბობს-მეთქი და ხანდაზმულობისათვის ერთგვარი შეღავათიც კი მივეცი, მაგრამ ბოლშევიკების უტიფრობას საზღვარი არ გააჩნია. სერგო ქავთარაძეს არ შერცხვია და ეს ბულვარული სიყალბე ტელევიზორითაც მოუხსენებია ქართველი ხალხისათვის. საფლავების აქოთება და შეგინება მათი ხელობაა, ამაზე შეჩერება არ ღირს. ნოეს ჩემი დაცვა არ სჭირდება და ამას არც ვაკადრებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართველი ხალხი ამას თვით ნოესაგან გაიგებდა, რომელიც თავისი ქვეყნის წინაშე ყოველთვის უდიდეს პასუხისმგებლობას იჩენდა, მაგრამ მოყვანილ საბუთზე ორიოდე სიტყვა ზედმეტი არ იქნება.

1926-27 წლებში ჟურნალმა „ბრძოლამ“ გამოაქვეყნა, საქართველოდან მასიური ემიგრაციის გამო, ნოეს მამაშვილური მომართვა. ნოე მოგვიწოდებდა, რომ ჩვენ ქართველებს არ მიგვეტოვებინა სამშობლო, უკეთუ ამას არ გვაიძულებდა სიკვდილის მუქარა, ან რაიმე პოლიტიკური საჭიროება. მისი მომართვის დედააზრი ჩვენთვის სავსებით გასაგები იყო. სხვათა შორის, არც მე და არც ათასსა და ათას ჩემისთანას საზღვარგარეთ გადახვეწა არ გვიფიქრია, თუმცა ამის შესაძლებლობა ყოველთვის გავვაჩნდა. კარგად გვესმოდა ხალხის ეროვნული გუმანით ნაკარნახევი მონოდება, რომ სამშობლოში ძირი და ფესვი არ მოგვეთხარა. ყოველთვის გვახსოვდა ებრაელების, სომხებისა და სხვათა ხვედრი. სწორედ ამიტომ აღიმართა მეტეხში ბარიკადები, როდესაც ლენინის „ღმობიერებით“ 22-23 წლებში ქართველ პატიმრებს საზღვარგარეთ გადასახლების „შეღავათს“ აძლევდნენ, ანუ იძულებით გადასახლებას უპირებდნენ. ქართველი პატრიოტები ბარიკადებით იცავდნენ სამშობლოში დარჩენის უფლებას, თუგინდ ეს ყოფილიყო მხოლოდ ციხე და ბორკილები. პირველი პარტიის გაგზავნა მოძალადეებმა მოტყუებით მაინც მოახერხეს. ბევრი არალეგალურად უკან დაბრუნდა. ისინი დახვერტილთა ორმოებში განისვენებენ.

იმავე ეროვნული დარდით ნოე ქართველ ტყვე ჯარისკაცებსაც ურჩევდა სამშობლოში დაბრუნებას. განა შეეძლო ნორმალურ ადამიანს წარმოედგინა, რომ ტყვეობაში განამებულთა უმრავლესობა იქვე, საზღვარზე გადმოყვანისთანავე ჩექას ინკვიზიციამი მოხედებოდა?! ვინც დახვერტას გადაურჩა, ლაგერში გაგზავნეს. საინტერესო ამბებს ყვებოდნენ.

ყოფილმა „უკლონისტმა“ ს. ქავთარაძემ ნოეს საფლავის გასვრაც კი მოინდომა. არ არის ბოროტება და სიბილნე, რასაც ბოლშევიკი არ იკადრებს, თუკი სიცოცხლეზე უარის თქმას არ აპირ-

ებს...

მამაკაცების ზონიდან ქართული უსტარი მომდის. პაემანზე მინვევენ. ვლელავ. როგორც იქნა მივალნიე დათქმულ დროს. სუფთად ჩაცმული შუახნის კაცი თავაზიანად მესალმება. საჩვენებელ თითსა და ცერს შორის დასვირინგებული ნახატის სილურჯე თვალში მეცა. საუბარს თვითონ იწყებს:

რეციდივისტი ვარ. თქვენი ჩამოსვლა პირველ დღესვე გავიგე. აქ არაეინ შეგანუხებთ... რომც ნამიყვანონ...

მადლობას ვუხბდი. ციხის ეთიკით ვინაობის კითხვა უტაქტობაა. ძუნნად მაცნობს:

საქართველოდან დიდი ხანია წამოსული ვარ. ჯერ წვრილმანზე შევცდი, ახლა კი... სიტყვას არ ასრულებს. ზედაც ეტყობა, რომ პროფესიონალია, ოლონდაც „ნომენკლატურული“. ქცევათქმამში იგრძნობა ის რალაც, ბელადისეული.

სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებთ?

დავბრუნდები, აღმაცერად გამომხედა მან, მაგრამ ჯერ თავი უნდა ვიხსნა.*

რა ვადით ხართ?

ამას არა აქვს მნიშვნელობა. თავის დაღწევა სხვა რამეა... მაგრამ „ლეგავო“ ვერ გავხდები, უკვე დაუფარავი მტრობით მიკრავს კოპებს, თითქოს ამის რჩევას ვუპირებდე, სხვა გზა კი ჯერჯერობით ვერ გამომიძებნია, შერბილდა იგი, აი, თუ ომი დაიწყოს... აზრი არ გაუთავებია. ხელს მაგრად ვართმევ.

ვერაფერში გამოგადგებით, ვეუბნები სინანულით.

ვიცი! მოკლედ მიჭრის და მცილდება.

აი, თურმე რატომ მინდობდნენ ურკები, მე კი ჩემი სიფხიზლით ვამაყობდი... მაგონდება გრიგოლის ოხუნჯობა საქართველოში კიდევ ერთი სახის საქონელი გაგვაჩნია, დიდი რაოდენობით შეგვიძლია ბელადების ექსპორტი.

„ბელადმა“ მიაშბო, რომ ტაშკენტის ციხის საავადმყოფოში ვილაც პირბადით შენიღბული საკაცით მოუტანიათ და პირდაპირ საოპერაციო მაგიდაზე დაუნვენიათ. სახე არც მაშინ გამოუჩენიათ. შენიანი იყო, ვაი დედას იძახდაო, ეთქვა სანიტარს. მაგიდიდან

* რეციდივისტისათვის თავის დახსნა მართლაც ძნელი საქმეა. სადაც არ უნდა იყოს, მონახვენ და ბანდაში დააბრუნებენ. უარი ხშირად სასიკედილო განაჩენით მთავრდება.

სისხლის სამართლის სამძებროს მსახურთა სახელი ურკების ქარგონზე. პირდაპირი მნიშვნელობით ძალი.

მკედარი ნაუყვანიათ. მერე ხმა გაუვრცელებიათ, გვარად ჯიქია იყო. არა მგონია, თუმცა ვინ იცის უსახელონი, ღრმად გასაიდუმლოებულნი მრავლად იყვნენ.

ენუქი თოფურიათ თავისი დახერტის ამბავი გაზეთში თავისივე თვალთ ნაიკითხა. ერთი ასეთი ღრმად ჩამარხული მოულოდნელად ათი წლის შემდეგ მოსკოვში ნაუყვანიათ. შინსახკომში ვერაფრით სახელი და გვარი ვერ ათქმევინეს. ჯიუტად, მანიაკალურად მხოლოდ თავის ნომერს იმეორებდა, ალაჰმა იცის, რატომ. იქნებ, შიშმა დააფეთა, იქნებ, მართლაც დაავინყდა, ან დასცინოდა მათ...

კანტორაში გამოძიდახეს. ანკეტის შესავსებად უკანასკნელი სამსახურის დასახელებას მთხოვენ. გამტერებული მივჩერებივარ აღარ მახსოვს, სად ვმუშაობდი. ეს იყო სხვა სუკუნეში, სხვა მიწაზე და აღარ ვიცი, სად... კითხვას მიმეორებენ. დაბნეული ვეუბნები:

არ ვიცი, არ მახსოვს...

უკვირთ ეს დარაჯსაც არ დაავინყდება, მე კი ეკონომისტი ვარ.

შეგიძლიათ ნახვიდეთ!

ნელა მივდივარ, თეთრი ნაპრალი მაგიუებს. კარის სახელურს ხელი მოვკიდე და თითქოს ფურცელზე საიდუმლო ჩანანერმა გამოჟონა, თეთრი ხარვეზი უცბად შეივსო:

საქკომუნპროექტი! შევეყიერე გახარებულმა.

ერთხელ ნაშუადღევს გარეთ გამოგვრეკეს და წრეში დაგვაყენეს. მივხვდით დილა-სალამოს დათვლა გვარების შემონამების რიტუალი „პროვერკა“ არ უნდა ყოფილიყო. მალე ხუთიოდე სამხედრო წრეში შემოვიდა. ურცხვი მიმტერებით ნელა უვლიდნენ რიგებს, დროგამოშვებით ხან ერთს გამოიძახებდნენ, ხან მეორეს. გვარსა და სახელს ეკითხებოდნენ, ქალაქებში ინიშნავდნენ, ჩუმად ბჭობდნენ. გასაგებია! ბაზარი გაიხსნა, მონების შერჩევა ხდება. საზიზღარი სურათია. ურკა გოგოები თეძოების რხევა-რხევით წრეში გადიან, ორაზროვნად ილიმებიან. „ხაზინებიც“ უღვაშებში მალავენ ტუჩების ნელ მოძრაობას. ვაჭრის თვალთ გვამონმებენ ზევიდან ქვევით, ქვევიდან – ზევით. ეგ არის, რომ პირში არ გვიძვრებიან, კბილს არ გვისინჯავენ. პოლონელი გოგონები ფეხბორძიკით გადიან შუაგულში. ასეთი დამფრთხალი თვალები დასაკლავად დაჭერილი ქათმისათვის შემინიშნავს. გულისამრევი სანახაობაა. რაში სჭირდებათ ეს მაიმუნობა?! ფორმულიარები მათ ხელშია და იქ ყოველივეა აღნიშნული, მაგრამ რატომაც არა, ვინ

და რა დაუშლის?! ვერა ივანოვნა სახელენილი დგას, მზერა მინისტვის მიუპყრია.

საინტერესო იყო ნატამას ამბავი: ჯერ მარცხნიდან და მარჯვნიდან უთვალთვალეს მის უცნაურ სახეს, ერთმანეთს გადაულაპარაკეს, წრის შუაგულში გამოიყვანეს და უტიფარი მიშქერებით უტრიალებდნენ ამ არაჩვეულებრივ ქალს. იგი იდგა, ზვიადი ზიზლით შეკყურებდა მათ, ცალყბად ავად ილიმებოდა, თითქოს შეკითხვას ელოდა, რომ ცხვირ-პირში მიეხალა თავისი სათქმელი, მაგრამ ვერ გაუბედეს, ალბათ, ენიშნათ რალაც.

ოციან წლებში ლენინგრადელი ნატამა იტალიაში ყოფილა მივლინებული, არ ვიცი რატომ და რისთვის. იქ იტალიელი პილოტის ცოლი გამბდარა, ვგონებ, თვითონაც მფრინავი იყო. იტალიელი კომუნისტი ყოფილა. ორივენი ლენინგრადში ჩამოსულან. თავის მეორე სამშობლოში იტალიელი კომუნისტი დიდი მონდომებით ნატურალიზებულა რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღია, მაგრამ ორივე „მოსყიდული ჯაშუში“ მალე დაუპატიმრებიათ. დაკითხვისას გამომძიებელი მეტისმეტად „მოფერებია“ ნატამას და სახის მარცხენა ნაწილში რალაც ნერვები დაუზიანებია. ეს მხარე პარალიზებული ჰქონდა. ღამა, პასუხისმგებელი პარტიული მუშაკი, ოცდაჩვიდმეტ წელს სადღაც შუა აზიაში დაუპატიმრებიათ, ოჯახი დაურბევიათ და ჩატამა, ახლახან ლაგერიდან დაბრუნებული, როგორც ან უკვე ოჯახის ნევრი, კვლავ დაუპატიმრებიათ.

თითქოს მხატვარს საგანგებოდ გამოეძერწა თავისებური ორსახოვანი იანუსი. მარცხნიდან ახალგაზრდა ლამაზი ქალი გიმზერდა, მარჯვნიდან ნაადრევად დაღარული მოხუცი, ჩაფერვლილი, სევდაჩაბეული. იგი მაინც ცოცხლობდა და სიცოცხლე მისი იყო ზაფრა და შხამი, მეორე კი ნორჩი მშვენებით გადაფურჩქნული, მაგრამ უძრავი და მკვდარი. მაშინ გაქვავებულიყო, როდესაც სიცოცხლის ნექტარს დასწრაფებოდა... ნატამა ჩვენი გაორებული თაობის ცოცხალ ემბლემად გამოდგებოდა მოზრული ახალგაზრდული სულისკვეთება, დაუხარჯავად ჩაყინული, გაქვავებული, თითქოს სიღრმეში დაკონსერვებული, რომელიც თითქოს აგერაგერ ამოსკდებოდა, დაიხარჯებოდა, გაგახარებდა... მეორე მხარე კი ჭირ-ვარამით დადალული, ნაგვემი, გატანჯული, ნაადრევად მოხუცებული და მაინც მზად მყოფი იგივე ტანჯვის მიღებისათვის, დაუთმობელი, შეუპოვარი დაძლევისათვის.

პატიმრები, როგორც წესი, კაცმა არ იცის რატომ, ერთი ლაგერიდან მეორეში გადაჰყავთ ხოლმე. ასეთებს ხშირად ვხვდებით, გვიყვებიან ლაგერული ყოფა-ცხოვრების შესახებ. თანდათან ვც-

ნობიერდებით. ვერა ივანოვნა იხტიბარს არ იტყვს.

ვესაუბრები ერთ ასეთ აგრონომ ქალს. თვითონ და მისი ქმარი პარტიული მუშაკები ყოფილან, სტალინი და მისი გენერალური „ხაზები“ სჯულის ფიცარი. 37 წელს ამ შემზარავ ორომტრიალში ორივეს საინკეიზიციო კამერა გამოუვლია. შვილი ბავშვთა თავშესაფარში ეგულებოდა. ქმრის შესახებ არაფერი იცოდა. ლაგერში ბოსტნეულის საცავ-საწყობი ჰქონია ჩაბარებული. თვითონაც ამ საწყობის ერთ კუთხეში ცხოვრობდა. სარკმელი ზედ მინაზე გამოდიოდა.

ერთ დილას, მიყვებოდა ის, ჩემი ოთახი ჩვეულებრივზე მეტად ჩამოზნელებული მეჩვენა. სარკმელს გავხედე და უეცრად შევნიშნე, რომ იგი სარვეელა შამბნარით იყო გამოჭედილი. თვალნინ ვიშინსკის სიტყვები ცეცხლის ასოებივით აბრიალდა ხალხი დაიფიცებს მათ საფლავებს და მათკენ მიმავალი ბილიკები შამბით გაიბარდებო. გარეთ გამოვევარდი, რალაც რკინა ავიტაცე. ფეხით, ხელით, რკინით ვთელავდი, ძირფესვიანად ვგლეჯდი სარვეელას და შეშლილივით გავყვიროდი: არ გაიბარდება, არ გაიბარდება, არ გაიბარდება!

„Гвозди бы делать из этих людей
Не было-ны крепче и лучше гвоздей“

1937 წელს აფასებდა, როგორც მტრების საქმეს. მოვა დრო და გაირკვევაო, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, როგორ უნდა შეძლებოდა მტერს პარტიის ხელით პარტიის განადგურება ასეთი ფანტასტიკური მასშტაბით, რაც სახალხო ტრაგედიად, მართალ-მტყუანის რბევაში გადაიზარდა, ამაზე პასუხის გაცემას ვერ ახერხებდა. თქმას კი არა, ფიქრსაც გადააჩვია თავისი მრეელი პარტიამ. „ცოლების“ ცნობიერება ერთხელ და სამუდამოდ დეფორმირებული იყო, დამახინჯებული, როგორც ჩინელი ქალის ფეხები. მერე, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ფანატიზმმა ცინიზმს დაუთმო ადგილი.

იყო ერთი ანექდოტური კურიოზი: მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება, ვინ იყო ეკატერინე მეორე.

- პროდუქტი! უყოყმანოდ პასუხობს ბეჯითი შეგირდი.

მაგრამ ისტორიოგრაფიის ასეთი გასტრონომიზაციაც კი მხოლოდ შორეული წარსულისათვის იყო გამოყენებული. სადღეისოდ კი პარტიული სქოლასტიკის „პროდუქტები“ საზოგადო მოვლენის საზოგადო ძირს ვერ აგნებდნენ. ოცდაჩვიდმეტ წლამდე

ყველაფერი რიგზე მიაჩნდათ, მერე კი თურმე დიდი გაუგებრობა მოხდა... და ამაში სტალინი ყოფილა დამნაშავე. აქედან იწყებოდა ერთიმეორეზე საცოდავი ვარიაციები: „სტალინის ატყუებდნენ“, „მოქმედებდნენ შინა და გარეშე მტრები“, „სტალინმა არ იცოდა, რა ხდებოდა ადგილებზე“, „სტალინი პატივმოყვარე დესპოტი იყო“ და ა. შ. მაგრამ რამ განაპირობა, შესაძლებლად რამ შექმნა „მოტყუება“, „მტრების მოქმედება“, „არცოდნა“, პატივმოყვარეობა, დესპოტიზმის დამკვიდრება-განვითარება, „პროდუქტებს“ ფიქრი ამის შესახებ არ შეეძლოთ.

გაკოტრებული კაპიტალისტი თავს იკლავს. მისთვის კრიზისი პირადი უბედურებაა და მხოლოდ. ჰეგელის ხატოვანი თქმა, რომ „მინერვას ქოტმა ღამე იცის ამოფრენაო“, ცოლებზე, საერთოდ პარტიულობაზე არ ვრცელდებოდა. მათ მხოლოდ საკუთარი ბედი დაუღამდათ. კრიტიკულ აზრს საღათას ძილით ეძინა. ეს ქვეყანა მათი შექმნილი იყო და „პროდუქტებიც“ მთელი არსებით მასთან იყვნენ შეხორცებული, მის მსგავსად უგუნური, მის მსგავსად მახინჯნი. ხოლო „გონიერებს“ კი ერთი რამ კარგად ესმოდათ, რომ ამ ნყობილების შერყევა „ედინაია, ნედელიმაიას“ შერყევას ნიშნავდა...

ამის შესახებ არაფერს ვიტყვოდი, რომ „ცოლების“ მიერ მიგნებული „განტყევების ვაცის“ სამარცხვინო დებულებას ხრუშჩოვისა და საერთოდ, რუსულ აზროვნებაში არ მიეღნია თავის კლასიკურ სახეობამდე. ბოლშევიზმის იდეური გაკოტრებისა და პოლიტიკური ამორალიზმის ზენიტი „პიროვნების კულტია“. დიქტატურის აპოლოგეტები „კულტის“ ცინიზმს ვერც კი ხვდებიან. სამართლიანობა მოითხოვს, ქართველი კომუნისტების სასარგებლოდ ითქვას, რომ სულიერი სიმდაბლე, ლაჩრობა და პოლიტიკური სიბეცე იმ ზომით არ გამოუჩენიათ სტალინზე ხელი არ შეუხოცავთ, სვაეებივით მისი ლეში არ უძიძგნიათ, თუმცა ამისათვის მეტი მიზეზი გააჩნდათ, ვიდრე რუსებს...

ჩამწყვედულნი ვართ ბარაკებში. ქვეყანას ქარბუქი დაეპატრონა. თოვდა თუ ნამქერი იყო, ვერ გაიგებდი. ამღვრეული შრატვიით დულდა და ირეოდა ბურუსი. მიწაც და ზეცაც შთაენთქა. ბობოქრობს ქარბუქი, აფრიალებს მხუთავ ლეჩაქებს, ღმუის და ნივის, მსხვერპლს ეძებს გააფთრებული. ხან იქ, ხან აქ წააწყდება, თავს დააცხრება, შემოეხვევა, სველი ბაღდადით გაგუდავს ვინმეს და მერე შლეგივით კვლავ ჯოჯოხეთურ დაველურს დაუვლის. ავი სულების შაბაშია და თოვლის მტერის კორიანტელი.

ბარაკში სიცხება და ოხშივარი. თოვლით დაბინდული ფან-

ჯრების სითეთრე ანათებს და ცოტას მაინც ფანტავს ბინდ-ბუნდს. ნარების ვინრო გასავალში მილეთის ხალხი ირევა, თავბრუდამხვევი ნრიალია: ყიდიან, ყიდულობენ, მოტრფიალენი არაფერს ერიდებიან, დროდადრო გაქურდულთა ვიშვიში ისმის, რუსული გინების ინტონაციები გრძნობათა მთელ სამყაროს გამოხატავენ.

სად არის ზედამხედველი, სახელმწიფო, განმკითხავი?! შავბნელი სპექტაკლის სულისჩამდგმელი რეჟისორი სცენაზე არ ჩანს. დღესასწაულობს ნადირი, ქვეგრძნობათა ალღუმია, საზეიმო გამოფენა, ნაძირლების მეჯლისი.

იგი ბოშაა, ჩაფსკენილი, მხარბეჭიანი. ამბობენ, რომ 75 წლისაა. ჩაცმულია ისე, რომ ფეშენებელური რესტორნის შვეიცარი კარებს მონინებით გაუღებს. მომწვანო, ჩაყვითლებული სიფათი შავ ჯაგარში აქვს ჩამჯდარი. ბანჯგვლიანი, ხშირი ნარბები, შემზარავად გამყინავი თვალები. დარბაისული სიდინჯით მიდის, ყველა გზას უთმობს. მიდის კუნთძარღვიანი მტაცებელი ნადირი და მისი მძიმე ტორების ქვეშ ბუჩქნარ-ჯაგანარი აქეთ-იქით იზნიქება, ძირს ეგება. მის მოახლოებას შორიდანვე იგრძნობ, ყურაცქვეტილნი იყურსებიან, სიტყვა შუაზე ნყდება. მზერა თითქოს ჩრდილივით გადადის ერთი სახიდან მეორეზე. არავის გამოტოვებს, თითოეულს ჩაციებით მიაშტერდება, თითქოს ამონმებს, მისი ბედ-იღბლის ქულებს ვარაუდობს. ვაი მას, ვისაც ბურღივით ჩაუტრიალებს თავის შავ თვალებს ობობამ ქსელში მოგიქცია და, აბა, ფართხალით რალას გახდები?! ამბობენ, არ არის ბოროტება, რომლის ნინამეც უკან დაიხვეს. მისი შიში აქვს ყველას, გარეულს თუ შინაურს. „ჩორნი ბარინ“ შავი ბატონი, ასე ეძახის მას ყველა. დიახ, იგი ბნელეთის დიდი ბატონია. სრულიად ცხადლივ, დაუფარავად მას დიდი საბატონო შემოუმტკიცეს, რომ უმემკვიდრეოდ არ გადავიდეს მისი „ნიჭი და გამოცდილება“.

ეს მეორე უბირია, არავის ერჩის, ბატონის ჯიშის არაა. მონდომებით გიყვება, თუ როგორ წვაედა თავის სამ შვილს. რატომ?! აბა, რა იცის, რატომ! დანვა, ეს არის და ეს. დანერილენით „ხატავს“, არაფერს გამოტოვებს, თუ გამორჩა, ნათქვამს დაუბრუნდება და ჩაურთავს რუსულ ლუმელში ცეცხლი დაუნთია, შეშა უჯრედებად დაულაგებია, როგორც დედაკაცები აკეთებენ პურის გამოცხობისას. სამი წლის ბიჭუნა ფისოსავით ეთამაშებოდა, ფუნჩულა ხელებს უთათუნებდა, ბედნიერი ტიკტიკით დაფუსფუსებდა. შეუკრავს, ბავშვი თევზივით ფართხალებდა, კისკისებდა, მოსწონდა ახალი გართობა. ორ ნიჩაბზე დაუდევს, ცეცხლში ნელა შეუტანია. ღმერთმა იცის, რა დატრიალდებოდა. თვალები დასკდომია,

ჩანახშირებულა. მეორე, ამის შემხედვარე 7 წლის ბიჭი, ლოგინის ქვემიდან გამოუთრევია. იკბინებოდა, იკანრებოდა თურმე. მამას თავი მოუგრიხავს მისთვის, მაგრამ სასიკვდილოდ არა. ხელები, ფეხები, მთელი სხეული მისთვის ისე გადაუბანრავს, რომ ველარ განძრეულიყო და ისიც ცეცხლში შეუგდია. მესამე, 9 წლის გოგონა, ფორთხვა-ფორთხვით მამას გარშემო უვლიდა, მუხლებზე ეხვეოდა, ხელებს უკოცნიდა:

მამა, მამიკო (პაპა, პაპენკა), მაპატიე, აღარ ვიზამ (რას არ იზამს, რა უნდა აპატიოს?!), მამა, მამიკო, ცოტა დაიცადე, ახლავე ნუ, ჯერ წითელი ალები ჩაქრეს, მამა, მამიკო, შეშა კიდევ შევანყოთ, გინდა მოვიტან? მამა, მამიკო...

მთელი ღამე უწვალა, ღუმელი სამჯერ დაუნთია...

ბავშვები არ გელანდება? ვილაც გულდამწვარი უაზროდ ეკითხება. მის ჯმუხ სახეზე გლუვი ღუმელია. ეს, რა თქმა უნდა, პათოლოგიაა, ბნელი სულის იდუმალება. აქ რა უნდა?! თხრობა მშვიდია, აუჩქარებელი, წყნარი და უშფოთველი. ბოროტება ასეთი არ შეიძლება იყოს. უსმენენ ახალგაზრდები. გაუმადლარი ცნობის-მოყვარეობა, ზემოქმედება მაგიურია, ბურუსში ახვევს, ბნიდავს, რაღაც ბნელ ძალებს აღვიძებს გულში. თურმე ასეც შეიძლება, თურმე ესეც დასაშვებია...

აი, ეს ხროვა მხიარული, უდრტივინველი, ნორმალური, ადამიანური სინდისი ატროფირებულია. შესაძლებლისა და შეუძლებლის საზღვარი ამ კუთხით სრულიად არ არსებობს. მსუბუქად, ლაღად წაუშლია გულსაც, გონებასაც ზღვარი ბოროტებასა და სიკეთეს შორის. ბუნებრიობა, უშუალობა ველური ტყისა. ფრუტუნია, ჭიხვინი განადირებული რემისა, თითქოს ასეც უნდა იყოს. იქმნება იოლი მიღების, შეგუების ატმოსფერო, შინაგანი წინააღმდეგობა მოდუნებას იწყებს.

ბევრი და ბევრი ახალგაზრდა ჩემ თვალწინ მოქცეულა ურკების მორევში, სადაც საოცარი სისწრაფით ირღვევა სოციალური გრძნობების მწკრივი და ადამიანი უბრუნდება ტყის მტაცებელი ნადირის ფსიქოლოგია-ზოოლოგიას. თუმცა ასეთი განსაზღვრა სწორი არ უნდა იყოს. ტყეში მოქმედების იმპულსები ინსტიქტებია, ურკების სამყაროში ტყიური კანონიზებულია. მახინჯი, მაგრამ მაინც სოციალური ერთიანობის გრძნობები და აქედან გამომდინარე სოციალური ურთიერთობა ამ სამყაროს საზღვრებითაა შემოზღუდული, გარე სამყაროს იგი უპირისპირდება მხოლოდ მტრულად და მტაცებლურად, ხოლო შიგნით კი მტკიცეა (და ამ სიმტკიცის ძალა შემურდება ყოველ სოციალურ ერთიანო-

ბას, რაგინდ ცივილიზირებულიც არ უნდა იყოს იგი). ურთიერთინტერესთა დაცვის კანონი, გამტანობა, თავდადება. გამცემი, მოლაღატე ისჯება დაუნდობელი სიმკაცრით. უმტკიცესია სუბორდინაცია, დემოკრატიული სამართლიანობის პრინციპი კენჭისყრა, ატამან-ბელადობის ინსტიტუტი უზადოდ ვაჟკაცურია უნდა დაიმსახურო და, რაც მთავარია, „პიროვნების კულტის“ მანკიერებისაგან იგი სრულიად დაცულია: უნდა იბელადო სასიქადულოდ, გონიერად, ძლიერად, სამართლიანად, თუ არა და, როგორც დაგაყენეს, ისევე გადაგაყენებენ.

ჰეი! შენი აბრა გამოკიდე, შენი! უყვირიან ურკები ერთ გოგოს. ისიც ბეჯითად, საქმიანად, აუჩქარებლად იმიშვლებს მუცელს. თეძოდან თეძომდე დიდი ასოებით დასვირინგებული წარწერაა: „კრედიტ ნეკამუ“ (კრედიტი არავის). ხვადების ხორხოცია, ძუქნა გოგოების ურცხვი ნიელი, ხითხითი...

„სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა,
თუ გამოჩნდა, გლოვა უნდა, ვითა კარგსა მეგობარსა“...

„ნითელო მოვის პერანგო, შვიდგან შეკრულო ღილითა“

ნეტავი, ამის მოქმელ ხალხსაც თუ შეუძლია ასეთი რამ?

პოლონელები ნარებიდან თავს არ ყოფენ. დიდი ბაზრობის გამაყრუებელი ჟრიამულია: ზოგი თავისას გვიყვება, ზოგი სხვას აქეზებს, ზოგი ვაჭრობს, ზოგი „სველ“ და „მშრალ“ საქმეზე თათბირობს ან თარეშობს, ზოგი მრუშობს და ზოგიც მღერის სევედით აღსავსე უაღრესად პოეტურ, ან უნმანურ ჟარგონულ სიმღერებს:

„Чёрный ворон. Чёрный ворон. что ты вьешься надо мной.

Нет, меня, ты не получишь. Чёрный ворон, я не твой“

ეს არის სასონარკვეთილებით აღსავსე გულისტქმა, მოსთქვამს იგი თავის მუხთალ ბედს. იცის, მაინც შავი ყორანი დაეპატრონება მის გაძალღებულ სიცოცხლეს, ანდა, აი, ეს დიდი გულწრფელობით დახატული სურათი, სადაც ასე უნუგემოდ უპირისპირდება ბუნების დიად სიმშვიდეს, თითქოს ბედისწერასავით აუცდენელი მისივე ბოროტება და კიდევ უმტრო-უმეგობრო მარტოობა:

„Лесониградская ночь так была хороша, а на небе звезда догорала (В персулке глухом. под угрозой мосей там невинная жертва страдала). Нет врагов у меня, нет друзей у меня. лишь один в тюрьме изнаюю.“

ჩამრჩა ნანყვეტი, ჰანგიც მეტად ნაღვლიანია. ვილაც კიდევ იმის შესახებ მღერის, როგორ ღორივით მიასაკლავა მამა, მერე

კი რალაც ემოციური თანმიმდევრობით, თითქოს საპირისპიროც იმავე სანყისიდან მოდიოდეს, ესენინის სევდას აყოლებს: „Где жина еше. моя старуха"... ჟიგანური სიმღერები ციხისა და გადატანილი სოციალური ბედუქულმართობის მდიდარი ფოლკლორია. ურკები ან დეგენერატები არიან, ანდა, უფრო ხშირად, ნიჭიერი, ჭარბად აქტიური, დიდი სულიერი ენერჯის ხალხია. თითოეულის ბიოგრაფია პიროვნების შეჭიდებაა ოჯახთან, საზოგადოებასთან. ძალა, რომელმაც შემოქმედებითი გამოყენება ვერ ნახა, ყველაფერს და მათ შორის თავის თავსაც ანადგურებს, მაგრამ ეს ყოველივე ძველია და არა ახალი. ზოგიერთი ლუკმა-პურის ძიებამ და შემდეგ ციხემ გამოუხსნორებელ რეციდივისტად გადააქცია. არასოციალისტური იტალიური კანონმდებლობა პურის ქურდს არ სჯის. სისხლის დამნაშავეთა მილიონები, ახალგაზრდობა კი პირნმინდად საბჭოეთის უგნური, გაუმართლებელი ტერორის მსხვერპლია, რასაც ციხის ფოლკლორი წინებულად ასახავდა. მათი დამახსოვრების ძალა მაშინ, აბა, სად მექნებოდა.

ბუტირკაში 1929 წელს დედაბერს შევხვდი. გამოძიებელს ეთქვა: სახელმწიფოს შენი სამყოფი პური გააჩნია და, ვიდრე ამამში არ დაგარნმუნებ, სახაზინო ულუფაზე მეყოლებიო. რიგში დგომისას მოხუცს უკითხავს; სინოკ, პურის გასაჭირი კიდევ დიდხანს გასტანსო? „სინოკს“ „აგიტატორი“ გეპუუსთვის ჩაუბარებია და იქაც „მალალი პოლიტიკის“ ინტერესებში ეს მიხრწნილი მოხუცი სამი წლის უქმ ტვირთად საზოგადოებისათვის აუკიდიათ. გაჭირვებულ ოჯახს კი, სადაც იგი საზოგადოებრივად საჭირო საქმეს აკეთებდა, მზრუნველი ხელი მოაკლდა... და, რა თქმა უნდა, ბედნიერ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს, თუ მისი შვილიშვილები ციხის მკვიდრნი არ გახდნენ. ასეთი „სახელმწიფო დამნაშავენი“ და ასეთი დანაშაულებანი იყო სრულიად ტიპური. მართლმსაჯულების საბჭოურ პრინციპს არ მალავდნენ, პირიქით, თავმომონედ შემოგვაგებებდნენ: „ერთი დამნაშავის გადარჩენას ათი უდანაშაულოს დახვრეტა გვირჩევნიაო“.

უმძლავრესი სახელმწიფო უსუსურ დედაბრებს ებრძოდა. ახლა გულხელდაკრეფილი დგას მექრთამეობის, ლეგალიზებული ქურდობა-მტაცებლობის, სპეკულაციის და მცონარობა-პარაზიტის მრავალ სახეობათა დიდი პანორამის წინაშე. სახელმწიფო თავისი კორუმპირებული აპარატით, მეთოდებით, პირველი ვიოლინოს პარტიას ასრულებს. ტყე დაიძრა მაკბეტისაკენ... მილიონერს ქურდბაცაცა დაჰკარგვოდა. გლებს უნუგემები: ეგ ნუ გადარდებს, რომელსაც გინდა ხელი სტაცე, არ შეცდები, ქურდი

აღმოჩნდებაო. ჩემი გადასახლების ოციან წლებში მექრთამეობის შესახებ ურკები ასე მღეროდნენ:

„Начальнику нужно дать, помощнику – тоже, а легавый с ПИУ лапку просит – Боже!“

ერთ საღამოს მიწყნარებული ბარაკი კვლავ აქოთქოთდა. ვი-
ლაც დამთხვეული შემოვარდა. ურკებს არაფერი უკითხავთ, უცბად
გააძვრინ-გამოაძვრინეს და ნემსივით გადამალეს. შემოცვივდნენ
ზედამხედველები, მახრჩობელი აირივით წამოვიდა დედის გინება.
ზეზე წამოგვყარეს, ჩხრეკას შეუდგნენ. 18-19 წლის ურკა გოგო
წარზე აიჭრა: რას ეძებთ, რაღა გვაქვს წასალღეტი, თქვენი დედა
და სულიო, დედაჩემი მასწავლებელი იყო, მამაჩემი – პროკურო-
რი, მომიკალით, მე დღეს კახა ვარ და ქურდბაცაცა. დედა, სადა
ხარ... იგი ხმას უმატებდა, მერე დაეცა, აფართხალდა, პირზე დუჟი
მოადგა. მართალია თუ მოგონილი, ვერას გაიგებ, გარდასახ-
ვის დიდი ნიჭი აქვთ. კიდევ ერთი დაეცა, კიდევ ერთი ჩაიკეცა...
ანივლებული გოგოები შეჯგუფდნენ, ცოცხალი ტარანი შეიჭრა
ზედამხედველების რიგებში. თვალის დახამხამებაში ყველანი გა-
რეთ გაყარეს. მერე დატრიალდნენ, ბიჭს ქალის კაბა გადააცვეს
და გააქრეს.

ჩემი ნაცნობი აგრონომი მიყვებოდა, რომ ყარაბაზში დედა
შვილს შეეფეთა. დასვირინებულ მკლავებს უკოცნიდა, ღმუროდა
და ღმუროდა... ასეთი შეხვედრების შესახებ ლაგერშიც ბევრი მსმე-
ნია.

ნესტორ ლაკობას მეუღლე, არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი,
აჭარელი, ჩვენი დროის ქეთევანი (რამდენი ასეთი ქეთევანი უსახ-
ელოდ დაეკარგა ჩვენს ქვეყანას!) ჯალათებმა თავიანთ უფსკრულ-
ში ჩაკლეს. ბევრ ხანს უწვალებიათ ეს დიდსულოვანი, ქედუხრელი
ქალი, მაგრამ ვერ გაუტეხიათ, ანდა რა ექნებოდა სათქმელი, თუ
არა მათი შეთხზული სიყალბის მიღება?! ბოლოს ჯალათებმა 15
წლის შვილის წინაშე დაასისხლიანეს, მერე მის წინაშე ბიჭიც ასევე
უნამებიათ. ეხვეწებოდა თურმე დედა, მიშველე, თქვი, რაც უნ-
დათ და ამ სატანჯველისაგან მიხსენიო. ლაკობას ცოლი ციხის საა-
ვადმყოფოში ჭლექისაგან დაინვა. უკანასკნელი დღეების შემსწრე-
ნი მიყვებოდნენ, რომ განსაკუთრებული სინატიფის თავდაჭერილ
ქალს სიცხემ ენა ამოუდგა. ბოდავდა, შვილს უხმობდა, ბალიშს უმ-
ღერდა სისატურას, არწმუნებდა — ხელს მოვანერ, გიხსნიო...

ნეტავ, ამ ორ დედათა შორის რომელს რომლის ხედრი შემ-
ურდებოდა? ლაკობას შვილის ამბავი არ გამიგია. ცოცხალს იქი-
დან არ გამოუშვებდნენ. სამსონ დადიანის 14-15 წლის ბიჭუნას,

შინსახკომიდან გამოსულს, ერთი კვირაც არ უცოცხლია. შავი სარდაფი ელანდებოდა, ყველგან ენთოსო, იხევენებოდა. მერე შიშისაგან ცახცახებდა, სინათლეშიც ბევრი რამ ელანდებოდა...

მეთათე დღეს გამოიღარა. ასე იცის ქარბუქმა – ან სამი დღე უბერავს, ანდა ათი. ყინავს. ბარაკიდან ყველა გარეთ ვეშურებით, ამყაყებული ჰაერისაგან ვნიავედებით და ვინმინდებით. ცა გიგანტურ ცირკულს შემოუხაზავს. არც ერთი ბორცვი არ ტეხს მის წრისებრ სუფთა ზოლს. უკიდევანო სამყაროში, შორს, მაღლა, შეყინული ბურუსის მიღმა მზე მედიდურად მიიმართება. იგი არ არის შენი მზე, უცხოა და განდგომილი, არც სხივს იმეტებს, არც სითბოს. დღის მთვარესა ჰგავს, ოღონდ ბოროტად, შმაგი სინთლით ბრწყინავს თავისთვის. მერე ზაფხულში განრისხებული მტარვალისვით გამოიჭრება, დანვავს, დახრუკავს, გააცამტვერებს ირგვლივ ყველაფერს გაყვლევს მინას, მიიტაცებს მის საბადებელს და, როგორც მტარვალს შეეფერება, არაფერს ზოგავს, ზღაპრული დიდებით ამკობს თავის სასახლეს ზეცას. არ ეშურება ოქრო და ვერცხლი, ლალ-ზურმუხტები, ფირუზი და ძონი... ციალია, ფერების ჯადოსნური ბრწყინვალეებაა ყაზახეთის ცა. თექვსმეტი წელიწადი შევეყურებდი მას და თითქოს მოწოდებული იყო, ყოველწამიერად ემტკიცებინა ჩემთვის, რომ ამაოა ჩვენი ცხოვრება, მცირენი ვართ და არარანი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჭიანჭუები ვართ, რომელნიც მინაში შეუმჩნეველად ჩავისრისებით და მის დიდებას არც არაფერს დავაკლებთ, არც შევმატებთ. ალბათ, ჩემსავით, ვინც სამხრეთის ბუნებით იყო განებივრებული, სადაც ყველაფერი, თითქოს შენდა სასიკეთოდ და სასიხარულოდ არის გამიზნული, ყაზახეთის ცას ვერ ეგუებოდა. ვამბობ ცას, რადგან მის ქვემოთ გადატრუსული, ან თეთრ სუდარაში გაკრული ტრამალების უსაზღვროება იყო. ყაზახეთში დაიჯერებდი, რომ მინა ცის ბოროტების სარბიელ-სათამაშოა.

გამოთხოვების საღამოა. ვერა ივანოვნა სასეირნოდ მიხმობს. ქარბუქით შეჩერებული საეტაპო მექანიზმი კვლავ ამუშავდება და, ვინ იცის, ვის სად გვიკრავენ თავს. ვიცი, რაც უნდა ტიმოფეევას, იგი გადამწყვეტი საუბრისათვის ემზადება. სულ იმის ცდაშია, რომ დამაჯეროს რაც ხდება, ეს დროებითია, კონიუნქტურული, ხვალ კი დაიწყება ნამდვილი ცხოვრება, სწორედ ისეთი, როგორიც მას ესახებოდა ამ ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში. იმავე დროს დაბნეული, ჩემში ეძებს ამოხსნას, თითქოს ჯადოსნური ჯოხუნას მფლობელი ვარ და უნარი შემწევს წესრიგი დავამყარო მის არეულ ფიქრებში. შეურიგებელი წინააღმდეგობების შერიგებას ლამობდა

და მართლაც იტანჯებოდა. მას ხვალინდელი დღე აღეკვებს. აგერ, ქართველი რეციდივისტიც თავის ბედს ომს უკავშირებს. ყველა მის მოლოდინშია აი, დაინყოს ომი და მაშინ გაყურებიან სეირს. ლაგერის მსახურებსა და ხანაც 58 მუხლიანებს უადგილოდ-ადგილიანად ემუქრებიან ურკები.

თბილისშიდაც მძაფრი მოლოდინის განწყობილება დავტოვე. თითქოს მძიმე ავადმყოფობა გადამეტანოს, ცხოვრებას ნელ-ნელა ვუბრუნდებოდი. ჭურში ვიჯექით, გაზეთის ნაგლეჯიც კი არ მოგვეპოვებოდა. მოულოდნელად, გამოძიება დასრულებული იყო, ზევით გამომიძახეს. დერეფნები ლურჯი ნათურებით დამიხედა შენიღბული. ნავიბორძიკე. ზედამხედველმა ხელი შემამშველა. ალბათ, გაფითრებული ვიყავი, რუხაძემ შემომხედა თუ არა, მაშინვე ექიმს გამოუძახა (ნემსს წინათაც მიკეთებდნენ და ექიმისავე დასტურით ეგზეკუციას აგრძელებდნენ. ზევით ექთანი არ დამინახავს. მოდიოდა წითური ფერის (რიჟა) ექიმი. ზევითაც და ქვევითაც, ალბათ, მას ვყავდი ჩაბარებული. არავითარი ადამიანური თანაგრძნობა მისთვის არ შემინიშნავს, ყოველთვის ისე მოქმედებდა, როგორც ავტომატი. იყო კიდევ ერთი ექთანი ქალი, დაუფარავი თანაგრძნობით გვემსახურებოდა. დაგლეჯილ სხეულს ფაქიზად წმენდდა, მალამოს ადებდა, ცდილობდა, ზედმეტი ტკივილი არ გამოენვია. მალამოდ მისი სახის გამომეტყველებაც კი იკმარებდა მაშვრალისათვის).

ამჯერად რუხაძემ ხელის მოსანერად „საქმე“ წინ დამიდო.

– რატომ არის ლურჯი სინათლე? მკეახედ მივახალე, თითქოს ვალდებული იყო ანგარიში ჩაებარებინა ჩემთვის.

აი, თურმე რა, ელიმება რუხაძეს, ისე, უბრალოდ, თავდაცვის მორიგი სწავლებაა, გამოძიების შემდეგ მხეცები ადამიანის ნიღაბს იმარჯვებენ.

– მერედა გჯერათ, რომ გერმანიის აგრესიისაგან ხელშეკრულება გიხსნით?! აზრადაც არ მომსელია საკითხის სხვანაირად დასმა. საინტერესოა, რომ არც მას გაჰკვირებია ამ სახის შეკითხვა. რამდენიმე ხანს იგი გაჩუმებული ზის, მერე თავს სწევს და სრული სერიოზულობით მპასუხობს:

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოგებული დღეც კი, – მერე კი მისთვის ჩვეული ლაზღანდარობის კილოთი, აკიწერთ, რომ ბოლშევიზმმა ფაშიზმი განაპირობა! მახსენებს იგი ჩემი ჩვენების ერთ ადგილს.

თუ არც ვერსალს დაივინყებთ, მაგრამ ეგ რა შუაშია? ვეკითხები გაკვირვებული.

ხოდა, „კაშუ ნადო რასხლებან“, მომიგო ორაზროვნად. დღესაც არ ვიცი, რას მივანერო ეს პასუხი -- მის გონიერებას თუ უგნურობას.

ახლა, როდესაც ეს წლები ისტორიად იქცა და სტალინის მზაკვრული დიპლომატია რუსეთის იმპერიალიზმისათვის ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა, თითქოსდა უხერხულიც არის უკანარიცხვით ჩემი მსჯელობანი, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია იმდროინდელი განწყობილება დავუპირისპირო ბოლშევიკური აზროვნების სიყალბეს, რომლითაც თავისი უგნური გულუბრყვილობით საბჭოეთი ცდილობს ქვეყანას დღეს თვალი აუბას. „ივანუშკა დურაჩოვის“ ფსიქოლოგია მათთვის დამახასიათებელია, მაგრამ, შეიძლება განა, იმდენად უგნური იყო, რომ ივანუშკას მიერ გაბრიყვებულ პერსონაჟებს გაუტოლო ჩვენი დროის გამოფხიზლებული ხალხი?!

ომის გარდუვალობა ყველამ იცოდა და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სტალინმა. მზადება დიდი სიმძაფრით წარმოებდა. დღეს უტიფრად ირწმუნებიან, რომ მრავალგზის გაფრთხილები-სდა მიუხედავად, სტალინისათვის ომი იყო მოულოდნელი. ცოტა აკლიათ, რომ ეს დებულება ლალატის ბრალდებად გადააქციონ. დიდი სიბრძნე არ იყო საჭირო, რომ ომამდელ ძალთა კონცერტში უბრალო ადამიანიც გარკვეულიყო, მით უმეტეს — სტალინი, რომელსაც ხელთ ჰქონდა კონტრდაზვერვის ყველა საიდუმლო ძაფები, თუ არას ვიტყვით, მის ანალიტიკურ გამჭრიახობაზე და პოლიტიკურ სიფხიზლეზე.

მოსკოვს ისლა დარჩენია, ბერლინისაკენ აიღოს კურსი! ვუთხარი ერთხელ პართენს. რამდენიმე თვის შემდეგ იგი უალრესად აღელვებული ჩემს სახლთან შემომეფეთა შენი წინასწარმეტყველება გამართლდაო, შორიდანვე დამიყვირა მან. „პრავდის“ მონინავე ქუჩაშივე წავიკითხე. სტრიქონსა და სტრიქონს შორის საკმაოდ ნათლად ილანდებოდა ბერლინის მიმართ პოლიტიკის სრული გარდატეხის სენსაცია... შემდეგ რიბენტროპიც გვეწვია და ხელმეკრულება ფაქტად იქცა...

არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი იმის შესახებ, თუ რა იყო, რას მოასწავებდა კრემლის მიერ ფაშისტური აგრესიისათვის მხარის დაჭერა. მოსკოვმა, სტალინმა კვლავ ზურგში ჩასცა ლახვარი მუშათა კლასს და მისი ბრძოლის დიდ საქმეს, საერთოდ, მსოფლიოს პროგრესულ დემოკრატიას. თვით ნეიტრალიტეტსაც კი ამ ვითარებაში საკაცობრიო ლალატის გარდა სხვა სახელი არ დაერქმეოდა, მაგრამ რუსეთმა რეალური დახმარება აღუთქვა ფაშის-

ტურ გერმანიას და პირობა უზადო ერთგულებითაც შეასრულა. სწორედ ამ ტრამპლინიდან ეძგერა გერმანია ევროპას, დაგლიჯა მისი პოლიტიკური რუკა, შემუსრა დემოკრატია და უმონყალოდ გაჟლიტა ხალხი.

ცუდად დაფარული თვალთმაქცობით ჰიტლერმა ოცდაათი ვერცხლი ჩაუწიხრიალა კრემლს და რუსეთმაც ერთი ხელის მოსმით გადაყლაპა ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, დასავლეთ უკრაინა, რომელსაც პოლონეთის კუთვნილი მიწაც გადმოაყოლა. ასეთ ავაზაკობას არაფერი ჰქონდა საერთო მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებთან, იდეოლოგიასთან, პოლიტიკასთან, პირიქით, ყოველივე ეს მას და მის საქმეს საბედისწეროდ ანადგურებდა, მაგრამ ამ პოზიციიდან სტალინის შეფასება იქნებოდა ისეთივე, რაც ზვიგენისათვის ვეგეტარიანობის პრეტენზია რომ წამოგეყენებინათ, ან უბინოება მოგეთხოვათ პროფესიონალი როსკიპისათვის. მაპატიეთ უხეშობა, მაგრამ რას შეადარებ ასეთ ხელშეკრულებას კაცობრიობის მტერთან, რომელიც სტალინისათვის ათმაგი მტერი უნდა ყოფილიყო.

ლენინისა და სტალინის პარტია „მუშათა და გლეხთა“ სახელმწიფოს მარქსისტული დროშით მესვეურობდა. კათოლიკურმა ეკლესიამ ჯვარცმულის სახელით კაცობრიობის ისტორიაში ჩანერა საინკვიზიციო კამერები, აუტოდაფე, ინდულგენციები, ჭუჭყითა და სისხლით გასვრილი ქრონიკები და სხვა მრავალი ბოროტებანი. ვატიკანის კრემლთან შედარება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ვერაფერს იტყვის გარდა იმისა, რომ ამ მიმართულებით განვითარების ტემპები და მასშტაბები მეოცე საუკუნის შესაფერისი იყო ე. ი. უფრო სწრაფი, მასობრივი, უფრო გრანდიოზული. ამას შემძლია დაუშვათ ის, რომ საბჭოთა ქვეყანა, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფო, რუსეთის მსოფლიო ბატონობის ფსიქოზით შეპყრობილი, როგორც კაპიტალიზმის მილიტარისტულ-იმპერიალისტური სისტემა ზედმეტი ღირებულების ამოქაჩვით, კოლონიალური ბარბაროსობით, საშინაო და საგარეო პოლიტიკის პირმოთნეობით, ცინიზმის, სისხლის სამართლის დანაშაულებრივი საქმიანობა-საშუალებებით შორს უკან იტოვებს არა მარტო თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროს, არამედ ამ სამყაროს განვითარების პირველ სტადიებსაც, რომ შევადაროთ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჰიტლერთან სამარცხვინო ხელშეკრულების აქტი მოულოდნელი არ ყოფილა. იგი ლოგიკურად გამომდინარეობდა ბოლშევიზმის პოლიტიკიდან, მისი ბუნებიდან და მთელი მისი წარსულის აუცილებელ დანასკვს წარმოად-

გენდა, ვერსალიც არ შედგებოდა, მაგრამ თებერვალი ოქტომბერმა გაანადგურა. უფრო მეტიც, ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ლენინის კლასობრივი ბრძოლის ველური გაგებით, დემოკრატიას ძირი გამოუთხარა და თავივით ყველგან კატა გამოთხარა, ფაშისტური პირსისხლიანი დიქტატურა თავის პირსისხლიან დიქტატურას დაუპირისპირა. ბოლშევიზმის ანტიმარქსისტულმა, ხელალებით ავანტიურისტულმა პოლიტიკამ კრემლის იზოლაცია განაპირობა და კანონზომიერად იგი ფაშისტური ბერლინის მრგვალ მაგიდასთან მიიყვანა. იქ გათამაშდა ორმხრივი ბანდიტური ოინბაზობის მიზანსცენა, რომელსაც 50 000 000 ადამიანის სიცოცხლე უნდა შეენირა, დიდი ცივილიზაციის სულიერი და ნივთიერი მონაპოვარი გაეცამტვერებინა.

მაგრამ ამჯერად მხოლოდ საკითხის ერთი მხარე მაინტერესებს, ის, რაც ჭკუით თუ უჭკუობით რუხაძეს ნამოცდა როგორ გაართვა თავი სტალინმა, როგორც იმპერიალისტური სახელმწიფოს მეთაურმა, თავის და, პირველ რიგში, ლენინის მიერ შექმნილი მდგომარეობის სირთულეს. მაშ, ასე. რას დაუპირისპირებდა სტალინი ჰიტლერის ძლევამოსილებას? ჩამორჩენილ ტექნიკას? მატერიალურ და მათ შორის სამხედრო რესურსების სილატაკეს? ხალხთა საყოველთაო უკმაყოფილებას? ინტელიგენციისა და მათ შორის ტექნიკური და სამხედრო კადრების გაჩანაგებას? ევროპა-ამერიკის ფარულ და აშკარა მტრულ დამოკიდებულებას?! გერმანიის უმძლავრესი ტექნიკა, ბრწყინვალედ ორგანიზებული სახელმწიფო-მილიტარისტული მანქანა ერთი დაკვრით გასრესდა კრემლს. ინგლის-საფრანგეთთან სამხედრო შეთანხმება იქნებოდა საბედისწერო ნაბიჯი თვითმკვლელობა და სხვა არაფერი.

სრულიად უვიცისათვისაც კი აშკარა იყო, ჰიტლერი ჯერ აღმოსავლეთისაკენ იბრუნებდა პირს. მას ნედლეული სჭირდებოდა და პირველი დარტყმის სუსხი სწორედ მოსკოვს დააცხრებოდა, რომელსაც სხვა თუ არაფერი, ფინეთი და 37 წელი ჯერ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდა. რაც შეეხება მოკავშირეებს, პაქტის შემთხვევაში ისინი მოლოდინის ტაქტიკას დაადგებოდნენ დე, ორმა ურჩხულმა ერთმანეთი დაგლიჯოსო. ასეა თუ ისე, კრემლი განადგურებული იქნებოდა, ხოლო ბერლინი შებოჭილ-შეჩერებული, ვინაიდან ვეებერთელა სივრცეების ათვისება სამხედრო ძალების დაბანდებას თავისთავად გამოიწვევდა.

სწორედ ამ ვარაუდით, რუსეთის სისუსტის ჩათვლით, აღმოსავლეთის დალაშქვრა ჰიტლერმა თავისი გრანდიოზული გეგმის მეორე რიგში მოაქცია. ყველასათვის აშკარა იყო, რომ

ხელშეკრულებას საერთო ინტერესების ბაზა არ გააჩნდა. რუსეთი არც იაპონია იყო და არც იტალია. იდეოლოგიას რომ თავი დაეანებოთ, „სასიცოცხლო სივრცისა“ და მსოფლიო ჰეგემონიის საკითხი პირველ რიგში იდგა. აგრესიის სფეროში ბერლინისათვის მოსკოვი თავიდანვე უნდა ყოფილიყო შეტანილი ისე, როგორც მოსკოვისათვის ბერლინი. ვერაგობისა და ავაზაკობის ეს ორი ბუმბერაზი ერთმანეთს ვერ შეეგუებოდა და ვერ მოატყუებდა, ხოლო პირადი ფსიქოლოგიის გათვალისწინებით ცაზე ორი მზის არსებობა ორივე დიქტატორისათვის გამორიცხული იყო (მზესთან შედარებისათვის ბოდიშს ვიხდი).

გურულები რომ იტყვიან, სტალინმაც თავისი გააბღღება გენიალური გაბედულებით გაითამაშა, ბერლინთან ხელშეკრულება დადო, ნედლეულის უომრად ხელში ჩაგდებათ ჰიტლერს დასავლეთისაკენ გზა გაეხსნა, ევროპა განადგურების წინაშე აღმოჩნდა. სტალინმა ორი კურდღელი ერთდროულად დაიჭირა: დრო მოიგო და პირველი დარტყმის სიმძაფრე აირიდა, ბერლინს ბობოქარი ზურგი (დაპყრობილი ქვეყნები) შეუქმნა და, რაც მთავარია, თუმცა აქ ყველაფერი მთავარია, საკუთარი იზოლაციის უბედურება თითქმის ნულამდე დაიყვანა ევროპაც, ამერიკაც უკვე თავისივე ბედის ინტერესებში ნამდვილად ერთგულ მოკავშირეებად გადააქცია რუსეთისათვის.

სტალინმა გერმანიას ჩააბარა ნავთობის სახელმწიფო მარაგის 57%, ხორბალი და სხვა უდიდესი სამხედრო მნიშვნელობის ნედლეული. ცისტერნების განტვირთვა იმ დღესაც ხდებოდა, როდესაც „ბარბაროსას გეგმა“ ძალაში შევიდა და საბჭოეთის საზღვარი გადმოლახულ იქნა. მაგრამ... „მაგრმა გააკეთა თავისი საქმე“ მუხლებზე ნაჩოქილი ევროპისათვის რუსეთის განირვა უკვე საკუთარი თავის განირვას ნიშნავდა. ასპროცენტიანი გარანტირების თამასუქი სტალინმა ჯიბეში ჩაიღო და ჰიტლერს, ჩერჩილს, რუზველტს აბდალივით შესცინა. ტიტანურმა გამბიტიმა მსოფლიო ყირაზე შემართა. ეს იყო თავბრულდამხვევი რისკისა და ვერაგობის ილეთი, მაგრამ სტალინი სტალინი არ იქნებოდა, რომ უკან დაეხია. ეს ვა-ბანკი იყო, დიდი თამაში დიდი მოგების ერთადერთი შანსით. სხვა გზა არ არსებობდა. მეკარემ თავისივე ხელით ბურთი საკუთარ კარში გაიტანა და ანგარიში გახსნა, მაგრამ თამაში წინ იყო.

ორი პირისსხლიანი გოლიათი მსოფლიო რუკასთან გაიძაგრა. ჯიქური სამხედრო ავანტიურა ფარული ფონის ავანტიურას დაუპირისპირდა: ბლიცკრიგების თვალისმომჭრელ გრივალებს

შორეული გამიზნების გულმშვიდი ჭვრეტა, გენიალურ ფანტასტიკს გენიალური რეალისტი, შმაგი მიზანსწრაფვის მაგიურ დიქტატორს უდრეკი ნების დინჯი დიქტატორი, ფრთხილი, პროზაულად საქმიანი კალკულატორი. ერთი ხანძარს უკიდებდა ქვეყნიერებას და კვამლის შავი ბოლქვებით მინაზე წყვდიადს აფენდა, მეორე ნათურაჩაუქრობელი იდუმალი სეფე-დარბაზიდან ფოლადის ცივი ელვარებით წყვდიადს შუაზე ჭრიდა, რომ კრემლი შუქურად დალანდულიყო დასალუჰად განწირულთათვის, ერთისათვის მითოლოგია მისტიკურ გზნებად გადაქცეულიყო, მეორე მითებს ხელში ათამაშებდა და რეალურ ქულებს ითვლიდა.

„უმჯობესია მტრის ძალა გადააფასო, ვიდრე ჩამოაფასო“, ამბობდნენ ჰიტლერის თანამემამულე კლაუზევიცი, შარნგორსტიც და ნაპოლეონიც. „მტრის სისუსტეზე საკუთარი ვარაუდების აგება დამარცხებას უდრისო“. „მე ყველაფერი ძალმიძს, მე არაფერი მეკრძალება!“ ასეთი იყო ახალი მესიის შეუზღუდველი ნების მოდუსი. სხვა მესიებისაგან განსხვავებით, იგი ისაკუთრებდა ყველა ღვთაებრივ ფუნქციებს და ღმერთს ან ღმერთებს არაფერს უტოვებდა... მას თან მოჰქონდა სამყაროს გარდაქმნის გეგმები, რჩეული რასის ბატონობა, კაცობრიობის უმრავლესობის მონებად ქცევა, ბნელი წარსულის სევასტიკა, საქანელები, აბანოები, ოსვენციმები, მქუხარე მარშები, მუშტრა, ყურის მოჭრა და ყოველივე ეს ან და მარადის... დაკოდელი ევროპა თავიდან ფეხებამდე შეიძრა. იგივე რომ აღმოსავლეთში დატრიალებულიყო, დასავლეთი ამას მიიღებდა, როგორც ეკვივალენტურ ბარი ბარს და ფაშიზმი ყოფნა-არ ყოფნის ზემოქმედებით მას არ დაძაბავდა, მაგრამ ბროკენის მწვერვალებიდან შაბაშადახდომილ ავსულთა რაზმეულები სწორედ დასავლეთისაკენ დაემუნენ, მინას მოედვენ და ააქოთეს. ყველამ იგრძნო, რად იქცეოდა მესამე რაიხი, თუკი ბაზად რუსეთს შემოიმტკიცებდა.

შპენგლერის დაისი იწყებოდა, ოლონდ სხვაგვარად, სხვა სიბრტყეებში, სხვა დასალიერთან ჩამონვა მწუხრი.

ნიბელუნგების სამყაროდან ნიცმეს შიზოიდური ალგზნებით ქერათმიანი ნადირი შემოიჭრა. ევროპის თავზე ბიბლიურმა კატასტროფამ ფრთები შეარხია. ცივილიზაცია ნალეკვის წინაშე დადგა. კაცობრიობას ახალი ერა ჰიტლერის კონვენუსიური გრიმასებით სახედარეჯილი ემუქრებოდა... ომი სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლად გადაიქცა. ევმენიდები, დაუნდობელი ერინიები ცაში აფრინდნენ... ეს მხოლოდ ირანის გზებმა იციან, თუ რა სისწრაფით ხვავდებოდნენ რუსეთის გამოცარიელებული

ბელღები... ის კი ნათურაუქრობ სეფე-დარბაზში იჯდა. იდუმალ თულღებს* უკვე არ ანგარიშობდა, დინჯად ანალდებდა. დამარცხებათა კორიანტელში გამარჯვების ამომავალ ვარსკვლავს შესცქეროდა და მკაცრი დაუთმობლობით თავის მოთხოვნილებებს ოკეანეების იქით ისარივით ტყორცნიდა.

„შენ უნდა შენში ქაოსი ატარო, რომ შვა მროკავი ვარსკვლავი!“ ლალადებდა ზარატუსტრა. „მროკავი ვარსკვლავი“ ვაგლახ, რომ ქაოსმა წარმოშვა და კვლავ ქაოსმა შთანთქა. სანუთროების დიადმა წყობამ ის ამოაგდო, როგორც შემთხვევით შესობილი პატარა ხიჭვი. „ჭიქა წყლის“ ბობოქარი, რომელიც ღმერთად ყოფნას შეეპოტინა, მან აიტაცა, როგორც ხრეში მარცვალი ქვიშის და თავისი მარადიული მოძრაობის სილა-ხეავებში ჩამალა, ან, იქნებ, არარაობის მარადისობას სამარადისოდ გადააბარა... ასე ცოდნია ზეცას დროდადრო კომეტას გაასრიალებს, ალბათ, ამონმებს მიზიდულობის წონასწორობას, ან, იქნებ, შერყევას ლამობს, ან ამტკიცებს უფრო...

ჰიტლერის ბედი გადანყვეტილი იყო. იგი დამარცხდებოდა მაშინაც, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის ათასკილომეტრიანი ფრონტისთვის გაეძლო, რომ რუსეთის სივრცეების მორევს არ ჩაეთრია, რომ ყბადაღებულ „გენერალ ზამთარს“ არ გადაჰყროდა, რომ არანაკლებად ყბადაღებული ნაპოლეონის შეცდომა მინის საკითხში არ გაემეორებინა, რომ საიდუმლო იარაღიც გამოეყენებინა და ა.შ.

მალალი ტექნიკის, ცოდნის, საოცარი ორგანიზების, გენიალური გაბედულების, ყოვლის ხელყოფის მონუმენტური გეგმები სასიკვდილოდ დაჭიანებული იბადებოდნენ. თავდაყირა შეტრიალებული ეგგენიკური დოქტრინა და მისი შემზარავი პრაქტიკა აღფრთოვანებას ვერ გამოიწვევდა. ეროვნული არასრულფასოვნების კომბალზე წამოცმული დროშა მოდერნიზებული მესიანიზმისა ისტორიულად ვერც ეკონომიკურ და ვერც სოციალურ გამართლებას ვერ იპოვიდა. ფარაონების მსგავსად დიდი ბრიტანეთი, როგორც ლევიათანი, თავისი პირამიდის აგებას შეუდგა. ამ დიდებული ერის სიბრძნე სწორედ იმაშია, რომ იგი თავისი სახელმწიფოებრივი გუმანით დროულად დროს უსწრებს და კაცობრიობისათვის სამაგალითო-საჩვენებელ სახელმწიფოდ რჩება. სეისმური სახელმწიფოები აღარც რუსეთის თიხისფეხება ლევიათანის რხ-

* თულღი კოზირი ბანქოს თამაშის დროს.

ევას და ტოტმანს სჭირდება. რუსი პოგრომშიკების გარდა, მისი დამსხვრევის ბედისწერა არავის აეჭვებს. მე რომ სკულპტორი ვიყო, ისტორიის სიმბოლურ სახედ ირონიას გამოვძერწავდი. განა ირონია არ არის, რომ საბჭოეთი სწორედ „მარქსისტული დროშის“ ქვეშ ეკონომიკური და სოციალური დიალექტიკის გაუქმებას პოგრომებით ლამობს?! არამარქსისტული ინგლისი კი დიალექტიკურ კანონზომიერებას დიდი გუმანით და სიბრძნით ემორჩილება, თავისი ნებით ახორციელებს. ერთი სიტყვით, ლევიაფანები დრომ პოლიტიკური არქეოლოგიისათვის გასწირა და მისი მესვეურნი პანოპტიკუმის ცვილის მედიდური პოზით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. რომის, ალექსანდრე მაკედონელის, ნაპოლეონის პრეტენზიებს კრედიტი აღარ გააჩნდა, იქითკენ ქარი აღარ უბერავდა. ისტორიული დინების წინააღმდეგ გაჭრა არავის კეთილად არ ახდომია. ნაციზმის რასისტული კრედო ის ნაწინასწარმეტყველები თავის ქალა იყო, სადაც შიტლერისათვის საბედისწერო გველი ბუდობდა. ისტორიაში მან შესვლა დააგვიანა და მეოცე საუკუნე ერთა თვითგამორკვევის თვითდაფუძნების ეს დიდი საუკუნე შიტლერს გამანადგურებელ პასუხს გასცემდა. მაგრამ სტალინმა აგონია დააჩქარა და, ვინ იტყვის, რომ ეს არ იყო დამსახურება, როდესაც ფაშიზმის ყოველი დღე ჭვარტლით, ფერფლით და სისხლით ხუთავდა ქვეყნიერებას.

საინტიერესოა, რომ მესიანიზმი, ეს აშკარად ებრაული წარმოშობის მანია გრანდიოზა წარმოადგენდა ებრაელობის ისტორიული უბედობის ეროვნულ კომპლექსს და ეროვნული გაცამტვერებისაგან მიგნებულ საფარს. დევნილს უნდა დაეჯერებინა, რომ იგი ღმერთის რჩეულია. ეს იყო შინაგანი გამძლეობის საძირკველი, გადარჩენის მტკიცე იმედი: „შევხვებით იერუსალიმში“ დევნილისათვის ეს იყო აღთქმული ხსნის საწინდარი, თავდაცვა და არა თავდასხმა. ფსიქოლოგიური ციტადელი, რომელიც გარეულს არ ემუქრებოდა და, უკეთეს შემთხვევაში, ღიმილს ინვეცდა.

გერმანიის მოდერნიზებული მესიანიზმი, მისი რასისტული ბოდვანი, ეს ერთგვარად ეროვნული უკმარობის კომპლექსი აქაც იმავე ნიადაგზე აღმოცენდა, სახელდობრ, ვერსალის უბედურებაზე, ოღონდ მეოცე საუკუნის ტემპებსა და სტილში. პარალელი რომ გავაგრძელოთ, ბრძნული ნათქვამი უნდა გავიხსენოთ: „ბედნიერება თუ არა გაქვს, უბედურებაც გიხსნისო“, ანდა „ზოგი ჭირი მარგებელიაო“

სამშობლოდაკარგული ებრაელობა კაცობრიობას, ასეა თუ

ისე, უნდა აეთვისებინა. ხიზნადქცეულნი მან საკუთარ საჭიროებათა მომსახურებით დახარკა. კომერციამ, ხელოსნობამ და სხვა ინტელიგენტურმა (შედარებით) საქმიანობამ სანარმოო ძალების განვითარებაში ებრაელებს საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქცია თავისთავად დაუმკვიდრა. არსებობისათვის უშეღავათო შრომამ და შრომის ხასიათმა მოხარკა, სულიერი და ნივთიერი დოვლათი დაუხვავა.

დამარცხებული გერმანია ცერსალმა უმძიმესი კონტრიბუციით დახარკა, ხოლო გერმანიისათვის გადახდისუნარიანობა რომ არ მოესპოთ, სესხით და სხვა მრავალი საშუალებებით, მის სანარმოო ძალების განვითარებას მოხარკენი უზომოდ ხელს უწყობდნენ. შედეგად, ძალიან მცირე დროში გერმანია უმძლავრეს სახელმწიფოდ გადაიქცა, რომელიც თავის კანში ველარ ეტეოდა. აქ კი პარალელი უნდა შევწყვიტოთ. ებრაელებისაგან განსხვავებით, სადაც მესიანიზმის სხვისი დამთრგუნველი პოტენციური ენერგია თავისი ლოგიკური სისრულით ვერ ვლინდებოდა და ეროვნული გამძლეობის კატალიზატორის როლით კმაყოფილდებოდა, აქ, კინეტიკურ ენერგიად ქცეული, გოლიათის ხელში საიერიშო ტარანი გახდა და კაცობრიობას ეძგერა. ეს ყოველივე სხვათა შორის. მამ, ასე:

სტალინმა გაიმარჯვა. საბოლოო ჯამში მან დაამარცხა შიტილერი და არა მხოლოდ არცთუ ისე ბრწყინვალე სამხედრო სტრატეგიით, არამედ შორს გამიზნული დიპლომატიური ტაქტიკით. ევროპის გორიზონი მედიდურობის ცბიერ დიპლომატიას დაუპირისპირდა აზიის მოკატუნებული თავმდაბლობის ცბიერი პოლიტიკა. ციკლოში ბატკნებს ითვლიდა, ხელებს უთათუნებდა, ულისი ბატკნის ქურქით თავდაჯერებულ სიბეცეს ლაჯებში მშვიდად გაუძვრა, მაგრამ მან დაამარცხა ჩერჩილიც. რუზველტი „ძია ჯოს“ ხელში გადამწყვეტ თულფად გადაიქცა. შესაძლებელია, რუზველტიც ნაიციკლოპებდა, მაგრამ აქ უკვე ჩვეული უხეში პირდაპირობით სტალინი რუზველტს იყენებდა, როგორც მძიმე არტილერიას და მისი სიმალლიდან ჩერჩილის პოზიციებს გამანადგურებელი ყუმბარებით უმასპინძლდებოდა. ეს იყო ყველაზე უფრო ირონიული ირონია, ტიტანური თამაშის სუნთქვაშემკვრელი სატანური ფინიში, რომელსაც ფაქტების ცივი ანგარიში ედო საფუძვლად. ორმოცდაათი მილიონის სიცოცხლე კი ჩამონერილი იყო, რადგან „ისტორია გვამებს არ ითვლის“.

ვერსალში მეორე მსოფლიო ომის ძაფები საფრანგეთის „ვეფხვის“ კლანჭებმა განასკვა. ბრიტანეთის „ლომსაც“ მესამე მსოფლიო უბედურების კვანძი გამოსძალეს და რუზველტი ისე გულდაჯერე-

ბული ჩავიდა საფლავში, თითქოს საკაცობრიო მშვიდობიანობის საქმე საშვილიშვილოდ მოეგვარებინოს.

საკუთარ თავში ჩაკეტილი გაუშიფრავი იდუმალება, რომელიც მოულოდნელი გამოვლინებით გაოცებს, განდიდებული გენერალ-სინიუსის შარავანდედი, მკყრობელის მონუმენტურობა, რომელსაც დედამიწის მეექვსედი ცერებზე ჰყავდა შეყენებული, შოკის მომგვრელი დიპლომატია, რკინის ლოგია, მოვლენათა რეალურად კონკრეტული გააზრება, ნებისყოფის თვალშეუდგამი ტრაექტორია, დაყურსულ ნდომათა ფარული ვნება და ცეცხლი მრგვალ მაგიდას პიპნოზურ ტრანსში აგდებდა. ეს ოდნავ სასაცილოც კი იყო, მაგრამ სტალინს შეეძლო სიძულვილი გამოენვია, სიცილი კი არასოდეს.

უმადურობა დედაკაცივით ჭრელსა და ბრჭყვიალას ეტანება, ან, იქნებ, თემზის ნისლეები მეტად ხშირია... ამბობენ, ნაპოლეონის ბედის ჩარხი პირველად ესპანეთში შეტრიალდაო. ბალკანებიდან პარიზამდე ოკუპაციის გავარვარებული მინა ჰიტლერისათვის პირენეის ნაბევარკუნძულად იქცა და გზა, სიმბოლურად რომ ვთქვათ, ახლაც ბერეზინის გადასასვლელთან დასრულდა. ერთსაც და მეორესაც სწორედ რუსეთში დაუნყვიტეს პარკებმა⁷ ვნებით გადაგრული ბედის ძაფები... მაგრამ ბონაპარტისა და ჰიტლერის რუბიკონებთან, ვით ბედისწერა, ინგლისი იდგა -- მისტერ ბანდინგის ქვეყანა შეუმჩნეველი, ჩუმი ვაჟკაცობის, მომთმენი, მტკიცე და შეუპოვარი დასაწყისიდან დასასრულამდე. და, თუ ჰაინეს მაშინ შეეძლო ეთქვა: „ზღვა-ოკეანეების დიდო მეუფევე“, მთელი შენი ზღვათა წყალნი ვერ ჩამორეცხავენ სირცხვილის ლაქას, საშვილიშვილოდ რომ შეგრჩება ნაპოლეონის შეპყრობისათვის“, დღეს პოეტი იმავეს გაუმეორებდა მას, ვინც ქედუხრელად უპირისპირდებოდა მაუთაჰაუზენების შემქმნელს, ლეონ ბლუმების მტარვალს. მაგრამ მიუნხენის დავიწყება არავის უნდა. ალბათ, ხშირია თემზის ნისლეები... მაღლიერების გრძნობით მინდა, კიდევ ერთხელ გავიხსენო ინგლისის პროგრესიული ღვანლი ჩვენი ცივილიზაციის ისტორიაში (თუნდაც ეს „ჰაბეას კორპუსი“ იყოს), მისი დიდი დამსახურება და წვლილი ფაშიზმის დამარცხების საქმეში, როდესაც მარტოდ შთენილი, უკომპრომისო და უდრეკი ფაშიზმს

⁷ (ლათ.) ძველრომაულ მითოლოგიაში ადამიანის ბედის სამი ღვთაება, იგივეა, რაც ძველბერძნულ მითოლოგიაში ბედი, ბედისწერა, განგება.

ორთაბრძოლაში უმკლავდებოდა.

დღეს უდავოდ სამართლიანად ვიგონებთ ლენინგრადს, ვარშავას, სტალინგრადს და სხვა ლეგენდარულ ქალაქებს, ლონდონს კი მხოლოდ მიუნხენს ვუტოვებთ, მაგრამ რა არის მიუნხენი, თუ არა სასომიხდელი ცდა, რომ 50 000 000 ადამიანი გადარჩენილიყო, ვარშავა, ბუდაპეშტი, იგივე პრალა არ დანგრეულიყო, რუსეთის ვერაგობა მისთვის აშკარა იყო.

ორივე ხელშეკრულება – ჩემბერლენის მიუნხენი და სტალინ-მოლოტოვის ბერლინი უშუალო ნაყოფი იყო პროვოკაციული პოლიტიკისა, რომელსაც დღიდან წარმოშობისა ბოლშევიზმი ეწევა და, ვინ იცის, კიდევ რა განსაცდელს უმზადებენ კაცობრიობას ან უკვე ატომით აღჭურვილი კრემლისა და პეკინის მეუფენი, ჰიტლერის წყმმარიტი ორეულები.

მაგრამ მაშინ მიუნხენ-ბერლინი არავის ახსოვდა. ისტორიის ავანსცენაზე ყველაზე მედიდურად აღმართულიყო გენერალსიმუხის ზვიადი ფიგურა, რომელსაც ძალაუნებურად და მაინც სამართლიანად ყველა შესძახოდა: დიდება სტალინს!

უკანა რიცხვით ჩემი მსჯელობანი ცოტა უხერხულად მიმართა და იმის თქმაც, რომ სტალინის გამარჯვების მჯეროდა. დაახლოებით ასეთი მოსაზრებანი გაეუზიარე მაშინ ვერა ივანოვნას. ამის ღრმა რწმენა ლაგერშიც არ შემრყევია, მაშინაც, როდესაც ომი დამარცხებით დაიწყო, მოსკოვ-ლენინგრადის დაცემისა და მსგავსი მრავალი ხმა ვრცელდებოდა, რაც რუსეთის დამარცხებას დამაჯერებლობას ანიჭებდა. ახლავე მინდა ვაღიარო, რომ ეს იყო არა მარტო ძალთა განწყობილების ობიექტური შეფასება, არამედ მტკიცე წადილიც. ფაშიზმის გამარჯვებას მხარს ვერ დაუჭერდი, რაც არ უნდა მოეტანა მას ჩემი ქვეყნისათვის და, თუ არჩევნის ასეთი ალტერნატივა დამესახებოდა, მე კრემლს და ლაგერს ვირჩევდი. ამ შეხედულების გადასინჯვა არც დღეს მიმართა საჭიროდ, როდესაც ჩემი ყველაზე უარესი მოლოდინი უკვე გამართლდა და ნინ კი შემადრწუნებლად უარესს ვხედავ.

ძალა არ შემწევს და არც პრეტენზია მაქვს ჩვენი ეპოქის მარქსისტული ანალიზი და პროგნოზი ვიკისრო. ამას აკეთებენ და კვლავადაც გააკეთებენ ჩემზე უფრო ჩახედულნი და უნარიანნი, მაგრამ, თუ კადნიერებად არ ჩამეთვლება, ვიტყვი, რომ ბოლშევიზმი, ფაშიზმი, რუსველტის გრანდიოზული ეკონომიკური პროგრამა, რომელიც დღესაც აგრძელებს ხორცშესხმას, რაც მის დროულობას და არაშემთხვევითობას ადასტურებს, რიგი ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნანი, კანონმდებლობის სიახლენი,

განსაკუთრებით შრომის დარგში, ინსტიტუტები, რომელთაც სოციალისტური ელემენტები ჭარბად მოეპოვებათ, სახელმწიფოს ძალმომრეობითი, უფრო სწორედ, იძულების ფუნქციის შეკვეცა, საზოგადოებრივი ფუნქციის შეუჩერებლად გაფართოების ხარჯზე და ჩვენი დროის მრავალი სხვა მოვლენები მოწმობენ, კაპიტალისტური სამყაროს ნიაღში მისი უარყოფელი ახალი სისტემის აღმოცენებას, ზრდას და გეომეტრიული პროგრესიით სწრაფ განვითარებას. მეტად საინტერესო იყო ავსტრია ანშლუსამდე – არსებობდნენ სოციალისტური საზოგადოების განმასახიერებელი ვეებერთელა მუშათა რაიონები. ორგანიზებულ მუშებს თავისი სოციალისტურად ჩამოყალიბებული წარმოებანი გააჩნდათ, კოოპერაციას დაუჯერებელი გასაქანი ჰქონდა, განათლების სისტემა

სკოლები, პროფსასწავლებლები, საბავშვო დაწესებულებანი და სხვ. პროფკავშირის და პარტიის ორგანოები, რა თქმა უნდა, დემოკრატიული პრინციპების ზედმინევენითი დაცვით ახალი საზოგადოების საქმიან ცენტრებს წარმოადგენდნენ. დამახასიათებელია, რომ ფაშიზმი სოციალიზმისაგან სესხულობს რიგ ღონისძიებებს

მრენველობის კონტროლის ქვეშ დაყენებას, ზოგ წარმოებათა ნაციონალიზაციას და ა. შ. თვით პარტიის სახელწოდებაში „სოციალისტურს“ გვერდი ვეღარ აუარა. ე. წ. სოციალისტური სექტორი, ანუ ტოტალიტარული სახელმწიფო კაპიტალიზმის მონსტრუოზულ სისტემებში სოციალიზმის სანყისი ეტაპების მეტ-ნაკლები სიმაბინჯის საფუძვლებს აღმოაჩენს. დიალექტიკა ისტორიის ფატუმია.* განვითარების ამ სახის კანონზომიერება ჩვენი ცივილიზაციის დღევანდლობის ისე ვლინდება, როგორც განგების ნება მეფე ოიდიპოსის ბედუკულმართობაში, მაგრამ ქვეყნიერების რადიკალური გარდაქმნა, მისი სრული სახეცვლილება გაცილებით უფრო რთული და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე ჩვენ ეს გვსურს და გვეთმინება. საბჭოეთი ისეთივე სოციალიზმია, რარიგადაც მარქსისტულია მათი უაზრო ფორმულა: „ვაშენებთ სოციალიზმს“. მშობიარობის ორგანულ პროცესს მშენებლობის მექანიკასთან ვერ გააიგივებ. ჩვენი ცივილიზაციის ეკონომიკა სისხლის მიმოქცევის ერთიანი სისტემაა. პერიფერიული ნაწილების ამ სისტემის კანონზომიერების გარეშე, ნებისმიერი და ხელოვნური დაყენება ასევე კანონზომიერად წარმოშობს ანომალიებს, დეფორმაციებს, განგრენოზულ პროცესებს. ალქიმია ქიმიის წინამორბედი. ლენინი,

* ბედი, განსაზღვრული აუცილებლობა.

სტალინი, მაო ძედუნი, პიტლერიც სხვადასხვა მწკრივის, ლირებულებისა და სიმახინჯის ალქიმიკოსები არიან.

პროგრესული ერი, და საქართველო უდავოდ ასეთი ერია, თამაშგარეშე მდგომარეობაში არ დარჩებოდა. იგი თავის წვლილს შეიტანდა, გვერდში ამოუდგებოდა მათ, ვინც კაცობრიობის საკეთილდღეოდ იბრძოდა, მაგრამ ბედუკულმართობამ ჩვენი ქვეყანა ბრძოლის ავანგარდში იძულებით მოაქცია. უფრო მეტიც, 600 ათასი ერთეული, ანუ მოსახლეობის 15% ფრონტზე გაიგზავნა. თუ შეფარდებას ბრძოლისუნარიანი ასაკის მოსახლეობამდე დავიყვანთ, ეს ქუდზე კაცის გამოყვანას ნიშნავდა. ასეთი მძიმე ხვედრი არც ერთ ქვეყანას არ რგებია. ეს იყო დაპყრობილი ერის ველური განადგურების კიდევ ერთი მაგალითი. ცოცხალი ძალის გამოყენებაში ასეთი ბოროტი დაუნდობლობა საქართველოს მიმართ არც ერთ ჩვენს დამპყრობელს არ გამოუჩენია, ჩემი აზრით.

გამწარებული ხალხის ცდუნებანი, ფაშიზმის ეპიდემიური საფრთხე, ომის გამოყენების ცდა, პატრიოტული სულისკვეთების აქტივიზაცია და სხვა საქართველოში გამორიცხული არ იყო. ზოგიერთი ნიჭიერი ყმანვილი, მამულიშვილური გრძნობებით ალტყინებული – მუსტაფა შელია, ლევან აბდუშელიშვილი და სხვანი, რომელთა გვარები საუბედუროდ არ ვიცი, უაზროდ გაისრისნენ ამ არეულ დროში. ეს იყო სასონარკვეთილებით და გამოუცდელიობით ნაკარნახევი თავგანწირვა, რომელსაც ხალხში გამოძახილი არა ჰქონია და ლოკალურ აქციად დარჩა. ქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავისი საოცარი სიბრძნის ეროვნული გუმანი, რომელსაც არასოდეს უღალატია მისთვის დიდი განსაცდელის უამს. ბობოქარ ქარიშხალში ეროვნული ბრძოლის მესვეურებსაც, რომელთა ძირითად ბირთვს სოციალ-დემოკრატიული პარტია შეადგენდა, საზღვარს იქით და საზღვარს აქეთაც დიდი სიფრთხილით მიჰყავდა ჩვენი პატარა ხომალდი.

ახლა ეს დღეები ისტორიად იქცა. რეტროსპექციით ადვილდება კიდევაც სწორი დასკვნები, მაგრამ მაშინ ეს იყო ჩემი მძიმე განსაცდელი, არა ერთხელ და არა ორჯერ მწარე ფიქრებში დამთენებია. მონივნებულ მადლობას ეწირავ ჩემს მასწავლებელს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც ჩამოაყალიბა ჩემი პოლიტიკური მრწამსი, აღმჭურვა ჭეშმარიტი მარქსისტული მსოფლმხედველობით და ხელში მომცა ცხოვრების ჭრელ სინამდვილეში გარკვევის უტყუარი ორიენტირები.

სეირნობიდან ვბრუნდებით. ტიმოფეევა დუმს. ორთავენი საკუთარ ფიქრებში ვართ წასული. გზაში ახალგაზრდა ურკა-ბიჭები

შემოგვხვდნენ.

გაიცანით, ეს მანდილოსნები 1937 წლის ტრაგედიის პერსონაჟები გახლავთ! დამცინავი და მრავალმნიშვნელოვანი ტონით ეუბნება ურკა თავის მეგობარს, გუშინ თვითონ ნადირობდნენ, დღეს მათზე ნადირობენ. „სუღბა იგრაეტ ჩელოვეკომ“... ახალი ამპლუა ხომ არ გეხამუშებათ, „კომისრებო“, „ნეჟმოტ“?

მისამართი შეგეშალათ, ვესიტყვეები მხიარულად, ოცინანი ნღების რუსული ტრაგედიის პერსონაჟები გახლავართ...

ააა!!! ირონიული მონინებით თეატრალურად ქუდს გვიხდინან ურკები და მიდიან.

ვერა ივანოვნა იცინის, მერე მხიარულად მეხვევა და მკოცნის. მის თვალეში ცრემლია. ვიცი, დღეს განსაკუთრებით ვუყვარვარ. მონობის, ბატონყმობის, სტეპების ბეჭდით დადალული რუსეთი! დიდი მოთმინების, დიდი მორჩილების, დიდი ჭმუნვის და ფიქრის დიდი ერი! „И вотли ны длатя из этих людсй. не было ны в мире крепче гвождей“.

მეორე დღეს გამოგვიძახეს. ეტაპში ვართ მხოლოდ ორმოცდათვრამეტ მუხლიანები. მოდის ტიმოფეევაც, გრევენიცი, მემკოვა, უმრავლესობა პოლონელები. აკმოლინსკში ქალთა დახურული ბანაკია. არც ერთი ურკა არ გვირევია, მაშასადამე, იქით მივდივართ.

კონტრიკებო! (კონტრრევოლუციონერი — რეციდივისტების ჟარგონზე) თეთრ სამარეში ჩაიმარხებით! გვიყვირიან ურკა-გოგოები, მაგრამ უფრო მჭახე უცენზურო სიტყვებით. ყაზახურად აკმოლა თეთრ სამარეს ნიშნავს. აგრონომმა ქალმაც გვერდით ჩამიარა:

„ალჟირში“ მიდიხართ! გადმომძახა მან. ესეც ციხის ჟარგონზე ლაგერის სახელწოდებაა: „Акмолинский лагерь ЖСИ Измешинской Политси“ მთავრულ ასოთა კომპოზიტი „ალჟირ“.

გზაში ჯაზგაზგანის შესახებ ხმები გველებივით გასრიალდა. შიში ჩამონვა. იქ მალაროებია, რეჟიმის თუ ურეჟიმობის ჯოჯოხეთი, სასიკვდილოდ განწირული პოლიტპატიმრების, ალვირანყვეტილი ნაძირალების, მკვლელების, ბანდიტების საქვაბე. უკან არავინ ბრუნდება... ამბობდნენ ამანათის მისაღებად ერთს 10-15 პატიმარი მიჰყვება. ლაგერის შიდა საფოსტო ბარაკიდან საცხოვრებელ ბარაკამდე სისხლიან შეტაკებას ვერ აიცდენ. ბანდიტებს გალესილი დანები აქვთ. „ექსპედიციიდან“ ყველა არ ბრუნდება და მაინც მიდიან სოლიდარობის იმპულსები და კიდევ... კვნიტი შაქარი, ქალაღდის ნაგლეჯი, ნეკოს მნიკვი... „ექსპროპრიაციაში“ აღმინ-

ისტრაცია არ ერევა „საკუთარ თავს უშველოს, თუ შეუძლია“. ხალხი ჩეჩქივითაა, ყველა სიკვდილის კერძია. გასაიდუმლოებული სტატისტიკა ძილს არავის უფრთხობს, „ექსცესებს“ თავს ვინ გაართმევს, ლაგერში უამრავია. ოღონდაც მადნეულის მოპოვების სახელმწიფოებრივი გეგმა უნდა სრულდებოდეს. გეგმა სრულდება.

იმედ-უიმედობის სამი დღე გაილია. მატარებელი გაჩერდა. ფანჯარაში თეთრად გადატყეცილი ტრამალებია, შორს ჯაზგაზგანის შავი სილუეტი, ქვესკნელის თუ თეთრი უდაბნოს ქიმერა... მამაკაცების გადატირთვა; ტყლამუნი, ჯიკავი, გინება, „დავაი!“... ჩვენი გალიის წინ პატიმრებს ფეხები ებორკებათ. ენით უთქმელი სასონარკვეთაა ეს წამიერი შეჩერება. ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ უკანასკნელი გამოსალმების დაუძლეველი იმპულსი: Придайте, ეთხოვებიან ყველაფერს თავის თავს, ადამიანობას, სიცოცხლეს...

იმედის ფუნქციამომლილი ადამიანი ძნელად წარმოსადგენია. ალბათ, სიკვდილმისჯილს იმედი სიკვდილამდე არ ეკარგება. რაც უფრო უიმედოა მდგომარეობა, მით უფრო ძლიერია იმედი. უიმედობას თუ შემოგჩივის ვინმე, არ დაუჯერო. ნუგემის დასესხებით იგი საკუთარ იმედს უფრო ალვიებს. ეს არც ემოციაა, არც ინტელექტის ნაყოფი. იგი თავდაცვის ინსტიქტის გამოვლინებაა, გამძლეობის ხერხემალია. ლაგერში იმედი ფანტიზმის ხარისხშია.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჯაზგაზგანში პატიმართა აჯანყება მოხდა. ხელთ უგდიათ ლაგერი, მომსახურე ადმინისტრაციის გარეთა ზონა, საწყობები, იარაღი. მერე გამარჯვების უტყბესი დღეები: ადამიანურობის აღდგენა, დისციპლინა, წესრიგი, არავითარი მხეცური ჟინი შურისძიების, დებოშის, ანარქიის. ნაძირალებიც ადამიანთა მწკრივში ჩამდგარან. შეიძლებოდა, აქ ჭკუათამყოფელს გადარჩენის, ან გაქცევის იმედი ჰქონოდა?! ირგვლივ უკაცრიელი ტრამალებია, მკვდარი ზონა, კორდონები, ძალები... „უკიდურესობამდე ადამიანი უკიდურესობას მიჰყავსო“ უთქვამს ეკატერინე მეორეს.

თვითმფრინავებმა მალე აღადგინეს საბჭოური წესრიგი იქ, სადაც ადამიანური წესრიგიანობა დამყარებულიყო. ამას ბურცევი მიყვება. გადატანილი ბრძოლის გზნება ჯერ კიდევ არ განელებია, მისი თვალები ნაპერწკლებს აკვესებენ. სასწაულით გადარჩენილა. მერე სტალინისა და ბერიას ამბებს მოუსწრია, გაუთავისუფლებიათ. შრომის სტაჟის ცნობებისათვის გზად კოქჩეტავეში ჩამოსულა. დიდი წვალებით მოუგნია ჩემთვის. ბინა გამოცვლილი მქონდა,

ქარხნიდანაც დიდი ხანია წამოსული ვიყავი. დაპატიმრებისათვის ხელმოსაკიდი ვერა ნახეს რა და სამსახურიდან გამოგდებით დაკმაყოფილდნენ.

დაპატიმრებამდე ბურცეემა ნაშუალამევს მომაკითხა. ჩვენი ქარხნის ერთი ციხის გამგე შინსახკომში გამომძიებლად იყო გადაყვანილი, დასაკითხად გამოეძახა ე. ი. გაეფრთხილებინა და მომზადებისათვის დრო მიეცა (ახალი იყო, ჩეკისტურად ჯერ მოუნათლავი). ბათხანის შესახებ ბურცევს ვაფრთხილებდი. ყური არ მათხოვა. ახლა კი მიდასტურებს, გამომძიებელს მიუხვედრებია, მაგრამ რალა დროს. მისამართებს მაძლევს, ამბებს მბაბრებს. იმავე ღამით უნდა წაეყვანათ.

ბათხანი არონ ალექსანდრეს ძე ჩვენსავით ნაპატიმრალი იყო. სამთავენი ქარხნის სამმართველოს სხვადასხვა განყოფილებებში ეკონომისტებად ვმუშაობდით. ებრაელის კვალობაზე ნიჭიერი და ენაკვიმატი ბათხანი ყველას იოლად უშინაურდებოდა. არა ერთი და ორი იმსხვერპლა. თავიდანვე საეჭვოდ მივიჩნიე და ვერიდებოდი. ბურცევის დაპატიმრების შემდეგ ქარხნის ეზოში კელავ ამედეენა – ვიცი, ვინცა ხართ!

თქვენთან არაფერი მაქვს სალაპარაკო, თუ რაიმე გაგაჩნიათ, „იქ“ წაიღეთ, სადაც დაძუნძულებთ და პასუხსაც „იქ“ მოგცემთ!

ვუთხარი ხმამალლა და გავცილდი. წინასწარ მხილებულს ფასი უმცირდება. ესეც რომ არა, ზიზღმა დამძლია.

გავიდა რამდენიმე დღე. ვილაცამ კარზე მომიკაკუნა.

შემოდით! – გავძახე ჩვეულებისამებრ.

ბათხანია, სახეზე რალაც გადანყვეტილება მკვეთრად ეხატება. ჯიქურ შემოვიდა. ცოტა ნასვამიც უნდა იყოს. უსაშველო ხიფათი ვიგრძენი. ტყეში ხომ არა ვარ, შემიძლია გაგდება, მაგრამ სკანდალი ყოველთვის მეჩოთირებოდა. მოფიქრების დრო არა მაქვს. რა ვიღონო?! რა სწრაფად ხდება ყველა ძალების მობილიზაცია. ალბათ, ასეა ყველა ხიფათის წინ ადამიანი არ აზროვნებს, ირაზმება მთელი არსებით, ძნელია იმის თქმა, რა სჭარბობს: აზრი, გრძნობა, თუ ალლო. არც ის იცი რა და როგორ, თითქოს ზემთაგონებით მოქმედებ.

როგორც ვიჯექი სკამზე, ისევე დაერჩი, თვალს არ ვაცილებ. ის კი პირიქით. სკამი მოსწია, ჩემ გვერდით დაჯდა. ხელი ჩემკენ წამოიღო: „მიყვარხართ!“

არ გაენძრულებარ, მხოლოდ ორი თითით მოვიშორე მისი ხელი, ფრთხილად, ძალიან სერიოზულად, რომელიც გამორიცხავდა გაღიზიანებას, გამოწვევას. საოცარი სიმშვიდე შეუფლება.

თითქოს ჩემი მეობა გაქრა, სხვა ვილაცაა და ის მოქმედებს. ის სხვა ვილაცა მოულოდნელად საუბარს იწყებს:

დიახ, მყვარებია და მეც ვუყვარდი...

თითქოს ბათხანის მოსვლას ველოდი, რომ გული გადაამეხსნა, ვუყვები იმას, რაც მეგობრისათვის არ გამინდია, რაც არავისთვის გამიმეტებია... ვუყვები წრფელი გულითადობით, აუჩქარებლად, მშვიდად, თითქოს უხილავ ნიგნში ვიხედები. სიტყვები არ იფანტებიან, თითქოს ძირს ეცემიან, ერთმანეთს ეკვრებიან, თითქოს ჩნდება, იზრდება სტალაგმიტები... ვუყვები მართალს შეუფერადებლად, ვუყვები ხელგაშლით, სრული სისავესით, ამაყად, ლალად... თავისთავად ამოდინ და ლაგდებიან სურათები, სადღაც სიღრმეში მიკარგულ-მივიწყებული. სუფთა ხაზები, სახეები ამალღებული, წმინდა, ფაქიზი. სიტყვები ნვეთ-ნვეთად იღვენთებიან, სტალაგმიტები იბორცვებიან, ზღუდებდა თავს მეველებიან. ერთი ნუთითაც არ შეეჩერებულვარ, ერთი ნუთითაც არ აჩქარებულვარ, არ მიძებნია, არ მიჩრევიან, ნელა მივყვები მოგონებათა ნელ დენადობას, წარსულს, შორეულს. ეს ლორწო მატლიც გადამავეინწყდა. მონინებული სიფრთხილით, კრძალვით ამომაქვს გამამალღული, მივიწყებული, უძვირფასესი. ნათელი სახეები ჩემ ირგვლივ შემოიჯარნენ, ეს არ ყოფილა სტალაგმიტები, მე მათთანა ვარ, მე მათ სითბოს ვგრძნობ. ეს ცოცხალი გალავანია, შეუვალი სიმალღეა, იქიდან გასრესილი მატლიც აღარ ჩანს. თითქოს განათდა, განინმინდა ყოველი და რა ტკიბილია ეს საუბარი...

არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანა ამ ნელმა თხრობამ. ბათხანი ადგა, პირი არ უბრუნებია, კარები ფრთხილად გაიხურა. მე იქვე ლოგინზე დავემხე. მძიმე უსიზმრო ძილით ჩამეძინა. მერე კენესამ გამომალღვიძა... ნუ კენესი, გულო, მე გავხსენი მაგრად გადარაზული შენი კარები. მის იქით გადამწვარი უდაბნოა, ლანდებს იქიდან აღარ მოვიხმობ... ნუ კენესი, გულო...

ბურცევს ვეთხოვები. ჩვენ არ ვყოფილვართ მეგობრები, მაგრამ რარივ ძვირფასია კარგი ადამიანი, თუნდაც რომ იგი მხოლოდ გეგულეოდეს. ის მიდის და იკარგება. ასე დაიკარგა ბევრი, თითოეული, ყველა... პოეტი მოგონებათა სასაფლაოზე გარიყულიყო, მაგრამ არის უდაბნოს მიკარგული სასაფლაო. საფლავებზე ქვიშას გადაუვლია... იქ მხოლოდ მკვდრების ჩურჩული ისმის, იქ ცოცხლებიც დადუმებულან, ცოცხლებისათვის ლოდები მე მივიტანე, გადაყვლეფილი ხელებით მე დავაყუდე მათ სამარხებზე მძიმე ლოდები, რომ ისინი ისეთნი დარჩნენ, როგორიც იყვნენ... თუ არ არსებობდა სასწორი სადმე, ვგონებ, ცოტა ჭარბად გადმოგი-

ნონავს, განგებავ, ჩემთვის... მაგრამ ვიკმაროთ. კოქჩეტავის ეპი-
ზოდი ჯაზგაზგანის გახსენებამ მომაგონა.

მაშინ ქალები დაცლილ ვაგონში მთელი დღე გაგვაჩე-
რეს. გალიებში ჩაკეტილები ბედის განაჩენს ველოდებოდით.
ჯაზგაზგანი განწირულებათა, ქალებისათვის კი განწირულება
სიბილნით. გაჩუმებული ვიყავით, ყველა თავის თავში განმარ-
ტობულიყო. უცბად ბადრაგი ამოძრავდა, ახმაურდა. რამდენიმე
გალიამ პატიმართა ახალი პარტია მიიღო და... მატარებელი და-
იძრა. ქალები ერთმანეთს ეხვევიან, ზოგს ისტერიული ტირილი
აუვარდა და იგუდება. ყველასათვის განკითხვის საათს ჯერ არ
ჩამოუკრავს. აკმოლინსკი ყველამ უცბად ირწმუნა. ასეც მოხდა.

აკმოლინსკის ლაგერის ბაზაზე ჩამოგვიყვანეს. თვით ლაგერი
45 კილომეტრის იქით ყოფილა. ეს მანძილი მისი მკედარი ზონის
რადიუსია. ჩიტიც ვერ გადაფრინდება, ბუჩქნარს, ტოტსაც ვერ
მიაგნებს, რომ შეისვენოს გადაყვლეფილი ტრამალია. ბაზას
სამკერვალო აქვს, ალჟირელი ზეკები მუშაობენ, სახნავ-სათესიცა
აქვთ, გარე სამუშაოები ბლომად წყლის მოზიდვა, ალჟირიდან
სურსათ-სანოვაგისა და სხვ. ყველა დაბამულ, ზევიდან დალი-
ანდაგებულ შარვალ-ტანსაბურავებშია. ჩაფერფლილი თვალებით
ნეკოს ექაჩებიან და პირტიტველა, ქოსა კაცებს ჰგვანან.

საკარანტინო ბარაკში ადრე ჩამოყვანილი ქალების პარტია
დაგვიხვდა. ბედნიერი შეხვედრები (თანამოეტაპესთან შეხვედრა
სწორედ ასეთ განცდას იძლევა), ერთობლივი მხიარული ყრიამუ-
ლია.

პანი ლიზიკო, მოირბინეს პოლონელებმა, აქ თქვენსა-
ვით გადანასახლები ქალია, თქვენ შესახებ გვეკითხებოდა, ახლავე
მოვიყვანთ, შუამავლობენ ექსპანსიური გოგონები. მათ ჯერ
კიდევ შემორჩენილი აქვთ ლალი ცხოვრების უშუალობა. ეს ქალი
მეც ნიშანში მყავდა ამოღებული, ყნოსვით რალაცას ვგრძნობდი,
მაგრამ ეტაპის სიჭრელემ სიფრთხილე მასწავლა, არ ვჩქარობდი,
ვუკვირდებოდი. ბელას უფრო გაუადვილდა მიხვედრა. გადანა-
სახლები ქართველი ეს თითქმის რომ ბელადობის მოწმობაა
ჩვენი ყალიბის პატიმრებისათვის.

სად იყავით? მეკითხება იგი.

პირველად ნარიმის მხარეში, -- ვეუბნები მე და გამოსაცდე-
ლად ვუსახლებ რუსი სოციალ-დემოკრატების გვარებს, რომლე-
ბიც მაშინ ჩემთან იმყოფებოდნენ. ბელას სახე უბრწყინავს და თვ-
ალცრემლიანი მეხვევა:

მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, ამ ვეებერთელა გზაზე

ერთი ამხანაგი მოვიძიე, თქმითაც და უთქმელადაც ერთმანეთს ყველაფერს გაუუგებთ.

ეს სიხარულიც მტკივნეულია. მაგონდება ერთი შეხვედრა.

ეტაპში თბილისიდან ერთი სექტანტი ქალი მომყვებოდა. მათ, ვგონებ, ორმოცდაათიანები ენოდებათ. საინტერესოა, რომ რელიგიური სექტა, შესაძლოა ქრისტიანულ სარწმუნეობას გამოეყო, მაგრამ კარს უღებს ყველას, განურჩევლად ყოფილი სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ჩემი თანამოეტაპე, მაგალითად, იყო ებრაელი. ყარაბაზში დედაბრების ერთი ჯგუფი მისებრ მეტყველებდა: ყველა დები და ძმები ვართ, ღმერთი ერთია, გინდა იელოვა დაარქვი, გინდა ალაპი და ა.შ. ისევე, როგორც დღეს ვატიკანი ამეტყველდა. სამაგიეროდ საბჭოეთში ფარულად და დაუფარავად მეხუთე პუნქტი კურსივით აღინიშნა, რაც ხელს არ უშლის, ან ხელს უწყობს ახალ პასპორტში ეროვნების სრულ გაუქმებას. ის ქალი მოვნახე და დედაბრებს მივგვარე. რალაც პირობითი თქმა თუ პაროლი ერთმანეთს გაუზიარეს და მერე თვალცრემლიანი „თავის წმინდა“ დებს „გულში მხურვალედ ჩაეკონა“. ნუთუ ჩვენც სექტანტები გავხდით?! სადღა იყო მხიარული, იმედიანი შეხვედრები, ოდესღაც ხშირი და ნუგეშიანი... ბოლშევიკებმა მარცხენა ფრონტი ძირფესვიანად გაანადგურეს, მარჯვნივ შულგინები ამოძრავდნენ და ფლუიდებმა ამ მიმართულებით იმძლავრეს. პოგრომშიკები დღეს სლავიანოფიზმის რესპექტაბელობით ინიღბებიან.

სხვათა შორის, იმავე სექტის იმერელი ქალი ტაშკენტის საეტაპო პუნქტში შემომხვდა. ჩვენს სოფლებშიდაც შეჭრილა სექტანტობა. უკვე ხანში შესული იყო. საოცარი სილამაზის სახე ჰქონდა, შინაგანი მხურვალეებით ანთებული, დამატყვევებელი თვალები... მუშაობაზე უარის გამო (საბოტაჟი) სამჯერ ყოფილა ნასამართლევი. უმაღლესი სასჯელის განაჩენი შეეცვალათ და ახლა განახლებული ათწლიანით მიდიოდა, უდავოდ მეოთხე გასამართლებისათვის ემზადებოდა. მონამეობრივ სიკვდილს, ალბათ, მომხიბლავი ემზი გააჩნია.

ბელა იაკობის ასული შვარც-გარელიკი სოციალ-დემოკრატია, ომსკიდან მოდის. გადასახლებულთა საკმაოდ დიდი ჯგუფი (სამი პერიოდის „ერთ-ერთ მინუსში“ იმყოფებოდნენ) 1937 წელს დაურბევიათ. ბელა თითქმის მარტო დარჩენილა. 1940 წელს მოჰკონებიათ და ხუთი წლის „საგზურით“ ლაგერში გამოუსტუმრებიათ. ჩვენი ხალხი არც მას შეხვედრია. დარბეული ჯგუფისა და მათთან ერთად ქმრის ავან-ჩავანი დაკარგული აქვს. ბელა გერმანული ენის მასწავლებელია. შვილი, იურა, კიევში ჰყავს დედასთან.

ახლა არაფერი გვიჭირს, გულგამთბარი მეუბნება იგი, აგრეა!

შემოგვემატა ლიდია ვლადიმერის ასული ჩერნიგოვცევა. იგი ამხანაგი არაა, მაგრამ „ნარსულიანია“ ლაგერში ნამყოფია, მაშასადამე, ნანრთობია და სანდო. ინტელიგენტი, კეთილშობილი, გულმართალი, თითქოს საგანგებოდ ამოეჭრათ რუსი ქალების პორტრეტების გალერეიდან, რომელიც ასეთი სითბოთი და ამაღლებით შეუქმნიათ რუსეთის მხატვრებს... სათნო ლურჯი თვალები აქვს, შემოგანათებს და უნებურად გაგელიმება. თავისი განსაკუთრებული სინატიფით მოპასანის მიერ დახატულ რუსი არისტოკრატი ქალის სახეს მოგაგონებს. ვერა ივანოვნა ცოტას ჭოჭმანობს და მერე ხალისით გვიერთდება. ერთი სიტყვით, ჭრელი, მაგრამ რაღაც ბირთვი შეიკრა. პოლონელი გოგონები ჩვენ გარშემო ჯგუფდებიან.

„ტრუშჩობებიდან“ ამოეძვერით და ბავშვებივით ყველაფერი გვაბარებს. ადმინისტრაციაც არსად ჩანს. გუშაგიანი კომპკურა და მავთულხლართების მესერი რომ არა, ლაგერსაც ვერ ვიგრძნობდით. ალბათ, ვიგრძნობდით, მაგრამ მაშინ ძალიან ბედნიერები ვიყავით. ის საშინელი ჟიგანური საქვაბე აღარ თრგუნავდა სულს.

ჩვენს ეტაპში ერთი ნითელი „არისტოკრატი ცოლიც“ გვირევიდა. მისთვის ყველა ჩვენ ვიგინდარები ვართ და სპეციფიკური კასტური მედიდურობით დაგვეყურებს. საკმარისად აგრესიულიც არის. ვინც არ უხსენეს, ზიზლით მოიხსენია:

პროშე პანი, ვშისტკა კონტრა, ანტისოვეცკა...

რატომღაც პოლონურად მეტყველებს, თუმცა რუსული კარგად იცის, რუსია და სადღაც პოლონეთში უცხოვრია. ვშისტკა სოვეცკა პანი ერთსულოვანი ანტიპათიით სარგებლობს. ვერა ივანოვნას ვახელებთ თანამოაზრე გყავთ და იმას მიეკედლეთ-თქო.

ბაზის მკვიდრნი ჩვენთან ცივად არიან. ვშისტკა სოვეცკასთან პირიქით, საერთო ენა მალე გამონახეს. ბაზის აღჭირელები-სათვის ჩვენ უცხო გამვლელები ვართ. მოსაბეზრებელი უნდა ყოფილიყო ხალხის მარადი დენადობა, მაგრამ ქალთა ლაგერი დახურული ტიპისაა, მაშასადამე, დიდი მოძრაობა არავის შეანუხებდა. მათ არაფერი აინტერესებთ არც ადამიანი, არც გარე ქვეყანა, რომლის სუნთქვა ჯერ ჩვენ არ გამოგვენელებია. არ ვიცი, რით ავხსნა ობიექტური ინდეფერენტიზმია თუ მოლლილი, ნანვალე-ბი ადამიანის გულისყრა და გამოთიშვა. ჩვენ ხალისიანი შეხვედრა ვიცოდით, ხარბად ვისრუტავდით მონაყოლს, მნიშვნელოვანი იყო თითოეული ნვრილმანი. ვეძიებდით, ვეჭვობდით, ვფიქრობდით,

ვმსჯელობდით, ცხოვრების მაჯისცემას შეუწელებელი მღელვარებით ვაყურადებდით.

უარესს მოველი! ღრძოდ მეუბნება ბელა, ცოლები საგანგებოდ გამოყვანილი ჯიშია. პირადობა დაკარგული აქვთ, რომ შეიძლებოდეს, საკუთარ ჩრდილსაც მოიშორებდნენ, არ ენდობიან, მათ აკავშირებთ მხოლოდ ბორკილები. აბა, გაუშვი, მყისვე დაივინყებს ლაგერს, ქმარს, შეურაცხყოფას, ნანახს და გაგონილს. სალიტანიოდ დადგება, ოთხად მოიკეცება, შუბლს შეიმტვრევს რტყმევით. სიყალბეს სიმართლისაგან ვერ გამოარჩევ. ისე არიან შიშით, პირმოთნეობით, ფარისევლობით და სხვა ამგვარი გრძნობებით ძლეულნი, რომ თვითმოტყუების არტისტიზმი ჭეშმარიტად სიმართლის ილუზიას ჰქმნის, დამაჯერებელს მათთვისაც და სხვისთვისაც. გულდაგულ, დიდი რუდუნებით ხდება ჯოგური თვისებების კულტივირება, თხუნელები! ზიზლით ასრულებს ბელა და, ვგონებ, მართალია. მაგრამ ბელა სხვა ტერმინს ხმარობს. არის ასეთი მწერი, რომელიც თავდასაცავად მყრალ სუნს გამოყოფს, ხოდა ბელაც ცოლებს „ვანიუჩკებს“ უწოდებს.

რუსეთში იტყვიან ხოლმე „ниту идиом.“ ამბობს ლიდა ჩერნიგოვცევა, ასეთი თქმის დამკვიდრება რუსულ იდიომატიკაში, ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს! ნალვლიანად ამთავრებს თავის აზრს.

ჩვენს ეტაპში კიდევ ერთი ალჟირელი ცოლია. სხვა ლაგერში გაუგზავნიათ და კვლავ აბრუნებენ, ღმერთმა რომ არ იცის რისთვის და რატომ. უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს: კუნთოვანი, დამუხრუჭებული მოქმედების, ტლანქი, მოუხეშავი, გამქრალი ტომების უდაბნოში მიტოვებულ ქვის კერპსა ჰგავს. მისი დიდი ნაცრისფერი თვალები, შიგნით ჩატრიალებული მზერით, ამოცანასავით გაღელვებს, რომელიც გაღიზიანებს კიდევაც, მაგრამ ვერ ეშვები. შენაცრებული ხუჭუჭი თმა ქუდივით აქვს მორგებული. საზეიმოდ ფოსტის კონვერტით დამასაჩუქრა, ეს, ალბათ, დიდი გამეტება იყო მისთვის. თავიდან ფეხებამდე ნაცრისფერშია, თვითონაც თითქოს ამ ფერითაა გაყლენთილი. ღანვის თავები წითლად აქვს შეფაკლული და ეს სინითლევ მონაცრისფროა, თითქოს წითელი ძაფების ბლანდები ტყვიის ფხვნილით შეუპუდრავს. ძონძებით და პლუშკინის რამერუმეებით გამოტენილ შემოხეხილ ყუთს უზის, როგორც სიძუნწით ვნებულის ქანდაკება და ხელები იდაყვიდან მტევენებამდე ქვის ბარძაყებზე დაულაგებია.

მიამბობს თავისი ალჟირელი მეგობრის შესახებ. ერთხელ ეს მისი მეგობარი ბარაკის კედლის შვერილზე მჯდარა. ლაგერის

უფროსს ჩამოუვლია თავისი საყვარელი ძაღლით. ქალს ძაღლი-საკენ გაუხედავს, მას პატრონი მყისვე მიუტოვებია, ქალთან ძუნ-ძულით მისულა და ფეხებთან მორჩილად განოლილა. ადგილი-დან ვერ დაუძრავთ. ქალი ბარაკში შესულა და ძაღლიც ლაგერის უფროსს ნაუყვანია, მაგრამ, როდესაც საყელოსთვის ხელი უშვია, ძაღლი გამოქცევია, ბარაკში შევარდნილა, ქალი მოუნახავს და კვ-ლავ თავისი მეუფის ფერხით ძაღლის ნეტარებას მისცემია. ასე იძირება, ალბათ, ადამიანიც ღმერთის წედომაში. მას შემდეგ პა-ტრონს ძაღლზე გავლენა სრულიად დაუკარგავს. იხელთებდა თუ არა დროს, ზონის საგუშაგოს გადაევლებოდა და თავის ღმერთს უბრუნდებოდა. ძაღლი მოუკლავთ. მხეცების მომთვინიერებელი ალჟირიდან სხვაგან გაუგზავნიათ. მალე ეს ჩემი თანამოეტაპეც სხვაგან გაუგზავნიათ, ახლა კვლავ უკან აბრუნებდნენ, თავისი მე-გობრის გზა-კვალი დაკარგული ჰქონდა და ნუხდა იქნებ, ისიც მოთვინიერებული იყო. არ მინდოდა, უხეშად მეხუმრა, ასე გამო-მივიდა, მაგრამ ეს ქალი ამკარად ფსიქიკურად შეძრული იყო და უსათუოდ საჭიროებდა ძლიერი ადამიანის გავლენას.

მორეულ იალაღებზე მწყემსად ბევრ ხანს ყოფილა. ყაზახ ჩა-ბანებს ხელი ნაუვლიათ, მაგრამ მასაც ჰყოლია ავი ძაღლები. არ ვიცი, რა წარსული ჰქონდა მას, ახლა კი ნამდვილად პარანოიკი იყო. თხრობა ჩინებული იცოდა, ხშირი ნყვეტებით. სახის მეტყველება პაუზებს ავსებს, ხმის ოსტატური მოდულაცია დრამატულ ინ-ტონაციებშია. ისე ყვება, თითქოს ქვაზე იეროგლიფებს ჭრის, თითქოს გესმის ნათქვამი, მაგრამ მის იქით შეუცნობელი რალაც უთქმელი რჩება, როგორც ქვაში ჩაკარგული, გაუქმებული იდუმა-ლება. დიდი ხელოვნის ალგზნებული გარდასახვის მოწმე ხდები. ნიჭის თუ ამღვრეული სულის აღტყინება გობჭავდა ისე, როგორც მისი მომთვინიერებელი მეგობარი იმ ძაღლს.

ბედს მაუწყებდა, როგორც გრძნეული:

თქვენც ვარსკვლავების მაცნე იქნებით! უყოყმანოდ და ჩაცვიებით მეუბნებოდა იგი და იმ ნუთში მზად ვიყავი დამეჯერე-ბინა, რომ ცის სხეულები იდუმალი ძაღლის მქონენი არიან, -- როცა სტეპი დუმლიის ოკეანეა და ვარსკვლავები მის სიღრმეში იცქირე-ბიან, მაშინ ოკეანის მშფოთვარე სულელები ზევით ამოდიან, მაგრამ ეს არ არის ერთი, ეს არის ერთების მრავალი, ამიტომ მრავალი არის ფხვიერი და ამიტომაც მეტად უბედური. მირაჟები ოკეანის ოცნებებია, დანყვეტილი სუნთქვის ბოლქვები... გინახავთ თიხა? მთვარის სისხვის ღამეს ცხადლივ ნახავთ, როგორ იწვერებიან თიხები ნიაღის სიღრმიდან, მაგრამ ზედაპირს ვერ ცილდებიან. მინა

ზეცისაკენ ისწრაფვის, უძლურქმნილი, ძირმოკვეთილი, ზეცასთან გაყრილი მინა, რადგან მრავალი შემოხვევია, უკან სწევს და ის ზეცასთან ვერასოდეს მოვა ერთიანობაში, რადგან მრავალში არის დაფშენილი. ვარსკვლავები ოკეანის მშფოთვარე სულებს კრეფენ, მაგრამ ბევრი სივრცეში იფანტება. დაკარგული სული მარადისობას მოკვეთილი ჰყავს, როგორც პურის ნაჭერი. მათი ხვედრია მანანნალობა. მიუსაფარნი ეძიებენ ძირებს, ეძებენ ბუდეს, სახლ-კარ-მიდამოს, ბალნარს, ჩანჩქერებს... თქვენ მათ იხილავთ მზის სინათლეზე. დაკარგულ ლანდებს ყველაფერი ხელში უჭრებათ, ბურუსივით გაეფანტებათ. მანანნალები დაძრწიან ყველგან და მათთან ერთად ჩნდება და ქრება დერიტაამოცლილ სურვილთა მოლანდებანი. ადამიანები მათ მირაჟებს უწოდებენ.

ორი ზაფხული ვმწყემსავდი ლაგერის ნახირს. მარტო ვიყავი. ლამის სიჩუმეში უჩინარდებოდნენ ტრამალები, ძროხები, ძაღლები, მთელი სამყარო. ჯერ მეშინოდა, ხო, ძალიან მეშინოდა მაშინ. სიჩუმე ათასი ხმით ყურში წიოდა. ერთი ხბო მყავდა, ჩავეხუტებოდი და ასე ვინექით. მის კისერზე ძარღვი ფეთქავდა, ხელს არ ვაშორებდი და ანივლებული სიჩუმე ამ ფეთქებაში წყნარდებოდა.

ვარსკვლავები ნელ-ნელა მოძრაობდნენ, მე ვიცოდი თითოეულის გზა და ის ნერტილი, საიდანაც ისინი მზის ამოსვლას ხვდებოდნენ, მაგრამ ყველა როდი ეგებებოდა, ზოგი თავის ადგილს წყდებოდა და სადღაც იკარგებოდა, ზოგჯერ მთელ ვარსკვლავეთს მოედებოდა ჯანყი და მაშინ მთელი ცა ოქროს ბლანდებში გაეხვეოდა. ეს დიდებული სპექტაკლი იყო. მე შევისწავლე ვარსკვლავთა ენა. ისიც ვიცო, რაც მოხდა, საჭირო იყო (ხმა ექსტაზურ ჩურჩულში გადადის და თვალების ნაცრისფერი მორევი გზარავს), ჩემი განზმენდა აღსრულდა. ვარსკვლავებს თავისი რჩეულები ჰყავთ, მაგრამ ეს ყველამ არ იცის (და ნაცრისფერი კრაველის ქუდი ოღნავ ირხევა მეფური მედიდურობით).

ესეც ძლივს დავწერე. ბევრი მახსოვს მისი ნაბოდვარი, მაგრამ ამის გადმოცემა თითქმის მეზიზღება.

ეს ქალი მოსვენებას არ მაძლევდა. საცოდავი ფსიქიატრები! ცნობიერის თუ ქვეცნობიერის ეს აღრეული ლანდები მისტიკური უსასრულობის იდუმალებად მეველინებოდნენ. პყრობილი სულის აღგზნება გაფრთხობს, თითქოს შენც გეპარება და გატორტმანებს პარანოია. მაშინ განსაკუთრებით ვესწრაფოდი ჰარმონიულს, მსუბუქს, უშფოთველს, რეალურად ნივთიერს. სინათლე მწადადა, რადგან სიბნელე შავი ღრუბელივით თითქოს ჩემკენ მოინევდა.

ამ დაუჯერებელ სამყაროში რეალობის გრძნობა ისედაც იოლად იკარგებოდა. ღამე, როგორც კი ბარაკი მილაგდებოდა, მეც მივწვებოდი. იმნამსვე ჩამეძინებოდა ხოლმე და ძალიან სწრაფად მელვობოდა, ვგონებ, სიჩუმე მალვობდა. იმ ქალის არ იყოს, სიჩუმე მეც ათას ხმად ჩამწიოდა ყურში. სულიერად მეტად დაძაბუნებული ვიყავი და, რაც შემეძლო, თავს ვიცავდი. უზომოდ მინდოდა მარტო ვყოფილიყავი, მაგრამ ვცდილობდი, ხალხს არ მოვცილებოდი.

ვიღაცამ თქვა, რომ ქსოვა ადამიანზე დამანყნარებლად მოქმედებს. მაშინვე შევიძინე ჩხირები, ვისნავლე ქსოვა. ვქსოვდი და ვარღვევდი, რადგან ძაფის მხოლოდ ერთი პატარა გორგალი მქონდა.

ფსიქიკურად სნეულნი ჩვენს ყოფაში უმძიმეს სატანჯველს წარმოადგენდნენ. გამოძიებას, დასჯას, მათ შორის უმალლესი სასჯელით, სულიერი დაავადება არაფრით აბრკოლებდა. ბრალდებულს, აბა, ვინ აღირსებდა ადვოკატს? არც პროკურატურის ზედამხედველობა ინუხებდა თავს, სამედიცინო პერსონალი კი, უმეტეს შემთხვევაში, ჯალათების თანაშემწე იყო და ბანის მიცემის გარდა მათ არაფერი ევალეობოდათ. შეშლილების ჩვენებანი საბრალმდებლო დასკვნაში შედიოდა, როგორც მართებული, და სასჯელის ხარისხს განსაზღვრავდნენ როგორც საკუთარ, ასევე, რა თქმა უნდა, სხვის საქმეშიც. გამოძიებისა და დასჯის ორგანოებში პარანოიკები საერთო რეჟიმის პირობებში ცხოვრობდნენ ყოველგვარი მკურნალობის გარეშე. თუ არას ვიტყვით ამ უბედური ავადმყოფების შესახებ, რომელთა მიმართ ასე უსინდისოდ არ სრულდებოდა ელემენტარული ჰუმანიზმისა და კანონის მოთხოვნილება, მათთან მოხვედრილი პატიმრებიც სასტიკ მდგომარეობაში ვარდებოდნენ. ისედაც ნორმას გადაცილებულ ნერვულ დატვირთვას ეს დიდი განსაცდელიც ემატებოდა.

განსაკუთრებით ძნელი იყო შეშლილების ატანა გამოძიების პერიოდში. ჩეკისტები მათი მეშვეობით საკანშიაც აგრძელებდნენ წამებას.

1964 წლის 15 მაისი, დედაქალაქი.

არა ცოდნითა ერთითა

(მოგონების ფურცალი)

როდესაც 1924 წელს სოც-ეკონომიური ფაკულტეტის განხრით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავირიცხე, არ მიფიქრია, რომ ამიერიდან მენიჭებოდა დიდი პატივი ვყოფილიყავი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, სადაც ივანე ჯავახიშვილი რექტორად და მასწავლებლად მოღვაწეობდა.

პირველ ყოვლისა და უმთავრესად მაგონდება ბატონი ივანეს შემობრძანება უნივერსიტეტის მთავარი სადარბაზოდან და გამოჩენისთანავე, კარიბჭესთან, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჩვეული ჟესტით დიდი სიდინჯით ქუდის მოხდა. ეს ხდებოდა სინქრონულად, სრულიად ერთდროულად და, მე არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტის კედლებში ბატონი ივანე თავდახურული არავის უნახავს.

შესაძლოა, ეს მეტად მცირედი დეტალია, საყოველთაოდ ცნობილი, ოდითგანვე დამკვიდრებული თავაზი, მაგრამ ანგარიშმიუცემლად იგი შთაგონების უდიდესი ძალის გამოცხადება იყო ჩვენთვის, საოცარი ზემოქმედების, მრავლისშემკვლელი იმპერატივი.

კრძალვისა და მოწინების გრძნობა თავშეკავებას მიკარნახებს, რომ ზედმეტობით არ შეიბღალოს დიდი სახელი და მაინც უნდა ვთქვა: ამ უმნიშვნელო დეტალში ვლინდება ბატონი ივანეს მონოლითური ბუნება, რაობა მისი მრწამსით ნაწრთობი, თითქოს ზეშთაგონებით მონოდებული, ვალდებულებით შეკრული, შეუვალი და ხელყოფისათვის არმისანვდომი. რადგან უნივერსიტეტი ღრმა და მთელი არსების მომცველი განცდით ტაძარი იყო მისთვის, ტაძარი ამაღლებული აზრისა, ამაღლებული გრძნობისა, რადგან იცოდა, „დიდი ღამის“ წყვდიადიდან ამობრწყინებული პირმშო მემკვიდრე იყალთოსა და გელათისა ციხესიმაგრეა ერის უკვდავებისა, რადგან თვით იგი ერის ნდობით ხელდასმული მოძღვარია ამა ტაძრისა, მეციხოვნე, ბრძოლისათვის მარად მზადყოფი ქვეყნისა.

ბატონ ივანეს ვერ აღიქვამდი როგორც მხოლოდ რექტორს, სწავლულს, ისტორიკოსს, იგი სხვა იყო. თვით იყო ჩვენი წარსულის ცოცხალი სახიერება, მისი კონდენსირებული, შუქმფენი გამოსხივება. მასში იყო შემართება გორგასალისა, აღმაშენებლის სიბრძნე, თამარის სიდიადე, თავდადება დიმიტრისა, კრიჭაშვიკ-რული მწუხარება შავბნელი წარსულისა... და ეს განსაკუთრებული

ძალით მოქმედი გამოსხივება თავისთავად იყო სიმტკიცე დღევანდელი დღისა და ურყევი რწმენა მომავლისა.

ჩვენ კი ბობოქარი ახალგაზრდობა, მოსვლა რომ არ გვეთმინებოდა, ვესტიბიულშივე სულსწრაფად შექუჩულნი, წაგრძელებული კისრებით, ბუდიდან ამოგდებული კრუხებივით, ხელების უთავბოლო ქნევით, დაუნდობლად ვდავობდით მკვესავი თვალების ნაპერ-ნკლებში აგიზგიზებულნი, ფილოსოფოსთა დიდ სახელებს ვატკაცუნებდით, ერთმანეთს ვანადგურებდით, ასე რომ, კაცი ვერ მიხედებოდა, ვის რა სჭირდა, რა უნდოდა, ვინ ვის რას ემართლებოდა... და აი, ამ აზრთა შეხლა-შემოხლის აურზაურში მოულოდნელი ელვასავით ერთადერთი სიტყვა ჩურჩულით ჩაიქროლებდა, რომელიც რატომღაც ყველას სწედებოდა:

მოდის!

ჩადგებოდა გრიგალი მყისვე, ილურსებოდა დუმილით ყველა და, როგორც წყალნი ლეგენდარულნი, ორად იპობოდა ჩვენი ბობოქარი ზღვაც მის წინაშე, ვინც მოდიოდა მშვიდი სიბრძნით აღჭურვილი და შეჯავშნული სიბრძნის სიმშვიდით.

თავის ოდნავი დახრით, მკვეთრად, დაუფარავად იგი ესალმებოდა ყველას და თითოეულს განცალკევებით. უღიმარი, მაგრამ არა პირქუში, ოღონდაც ძალიან სერიოზული, თითქოს უსიტყვოდ გვაგონებდა, ანდა შთაგვაგონებდა, რომ მოსაფრთხილებელია ციხესიმაგრე, რომ ზოგჯერ იგი შიგნიდან ტყდება, მტერი ხელთ იგდებს გასაღებს, რომ მტერთა შორის უპირველესი უვიცობაა და უფრო მეტად ვაიმცოდნეობა, რომ მავნებლობა ასეთი მტრისა არის ერისათვის საბედისწერო და, რომ ჩვენა ვართ, მხოლოდ ჩვენ, მკვდრეთით აღმდგარი ციხის მცველები.

ყოველდღიური ხმარების ამ ბანალურ ჭეშმარიტებებს ბატონი ივანე გადმოგვცემდა, ვიმეორებ, შთაგონების ისეთი ძალით, ისეთი ყოვლისმომცველი განცდით, რომ ცნობიერად და შეუცნობლად ჩვენც ამით ვიმსჭვალებოდით.

ასეთი იყო ეს ყოველივე, იყო უთქმელად ორმხრივ შეთანხმებული, ქვეცნობიერად ამაღლებული, ქადაგება-დიდაქტიკით დაუსეტყვავი. ურთიერთობის უხილავი ინტიმი გვიცავდა სულმდაბლობისგან, სიყალბისგან...

არავის ახსოვს დატუქსვა, შეგონება, უბრალო შენიშვნასაც ვერ მოვიგონებთ, მხოლოდ უზომოდ მშვიდი თვალები გვაფრთხილებდნენ და გვიცავდნენ წრეგადასული ვნებათა ლელვისგან, უხამსობისგან, წერიმალ-წერიმალობისგან.

მრავლისმომცველი იყო ამ დიდი პიროვნების გავლენა ჩვენზე.

შეპყურებდი მას და გასაგები ხდებოდა როგორ იზადებოდნენ მითები, როგორ იქმნებოდნენ საუკუნეების გამძლე, სიცოცხლის მომნიჭებელი ლეგენდები.

და კიდევ ერთი მოგონება, სიკვდილის კარამდის დაუეინყარი: ბატონი ივანე გვიკითხავდა ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის კურსს. იმ დღეს მერხების მეორე მწკრივში ვიჯექი. საგანი არ მიტაცებდა, მაგრამ ბატონ ივანეს მთელი ყურადღებით ვუსმენდი. მოულოდნელად მერხის დაფაზე, ჩემ წინ, ოთხად დაქეცილი პატარა ბარათი დავარდა. უკან უაღრესად ნიჭიერი სტუდენტი ნიკა ციციშვილი იჯდა. ბარათი მისი გადმოგდებული იყო, ფანქარს მთხოვდა. არ შევბრუნებულვარ, ისე გადავეცი. ბატონმა ივანემ თვალი გამაყოლა.

ხანი არ გასულა და ჩემ წინ კვლავ პატარა კვადრატი დაეცა. ნიკა მაღლობას მიხდიდა და უწყინარი ხუმრობით მისურვებდა ამ ნალევი ფანქრისოდენა კიდევ გაიზარდო (კურსზე ყველაზე პატარა ვიყავი). ძალაუნებურად გამელიმა. როცა ავიხედე, ბატონ ივანეს თვალებს წავეანყდი.

მაღალ რეგისტრში მისი მზერა არც მე და, ალბათ, სხვასაც არ ემახსოვრება. კათედრის სიმაღლიდან ახლაც მშვიდად დამყურებენ მისი თვალები, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა იყო ამ სიმშვიდის სიღრმე! შეძრწუნებული ვიჯექი. რატომ მე მსჯიდა მხოლოდ?! რატომ ნიკასაც არა?! რატომ ორივეს ერთად არა?! მაგრამ არაფერს უთქმელს არ დატოვებდა ეს საოცარი მეტყველი მზერა. დიახ, მე მსჯიდა მხოლოდ! ქალი ვიყავი, დედა ვიყავი, აღმზრდელი და მმართველად ქცევა-ღირსება ისეთი, ჭაბუკს რომ შეკრავს, სითამამის ღონეს აართმევს. სითამამესა და კადნიერებას შორის ერთი ნაბიჯია მხოლოდ და, თუ დაკარგა ვაუკაცმა რიდი-პატივი ქალისა, კრძალვა დედისა, არც არაფერი ადამიანური მას არ შერჩება და, ვაი იმ ერს, ვისაც ასეთნი დაეზრდებიან!

ეს ამოვიკითხე მასწავლებლის თვალთა სიღრმეში. ვიჯექი გაუნძრევლად, დასჯილი და განწირული განგებისაგან.

დადგა გამოცდის დღე. ნუმიზმატიკა-მეტროლოგია კეთილსინდისიერად მქონდა დასწავლილი. ვგონებ, მეოთხე ვიყავი. ვპასუხობდი სხარტად, საფუძვლიანად. ხანდაზმულს უკვე აღარ მრცხვენია ვთქვა, რომ უკეთესად, ვიდრე ის სამი სტუდენტი, ჩემ წინ რომ მაღალი ნიშნებით გაისტუმრა. აპარატივ ყურში ბატონი ივანე გულდასმით მისმენდა, კიდევ და კიდევ მეკითხებოდა. თვალს არ მაცილებდა. მათ სიღრმეში სხვა განსჯა მელანდებოდა.

მატრიკული გადაშალა. იქ მხოლოდ ფრიადები იყო დიტო

უზნაძის, შალვა ნუცუბიძის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, უსაყვარლესი ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ყველასი, ვისთანაც საგანი მქონდა ჩაბარებული.

ერთხელ კიდევ მომაპყრო უშეღავათო, მომთხოვნი მზერა და უყოყმანოდ მკვეთრად ჩაბეჭდა: „საკმაო“. შეუდარებელი, უღამაზესი ხელნერით თავისი გვარი ჩახატა, ასე დიდებულად რომ ეხამებოდა მის პიროვნებას.

მატრიკული გამომინოდა. ხელი ოდნავ შეაჩერა, თითქოს ანდამაგით მისკენ მიქცეულს ჯერ არ მიშვებდა, თითქოს უკანასკნელ სათქმელს კვეთდა და თან მატანდა:

ამ სახლიდან მხოლოდ მაღალი აზრის, მხოლოდ მაღალი გრძნობის მამულიშვილები უნდა გადიოდნენ. ერის მტკიცე ზნეობა იყო უპირველესთაგანი, რამაც გადაგვარჩინა გადაგვარებას, ეროვნულ სიკვდილს...

არა ცოდნითა ერთითა...

ეს მითხრა უსიტყვოდ და მატრიკული არ დაუხურავს, გადაშლილი გადმომანოდა. ორივე ხელით ჩამოვართვი, გადაშლილივე გულზე მივიკარი და... თვალი გავუსწორე დიდ მასწავლებელს.

დიახ! მარად და მარად! არა ცოდნითა ერთითა...

1976 წელი, მაისი.

Низко склонив голову
мой печали припишу
тебе – Цциамури.

«АМИРСГАСЛАР» ВЕРМИШЕВА И ПЮРУГАНИАЯ ЧЕСТЬ АРМЯНСКОГО НАРОДА

В средних веках существовали тайные сообщества особо гнусных преступников, стяжавших страшную славу под испанским именем – компрачикосы.

Владея секретами разных снадобий и хирургии они превращали людей, чаще всего краденных детей в уродов любого образа, поставляя продукцию своей дьявольской кухни: балаганам – в качестве натуральных скоморохов, знати – как придворных шутов, а то и просто бродягам, эксплуатирующим калеки для сбора милостыни.

С присущей ему обстоятельностью повествуя о них, Виктор Гюго заверяет, что компрачикосы, жестоко преследуемые законом, исчезли с лица земли. Но великий романтик просчитался.

Компрачикосы прозь и целыми организациями продолжают жить и делать свое черное дело. Для потешных забав, правда, уродец уже не потребны, но какие преступники средневековья могут сравниться с теми, кто еще так недавно и с таким изуверством уродуя разум и сердца человека превращали цивилизованных людей в озверелые орды!! Но не о них сейчас речь.

Компрачикосы бывают разные. Поле их деятельности не имеет границ. Распознать их трудно, они под личиной друзей и благодетелей. О них можно и должно говорить много: без пощады, открыто, смело, честно. Надо доискиваться до ядовитых корней, тщательно прослеживая шелковинки, паутиной опутывающие людей в дни смятений умов.

Надо помнить: – они гибель всего истинно человеческого, чем прекрасен и велик человек.

Но в данном случае меня интересует их особая разновидность, которая специализировалась по части краж, ограбления и обезображивания того, что давно уже принадлежат истории и что быть может и сейчас горят маяки на извилистых, туманных путях человечества.

Это – компрачикосы истории.

Пронырливо и алчно шпыряют они среди руин, перебирая и обглядывая каждый камушек; с вождением щелкают зубами не в

силах сокрушить дивные памятники, которые само всепожирающее время, как будто хранит, как свидетельство человеческого гения, как животворящее откровение треножной тайны смысла жизни – в неистребимой, неугасимой нетленной силе добра и красоты.

Они пролезают в забытые и незабытые гробницы, срывают могильные плиты, расхищают склепы, веками молчавшие о своих сокровищах: и даже из-под истлевших саванов, темной почью крадут мертвецов.

Все награбленное затем утаскивается в компрачикосские лаборатории. И там-то и совершается потасенное черное дело обработки, обезображивания до неузнаваемости, до дикого глумления: больших и малых созданий, славных и бесславных героев отшумевших драм и трагедий: лучших сынов и дочерей – обретших свою новую жизнь в памяти народа, который ничего, ничего и никогда не забудет.

По то народ!

ეკლიანია და ხრიოკი შემოქმედის გზა. ალბათ, არც ჩვენი მხატვარი ვიდოდა ფიანდაზებით... როცა ვუყურებთ ამ გამოფენას, მკვეთრად და კუმტად შეკრული ნინო გუდიაშვილის სახე მხატვრის ატელიესთან დადარაჯებულ მთავარ ანგელოზად გეჩვენებათ... საოცრად მეტყველია მუქ და რუხ ფერებში მოცემული ეს ორი პორტრეტი. დიდი მაღლობით შესცქერით ნინოს. მის ირიბ გამოხედვაში ფხიზელი დაკვირვებაა, შეკუმშული ენერგია, საპასუხოდ გამზადებული ნებისყოფა. აქ რუხი ფერი ჯაჭვის პერანგია, იქ შავი პირბადე — მეომრის მუზარადი.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში ყარაჩოლელს განსაკუთრებული ადგილი უკავია. არა ერთხელ დაუბრუნდებიან საქართველოს მკვლევარნი, მგოსნები და მხატვრები გარდასული ცხოვრების ამ თავისებურ ფენას, რომლის სადარი არც აღმოსავლეთით და არც დასავლეთით არ მოიპოვება.

თბილისის ყარაჩოლელთა ბოჰემა თავისებური ფსიქოლოგიით, მსოფლშეგრძნებით, ტრადიციებით, მწერლობა-მხატვრულობით,

ცეკვა-მუსიკით, სპეციფიკური იუმორ-სარკაზმით ამოუნურავი თემა ჩვენს ხელოვნებაში. ადამიანის სიამეთა მოხდენილი მომსახურება ყარაჩოლელის ბუნებრივი სტიქიონია. თუ სადმე ქორნილი იქნებოდა, ან სხვა ნადიმი, ყარაჩოლელიც იქ გაჩნდებოდა ქართულ-დიონისური ლოცვა-კურთხევით, ხილით, ყვავილით. შესვლისთანავე საზეიმო სუფრაზე კობტად შეყრიდა აფართხალებულ ცოცხალს. თავისი ცეკვით, დუდუკითა და ექსპრომტებით ეშხს შემატებდა ქართულ ღრეობას. ამა სოფლის ნეტარებათა დაუცხრომელი მოტრფიალე ყარაჩოლელი მშვენიერების უანგარო და ლალი რაინდია.

საქართველოში შემოჭრილმა კაპიტალიზმმა ეშვი გაჰკრა ნერილ ხელოსნობას და ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა. გათავდა ფეოდალთა მამაპაპური ღრეობაც. ყარაჩოლელთა სამყაროში ინყება რღვევა და დაკნინება. ყარაჩოლელი ლაზღანდარა კინტოდ დახურდავდა და შემდეგ ქუჩის მუქთახორა ხულიგნად გადაგვარდება.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში ყარაჩოლელთა სამყაროს ბინდებია მოცემული. ამაოა და ფუჭი მათი ყოფა, ჭმუნვა შეჰპარვია ეპიკურელთა მზიან ბოჰემას. ქრება თანდათან ბუნების შვილთა დარდიმანდობა და სიხარული.

რაზე ოცნებობს „ორთაჭალელი“? ალბათ, ნარსულზე. შემადრწუნებელი დრამატიზმით არის ასახული „მოქეიფენი ეტლში“. ალალმართალი ეს სამი სახე ხელთუქმნელ ძეგლად დარჩება ყარაჩოლელთა გარდასულ ქვეყანას.

ნეტავ, რად შემოურტყამს ამ მოქეიფეს ლოყაზე ხელი? სევდას რად დაუნისლავს ჭკვიანი თვალი? რამ გააოცა, ბუნების უწყვეტი სიცოცხლე ცოცხალში რომ თრთის და მის საკუთარ მომაკვდინებას აუნყებს თუ თვით მეთევზის ჩაყვითლებულმა, მიმქრალმა სახემ, მისი სილატაკის შეურაცხყოფამ და დამცირებამ?! უკვირს ბუნების შვილს ნეტავ, რად არის უსამართლო ნუთისოფელი?!

ამ განთიადზე ერთხელ კიდევ ეს სადღეგრძელო ითქვას! დე, იყოს თრობა და გაბრუება, დე, მზის სინათლე ნუ აჩვენებს ნამზდარი სიცოცხლის განადგურებას... ამ მუნჯ ტილოში ნუთუ არ იმის მეძავი ქალის სასონარკვეთა, უხმო მუდარა?!

ფერით და აზრით დანისლულია ბურუსიანი და სევდიანი ნოქტიურნები.

როგორ ეფერება და თავს ევლება ლადო გუდიაშვილი თავის დიდ მოძმეს, დიდ ბავშვს ნიკალას. როგორი მხატვრული და ადამიანური მიგნებით, სათუთი სიყვარულით და ნაღვლიანი გულისწყრომით არის მოცემული ფიროსმანი მის შემოქმედებაში. ნიკალაც

დიონისეს შვილია, ჩვენი წარმართი სულის მატარებელი და მისი ამხახველი.

საუკუნეებს დარჩება ღრმა აღელვებით და მწარე საყვედურით დანერგილი „ფიროსმანის სიკვდილი“. ამ სურათის თავისებური, ფიროსმანისეული და წარმართული კორექტივია „ფიროსმანის შესანდობარი“.

მდიდარია გამოფენის ეროვნული თემატიკა. თუ საქართველოს შეგრძნება გინდათ, ეს გამოფენა მისი სუნთქვაა და მისი უღერა: ჩვენი წარსულის ეპიზოდები, დღევანდელი დღის გმირები და მათი საქმენი, პოლიტიკის საკითხები, სცენა, ლიტერატურა. მხარე არ არის ჩვენი ცხოვრების, წერტილი და კუთხე არ დარჩენილა, საიდ-ანაც არ განეჭვრიტოს ლადო გუდიაშვილს თავისი ქვეყანა.

ძველთაგან მოსდევს ქართველ ხალხს ბერიკაობით თავის შექცევა. სოციალური სიმძაფრით, ბასრი სარკაზმით, ღრმა ფილოსოფიური დაფიქრებით და ფანტაზიით აღსავსეა ქართული კარნავალი. ცოცხალ მისტერიებში ხალხის სიბრძნეა, სიკეთისა და ბოროტების შმაგი შებრძოლება, ამოხეთქილ ვნებათა ნავარდი და დიდი სიმართლის რწმენა.

გატაცებით უყვარს ლადო გუდიაშვილს ჩვენი ბერიკაობის მხატვრული იეროგლიფიკა, უყვარს მათი ამოხსნა, გააზრება და უბადლო ოსტატობით იცის კიდევაც მისი გამოყენება.

განმაცვიფრებელი სიძლიერით, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გამოავლინა ლადო გუდიაშვილმა თავის შემოქმედებაში ქართველი ერის წარმართი სული. აი, „ასი წლის ვანო“ ნახეთ, როგორი ქართულ-წარმართული მოლხინებით ეპატიჟება და ეპურ-მარილება იგი სიკვდილს. ეს სურათი სიკვდილის დაძლევისა და სიცოცხლის უშუალო სიხარულის აპოთეოზია.

„...ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს...“

აი მეორე სურათი --- „ბახუსის დაბადება“. განა ეს ზიარება არ არის?! მაგრამ არა ჯვარცმულის სისხლით, არამედ მჩქეფარე სიცოცხლის გიჟმაჟი სიხარულით.

საშუალო საუკუნეების ქრისტიანობამ თავისი პირქუში აკრძალვებით, ეკლესიის პრიორიტეტებით, სულშემსუთავი დოგმატიზმით და იმქვეყნიური ნეტარების ქადაგებით საქართველოში ვერ გაიმარჯვა. ვერ მიიღებდა მხედარი ერი სისხლისაგან რომ ინრიტებოდა, მარჯვენა და მარცხენა ლოყის მორალიზმს. საერთო

საქმით ჭარბად დატვირთული, თავისი ქვეყნის ვაჟკაცური მოამ-
აგე ვერ მოიღებდა პირადი ცხოვრების ეგოისტურ და უბადრუკ ფი-
ლოსოფიას. ჩვენი ბუნების ნიაღში თავისუფლად გაზრდილი არ
მოიღებდა მინის უარყოფას, ჯოჯოხეთისა და სამოთხის პირქუშ
სარწმუნოებას.

რარიგ დაუფარავი ცნობისმოყვარეობით, მხიარული დაც-
ინვით შესცქერიან ამორძალები წმინდა ნინოს. არა, არ სჯერათ
ამორძალებს ნინოს ჯვარი და მისი რისხვა. ნინო მათი დობილია,
მათი სისხლი და ხორცი. განა „დაჭრილი ამორძალი“ ჩვენი წარსუ-
ლის ჭეშმარიტი სინამდვილე არ არის?!

„...ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები
მოდიდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები,
მამაკაცებს გვერდში ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები,
და მტერს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები“.

საქართველო ამორძალების ქვეყანაა. წმინდა ნინო გადაცმუ-
ლი ამორძალია. ამორძალებს გულში ჯვარი აქვთ შენახული, ნიშ-
ნად დიდი კაცთმოყვარეობისა და შებრალებისა. არა, ვერ დამარხა
ქრისტიანობამ, ამ მათხოვართა და სისხლნაკლულთა რელიგიამ
(უფალო, შეგვიწყალო!) ჩვენი ვაჟკაცობა, სილამაზე, ბედნიერები-
სათვის გამზადებული ჩვენი ლალი წარმართი სული.

განა წარმართნი არა ვართ ჩვენ?! ნახეთ ჩვენი ჯვარი: ვაზიდან
გამოჭრილი და ქალის თმებით გადანსული. ~~არა~~ ვის აქვს სარწმუ-
ნოების მსგავსი ემბლემა?! ჯვარი სიმბოლოა ~~არა~~ წამების, არამედ
მინიერი სიკეთისა და მინიერი ბედნიერების.

რა საოცარი თვალთმაქცობით გამოაპარა ჩვენმა ქვეყანამ
ქრისტიანობის ჯავშნიან დოგმებს სიცოცხლის ეს უშუალო სიხა-
რული, საშვილიშვილოდ შეჩვენებული და აკრძალული!

განა სილამაზის უზენაესი გამარჯვება არ არის „ქალი შველზე“,
„შველის ამბორი“?! განა „ამ ქვეყნის მშვენებათა წინაშე“ თვით არ
შეირისხება მისი მგამობელი?! ეს ლამაზი ქმნილება ტრადიციული
მაცდური ქალი როდია, ქრისტიანული ინტერპრეტაცია უკუგდებ-
ულია. რას სთავაზობს განდევილს ქალი? ბუნების მადლსა და სიკ-
ეთეს. მის უცოდველობას ხაზს უსვამს მის გვერდით მყოფი შვე-
ლი. განა „შავ წყაროსთან“ ეს მინიერი მშვენებისა და ნეტარების
წარმართული მისტერია, ეს სილამაზის მძლეთამძლეობა ქრის-
ტიანობის განადგურება არ არის?!

საოცარია „გამოთხოვება“, საოცარია გრძნობის უსაზღვრო
თავისუფლება! სიცოცხლის ასეთი სილალე ოლიმპიელს თუ ძა-
ლუძს მხოლოდ! და რამდენი ბახუსი და რამდენი ბაკქი უნდა მოეთ-

ვალთ ამ ტილოებში ჩვენს ცხოვრებაში?!

ზევიდან დაჰყურებს, გვირგვინივით თავს ადგას ამ გამოფენას, ყველაფერს ფარავს, ბრწყინავს, გუგუნებს „დევების მაყრობა“. მოდის დიადი, ძლევამოსილი ბუნების ღმერთი, აგერ დარბაზში შემოიჭრება, ყველა სულდგმული მისკენ მიილტვის, დახუნძლულია ულამაზეს კმნილებათა ცოცხალი აკიდოებით. მასში სიცოცხლის ნეტარებაა. აი ამიტომ იბრუნებს მისკენ პირს მზესუმზირა. მიდით, მიიღეთ თქვენი ხვედრი სიხარულისა და ბედნიერების. გული გახსენით ფართოდ და ფართოდ, რადგან ცივილიზაციის პირობითობის უღრან ტყე-ღრეში მისი გზა-კვალი დაკარგულია!!!

არა, დამარცხდა ქრისტიანობა საქართველოში, ვერ მოერია ჩვენს მინიერ ჯან-ღონით სავსე სიხარულს და მსოფლშეგნებას.

ასვენია სილამაზის ქალღმერთი, რომლის წინაშე წმინდა ცრემლებით ტიროდნენ ჰაინე და მისი მესაფლავენი. ეს შავბნელეთის მოციქულები გაყურებულან ლალი ბუნების საკვირველებით და სასწაულით თავრეტდასხმულნი („სილამაზის მესაფლავენი“). და აი, ამიტომ დაიფარა, შეინახა დაუფერფლავად წარმართმა ერმა „ვეფხისტყაოსანი“ ეს წარმართობის ხელთუქმნელი, შეუბღალავი დიადი ძეგლი („დაუფერფლავი პოემა“). ალბათ, ამიტომ თვალთმაქცია, მომხიბლავი და იდუმალი ღიმილი ფრესკის („ფრესკის ღიმილი“). ...და რომელი აკლდამაც არ უნდა გახსნა ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში და რომელი სულდგმულის გულსაც არ უნდა შეეხო, ამოიქროლებს სერაფიტას ცისკროვანება და ვერ დაიჭერს მეცნიერი, ჭოგრიტით ვერ დაინახავს მის ელვარებას, მარად მჩქეფარე, გიჟმაჟი სიცოცხლის ალლომ თუ უღალატა („სერაფიტას აკლდამის გათხრა“):

„საქართველოში თევზიც მღერისო“...

ამოუნურავია ლადო გუდიაშვილის მხატვრული გამოფენის იდეური სიმდიდრე. ჩვენ მას მხოლოდ თვალი გადავაველეთ. უყურებ მის „ავტოპორტრეტს“, ამ ნათელი იუმორით გამთბარ სახეს. მის ახალგაზრდა თვალებში ეშმაკუნები დაცქრიალებენ და კიდევ მრავალ საკვირველებას გაირდებიან.

ლადო გუდიაშვილის შემოქმედების შესახებ ტომები დაინერება, ჩვენ მხოლოდ აღტაცება გამოვთქვით.

დიდო ოსტატო, ჩვენო მხატვარო, ყრუ ბეთჰოვენს თუ შეგადარებ!!!

იენის-ივლისი 1957 წ., დედაქალაქი.

აქა ამბავი ფრაქისა და ქალამნისა

ვიდრე წერილის თემას შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია, გავაკეთო შემდეგი განცხადება:

მე არ გახლავართ ხელოვანი, არც ხელოვნება-მეცნიერების ამა თუ იმ დარგის მცოდნე-პროფესიონალი. მე ვეკუთვნი დიდ უმრავლესობას, რომელიც, პომიალოვსკის თუ გავიხსენებთ („მეშჩანური ბედნიერება“), უტკბესის და უმწარესის ნეტარებას სვებედნიერ ხელოვანთა შემოქმედებით ეზიარება. ვფიქრობ, არავინ შემედაეება, თუ ვიტყვი, რომ სწორედ ამ დიდ უმრავლესობას ენიჭება უზენაესი ინსტანციის უფლებამოსილება. ხელოვნების პროდუქცია (მაპატიეთ უხეშობა), უპირველეს ყოვლისა, მისი სასიცოცხლო სულიერი საზრდოა.

ალბათ არც ის გახდება სადავო, რომ აღქმა-ათვისება სუბიექტური პროცესია, რომელსაც აპირობებს არა მარტო ობიექტური ღირებულება, არამედ შინაგანი და გარეგანი ნანამძღვრების საკუთარი კომპლექსი, მათ შორის პირადულით გამოწვეული, პირადი განწყობის სწრაფნარმავალი ნუთებიც. მით უფრო ახლის ათვისება, როდესაც უჩვეულობა-სიახლე ფსიქოლოგიურ მომზადებასა და თანამემოქმედების ჭარბ აქტივიზაციას მოითხოვს. ამიტომ ჩვენ — რიგითი უმრავლესობა ნდობა-იმედით შევცქერით მათ, ვინც პროფესიონალურად მონოდებულისა, ანალოგია რომ გავაგრძელოთ, საკვების კოლორაჟი ფრთხილი მოფიქრებით დაადგინოს და ახლის ათვისება გაგვიადვილოს.

ზემონათქვამი მამბედინებს ჩავერიო თ. აბულაძის ფილმ „ვედრების“ გარშემო წამოჭრილ დისკუსიაში, რომელსაც დენეზა ზუმბაძემ „ლიტერატურულ საქართველოში“ №34 უძღვნა კრიტიკული სტატია „ძნელი საყვედური“. ჩემი ადრესატიც ამ წერილის ავტორი გახლავთ. რითი და როგორ დამეხმარა დენეზა ზუმბაძე, ჩემთვის უჩვეულო ქართულ კინოხელოვნებაშიაც, ჟანრობრივად ახალი ფილმის, და რაც მთავარია, ვაჟას კინოეკრანით გაგება-ათვისებაში?

სულო ცოდვილო, და ერთადერთი, რაც წერილში გარკვევით ამოვიკითხე, იყო უაპელაციო განაჩენი: ფილმს სანაგვეში გადავუძახოთო. რატომ, პატივცემულო დენეზა? თ. აბულაძის გარდა, ფილმი ნიჭიერი კოლექტივის ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია. ეგებ რაიმე დაგვეზოგა ამ დიდი დანახარჯიდან?

არაო, გულდაჯერებით გვეუბნება ავტორი, ცალკეული მხარეები კარგია და ეფექტური, მაგრამ როდესაც ნაწილის

ღირსება მთელის ღირსებაც არ არის, მათი ღირებულებაც იკარგებაო.

რატომღაც ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილი ყიზილბაშები მომაგონდნენ: კარგსა და ავსაც, დიდსა და მცირესაც, ხელალებით მუსრს ავლებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ირგვლივ ყოველივეს ქართული მადლი ეფინებოდა. ვინ იცის, ნაწილის ღირსებაში რომ ჩაეხედათ, მთელის მოსათხრელად აღმართული ხელიც დამძიმებულიყო...

დასანუნი დავინუნეთ, მაგრამ კარგი საიდუმლოდ რად შევიწინახეთ? ცალკეულის კონკრეტული გარჩევა რომ დაგვეწყოს, შეიძლება გვეგრძნო კიდევაც რეჟისორმა „კინობნკარედი“ ლაკონიურ მხატვრულ სახეებში ჩამოასხა, ნიჭიერი კოლექტივი ერთ ნება-სურვილში შეკრა, შეწყობილ ორკესტრად ააჟღერა.

კოლექტიური ხელოვნება მექანიკური კონგლომერატი არ არის. აქ სუფევს ერთიანი სულისკვეთება. ცალკეული მხარეები თავისთავად არ იბადებიან და ცალკეულად არ რჩებიან. მთელის მაღალი ღირსება ნაწილებს თავის დონეზე განსაზღვრავს და ნაწილები თავის ღირსებაში მთელის რაობას ავლენენ. ცალკეულის დამსახურებათა იგნორაცია ყველა შემთხვევაში მიუღებელია. თუ გესმის შემოქმედების წეისა და დაგვის სიმძაფრე, პატივს სცემ ცალკეულ ხელოვანსაც და, ლბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულად ხელს არ აუქნევ.

ყიზილბაშები არსებულის გატიალებას არ ჯერდებოდნენ. ქვეყანა ისე უნდა მოესრათ, რომ „ცისსა ფერს“ სამომავლოდ არ გაეხარა. და აი – ტყუილად როდი ამბობდა ჟან კოკტო: კინო პოეზიისა და ფილოსოფიის ასპარეზად უნდა იქცესო. გვატყობინებს ავტორი, თვითონაც ამაში დაჯერებული. მაგრამ რა კადნიერებაა, თ. აბულაძეს ეს თავის თავზედაც მიელო?! რადგან „მისი ფილმები აქამდე ყოფითი და საჭირბოროტო საკითხებისა იყო. ამგვარი თემების ეკრანიზაცია მის რეჟისორულ ბუნებასთან იყო შერწყმული და სავსებით ძალუძდა მათი განხორციელება“. ამრიგად ახალგაზრდა რეჟისორის ძიება-შემოქმედების გზაზე შლაგბაუმი: „verbiten“. „verbiten“... ერთხელ და სამუდამოდ თვით ბუნებას დაუნესებია მისთვის აქ შეჩერება. მერე რა, რომ ხელოვნება მარადი წინსვლაა და ახლის ძიება, ერთ ადგილზე ტკეპნა კი ხელოვნის სიკვდილია. არა შეჯდა მწყერი ხესაო...

* (გერმ.) პროტესტი.

რატომღაც ჩემ წინ ზვიადაურის დაკვლის კადრმა იელვა და უმალ ჩაქრა. სადღაც მაცილიმ გაიშლივინა და მიიმალა...

კაცისკვლაზე უარესია ადამიანში შემოქმედის კვლა. სიცოცხლეშივე განინირება იგი ჯოჯოხეთისთვის. მისი ხვედრია — სიზიფის უნაყოფო ტანჯვა, ვაება ტანტალისა დაუცხრომელ შიმშილისაგან. არას ვიტყვოდი, რომ ეს ჩვენ, ქართველებს, ბედკრულად არა გვჩვეოდეს...

მაგრამ მოვნახოთ რაიმე, იქნებ ვიხსნათ მისი შემოქმედება სამარადისო ყადაღისაგან. აი, თუნდ „ყოფითი და საჭირობოროტო“, ნეტავი აქ რას გულისხმობს პატივცემული დენეზა?

„ძნელი საყვედურის“ კითხვისას შუქი ჩამიქრა. ასანთს ძებნა დაუწყე და შუბლით კედელს მივასკდი („ნათელ ალეგორიად“ არ მიიღოთ). ეს ჩემი თავგადასავალი ყოფითია და საჭირობოროტოც, მაგრამ ნუთუ იმავე მწკრივში მოექცევა „დეიდა ნინოს“ გადმოხტომა მატარებლიდან?! სათნო გულის დიდი იმპულსით მან უკუაგდო პირადული, რომ „ხელთ ანთებული ცვილითა“ აკიაფებულებო უპატრონოდ დაყრილ, სხვისი შვილების უსიყვარულო, შავბედით გზაზე!! შემთხვევით, ამ „ყოფით“ კადრში თვალი ხომ არ შეავლეთ, თუ როგორ ჩაიქროლა, როგორ გაიღიმა იმ თეთროსანმა ასულმა?!

მაგრამ „ყოფითი“ პატარა სიკეთე რა მოსატანია, როდესაც ჩვენ გვინდა სიკეთე დიდი ასოთი ვნეროთ, ზარ-ზვიმით სალიტანიოდ გამოვასვენოთ, რომ კვლავ იმავე სამყოფელში მივაბრძანოთ და კარი გადავუკეტოთ, ვინძლო მისი პომპეზური სამოსით არავინ დახარბდეს, არ წარიტაცოს და თავის უბირი „ყოფითის“ სათრეველად არ გაიხადოს!

თქვენ გიყვართ განყენებული აზროვნება, მე კი ამ უსიერი ტევრის შიში მაქვს. რა გაენყობა, უნდა გამოგყვეთ. ოღონდ, გზა რომ არ ამებნეს, ბრძენთა ნათქვამს ნაჭლობებად გამოვიყენებ.

გიბრძანებიათ: „აუცილებელი კავშირი სიკვდილისა და სიცოცხლისა, სიხარულისა და მწუხარებისა მარადიული პრობლემაა აზროვნების ისტორიაში“. არას ვიტყვოდი, მაგრამ ფროიდი ასეთ დეფინიციას წამოცდენად ჩაგითვლიდათ და ფსიქოლოგიურ ლაფსუსებში მოიმარაგებდა.

აზროვნების ისტორიის პრობლემად პირველ რიგში ვერ მოიხსენიებ იმას, რაც იყო და არის კაცობრიობის ისტორიის შემზარავი ტანჯვა-წვალების კატაკომბები.

სხვისი კონტექსტიდან სიტყვათა უთავბოლო ამოღება და ასე გულცარიელად მათი ხმარება შეეძლო მხოლოდ მას, ვინც პრობ-

ლემებს ეცნობოდა მერხზე გადაშლილი კონსპექტებით აქედან --- აქამდის და ეს სხვისი აუთვისებია არაორგანულად, ისე, მაგალითად, როგორც თ. აბულაძეს, რომელსაც მექანიკურად გადმოუღია ჟან კოკტოსა და სხვათა ხერხები, ვინაიდან უნიჭობისა გამო მათი ხელოვნების ორგანული ათვისება ვერ შესძლებია.

თქვენზევე საყვედური რომ გამოვიყენოთ, „საკუთარ ტკივილად“ არ მიგიღიათ ეს სისხლის, ცრემლის, ოფლის ღვართაჟები; შორი და ხლართი გზების საშინელება, სადაც გეოლოგიურ ფენებივით ჩატყეპნილ-ჩაკირულია ადამიანების ცოცხალი სულისა და ხორცის ნაფლეთები. „არ გიგრძენიათ, არ განგიცდიათ“ და ამიტომაც კაცობრიობის, ადამიანის ჭირ-ბოროტება, პირველ რიგში, აზროვნების ისტორიის შემეცნებით პრობლემად წარმოგიდგენიათ.

აი თურმე რატომ, სიცოცხლის ცოცხალ ქსოვილში ვაჟას თრთოლვას რომ დაინახავთ, უფრო ახლო დისტანციით, ჩვენი ყოფიერების ჭრილში და ცხოვრებისეული სახით, თქვენ მაშინვე ჩამოგლეჯთ „საჭირბოროტოს“, „მარად საკაცობრიოს“ ბრჭყყვი-ალა ეპოლეტებს; პატივს აყრით, ურანგო „საჭირბოროტოდ“ ჩამოაქევეითებთ და კაცმა აღარ იცის, ვის და რას მიატმასნოს იგი. აი თურმე როგორ განპატიჟდება ცოცხალი ყოფიერება „ყოფით“ უხიაგობად!

ტიქსტუალურად ასეა: — ყოფითი და საჭირბოროტო საკითხების თემები. რატომაც არა, დე, საჭირბოროტო ჰაერში დაგვირჩეს ჩამოკიდული, ან ყოფითს მიეკეროს, როგორც რუსულიდან თარგმნილი „ზლობოდნენი“, ე. ი. დღიური, სწრაფწარმავალი. და მაშინ მით უარესი, სანაგვე ყუთის სიმალლიდან მომზერა-ალს ნაგვით სავსე ეზო თუ შეანუხებს და ისიც სათუთა, რადგან შესაძლებელია, ხელის სივინროვესაც კი ვერ განვდეს მზერა.

თ. აბულაძეს არიგებთ: როდესაც ვაჟას პრობლემები შენი საკუთარი არ არის, არც მისი გამოსახვის საკუთარი ფორმები და პრინციპები გაგაჩნიაო. ძნელია იმის თქმა, თქვენ ორთა გულში რა ხდება, ეს კი უდავოა, რომ ყველა წინა ფილმებით იგი გვაღელვებდა, მართალია, ურანგო და უჯიშო, მაგრამ მაინც ვაჟას ჭმუნვა-სიხარულით.

და კიდევ: შესაძლოა „ვედრება“ თ. აბულაძეს სხვისი გავლენით წამოცდა, მაგრამ ფილმი წამოცდა მხატვრის საოცარ ინტუიციას და თუ იქ ფელინისა და სხვათა გავლენა იგრძნობა (ესეც ჯერჯერობით ასე მივიღოთ), რას იზამ, ცივილიზებული მსოფლიო სულ უფრო დამაახლოვებელ კავშირებსა ჰქმნის და ლოკალური ეპიდემია დღეს პანდემიად იქცევა.

რადგან სიტყვა პანდემიაზე ჩამოვარდა, ერთი წამოცდენაც მოვიშორეთ: „საკუთარი ქალამნით უფრო შორს შეიძლება ნახვიდე, ვიდრე სხვის ტანზე შეკერილი ფრაკით. სხვისი უფრო შეგანუხებს გზაში, შენ თუ არა, მაყურებელს მაინც.“ ასე ნუ დარდობთ! სტანდარტიზაციის ეპოქაში მაყურებელს ნასხვისარი ისე არ ეჩოთიერება, როგორც, მაგალითად, მე და თქვენ ქალამანში გამონყობილებმა რომ ჩავუაროთ რუსთაველის გამზირს, რასაც ვგონებ, ვაკეთებთ კიდევ.

ნატურალური ქალამანი დიდი ხანია თეატრალურ რეკვიზიტს ჩაბარდა და იგი „ნათელ სიმბოლოთაც“ აღარ გამოდგება. ხავისის ან ობის სუნმა ხომ არ შეგანუხათ, როდესაც ყბადაღებული სლავიანოფილების ქალამანი კვლავ სადროშოდ გამოგქონდათ?! ეს მით უფრო საოცარია, რომ რუსეთში კი იყვნენ სლავიანოფილები, მაგრამ იქაც, და საქართველოში მთლიანად, პროგრესული აზროვნების მონინავენი „ზაპადნიკურ“ პლატფორმაზე იდგნენ. ამაზედ არ ღირს ლაპარაკი, მათი დავა ისტორიას უკვე გადაუჭრია. ოღონდ მიკვირს, აზროვნების განვითარების ისტორიის მცოდნეს ასეთი რეტროგრადული სენტენცია როგორ წამოგცდათ?! ალბათ, „საკუთარი ხელოვნების ჩვენებამ“ თუ გაგიტაცათ...

კიდევ ერთი წამოცდენის შესახებ: „მყვირალა ხერხებით გატაცებული რეჟისორი კარგავს იმ აუცილებელ ზომიერებას, რაც სჭირდება კლასიკური ნაწარმოების თუნდაც კლასიკურსავე გამოცემის ცდას“ (ისეა გასიპული, ხელსაც ვერ შეავლებ). შემდეგ: „რეჟისორს უნდა ახსოვდეს, ეს თავისთავად იმდენად გასაოცარი სამყაროა (ვაჟასი), რომ საკუთარი ხერხებით და გასაოცარით არ დაგვაკავოს.“ ბოლოს და ბოლოს, ამ ჩემი ცოდვით სავესეს, თ. აბულაძეს, ხერხები და გასაოცარი საკუთარი აქვს თუ ნასხვისარი?! ფილმი ნახევარფაბრიკატია (კინობნკარედი) თუ მყვირალა ხერხებით ნაცოდვილარი მზა პროდუქცია?! შემდეგ: „იფიქროს ვაჟას და არა თავისი ხელოვნების ჩვენებაზე. თუ გვაჩვენებს იმას, რისი ჩვენებაც პირველი მიზანია, ეს იქნება თვითონ რეჟისორის ნამდვილი ხელოვნებაც.“

მართლაც რა ღმერთი უწყრებათ ნეტავ?! აგერ, ი. ნიკოლაძეს აკაკი ბანოვან მანდილოსანივით მკერდგადაღელილი გამოუძერწია; ჩახრუხადისთვის გურული ფირალივით ყბალახი დაუხურია... ბოროტი ენები ამბობენ ყბალახიც არ არისო. სველი ტილო ანაზღად მოდელის თავზე დარჩენია და ასევე გამოუქანდაკებია. გნებავთ მ. ბერძენიშვილი ავილოთ. რომელმა ექიმმა დაუმონმა და გურამიშვილს დისტროფია ჰკლავდაო, ან „ნეგლიჟე“ კაბა

რა შუაშია უკრაინის სიცივეებში?! ლ. გუდიაშვილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, არ მიეკარო, თორემ ყურებსაც აგაცლის, ჩემს ხელოვნებას არ ესაჭიროებაო. ანადა, ეს მორუა ვარო, ეს მოემი, ვინაგრადოვი, ცვაიგი, ტინიანოვი და სხვა – განა თუ ქრესტომათია იკმარეს, მონოგრაფია გამოუგონიათ; ბრეხტიც ასეთი ყოფილა თურმე...

მაგრამ ვიკმაროთ ხუმრობა. ხელოვნება რასაც გნებავთ, შეადარეთ, ოღონდაც სავაჭრო ოპერაციებთან მას არაფერი აქვს საერთო. ხელოვანი დახლიდარი არ არის, მას არ ევალება საქონელი მომხმარებელს ზუსტად იმგვარი მიანოდოს, როგორც თაროზეა შემოდებული. გოსტირებული საქონელი არც სხვისი ნაწარმი გახლავთ. ეს ყოველივე ჩემზე უკეთ იცით, ფილმი ამიტომაც დაგინუნებიათ (სხვა წუნთან დამატებით), კინობნკარედიო... მაგრამ ჩემი რა ჯინი გჭირთ, რას მამბნევთ? აგერ ვაჟა „ნათელი ალეგორიების, ხალასი სიმბოლოების და ნათელი ხილვის პოეტად“ დაგიარლიყებიათ. მე კი სხვანაირად მასწავლიდნენ...

ნათელი, ყველასათვის და ყველა დროისათვის ერთგვაროვანი გაგების მოაზროვნე-პოეტად გადაქცევა ვაჟას არ უნერია. საუკუნენი, თაობანი სულ ახლებურად აალაპარაკებენ დიდ ხელოვანს. მარადი თანადროულობა არის მისი შემოქმედებითი სიცოცხლის მარადისობა. ვიდრე იცვლება დრო და ქვეყანა, არც გაბედული მყვინთავნი დაილევნიან. კვლავ და კვლავ შეიჭრებიან ზღვა-ოკეანეთა სიღრმეში, რომ საკუთარი ხელით მოიძიონ ახალი მარგალიტები და არავინ იცის, სად არის ის უკანასკნელი, რომლის იქით საძიებელი უკვე აღარაფერი დარჩება.

მაგრამ შესაძლოა, ნათელის ეპითეტი ეხება იმ რაღაცას, რაც დ. ზუმბაძეს ვაჟას უძირო ზღვაში აღმოუჩენია, როგორც სინათლის მომნიჭებელი. პეპელასავით ნავარდობთ, ერთი ყვაილიდან მეორისაკენ მიისწრაფვით. მე კი თქვენი იმედით ვიყავი და ვწაღიწობ: ხან გამორიცხვის წესით ვცდილობ, თქვენს აზრს მივაგნო და უფრო ხშირად კი ლოგიკურ აბსურდამდე დაყვანით ვგოდებ მის უკმარობას.

ვაჟა არ უნდა იყოს იდილიური ლანდშაფტების, დატკბილული პასტორალების, მსუბუქი ბუკოლიკების პოეტი, რომელიც მცხრალ სიამოვნებას გვანიჭებს, ე. ი. ნათელი ფერების განცდას იძლევა. უნდა ვიფიქროთ, აქ იგულისხმება უფრო მაღალი კატეგორიის ნათელი.

პლატონ კარათაევი (ერთგვარად ლ. ტოლსტოის მსოფლშეგრძნების გამომხატველი) სიცოცხლეს იღებს ისეთს, როგორ-

იც არის და ყოვლისშემრიგებლური სიყვარულის ნათელით აშოშ-
მინებს პიერის ამღვრეულ სულს.

ნეტარი სულიერი სინათლის ერთი ამბავი ინდურ ბრაჰმამიცი
ამოვიკითხე: თუ ვეფხვი თავს გესხმის, დანებდი. ამით ვეფხვეს
ასიამოვნებ და შინაგანი სრულყოფის დიდ სიმაღლესაც ეზიარე-
ბიო. შესაძლოა ეს სულიერი დისციპლინის მწვერვალია, ჩვეუ-
ლებრივი მოკვდავისათვის მიუღწეველი, მაგრამ ვაჟა სოციალური
სიდუხჭირის შვილი იყო და ცხოვრება ბრძოლად მიაჩნდა. ჩაილ-
იმებდა: ყველამ რომ პირად სრულყოფას და ვეფხვის სიამოვნე-
ბას მისდიოს, ქვეყანა მტაცებელ მხეცებს დარჩებათო.

გამოფხიზლებულმა ბ. ბელინსკიმ დაგმო ჰეგელი და სამუ-
დამოდ უარყო ის, რომ არსებული გონიერია და გონიერი არსე-
ბულია. ეს ამბავი ჯერ კიდევ სკოლაში როდიონ ქორქიამ გამაგები-
ნა. ალბათ თქვენც არ გასურდათ, ვაჟა რეაქციული პერიოდის ჰეგე-
ლის მიმდევრად გამოგეცხადებიათ, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს:
„ვაჟასათვის სიკვდილი ისეთივე ნათელი მოვლენაა, როგორც
სიცოცხლე“. გაყვეთ ამ დებულებას და იგი ჰეგელთან მიგიყვანთ.
მამასადამე, საყვარელი ადამიანის, საზოგადოების, ერის ყოფნა-
არყოფნა ორივე ნაწილში თანაბრად ნათელი მოვლენა ყოფილა!!!
იქვე დასძენთ: „ეს არ ნიშნავს, რომ ვაჟასათვის არ არსებობს
არავითარი ნუხილი სიკვდილ-სიცოცხლისა. პირიქით. უბრალოდ
მისთვის ნათელია ნუხილი.“

„სიცოცხლე საუნჯე ტკბილი და უძვირფასესი“, უთქ-
ვამს ვაჟას. ერგო: სიკვდილიც საუნჯეა! გაუმარჯოს სიკვდილს!!
მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ამგვარად. „ნათელი ნუხილი!“ რად
აკადრეთ ვაჟას ასეთი დიაკნური ფარისევლობა?! „ღმერთმა გიშ-
ველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შენით მშვენობსო“. ამან შეგიყვა-
ნათ შეცდომაში?! იას ბუჩქი საყვედურობს: „თუ გამახარე, უფალო,
დიდი დღე რად არ მომეო.“ პოეტიც უმატებს: „ღმერთს მოუცია
საწყლისად მოკლე სიცოცხლის ჟამია, ქვეყნისა მისგან შვენება
ერთი ბეჩავი ნამია“ როგორც ხედავთ, აქ სიკვდილი ნათელი მოვ-
ლენა არ არის და სიცოცხლის დარად არც საამო ნათელის შემცვე-
ლ-მომნიჭებელი. ეს ურთიერთგამომრიცხველ მსოფლშეგრძნე-
ბათა აღრევა არ არის, ფიქრთა მძაფრი დუღილია, ეჭვთა ჭიდილი,
დაუცხრომელი სულის ატალღებული ზვირთები, ხან ერთი მო-
ექცევა ზევით და ხან მეორე. ზღვა კი ლელავს და ბობოქრობს...
კონტექსტიდან ამოგლეჯა არას გვარგებს. ზღვიდან ამოღებული
ერთი პეშვი ნყალი ზღვა არ არის.

განა „ხმელი წიფლისა“ და იქ ბიოლოგიურადაც გამართლე-

ბული სიკვდილის შემზარავი სახე ნათელი მოვლენა და პოეტის ნათელი ხილვის განაცხადია?! ყლორტმა, ანუ სიცოცხლემ აჯობა სიკვდილს და ეს არის უწყვეტი სიცოცხლის აპოთეოზი, სიმღერა ნათელი სიცოცხლის შავბნელ სიკვდილზე გამარჯვებისა.

პატარა ერი გლოვით და ზარით ხვდება ხოლმე ამ გარდუვალ უბედურებას. მით უფრო ჩვენი ბუნების და (აქედან) ჩვენი ცხოვრების შნო და ლაზათის პატრონი მთელი არსებით განიცდის, თუ რა ბედნიერებას აკარგვინებს არყოფნის მარადიული არარაობა. ვაჟა კი ჩვენი სისხლი და ხორცია.

ვაჟამ აამეტყველა უტყვი ბუნება, იას ბუჩქიდან პიტალო კლდემდე. მაგრამ ყველგან და ყველა თავის ჭმუნვა-ტიკვილში ჩივის და გოდებს ადამიანის ჭირ-ვარამს და მხოლოდ ადამიანისას. ერის უღალატო შვილს არასოდეს ნამოსცდენია, ბუნების ჭეშმარიტ შვილს არასოდეს უკადრებია ანტროპომორფისტული თუ პანთეისტური (როგორც გენებოთ) ჩიფჩიფი ფრანცისკო ასიზელისა: „დაიკო ნყალო,“ „ძამიკო ცეცხლო“... ეს კარგად უნდა გვახსოვდეს.

თუმცა თქვენს მსჯელობას რომ გავყვე, პეგელსაც შორს, უკან მომატოვებინებთ:

გლოსა: „სამკურნალო ბალახი უნდა მოიჭრას... ეს მოჭრა სიკეთეა, მაგრამ იგი ბოროტებაცაა, რადგან რალაც სულდგმული კარგავს სიცოცხლეს. ასევეა ხის მოჭრა, ნადირის კვლა, და ბოლოს და ბოლოს კაცისკვლაც ხომ ყველა ამ ცოდვათა მწვერვალია“...

პოსტგლოსა: „კეთილის და ბოროტის ეს დაუღწეველი გაუთიშველობა არის ვაჟას, მინდიას ტრაგედია.“ აქვე იმონმებთ სოკრატეს.

სოკრატე იტალიურ ბულალტერიას არ იცნობდა, მაგრამ დებეტ-კრედიტით არც პირად ანგარიშებს ათანაბრებდა. ხვდებოდა, დაბალანსებისას გარენარის დებეტ-კრედიტი ზარალის მუხლში შევიდოდა და მის ვალიუტას ნაახდენდა. რომ არავის შეშლოდა, თავის პირად ანგარიშშიდაც ციკუტა შეიტანა და ბალანსისათვის საუკუნეებს გადასცა. პლატონსაც ამიტომ უბრძანებია: ღმერთს მტრულად დაპირისპირებული მწუხარება და სიხარული რომ შეერიგებია, მათი მწვერვალები ერთმანეთს შეუზარდაო. ნუ აჩქარდებით, ეს თქვენ არ გამოგადგებათ:

მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შენუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება, გონება მსჯელობს სალადა,
მაშინ ვარ თავისუფალი, თავს მაშინა ვგრძნობ ლალადა.

დავუბრუნდეთ გლოსებს: ამბობთ ტრაგედიაო. კი მაგრამ სადღა ნავიდა, სიცოცხლის დარად, ნათელი სიკვდილი, ნათელი ხილვის მოვლენა?! უან კოკტოს გმირებით, ორივე ნათელცხებული ჰაერში ხომ არ გაფრინდა?! ბნელმეტყველების ამ ტბორიდან ტრაგედიის ხსენებაც ვერ ამოგიყვანთ. ეს მხოლოდ აზროვნების ისტორიის მეტაფიზიკური ტრაგედიაა. მით უმეტეს, რომ ტრაგედიას არც ვაჟა კისრულობს, არც მინდია და არც სამკურნალო ბალახი, რომელიც, პირიქით, ეხვენება მინდიას მალე მომწყვითო, ადამიანს ამა და ამ ჭირისაგან ვიხსნიო. თავთავმა ხომ სულაც გააოგნა კაცი, არა, ჯერ მე მომცელე, არა მეო, პურად მაქციე, მშიერს შევერგებიო.

სიკეთე-ბოროტებას კოსმიური ასპექტიც აქვს და ასეთი მასშტაბი არავის ეერძალება. იგი არც ვაჟასათვის ყოფილა უცხო, მაგრამ პირველ რიგში მას აღელვებდა ადამიანი თავისი საზოგადოებრივი ჭირ-ვარამით და ჩვენც ამით შემოვიფარგლოთ. მით უმეტეს, რომ ძირითადში არც ფილმი სცილდება ამ ჩარჩოს. და კიდევ მით უმეტეს, რომ სწორედ „კოსმიკამ“ აუბნია გზა-კვალი ჩვენს პატივცემულ ავტორს, რომელსაც არა მარტო ბუნებრივი სიკვდილი, არამედ კაცის კვლაც, ე. ი. ძალადობაც, ჯალათობაც ნათელ მოვლენათა მწკრივში შეუტანია. და ნათელის ეპითეტი მორიგ ნამოცდენად რომც ჩაეუთვალოთ, განა კაცისკვლა ბუნების ბიოლოგიურ შკალაში უნდა მოვაქციოთ?!

ფშაველს, ბუნების ნიაღში შობილს და მასთან შეზრდილს, ბუდა ვერ ასწავლიდა, რომ სიცოცხლე სიკვდილით იკვებება, რომ ასეთია სასტიკი ბუნების სასტიკი კანონი, მისი „რონდო დე ლა პერპეტუობილე“-ს ფუძეთა ფუძე. მარადიულ მოძრაობაში, რკალივით შეკრულ უწყვეტ ბრუნვაში სიკვდილი და თვით იძულებითი სიკვდილიც მხოლოდ რგოლია სიცოცხლის მარადი სახეცვალების. მაგრამ ვაჟას კაცისკვლა ე. ი. ბოროტების ყველაზე მძვინვარე სახე, მისი, ვითომდაც დაუღწეველი გაუთიშველობის ატრიბუტით ანუ ფატუმით, ადამიანთა სამყაროს ფუძედ არ მიუჩნევია, სოციალური ბიოლოგიურთან არ გაუთანაბრებია.

დამაშვრალ კაცობრიობას ნინ ყოველთვის აღთქმის ქვეყანა ესახებოდა, უფრო მეტიც, თეოლოგიური და სხვა მოძღვრებანი მისკენ აქტიურ სწრაფვაზე ლაპარაკობენ. და უფრო მეტიც, კაცობრიობის ისტორია ასახავს ტაატი, მწარე დამარცხებებით, კატასტროფული უკან დახევებით, ევოლუციურ-რევოლუციური კანონზომიერებით, ამ იდეალთან თანდათან დაახლოებას. მგელი დღეს ისეთივე ხერხებით პოულობს და სიამოვნებით სანსლავს

თავის ძალმომრეობის მსხვერპლს, როგორც ათასეული საუკუნეების წინათ მისი წინაპარი. ადამიანი დამარცხებული მოძმის ხორცს აღარ მიირთმევს, მოშინაურებული პირუტყვის დონეზე აღარც მონად აქცევს და ა. შ. კლასთა ბრძოლა არ შეწყვეტილა, მაგრამ ადათობრივმა სამართალმა თავის შორეულ წარსულში არც „პაბეას კორპუსი“ იცოდა, არც „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია.“

სოციალურისა და ბიოლოგიურის სხვაობა და მათი დიამეტრალურად განსხვავებული კანონზომიერება ფშაველს არ ეშლებოდა. ხის მოჭრა მინდიას ეძნელებოდა, მტერთან ბრძოლაში კი თემს ბელადობდა. თქვენი ასეთი ლალი ნავარდი მაიძულებს ზოგი რამ ანბანური ხმამაღლა გავიხსენო:

თვით ნოუმენების მიუფემ სალი აზროვნებით სიკეთე-ბოროტება კაცთა მინაზე ფენომენებად აღიარა. კატეგორიულ იმპერატივებს კანტმა უბრალოდ ხელმისაწვდომი საზომი წარუძღვარა: მოქმედების კეთილშობილების შესამოწმებლად უნდა გავიგოთ გაიზრდება თუ არა ადამიანთა ბედნიერების ჯამი, უკეთუ ყველა ასე იმოქმედებს. თუ — ხო, ეს სიკეთეა და პირიქით, თუ შემცირდება ბოროტებაა. ამრიგად, სიკეთე-ბოროტება ცნობადი ფენომენებია, სოციალური (უახლოესი) გენეზისი აქვს, გარდამავლობის თვისობრიობა და მიზნობრივადაც სოციალურია. ნუ აუხირდებით სხვადასხვა მხრიდან ნამოსულ დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის საყვედურებით. მოგეხსენებათ, აზროვნება ამაზე არ გაჩერებულა. კარლ მარქსმა ჰეგელის დიალექტიკა ფეხზე დააყენა. თავს არ შეგანყენთ იმის გახსენებით, რომ სოციალური სიკეთე-ბოროტების სახეობანი ცვალებადი ისტორიული კატეგორიები არიან; და მათი სახეცვალების კრიზისი მაშინ დგება, მარქსის მიერ ჰეგელის ხატოვანი შედარების გამოყენება რომ გავიხსენოთ, როდესაც მინერვას ჭოტი გამოფრინდება. ე. ი. როდესაც ამა თუ იმ ეკონომიკურ-სოციალური სტრუქტურის, დრომოჭმული საზოგადოების მზე ჩაესვენება და მრუმი ღამე სიკეთე-ბოროტების გადაფასება-შეცვლისათვის ადამიანის კრიტიკულ აზრს გამოალვიძებს. ასეთი გაგების საფუძველზე გავიხსენოთ აგრეთვე არისტოტელის ნათქვამი: ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიაო, ე. ი. მასში მოცემულია ორი საწყისი: ბიოლოგიური (ცხოველი) და სოციალური. ეს უკანასკნელი თავის განვითარების ვითარებაში თრგუნავს და ავიწროებს პირველს.

ბიოლოგიური თავდაცვის ინსტინქტიდან გამოდის და არსებობისათვის ბრძოლაში ძლიერს უპირატესობას ანიჭებს. სოციალ-

ური კოოპერაციისაკენ ისწრაფვის და მისი შენარჩუნებისათვის ძლიერთა პირადულს ალიმიტებს. აქედან მორალი, მორალის მინიმუმი, სამართალი, ორი სამსჯავრო: გარეთ სასამართლო, შიგნით სინდისი. ზემოთქმულის მიხედვით, ზოგადად, ბიოლოგიური ბოროტების სანყისია, სოციალური -- სიკეთის. ბოროტი სხვის ხარჯზე საკუთარს აფუძნებს, კეთილი -- თავის ხარჯზე სხვისას და მთელისას. ასეთი რამ ბიოლოგიურ სამყაროსაც ახასიათებს, მაგრამ სოციალური, პირობითად რომ ეთქვათ, ემბრიონულია, სპორადული და ევოლუციას არ ემორჩილება. რა თქმა უნდა, სოციალური ყოველთვის სიკეთის მატარებელი არ არის, როდესაც იგი თავის ინსტიტუტებიანად უპირისპირდება პიროვნებას, ჯგუფს, კლასს, ერს. სიკეთე-ბოროტების ასეთი გადანაცვლების დიალექტიკა ჯერჯერობით ჭოტსა და მის ქალბატონს მივანდოთ, ჩვენ კი იმ ზოგადი განსასაზღვრით დავემყოფილდეთ, რომ ამ შემთხვევაშიდაც სოციალურის კეთილშობილება ძალაში რჩება, ვინაიდან გაურჩებული უფრო მაღალი საფეხურის სიკეთეს ეძალება, თუმცა პირუკუ შეფარდებაც გამორიცხული არ არის.

სიტყვა გამიგრძელდა, ალბათ ნერვიულობთ, ეს ყოველივე ჩვენც ვიცითო. ხოდა თუ იცით, ბიოლოგიურისა და სოციალურის გათანაბრებით ნუ ცვლქობთ. კოსმიური ასპექტია? „ჰომო საპიენს“ ბებია მაიმუნი ჰყავდა?! იგი ბუნების გვირგვინია დღესაც და მაინც ბუნების?!.. მაგრამ გვირგვინი – გვირგვინია და თქვენთვის სიმპათიური ქალამანი თუგინდ ოქროსიც, ფეხის საცმელია მხოლოდ.

რატომ აგიხირდით? ათასჯერ ბოდიში თქვენთან, მნამს, აბსოლუტურად არაფერი გაქვთ საერთო ამ ბნელეთთან, არც დაგსიზმრებიათ... მაგრამ ასეთი გათანაბრება ფაშიზმის ხელობაა, მხოლოდ იგი ბედავს არივ-დარიოს ყოველივე და ადამიანი ბიოლოგიურის მწვერვალში მოაქციოს, როგორც „ქერათმიანი ნადირი“, ძლიერის უფლებით განუსაზღვრელად გალაღებული. გნებავთ, დაგისაბუთოთ? ვფიქრობ, საჭირო არ არის. კიდევ ათასი ბოდიში...

რალაც უცნაურობა გჭირთ. საკმარისია მეცნიერის ბრწყინვალე მანტია ოლიმპიური ყესტით მხრებზე მოიგდოთ, რომ მყისვე ითიშებით, უბრალო, სალი აზროვნებისგან, თუმცა ბუნებას თქვენდამი სიძუნწე არ გამოუჩენია. აზრის დასრულებით თავს არ ინუხებთ და, თქვენი თქმის არ იყოს, თ. აბულაძესავით „ძალიან დიდ უღელს ადგამთ მკითხველს, რომელიც თვითონ უნდა გაერკვეს უამრავ აზრთა დავიდარაბაში და ელემენტარული დასკვნები თავის თავს ცხვირ-პირში მიახალოს“, რომ საბოლოოდ რეალობის გრძნობა არ დაეკარგოს.

ბა, რად ღირს თუგინდ ასეთი მსჯელობა: „ვაჟას დიდ სიკეთესთან არსებული თუნდაც მცირედი ბოროტების გარდუვალობის საშინელებაზე ფიქრი აწვალებს.“ ფილოსოფიისათვის, როგორც მეცნიერებისათვის ეს გარდუვალობა, ეს საპირისპირო ერთიანობა დიალექტიკაა, პოეზიისათვის ტრაგედია. ტრაგედიაზე მონოპოლიას რად უტოვებთ პოეზიას? განა ფილოსოფიისათვის ამ დიალექტიკის დადგენა თვითმიზანია?! ჰკითხეთ ციმბირის მინას... „რეპორტაჟი მარყუჭით ყელზე“... დიალექტიკის ჯადოქრის ცხოვრებასაც გავიხსენებდეთ... მაგრამ რა საჭიროა?! მეცნიერული ხარისხები მათ არ გააჩნდათ (არც მარქსს) და ამიტომაც არააკადემიურ ტრაგედიას ფრიად არააკადემიურად შეენიღნენ კიდევ...

დიდ პოეტს, დიდ მოაზროვნეს, ერის უბედურება-ვარამის დიდ ჭირისუფალს და მისთვის მებრძოლს, ტრაგედიების ანგარიშები არ ეშლებოდა. მისი გონებისა და გულის მასწავლებელი, პირველ ყოვლისა, იყო ცხოვრება და არა — ნიგნი. ამიტომაც იგი დღესაც ჩვენი ეპოქის გოლიათი რეალისტია. ვინც თვითონ ხნავდა, თვითონ იმკიდა, საპნის ბუშტებით თავს ვერ შეიქცევდა. მოქმედი მებრძოლისათვის უცხო იყო რუსოც, გოგენიც, ჩვენი ყაზბეგის რომანტიკაც, და მით უფრო, სხვადასხვა ფერის მათი ეპიგონების გულისამრევი ბუჭტური. ფშაველის მახვილი თვალი ხედავდა იმას, რაც იყო, როგორც იყო და ყოველგვარი ილუზიების გარეშე ვაჟკაცური დაუნდობლობით ამიშვლებდა ადამიანის, საზოგადოების ძირითად უბედურებას. სწორედ ამიტომ, ვაჟასათვის „დიდ სიკეთეს მცირე ბოროტება“ კი არ ახლავს, არამედ დიდ ბოროტებას — მცირე სიკეთე. მის ფიქრს აწვალებს არა გარდუვალობის, სალონური ორანჟერეის ფერმიხდილი „საშინელება“, არამედ კუნთმაგარი მებრძოლის დარდი, რომ ეს შეფარდება ჯერ კიდევ ბევრ ხანს გასტანს.

სწორედ ამიტომ ვაჟა, ფილმიც ალუდა ქეთელაურის ტრაგედიას (ჭოტის ფრენა) იმ საზოგადოების ნიაღში გვაჩვენებს, რომელიც თავისი პირველყოფილობით ასე მკვეთრად ავლენს ბიოლოგიურის და სოციალურის დაპირისპირებას. წვნიან კერძში ალუდა ადამიანის ძვალ-ხორცს ხედავს, გული ერევა და ჯამს წააქცევს. ორკესტრის მოვარდნილ კრემჩენდოსავით გუგუნებს კადრების ეთნოგრაფიული ტექტონიკა ყველა თავის საოცრად მეტყველ და ზოგჯერ, თითქოს უმნიშვნელო დეტალებშიაც.

არსებობისათვის ბრძოლაში ატავისტური, ბიოლოგიური დაუნდობლობის კულმინაცია სტუმარ-მასპინძლის მძვინვარე თემაა. ფანატიზმი, უსასტიკესი ადათი, რომელიც მოსისხლეთათ-

ვის გამორიცხავს სრულიად ელემენტარული ადამიანობის უფლება-მოვალეობის სტატუსს, ჯოყოლას ჰუმანური პრინციპი სტუმრის ხელშეუხლებლობისა, ალაზას უშუალო ადამიანური განცდა, ზვიადაურის ვაჟკაცური დიდსულოვნება აქ მოცემულია დრამატიზმის უდიდესი ძალით. და ეს არის ვაჟას ტიტანური გამბედაობის მწვერვალი, დიდი მხატვრის თავებრუდამსხმელი სიმაღლე და ფილმის კადრებიც ამავე ხარისხში.

საყვედურს ამბობთ: „ვაჟასათვის სიკვდილის დასანახად ქალაქში ჩამოსვლა საჭირო არ იყო. სიკვდილი ყველგან იშოვება და ამასთან თითქმის ყველგან ერთნაირი (?) და ერთნაირად მრავალნაირი (?) ვაჟამ იგი უბრალო ბალახის მოჭრაშიც ისეთივე სიმძაფრით იგრძნო“... და სხვა. ფშაველმა ეჭვმიუტანლად იცოდა, რას ნიშნავს ბალახის მოჭრა ადამიანისთვის, ბუნებისთვის; იცოდა აგრეთვე, როგორი იყო ბუნების უშუალო შეილებისათვის სიკეთე-ბოროტების შეფარდებანი. და რადგან მებრძოლ მაძიებელს არაფერი შეეშლებოდა, თქვენდა საწყენად, მინდია (ხვთისია) ქალაქშიც ჩამოიყვანა, რათა ენახა, როგორი იყო ალუდას, ზვიადაურის, ჯოყოლასა და ალაზას ტრაგედიის საკითხი გადაჭრილი, საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. და „კინობნკარედის“ რეჟისორმა ვაჟას აქაც არ უღალატა:

ნელა მიიმართება დაკრძალვის კორტეჟი. ამა ქვეყნისა ძლიერნი, საკუთარი ღირსების შეგნებით, დარბაისლურად მიაბიჯებენ, დედამინაზე თავის ნატერფალს ტოვებენ; გამოშვიგნული მკვდრები თავიანთ მკვდარს ასაფლავებენ. და რომ არავინ დაეჭვდეს, მიცვალებულის პორტრეტის ჩვენება, „თუ ეკრანის დროით ვიანგარიშებთ, მეტად ხანგრძლივად გრძელდება“, მაგრამ ალბათ არა საკმარისად, რადგან „მძიმე სიცივემ“ ჯადაროზის გამოც-არიელებული, თვითკმაყოფილებით გაზულუქებული ბიოლოგიაც გამოგაპარათ, ხვთისია კი მიხვდა, რომ სიკეთე-ბოროტების შეფარდებაში ცივილიზაციაც კუს ნაბიჯით მიდის, რომ მცონარე არსებობა, მტაცებლური სიხარბე, მათი მატარებელიც და მონაპოვარიც მოჩვენებაა, რომ ჯადაროზები მეტად მძიმე ბალასტი არის „ჩემი ვედრების“ სულისკვეთებისათვის... ან შესაძლოა დაკანონებული შეფარდება, რომლის იქით გზაც აღარ არის. და აი, მამაპაპური სახლი ცეცხლში გიზგიზებს, მაგრამ ჯადაროზები თავის მოჩვენებათა იქით ვერცრას ხედავენ. მხოლოდ ასული ჩუქურთმებს ეპოტინება და ვინ იცის, რას გადაარჩენს?!

კიდევ ერთი რჩევა წამოცდენის შესახებ: მოხიბლული ავტორი ჟან კოკტოს ფილმს მოგვითხრობს, თუ როგორ აჯობა ბოროტი სი-

მახინჯის ტყის კაცს სიყვარულმა და მშვენიერებამ; და თუ როგორ მარადიულად დაზავებულნი სადღაც ღრუბლებში ფრთაგაშლილი იზიდებიან. აი ეს გაცვეთილი, მოყირჭებული, ანტიბუნებრივი დეზორიენტაციის სიმბოლო, ვითომდაც სიკეთის გამარჯვებისა, ავტორს ნიმუშად მიუჩნევია. განა ქალამნის მეზაირახტრე ასეთ ხელმოცარულ ეპიგონობას უნდა ჯერდებოდეს?! მაშ, თქვენ გინდოდათ თ. აბულაძეს არავისთან არშესადარი ფშაველი, ცისფერი ბაფთით დამშვენებული, სააღდგომო პასკაზე შაქრის ბატკანივით ნამოსკუპული ეჩვენებია?!

სიყვარული, როგორც სოციალური ჭირ-ბოროტების პანაცეა თეოლოგიას დაეთმით. მოკრძალებული პატივისცემა, თაყვანისცემა მაცხოვარს, განდის, ტოლსტოის, კოკტოსაც, მაგრამ მათი სტრატეგია მებრძოლს ახეიბრებს და სიყვარულის ყავარჯენებიც არავის შეეღის.

მინდიას ხის მოჭრა ცოდვად მიაჩნდა, კაცისკვლას კი რად კისრულობდა? ვიდრე თავის პრინციპებს არ უღალატა, მტერთან ბრძოლაში თემის ბელადი ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა (ხის მოჭრა აქ სიმბოლოა: სოციალური მონოდების თვითშეგნება სიბრძნით აღონიერებდა, ბუნების იდუმალებათა წვდომის უნარს ანიჭებდა), მაგრამ, როდესაც ცდუნებას ვერ გაუძლო, საკუთარი ოჯახის მსუყე კეთილდღეობამ ჩაითრია (ჯადაროზის ვარიანტი), ბუნებაც დადუმდა მისთვის, ხმალიც დაუძღურდა... თემი დამარცხდა. იგი მოღალატეა და სიკვდილის განაჩენი ბუნების შვილმა თავის თავს თვითონ გამოუტანა.

ადამიანი უმძლავრეს ბერკეტად სიყვარულს ხვალ მოიმარჯვებს და ამიტომაც ვაჟა დღეს ხმალამოლებული ყველას საბრძოლველად უხმობდა. „ჩემი ვედრების“ ავტორმა თავისი კრედიტული გარკვეულობით გადმოგვცა, და იქ არ არის არც სიყვარულის თვინიერება, არც ნათელი ხილვის მოჩვენებანი. იქ არის ამღვრეული, აბობოქრებული, დაუთმობელი ბრძოლის ყიჟინა, სიხარული ვაჟკაცური შემართებისა და კიდევ საოცრად ნატიფი, ფაქიზი პუმანურობა კეთილშობილი მებრძოლისა. სწორედ ამიტომ ჩვენმა რეჟისორმაც ფილმს „ვედრება“ უწოდა.

ჟ. კოკტოს საპირისპიროდ, გოჩი სიყვარულმა ვერ დაიმორჩილა. პირიქით, გული აერია, გუნება დაუმძიმა და იგი სიყვარულს, როგორც მოუნელებელ რაღაც ნივთიერებას, ღმერთს თავის არსებიდან ამოაგდებინებს. ნუ ჰქმნით ვაგნერისეულ „ჰომუნკულუსებს“. ვაჟა ხალასი ფშაველია, მკაცრი ბუნების მიერ მკაცრად აღზრდილი, ხალხის დიდი მესაიდუმლე, მისთვის უკომპრომისო

მებრძოლი, ამ ხალხის საღი ზნეობის, საღი გონების გენიალური გამომხატველი.

ვაჟამ, თ. აბულაძემ (მასთან ერთად ვგულისხმობ ფილმის კოლექტივს) დახატეს მაცილის სახე ისეთი საოცარი სისრულით და იმგვარად, როგორც დღემდის იგი არავის დაუხატავს.

ჭოტის ფრენის მძაფრმა საუკუნემ წარმოშვა კ. მარქსიც, ისტორიაში გაუგონარი ძლიერების მუშათა მოძრაობა და პარალელურად, ინტელიგენტური ნიჰილიზმი: პიროვნების აჯანყება დახვედრებული საზოგადოების წინააღმდეგ. ეს იყო მუხლმოდრეკილი ამბოხი, „ბუნტ ნა კოლენიას,“ და მინც ამბოხი იყო. ბაირონი, ლერმონტოვი, ვრუბელი და სხვანი რომანტიკული შარავანდედით მოსავენენ აჯანყებულს, განკიცხულს, დიადი სიმარტოვის პიროვნება-დემონს. გოეთემ, ანტაკოლსკიმ (მოქანდაკემ) და სხვებმა თავის მეფისტოფელს კვერთხი ვერ ჩამოართვეს. პანდემონიუმის მეუფე დიდი მოაზროვნეა, სკეპტიკოსი, ნიჰილისტი, ცინიკოსიც, რომელიც სადღაც, ზიზნარევი სიბრალულით იცოდებს კიდევაც უსუსურ ადამიანებს. ღმერთის მაძიებელმაც კი „ჩააგალსტუკა“, მოდიდან გამოსული კოსტიუმი შეუტოვა ივანე კარამაზოვის პალუცინაცია-ეშმას.

ვაჟამ, თ. აბულაძემ გაცვეთილი, მოჯლანული, თქვენთვის ეგზომ საყვარელი, ქალამანიც კი არ აღირსეს მაცილს. იგი დასუნსულებს, ქურდულად დაძვრება ადამიანთა შორის, ეძებს სასუნსავს: გაშიშვლებული მთელი თავისი მდაბალი, მდაბიური, პირუტყვეული „ბრუტალობის“ სიცხადით. შეხედეთ, როგორი მურდალი უხამსობით იხოკს მაცილი თავის მუცელს, რარიგ გულისამრევად ანკლაპუნებს მზესუმზირას. ინდიფერენტულია მისი გამოთაყვანებული, ჩლუნგი სიფათი. განა მას ძალუძს დემონის სიშმაგე ბოროტების აღმაფრენაში, ამაყი მოუდრეკელობა განდგომილისა მარტოობაში, გააფთრებული ბრძოლა თამარისათვის, რომელიც თანამცხედრედ უცვნია და აურჩევია?! ან მეფისტოფელის ბასრი პროვოკაციები ადამიანის ქვენა ბუნების გამოსაველენად, რომ კვლავაც ერნმუნა თავის სიმართლედ და გაბოროტებულს „წრუნუნას“ ნვალებით შური ეძია. მაცილი არც უ. კოკტოს გმირია, რომელიც თქვენი კომენტარის მიხედვით, „პანივით ტყის ბინადარია და თავისთავზე აღმატების და სრულყოფის იდუმალ, ყოვლისშემძლე სურვილს და ტრფიალს ატარებს.“

როდესაც ადამიანმა ტყე მიატოვა და შრომის, წამების გოლგოთას შეუდგა, ტყიდან მაცილიც გამოძვრა და მშიერ ტურასავით აედენა მას ათასჯერ ჯვარცმულს, იაკობს, ღმერთთან შერკი-

ნებულს, „ჰომო საპიენსი“, ბუნების მკვრობელს და დიდ მშენებელს.

ფილმი თავიდან ბოლომდის უნიჭო რომ იყოს, მას მაცილის სახეც ეყოფა. იგი არა მხოლოდ შემოქმედებითი მიგნების ზენიტია ფილმისათვის, არა მარტო ქართული კინოხელოვნების გამარჯვებაა თამამი რეალისტური გააზრებით და ბრწყინვალე განსახიერებით, არამედ მსოფლიო საუნჯის დღესაც დროული და ფრიად საჭირო შენაძენია.

დიდი ინკოგნიტო ბელზებელი მხილებულია. იგი ნამდვილი სახით და სახელით მზის სინათლეზე გამოათრია ფშაველმა, თ. აბულაძემ და ვფიქრობ, ეს როლი რ. ჩხიკვაძის არტისტული შემოქმედების განუმეორებელი შედეგრიცაა. თვით „ახალმა აღთქმამ“ ვერ გაბედა, შეუნარჩუნა მაცდურ ბოროტ სულს ათასწლოვანი გამძლეობის ბუტაფორია. სიკეთის გამარჯვებისათვის იგი სთავაზობს მაცხოვარს მეუფეობის სამ პრეროგატივას: პურს, ძლიერის უზენაესობას, სასნაულს. დიახ, რომანტიკული შარავანდედით შემკულს, უძლევე პიროვნება დემონს, ბრძნული ურწმუნოების ცინიკოს-პროვოკატორს, ადამიანის აბუჩად ამგდებს, მარადიული ბოროტების დიდ ბატონს, მისი ურყევი მეუფეობის რეგალიები, მუყაოს ბუტაფორიული რეგალიები მიუგლიჯ-მოუგლიჯეს ამირანის ერთგული ხალხის შვილებმა...

სწორედ ამ რომანტიკულმა შარავანდედმა, დემონურმა ეშხმა მოხიბლა ჰიტლერი. სწორედ მეფისტოფელის მედიდური ზიზლით იგი პროვოკაციულად ინვევდა ადამიანში მტაცებელი მხეცის და ბინძური ნადირის ქვენა გრძნობებს; სწორედ უდაბნოს მაცდურის სიბრძნე ირწმუნა: პური მისცა თავის სამწყსოს, ძლიერების „ხელთუქმნელ“ ხატად გარდიქვა, ელვარე „ბლიცკრიგებისა“ და სხვა „ბლიცების“ სასნაულებით აღიტაცა და დააბრმავა მუხლებზე ნაჩოქილები...

- მე არაფერი მეკრძალება! და იმსხვრევა სისხლით, ცრემლით, ოფლით მოპოვებული სოციალური სიკეთის სჯულის ფიცარი...

მე ყველაფერი ძალმიძს! და იქმნება ახალი კატეხიზმო „ქერა ნადირისა“ და ზეკაცისა...

— შენ უნდა ატარო შენში ქაოსი, რომ შვა მროკავი ვარსკვლავი! — ნიცშეს შიზოიდური ბოდვით ტრანსში „დემონი“ იბნიდებოდა, თავისი ზენარი-ზეკაცი „ქერათმიანი ნადირის“ სკორე-ნარწყევში ჩააყირავა... (მაპატიეთ, მაპატიეთ, ამ უმსგავსობისთვის, სხვა სიტყვა არ მომეპოვება).

დიახ, ფაშიზმი დაზავებული სიკეთე-ბოროტებაა მოქმედებაში. ფშაველმა ეს გენიალურად იწინასწარმტყველა, „კინობნკარედის“ მონინებულმა რეჟისორმა ეს ვაჟას არ დაუქარგა. და ნეტავი რას ემართლებით?!

ჟან კოკტომ თავის მოდერნიზებულ დემონს თუ ძველმოდურად ქვადქვეული კურცხალი მიჯნურის სარკმელთან არ დაატოვებია მხოლოდ იმიტომ, რომ საქმეში დაუძღურებული ღმერთის ჩარევას მოერიდა. მაგრამ ამა ქვეყნის უბედურება-უმსგავსობით უდავოდ შენუხებული სიკეთე-ბოროტების კელავადაც სიყვარულით დაზავებაში ეძებს გამოსავალს. ასეთ ცდებს დიდი ისტორია აქვთ. მას იწვევს სასონარკვეთა ან ფარისევლობა სხვადასხვა ვარიანტებში. პირველ შემთხვევაში ეს არის განმაიარალებელი ილუზია, ცხოვრებიდან გაქცევა ხეიბართა ქსენონში, მისტიკაში. და მეორე, უფრო სწორად, მედლის მეორე მხარე არის დემაგოგია და ფაშიზმი (მის სხვადასხვა სახეებში). ცეცხლსა და ყინულს ვერ დააზავებ. ეს ქაოსია. მისი ვარსკვლავის როკვა კაცობრიობას არა ერთხელ უგემია. „დაულნეველი, გაუთიშველობის“ ფატუმიც სწორედ ამ დაზავების ლოგიკაში უნდა ვეძიოთ.

ფშაველმა-მთესველმა სასონარკვეთა არ იცოდა, ერისათვის თავდადებულმა ფარისევლობა. „გოჩი“ მისი გენიალური ქმნილებაა. მაცილისა და ასულის შეუღლების ცდა მისი კანონზომიერი პერსპექტივით ვაჟას რომ არ მოეცა, თ. აბულაძეს უნდა დაემატებია, იმდენად მიესადაგება იგი ვაჟას რეალისტურ ხილვას და ჯანსაღ მსოფლმხედველობას.

რაც შეეხება სიკეთის სახრჩობელაზე აყვანას, ჩვენი თუ არა, ისევ ვაჟას რეალიზმი მოვიშველიოთ და მას დაეუჯეროთ. სიკეთის მაძიებელთა პროსკრიპციული სიები კაცობრიობის სინდისზე დღესაც ბევრია. დავუმატოთ ისიც, რომ არა ერთი და ორი ხვთისია გაცუდებულა. და თუ არ უთქვამს: ჯვარს აცვი არ აცვი, მაინც ვერ გაუბედა. გეთსიმანიის ბაღში თვით მაცხოვარსაც თავისი ლოცვა აღუვლენია... სიკეთეს, როგორც იდეას ვერ ჩამოახრჩობ, მაგრამ სახრჩობელაზე აყვანილი იგიც გვინახავს. საშუალო საუკუნეთა ნყვდიადში, ელინიზმის მადლი-სიკეთე ღველფს იყო ჩამალული აუტოდაფეთა მძიმე ფერფლის ქვეშ. მაგრამ ხალხის ნიაღში არ ილეოდა... თუმცა თვით ხალხი იყო რუსთაველი, დანტი და მარად ცოცხალი ულენშპიგელი... როცა დგებოდა „დიდი ღამის“ უკუნეთი, ლადარი ჩვენს კერიაშიც გვეგულებოდა, ასე მოგვდგამდა მამა-პაპიდან...

„ანტრ ნუ“: ვინ იცის, გულში მე და თქვენ, სიკეთე რამდენჯერ

აგვიყვანია სახრჩობელაზე, შესაძლოა, მიჩუმათებით ჩამოგვიხრჩვია კიდეც. მაგრამ ამაზე საუბარი შორს ნაგვიყვანდა...

„ვედრებას“, როგორც ახალი ჟანრის პირველ სიტყვას, თქმა არ უნდა, ნაკლოვანებაც გააჩნია. ზოგი რამ... მაგრამ ისედაც მოგვალეთ. ისიც კია, რომ „დინამიკის სტატიკაზე“ და „სტატიკის დინამიკაზე“ (მაპატიეთ ხუმრობა) საქმიან მსჯელობას კინომცოდნეები უკეთ მოახერხებენ. მე მხოლოდ მაყურებელი ვარ და „ძნელი საყვედურით“ წინასწარ აგრესიულად დარაზმულს, როგორც იქნა მელირსა „ვედრების“ ნახვა. ფილმმა ამაღლევა და შემძრა კიდეც. კვლავ ვეზიარე დიდ ვაჟას, მის ბობოქარ სულს, ფიქრებს, ჭმუნვა-იმედებს...

გარეთ გამოვედი. ჩემ წინ მთანმინდა აღმართულიყო. ვაჟას სავანე, ჩვენი მიწის დიდი შვილების სავანე... რალაც ასოციაციებით იტალიაში გადავიჭერი... ფიქრებმა, ზმანებასავით, ვეზუვი ამოატივტივა. ნათლად ვხედავდი მის ამწვანებულ ფერდობებს, ბალ-ვენახებით შეფენილს, ქალაქ პომპეის – მჩქროლავ სიცოცხლით აღსავსეს. ვეზუვის ტკბილი უბიდან მაღლი სიუხვით გადმოღვრილიყო... და კიდეც ვხედავდი: როგორ ამოსკდა ამ ტკბილი უბიდან პირველყოფილი ცეცხლის ქაოსი. სიცოცხლე ლავამ ნალეკა და გაცივებული ნაოჭების ქვეშ თან მოიყოლა მისი უკანასკნელი ჟრჟოლა...

მაშ სად არის, რაში არის შენი სიკეთე, ბუნებავე?! დაუნდობელო, ბოროტო! რაში, აი, ამ ბალ-ვენახების ყვავილობაში, შენით რომ გახარებულა თუ ცეცხლის მიძინვარე გაშმაგებაში, მტლად რომ აქცია ეს შენი მაღლი?!..

და კვლავ შემესმა სისხლ-ცრემლით ადუღებული გულის ღალადი: „კვო ვადის“ „კვო ვადის“ მაგრამ უტყვი ხარ, ყრუ და ბრმა. შენთან არ მოდის ადამიანის გოდება და მწუხარება...

გადაგდებული ლეკვივით უმწეო ადამიანმა, ყოველმხრიდან ჩასაფრებული ბოროტების გარემოცვაში, ტანჯვით, ნვალებით, დღითიდღე, აღურიცხავი ათასნლეულებით, ნელი-ნელ დახრა, დანენკა შენი გულმკერდი და გამოსძალა დახშულ გულს ჩაჩქმალული იდუმალება უძღვევი ბატონობისა, რომელიც ძალმომრეობას ეთაყვანება. მისმა პატარა, გამრჯე ხელებმა მატერია ენერგიად გადააქცია და ენერგია – მატერიის სასწაულებად. გამარჯვებულმა ტრიუმფატორმა თავის საკვირველ ეტლში შეაბა შენი ბოროტი

* საით წახვალ?

სტიქიონები... უტეხი ნებით, მაღალი გონით, სიკეთისათვის გახსნილი გულით, ადამიანი არ დამარცხდება... შეურაცხყოფილო, შეგინებულო, ფეხქვეშთელილო (ო, რამდენი გეთსიმანია გამოგივლია), მე მჯერა შენი... შენი ჯვარცმულო, პირამიდებში ჩასრესილო, კოლისიუმის გლადიატორო, აუტოდაფეში ფერფლად ქცეულო, ოსვენციმის დიდო უსახელოვ, მე მჯერა შენი... და მჯერა შენიც, გმირო ქვეყანავ, ქვეყანავ ამირანისა, ქვეყანავ დაკარგულ საფლავებისა...

იერუსალიმს მან ჩააღწია, ვინც ყოველი გუმბათის გამოჩენაზე არ კითხულობდა: „ეს ხომ არ არის იერუსალიმი?“... ნუ დაიღლები, ადამიანო! ნუ დაიღლები! მე მჯერა შენი!!..

ბუნება ვაჟას უყვარდა ტკბილი, ოჯახური სიყვარულით და შეიძლება ჩემი ეს ამხედრება შეურაცხყოფაც არის მისი ნათელი გრძნობისა. მაგრამ ფშაველის დიდსულოვანი, მაღალი გონების ნედომას განა თუ გაუტოლდები?! რაღაც კოსმიური ჰარმონიის უშუალო გრძნობით იგი შუქს ჰფენდა თითოეულ სიტყვას. მე სხვა ეპოქის შვილი ვარ. დე, სულ სხვა გზით, ვაჟამ კვლავ მიმიყვანა ადამიანთან, თავის ნათელი რწმენით აღმივსო გული...

ულრმესი მადლობა თ. აბულაძეს, მთელ კოლექტივს, მათ ახლებურად, დროულად ვაჟა ეკრანზე აამეცხველეს.

ორიოდე სიტყვა თქვენ, პატივცემულო დენეზა: ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი კოლეგა შეგინუხოთ. ნუ ითაკილებთ, ჭკუის სასწავლებელი იდეალისტური მიმართულების ზოგ ბრძენსაც დაუტოვებია. შეღინგს უთქვამს: გამარჯვების ზეიმისათვის მეტად მცირე დრო უნერია ჭეშმარიტებას ორ ხანას შორის, პირველი როდესაც მას სდევნიან, როგორც პარადოქსს და მეორე, როდესაც მას არაფრად აგდებენ, როგორც საყოველთაოდ მიღებულ, უბრალო ცნობას. ეს ეხება „ვედრების“ შეფასებას და კიდევ შემდეგ: ჩვენ შევესწარით ბედნიერ პერიოდს, როდესაც დიდ მოაზროვნეთა სიბრძნე საყოველთაოდ ხელმისაწვდომია. შესაძლოა ეს აპირობებს ჩვენს სითამამეს უბრალო და გასაგებ ჭეშმარიტებათა ყვავილნარში ნავარდობისას. მაგრამ საჭიროა ორიენტაციის მყარი ნერტილი, საკუთარი სარკმელი, რომ პროექცია არ დაიკარგოს...

ბევრი ვისაუბრეთ, მოგიშინაურდით („სითამამენი“ ლოკალურმა ეპიდემიამ განაპირობა). მაპატიეთ და რა ვუყოთ თქვენს ნანერს? სანაგვეში?! ჩანდრას მენაგვემ იქ თავისი ცხოვრების „ვიტა“

ჩვილი ბავშვი აღმოაჩინა. ვაითუ ზოგი გზააბნეული (ასეთები ნაგვის ყუთს ეტანებიან) იქ თქვენს მანუსკრიპტს წააწყდეს და მის საგანძურში თავის დერიტასაც მიაგნოს. სხვა რაღა უნდა,

თუ გაიგებს, რომ კაცის კვლავ ნათელი ხილვის ნათელი მოვლენა ყოფილა, რაიც დამთხვეულ პოეტებს თუ შეანუხებს მხოლოდ, თორემ, დახეთ სასნაულს! მეცნიერებს ჭკუა მოუხმარიათ და კაცისკვლა მისი ნათელი სიხარულით და დაუღწეველი გაუთიშველობით აკადემიური ჭვრეტის დიალექტიკად გამოუცხადებიათ... მაშ, რა ვქნათ? შეიძლება მივანდოთ იგი თქვენს ძველ კოლეგა პერაკლიტეს სტიქიონს?!

1968 წელი, 5 ოქტომბერი, დედაქალაქი.

ყბაახვეული ქალი

„ფაშისტკა შვინია, პროშე ბარძუ!“ ფილოსოფიური სიმშვიდით დაასკენა ბეკერმა, როდესაც ქურდბაცაცას მიერ გამოცხადებულ ჯიბეზე გაივლო ხელი.

მძიმე დრო იყო. სპეკულიანტმა პურის პატარა ნაჭერი საარაკო ფასად შემოგვადლია. გენამ სინდისზე ხელაღებულს იგივე ბეჭედი დაასვა. ვიგინდარამ უდიერად მუჯღუგუნი გაჰკრა და სტვენასტვენით ჩაუარა. აკვიატებული ფორმულა გენამ მასაც დაადევნა. მე გამეცინა. მან სევდით სავსე თვალები მომაპყრო და ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გაიმეორა:

ფაშისტკა შვინია, პროშე ბარძუ!

გადატანილი ჭირ-ვარამით გატეხილი და გამობრძმედილი გოგონა თავისი სოციალური მეობის დიდი ადამიანური გუმანით ნვდებოდა ფაშიზმის ძირეულს და მის ნიშანდობლივ გამოვლინებას ჩანასახშიდაც აგნებდა.

ჩვენი საუკუნის ეს წარუხოცელი სირცხვილი და უბედურება, დამოუკიდებლად ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა ისტორიული წანამძღვრებისა და თვისებებისა, თავისთავად, ადამიანის ცხოველური მეობის, მისი ტყიური სანყისების გაუგონარი მასშტაბის უმძინვარეს და უმძაფრეს რეციდივს წარმოადგინდა.

მამასადამე, იყო „კოკასა შიგა“... რადგან შესაძლებელი გახდა ადამიანში ეგ ზომ არაადამიანური ველურობის გამონვევა, აღზევება, ამოქმედება სრული სიშიშვლით, სრული სისავსით.

დიახ, იყო შავბნელი ძალების საზეიმო აღლუმი, ცივილიზაციის თითქოსდა დასალიერზე შეძრული, გაოგნებული, დაბნეული კაცობრიობის წინაშე იმ შემაზრზენი აპოთეოზის გამოცხადება...

დიახ, იყო და ამას ვერსად გავექცევით. ფუჭი გამოდგა ადამიანობის გენით წარმოქმნილი გოეთე, ბეთჰოვენი, სიქსტის მა-

დონა... რადგან იყო არა ლეგენდა შორეული წარსულისა, არა კომ-
მარი სნეული წარმოსახვისა, იყო ჩვენი დღეების ცხადი სინამდვილე
შებლალული, გვემული სულით, გულით, სხეულით განცდილი,
გადატანილი...

ტყის ნადირს რომ შესძლებოდა თავისი მსოფლშეგრძნების
კონცეფციად ქცევა და მისი ხორცშესხმა, ფაშიზმზე უკეთესს
ვერას მოძებნიდა, თუმცა ბუნების დიადი ნყოფით შეჯერებული,
ვინ იცის, უფრო ლმობიერი გონიერი დაზოგვით მიზანშეწონილ
ფორმებს მონახავდა.

გავიხსენოთ ფაშიზმის ერთ-ერთი ამოსავალი დებულება და
ეთქვათ, რომ „სასიცოცხლო სივრცისათვის“, ანუ ჩვენი ენით,
არსებობისათვის ბრძოლა ბიოლოგიური სამყაროს საფუძველთა
საფუძველია და, თუ მეტაფიზიკურ მისტიკას მხედველობაში არ
მივიღებთ, დავუმატოთ, რომ „ორფეხა ცხოველიც“ ბიოლოგიური
ინდივიდია. გავიხსენოთ ისიც, რომ არსებობისათვის ბრძოლას
ორი საპირისპირო მიმართულების გზა აქვს: ერთია ძალმომრეო-
ბის, მეორე ერთიანობის, კოოპერაციის.

ერთიანობამ გამოანთავისუფლა შემოქმედებითი ენერგია,
შესაძლებელ ჰყო მისი საოცარი მრავალსახეობის სასწაულები,
სწორედ მან გადააქცია შემოქმედება ნეტარების უშრეტ წყაროდ,
უკიდევანო წინსვლა-სრულყოფის პორიზონტები გადახსნა, „ორ-
ფეხა ცხოველი“ ადამიანად გარდაქმნა, ჩვენი პლანეტის ბატონ-
პატრონის მწვერვალი დაუსაკუთრა.

და მაინც ერთიანობის ამ ადამიანურმა საწყისმა ვერ სძლია
ტყის ძველთაძველ კანონს, პირიქით, მისი გამანადგურებელი სტიქი-
იონები ასევეც მძვინვარებით აამოქმედა. ძღვევამოსილი ერთიანო-
ბა მეორეს დაუპირისპირდა, მოსრა იგი, ან თვით მოისრა. კლასთა
ბრძოლა, ერთა, ხალხთა, სახელმწიფოთა სამკედრო-სასიცოცხლო
ჭიდილი, იმპერიების წარმოშობა-გაცამტვერება, მთელი ცივილი-
ზაციების დაღუპვა, სულიერ და ნივთიერ უძვირფასეს საუნჯეთა
უკვალოდ გაქრობა და კვლავ ტაატიტ ყოველივეს თავიდან დან-
ყება, აი, რა არის კაცობრიობის ისტორია.

მაშ, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ვალიაროთ ამ ორი საწყისის
თანაარსებობის კანონზომიერება და, მაშასადამე, მათი სრული
თანასწორუფლებიანობაც?! მაგრამ აქ უკვე ერთი ნაბიჯილა დარ-
ჩება, რომ ძალმომრეობა საყოველთაო დროშად გადაიქციეს. დიახ,
რატომაც არა?! რომ არ გაგვსრისონ, ჩვენ თვითონ ვსრისოთ ისინი,
ასეა განა?! და, თუ ასეა; მაშინ ფაშიზმიც მივიღოთ მთელი თავისი
სიგრძე-სიგანით, თანამედროვე ცივილიზებული ადამიანისათვის

შემადრწუნებელ ბოროტმოქმედებათა მთელი სიბილწით.

დიახ, უნდა მივიღოთ, რადგან თანმიმდევრობა თანმიმდევრობაა, რადგან იეზუიტური პირმოთნეობით ვერარა დაიფარება, რადგან ძალმომრეობას თავისი გარდუვალი ლოგიკა გააჩნია, უდრეკი ტრაექტორია, რადგან გასროლილ ისარს მაგიური შელოცვებით ჰაერში ვერ გააჩერებ, შუაგზიდან უკუქცევას ვერ აიძულებ.

ეს ულმობელი და სრულიად რეალური ალტერნატივა ჩვენი დროის უმძიმესი და ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემა გახლავთ. იგი გადაუდებლად მოითხოვს ბევრი რამის ხელახლა შემონახვას, გადასინჯვას, შეიძლება დათმობასაც, სერიოზულ დასკვნებს და ქმედით ღონისძიებებს. ამ რთული კომპლექსების მრავალ ასპექტში განხილვისათვის არც ძალა მაქვს, არც პრეტენზია. ეს არც წერილის საგანს შეადგენს.

გაკვრით აღვნიშნოთ, რომ ადამიანის მიერ შექმნილი საზოგადოება, რომელიც დროთა მსვლელობაში მათი ნება-სურვილების ზედ თავზე მოექცევა, რომელიც სიცოცხლის კანონმა, ამ იდუმალებით მოცულმა, მარადიულმა — რალაცამ — დაამკვიდრა როგორც თავისთავადი, განვითარებადი, ცოცხალი მთლიანობა და აქაც ჯიუტად განვითარების დიალექტიკა გამოსკვნა, თავისას არ დათმობს, ტყისკენ პირს არ იბრუნებს.

მეოცე საუკუნეში წინააღმდეგობათა მოზღვაეების ობიექტურმა პროცესებმა (თუ ნებას მომცემთ, ელემენტებამდე დავიყვანთ სოციალური დღევანდულობის ურთულეს მოვლენებს) ადამიანური და ტყიური სანყისები ყოფნა-არყოფნის სიმწვავეით შეაპირისპირა. მატერიალურ-ტექნიკურ მიღწევათა ვითარებამ (სხვა ფაქტორებმა) კაცობრიობა, საზოგადოება, ადამიანი სუბიექტურადაც ამ საბედისწერო დილემის წინაშე დააყენა: ან ძალმომრეობას ბოლო უნდა მოვეულოთ, ანდა ძალმომრეობა თვითონ მოგვიღებს ბოლოს. „ტენციუმ ნონ დატურ“! მესამე უკვე გამორიცხულია.

ამ თვალსაზრისით ფაშიზმი ტყიური სანყისების კლასიკურად დასრულებული სახეობაა, ან შეიძლება სასიკვდილო აგონიის პიპერტროფული უკიდურესობა. რადიაციის ზონა აქ ლოკალიზაციას არ ემორჩილება, და სწორედ ამიტომ, სწორედ ამ კუთხით, მსურს შევეხო კოლმეურნეობის მოედანზე დატრიალებულ უბედურებას.

ის, რაც საკაცობრიო ასპარეზზე წარმოგვიდგა ძალმომრეო-

* (ლათ.) მესამე გამორიცხულია. ან — ან. ორიდან ერთი.

ბის თვითდამკვიდრების ნიშნით, გაშლილი დროშებით წამოსული, გალაღებული მხეც-ნადირივით თავალერებული რომ ლამობდა შეემუსრა ათი ათასი საუკუნეების ტანჯვა-წვალებით მოპოვებული ადამიანობა ადამიანში, ადამიანობა ადამიანთა ერთიანობაში, ჩვენ იგივე შევიცანით თავისი სულიერი ჯუნგლებიდან გამოვარდნილი ნადირების მოქმედებაში.

ეს არ ყოფილა ტიპური და არც შეიძლება ასეთი იყოს, მაგრამ არც შემთხვევითია, უმიზეზშედგომად მოვლენილი. მიკრო მიკროა, უნიადაგო, ცალკეული, მაგრამ ქოლერის ბაცილაც ასეთი იყო. მომხდარი ბოროტმოქმედება მეტად სიმპტომურია, მეტად სახასიათო ნიშან-თვისებებით აღნიშნული. ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. ეს იგივეა, მიკრობების უვნებელსაყოფად მათი გადამალვა რომ მოვიწადინოთ და ამისათვის პირის ღრუ გამოვიყენოთ.

კაცისკვლა იყო, არის და, ალბათ, ბევრ ხანს კიდევ იქნება, მაგრამ ეს ბოროტმოქმედება ფორმით, ხასიათით, შინაარსის ყველა დეტალით არაფრით ჰგავს იმას, რასაც კაენის ცოდვა ეწოდება. ამაზე აქ კრინტის დაძვრაც არ შეიძლება. აქ კუნთმაგარი მტაცებლის მტკიცე მოდუსია, ძალმომრეობის თვითდამკვიდრების სიაფთრე, აქ ერთადერთი მსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ ეს მაგარი კუნთებია, აქ ყოველივე, რასაც ადამიანობა ეწოდება, ძალის უფლებით ხელყოფილია და მის იქით ჩვენ მხოლოდ ტყე დავგრჩენია, მხოლოდ ტყე.

წუნდებული, ბალანსგარეშე ნარჩენი-ნაძირალა ყველგან მოინახება. მისთვის ცხოვრებას სადღაც, ოდესღაც რატომღაც დედინაცვლობა გაუნეცია და იგიც, ბედკრული, ტყის გზებით წასულა. აქ კი, კვიცარიძე ბებიაშვილისათვის (რა სასტიკი, რა მწარე ირონიაა!) ცხოვრებას სწორედ ბებიაშვილური რუდუნებით უზრუნია, ყოველი სიკეთე ტაბლაზე დაუხვავებია, მზამზარეული მიურთმევია.

ეს ვაჟბატონები ექიმის შვილები არიან. მაშასადამე, უკეთილშობილესი შრომის პირობებში, ადამიანისა და მოქალაქის პასუხისმგებლობის, მოძმისათვის მუდმივი მზადყოფნის ატმოსფეროში დაზრდილნი. გადაშალეთ სისხლის სამართლის კოდექსი, მორალურ მოთხოვნათა ელემენტარული ნორმებიც არ დარჩება, თითქმის არც ერთი, შლიგინ-შლიგინით ამ ნადირებს რომ არ გადაეჯეგოთ. და მერე როგორ?! დაუფარავად, საქვეყნოდ, უფლებამოსილად, ძვალ-რბილში გამჯდარი შეგნებით, რომ ქვეყანა მტაცებლის საკუთრებაა, მისი სათარეშო ასპარეზი. ეს რაღაც მეტისმეტად პარა-

დოქსალური შეუთავსებლობაა, იმ ყავისფერი ჭირის დარი პარადოქსი და მაინც ჯიუტი ფაქტი: მკვეთრად, უზადოდ გამოხატული ნადირები, ტყიური სანყისების მესვეურნი.

ამ ბილნი მკვლელობის სურათში სულ მცირე ხელმოსაკიდც არ მოიპოვება, რომ ადამიანის ცნებას დაუკავშირო. არ არსებობს არც ერთი საზოგადოებრივი კატეგორია, რომელიც უკან დაახვეინებს: ქუჩა? თვალი მხოლოდ ტყეს ხედავს. ხალხი? მხოლოდ ორფეხთა ხროვაა, აბუჩად აგდებული, დაბრიყვებული, ზიზლის მომგვრელი, ვიდრე ჯერი არ მოუნევთ, დაე, თავისთვის ხრან, ძოვონ, იცოხნონ. აგერ საკბილოც. ქალია? ძუკნა მხოლოდ. უმნეოა? მით უკეთესი! ნებას არ დაჰყვა? მთლად უკეთესი, გემოც მაგაშია.

ეს კი ვინლაა?! მისიანია? არა! მეტოქეა, მოცილე? არა! მხეცია ჩვენი ჯიშისა? არა. მტაცებელია ჩვენზე უპირატესი? არა! ძალუძს ჭიდილი? არა! მაშ, ტყის კანონი ვინ დაარღვია?! გამოსარჩლება ნესად არ არის, აქ მხოლოდ ბასრი კლანჭების უფლება სუფევს, აქ ყველას თავისი საკუთარი კუნთების იმედი აქვს.

საკბილოც დააეინყდათ. იყნოსეს, ის არის, ასე რომ უთქვამს: „სიყვარულსა მალვა უნდა“... „ნითელო მოვის პერანგო, შეიდგან შეკრულო ღილითა“... „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“... და ეძგერნენ გაცოფებულნი.

რალაც უსაშველო დამთხვევით თუ ფატალური გარდუვალობით სწორედ ამ სახის სიმბოლური მნიშვნელობის შეპირისპირებაა თითქოს. რიდის, პატივის, მოკრძალების, სუსტის წინაშე განიარაღების ნორმალური გრძნობები, ელემენტარული ზნეობრივი დისციპლინის პირობითი რეფლექსები თითქოს აბსოლუტურად გამორიცხულია.

ხანდაზმულ, მამის ტოლ ადამიანს, მასწავლებელს, მოამაგე აღმზრდელს ახლაც იმავე დაუძლეველი იმპულსით ამ ლანირაკების დაცვა ენადა მათივე ტყიურობისაგან. კეთილგონიერების ნათელი სახეზე ეფინა. სწავლული, ალალი, დარბაისელი ვაჟკაცი და, იმავე დროს, ფიზიკურად სრულიად უძლური გამგელებული ორი ნადირის წინაშე... ეს ყოველივე იყო ცხადზე უცხადესი... და შეურაცხყოფა, რაც შეიძლება მეტი — უშვერი სიტყვებით, რკინის მუშტებით. არც ეს აკმარეს.

მოსისხლე მტერსაც კი აცდიან ხელიდან გავარდნილი მახვილის ალებას, აქ კი სასიკვდილო ილეთით სწორედ მაშინ მოუღეს ბოლო, როდესაც მიწაზე გადაგდებულ სათვალეს ხელი უმნეოდ ეძებდა.

მოკლეს ადამიანი, სულ არაფრის გამო, უბრალოდ, იოლად, მხ-

ოლოდ იმიტომ, რომ იგი კაცური კაცი იყო, ნორმალური ადამიანი. ამაშია ტრაგედიის კვანძი.

ფაშისტ დამნაშავეთა ბოროტმოქმედების დადგენისათვის, რომლის შესატყვისი არც შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო არც ერთ არსებულ სამართალში, ნიურნბერგმა ბრალდების საგანგებო განსაზღვრა წამოაყენა: შეთქმულება ადამიანობის წინააღმდეგ.

ვერც თავდაცვის აუცილებლობით, მიზეზ-საბაბით, სიტუაციით, ძალთა შეფარდებით ვერ ახსნი ჩადენილი ბოროტმოქმედების ასეთ სიაფთრეს, ასეთ გამეტებას. ობიექტურად თუ სუბიექტურად, უგზურებით თუ შეგნებით, ეს არის „დანაშაული ადამიანობის წინააღმდეგ“. ვერავითარ სხვა განსაზღვრას აქ ყურითაც ვერ მოათრევ.

მიზნად არა მაქვს განაჩენის სიმკაცრისათვის მორგება-გაზვიადება. ჩვენ იმ ქვეყნის შვილები ვართ, სადაც სისხლიან ქარიშხლებში დიდ თამარს სასწაული მოუვლენია, სადაც სისხლიან ქარიშხლებში ილიას ღირსეულ მეუღლეს წმინდა სანთელი დაუნთია და ჩვენთვის ანდერძად გადმოუცია.

უბედურება თავზე დაგვატყდა, განაჩენი ვერას გვიშველის, ვერას შეცვლის... მაგრამ ჩვენ, სწორედ ჩვენ განვიცადეთ უსასტიკესი მარცხი, ამაშია საქმე. მჯერა, მსგავსი ბოროტმოქმედება მოულოდნელობით, უჩვეულობით, შმაგი თავდაჯერების „ბლიცკრიგით“ იმდენად თავზარდამცემია, რომ იბნევი, ტრანსში ვარდები, ითრგუნება წინააღმდეგობის ნება და, ვიდრე გონს მოეგები, მსხვერპლი უკვე განადგურებულია. მაშ, ალექსანდრე გამყრელიძე რად არ დაიბნა?!

მჯერა ისიც, რომ აწყვეტილი ნადირები გამონაკლისია, მაგრამ დაკვირვებული თვალი ქუჩასა თუ ოჯახში, დანესებულება-სასწავლებელში, მეზობელში, გარეულში არცთუ იშვიათად წააწყდება განადირების ელემენტებს, რაღაც საოცარ უშატივცემლობას ადამიანისადმი (რეგალიების გარეშე), მისი ღირსების ცინიკურ ჩამოფასებას, აბურად აგდებას, უგულვებლყოფას იმ ძირითადისას, რაც საზოგადოების არსებობის ქვაკუთხედი.

პლანეტის ჰაერი ჭუჭყიანია, ბევრი რამ არის მოძალებული, რაც ნებით თუ უნებურად უღიტინებს, აღიზიანებს თითოეული ადამიანის გულის სიღრმეში თითქოს საიმედოდ დაბმულ და მაგრად ჩაკეტილ მხეცს. გიგანტური ფილტრები ჯერ არავის გამოუგონია, ხოლო იმუნიტეტი არცთუ ისე მყარი ყოფილა, როგორც ჩვენ გვეგონა. ყოველ შემთხვევაში, დიდი პოეტების, დიდი

მოაზროვნეების ქვეყანამ ეს ილუზია დაგვიკარგა... ამეკვიპატა იონესკუს „მარტორქა“... მე არც გამინებთ, არც მეშინია, ვიცი, ასეთი მუქარა ჩვენთვის რეალური არ უნდა იყოს და, მით უმეტეს, სულ მცირედიც საკმარისია, ეს ორი ნადირიც მეტისმეტად საკმარისია, რომ მდგომარეობა საგანგებოდ შევაფასოთ.

ქოლერასთან ბრძოლაში თეთრხალათიანებს არავითარი გადაჭარბებული ზრუნვა გადამლაშებდად არ მიუღიათ, პირიქით, იოტისოდენა დაუდევრობა, უყურადღებობა უბოროტეს დანაშაულად მიუჩნევიათ. ვერც თეთრხალათიანები გააწყობდნენ რაიმეს, რომ მოსახლეობას გადამლაშებული სიმკაცრით არ დაეცვა სათანადო პროფილაქტიკა.

ვერავითარი დასჯის და დაცვის სახელმწიფო ორგანოები, რაგინდ მახვილი და აქტიური არ უნდა იყოს მათი ყურადღებულონისძიება, ვერას მიაღწევენ, თუ განზე გავდევით, თუ დავივიწყეთ, რომ სხვისი საქმე ჩვენი ღვიძლი საქმეა, როდესაც ეს ეხება „დანაშაულს ადამიანობის წინააღმდეგ“.

ამაზე მეტი დამცირება რა უნდა იყოს, საზოგადოება ცხვრის ფარად რომ წარმოიდგინო, რომლის დაცვა მხოლოდ ნაგაზებისა და მწყემსების ვალია?! ჩვენ, სწორედ ჩვენ, უნდა ვიდგეთ ადამიანობის სადარაჯოზე და იმდენად ფხიზლად, რომ ყოველგვარი ტრანსი გამოირიცხოს. აქ ახალი არაფერია, მაგრამ საჭიროა ამის ახლებურად განცდა, როგორც განგამის. რომ არ ვაჭარბებ, ამას მომხდარი უბედურება ადასტურებს.

ფაქიზად არის გადაწყვეტილი ნანა მჭედლიძის ფილმში მასიური ფსიქოლოგიის ჭირ-ბოროტება: ავტობუსი სწორედ ასეთი შოკური მდგომარეობის ტიპური სურათია. თავგასული ხულიგანი სულ უფრო და უფრო თამამობს, მაგრამ, აგერ, ყბაახვეული ქალის მტკიცე ყესტი და უსაშველოდ მთრგუნავი ჯადო ნისლივით ქრება. მგზავრები ერთ ნებად შეიკვრებიან.

„ეულმა მარშმა“ შეინირა ალექსანდრე გამყრელიძე...

ბევრია, ბევრი სათქმელი, საზრუნავი ახლავე, გადაუდებლად და ყველაზე მეტად, შერყეული იმუნიტეტის რეგენერაცია.

სად და როგორ გამოგვეპარება ხოლმე საბედისწერო მეცდომა, ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო წერილმანი, რაც ჩვენვე გვიბრუნდება დიდ უბედურებად. შეურაცხყოფის ადაპტაცია აყალიბებს ან სულმდაბალ მონას, ან მტაცებელ ნადირს. ამაში ეჭვი არ გვეპარება და აგერ თერთმეტი წლის მონაფე ბიჭუნას (რაც არ უნდა ჩაედინა, მნიშვნელობა არა აქვს, უფრო სწორედ უკუქცეული პროპორციის შეფარდება უნდა ჰქონოდა) ხატვის მასწავლებელმა

პენალის ნიბო რვაჯერ ჩაარტყა თავში და რვა კოპით გამოისტუმრა. ქრებიან თავზე კოპები, სულის კოპები?! ვინ უნდა გაზარდოს ასეთმა „ხელოვნების ქურუმმა“?! მადლობა უნდა ვთქვათ, თუ მხოლოდ თავისი მსგავსი ნადირი. საკითხი საქმიან გამორკვევას მოითხოვს, მაგრამ საჯაროდ ვახსენებ, რადგან მე ცოდვილს მგონია, რომ ამგვარად ადაპტირებული ერთეული შემთხვევით არ ამოინურება. ფიზიკური ზემოქმედების „ჩქაროსნული“ მეთოდები, თუ მოზარდის ადამიანური ღირსების სხვა სახით დამცირება ნუთითაც მოსათმენი არ არის არც სკოლაში და არც ოჯახში. რეცეპტების გამოწერა ყველას გვემარჯვება და მე არავის ვეცილები. თქვენი ნებართვით საკითხს ვაყენებ მხოლოდ, ხაზს ვუსვამ მის სერიოზულ მნიშვნელობას და ჩვენი ძალ-ღონის მობილიზაციის საჭიროებას.

კოლმეურნეობის მოედანზე მომხდარმა ბოროტმოქმედებამ საყოველთაო აღელვება გამოიწვია, მწარედ დაგვაფიქრა და შეგვაშინა კიდეც. ეს უბედურება უნდა მოექცეს საზოგადოების ყურადღების ცენტრში, უნდა იქნას შესწავლილი და განხილული ყოველმხრივ, დაუფარავი სიმართლით და პირუთვნელად. ამაში სასამართლოც უნდა დაგვეხმაროს. დაე, სასამართლო პროცესს თავიდან ბოლომდე ტელევიზიის იუპიტერები ჰქონდეს მინათებული, დე, განადირებულმა ლანირაკებმა თავი იგრძნონ დამნაშავედ მთელი ქვეყნის სამსჯავროს წინაშე. მოვესმინოთ ახლობლებს, მასწავლებლებს, ამხანაგებს... შესაძლებელია ბევრმა ჩვენგანმა საკუთარი თავი დაინახოს ამ ფართო სარკეში, ენიშნოს წვრილმანი და არანვრილმანიც. ჩაიხედონ ამ სარკეში პოტენციურმა ნადირებმაც, შეიცნონ საზოგადოებრივი სამართლის მქმნელი ძალა, მიხვდნენ, რომ მათ ტყიურ სანყისებს უპირისპირდება გამარჯვებული ერთიანობა, ადამიანობის თვითშეგნებით დაუძლეველი და შეუვალი.

1971 წელი, ოქტომბერი.

ბებოს ბარათი

(რუსიკო ჭუბაბრიას)

დღეს შენ გაგვაოცე მოულოდნელი და უცნაური თქმით. ეს საკუთარი სიტყვა იყო ზეშთავონებით დაბადებული და მოხდენილად გააზრებული. ეს იყო ცნობიერი შემოქმედების პირველი ცდა, მგზნებარე გულის პირველი ყლერა.

მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უფროსები აფუსფუსდნენ, შენს პოეტურ ამოფეთქვას მწვანე ყლორტები შემოამტვრიეს და ოდიტგანვე დადგინილ კალაპოტში ჩატკეპნეს.

ეს „თითითონა“ გააკეთა მან, ვისაც კალთაში პირველი ყვავილი ჩაუგდებ, კართან მერცხალი აუჭიკჭიკე, ციცქნა გულის უებრო ნაჟური გაბრწყინებულმა მოურბენინე.

მერე და მერე მიხედები, რომ ზოგჯერ დიდებს პატარა გრძობები იპყრობს. უფროსები მათ მრავალ სახელს უჩხრეკენ, ხან რას არქმევენ და ხან – რას. ხოდა, მეც მომერია პირობითობის ეს ყალბი გრძნობა. ასე ვიფიქრე: მითვისება იქნებოდა, ხელყოფა იმისა, რაც მხოლოდ დედის კუთვნილებას წარმოადგენდა.

უფროსის დიდაქტიკური კილოთი ნათქვამი შეგისწორე და შენც გულდასმით იმეორებდი: „ეს დედიკოა, ეს მამიკო, ეს ბებო და კიდეე ბებო.“

თითქოს აღსდგა ცნებათა და მოვლენათა რეალური თანაფარდობა, ის კი ვერაფერს შეამჩნია, რომ უხეშმა ხელმა ყვავილს თავი ნააცალა, საზეიმო ჩირალდნები ჩააქრო, რადგან ნამდვილად სიხარულის დღესასწაულია ჭეშმარიტი განცდით აღტყინებული შემოქმედება. დე, იგი ბელურას ბიჯით იზომებოდე და კიდეე უფრო მიკროსაზომით, სულერთია, იგი მაინც შემოქმედება არის. აი ის რალაც – საკუთარ სულში ჩასახული, მოსვენებას რომ არ გაძლევს, მერე სიღრმის ბინდებიდან ამოფრენილი ციცინათელა და კიდეე — ბედნიერების ჟრუანტელი, როდესაც ცნობიერების ბადე მოსრიალე ნაპერსკალს იჭერს... ასე და ამით ყვავის და იხუნძლება ძვირფასი ნაყოფით სული.

შემდეგ და შემდეგ დედასთან შედარების მეტაფორებს არა ერთხელ დაუბრუნდები, მაგრამ მათ არ ექნებათ პირველმიგნების სხივთა ციალი, ჩვილის სურნელი -- არაფერთან არშესადარი.

შენ ხომ თითქოს და საგანგებოდ, მართლაც რომ საზეიმოდ გამოაცხადე აი მაშინ, როდესაც მთელი ოჯახი თავმოყრილი დაგვიგულე. ადრევე დილასაც გამაგონე ეგ უცნაური თქმა, მე კი საქმეში ჩართულმა შენი ტიტინი ვერ გავიაზრე და მარგალიტი ყურადღების ზედაპირზე გადამიცურდა.

შენ კი ამ ცნებას მთელი დღე გულით ატარებდი, მერე თითქოს სანუკვარს გვიზიარებდი, აღელვებულმა ხელი გაშალე, მოგვათითე და აჭიკჭიკდი: -- შენ დედიკო ხარ, შენ — მამიკო, შენ ძამიკო, შენ — ბებო მაგლო და შენ — ბებოდედიკო.

მაგრამ სულ პანანინა გული გქონდა და უფროსების ყურს აბა, რას მისწვდებოდა მისი გაუბედავი ამეტყველება?! რა იცინა

უფროსებმა, რომ პოემა ერთ სიტყვაშიც მოექცევა?!

ცნობიერად, ფაქიზად, ნაზად შენ ჩააქსოვე, სათუთად ჩააჩუქურთმე ბებოს სახელწოდება დედიკოს წმინდა სახელით. ო, არა! დედას არაფერს მოაკლებდი! ამ უძირო საწყაულიდან არას გასცემ, არ გაასესხებ, არავის შეიზიარებ. ეს სიყვარული ერთადერთია, როგორც მზე ცაზე, მის ნათელშია არეკლილი მთელი სამყარო და მამაც ხომ მხოლოდ უკუფენაა მისი...

არ არსებობს საზომი, რომლითაც ეს სიყვარული იზომებოდეს, რადგან იგია უპირველესი, რომლითაც ყოველივე გაიზომება. სხვას არას დაედარება, ირგვლივ მზესავით მოეფინება და ქვეყნის მშვეენებას საბურავს ახდის.

ამ მზის სხივებში ანაზდად, სულ ახლებურად ბებოს შეხედე, მთრთოლვარე გულის შუქი ცხოველი მას მიანათე და აკისკისდი სიყვარულით და სიხარულით აღტაცებული.

მაგრამ უფროსებმა შენი პოემა ვერ წაიკითხეს. მათ არ იცოდნენ, რომ პოემა პანანინა ჩუქურთმაშიც ჩაინერება.

* * *

ერთხელ დედიკოს ტკბილად ჩაეხუტე, აღერსით გული იჯერე, მერე სიხარულით გაჟღენთილმა ჩემთან მოიბრინე, მუხლებზე ამომიციოციდი, შემომაცქერდი და უეცრად, ბაღის გუმანით მიხვდი, რომ ბებო სულაც არ იყო შენებრ აღვსილი ბედნიერებით. მოუთმენლად შემეკითხე:

სად არის შენი დედიკო? – თითქოს გაქცევას ლამობდი, რომ მყისვე ბებოსთვისაც მისი დედიკო მოგეყვანა.

ავიბენი და პასუხი დაგიგვიანე. გულში რაღაცამ გაგკანრა და ჩამაცივდი:

სად არის შენი დედიკო? ჰა? „სამკაკულშია“? მერე რატომ არ მოდის, ჰა? სად არის შენი დედიკო?

სიტყვა ბანზე ავაგდე, გაერთე და შეკითხვა გადაგავინწყდა. კელავ სუფევედა უდრტივინველი ლაჟვარდი ცისა. ასე მეგონა, მაგრამ მეორე დღეს როცა მოვედი, მოფერება არც კი მაცალე და მომახალე:

შენი დედიკო მოკვდა, ჰა? ნავიდა და აღარ მოვიდა? სულ აღარ მოვიდა, ჰა? ახლა სად არის, ჰა? ხვალ შენი დედიკო არ მოვა? არ მოვა?

ბებო მაგლოს აეხსნა შენთვის — რატომ არ ბრუნდება დედა. მაშინ სამი წლის იყავი, ჩემო ცუცუნა.

დედას სახლიდან აღარ უშვებდი, თრთოდი და ფრთხილებდი,

რადგან იცოდი, რომ დედა შეიძლება წავიდეს და აღარ დაბრუნდეს, რადგან ასე გაუკეთებია ბებოს დედას, რადგან ასე ხდება ხოლმე --- დედა მიდის და აღარ ბრუნდება...

დაუნდობელი ხელი ჰქონია ბებო მაგლოს. ის პოზიტივისტია, თავიდან ბოლომდის მოუდრეკავი პოზიტივისტი; ბუნებაზე სიცრუეს ვერ ათქმევინებ, ვერ ეგუება ვარდისფერ გარსებს.

მან ფარდა ასწია ცივად და დაგანახა არდაბრუნების სიცარიელე, მისი ბნელეთის იდუმალება. რალაცა მოწყდა სიცარიელეს; რალაც უსახო, რალაც ბანჯგვლიანი იმ ბნელეთიდან გამოძვრა და... შიში შეიჭრა პატარა გულში, უსახო შიში და იქ ბუნაგი დაიდო. მორჩა, გათავდა არცნობადობის ბედნიერება!

მაგრამ... კიდევ სხვა რალაც მოხდა:

იმ ღამეს შენ ჩემთან დარჩი. მოუსვენრობდი, სანოლში ადგილს ვერ პოულობდი; თითქოს ვილაცას ებუტებოდი, უჩუმრად საყვედურობდი, ნუხდი, შფოთავდი, არას ამბობდი, მერე კედლისკენ იბრუნე პირი და აჩურჩულდი. შენი ღამაზი ტუჩები გამოუთქმელი სინაზით თრთოდნენ და მე მესმოდა შენი ჩურჩული მხურვალე ლოცვა: სასოებით, იმედით, ნუგეშით სავსე.

ახა ღამეა, შენთვის ჟღერტულებდი ჩემო პატარა მტრედო, -- ახა დიდი ძილი იქნება, მერე მზე, მერე ბებო ბაღში წამიყვანს, მერე პატარა ძილს გავაკეთებ, მერე დედიკო მოვა „სამკაკულიდან“, დედიკო მოვა, ჩემი დედიკო...

სულ უფრო ჩუმად და ჩუმად ისმოდა შენი ლულუნი, სიტყვებს ველარ ვარჩევდი, მაგრამ ვიცოდი ეს იყო დედის მოსვლის საგალობელი... უეცრად მოწყდა აქაურობას, მსუბუქად გადაიქროლე ღამაზი ლანდების უცხო მხარეში და ჩემი ხელი აღარ გჭირდებოდა.

თითქოს ცა-დედამიწის დაბადების დღე განმეორდა, თითქოს კვლავ ითქვა სიტყვა პირველი:

„იქმნენინ ნათელი!“ და პატარა სულის ნეტარ ქაოსში წყვდიადს სინათლე გამოეყო.

„იქმნენინ ნათელი“ და შენ შეიცან უკუნეთის ჭმუნვა პირველი.

„იქმნენინ ნათელი!“ და შენს მხრებზე ამოიკვირტა ორი რამ ნაზი, ფაფუკი. კვირტები ფრთით შეიმოსა, ფრთები შეისხა პატარა სულმა. ოცნების ფრთები!..

მერე ერთმანეთს მოჰყვებიან დღე მეორე, დღე მესამე და ყველა შეიდი დღის სასწაულები: მზე იკამკამებს, ცის კაპადონზე თეთრი ფიფქები ახუჭუჭდება, ლურჯი მთები შემოდგებიან, კამკამა

წყაროები ჩამოირბენენ, ზურმუხტ გულმკერდზე მარგალიტებად აისხმებიან, ვერცხლის სირმებად მოეკლებიან, ახმიანდება და ამ-
ლერდება ქვეყანა...

აი, რა გააკეთა ბებო მაგლომ, მოუდრეკავმა პოზიტივისტმა. მას უნდოდა დედამინაზე ორივე ფეხით მაგრად მდგარიყავ და უნ-
ებლიეთ მინას მოგწყვიტა.

ცხოვრება მალა აზიდული მწვერვალებია და უფსკრულები. ფსკერს მიეხლები და აღმაფრენისთვის ძალა გექნება, მწვერვა-
ლებს ზემოქცევი და გაშლი ფრთებს, რომ კვლავ დაეშვა დედამი-
ნაზე.

აი, როგორი ხელი ჰქონია ბებო მაგლოს — როგორც ბუნებას, როგორც იაჰვეს, მკაცრი და დაუნდობელი.

* * *

ჩემო ჩიტუნავ! იმ ღამეს ვერ დავიძინე, მალეღებდა შენი ასე-
თი გრძნობიერება. აზრები უნესრიგოდ თავში მიტრიალებდნენ, გულს მიღონებდნენ. ვფიქრობდი, რომ სიყვარული დიდი იდუმ-
ალეა არის და დედაშვილური სიყვარული სიყვარულთა შორის ყველაზე დიდი.

მეცნიერები ამბობენ, რომ მუსიკის ჰანგი თევზსაც ატკობს, მწერსაც, ყვავილსაც. „რა ესმოდეს მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“. ესეც იცოდა რუსთველმა, შვილო.

მაშ, რად ურჩევნია ყვავს თავისი მჩხავანა ბარტყი მაგალობელ ბულბულს? ყვავი ნებაყოფლობით დგება სიცოცხლის მარადისო-
ბის სამსახურში, ნაცვლად იმისა, რომ დასტკბეს მარადისობის იმ ერთი ნამით, რომელიც მისთვის განკუთვნილია. რატომ? თვით სი-
ცოცხლესაც ანაცვალებს თავის ბახალას. რატომ და რატომ?!

უფრო რთულია ადამიანის მრავალნაირი სიყვარული და თავ-
დადება. ჩვენ შეგვიძლია ცნობიერი და ქვეცნობიერი იმპულსების, კონტაქტების, მიზიდულობის კანონზომიერებათა დადგენა; შეგვიძლია სიყვარულის ნაირსახეობათა დაშლა და პირველად ინ-
სტინქტებამდის დაყვანა, მაგრამ ამაზე შორს ველარ წავალთ. ეს კი ნიშნავს, ერთი ამოსახსნელი მეორეთი შევცვალოთ, რადგან მაინც არ გვეცოდინება, რატომ არსებობს ინსტინქტი, რატომ არსებობს სიცოცხლე. მიზეზ-შედეგების კაუზალურ კავშირებს სწორად გავეყვებით და ჯაჭვის დედარგოლი მაინც მიღმა დაგვეკარგება.

საკმარისია, ამ მრავალუცნობიან განტოლებაში ღმერთის ცნება შევიყვანოთ, რომ ყოველივე იოლი ამოსახსნელი გახდეს. მაგრამ ესეც იგივე ამოუხსნელით ამოხსნასა და საკითხის უფრო

ძალუმად გასაიდუმლებას უდრის.

ჭეშმარიტად ვამაყობ, რომ ადამიანი ვარ; რომ გონიერება და სიკეთე ჩემი ატრიბუტებია; რომ ამ საოცარ ატრიბუტებს გააჩნია განვითარებისა და სრულყოფის არა ნაკლებად საოცარი უნარი-ანობა; რომ ისტორია, კულტურა უტყუარი მატინანა ადამიანის, დე, ზიგზაგური, მაგრამ მაინც ძლევამოსილი წინსვლა-გამარჯვებისა. და აი, მე ადამიანი, ათას საუკუნეებში გამობრძმედილი, ასე დაუზოგავად, უსამართლოდ, უაზროდ განანამები უარს ვამბობ ღმერთის ცნებაზე.

გენიალური მხატვარი გენიალურ მხატვრობასა ჰქმნის, წინააღმდეგ შემთხვევაში გენიოსი არც იქნება. „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“... ღმერთი უზენაესი გონიერებისა და სიკეთის აბსოლუტია. მაშ, რად არ არის მის მიერ შექმნილი ქვეყანა აბსოლუტური სიკეთისა და გონიერების გამოვლინება?!

უკეთუ აბსოლუტის სრულყოფილება თავისთავად გამორიცხავს არასრულყოფილების მიზეზს (სხვანაირად არც შეიძლება იყოს), გამოდის, რომ „მიზეზთა მიზეზის“ იქით მიზეზი კვლავ საძებნელი მქონია. მაშასადამე, ღმერთს აბსოლუტის ატრიბუტი უნდა ჩამოვაცალოთ. აბსოლუტის გარეშე კი ღმერთის ცნებაც კარგავს თავის უზენაესობას და ღირებულებასაც. „რალა იგი სინათლე რასაცა ახლავს ბნელია“...

უქმარია შემეცნება და ძე კაცისას არ ძალუძს მის ნებას ჩანვდეს?! ვთქვათ ასეა, თუმცა „იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისი მტერია“. რადგან თუ გავყვებით უზენაესი ნების გარდუვალობას, პასიურ მიღებამდის მიგვიყვანს და მაშინ ჩვენს ცოდვილ მინაზე კვლავ შავი ჭირი ითარეშებს, ხელებს ბორკილი შებოჭავს და ალბათ, სახნისს დაეუბრუნდებით. ეს მასწავლა ათასწლოვანმა გამოცდილებამ და ჩემი მწარე მარტვილობა უფლებას მაძლევს სისხლიანი თამასუქები წარმოვადგინო, ყოვლის განმკითხველს პასუხი ვთხოვო.

ვთქვათ, ღმერთი არ დაჯერდა თავის სრულყოფილებას (თუმცა ეს შეუძლებელია) და რადგანაც ყოვლადშემძლეა, არასრულყოფილებაც შექმნა. რატომ? გამოდის, რომ ღმერთს მოწყინდა სრულყოფილება და გასართობად ეს ქვეყანა კოლისეუმად აქცია. ეს არ არის უხამსი ოხუნჯობა, უბრალოდ — ახსნა ვერ გამომიძებნია. განა აბსოლუტური გონიერება ბედოვლათივით მარცხენა ხელით მარჯვენა ყურს მოიძიებს?! კაცობრიობის ისტორია კი ამის ცოცხალი საბუთი იქნებოდა.

მივიღოთ ეს დებულებაც. ვთქვათ: ტანჯვა-წვალება, სიმწრით

შენება, ცივილიზაციათა აყვავება და მათი გაცამტვერება, ეს „ჩაუნდომელი სიბრძნის“ ჯადოსნური ნრე-გზა არის სრულყოფი-საკენ. ვთქვათ, ვთქვათ, რომ მხოლოდ მარცხენა ხელით მოვი-პოვებთ მარჯვენა ყურს, მაგრამ... ბავშვები?! ნუთუ მათი ცრემლი და სისხლი არასრულყოფილობის აუცილებელი კომპონენტი უნდა ყოფილიყო! შეიძლება განა ასეთი ჯოჯოხეთური გამოგონების ავტორი აბსოლუტური სიკეთე იყოს?! რაღად ღირს ასეთი სასუფ-ვეელი?!

ხომ არ იქნებოდა უმჯობესი, ჩვენც, ივანე კარამაზოვის მს-გავსად, ნეტარ ნირვანას ბილეთი მონინებით უფალს დავუბრუნ-ოთ?! უბინო ბაღის ტანჯვა-ნამების ამ შემზარავ პოლიმფსესტს

სასუფეველის ბილეთს, მხოლოდ აბსოლუტური ბოროტების ბეჭედი აზის. ამბობენ ბოროტება მოჩვენებაა და სიკეთეა მს-ოლოდ რეალურიო. ამ საკითხის გადანყვეტა დედის გულისათვის მიმინდია...

გამოდის, რომ განტოლებას ღმერთის ცნება აღარ ყოფნის, თუ მტკნარ სოფისტიკას არ გავყვებით. მამ განტოლებაში ბოროტე-ბაც შევიყვანოთ? აბსოლუტს გვერდზე აბსოლუტი ამოვუყენოთ? რალა გამოვა მაშინ? განა რა საზღვრავს უსაზღვროებას?!

მივიღოთ ესეც. ვთქვათ, ორი აბსოლუტი ერთმანეთს ებრძვის. მერე და იბრძოლონ, მე რა შუაში ვარ? რათ შემანუხეს და არყოფ-ნიდან გამომინიეის?! გამონვევა რა სათქმელია, აქეთ-იქით მექა-ჩებთან! ქულები გროვდება, მაგრამ უკვე აღარ ვიცი, ვის სასარგე-ბლოდ, ჩემი სასუფეველის თუ მათი ბრძოლის გადასანყვეტად!

ბევრი ნვალება შემხვდა, თადარიგის დაჭერა მმართებს. ბრძო-ლა ბრძოლაა. სადაც აუსტერლიცია, იქ ვატერლოოც არის. მერედა ვისლა მოვიკითხო ნირვანა? ეჭვის უფლება, ოლონდაც, რომ გამაჩ-ნია, რადგან არცთუ ისეთი ყოვლადშემძლე ყოფილხარ, თუ ჩემ-ისთანა უდანაშაულო-დამნაშავე თამაშშიც შეგიყვანია და უაზრო ნამებისათვის ასე დაუზოგავად გაგინირავს.

ამიტომაც თუგინდ ვატერლოოც ნუ იქნება, მე არ მივიღებ სა-სუფეველს და ავჯანყდები. ველარ გირნმუნე, უფალო! შენს მოი-მედეს ყოველთვის მახე დამიგე, უმანკო ცრემლი და სისხლი სა-სუფეველის ფასად დამიდე... მე აღარ მჯერა აუსტერლიცი, უგონო გონიერება, უძღური ძლიერება, სიკეთე ბოროტებით დადა-ღული და ბოროტება სიკეთით ამალღებული... და თუგინდ ვატერლოოც ნუ იქნება, მე არ მივიღებ სასუფეველს და ავჯანყდე-ბი...

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ამას მე

ვამბობ, უფალო! ეს მე ვარ! მე ავთანდილი, ნესტანი, თინათინი და ტარიელიც. მე ადამიანი, სიკეთისა და გონიერების ამაყი მატარებელი!.. ჰარმონიულ მთლიანობაშია შეკრული ჩემი მეობა: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია.“ გული კეთილია და სიკეთე გონიერი. ეს ზენარებს არ შთაუნერგავს ჩემთვის. ადამიანური თვითშეგნება ათასწლეული ტანჯვა-წვალებით მომიპოვებია.

კიდევ ერთ რამეს მივხვდი, სულ უბრალოს, ცხოვრებისეულს, ყველასათვის გასაგებს და მისანდომს: ადამიანთა ფერხულში ჩაბმა, ფეხის აწყობა და მეობის გამოვლინება, მისი გადასვლა, ასახვა სხვაში, მთელში თავისთავად სრული სისაყსის ბედნიერება ყოფილა, სიცოცხლის განცდის ჭეშმარიტი და რეალური ნეტარება. „უხვად გასცემდეთ, გავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია.“ სიცოცხლის არსის ასეთი სიღრმით ნედომა, ხუთი სიტყვით ყველაფრის თქმა რუსთაველს თუ შეეძლო მხოლოდ.

კმარა! ჩვენ ვერასოდეს მოვრიგდებით! ისიც მიგნებული მაქვს, ჩემი ნვალების ფასად რომ მპირდებოდი, რადგან სასუფეველი აქ ყოფილა დედამინაზე. ეს უკანასკნელი თულფაც აღარ გაქვს (მხოლოდ ერთ რამეში გამოგიტყდები: თითქოს მზადა ვარ, გირნმუნო, როდესაც ქართულ ტაძარში შევდივარ...).

მაშ, ნუ მაჩჩებენ (ზოგი ფიზიკოსებიც) ღმერთის ცნებიან განტოლებას. მე არ მივიღებ უცნობის კვლავ შენაცვლებას და ისიც უკმარი უცნობით. ვურიგდები იმას, რომ დედაშვილური სიყვარული უდიდესი იდუმალება არის, რომ იგი ბუნებამ დააკანონა და ადამიანთა მოდგმაც სამარადისოდ დადგენილს ემორჩილება.

გონების თვალი უკეთესს ეძებს. არჩევანს გულიც აკეთებს. მასაც გააჩნია საზომთა რთული კრებული: ეთიკური, ესთეტიკური, სირცხვილ-სიამაყისა და სხვა მრავალი. მაგრამ არ არსებობს გონება-გულის საზომი და არჩევანი, როდესაც საქმე დედას ეხება. ყველა სიყვარულს დაასაბუთებ, აქ კი საბუთი მხოლოდ ერთია: დედაა იგი. განა თავგამეტებით არ ეკონება ბალლი იმ ხელებს და იმ ნუთებში, ტკივილისათვის რომ იმეტებენ მის უმწეო, პატარა სხეულს?! დედაა იგი! ეს არის და ეს. აქ ვერც ვერაფერს დააკლებ, ვერც მოუმატებ.

სხეულის ყველა უჯრედში ფესვგაყრილია განცდა დედისა, ჩანწულ-ჩაქსოვილია ცნობიერების და უფრო რომ ქვეცნობიერის ბნელ სამყაროში. მიმოიქცევა, მიედინება მჩქეფარე სისხლი და მიიმღერის დედის სიმღერას. ფრჩხილის ნიბომდის მიიტანს ამ უტკბეს ჰანგებს. ო, როგორ ვტიროდი, როცა მძინარე დედას მი-

ვეკრობოდი... ვტიროდი ტკბილად, გულაჩქროლებით, ნეტარებით, ბედნიერებით, მხოლოდ იმიტომ, რომ მიყვარდა იგი, რომ იგი გვერდში მყავს თბილი და ალერსიანი, რომ იგი ჩემშია ასე სისავესით განუყოფელი. რა იყო, შეილო, რა გტკივა, რა მოგივიდა? შემფოთებული მეკითხებოდა. აბა როგორ ამეხსნა, რომ მე მატირებს დედის სიყვარულის ბედნიერება?!..

მხოლოდ ერთი აქვს ბალღის გულს საკურთხეველი და ნუ იკადრებს ნურავინ ამ საკურთხეველის შებღალვას. მართალი მამა ნუ შეურაცხყოფს ბალღის დედიკოს. მისი სიმართლე წინწკლადაც არ ჩანს ამ სიყვარულის დიდ სიმართლეში. ასეთია უსამართლო სამართალი ბავშვის გულისა და დე, დაიჩოქოს ყველამ, დე, დაიჩოქოს მამამ, და მიიტანოს, შესწიროს, სასოებით დაასვენოს თავისი გული ამ წმინდა საკურთხეველზე...

რარიგ ტევადია ქართული სიტყვა ორსული! დედის ნიაღში გაღვივდა და აღმოცენდა ბუნების საოცრება ადამიანი: ცეცხლის მკეცელი, მძლეთამძლე მეუფე ქვეყნიერების. განა არ არის საკვირველი, რომ მარადი ნაკადის ეს პანანინა ბუშტი, თვითმყოფადი, თავისთავადი სახიერებით არავის ემსგავსება, არავის გაიმეორებს ისევე, როგორც მისი თითების ანაბეჭდები. დე, იგი წამიერი გაელვება სიცოცხლის მარადისობის, გნებავეთ, უცაბედი კაპრიზი თავნება შემთხვევითობის, სულერთია თავისი პოტენციური და კინეტიკური ძალმოსილობით იგი მეფეა და გვირგვინს ვერავინ შეეცილება, ვერც მიწიერი, ვერც ზეციერი.

ერთად ფეთქავდა ორი სიცოცხლე. მერე გადაიჭრა ჭიპი და პანანინა მთელს გამოეყო. ამიერიდან ის გახდა ერთი, მხოლოდობითი გარექვეყნის წინ მარტოდ შთენილი. ასე დარჩება კენტად, ვიდრე მთელში არ გაიშლება მისი არსება. როგორც ერთი თავის უარყოფით იგი კვლავ არყოფნის სანყისს დაუბრუნდება და მით უფრო ჭარბად აღზევდება. მეცნიერები ამბობენ: მარცვალი უნდა არარად იქცეს, თავის უარყოფა სიკვდილში განვლოს, ვიდრე მრავალში კვლავ არ აღსდგება, როგორც სიცოცხლე სიკვდილზე გამარჯვებული: „ამინ, ამინ გეტყვ თქუენ: უკეთუ არა მარცვალი იფქლისა დაფარდეს ქუეყანასა და არა მოკუდეს, იგი მარტო ხოლო ეგოს; ხოლო უკეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს“ (იოანეს სახარების თავი მე-12. პ-24). ეს არის უდიდესი ჭეშმარიტება, რომლის გარეშე ვერც საზოგადოება და ვერც ადამიანი ვერ იარსებებს. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ფიზიკური არსებობის სიკვდილი იგულისხმება, არამედ პირადი კერძობის უარისყოფა და უდიდესი სიხარული თავისი სულიერი საუნჯის გაცემისა სხ-

ვისთვის, მრავლისათვის, მთელისათვის. ეს სიცოცხლის უდიდესი ბედნიერების განცდაა.

დაბადებას პანანინა ტირილით ამცნობს ქვეყნიერებას. ეს შეიძლება ეგოს პირველი გამმაგებაა. არსებობისათვის ბრძოლაში ციციქნა ერთეულს სხვა არც რა გააჩნია რა. სწავლულები ამ ბგერებს ფიზიოლოგიური აუცილებლობით ახსნიან. მე კი მეჩვენება, თითქოს ტირილი, მარტოობის პირველშეცნობის გოდება არის, ვაება მხოლოობისა, კენტად მთენილის ბოლმა და სასონარკვეთა. იგი ერთია მთელის პირისპირ.

ადამიანი სხვისათვის -- მთელის მხოლოდ მცირედი ნანევარია. მაგრამ თავისთვის, იმ სარკმლიდან თვითშემეცნება რომ ენოდება ის დაინახავს მარტოობის მწირე უდაბნოს, უკაცრიელს და უსიცოცხლოს. არ არსებობს განსაცდელი უმეტესი, არ არსებობს ხვედრი უმძიმესი:

უგულო კაცი ვერ კაცობს კაცთაგან განაკიდიან,
შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან.

და ადამიანი გარბის ამ უდაბნოდან, რომ განანევრდეს ერთიან მთელში. ეგოს დაძლევა, სახეცვალებით ამ გამთელებას ერთობა უნოდა ქართველმა ხალხმა. აქაც იგივე სინთეზია ერთი მით არის გამდიდრებული, რაც უფრო მთელში გადავა, მრავალში აისახება. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ ამ დიდ მცნებას რუსთაველი არაერთი გზით იმეორებს: „უხვათ გასცემდე, ზღვასაცა შესდის და გაედინების.“ დიახ, გენია ყოველის ჩანვდომის, ყოველის შეცნობის კიდევ ერთი ამოუხსნელი სასწაულია.

უთვალავი განძით აღვსილი, გულჩათხრობილი ბუნება, დროდადრო, თითქოს აგზავნის თავის საოცარ დესპანს. იგი ცალკეა, სულ სხვაა, ტალანტების იერარქიულ ჭრელ კიბეებს დაშორებული. გენია ადამიანთა ღვთაებრივი ნიჭიერების ფოკუსი არის. უცხო პრიზმაში აციაგდება, სასწაულებრივ გამოსხივდება „მზიანი ლამის“ იდუმალება, რომ ჩაქრეს უმალ, სადღაც სხვაგან კვლავ აელვარდეს. ბედნიერია მოკვდავი, ვინც თვალს შეასწრებს, ვინც მას შეიცნობს, როდესაც იგი კარს ეახლება.

ჩვენმა დიდმა გულთამხილავმა, ბუნების დიდმა მესაიდუმლემ კარგად იცოდა, რომ ადამიანი მხოლოდ ერთობაში ჰპოვებს თავის თავს და თავის ტკბილ-მწარე ბედნიერებას.

ნადირი ძვალს გვერდზე გააძუნძულებს, ორფეხა ცხოველი სერობაში ეძიებს და გამოხატავს: ძმობას, მეგობრობას, სიყვარულს.

არსობის პური სიმნრის ოფლია განივთებული და მისი გაზიარება კეთილერთობის უპირველესი საბუთიც არის. იგი საერთო ძალღონის მონაგარია და ამიტომაც პურის გატეხა შრომის ფერხულის სიმბოლოც არის. კიდევ სხვა სოციალური და ფსიქო-ფიზიოლოგიური ნანამძღვრები გააჩნია ამ საყოველთაო საუკუნოვან ადათს.

ახალშობილი სიცოცხლეს დედის ძუძუთი ეზიარება და ალბათ ნეტარი ნუთების შორეული მოგონება, ეს ორთა განცდა განუსაზღვრელი სიყვარულისა, ქვეცნობიერად თუ აპირობებს პურისჭამაში ერთობის ამ უძველეს ადათს. ასე მგონია, დედის პირველად შეგრძნებაში ადამიანის რაობის დასაბამთა დასაბამი მოიპოვება.

ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც ქალს ბოროტების ეშმაკისეულ საჭურჭლედ რაცხავს, ქრისტეს მოსვლის სასწაულებს დედის ნიაღში ჩასახვით იწყებს. საოცარია, კაცლმერთი, ძეღვთისა, ქალმა შვა.

მეცნიერები ამბობენ: ახალშობილი „ტაბულა რაზა“ არისო. მასზე მრავალ ჩანანერებს აკეთებს აღზრდაც, გარემოც. არიან ძნელად აღსაზრდელები, ზოგი თითქოს და უმიზეზო წყლულს სიკვდილის დღემდე შეინარჩუნებს. მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ გენებს არეულობა შეაქვთ ჩანანერებში. მაგრამ ვინ იცის, რა იქნებოდა ინკუბატორის ადამიანი?!..

ბევრი ჭკვიანი სიტყვა თქმულა, ბევრი ჭკვიანი კანონი დანერილა ქალისა და დედებისათვის. მე კი ხარბი ვარ და ყოველივე მეცოტავება. ასე მგონია: არტახებისა და თაბაშირების არამწარმოებლური ხარჯები შემციოდებოდა, ახალი ადამიანის შექმნა დაჩქარდებოდა, პროგრესის სისწრაფე ათჯერ უფრო გაიზრდებოდა, რომ ქალის უპირატესი მნიშვნელობისათვის მეტი გულისხმიერება გამოგვეჩინა... სად არ იბორიალა ჩემმა ფიქრებმა იმ ღამეს, რამდენი პროექტი უქმად დავნერე, რა არ ვიაზრე...

ჩემო ჩიტუნავ! შენს სანოლ ოთახს სიქსტის მადონას ჩინებული რეპროდუქცია ამშვენებს. ცოდვაც არის და კადნიერება მას რაიმე მინანური გაუკეთოს ჩემისთანა უსუსურმა. მე მაინც გიტოვებ იმ ღამის სამახსოვროდ დედის საგალობელს, რომელიც შენმა ჩურჩულმა დამანერინა:

შენ არყოფნიდან ამომიტაცე, არარად ვიყავ და სასწაულად მქმენ. შენს ნიაღში ჩამოილექა შენი ცრემლი, შენი ღიმილი. შენ გამთოშე მთელისაგან, მაგემე სიმწარე მხოლოობისა, შენით გავმ-

* (ლათ.) სუფთა ფურცელი. ხელშეუხებელი.

თელი და ერთობას შევეზიარე. შენ შემაყვარე სიცოცხლე მწარედ და ტკბილად. შენში და შენით ვცან სიყვარულის მძლეთამძლეობა. როდესაც აღარ გხედავდი, ყველაფერს ბინდი ეფარებოდა და მკედარი უდაბნოს ქიმერები დათარეშობდნენ. როცა გხედავდი ჩემთვის მზე ამოდებოდა. შენ მიეცე ფერი სამყაროს, ზეცას სიმაღლე და მინას — განი...

შენით ავიდგი ფეხი, შენით ავისხი ფრთები. შენში და შენით გამოენახე ზომათა ზომა სანუთროების. შენ დააოკე ჩემში ნადირი. შენ ხარ მდინარე იორდანისა. შენ მომანიჭე დიდი სახელი ადამის ძისა. კარგი ვარ --- შენით ვარ, ცუდი ვარ - შენით ვარ. შენ ხარ დასაბამი დასაბამისა, უწყვეტი სიცოცხლის მარადისობა. ანკარა იყოს, ხელშეუხებები სინმინდე შენი.

ფრთხილად და ფრთხილად, რომ არ აიმღვრეს, რომ არ ატბორდეს, არ ჩაილეკოს ჭუჭყი და მტვერი... შენ ხარ მზე ჩემი ზეცისა და გული ჩემი არის საკურთხეველი უშრეტი სიყვარულისა.

და თუ ასეა, დე, დაიჩოქოს ყველა... დე, დაიჩოქოს მამამ, და მიიტანოს, შესწიროს, სასოებით დაასვენოს თავისი გულიც ამ წმინდა საკურთხეველზე...

*შენი... ბებოდედიკო
23.1.67წ., დედაქალაქი*

უმისამართო ბარათი

გაზაფხულის დიდებული დღე იდგა. გულმა ბოტანიკური ბალისაკენ გამიწია. ხეივნებში ბავშვები ფუსფუსებდნენ, ხან თაიგულებად შეიკვრებოდნენ, ხანაც გაიშლებოდნენ, ია-ენძელებად მწვანედან თავს ამოყოფდნენ, დროდადრო დედებსა და ბებიებს საიმედოდ თვალს შეავლებდნენ... ხასხასა ფერებში მოკამკამე პანანინები ერწყმოდნენ, ამშვენებდნენ გაზაფხულის მადლით გალალეულ არემარეს. უშფოთველი სიამით იყო გაჟღენთილი ირგვლივ ყოველივე.

სკამზე ჩამოვჯექი. შორიახლოს, სანაგვე ურნაზე, ქალაღების მცირედი დასტა შევნიშნე. უდიერად მიეტოვებინა ვილაცას და ახლა ნიავე ნენდა, აგერ-აგერ მიმოფანტაჟდა კიდეც. დამენანა ზრუნვით მოვლილი ხეივანი, ურნასთან მივედი, მაგრამ... ჩემ წინაშე რალაც უცნაური თავგამეტების, ნაომარ-ნაოხარი ბარათი იდო, ალბათ, აქვე დანერილი, სკამზე თუ წიგნზე, აფორიაქებული, უნესრიგო.

პირველი ორი ფურცელი წიავეს წაეღო. მისამართს ვერ მივა-

გენი. ნერვიულად შემჭიდროებულ წერილ ნაწერში ჯვარედინებით გაუქმებული აბზაცები, აჩქარებული ზიგზაგებით გადაჯეგული სტრიქონები, ზოგან ამოჩემებით გაუქმებული, მელანი აქაიქ წვეთებს გაელლო და გაეშალა. შესაძლებელია, წერილის პირი უკვე დანიშნულების ადგილას იყო, მაგრამ, ხომ შეიძლება, არც ყოფილიყო... ჭმუნვით და იჭვით დაძეძგილი ნაწერი მოუსვენრობის გრძნობას ინვევდა. თითქოს ცოცხალი გული ნაგავში იყო გადაგდებული და თრთოდა, ბორგავდა მიუსაფრის განწირულებით, შიშვლად შთენილი და უპატრონო. არა! ამ წერილს ნაგავს ვერ გავატანდი! გადავათეთრე. კადნიერად ზოგი ნაშლილიც აღვადგინე და მივუმატე.

მაგრამ მიაგნებს კი იგი თავის ადრესატს?!

... როდის და როგორ მოხდა, შვილო? სიტყვა გამიძნელდა, რატომ? განა გაგიმეტე უარსაყოფად?! ამოკვეთილმა დედის გულმა სხვა რაღაც თქვა, ეს იყო დედური გრძნობა-გუმანის უსაზღვროება და არა მარტო ადამიანის. ასეც უნდა იყოს, სხვანაირობა არევე-დარევედა ქვეყნიერებას, იმ ზღვასაც დაშრეტდა, მისით რომ ხარობს სიცოცხლე ირგვლივ — ტკბილი და მწარე დედური ცრემლის უსაზღვრო ზღვას.

შვილისათვის გულს ამოიგლეჯე, გულიდან შვილს არა და არა!

ასე არ ხდება, ასე არ ხდება! გამხმარ მუხაზე პატარა მცენარეც კი უპირატესობს, რადგან სიცოცხლე მის მხარეზეა. მაშ, რა მემართება?! რა არის ეს? ცოდვა-ბრაღია? უმძიმესი დანაშაული? ან, იქნებ, გმირობაზე უმეტესია? არ ვიცი. ეს ტანჯვაა ჯოჯოხეთში გამოგონილი...

მხატვარი დაგლეჯს, დაამსხერვეს თავისი ნეტარი წვისა და დაგვის ქმნილებას და მყისვე კალამს, საჭრეთელს დაუბრუნდება. მაშ, მე კი რა ვქნა?! ხელახლა ვერ დაგწერ, ვერ გამოგძერწავ. შენ ხარ ის, რაც ხარ ჩემი უკანასკნელი შემოქმედება, საუკეთესო, რაც შეეძლო წარმოექმნა მთელ ჩემს არსებას. დღეს შენ უკვე შენი ბედი გაქვს და მე ერთი ნერტილის შეცვლაც არ შემიძლია.

ფერფლად ვიქეცი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლის მხურვალეება შენთვის მომეცა. გაუხარჯავი არა დამრჩა რა, ყოველივე შენ შეგალიე. ფერფლი ვარ შენი, წვის უნარგამოცლილი, სანაგვე ფერფლი. შენ იგი აღარ გჭირდება, არც — სხვას. ეს ასე ხდება, ალბათ, ყველგან, ალბათ, ყოველთვის. ასე ხდება განთვისება შორს ავარდნილი აღისა, განსხვისება ცეცხლმოკიდებული მხურვალეებისა, რომელიც სულ წინ მიიწევს და თავის ფერფლს აღარ უბრუნდება.

შენყნარებით მივიღებდი ჩემს გაცივებულ ჩანაცრებას და სულგრძელობა მეყოფოდა მუჭა ფერფლი გადამეხვეტა, თუკი... მაგრამ შენ, უსუსურო ბაჭიავე, შენ არა! ეს მხოლოდ მე შემეძლო, მხოლოდ მე!!!

სად შევცდი, სად დავაშავე?! მითხარი, რომ ასე არ არის, მითხარი და ყველაფერში დაგერმუნები, ოღონდ მითხარი...

ველური მონადირენი აიყრებოდნენ და მიდიოდნენ, სადაც ნადირი მომრავლებული ეგულებოდათ. მოხუცს, რომელსაც კუნთ-მაგარი შვილიშვილივით სიარული არ შეეძლო, იქვე სტოვებდნენ. ცეცხლს დაუნთებდნენ, საგზალს დაუნყობდნენ და უღრან ტყეში რჩებოდა მარტოდმარტო.

რას ფიქრობდა მაშინ მოხუცი? ო, როგორ მინდა ჩაენვდე მის ფიქრებს! იქნებ, იქ არის გასაღები, იქნებ, სიმშვიდე დამიბრუნდეს, იქნებ, ვეზიარო ბუნების სიბრძნეს მსუბუქს, ანკარას. მის იქით რჩება წვრილი ამბები, გულში კი ნათელი დგას – დიდი გაგების, შერიგების, პატიების... იქნებ, იქ არის სრულყოფის ზღვარი, გამრთელება მთელ სამყაროსთან, ჰარმონიის ასეთი ნდომა, ცხოვრებისეულს საბედისწეროდ რომ მიგაჩნია, გაფანტავს, უკვალოდ ჰქარგავს, როგორც მზე ნისლებს.

ხო, ასეთი იყო უსასტიკესი კანონი: უსიერ ტყეში მოხუცს მიატოვებს ფეხმარდი შვილი. აი, თურმე რატომ ამბობენ, რომ სიბერე უდიდესი მარტოობაა. ეს ამ ადათის ანარეკლია, ან, იქნებ, სხვა რა-ღაცაა? არ ვიცი. აზრი მეკარგება თუ მეძალება და ვერას ვამბობ, მაგრამ უნდა ვთქვა, უნდა ვთქვა, რადგან ეს არის უკანასკნელი...

ხო, ბავშვობაში ახალ სათამაშოებს ეტანებოდი, გატაცებული იყავი ხოლმე. მერე ხალისი გეკარგებოდა, დაამტვრევდი, გულმშვიდად გადააგდებდი. მე ამის ნებას გაძლევედი, მომწონდა კიდევ ონავარი ანცობა შენი და სამაგიეროდ უკეთესი სათამაშო მომქონდა. ასეც ხდებოდა, რომ მობეზრებულ და გაფუჭებულ სათამაშოებს მე და შენ ერთად თავს მოვუყრიდით და ხან ცეცხლში და ხანაც სანაგვეში გადავუშვებდით.

ერთხელ პატარა ცუგრა მომგვარე. თავს ევლებოდი, სკამიდან სკამზე, ტახტიდან მაგიდაზე აურზაურით ხტოდი და კუნტრუშებდით. შენ დანახვაზე ცუგრა ნეტარებით იზმორებოდა, ისეთ ნკავნკავს იწყებდა, შემშინებია, მიკითხავს კიდევ: ცოფი ხომ არ იცის ძაღლის მეტისმეტმა სიხარულმა-მეთქი...

გული იჯერე, მოიხალისე, ნამითაც არ დაფიქრებულხარ, გააჩუქე, სხვას ხელში ჩაუტოვე პატარა ცუგრა და იგი მოკვდა. მას არაფერი უნდოდა შენგან, უბრალოდ შენთან ყოფნით ყელამდე

იყო ბედნიერი, გენდობოდა როგორც თავის გულს უშენობა რომ არ შეეძლო. „პური არსობისა“ სხვისი ხელიდან მან არ მიიღო.

დრომ გაირბინა. შენ დავაუკაცდი. ოქროსპერანგოსანს გეძახდი ჩუმად. ვამაყობდი შენი სახელით, მაგრამ ჩვენ შორის მანძილი გაჩნდა. როდის და როგორ, ეს მე არ ვიცი... მანძილი სულ იზრდებოდა, ისე, დაგორებულმა ქვამ რომ იცის, რომელსაც არაფერი ელობება წინ.

ჩემს თავს ვედავებოდი მაშ როგორ გინდა, სამარის ჭიად ხომ არ გადაიქცევა? სიცოცხლე სწყურია, ფართო სანავარდო მოჭარბებული ძალა ქმედობისათვის. მერედა ხელს ვუშლიდი? ყელზე არ ვეკიდებოდი. მისი სიხარულით ვხარობდი, მისი ნუხილით ვნუხდი, ოლონდაც ჩუმად, ძალიან ჩუმად, მაგრამ... ო, როგორ მეშინოდა შენი თვალების, ცივი სამარე მელანდებოდა. მე იქ ცოცხალი აღარ ვიყავი. არა, ცუგრაზე ცუდი რამ დამემართა.

პირმოთნეობით აღსავსე შენს გამოსვლას ძრწოლვით ველოდებოდი. ყრუ კედლის მიღმა ის ბალი იყო. იქ ყველა კუნჭულს ვიცნობდი: ნერგებს, ლეროებს, კვირტსაც თითოეულს, ასე მეგონა, იმასაც, რაც ჯერ კიდევ ამოსვლას ელოდებოდა და აყვავებას, მაგრამ იმ ბაღში აღარ შემესვლებოდა.

არ ვიცი, მათხოვრად როდის ვიქეცი. ამას მაშინ მივხვდი, როდესაც შენ უკვე მათხოვრად მრაცხდი: ბეჩავად რომ იღრიჯეობა, თუკი გაბედა, მოწყალებას გულში იხუტებს, თუკი გადაუგდე... გაიძურნება, როცა შეუბღვერ. ასე მიმიღე, ასე დამამკვიდრე... მაგრამ მაშინ შიში მკლავდა -- ეს ადგილიც არ დამეკარგა.

ძალზე უარესს უძლებს ადამიანი. „არა პურითა ერთითა“. გესმის, ჩვენ ეს არ შეგვიძლია, არც მე და არც ცუგრას.

შესაძლებელია, ეს დედური კომპლექსია, ეჭვი, დედის ეგოისტური ეჭვი ოდესღაც ერთი ვიყავი მისთვის, ახლა კი სხვათა, მრავალთა შორის ადგილი შემოვიწროვდა და არ მეთმობა ერთადერთობა. მაგრამ არა! დედის გული არ მოტყუვდება. ნასუფრალის ერთი ნამცეციც ზღაპრულ ბედნიერებას მომანიჭებდა, გულსავსე ერთი ღიმილიც კი მეყოფოდა. მე კი სხვათა, მრავალთა შორის შენში უკვე აღარ ვარსებობ. ცოცხალი ვარ, გესმის, ცოცხალი! შენთვის კი მკვდარი...

მაგრამ, ვინ იცის, ხომ არსებობს რომენ როლანი, რომელიც ამბობს, რომ ზოგი ადამიანი თავის ხორციელ სიკვდილზე უფრო ადრე კვდება, ხდება ხოლმე სულ ახალგაზრდაა და მაშინაც კი ათეული წლების მანძილზე იგი მიათრევს თავის ლეშად ქცეულ სულს.

აქ უფსკრულია უსაშველო. ძალა არა მყოფნის ჩემს ფიქრებთან პირისპირ დაერჩე. ყველაფერს შევურიგდები, ოღონდ ამას არა! ეს თუ ასეა, ეს მე ვარ მკვდარი...

ხო, რაზე ფიქრობდა მოხუცი? ჟრიაბული უკვე ყრუდ ისმის. ნაიდა ყველა. უკან აღარავინ დაბრუნდება. ღამე ჩამონვა შავი და უბნელესი. ხეებს შორის მგლები დაძრწიან, ცეცხლის ჩაქრობას ელოდებიან, თვალები ყვითლად უელავთ. ტურებიც აყმუვლებულან, ალბათ, იყნოსეს. ზევით ღამურები ბორიალობენ, სადღაც ავის მომასწავლებლად კნავიან მიკიოტები... მოხუცი ცეცხლთან ზის, არ ესმის, არაფერს ხედავს. ნელა მიდიან ლანდები, ერთმანეთს ენაცვლებიან. საესე იყო მისი სიცოცხლე და ბედნიერი.

„ორთაბრძოლაში რომ მიჯობნია, ნადირის ხორცი, ჯერ კიდევ ცვრიანი, თბილი შენთვის მომქონდა. რა გემრიელად ილუქმებოდი! ეს იყო სიხარული და კიდევ, როდესაც ფაფუკ ხელებს შემომაჭდობდი, მეკეროდი, მესრისებოდი. გახსოვს, გველი რომ ნახე და უმწეობა გულს მითრთოლებდა, ამაყი გრძნობით მავსებდა, საკუთარი ძალისა და თავდადების ბედნიერება ყელში მებჯინებოდა. მაშინ შემეძლო ვეფხვი ხელით გამეკოჭა. ეს შენც გჯეროდა. მტკიცე საფარი ვიყავი შენთვის და კიდევ ვეფხვის მძლეველი. პანანინა მშვილდ-ისარი რომ გაგიკეთე?.. თვალებს მუქარით აბრიალებდი, მხარში ზვიადად ამომიდექი... რა კარგი იყო, როგორი მსუყე ჩემი ცხოვრება! რა ტკბილი იყო ის დღენი ჩემთვის. როგორ მიყვარდი და შენც – ძალიან. აღტაცებული სიყვარული გქონდა შენ ჩემი. შვილიშვილები ბევრი მყავს, მაგრამ არავინ დაბრუნდება. აბა რა?! ლეში მეც მზარებია. ასე ხდება მამა-პაპიდან. ლორთქო ბალახი რომ ამოინვეროს, ხმელმა ადგილი უნდა დაუთმოს. თავისი საქმე ღმერთებმა კარგად იციან და გვინებსებენ, რა დროს რა უნდა. მწვანე მცენარემ ყვითელი თავზე მოიგდოს, მზე დაიბნელოს?! დედას ფრინველი ზურგით არ ათრევს. ღონიერია ლომი, მაგრამ არ ათრევს“. ასე ფიქრობდა მოხუცი? იქნებ, არც არაფერს, როგორც ფოთოლი შემოდგომისა...

ბეთჰოვენმა სახლი მიატოვა. ლევ ტოლსტოიმ, რომელსაც აწვალებდა სიტყვისა და საქმის შეუსაბამობა, სახლი იუცხოვა არა მაშინ, როდესაც ახალი ცხოვრების შექმნა შეეძლო, არამედ მაშინ, როცა სიკვდილის სუნთქვა შეიგრძნო. ატავიზმია? იმ ადათის მრავალი სირთულით გადატვირთული ანაბეჭდია?

ჩრდილოეთში გამიგონია უცნაური თქმა „ტაიგა მეძახის“. თუ ვინმეს ჩაესმებოდა „ტაიგის ძახილი“, მას ველარავინ და ვერაფერი დააკავებდა. ამ იდუმალი ხმით შეპყრობილი განუდგებოდა ქვეყა-

ნას, განკერძოვდებოდა, თითქოს ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე მდგარი, იგი ცნობიერებისა თუ ქვეცნობიერების ისეთ სიღრმეში იყო ჩასული, რომლის შესახებ, შესაძლოა, ჩვენ არაფერი ვიცნობთ. ტოვებდა სოფელს და უთქმელ რაღაცას თან წაიღებდა. ეს გასვლა იყო ცხოვრებიდან სადა, უბრალო და ამავე დროს საზეიმო, დიადი, როგორც ყოველი ამოუხსნელი იდუმალება.

თეთრ ტანსაცმელში იმოსებოდა. ტომარაში საგზალს უწყობდნენ, ახალმოჭრილ, კანგაცლილ კომბალს ხელში აძლევდნენ და მიდიოდა მოხუცი მარტოდ, მიუკარები, ამქვეყნიურის არდამნახველი. იქნებ, ვინ იცის რა... მასთან კვლავ შეყრა მოკვდავს არ ახსოვს. არავინ იცის, საით წავიდა, ბინა თუ ნახა, მხეცმა დაგლიჯა თუ ტყის ალქაჯებს აუბა მხარი... როგორც ზღაპარში ჯადოსნური, მწვანე კედელი, ყრუ და გაუვალა, უხმაუროდ დაიხურება. ქრება მოხუცი და მითად რჩება... მითად რჩება „ტაიგის ძახილი“ და კიდევ მისი ზემოქმედება: ადამიანთა დაზავების, წერილმან-წერილმანებით ჩახერგილი ურთიერთობის გასუფთავების.

ტაიგის ძახილი იმ ადათის ნაირსახეა. თითქოს და მართლაც არსებობს სანუთროების რაღაც კანონი, ძირეული და შეუცნობი. მრავალნაირად იცვლება და მაინც რჩება. სპილოები დიდ სამარხებს ჰქმნიან, ძალიც გარბის -- სიკვდილს პირისპირ ხვდება. რატომ? უკანასკნელი განსაცდელის ფაშს განა მშობლიური გარემოს სითბო, პატრონის ხელი არ უნდა ენატრებოდეს?!

ხო, დადგება ნამი, „ტაიგის ძახილის“ მარტოობაში გაირიყები. მწვანე კედელი უხმაუროდ დაიხურება. ეს არის კვდომა, გაუცხოება, გამანძილება და სიცოცხლით სავსე თვალს აგარიდებს, რაღაც გუმანით კედლის წინ იხევს, რადგან სიცოცხლე სიკვდილს გაურბის. აქ არაფერ შუაშია „მამა გორიო“, „თავსაფრიანი დედაკაცი“, ცუგრა და მათხოვარი. ეს ყველაფერი მიჯნის ჩრდილების მოლანდებაა, ცივილიზაციით გამრუდებული მწვანე კედლის პროექციები. რკინა-ბეტონში და მოტორებში გაუჩინარდა მოხუცი ცეცხლთან, „ტაიგის ძახილი“, რკინა-ბეტონში ხილვა და სმენა სხვანაირია. აქ სუფევს ეგოცენტრიზმი. სულ შვილის გამართლების ცდაში ხარ. თავს ნუ იტყუებ, ქიმერებს ნუ ჰქმნი! რეალობაა „თავსაფრიანი დედაკაცი“, „მამა გორიო“, „მეფე ლირი“ და კაფკას „მწერი“.

მწერი კედელზე დალოლიალობს (ხოდა, ხომ არავინ უშლის, ილოლიალოს!!! ოთახი ცარიელია. აბა, მწერი ვისთვის რა სანახავია?! საჭმელიც აქვს და სასმელიც. ზოგჯერ კი... ძნელია მწერი გახსოვდეს, როცა ასე დულს სიცოცხლე ირგვლივ!) მერე მოხდება ყველასათვის გარდუვალი და ფეხაფშეკილ მწერს ცოცხით გახ-

ვეტავს დიასახლისი.

კაფკა მე და შენ არ მივიღეთ. როდესაც გიყვარს, არ გჯერა კაფკა, არც მწერი; არც ცარიელი ოთახი და არც ის ცოცხი. ტლანქია კაფკა, ცხოვრება კი, აბა, რა სათქმელია, უფრო ლამაზი, დელიკატური და პომპეზურიც. აგერ, სამგლოვიარო დარბაზის ზღურბლზე დგას დამწუხრებული ვაჟკაცი. რა დარბაისლად იხრება წელში! საზეიმო სევედის იერით ხელს ართმევს ყველას, ვინც მას ეახლა, დიახ, მას, „უკანასკნელი ვალის“ მოსახდელად. დიდებულია, დაუვინყარი დარჩება ეს ხატოვანი, კეთილშობილი თავმეკავება მისი!!!

სად შევცდი, სად დავაშავე?! ყველაფერი ზუსტ ფორმულებში გაქვს მოცემული. მკვდარი მკვდარია შენთვის. აბა, ვინ შეგედავება?! მკვდარი კი ზოგჯერ ცოცხალზე უფრო ცოცხალია და, ხდება ხოლმე, რომ ათასი წლობით მკვდარი მიუძღვის ცოცხლებს. მაგრამ შენ ყველაფერი წინასწარ იცი, ძალა რომ გერჩის, ალბათ, იმიტომ. გაშლილი სუფრის ძგიდეს რომ აწვდი, გგონია, ცას მიეახლე? ხორცის ნაჭერი რომ დაითრიე, გეგონა, ვარსკვლავები დაისაკუთრე?! მაგრამ...

სიარული არ იცოდი, ფეხი მე აგადგმევინე... კარგად ვერ აგისენი, რომ ცოცხალი სიცოცხლე სხარტ ფორმულებს შორის უნდა ეძიო, მაგრამ უგულო ტვინი, უტვინო გული უდიდესი ბოროტებაა. ვინ გითხრა, რომ სიცოცხლე მხოლოდ ბრძოლაა? ცოტნეც იბრძოდა... მე დავაშავე შენ წინაშე, ჩემ წინაშე, ადამიანისა და ქვეყნის წინაშე. დედას გასწირა? არც სხვას დაინდობ!!!

ო, როგორ მოვიქნაცე! სად არის გამოსავალი? სად არის შვება? მოდი, წარსული გაეიხსენოთ, მოჩორიდი ახლოს.

ბავშვობაში ზღაპრებით იყავი გატაცებული, სულგანაბული მისმენდი ხოლმე.

მაშ, იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა (ახლაც ცხოვრობს) ერთი მხატვარი საქართველოში, მოკრძალებული, თავმდაბალი. როცა შეხვდებოდი, იგრძნობდი თურმე, რომ შენ იყავი ფრიად უმეტესი და იგი — შენგან უზომოდ დაფალებული. თავისი ბრწყინვალე შემოქმედების იუბილეს წინა დღეს მხატვარი დედას ეახლა და იქ, საფლავთან, მოსაწვევი ბარათი ფარულად ჩაფულა... სასაცილოა? ხო, ძალიან სასაცილოა!

ძირიარა აქვს ქარხვეტას, უთვისტომოდ მიეხეტება. ჩამოუქროლებს ნიავი, აქეთ და იქით მიაქცევს, მწვანე მინდორ-ველს თავზე გადაუვლის, არსად მოეკიდება. ხმელი ქარხვეტა უკვალოდ ბორიალობს და, ალბათ, სადმე ჩაიკარგება.

კიდევ გიამბობ ერთ სასაცილო ზღაპარს. ლ. გ.-თან მივედი (მისი ნოველები გიყვარს თუ გიყვარდა. ამის ანგარიში დიდი ხანია დაკარგული მაქვს). უცნაურ სურათს წაევანყდი: ჭალარა მწერალი და ღრმად მოხუცებული დედა მაგიდას უსხდნენ. ჭალარა ბავშვი დედას ახალ ნოველას უკითხავდა. აზრდაკარგული თვალები საიმედოს და სანუგემოს მას არაფერს ჰპირდებოდნენ. ღრმად მოხუცებული მანდილოსანი თავს დარბაისლად ხრიდა, თითქოს უწონებდა, უდასტურებდა. შემორჩენილი სათნო ღიმილი მის სახეს არ სცილდებოდა. მწერალი შეჩერდებოდა, რაღაცას ჩაასწორებდა, კვლავ შეხედავდა დედას და კვლავ ხელნაწერს უბრუნდებოდა... სასაცილოა? ხო, ძალიან სასაცილოა!!!

არის თუ არა ღმერთი, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ მისი სამლოცველოს წინაშე ადამიანებს სასწაული მოუხდენიათ. აქ დაიბადა ბახის გენია, აქ დაინერა მოცარტის „ალილუია“...

პატივცემულო მკითხველო! ვერ გეტყვით, როგორი იყო ამ ბარათის დასასრული. არც ის ვიცი, მომდევნო ფურცლები დაიკარგა თუ დაუნერელი დარჩა. ასე ვფიქრობ, ამ ბარათს დასასრული არ უნდა ჰქონდეს.

დედაქალაქი, 1970 წ., ივნისი

ფიქრები და ჩანახატები

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატ ლეო იაკუბსონს მისჯილი ვადის გასრულება პატიმარ-ამხანაგებმა ციხის ყაიდაზე უზეიმეს და ხუმრობით სამი წლის საბუდარი-საკანი მისი აფორიზმების ტრანსპორანტივითაც „შეამკეს“. ერთი მათგანი ასეთი იყო:

„Социализм бюджет через сто лет и то... может бюджет, может — нет.“

პერსპექტივა გადაჭარბებით პესიმისტურია, მაგრამ რეალობას მოკლებული არ არის. მისი გამართლებისათვის ბოლშევიკები დაულაღავად იღწვიან.

ენგელსისადმი მიწერილ წერილში მარქსი მსოფლიო ომის გარდაუვალობას და შედეგად რუსეთის რევოლუციას წინასწარმეტყველებდა. თანაც დასძენდა, რომ ფეოდალურ რუსეთში ახალშობილ სუსტ ბურჟუაზიას ევროპული გავლენის სოციალისტური მიმართულება მეტოქეობას გაუწევს, რომელიც, შესაძლოა, თავს ვერ შეიკავეს და სოციალური რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაქცევას შეეცდება. უკეთუ ამგვარ უკულმართობას გერმანიის დამარცხებაც დაერთებოდა, მისი აზრით, რუსეთი კაპ-

იტალიზმის სანარმოო ურთიერთობისგან ვერ განთავისუფლდებოდა, ინტენსიურ განვითარებას მისი ეკონომიკა ამ მიმართულებით დაიწყო, რაც სასიცოცხლო ძალას შემატებდა მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას ერთი საუკუნითაც კი დააყოვნებდა.*

ამ საოცარი წერილის ზეპირი გადმოცემა უსათუოდ დანაშაულია. დროის სიმცირის გამო ლიტერატურის ძებნას ვერ ვახერხებ. ციტირებისას კვლავადაც იძულებული ვიქნები ჩემს მეხსიერებას დავეწყო. ვიმედოვნებ, დაინტერესებული მკითხველი თვითონ შეავსებს კადნიერი ზეპირსიტყვაობის ხარვეზებს, რის გამოც უღრმეს ბოდიშს და შენდობას ვითხოვ.

მე არ ვიცნობ მარქსიზმის მსგავს სხვა ისეთ მოძღვრებას, რომელიც თავიდან აბსოლუტურად გამორიცხავდეს გაქვავებას და ყოველგვარი სახის დოგმატიზაციას. „მუშათა კლასის ტაქტიკა 24 საათის განმავლობაში შესაძლებელია 24-ჯერ შეიცვალოს“, ამბობდნენ მარქსი და ენგელსი, მაგრამ ლენინმა კრემლი ვატიკანად გადააქცია, მარქსიზმის ცოცხალი ცნება რუსულ არტახებში მოგუდა და, ვინც მის კანონზირებულ დოგმებს მხარი არ აუბა, ოპორტუნისმის, რევიზიონისმის და სხვა კნინებითი იზმებით შეაჩვენა. იზმებს ვინღა ჩიოდა, მუშათა კლასის შიგნით სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა. თუ რამდენად შეაფერხა ბოლშევიზმმა ისტორიაში უმაგალითო სიძლიერის მუშათა მოძრაობა, კაცობრიობამ თავის თავზე განიცადა და კვლავადაც განაგრძობს ამის განცდას.

სლავიანოფილური საწყისების რეაქციული ბუნება სრული სისავსით ლენინში გამოვლინდა და ლენინიზმის პრაქტიკით დადასტურდა, მაგრამ, თუ ბრმა თავდაჯერებით, მარქსიზმის ძირითად დებულებათა უგულვებელყოფით მან „ანი“ თქვა, „ბანი“ ისტორიის უღმობელმა კანონზომიერებამ ათქმევინა. შედეგად რუსეთს დაუმკვიდრეს ისეთი წყობა, რომელიც უმნიშვარი გოლიათის უასაკობას და ბარბაროსობას, ვაი, რომ კარგად მოერგებოდა.

ბუნება ხელოვნურ გარდაქმნას იმდენად იტანს, რამდენადაც ასეთი ზემოქმედება მის ჰარმონიულ წესრიგს და განვითარების თანადროულობას არ არღვევს. შეიძლება შექმნა ხელოვნური

* წერილი გამოქვეყნებულია კარლ მარქს-ენგელსის მიწერ-მოწერის რიაზანოვისეულ გამოცემაში. თუ არ ვცდები, 30-იანი წლების პირველ ნახევარში.

ზღვა, მაგრამ ამ ზღვაში ზღვით და ამ ზღვიდან პლანეტის წყალთა სამყაროს ვერ გარდაქმნი, პირიქით, ხელოვნური განვითარების კანონზომიერებაში მოექცევა.

ჩამორჩენილი ქვეყნების ზემოქმედებითი გარდაქმნა მონინავეთა განვითარების შინაგანი ტენდენციების სანინაალმდეგო არ უნდა იყოს, თუ არა და აქაც „ბუნებას კარიდან განდევნი და ფანჯრიდან გესტუმრება“. ასე მოხდა რუსეთშიც: დიდი რიხით დეკლარირებულმა სოციალისტურმა რევოლუციამ ფანჯრიდან უსასტიკესი კაპიტალისტური სისტემა შემოაბრძანა და თვითონაც მის ყურმოჭრილ ყმად გადაიქცა.

მარქსს არა ერთხელ აღუნიშნავს, რამდენად საფრთხილოა ხელისუფლებაზე ნაადრევი პრეტენზია, ვინაიდან სახელმწიფო კაპიტალიზმი, როგორც კაპიტალისტური წყობილების უმძაფრესი სისტემა, პირველ რიგში დააზიანებს და შეაფერხებს სოციალიზმის გამარჯვების საქმეს.

სანინაალმდეგოდ ამისა, საკუთარი გზების მაძიებელმა კრემლმა ხელისუფლებაზე მონოპოლია უყოყმანოდ დაიმკვიდრა და მსოფლიოს ამცნო, რომ კაცობრიობისათვის სოციალისტურ ერას ოქტომბერი იწყებს და, რადგანაც მამლის ყივილზე მზე არ ამოვიდა, მამალს კისერი მოუგრიხა, რუსეთი იზოლაციაში მოაქცია და რიაბუშინსკების მისია თავის თავზე აიღო.

ამრიგად, ოქტომბერი ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტრრევოლუციად გადაიქცა. საუბედუროდ, კრემლი ამაზე არ შეჩერებულა. სრული უმეცრებით, ველური დაუნდობლობით მან რუსეთი უკან გადატყორცნა, ეკონომიკური განვითარება კაპიტალის პირველადი დაგროვების ეტაპიდან დაწყებინა და, ვინაიდან „იძულებითი მანქანის“ განუკითხავი მონოპოლისტი იყო, ეს თავისთავად უმძიმესი პერიოდი ხალხისათვის მართლაც რომ ჯოჯოხეთურ ვაი-უბედურებად აქცია.

არნახული, გაუგონარი ყვლეფა-ჟლეტის ხარჯზე, მეოცე საუკუნისათვის სრულიად გაუმართლებელი საარაკო მსხვერპლის ფასად, ამ უკულმართი შორეული გზით რუსეთი კვლავ კაპიტალისტურ წყობილებამდის მიიყვანეს, ოღონდაც ეს უკვე იყო სახელმწიფო კაპიტალიზმის დაუძლეველი მარნუხები. შესაფერისად მისი პოლიტიკური ზედნაშენი აზიური ყაიდის უმძვინვარესი დიქტატურის სახით ჩამოყალიბდა. სახელმწიფო სანარმოო საშუალებათა ერთადერთი და უმეტოქეო მფლობელი გახდა. იგი დაუპირისპირდა პროლეტარიატს, როგორც ძლევა მოსილი, განუკითხავი და უსასტიკესი ექსპლოატატორი. მუშათა კლასს, პირველივე რიგში,

მან წაართვა ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლის ყველა შესაძლებლობა. პროლეტარიატს ალექვეთა არა მარტო ერთიანობის, კლასობრივად მაორგანიზებელი და მწვრთნელი ეს დიდებული მასობრივი საშუალებანი, არამედ გარყვნისა და გაბახების ათასნაირი ხერხებით მისი კლასობრივი თვითშეგნებაც ბლოკირებულ იქნა და კატასტროფულად დაეცა კიდეც. ამის საილუსტრაციოდ სტახანოვშჩინის გახსენებაც საკმარისია.

ცნობილია, რომ სასაკლავოსთან სპეციალურად წვრთნიდნენ და ინახავდნენ რომელიმე რქოსანს. მისი დანიშნულება იყო წინ წასძლოლოდა დასაკლავად გამზადებულ პირუტყვს. მას მეორე კარიდან აპარებდნენ, ჯოგს ალესილ დანებს ახვედრებდნენ. სასაკლავოს ტერმინოლოგიით იგი პროვოკატორად იწოდებოდა. წარმოებაში ასეთ „რქოსანს“ 5-6 ნორმის დასაძლევად ოპტიმალურად ხელსაყრელ პირობებს უქმნიან და ისინიც „პირნათლად“ ემსახურებიან ხელფასის შემცირების და ნორმების გაზრდის „სამამულიშვილო“ საქმეს, რასაც პოფკავშირები უშუალოდ ხელმძღვანელობენ. ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს უკანასკნელი პირნმინდად დირექციის „ალტერ ეგოა“,^{*} მისი ზენოლის საუკეთესოდ მონყობილი და მოქნილ-გამოქნილი აპარატი. პროვოკაციული პრივილეგიებით და იძულების მრავალნაირი ხერხებით პროფკავშირები წარმატებით ანხორციელებენ მუშათა კლასის შინაგან რღვევას ფენობრივ დაშლას, სოლიდარობის აღმოფხვრას, კლასობრივ, მოქალაქეობრივ და პიროვნულ კინება-დემორალიზაციას. ნაზუქისა და მათრახის ნაცადი მეთოდების გამოყენებაში მათ ბადალი არა ჰყავთ. მათი აქტიური ხელშეწყობით რუსეთის პროლეტარიატი, ოდესღაც ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლის ვეებერთელა ქმედითი ძალა, დღეს გადაქცეულია სახელმწიფოს მორჩილ მონად, მოშინაურებული საქონლისა და მღრღნელების დეკლარირებულ მასად.

ბოლშევიკურად მოგვარდა აგრარული საკითხიც. მონოპოლისტი სახელმწიფო თავის ნიაღში გლეხობას ვერ მოითმენდა, რომელიც მას უპირისპირდებოდა როგორც საკუთარი სანარმოო საშუალებათა მფლობელი. სწრაფი განვითარების მრენველობას ესაჭიროებოდა ნედლეულის ბაზა და ამ ბაზის შემქმნელი უტყვი სამუშაო საქონელი. ქალაქის ინდუსტრიალიზაციის პარალელურად, სოფლად იწყება განკულაკება-კოლექტივიზაცია ანუ გლეხობის „განთავისუფლება“ სანარმოო საშუალებათა „მძიმე და

* „მეორე მე“, ახლო მეგობარი და თანამოაზრე.

სამარცხვინო ტვირთისაგან". პაუპერიზირებული ნაწილი, ნებით თუ უნებურად, ქალაქს ეშურება და ინდუსტრიალიზაციაში უშუალოდ ებმება, ხოლო უმეტესი შეყრილი იქნება კოლექტივში. სახელმწიფოს გეგმით და კონტროლით მას დაევალება მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა. ნედლეულის ჩაბარება ინარმოებს მონოპოლისტის მიერ დანესებული საარაკო ფასების იძულებითი ნიხრით.

ჯაფისა და შიმშილისაგან ილაჯგანყვეტილი ხალხი მონამლული ბუზებივით ცვიოდა. ცვენის ამ შემზარავ სურათებს საკუთარი თვალით დაუნახავად არაინ დაიჯერებს. მომავალი მკვლევარი, ალბათ, სტატისტიკასაც ვერ მიაგნებს. დოკუმენტებს ისე ჰქმნიან და ისე სპობენ, როგორც ესაჭიროებათ.

ბოლშევიკები აცხადებენ, რომ კაპიტალის პირველადი დაგროვების ეს უბედური ხანა იყო „სოციალიზმის მშენებლობის“ ტკივილები, რომ საბჭოეთი გადაურჩა ევროპა-ამერიკის კაბალას, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ამზადებდნენ, რომ ასე კლასიკურად ჩამოყალიბებული სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემა სხვა არა არის რა, თუ არა სოციალიზმი, რომ სოციალიზმის ეტაპი უკვე განვლილია და (ბრძანების წესით) დღეს საბჭოეთი თურმე კომუნიზმს აშენებს და ა.შ. ძნელია, კაცმა დაიჯეროს ამის მქადაგებელს მარქსიზმის მოძღვრებასთან რაიმე საერთო ჰქონდეს. რა არის აქ უფრო მეტი დემაგოგიის უტიფრობა თუ სიბრყვე და სრული უვიცობა. ამის დადგენა არას მოგვცემს.

ისედაც ჩამორჩენილი რუსეთისათვის ბოლშევიკებს ასეთი უკუქცევითი ნახტომი რომ არ დაედგინათ, საზოგადოებრივი ენერჯიის უდიდესი დაზოგვით იგი მსოფლიოს საერთო წყობაში ბუნებრივად ჩაჯდებოდა და საგრძნობ უპირატესობათა შენარჩუნებით მის ეკონომიკურ და სოციალურ გარდაქმნას დააჩქარებდა. ხოლო შიგნით არა მარტო კაპიტალიზმის პირველადი საფეხურის (ევროპასთან შედარებით გაასკეცებულს) ტანჯვა-წვალებას აარიდებდა რევოლუციაზე ასე უზომოდ გულმინდობილ ხალხს, არამედ კაპიტალისტური წყობილების უმალესი საფეხურის გაუვლელად, ყოველ შემთხვევაში, ძალიან სწრაფი გავლით, უზრუნველყოფდა მსოფლიოს ეკონომიკის სოციალისტურ სისტემაზე რუსეთის სინქრონულ გადასვლას.

რუსული საკითხის სლავიანოფილური „ზაპადნიკური“ ალტერნატივა მარქსს გათვალისწინებული ჰქონდა, მაგრამ ბოლშევიზმით დატრიალებულ ჯოჯოხეთურ კორიანტელს და მის საბედისწერო საგარეო-საშინაო შედეგებს მთელი მოცულობით მაინც ვერ წარ-

მოიდგენდა.

მეტროპოლიამ კოლონიები აწვალა და ანიოკა, მაგრამ სურდა-არ სურდა, თავის ეკონომიკურ ორბიტაში ჩართო და თავისი სანარმოო ურთიერთობა დაუმკვიდრა. სრულიად ველურმა კოლონიებმაც კი თანმიმდევარი ეტაპების გაუვლელად პირველყოფილი თემური წყობილებიდან ეკონომიკური განვითარების უმაღლეს საფეხურზე პირდაპირ შეაბიჯეს.

შედარებით ძლიერ ქვეყნებში ევოლუციის წინ ნახტომი უფრო ხანმოკლე და ნაკლებად მტკივნეული იყო. ისტორიული დროის შემოკლება-მოგების მაგალითი ჯერ კიდევ იაპონიამ მოგვცა, მაგრამ ეს არ ყოფილა მხოლოდ დროის მოგება. შედარებით ღარიბმა იაპონიამ თავის ხალხს აარიდა ბურჟუაზიული რევოლუციების სისხლი და მძიმე დანაკარგები, მით უმეტეს, სრულიად გამორიცხა კაპიტალის დაგროვების საწყისი ეტაპი და მასთან ორგანულად დაკავშირებული აბსოლუტური ექსპლოატაციის სიდუხჭირენი, აგრეთვე აცდენილ იქნა ქვეყნის ევროპა-ამერიკის კოლონიალურ ბაზრად გადაქცევის საშიშროებაც. 30 წელიწადის მცირე მონაკვეთში გონივრული ხესხით, კონცესიებით, უმაღლესი ტექნიკის მიღწევათა გადმონერგვით და, ვიმეორებ, კაპიტალის ყოველგვარი სახის რაციონალურად ფორსირებული იმპორტით იგი გაუტოლდა ცივილიზირებულ სამყაროს და საოცარი სისწრაფით წინ გაუსწრო კიდევ. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ მისი ჯანსაღი, ბრწყინვალე და შეუჩერებელი აღმავლობის სასწაულებისა.

მაშ, რისი უნდა შეშინებოდა თებერვლის რუსეთს, რომელმაც ჩაიბარა უმდიდრესი და ვეებერთელა ქვეყანა, თუკი მიკადას კუნძულებიც კი კოლონიად გადაქცევის ყბადალებულ ხიფათს გადაურჩენ და ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯით დიდ ეფექტს მიაღწიეს. დემოკრატიულ რუსეთს პროგრესული ძალა ხელმძღვანელობდა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში რევოლუციის მებაირალე მუშათა კლასს თავისი ხვედრითი ნონა გააჩნდა.

ვინ მეტი სისწრაფით და ხალხის ნაკლები ტანჯვა-წამებით დაეუფლება სოციალიზმს უდუხჭირესი სახელმწიფო კაპიტალიზმისა და ფსევდოსოციალისტური რეკლამების აცაბაცა საბჭოეთი თუ იაპონია, რომელსაც ეკონომიკური განვითარების დონით მსოფლიოში დღეს მეორე ადგილი უკავია, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მარქსმა ინგლისისათვის გამორიცხა სისხლიანი რევოლუციებისა და პროლეტარული დიქტატურების „გარდაუვალი“ აუცილებლობა. დემოკრატიის თანამედროვე ქვეყნებს მარქსის

დროინდელი ინგლისი შორს უკანა ჰყავთ მოტოვებული.

ენგელსს ტაქტიკური გადაიარაღებისათვის ისეთი, თითქოსდა უმნიშვნელო, მოვლენაც კი სერიოზულ ფაქტორად მიაჩნდა, როგორც იყო პარიზის ქუჩების იმდროინდელი გაფართოება. გამლელი ქუჩა-პროსპექტები დიდ შესაძლებლობას ანიჭებდნენ მძიმე არტილერიის მანევრირებას და რეგულარული ჯარების მწყობრ იერიშებს, რასაც ბარიკადული სტრატეგიისათვის ფასი თავისთავად უნდა დაეკარგა.*

მაშ, რას იტყოდნენ ეს დიდი მოაზროვნენი დღეს, ავიაციის, ატომის ეპოქაში?! მეორე მხრივ, ისეთ მოვლენათა ეპოქაში, როგორც არის, თუნდაც ინდოეთის ნებაყოფლობითი განთავისუფლება, სახელმწიფოთა შინა-გარე საქმიანობაში სოციალისტური, ყოველ შემთხვევაში, კაპიტალიზმის ბუნებისათვის არასახასიათო ღონისძიებათა ძალაუნებური განხორციელება და ა.შ. ჩვენი ეპოქა არის მონიფულ წინააღმდეგობათა შეპირისპირების, დიდაქტიკური თანაარსებობისა და თვითუარყოფის უმძაფრესი ხანა, რომელსაც მარქსი კაპიტალიზმის სოციალისტურ საფეხურზე სისტემაზე გადასვლის გარდაუვალ პერიოდად რაცხდა.

კაუცკი შენიშნავდა, რომ კაპიტალიზმის უმაღლესი განვითარების ქვეყნებშიდაც კი ფეოდალიზმის სოციალ-ეკონომიკური განვითარებანი სავსებით აღმოფხვრილი დღესაც არ არის. მით უმეტეს, კაპიტალიზმის წარმოების ურთულეს პირობებში კაპიტალიზმი ერთი დაკვრით ვერ მოისპობა, ვერც დეკრეტებით, ვერც ტერორით და თუგინდ სიამტკბილობითაც კი. რევოლუციური სიფიცხის გრადუსებს ეფექტისა და ტემპების მაჩვენებლად ბოლშევიკების პრიმიტიული აზროვნება თუ მიიღებს მხოლოდ. რას ინვევს ხელოვნური დაჩქარების დიქტატურები, ამაში „სოციალისტური“ სექტორის ქვეყნები საკუთარი გამოცდილებით გათვითცნობიერდნენ.

მსოფლიო სარბიელზე სლავიანოფილური მესიანიზმის „რევოლუციური“ იერიშობანა (რაც სახელმწიფო კაპიტალიზმის იმპერიალისტური ბუნებით არის განპირობებული) ძალიან ნააგავს ვოროშილოვ-ბუდიონის კავალერიის იერიშობანას გერმანიის მოტორიზებული არმიისა და ტანკების წინააღმდეგ. იგი ძვირად დაუჯდა ხალხს და პირადად ვოროშილოვსაც. იდეოლოგიური „ეო-

* ენგელსის წინასიტყვაობა მარქსის ნაშრომისათვის „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“ (რიაზანოვის გამოცემა).

როშილოვშჩინის" გადაყენებას მოსკოვ-პეკინი არ აპირებს, პირიქით, დოგმატიკურმა კაზუსტიკამ თუ იმპერიალიზმის სიაფთრემ ჩვენი დროის რომი და კონსტანტინეპოლი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთს დაუპირისპირა. ალბათ, ესეც დიალექტიკის ოინბაზობად უნდა ჩაითვალოს.

იმპერატორს, სულთან-ხანების მემკვიდრეს და იმპერიალიზმის გაუმაძღარ ვეშაპს არ ესმის და ხელსაყრელიც არ არის უკვე შეისმინოს, რომ სოციალისტური რევოლუცია, როგორც საზოგადოების ძირფესვიანი გარდაქმნის პროცესი, ჩვენი ურთულესი ეკონომიკის, სოციალ-პოლიტიკურ და კულტურა-ტექნიკის განვითარებაში სრულიადაც არ არის პირისსხლიანი ძალმომრეობის, სულისა და ხორცთა გლეჯის ატრიბუტების აუცილებლად შემცველი ნება-ფენომენი და არც ორიოდ ათეული წლის ნაუცბადევი საქმე-საზრუნავი.

აღმოსავლეთის რომელიღაც მბრძანებელმა ლაკონიის მეფეს ულტიმატუმი გაუგზავნა. იგი უთვლიდა: თუ ჩემს ლეგიონებს დაეძრავ, თუ შემოგისევ, თუ დაგამარცხებ ჩემს რისხვას ვერ გადაურჩებიო. ლაკონიის მეფემ ერთი სიტყვით უპასუხა: „თუ!“ სწორედ ასეთი „თუ“ მიესადაგება ბოლშევიზმის უტიფარ იერიშებს. რის გამო დაუცდის ბურჟუაზია, რომ რუსული სტილის დიქტატურები თავზე დაათეხონ და თვითონვე არ დაასწრებს ამის გაკეთებას? თანამედროვე ტექნიკა (გვულისხმობ სამხედრო ტექნიკას) და მისი გამოყენებისათვის (სულ მცირედაც საკმარისი) ტექნიკური ინტელიგენცია მის სამსახურშია. დიქტატურა დღეს ხელსაყრელია მხოლოდ მონოპოლისტური და იმპერიალისტური კაპიტალიზმისათვის.

სადაც ბოლშევიზმმა დემოკრატია შეუტია, ძალით თუ მოტყუებით ხელისუფლებას დაეპატრონა, თავისი გამრყენელი, მძვინვარე დიქტატურა სახელმწიფო კაპიტალიზმის ტოტალიტარულ ზედნაშენად დააფუძნა. სადაც დამარცხდა, იქაც იგივე სისტემის უფრო მძაფრი ფორმის ზედნაშენი განაპირობა (ესპანეთი, გერმანია, იტალია და ა.შ. საბერძნეთი რიგში დგას). ორივე შემთხვევაში შეაფერხა, გაართულა და მტკიცენული გახადა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდი.

განვითარებული დემოკრატის ქვეყნებში სისხლიან რევოლუციებზე და ბლანკისტურ დიქტატურებზე მუშათა კლასის ორიენტაცია სოციალისტური მოძრაობის კრიზისს გააღრმავებს და, შესაძლებელია, დიდ საკაცობრიო კატასტროფაშიც გადაიზარდოს.

მუშათა კლასს ყოველთვის ხელთ უნდა ჰქონდეს ეპოქის შე-

საბამისი იარაღი. ამას გვიკარნახებს მარქსისტული მოძღვრების დედააზრი და ამავეს იმეორებს მწვავე კატეგორიულობით დღევანდელი დღეც. პროლეტარიატის საწარმოო და რიცხოვრივ უპირატესობას, გადამწონ-გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ დემოკრატია ანიჭებს. მაგრამ ლაკონიურ „თუ“-ს პირუკულმაც შეატრიალებ, თუ პროლეტარიატი დემოკრატიულ სისტემას შეინარჩუნებს. ამოცანაც იმაშია, რომ დამკვიდრებული დემოკრატია, როგორც კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე ფორმა, მთელი ძალ-ღონით დავიცვათ. ინგლისის სახელმწიფო წყობილება, მაგალითად, უმტკიცესია და მარჯვენა თუ მარცხენა ექსტრემისტული ავანტიურებისაგან უზრუნველყოფილი.

მუშათა კლასი დღეს იგივე არ არის, რაც გუშინ იყო. მარქსი კატეგორიულად უარყოფდა ლენინის მიერ ამოჩემებული შიმშილისა და სიღატაკის მარევოლუციონებელ მნიშვნელობას, რასაც იგი აჯანყების ფაქტორად რაცხდა. შედარებით მატერიალურად ძლიერი პროლეტარიატი დღეს მტკიცედ, ცნობიერად იცავს თავის ინტერესებს და არანაკლები წარმატებით იბრძვის ქვეყნიერების გარდაქმნისათვის. ისტორია მის ნისქვილზე ასხამს წყალს. ბურჟუაზიული სამყაროს წინააღმდეგობათა ხლართები ინენება და ინასკვება... მოგება ზედმეტი ღირებულების დაგროვებაა. იგივე მოგების ინტერესები რეალური ხელფასის ზრდას აპირობებს. ინგლისში ნახშირის მოპოვებითი მრეწველობის ნაციონალიზაცია პატრონებისათვის მისაღები და უფრო სარფიანი აღმოჩნდა. ამერიკაში ქველმოქმედებას საარაკო გასაქანი აქვს. კეთდება უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმენი და თურმე, ნუ იტყვით, ფილანთროპიით შემოსავლის შემცირება ხელსაყრელად ამცირებს სახელმწიფო გადასახადის განაკვეთებს (გრანდიოზულია, მაგალითად, რუზველტის პროგრამა). ნორვეგიაში უკანასკნელი ციხის გაუქმების რომელიღაცა წლისთავი იდღესასწაულეს. უმუშევრობის დასაძლევად ამერიკაში ქალაქებს აშენებენ. უმუშევრების გამოყენებით მრეწველები ხელფასის დაწევას ვეღარ ახერხებენ. თოთო ბავშვების მოვლა-ზრუნვის 80% განსაზოგადოებულია და მეტწილად უსასყიდლოა. ინგლისში ნაციხარ-ნაძირალასაც კი მოხუცებულობის პენსია უზრუნველყოფილი აქვს. ტოტალიტარული სოცდაზღვევა, შრომის დაცვის კანონები და ღონისძიებანი, ნებით თუ უნებურად, კლასობრივი ეგოიზმის საწინააღმდეგოდ ხორციელდება. მსგავს მოვლენათა ჩასათვლელად დიდი თაბახე-ბია საჭირო.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სოციალიზმი არ არის, მაგრამ იგი

უკვე აღარც კაპიტალიზმია. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი ციხის გაუქმების ზეიმი უფრო ახლოა სოციალიზმთან, ვიდრე „სოციალისტური სამოთხის“ სალაგერო ქსელის დასაიდუმლებული მაჩვენებლები.

მეტროპოლიების მიერ კოლონიების გეგმაზომიერი განთავისუფლება „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ სპეციალური მეთვალყურეობით ხდება. მარქსი და ენგელსი არ დაიჯერებდნენ, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები თავისი ეროვნული შემოსავლის ერთ პროცენტს სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის გამოყოფენ, რომ მრავალ შემთხვევაში ყოფილი კოლონიები თავისი მეურნეობის განვითარებისათვის კაპიტალს აუნაზღაურებლად იღებენ.

„ერთა ლიგა“ შემთხვევით არ წარმოშობილა და სწორედ ამიტომ იგი კვლავ აღდგა უფლებაუნარიანობის და ქმედობაუნარიანობის საგრძნობლად გაფართოებული ბაზით. აფრიკა-აზიისა და სხვა კონტინენტების დიდ-პატარა ქვეყნებად ეროვნული დიფერენციაცია, ქონდრის რესპუბლიკები, ისრაელის წარმოშობა, როგორც საერთაშორისო ნების აქტი, ინდოეთი, როგორც ინგლისის შიდა სახელმწიფოებრივი აქტი, სუსტად განვითარებული სახელმწიფოების დახმარების სტატუსები, ზესახელმწიფოებრივი სანქციები, ჯარი, ნიურნბერგი და მრავალი სხვა საერთაშორისო ვითარების კანონზომიერ ტენდენციებს ავლენს და ამტკიცებს.

საოცარი სისწრაფით ამოქმედდნენ ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალები, იმლებიან და ორგანულად ერთდებიან ქვეყნები. ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, იუგოსლავია, ალბანეთი და სხვა მრავალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულები ჩვენ თვალნინ წარმოიშენენ. დიდი ბრიტანეთი, ავსტრია-უნგრეთის უნია, საფრანგეთი, გერმანია და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩვენ თვალნინ დაიშალნენ თავიანთ შემადგენელ ნაწილებად და კვლავაც აგრძელებენ უცხო სხეულთა გამოყოფას. ეროვნული საზღვრები სახელმწიფოებრივი საზღვრებისაკენ მიისწრაფვიან, სახელმწიფოებრივი -- ეროვნულს ებჯინებიან, რომ წარმოშვან ერთიანობის ახალი ფორმები: ზესახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საერთაშორისო ინსტიტუტები, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მრავალი სახის ასოციაციები, ევროპის საერთო ბაზარი და სხვა, რომელნიც ცალკეულ სახელმწიფოებს თავიანთი უზენაესი ორგანოების იურისდიქციას უმორჩილებენ. ყოველივე ეს და ნაპოლეონის მიერ ჩაფიქრებული, ამჯერად დროის მიხედვით განახლებული, მკრთალი და შორეული პერსპექტივა ევრო-

პის ფედერაციისა ჯერჯერობით სუსტი, მაგრამ, ვიმეორებ, საკმარისად მანიშნებელია ჩვენი ეპოქის ძირითადი ტენდენციებისა და მათი მეტ-ნაკლები ღირებულებითი ხორცმესხმისა.

დიფერენცია-ინტეგრაციის პროცესები, ხან გრანდიოზულად მასშტაბური, ხან ემბრიონალური და ოდნავ შესამჩნევი, ზოგჯერ სტიქიური, ზოგჯერ როგორც შეგნებული აუცილებლობა ჩვენი ცივილიზაციის ახალი სიტყვაა. იგი არ უთქვამს ჩვენთვის დღემდე ცნობილ არც ერთ ცივილიზაციას.

დასავლეთ ევროპაში სადღეისოდ ეს პროცესები საზოგადოებრივი ენერჯის არამწარმოებლური დანახარჯების საგრძნობი შემცირებით მიმდინარეობს. თუმცა ჯერ კიდევ გუშინ ჩვენ მონმენი ვიყავით მისი უკანასკნელი იქთიოზავრის აგონიისა, რითაც თვალსაჩინოდ დამტკიცდა, რომ იგი განწირული რეციდივია, უღელური ნაბოლარა, პათოლოგიურად მახინჯი ანაქრონიზმი.

თქმა არ უნდა, არც ეს პროცესებია სოციალიზმი, მაგრამ იგი აღარც კაპიტალიზმია. ყოველ შემთხვევაში, ეს მოვლენები უფრო ახლოსაა სოციალიზმთან, ვიდრე კრემლის დაუფარავად იმპერი-ალისტური ზრახვანი და მიღწევანი.

აღმოსავლეთ ლევიათანის წიაღში ეროვნულ სიმბიოზ-ანაბიოზის მოლეკულარული პროცესები შინაგანად ბევრი ხანია დასრულდა. მაჯლაჯუნა „თიხის ფეხება ბუმბერაზი“ არქაული ფენომენია, რომელიც ინერციით განაგრძობს არსებობას. ერთი ბიძგი და მექანიკური ხუხულა თავის შემადგენელ ნაწილებად დაიშლება. სწორედ ამის პანიკური შიში ბორკავს ყოველგვარი სჯულის ოპოზიციონურ აგრესიას. მათ კარგად იციან კრემლის ერთი აგურიც რომ შეანძრიო, რუსეთის იმპერია, მედიდურად მესიანისტური და უტიფრად იმპერიალისტური, დაიმსხვრევა და ან უკვე სამარადისოდ.

მაქსიმ გორკიმ საბას „სიბრძნე სიცრუისა“ წაიკითხა და თქვა: მსგავსი უგნურების წიგნი არ მინახავსო („მოი უნივერსიტეტ“). ჩემთვის საუნჯე მისთვის ნაგავია! არ ვედავები. ზოგს „დომოსტროი“ ეროვნულ ძეგლად გააჩნია, ზოგს „სიბრძნე სიცრუისა“. ქართველს ხახულის ხატი მოუჭედავს, „უფროს ძმას“ იგი ნაკუნ-ნაკუნ უგლეჯია, ბაზარში გაუტანია და ხელოვნების უბადლო ქმნილება სასაქონლო ფასეულობის ლითონ-თვალ-მარგალიტად გაუყიდა. იმდენად გაზულუქებულნი არიან ეროვნული მედიდურობით, რისთვისაც რომის იმპერიას კი გააჩნდა საფუძველი, ხოლო რუსეთს არავეითარი, რომ უდავოდ დიდმა მხატვარმაც კი თავი არ შეინუხა, „სიბრძნე-სიცრუის“ სიავეკარგეს დაჰკვირვებოდა.

„შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ დიადი ბუნება ამ ქვეყნისა, რომანტიკული სირბილე მისი ხალხისა, აი, ეს ორი ძალა მამლევდა ბიძგს, რომელმაც მოხეტიალე ბოგანო ლიტერატორად მაქცია“,

ნერდა მაქსიმ გორკი. 1921 წელს პროლეტარ მწერალს, მარქსისტულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეს ნარბიჯ არ შეუხრია, როდესაც კრემლის ურდოები ყიზილბაშურად შემოესივნენ „დიადი ბუნების ქვეყანას“, რომელსაც სათავეში ედგა „რომანტიკული ხალხის“ თავისუფალი ნებით არჩეული მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული მთავრობა. არც სისხლის ნიაღვარს აუღლელებია გორკი, როდესაც 1924 წელს ნითელი იმპერიალიზმის ჯვალათებმა აჯანყებული საქართველო ერთიან სასაკლაოდ გადააქციეს. პირ-მოდენე, მზაკერული სიჩუმით ხვდებოდა იგი საზღვარგარეთ გამო-ქვეყნებულ ამ სასაკლაოს შემონმებულ დოკუმენტებს.

ჭიათურიდან, მუშათა ქალაქიდან, მატარებლით წაიყვანეს 250 გაუსამართლებელ პატიმართა ერთი პარტია. იქ უდანაშაულოც, შემთხვევით მოხვედრილიც ბევრი იყო. მთავრობის რწმუნებულ ბადრავს ტყვეები მინდობილად მიჰყვებოდნენ. აბა, ვინ იფიქრებ-და, რომ „მალალი მოქალაქეობრივი ღირსების რეკოლუციური“ ხელისუფლება ვაგონებშივე ამოყლეთდა საქმის გამოსაძიებლად წამოყვანილ პატიმრებს?! ეს მოხდა ჭიათურა-შორაპნის რკინიგ-ზაზე. პატიმრების ძვალ-რბილი, სისხლი და ტვინი ერთმანეთში აირია და აიზილა... ვაგონები დანვეს. მათი განმენდა შეუძლებელი აღმოჩნდა.

დახვრეტილთა უზარმაზარი ორმოები... სასწაულით გადარ-ჩენილი, ცოცხლად დამარხულები... მიუხედავად სიკვდილის ში-შისა ხალხმა მაინც შეიფარა ისინი, უმკურნალა, ფეხზე წამოაყენა და საზღვარგარეთ გააპარა. მათი მონაყოლი საბჭოური „ბაბიი იარების“ დაუჯერებელი სინამდვილეა... ერთი ზესტაფონელი დამ-ამახსოვრდა (გვარი დამავინყდა). თავ-პირ დასისხლიანებულს, ნახ-ევრად გაგიჟებულს ღამით უცხო გლეხის ოჯახისათვის მიუგნია. ბორკილზე ჩამოკიდებული ჰქონია იდაყვი გადაღრღნილი კაცის ხელი. პატიმრები ერთმანეთზე ჯაჭვებით ყოფილან გადაბმულნი. ტყვიას პირველი მოუკლავს, მეორე გადარჩენილა. როცა გონს მო-სულა, გვამისაგან რომ განთავისუფლებულიყო, დახვრეტილი ადა-მიანის ხელი კბილებით უგლეჯია და ორმოდან ასე ამომძვრალა. ვინ იცის, უფრო ღრმად ორმოში კიდევ რამდენი იყო ისეთი, საკუ-თარი კბილებით ამხანაგის იდაყვი რომ ვერ გადაღრღნა და მეორე მონამებრივი სიკვდილი ან უკვე მინის ქვეშ დახრჩობით რომ განი-ცადა...

რომელი ერთი უნდა ითქვას?! მრავალ დოკუმენტურ ანგარიშს ეცნობოდა მაქსიმ გორკი კუნძულ კაპრის ნებიერ ყოფაში, მაგრამ... როგორც გინდათ, რაც გინდათ, ოღონდ შენარჩუნებულ იქნას „ედინაია, ნედელიმაია, ბესკრაინაია რუს“...

ასე იყო გუშინ, ასე არის დღესაც, მხოლოდ უფრო მეტი თავახსნილობითა და ცინიზმით. საკმარისია გავიხსენოთ მოთვინიერებული-დაამებული შულგინის ჩამობრძანება და მასთან შეხმატკბილებული „ლიტერატურნაია გაზეტას“ პირმოხეული აყვადება მცირე ერების ენათა „კანონზომიერი კედომის“ შესახებ უკვდავი რუსულის სასარგებლოდ. „ისტორიული კანონის“ აღმოჩენა პოეტ გამზათოვს არ მოეწონა. უმადურმა შეუღრინა კიდევ „უფროს ძმას“, რომელიც რუსული ხელგაშლილობით საკუთარ ენასაც არ იშურებდა, რათა „უმცროსი ძმები“ სრული დამუნჯებისაგან ეხსნა... სხვა „უმცროსების“ კარის მწერლებმაც იუკადრისეს უკვდავი ენის დასესხება ხანდაზმულობისაგან ილაჯგამოცლილი მშობლიური ენის სანაცვლოდ. მიჩუმათებული ბუზღუნით ისტორიის წინაშე მოიბოდიშეს, აქაოდა, ილიაობა ჩვენც შეგვიძლიანო, მაგრამ არც ისეთი სულელები იყვნენ, საქმე წინამურამდე მიეყვანათ (ახალი ავეჯის გამოსახსნელად ერქარებოდათ).

შულგინებიც „რუსული საქმის“ დახელოვნებული ოსტატები არიან. თუ სიტყვა არ გაჭრის... „დომოსტროი“ რისი მაქნისია?! ჯალაბობა ყოველ პარასკევს გაამათრახე, ვინძლო ურჩობა არ შეეპაროსო! უთქვამს ამ დალოცვილ წიგნს. ნაზუქზე განუნკებულს მათრახი რომ უხდება, ეს ყველამ ვიცით.

დამონებული ერების ყველფა-ლლეტას საბჭოური რუსეთი აბა, რას დასჯერდება? იგი ხომ ბურჟუაზიული ინგლისი არ არის?! სულიერ-ხორციელად გათქვეფა და თავის დიდ მუცელში მონელება კრემლის პარტიული პროგრამის და პრაქტიკული საქმიანობის შეუნიღბავ, აქტუალურ მიზანსწრაფვად იქცა.

ასეთია ტოტალიტარული სისტემის ლოგიკური ევოლუცია მაშინაც კი, როდესაც მისი გამოსავალი პრინციპები ამ ლოგიკის საპირისპიროა.

ინგლისი საბჭოეთის ანტიკოლონიალური ლოზუნგებით არ ენაწყლიანობს, მაგრამ მისმა ცივილიზაციამ, დიდმა სახელმწიფოებრივმა კულტურამ აუცილებლობასთან შეგუება-შერიგება უკარნახა და გუშინდელმა ზვიგენმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, ბურების ჯალათმა ინდოეთს დამოუკიდებლობა მიანიჭა და ნებაყოფლობით დღესაც აგრძელებს თავისი სხვა წვრილი კოლონიების თანდათან განთავისუფლებას.

ასეთია დემოკრატიული სისტემის ლოგიკური ევოლუცია მაშინაც კი, როდესაც მისი ამოსავალი პრინციპები ამ ლოგიკის საპირისპიროა.

დროის გარდაუვალ მოთხოვნილებათა გაგება და ანგარიშის გაწევა მის მატარებელს საკუთარი ისტორიის შესაჭობას უმკვიდრებს, რის შესახებაც ეგზომ მრავალი უთქვამს მარქსსაც და ენგელსსაც, მაგრამ უძღვებ სიხარბეს ბოლშევიზმის უმცირეობა სადავეს ვერ გამოუნახავს და ამიტომაც მის სვე-ბედს თვითონ ისტორია გადაჭრის. ამაშია ბედისწერის უღმობლობა აუცდენელი, ვითარცა ბედისწერა ოიდიპოსის ტრაგედისა.

რუსეთს ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი, ეროვნული საკითხი მოეგვარებინა თავისი და მის შემადგენლობაში მყოფი დაპყრობილი ხალხების ურთიერთსასარგებლოდ, მაგრამ ასეთი ამოცანისათვის იგი მეტად ველური აღმოჩნდა. საოცარი ფატალური სიბეცით ლენინმა მოამზადა რუსეთის ნგრევის კატასტროფა, რაც დღეს უკვე დროის საკითხს წარმოადგენს.

გენეტიკას ტაბუ დავადეთ, ლისენკოსაგან ჭკუა ვისწავლეთ, მიჩურინისაგან შეჯვარება-გადანერგვის ოსტატობა და ჩვენი ტექნიკის პირობებში, აბა, ვის გაუჭირდებოდა კენიგსბერგელების ტოტალური გასახლება და კალინინგრადელების ასეთივე ტოტალური ჩასახლება. თუ არას ვიტყვით ჩეჩნებზე, ქისტებზე, ყირიმელ თათრებზე, მესხეთის ქართველებზე და სხვ. თუ რამდენიმე სოფლის ანიოკებას არ გავუხსენებთ, რომანოვებს ასეთი გამბედაობა არ გამოუჩენიათ. მადა მათაც ჰქონდათ, ძალი-ძალასაც მოახერხებდნენ, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს პროტესტის და წინააღმდეგობის უნარი გააჩნდა... „პოგრომშიკები“ ამას ანგარიშს უწევდნენ.

„ინოროდცების“ მიმართ თვითმპყრობელობის მგლურ სიტყვასაქმეს ხალხის ერთობა-გამტანობის სულისკვეთება აღიმიტებდა და ყველას სჯეროდა — მისი დამხობით ეროვნული სამართალიც გაიმარჯვებდა. მაგრამ რუსეთმა იმედი არავის გაუმართლა, ყველა მოტყუებული დატოვა და სამუდამოდ ნდობაც დაკარგა. ყველა მიხვდა — იმპერიალიზმში მხოლოდ თვითმპყრობელობის ავი სენი არ ყოფილა და დღესაც, გრიგოლ ლორთქიფანიძის ხატოვანი სიტყვა რომ გავიმეოროთ, „უფროს ძმას“ ისე უყვარს „უმცროსი ძმები“, როგორც მშვიერს — პური.

დღეს, უსასტიკესი პოლიციური რეჟიმის, სიტყვის აკრძალვის, სიყალბის, მოტყუების, „ველიკოდერჟაველი“ გაიძვერობის პირობებში, ყველა ყველას დაუპირისპირდა და საყოველთაო ეროვნულ-

მა შულმა ყველა პირნიდან დაგესლა. „პოგრომშიკების“ სისინს დიდი გასაქანი მიეცა. საზოგადოებრივი აზრის სამარცხვინო ბოძზე მათ არავინ გააკრავს. ბრძოლის ინტერესები არავის აერთებს, ნება-აზრისაგან გამოშიგნულ ხალხს ბრძოლის უნარიც პარალიზებული აქვს... დამპყრობელი გრძნობს – მისი ანდერძის ამგები დაპყრობილი ერები იქნებიან და ეს უკანასკნელნიც კარგად ხედებიან უკეთუ დამპყრობელი ერის აქტივიზაცია მოხდა, იგი მათ სანინალმდეგოდ იქნება მიმართული.

დაპყრობილ ერებს რუსები სძულთ დაუნდობელი, ბოროტი სიძულვილით და ასეთივე დაუნდობელი, ბოროტი სიძულვილით სძულთ რუსებს ყველა დამონებული ერი. ეროვნული შულლის ეს უმძაფრესი ატმოსფერო არის ბოლშევიზმის ერთ-ერთი უდიდესი „მიღწევათაგანი“, მისი შავრაზმული არსების და შავრაზმული პოლიტიკის საბედისწერო ნაყოფი, მეტად სავალალო და სახიფათო რუსებისათვის და, ვფიქრობ, არა ნაკლებად დაპყრობილი ერებისათვის. მაგრამ სიძულვილი იარაღად არავის გამოდგომა. ამაზე დაფიქრება განსაკუთრებით რუსებს მართებთ. კოლონიალური ფსიქოზის დაძლევა, რომელსაც კრემლი ასე მოურიდებლად აღვივებს, არცთუ იოლი საქმეა, მაგრამ იგი ძირითადად უძირითადესია.

ქართულ ზღაპარში ჩიტუნამ მეფის ცხვირწინ მარგალიტი იპოვა და მხიარულად აჭიკჭიკდა: „მე რაღაცა მაქვსო, მეფეს არა აქვსო!“ როცა მარგალიტი წაართვეს, გულგატეხილმა ჩიტუნამ მეფეს დასცინა: „შეშურდა და წამართვაო“. როცა დაუბრუნეს: „შეშინდა და მომცაო“. მეფემ ონავრის შეწვა და საუზმედ მირთმევა ბრძანა. ჩიტუნამ ტაფაზე დაამლერა: „მციოდა და გავთბიო“. არც მეფის კუჭში მოუსვენებია: „ნათელს ვიყავ, ბნელს ჩავედიო“. მეფემ დოსტაქარს უხბო. სტომაქიდან უენელად ამოფრენილმა ჩიტუნამ მხიარულად შემოსძახა: „ეს რა უქნეს მეფესაო, კუჭი გაუხეთქესაო!“ და მშვიდობით იგი უკვდავი თავისი ბუდისაკენ გაფრინდა. ალბათ, ნატურისთვალის თან გაიყოლა. სიცოცხლეში მეფემ ცხვირწინ ვერ მიაგნო მარგალიტს და კუჭგაფხრენილს კი... თუმცა თავის ბედზე თვითონვე იფიქროს. გერმანიის მაგალითი წინა გვაქვს.

ოცინი წლების მინურულში იოფემ დევნასა და მარნუხებს ველარ გაუძლო, დუხჭირ სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინა და საბოლოოდ ცოლ-ქმარ ლაფანგების ნათქვამი გაიმეორა: თავს ვიკლავ, მაგრამ მჯერა, თუ ჩვენი პლანეტა გაინირა, სხვა პლანეტებზე შევძლებთ გადასვლას და სოციალიზმს მაინც განვახორციელებთო.

ვერას იტყვი, ნათელი ოპტიმიზმია. მაგის გამართლებად, მათ მიერ შექმნილი ჯოჯოხეთის გამართლებად, ნათელი მრწამსი რომ ვერ გამოდგება და ხალხის წინაშე რომ პასუხისმგებლობას ვერავინ მოიხსნის, თვითმკვლელს დროზე უნდა ეფიქრა.

არის ჰიპოთეზა, რომ ჩვენზე მაღალი ცივილიზაცია კოსმოსურ კატასტროფაში ჩაიღუპა. მომავალი ბნელია და შეუცნობელი და, ეფიქრობ, არ უნდა ექმნიდეთ ისეთ მყოფადს, რომელიც ხვალის რწმენის თავდადებულ მებრძოლსაც კი თვითმკვლელობამდის მიიყვანს. მერმისისათვის შრომისა და ბრძოლის მძიმე ტვირთი თაობებზე სამართლიანად უნდა ნაწილდებოდეს, ერთი თაობა მეორეს ასე უღმერთოდ არ უნდა ეწირებოდეს, მით უმეტეს, რომ ჩვენს ცივილიზაციას გააჩნია ყველა საშუალება — აღთქმის ქვეყნისათვის სულიერ-ხორციელი დანახარჯი შეამციროს და ნაკლებ დროში უმეტესი გააკეთოს. ასეთი უნდა იყოს ამოსავალი ნერტილი საზოგადოებრივი ენერჯის სწორი, რაციონალური და სამართლიანი გამოყენებისა, უკეთუ ამას ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებსაც დავუმატებთ, თუ არა და ატომის ეპოქაში ჩვენი ცხოვრება ნაღმებით კოჭობანას თამაშს დაემგვანება.

ამ საფრთხის რეალობა უკვე ბევრს სერიოზულად აფიქრებს. ვგონებ, მეტისმეტი გულუბრყვილობა არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ არც იმდენად შორს უნდა იყოს ის დრო, როდესაც სისხლიან რევოლუციებს, სამოქალაქო და საერთაშორისო ომებს კაცობრიობა ისევე იუცხოვებს, როგორც პოტენტოტების კანიბალიზმს ეუცხოობთ ჩვენ დღეს. არსებობისათვის ბრძოლაში პირველყოფილი წინაპარი მოძმის ხორციით ძლება და ამ გაძლომით წარმოქმნილი ენერჯია მოძმის უფრო ეფექტური გამოყენებისაკენ უბიძგებს. დღევანდელი მრავალი სახის მოდერნიზებული კანიბალიზმით გამოწვეული განვითარების ძალები კანიბალიზმის, როგორც შემაფერხებელი და შეუფერებელი წინააღმდეგობის უარყოფისაკენ მიიმართებიან. ატომი ხელთა აქვთ იმპერიალისტებს და... პარასკევია დღეს-აო. ომით წარმოქმნილი სამხედრო ტექნიკის განვითარებამ ომის უკუგდების, კანონგარეშე დაყენების საკითხი დასვა. ცალკეული აკრძალვების პალიატივები საქმეს არ შველის, დღეს თუ ხვალ ეს ყველასათვის აშკარა გახდება, თუ არა და, როგორც ითქვა, ჩვენი პლანეტის განადგურებაც ხელთა გვაქვს. „ტერციუმ ნონ დატურ“.

თუ ბოლშევიკების დემაგოგიას არ დაუუჯერებთ, ბურჟუაზიული სამყაროს გაიდვალვას არავინ აპირებს, მაგრამ დოვლათის გაუგონარი დაგროვება, მეცნიერება, ტექნიკა, ლეგალური მოქმედების მასობრივი ორგანიზაციები და სხვა ხელსაყრელად

აპრობებს შიმშილის, სიღატაკის, უმეცრების, უსამართლობა-უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლას, ყველგან და ყველგან ასტიმულირებს სულიერ და ნივთიერ აღმავლობას განვითარების ინტენსიფიკაციისა და ექსტენსიფიკაციის მიმართულებით. იზრდება და მრავლდება ყოველგვარი სახის და ძალის კოოპერაცია. სულ უფრო და უფრო ძლიერდება სახელმწიფოს საზოგადოებრივი მომსახურების ფუნქცია, სახელმწიფოს იძულება ზენოლის ფუნქციის შემცირება-შეკვეცის ხარჯზე. დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას იხვეჭს და ფართოვდება მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის ლეგალური ასპარეზი და მით უფრო მეტი ამ ბრძოლის პოზიტიურ-კონსტრუქტიული მიღწევანი.

ბურჟუაზიის ლოიალობა ამ სახის პროგრესიული საქმიანობის მიმართ ძირითადად მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ჰეგემონიის შენარჩუნებისათვის არის გამიზნული. დე, ასეც იყოს და ასეც არის, მაგრამ ფაქტია, რომ კაპიტალისტური სამყარო იძულებულია მიმართოს თავისი ბუნებისა და წყობილების ნიშანდობლივად თვითლიკვიდაციის ღონისძიებებს. ყველა საჭირობოროტო საკითხი ხალხის სერიოზული ყურადღებისა და ჩაკვირებული ბრძოლის საგანი ხდება. ამას ფართოდ ემსახურება პრესა, კრება, პარლამენტი, არჩევნები და, რა თქმა უნდა, საცა ბრძოლაა, იქ გამარჯვებაც არის. ასეთ პირობებში თვით დამარცხებასაც კი თავისი მარგებელი მნიშვნელობა გააჩნია. იგი ხშირად ძალთა მეტი მობილიზაციის საშუალებად იქცევა ხოლმე და, თუ რა ემართება სხეულს, სადაც სწეულებანი ფარულად შიგნით ვითარდებიან, საბჭოეთმა ეს თვალსაჩინოდ ყველას დაანახა.

სულისშემბუთავმა დიქტატურამ, მონოპოლისტი სახელმწიფოს შეუზღუდავი ექსპლოატაციის სისტემამ საზოგადოებრივი ცხოვრების და შრომის პირობები აუტანელი გახადა. როგორც ყოველთვის, განუკითხაობას თან მოჰყვა ხელისუფალთა ბიუროკრატიული ქსელის კორუფცია, ექსპლოატატორთა და, ბუნებრივია, ექსპლოატირებულთა ხრწნა და ზნეობრივი განადგურება. საყოველთაოდ ყველა გაჯიბგირებულია: ავტორიტეტული კაბინეტების დიდ-პატარა მეუფენი დამოუკიდებლად დარგისა, მაღალი და დაბალი პროფესიის მუშა-მოსამსახურენი, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის რჩეული გამგე-რწმუნებულები, დარაჯი, მეეზოვე, ფეხსაცმლის მწმენდავიც კი და ა.შ. მტაცებლების თარეშს საზღვარი არა აქვს, არც მღრღნელები ჩამორჩებიან უკან. თუ ხელმოსაკიდი ვერა ნახეს რა, სამუშაო დროს მოიპარავენ და ექსპლოატაციით მიტაცებულს მაინც ვერ აინახლაურებენ. იატ-

აკქვემ ჩაძვრა და ფესვი გაიდგა ნაძარცვ-ნაოხრალმა, ქურდობა-მექრთამეობის კერძო კაპიტალმაც. ნაწიმიარი სოკოებივით ჩნდებიან და იზრდებიან მიყრუებულ-ნაყრუებულ ჩრდილებში სარფიანი ნამონყება-ნარმოებანი. დღეს უკვე არა ერთ და არა ორ ათასეულ საბჭოთა მილიონერს დაითვლი, რომელნიც თითქმის რომ დაუფარავად მოღვაწეობენ და ასევე დაუფარავად ტკბილ ცხოვრებას ენევიან. ფუფუნება სისხლის სამართლის ქრონიკა. ციხე-ლაგერების ტევადობა მზარდ მოთხოვნილებას ველარ აკმაყოფილებს, ხოლო პასუხისგებას აცდენილ ბოროტმოქმედთა რაოდენობა ციხის კონტიგენტს გაუსწრებს. ზევით-ქვევით ყოველივე ნათლად იხედება, მაგრამ... მეტასტაზების მკურნალობა თავში არავის მოუვა. ქვეყანას ავთვისებიანი უკურნებელი სენი სჭირს... გასაიდუმლებული. 1933 წელს ეორონეჟის ციხეში პარტახტიანი ტიფი გავრცელდა. მას იხსენიებდნენ 2 შიფრით... დუმს პრესა, თეატრი, კინო, სხდომა, ყრილობა... ყველა უსიტყვოდ შეთანხმებულა. ავადმყოფმა არ უნდა იცოდეს თავისი უკურნებელი სენის შესახებ. ამბობენ, ამ საკითხში მედიცინამ აზრი სანინალმდეგოდ შეცვალა. მდგომარეობა უკეთესი აქვს. იგი მკურნალია და არა უბედურების მიზეზი.

უალრესად რთული და საჭირობოროტო საკითხების ასეთი ზერელე თვალის შევლება არცთუ კარგი საქმეა, მაგრამ არ მქონია პრეტენზია, ჭეშმარიტების სიტყვა დამესაკუთრებინა. ცხოვრების ძირფესვიანი გარდაქმნის პროცესი და მისთვის ბრძოლა უნიფიკაციას არ ემორჩილება. არც დემოკრატია ჩაითვლება ყველა გარემოს, მდგომარეობის და გაჭირვების პანაცეად. ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხე-მხარეში გარდამავალი პერიოდის მოვლენები სხვადასხვა სირთულით და სიმწვავეთ აღინიშნება. ამოცანა იმაშია, რომ ეს სირთულე და სიმწვავე ოპტიმალურ შემცირებამდე დავიყვანოთ და, რაც შეიძლება, ნაკლებად სატანჯველი გავხადოთ ადამიანისათვის დამოუკიდებლად კლასისა, ერისა და ფერისა. ეს ადამიანს, დიახაც, რომ დამსახურებული აქვს.

არ მეშინია, რომ ნათქვამს უნიათო და ფილისტერულ ჰუმანიზმად ჩამითვლიან, რომ გულუბრყვილო უმეცრებაზე ქედმაღლურად გაიღიმებენ, თითქოს კაშხალ-ჯგებირისათვის მუყაოს გამოყენებას ვაპირებდე. დიახ, იმის მეშინია მხოლოდ, რომ კლასთა ბრძოლის კანონზომიერება ტყის ზოოლოგიურ კანონზომიერებამდის არ იქნეს დაყვანილი. მეშინია, რომ მარქსისტული მორალის და გონიერების დიდ ჰუმანიზმს ანტიადამიანური, ანტისაზოგადოებრივი ტყის კანონი დროშად არ გაუხადონ. დიახ, მე ამის მეშინია მხოლოდ...

საკმარისია ერთხელ ნახო საბჭოური მართლმსაჯულებისა და ციხე-ლაგერების განადგურებული, ასე უღმერთოდ პატივყრილი ადამიანი-მონა, სამუდამოდ დაგეკარგოს მადა კლასთა ბრძოლის ბოლშევიკური ყალიბის „რომანტიკისა და რევოლუციური ტერორის დიადი სისპეტაკისა“. იგი უმძიმესი ხარკია, რომელსაც საზოგადოება თავის ტყიურ წარსულს უხდის. იგი ბლალავს, ამცირებს, ანადირებს დამარცხებულს და უმეტესად გამარჯვებულს.

რარიგ ამაღლებულ მიზანსაც არ უნდა ისახავდეს დიქტატურის ტერორი, იგი სრულიად საწინააღმდეგო შედეგს ლეზულობს. რობესპიერის მძვინვარე უმნიკვლობამ რევოლუცია გილიოტინად გადააქცია, გილიოტინა ადამიანის ხორცისმჭრელ, მუდმივი მოქმედების მანქანად. შედეგად ამისა საფრანგეთი „გააბედნიერა“ მეცხრე თერმიდორით, დირექტორიით და მეთვრამეტე ბრიუმერიით.

დიქტატურის ტერორს, როგორც საერთოდ სტიქიონს, თავისი გაქანების უმაღლესი ბალი გააჩნია, თავისი საბედისწერო კულმინაცია. მან არ იცის ზომიერება, რომც შენელდეს, კვლავ მეტი სიაფთრით და სისასტიკით აინთება. არის რომელიღაც ჯიშის მორიელი კუდს მოიქნევს და საკუთარ თავსაც დაგესლავს. დიქტატურის უკუქცევეთი მოქმედება შხამიანი კუდის მოქნევა ფაშისტებმა, იაკობინელებმა და ბოლშევიკებმაც საკუთარ სხეულზე განიცადეს.

გააფთრებული ძალმომრეობა საბჭოეთში 1917 წელს ოქტომბერში დაიწყო და არც შენელებულა. განუკითხავი უმეცრებით კონტრრევოლუციად ინათლებოდა ბევრი კარგიც და ბევრი ცუდიც. ღიად და მალულად ისრისებოდა მტყუანი და მართალი, რეაქციონერი და რევოლუციონერი, დიდი მოაზროვნე და გარეწარი, მტერიც და მოყვარეც. ეთიკის ძირითად პრინციპებად, მოქალაქეობრივ ღირსებებად გამოცხადდა ჯაშუშობა, გამცემლობა, პირმოთნეობა, გაიძვერობა, სიყალბე, მონური მორჩილება და ა.შ. სიმართლე-სიცრუის ზღვარი ნაიშალა, სამართლის და დანაშაულის საზომი, ჭეშმარიტი ფასეულობისა და ბრჭყვიალა ბუტაფორიის წონა და ღირებულება... გუმილიოვი საუკუნეებს ეკუთვნოდა. მაქსიმ გორკი ლენინს ფეხებში ჩაუვარდა, დახვერტის განაჩენი მაინც ვერ შეაცვლევინა. პლახანოვი, ბლოკი... ესენინმა თავი ჩამოიხრჩო, მაიაკოვსკიმ რევოლუციის მებაირადემ -- იგი დაგმო და გაკიცხა. მაიაკოვსკიმ პოეტმა პოეტი სისხლის ცრემლებით გამოიტირა... თავისი ხვედრი და ბედიც ამ ცრემლით შეიცნო...

სისხლიანი ცოფი სულ უფრო და უფრო ერეოდა ჯალათებს.

ლოიალობას არავინ გჯერდებოდა. თუ არ გინდოდა ყოფილიყავი ჯალათის მსხვერპლი, შენც სისხლით უნდა დაგესვარა ხელი მე წავხდი, შენც წავახდენ, რომ ჩემი სინდისი შენში არ ალაპარაკდეს. „პოლიტიკის გარეშე ყოფნა იგივე პოლიტიკაა“. დორბლებს ყრიდა, მუშტებს ატრიალებდა პრესა. „ესლი ვრავ ნეზდაიოტსია, ეგო ნადო დობიტ!“ ყოველი მხრიდან ჩაგვნიოდნენ ყურში სტალინის და მაქსიმ გორკის პირსისხლიან ლოზუნგებს. მტერი კი მთელი ხალხი იყო...

და აი, 1937 წელიც...

კაცობრიობა დარეტიანებული, სულგანაბული შესცქეროდა საბჭოეთის საიდუმლო ინკვიზიციის სპექტაკლებს, მაგრამ ვის შეეძლო მზაკვრობის მთელი საშინელებით წარმოედგინა ის, რაც ხდებოდა კულისებში?! დღენიადაგ ლიფორდოვის საკვამურებიდან უცნაურად ჭვარტლიანი ბოლი ამოდიოდა... მოსკოვის ქუჩებს სულისშემზუთავი ნისლი ეფინებოდა... თითქოს იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ და ელვის სისწრაფით მთელ საბჭოეთს მოედო.

არავინ იცოდა, საიდან მოდიოდა ეს მზარავი უბედურება, როდის და როგორ დასცემდა, სად ნაუსნრებდა - ქუჩაში თუ სახლში, ბაღლის აკვანთან თუ მქუხარე ტრიბუნასთან, მეცნიერების მყუდრო სავანეში თუ გატაცებული დირიჟორის პულტთან... დაცული არავინ იყო, მისგან არაფერი გიფარავდა -- არც პოეტის მგზნებარე გული, არც სარდლის ვაჟკაცური თავდადება, არც თვინიერი მორჩილება, არც სიკეთე და არც ზნედაცემული ბოროტება...

დღისით თუ ღამით შავი ჭირი ყველგან აგნებდა გზას, ყველგან დაძრნოდა: დანესებულებაში, ქარხანაში, თეატრში, რესტორანში, აკადემიის მშვიდ ტალანებში, პირაკერილ ბინადართა ქუჩაბანდებში... ხელალებით მიალაჯებდა დიდ მოხელეთა კაბინეტებში, ჩაუქროლებდა რიგით მაგიდებს, შეუვალ კარიბჭეებში შეიჭრებოდა, ქალაქიდან სოფელს წვდებოდა, ზღვიდან -- ხმელეთის მიკარგულ შორეთს, მთის მწვერვალებს, ქოხ-გომურებს, სრა-სასახლეებს და ყველგან შიშის ძრწოლას, განწირულებას და სიცარიელეს ტოვებდა იდუმალად აღმართული მისი ხელი...

ყველას ყველასი ეშინოდა -- შვილი მამას გაურბოდა, ბრძოლის სისხლით ნაზიარები მეგობარი მეგობარს. ყველამ იცოდა, შავი ჭირი არავის ზოგავს. ერთგული სანიტრები დღეს თამამად მიათრევდნენ იმათ, ვისი შუბლი და სახლი იდუმალი ჯვრით იყო აღნიშნული. ხვალ თვითონ ეცემოდნენ ძირს იმავე ნიშნით დადალულები. დაგმანული ფანჯრებიდან თვითმკვლელთა რევოლვერების ყრუ ბათქანი აზანზარებდა ქუჩებს და კედელს გაკრული

ლანდები ქურდებით მიიპარებოდნენ, რომ ჩქარა გასცლოდნენ შერისხულ ადგილს...

კარუსელივით ტრიალებდა მოლანდებათა ფანტასმაგორია: დილეგების მისჯილ-მივინყებულნი ამოიზიდნენ და ხავსმოდებულ გულ-მკერდში ახალი „საქმე-განაჩენით“ ან უკვე სამარადისოდ ჩაყურყუმელავდნენ. ნაკურთხ-ნახოტბარი საფლავებიდან მიხრ-ნნილი გვამები ამოათრიეს და ცოდვილ-უცოდველთა ძვლები შავმა ანგელოზებმა ააჩხრიალეს... განკითხულ იქნა ცოლიც და დედაც, ბაღლიც, ჭადარაც...

სისხლის დუფით აქაფებული ბრდღვინავდა პრესა, გავერ-ანებულ ქვეყანაში გრიალ-გრიალით მოგორავდა გაშმაგებული, გაგიჟებული ტამისცემა: „ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!“ გაოგნებული ღრიალებდა ბრბოდ ქცეული ხალხი, რომელსაც დედამინის მე-ექვსედი ეჭირა...

ეს იყო საშუალო საუკუნეთა გამოცხადება, უჩინმაჩინთა შემოსევა მიმალულ-გადაკარგული ავი სულების, ეშმაკისეულის, ჯადოქრების, კუდიანების. და იყო სამართლისდება უზუნაესი, როდესაც საყოველთაო ბრალდება ყველას მიმართ დაყვანილ იქნა მხოლოდ ჯაშუშობის, მხოლოდ დივერსიის, მხოლოდ მავნებლობის სიგიჟემდე, „ხალხის მტრების“ აღსარებამდე, ანათემამდე, წყევ-ლა-კრულევამდე. როდესაც საგამომძიებლო ჯურღმულეთში მკვ-დრეთით აღმდგარი ლოიოლა გზნებით აწყობდა თავის პათოლო-გიურ მისტერიებს და ფსიქიკური უფსკრულეთის იდუმალ ძალთა ორგეებში უკვალოდ იკარგებოდა დაფლეთილი სულისა და ხორცის უკანასკნელი ამონაკვნესი... განკითხვის დღე იდგა დედამინაზე და არაეინ იცოდა, რას აბრალებდა მინიერს ზეცა, მიუტევებელ ცოდ-ვად რა ეთვლებოდა...

ლენინის ჭეშმარიტმა სამემკვიდრეომ ქვეყნიერებას ზარ-ზეიმ-ით ამცნო, რომ 1937 წელი იყო ანტისაბჭოური, ანტილენინური თარიღი და რომ მასზე პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ სტალინს უნდა ეკისრებოდა. თავისი კაც-ღმერთის გვამი თუ ცვი-ლის ფიტულა ამის დასტურ-საბუთად მავზოლეუმთან ამოათრიეს და ბინძური ხელიც მკედრის სუდარაზე შეიმშრალეს.

ლაჩრულ სულმდაბლობასა და ბოროტებას ერთი ძირი აქვს. დამნაშავე ყოველთვის განტევების ვაცს დაეძებს. ქურდი გარბის და ყვირის: ქურდი წინ არის, დაიჭირეთო. ვერა და ვერ შევეჩვიე ბოლშევიკების ცინიზმს, უტიფრობას, ურცხვობას და სიბრიყვეს. ალბათ, ასეა ბრიყვეს ყველა ბრიყვედ მიაჩნია. ისტორიის ყველა-სათვის თვალსაჩინო ასპარეზი ბოლშევიკებს თავისი მართლმ-

საჯულების ჯურღმულეთი ჰკონიათ.

დიდია სტალინის დანაშაული, მაგრამ საბჭოეთი დღიდან თავისი წარმოშობისა სწორედ ასეთ პირსისხლიან დიქტატურად მოვევლინა ქვეყნიერებას, ასეთად ჩაიფიქრა, ასეთად ჩამოაყალიბა და შეადუღა იგი მისმა შემოქმედმა ლენინმა. მხოლოდ და მხოლოდ ლენინის კურთხევით ჩაუყარა საფუძველი, აგურ-აგურ ააშენა ძერჟინსკიმ თავისი შემზარავი „სახელმწიფო სახელმწიფოში“ და საშვილიშვილოდ დაულოცა იგი საბჭოეთს. არაფერი შეუცვლია, არ დაუკლია, არ მოუმატია 1937 წლის შემდგომი პერიოდისათვის, შედარებით მანამდელ პერიოდთან. ლენინის მიერ აგებული სახელმწიფო მექანიზმის სულ მცირედი დეტალიც არ შენდრეულა, ოღონდ, რომ შხამიანი კუდი პარტიის სხეულსაც მოხვდა და ისევე ემწვავა, როგორც ემწვაებოდა მთელ ხალხს მანამდის და მას შემდეგ, სწორედ ამ პარტიის წყალობით.

როგორც ვთქვით, გამარჯვებული ოქტომბერი თავისი რეაქციული ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამის განხორციელებისას უმონყალოდ ანადგურებდა ხალხს და რევოლუციური ტრადიციების ქმედით ავანგარდს. ცოცხალი და სასიცოცხლო ძალები ინუსხებოდა აგრეთვე ე.წ. „მონოლითური“ პარტიის შიგნითაც, რომლის მრავალი განშტოების შეუნელებელი ოპოზიცია პარტიული მასების დაგვიანებულ გამოფხიზლებას მონმობდა.

საბჭოეთი ეკონომიკურად კრემლმა მის საწყის, გამოსავალ მდგომარეობამდის მიიყვანა და მეცხრე თერმიდორიც თავისივე ხელით ჩაატარა, რაც 1937 წელს დაავიჯრგვინა. რბევა-ჟლეტის რუსული ბარბაროსობა ზენიტში ავიდა. უმტკიცესად დამკვიდრებული სახელმწიფო კაპიტალიზმი თავისი ნამდვილი ბუნების დაფარვას აღარ საჭიროებდა, აღარც ფარავდა და იმდენად, რომ ბოლშევიკების მარადყამს დამცველი ჰუმანისტი რომენ როლანი შეძრწუნდა და, ვგონებ, სამუდამოდ განიკურნა ილუზიებისაგან.

ვიმეორებ, ვინც ლენინის პროგრამა-გეზით წავიდოდა, იმას ცხრა თერმიდორიც უნდა ეკისრა. შესაძლებელია, ეს პარადოქსად ჟღერს, მაგრამ თვით საბჭოეთიც მთლიანად აზიური პარადოქსია. 1937 წელი კაპიტალისტური სანარმოო ურთიერთობათა აღდგენა-განმტკიცების სისხლიანი აღლუმია და სხვა არაფერი. აქ ანტილენინურს, ანტისაბჭოურს მიკროსკოპითაც ვერ აღმოაჩენ. ლენინის ერთგულმა მონაფემ, ფოლადის ნების დიქტატორმა სრული სისავსით გამოიყენა მისთვის ანდერძით ბოძებული მასწავლებლის განუსაზღვრელი უფლებამოსილება და ფანატიკური ზედმინევენით აღასრულა მისი „რუსული საქმეც“ ამიერიდან ძლევა მოსილი სახ-

ელმნიფო კაპიტალიზმის ქვეყანა უკვე სხვა ამოცანებს დაისახავს. იმპერიალისტური რუსეთი, როგორც მეტოქე, გარე კაპიტალისტურ სამყაროს დაუპირისპირდება, უმეტესად თავის მოქიშპე ორეულს, ფაშისტურ გერმანიას.

„ხალხის მტრებისაგან“ საბჭოეთის „განთავისუფლების“ შემდეგ რეაქციამ, რა თქმა უნდა, იმძლავრა. უკეთუ სისტემის თანდაყოლილ სიმახინჯეს აქა-იქ ლოკალურად მაინც ანელებდნენ ისინი, ვისაც შემორჩენილი ჰქონდა რევოლუციური ტრადიციები, დღეს უკვე მის თარეშს აღარაფერი ელობებოდა.

გერცენი წერდა, რომ დეკაბრისტების დარბევით იმდროინდელი საზოგადოების მორალური, მოქალაქეობრივი თვითშეგნების დონე, ზნე-ხასიათი და სულისკვეთება კატასტროფულად დაეცა. საბჭოეთში ხუთი ჩამოხრჩობილი დეკაბრისტისა და გაკატორღებული ათასეულის ადგილი მილიონებმა და მილიონებმა დაიკავა. კინება-დაცემის მასშტაბებიც შესაფერისი იყო. ინტერესს მოკლებული არ იქნება, ზოგი რამ გავიხსენოთ სწორედ ასეთ პარალელებში 1937 წლამდის და მას შემდეგ. ბუნებრივია, რომ ჩემი მოგონებანი უფრო საქართველოსთან იქნება დაკავშირებული.

„ძღვევამოსილ პროლეტარიატს არ შეუძლია რომელიმე ხალხს რაიმე ბედნიერება თავს მოახვიოს ისე, რომ ამით თავის საკუთარ გამარჯვებას ძირი არ გამოუთხაროს“, — უთქვამს ენგელსს. კვლავ დაჰყრობილ კოლონიებში „ბედნიერების თავზე მოხვევის“ ლენინური დიქტატურა გაორკეცებით მძვინვარებდა. მათ შორის ძალმომრეობის სიმშაგე-სიაფთრით საქართველოს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. აქ თავიდანვე სულ სხვანაირად ჩამოყალიბდა რევოლუციური იდეოლოგია და სულ სხვანაირად წარიმართა რევოლუციური გზებიც.

„რევოლუციის გადასარჩენად საქართველოში მივდივართ“, — უთქვამს კაკი წერეთელს რუსეთის დატოვების ჟამს და ეს არ ყოფილა ორატორული ხელოვნების რიტორიკული, ფრთოსანი სიტყვა. საქართველო აღმოჩნდა რევოლუციის მონაპოვართა მაქსიმალური შეჯამების, წმინდა ევროპული კულტურის ქვეყანა, რევოლუციის ფხიზელ-გონიერი, პირნათელი და ჭეშმარიტი მემკვიდრე, ათეული წლების ნაფიქრ-ნააზრევის, ოცნება-იმედების მტკიცე და ენერგიული გამტარებელი.

თავის დროზე ისტორია გაანალიზებს საქართველოს სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, უსისხლო რევოლუციის გარდაქმნებს, დიდი

მასშტაბების და გამბედაობის რეფორმებს, სახელმწიფო-საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამოყალიბება-მონესრიგების საოცარ ტემპებს, საგარეო-საშინაო საქმიანობის ბრწყინვალე მიღწევებს, გამარჯვებული ხალხის აღზევებას, ქვეყნის ძირფესვიან გადახალისებაში მის შემოქმედებითად ჩაბმას. ამ პერიოდის თითოეული დღის, თითოეული კუნჭულის, ისტორიული შესწავლის თითოეული დანასაკვი გახდება საქართველოს პოლიტიკური სიმნიფის, კულტურის, რევოლუციური შემართების, მოქალაქეობრივი თვითშემცენების მაჩვენებელთა ზვიადი დემონსტრაცია. ჩვენი ისტორიის ეს სამი წელი საამაყო ხოტბა-დიდებათ ამობრწყინდება, ძვირფას გვირგვინად დაადგება და საშვილიშვილოდ შეამკობს ქართველ ერს.

ოქტომბრის ქარტახილებში საქართველო მართლაც რევოლუციის ნავსაყუდელი გახდა და ასეთად დარჩებოდა, რომ რუსეთს ძალმომრეობით არ გაემრუდებინა მისი განვითარების ეს ბუნებრივი მიმართულება. ჩვენ არ გვჭირდება რუსული ყაიდის „წითელი მამლები“ და ბლანკისტური დიქტატურები. მიუხედავად სულიერ-ხორციელად გამხრნელი ორმოცდაათი წლისა, ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე დღესვე აღდგებოდა ხალხის სუვერენიტეტის სახელმწიფოებრივი კულტურა ყველა თავისი ატრიბუტებით, ასე „ტკბილად“ რომ არ „გვეხუტებოდეს“ სულთამხუთავი მაჯლაჯუნა.

საქართველო კრემლისათვის, პირველ ყოვლისა, მისი ყაჩაღობის სანუკვარ ალაფ-ნადავლს წარმოადგენდა, მაგრამ, დამოუკიდებლად ამისა, ეს პატარა სახელმწიფო მაინც უნდა გაეცამტკერებინა, როგორც თავისი მეტად მჭევრმეტყველი ანტიპოდი. საქართველო იყო ხორცშესხმული რეალობა იმისა, რომ ხალხს არ სჭირდება ძალათმაცხონე, არამკითხე მეურვეები, რომ იგი თვითონ განსჯის და აღასრულებს თავის ნებას, რომ მოპოვებულ თავისუფლებას არ გაანიავენ ვანდალური ნგრევა-რბევით და გონივრულად გაანაღდებს რევოლუციის დანაპირებს, რომ თვით განახორციელებს უზენაეს უფლებამოსილებას, ან უკვე განუყოფელს, შეუვალს, ხელარსაყოფს და არავისთვის არ დასათმობს.

დიახ, ხალხია და მხოლოდ ხალხი სუვერენული ბატონ-პატრონი თავისი ქვეყნის, ანმყოსა და მომავლის. დიახ, არამც და არამც წყალობანი ზევიდან, დეკრეტ-კანონები ზევიდან, ფარული სამართლისდება, დასაიდუმლებული დიპლომატია, განუკითხავი მართვა-გამგეობა!.. ძირშივე აღკვეთილ იქნას ყოველივე ქმედობასწრაფვა ხალხის უზენაესი უფლების გასხვისება-გადაბირებისა.

ყოველივე რჩეულთა ხელით და მხოლოდ და მხოლოდ ნებისად ხალხისა. ყოველივე წერილიც და მსხვილიც ხალხის უსასტიკესი კონტროლის ქვეშ. გზა უფართოესი აზრისა და სიტყვა ადამიანისა, მოქალაქისა, მტრისა და მოყვრისა... და ყოველთვის ასე და არასდროს სხვანაირად!!!

ასეთი საქართველოს გვერდით ვერ იგუებდნენ ბლანკისტური ძალმომრეობის, ზევიდან წყალობის არამკითხველ მეთურვეები, რომელნიც „ნედოროსლ“ ხალხის უმეტოქეო მოამაგედ გამოცხადდნენ და აღუთქვეს კიდეც, რომ მას — არასრულწლოვანს ზევიდან მიერთმეოდა კეთილდღეობის ტაბლა. მანამდის კი სისხლიან ონავარ-ანცობაზე მიუშვეს, შერისხულთა შურისგებით, ყველფა-გლეჯით შეიყოლიეს, „წითელი მამლების“ ნუგბარით ნახა-ალისეს.

ბარბაროსული იყო რუსეთი და ბარბაროსული იყო მისი რევოლუცია. ბარბაროსები იყვნენ ბელადებიც და ბარბაროსული იყო მათი იდეოლოგიაც. ბოლშევიზმი რუსეთში წარმოიშვა და ეს შემთხვევითი არ ყოფილა. კარლო ჩხეიძე ტროცკის სწერდა (თუ პირუკუ, არ მახსოვს): „და, ლენინ გენიალენ, ონ გენიალნო ექსპლოატირუეტ მასს“ მასების ჩამორჩენილობის ასეთი და ამ შედეგებით სარგებლობა ლენინის გენიალური ველურობა ანდა ველური გენიალობა იყო, ან ორივე ერთად. სხვა გზებიც არსებობდა, მაგრამ ისტორია ანალიზია და არა მარჩიელობა. ყველას თავისი გზა გააჩნია და ამორჩეული ზუსტად ეს თავისია.

ხრუშჩოვის დიდ ბელადად და უზენაეს მმართველად მოვლინება სწორედ ამის მლადადებელია. თანაც რუსეთმა მორიგი „ვრემენ-შჩიკი“ არა მარტო მწვერვალზე აიყვანა, ათი წელიწადი აბოგინა კიდეც.

ლენინი რუსეთის ბარბაროსობის გენიალური გამოხატულებაა. სტალინი ლენინის გენიალური მონაფეა. ხრუშჩოვი სტალინის გენიალური კარიკატურაა და სლავიანოფილურ საფუარზე შემზადებული რუსული სასნაული. ამ სამეულიდან ვერც ერთს ვერ ამოაგდებ. ერთმა მეორე წარმოშვა, მეორემ მესამე, როგორც დიდმა ღრუბელმა დიდი წვიმა და ამ უკანასკნელმა — წყალდიდობა და მისი უბედურება...

ჩვეული უტიფრობით ბოლშევიკები ირწმუნებიან, რომ, საქართველოს დღევანდელი „სლუგი ნაროდა“ ალბათ გაიცინებენ იმაზე, რომ დეკუტატმა კირილე ნინიძემ პარლამენტში შეკითხვა შეიტანა, თუ როგორ გაბედა შინაგან საქმეთა მინისტრის, სოციალდემოკრატი ნოე რამიშვილის მეუღლემ გოგირდის აბანოში წასა-

ბრძანებლად სამინისტროს ავტომანქანა ორჯერ გამოეყენებინა.

ოკუპაცია ლენინის ნება-სურვილის გარეშე მოხდა. იგი ფაქტის ნინაშე დააყენეს. „საკენკის დაყრაში“ ვერავინ გაუტოლდება. ელემენტარულია ელემენტარული აზრისთვისაც კი, რომ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთო აქციას მთავრობის თავმჯდომარის სანქციის გარეშე ვერავინ იკისრებდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. თუგინდ, რომ უპასუხისმგებლო ავანტიურისტი ვინმე გამოჩენილიყო, ჯარს ნებისმიერად მაინც ვერ აამოძრავებდა. 1920 წელს პოლონეთში ასევე შეჭრილ წითელ არმიას კუდიტ ქვა ასროლინეს. ალბათ, შესევა აქაც ლენინის „დაუკითხავად“ მოხდა.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ამასთან დაკავშირებით ვორონეჟში ჩემი ყოფნის დროს გრიგოლ ლორთქიფანიძის მონაყოლი გაეხსენო: გრიგოლ ლორთქიფანიძე დანაშაულად თვლიდა იმას, რომ სამხედრო მინისტრად ყოფნისას ვერა და ვერ გადაანყვეტინა ჩვენს მთავრობას რეგულარული ჯარის შექმნა, რომელიც წითელი გვარდიის არსებობას ჯერჯერობით საკმარისად მიიჩნევდა. ამაში გრ. ლორთქიფანიძე, ვგონებ, მართალი არ უნდა იყოს. საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა-შენარჩუნება იმ დროს შესაძლებელი იქნებოდა არა უმცირესად-უმცირესი ჩვენი სამხედრო შეჭურვილობით, არამედ დიპლომატიის გზით, საერთაშორისო ოჯახში მისი შეყვანა-დამკვიდრებით. სწორედ აქეთკენ იყო მიმართული მთავრობის ყურადღება და ენერგია. ვფიქრობ, ძირითადი შეცდომა იმაში იყო, რომ მთელი შესაძლებლობით არ ვიბრძოლეთ ინგლისის ან სხვა ქვეყნის პროტექტორატის მიღებისათვის. ერთა ლიგის მეთვალყურეობით უნდა შექმნილიყო მანდატი და არა მარტო საქართველოსთვის. მაგრამ საერთაშორისო ვითარებაში დიდი არეულობა სუფევდა, საკითხი შესწავლას, დროსა და ფიქრს მოითხოვდა ორივეს მხრივ, რაც არ დაგვეცალდა.

როდესაც საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე მეთერთმეტე არმიის მოძრაობა შესამჩნევი გახდა, შეშფოთებული გრიგოლ ლორთქიფანიძე დიდ ნოეს ეახლა და კვლავ რუსეთის მიმართ ნდობის შეუნყნარებლობის შესახებ მოახსენა. ნოე მისი თანდასწრებით ლენინს პირდაპირი ხაზით დაუკავშირდა. „სასტიკად შეურაცხყოფილმა“ რევოლუციური მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა: „ნოე ნიკალაევიჩ, საქართველოს დამოუკიდებლობა, დე ფაქტო, დე იურე რუსეთმა პირველთაგანმა სცნო. ჯარი თავის მორიგ მანევრებს სწავლის მიზნით მართავს და სხვა არაფერი“. ლენინს წყენაც გამოუთქვამს, რომ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ბოლშევიკური კრემლის მიმართ ეჭვიანობა არ ეკადრებაო

(ტელეგრაფის ლენტზე აღბეჭდილი ლენინის ცბიერი და ვერაგი პასუხი სახელმწიფო დოკუმენტების საზღვარგარეთულ არქივში ინახება).

ნოე ჟორდანია ხანდაზმულობით და უპირატესი მნიშვნელობით ნოე რამიშვილისაგან გამოსარჩევად, დიდ ნოედ იწოდებოდა. ჩვენ, ქართველები, ამ სახელს მიჩვეული ვართ. ჩვენი მონივრული პატივისცემა შორს იყო და არის „ვოჟდის“ მონური განდიდება-გალმერთებისაგან.

მეორე დღეს მეთერთმეტე არმიამ ომის გამოუცხადებლად დაიწყო საქართველოს ოკუპაცია. კრემლი შემთხვევას არ უშვებს კეთილშობილი აღშფოთებით კვლავ და კვლავ სამარცხვინო ბოძზე გააქრას გერმანია, რომელმაც ომის გამოუცხადებლად გადალახა 1941 წელს რუსეთის საზღვრები. ალბათ, ის თუ ანუხებთ, რომ არ დასცალდათ თავისი მოქიშპე-მოკავშირესათვის იგივე გაეკეთებინათ, რაც საქართველოსა და პოლონეთის მიმართ გააკეთეს.

უკანონო, უმიზეზო, უსაბამო პრეტენზია ულტიმატუმის გარეშე ომის გამოუცხადებლად საქართველოზე ყაჩაღური თავდასხმა ლენინმა აჯანყებულთათვის დახმარებად გამოაცხადა. ნადირ ბელადს თავი არ შეუწუხებია, აჯანყების ერთი მიყრუებული სოფელი მაინც დაეზუსტებინა და წყვილი მემამბოხე მაინც დაესახლებინა. ასეც რომ ყოფილიყო, დე იურედ ცნობილი სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევას საერთაშორისო სამართლის ენაზე ინტერვენცია ეწოდება. რუსეთის სამოქალაქო ომთან დაკავშირებით, მათ მიერ ამ სიტყვის წვალებით ყველას ყურები ჰქონდა გამოჭედილი. თუმცა ეს რა მოსატანია?! სამართლის პოზიციიდან მგლებს არავინ ელაპარაკება.

იმ დილას, როდესაც საზღვრის დარღვევა ფაქტად იქცა, მთავრობის სასახლისაკენ გაშურებულ გრიგოლს კიროვთან შეუვლია, რომელიც მაშინ რუსეთის საელჩოს ხელმძღვანელობდა, ანუ ჯაშუშების ბუდეს კრუხობდა.

კარტუ ნა სტოლ! ზიზლით შეუძახია გრიგოლს ნაამხანაგარი „რევოლუციონერისათვის“.

ნე ტოლკო კარტი, ნო ი ჩემოდან ნა სტოლე! ხულიგნურად დაღმეჯილა გარენარი. იგი ბარგს ალაგებდა. ჯაშუშების ბუნაგი აყრილიყო. ომგამოუცხადებელ ომის დილას პოლიტიკური შპანა-ურკების საელჩო თავის „მალინას“ ტოვებდა.

ბუნაგის ექსტერიტორიალობას მთავრობა პირნათლად იცავდა და მამასადამე, იცავდა მათ ჯაშუშურ კავშირებს ადგილობრივ ბოლშევიკებთან, რომელნიც, როგორც ცნობილია, ყველა

დემოკრატიული თავისუფლებით სარგებლობდნენ პარტიული ორგანიზაცია, პრესა, სადეპუტატო მანდატები და ა.შ. ცნობილია ისიც, რომ მათი კუთრი ნონა და გავლენა ჩვენს მაშინდელ პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმცირესად უმცირესი იყო და, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ნულს უდრიდა.

შესაძლოა საჭირო იყო მცირე შეზღუდვების გამოყენება მაინც, მაგრამ ავაზაკების მიმართ ავაზაკობა ავაზაკებს უფრო ეხერხებათ. ახალბედა რესპუბლიკა თავის დემოკრატიულ და რევოლუციურ ტრადიციებს უფრო თხილდებოდა. ასეა თუ ისე, მაშინ კრემლიც რუსეთის რევოლუციური და სოციალისტური იდეების მატარებლად ითვლებოდა.

მახსოვს, იმ საბედისწერო დილას ხალხი თავისი დედაქალაქის შუაგულში შეკრებილიყო, ყველა აქეთკენ ეშურებოდა. ერთ ნუთსაც არ წყდებოდა შეკრებილთა სრულიად სტიქიური და იმავ დროს მწყობრად საქმიანი მოძრაობა. წესრიგის დამცველთა სულ ახალი რაზმები იქვე დგებოდნენ და სწრაფად მიემართებოდნენ დანიშნულების მისაღებად. აქეთ-იქით გაბნეულ მაგიდებთან მოხალისეთა ჩანერა წარმოებდა, იქ ტყევა აღარ იყო. ზოგს სამხედრო აღჭურვილობა ჩასაბარებლად მოჰქონდა, ხანაც ვინმე დაიძახებდა, რომ ფრონტზე წასულთა შენაცვლება ამა და ამ ქარხანას ესაჭიროება და განვდილ ხელებს საჩქაროდ მისამართებს აჩერებდა. სახელდახელოდ აქა-იქ ნებისმიერი მიტინგები იმართებოდა, ფრონტის ამბების ზეპირი გადმოცემა ხშირად ისმოდა (მაშინ რადიო არ იყო). გაზეთის გამყიდველები ჩანთებს სწრაფად აცარიელებდნენ. ქალებს საკერავი მიეღოთ და ბავშვებითურთ დატვირთულები სახლისაკენ მიაბიჯებდნენ. უქმად არც ბავშვები ჩერდებოდნენ... ერი თავის დასაცავად აღმდგარიყო და მწყობრად, რაღაც საოცარი წესრიგიანობის გუმანით საქმეში თანდათან ებმებოდა. ყველა თავის ადგილს იკავებდა. არავითარი პანიკა, არეულობა, მით უმეტეს არავითარი ძაბუნია, მოღუნება, გულხელდაკრეფილი შორიდან ცქერა, შიშნაკრავი, ანგარიშიანი განდგომა...

აგერ გამოჩნდა ყველასათვის ასე ნაცნობი კაბრიოლეტი.

— ბატონო ნოე!.. — შელაღადა ხალხმა.

კაბრიოლეტში ჭალარა მოხუცი ნამოიმართა.

— შვილებო!..

დიახ, გოდებდა ხალხი... ქვითინებდნენ ქალები, კაცის ხელი მალული ნკიპურტით იშორებდა ჩამოგორებულ სიმწრის ცრემლს... ტროტუარების გასწვრივ ჯარი მიედინებოდა. ხელების ქნევით და სახელდახელო ნუგბარით მათ ქალები მისდევდნენ: თქვენ იცით და

თქვენმა ვაჟკაცობამ!.. საპასუხოდ ომახიანი შეძახილები ისმოდა.

თეთრ ცხენზე ამხედრებულმა თმაქოჩორა ჭაბუკმა საგანგებო კინოკადრივით გაიელვა: გამარჯვება! გამარჯვება! გმინავდა მისი ხმა. მაცნე თუ იყო ფრონტიდან, გაცოცხლებული ბაში-აჩუკი... იქნება გასამხნეებლად გამოაქროლა ვინმემ. მაგრამ ჭაბუკი დაბრუნებულაც ვნახე. ცხენს კვლავ დიდი სისწრაფით მოაგელვებდა და გამარჯვება მის სახეზე აღარ ეწერა. ალბათ, იქ ზევით არცთუ ისე იმედიანად მიიჩნიეს მისი პატაკი... დიდ ეროვნულ მწუხარებას მოეცვა ყველა. ინტიმური ერთიანობის გრძნობას, მშობლიურ ლტოლვას ერთ არსებად ექცია ხალხი. არავინ არავის უცხოობდა, გულისნადებს ერთმანეთს უშუალოდ უზიარებდნენ, თითქოს ბავშვობიდან შეზრდილები იყვნენ. არავინ არავის არაფერს უმაღავდა. ყველამ იცოდა ქვეყანა კვლავ გასაჭირის წინაშე იდგა, წინ „დიდი ლამის“ ნაცადი გზები ილანდებოდა...

დანაშაულზე წასწრებული ორი ჯაშუში კოხი და ივანოვი ბადრავს მიჰყავდა. მათ ირგვლივ აღმართული მუშტების რკალი გაჩნდა. ნრე ვინროვდებოდა, ბადრაგი დაცვას ველარ ახერხებდა... მოულოდნელად ხმამ იქუსა. რამდენიმე მოქალაქეს ხელში აეტაცა ვინმე ქართველი და უცბად ჩამოვარდნილ სიჩუმეში ამ ცოცხალი ტრიბუნიდან კვლავ დაირხა ქართველი ერის მარადი დიდსულოვნების მარადი სიტყვა (ეს არ არის პათოსი. ეს არის ჩვენი უბედურება და ბედნიერებაც): „შეჩერდით! მონური ძალადობით არ წაიბილწოთ! ბრმა შურისგებით მტერს ანგარიშებს ჩვენ არ ვუსწორებთ. ჩვენ ვიყავით და ვართ თავისუფლების ერთგული ხალხი. მონების ბოგანო-ბრბოდ არც დღეს ვიქცევით. დამნაშავენი კანონს ჩავაბაროთ.“

რკალი გაირღვა, უცაბედი ორატორი, რომელსაც მკვდრის ფერი ედო, ძირს ჩამოუშვეს და მე, თხუთმეტი წლის გოგოს, წარუშლელად ჩამრჩა მისი ვაჟკაცური აღელვება, ნათქვამი, თითქმის რომ სიტყვასიტყვით, და ეს საოცარი სცენა, ხალხის ურთიერთგაგების სულისკვეთებისა.

მეორე დღეს ტყვეები მოჰყავდათ ჩამოძონძილი, წვერიანი, უტყვი სახეები. შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. რა ხდებოდა, რისთვის ხდებოდა — ბაიბურში არ იყვნენ. კვლავ აღშფოთება, ზიზღი, გულამღვრეული შეძახილები... და თვალის დახამხამებაში კვლავ ცოცხალი ბარიერი — ქალი, კაცი, მოხუცი, ბავშვი ხელიხელჩაკიდებული გაიჯაჭვა. ერთი სული მქონდა, მეც ამ ცოცხალი ჯაჭვის რგოლად შევმძვრალიყავი, მაგრამ ყელზე უკვე საკმაოდ შემძიმებული ყულაბა მეკიდა. მრავალი ჩემი ტოლი

გოგო-ბიჭი ხალხში შენირულებას ვაგროვებდით. არ ვიცი, ვინ დაგვავალა, ასე კი ხდებოდა - აეავსებდით ყულაბებს და სასახლისაკენ გავრბოდით. კონტროლს არავინ გვინევდა. ალბათ, არც იმათ, ვინც შენირულებას იბარებდა, ითვლიდნენ და სიეში ჯამი შეჰქონდათ.

საგანგებო ზომებით ჩვენი მთავრობა კვლავაც ანესრიგებდა, ნირშეუცვლელად ნინ უძლოდა თავის ქეყანას (შემადგენლობის მაღალი დონით ჩვენი მთავრობა პატივს დასდებდა, რომელსაც გნებავთ, თანამედროვე ცივილიზირებულ სახელმწიფოს). თავაულებლად მუშაობდა პროფკავშირების ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტიები თავიანთი დროშების ქვეშ ირაზმებოდნენ, „მარქსისტების“, ახალგაზრდა მარქსისტების სარდაფში“ (დარბაზებს ვინ უბოძებდა, პრივილეგიებით არავინ ანებივრებდა) უჩვეულო სიცარიელე და სიჩუმე იდგა. ორიოდ ქალიშვილი ორგანიზაციის საქმეებს ნომრავდა, ანესრიგებდა, თუ ვინმე შემოიხედავდა, საქმიანი პასუხით უკან ისტუმრებდნენ. „გუშაგობ ერს!“ „მარად!“ ეხმიანებოდნენ ერთმანეთს „შევარდენის“ დაზრდილები და, ვისაც ფრონტი არ უნევდა, მზადყოფნის თავისებური სპორტულ-ეროვნული იერით უსწრაფესად ჩნდებოდნენ, ნილს იდებდნენ ყველგან, სადაც საჭიროება იბადებოდა. ძალთა უთანასწორობის ბედისწერას გენერალური შტაბი პირდაპირ თვალეში შესცქეროდა და გულდათუთქული რუდუნებით ასრულებდა განწირული ხვედრის მწარე და სასტიკ მოვალეობას (შემადგენლობის მაღალი დონით ჩვენი სარდლობა პატივს დასდებდა, რომელსაც გნებავთ, თანამედროვე ცივილიზირებულ სახელმწიფოს). მომავალი ისტორიოგრაფია დაამონმებს, რომ ზემოთ ნათქვამში ერთი ლიტონი სიტყვაც არ ურევია.

სიმბოლურად ალებარდებით აღჭურვილი საპატიო დაცვით გარემოცულნი ხალხის რჩეულნი შეკრებილიყვენ. დამფუძნებელი კრება სამი დღე-ღამის უწყვეტ სხდომაზე დასამტიციებლად განიხილავდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტს. როდესაც ყიზილბაშური ძალმომრეობით კვლავ ისპობოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა, თავისი ჭეშმარიტი სახით იგი უნდა წარმდგარიყო კაცობრიობის და ისტორიის წინაშე ვანდალების სიყალბე-სიმრუმის ხელყოფისაგან სრულიად დაცული. ხალხის უზენაესი ნების თქმა უმძიმეს ბრალდებად ამეტყველდებოდა აუცდენელი სამსჯაეროს განკითხვის ჟამს, ავბედითობის წყვიდადში იგი შუქურასავით დარჩებოდა ქართველ ერს, როგორც მისი უზენაესი ნების, უზენაესი კანონის მარადჟამიერი განაცხადი

ურყევი, უნმინდესი და უბრწყინვალესი, ვითარცა დროშა გორ-გასლისა... დიახ, ხალხის მიერ ატაცებული, მისი ფიქრით გაცისკროვნებული, ანდერძი გორგასლისა თეთრი გიორგი ბოროტე-ბასთან შერკინებული და ასეთი დიდებით გამარჯვებული...

დიახ და დიახ, სრული უფლებით შეგვიძლია გავიმეოროთ: ერის ძირითადი კანონი იყო სისხლიან საუკუნეთა გამოვლილი დროშის გამარჯვება, ბოროტების წინააღმდეგ სიკეთისათვის შემართება, თავისუფლება სინდისის, მრწამსის, ადამიანის, მოქალაქის, ერის და ქვეყნის... სწორუპოვარი, არაფერთან არშესადარი გერბის ქვეშ დააყენა ქართველმა ხალხმა თავისი სამშობლო. თხუთმეტი საუკუნის და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ასწლეულის იქით, სისხლით შობილს და ნაზარდს, უმტკიცესად უმტკიცესს, დიდ აღთქმას პატარა ერთი აყალიბებდა... გულში ჩაკირული სჯულის ფიცარი კვლავაც დაიფარავდა ქვეყანას განსაცდელის შავბედით გზებზე. ასე იყო, ასე იქნება! წინ გვიძლოდა, წინ წაგვიძლევდა დავითის ხმალი და თანაბარის ძალით „გალობანი სინანულისა“...

დღეს შენს პანაშვიდზე წამოვალ, ქრისტეს პერანგს შემოგახე-ვო! მემუქრებოდი, დოდო! დაუოკებელ გრძნობას სხვაში არეკლილს თვალი ვერ უძლებს. გულს ებრძოდი, ვერ ერეოდი და ჩემზე იყრიდი ჯავრს, ჩემო ბრაზიანო გოგო... ქრისტეს პერანგში დაბადებულხარ, მასში გაზრდილხარ, ასეთად ჩახვალ ხვალ სამარეში და ჩვენ შორის ასე დარჩები. ერისაა ქრისტეს პერანგი, მის გულთან არის შეხორცებული. ხოდა, ნუ ბრაზობ, მონინებული შეწყნარებით აღვივსოთ გული, რომ ღირსად გვეყო, სულ მცირედ მაინც გვაზიარა თავის მაღალ ზნეობას კურთხეულმა ჩვენმა სამშობლომ. ხოდა, ნუ იბრძვი, ვერ დაძლევ... ამით იყო, ამით არის ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა დაუძლვეელი. გაბუსუნებული მიჩუმდებოდი. ვიცი რატომ

ამ სიტყვის სიმართლე უჩემოდაც კარგად იცოდი, შენ თუ არა, შენმა გულმა შეჭველად...

ას ოცი წლის შემდეგ ლალატით და მოტყუებით ლენინმა ფეხ-ქვეშ მოიქცია საქართველო ზუსტად ისე, როგორც მისმა წინაპარმა იმპერატორმა პავლე პირველმა. თუ აქ რაიმე განსხვავებაა, იგი მთლიანად იმპერატორის სასარგებლოდ აღინიშნება.

რომ „სხვა ხალხებზე ძალით მოხვეული ბედნიერება ძირს უთხრის“ მოძალადე „მოამაგეს“, როგორც ყველგან და ყოველთვის, რუსეთშიდაც გამართლდა და საქართველო უკანასკნელი არ ყოფილა რომანოვების თვითმპყრობელობის „ძირის გამოთხრაში“.

ვინრო პროფესიონალი სპეციალისტების გარდა საქართველოს

არსებობა არავის ახსოვდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ კაკი ნერეთელი და კარლო ჩხეიძე (განა მარტო ეს ორი) „რუსეთის რევოლუციის ბელადები“ იყვნენ. ასე იცნობდა მათ მსოფლიოს მემარჯვენე და მემარცხენე პრესა, ოფიციალური და არაოფიციალური ყველა წრე. კირიონ ეპისკოპოსმა დაგვიტოვა დიდებული წიგნი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“. მომავალში არა ერთი და ორი მკვლევარი მოიმარჯვებს კალამს, რომ კვლავადაც დანეროს, ამჯერად უკვე, ივერიის პოლიტიკური როლი რუსეთის ისტორიაში. და ეს იქნება ჩვენი დიდების ბრწყინვალე წიგნი.

თავის გაფრთხილებაში ენგელსი რომანოვებს არ გულისხმობდა. მათი პოლიტიკის სული და გული სწორედ ძალმომრეობაა. იგი აფრთხილებდა „ძღვეამოსილ პროლეტარიატს“, თითქოს ჯადოსნურ წყალში იცქირებოდა, გენიალურად ჭერეტდა ჩვენი დროის ვაი-მარქსისტების „მოღვაწეობას“.

„საქართველოს ოკუპაციამ მორალურად ძირი გამოუთხარა“ ბოლშევიკურ საბჭოეთს, საბოლოოდ დასცა მისი პოლიტიკური კრედიტი და იდეური გაკოტრება ყველასათვის ცხადყო. ფიზიკური „ძირის გამოთხარა“ კი დღის წესრიგშია. ის, რაც იქ ხდება, უახლოესი კატასტროფის ნანამძღვარია. ბრძოლა არ დამთავრებულია. ისტორია ათეული წლებით არ იზომება.

კვლავ და კვლავ ვიგონებ ინგლისს. ისიც ვიცი, რომ საქართველოს თავის ურდოებს ვერ შემოუსევედა ლენინი, ის საბედისწერო სიტყვა რომ არა (როცა კენზონს დიპლომატიური გაკვრით უხსენეს მოსალოდნელი ექსპანსია, მან უპასუხა: რუსეთის შინაურ საქმეებში არ ჩავერევითო). რას იზამ, მაშინ ასეთი დრო იყო ომითა და განსაკუთრებით ოქტომბრით გამოწვეული ზვიგენების თარეშისა და მსოფლიო მუშათა კლასის დროებითი დეზორგანიზებისა. მაგრამ განდისადმი მაკდონალდის ღია წერილი აღსაყვ იყო გამჭვირვალე, ნათელი პატიოსნებით, სახელმწიფოებრივი სიბრძნით, სიმართლით, სადაც კრემლის თაღლითობის მიკრო-მაკროსაც ვერ მიაგნებ. შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: არც თქვენ და არც მე ბრალი არ მიგვიძღვის ინგლის-ინდოეთის ურთიერთობის შექმნაში. ეს ასე დაგვხვდა. ჩვენ მხოლოდ მძიმე ვალდებულება დაგვეკისრა — გადავჭრათ ორთა მხრივ მეტ-ნაკლები მტკიცეულობის და უაღრესად სამძიმო საკითხი. მაგრამ მე არა ვარ მხოლოდ ლეიბორისტი და არა მაქვს უფლება, როგორც დიდი ბრიტანეთის ხალხთა ნდობით აღჭურვილს, მხოლოდ და მხოლოდ ინდოეთის ხალხისა და მისი მუშათა კლასის ინტერესებით ვიხელმძღვანელო. ჩვენ ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ, რაც შეიძლება

მოკლე ვადაში, რაც შეიძლება ნაკლები ტკივილითა და ზარალით, ინგლისის და ინდოეთის მშრომელთათვის მოვაგვაროთ ეს ფრიადრთული და სათუთი საქმე. ეკონომიკურად და პოლიტიკურად შემჭიდროებული ორთა ორგანიზმის გათიშვა დროს მოითხოვს. ჩვენ არაფერს ვფარავთ, ამიტომაც მოგეხსენებათ, თუ როგორი ენერგიით და სიფრთხილით ვმუშაობთ ამ პრობლემაზე და ვამზადებთ ორივე ქვეყანას, ოპტიმალურად ხელსაყრელი მდგომარეობით განვახორციელოთ მათი განცალკევების გადანყვეტილი პერსპექტივა. მაგრამ თქვენ იქნებ მოსკოვის გზა გირჩევნიათ? იქნებ უფრო მონონთ 1917 წლის „რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია, რომლითაც ლენინმა ამ ხალხებს თავისუფლება და შეუვალობა აღუთქვა?“ იქნებ თქვენ შენატრით საქართველოს წითელ „თავისუფლებას“, მის 1921 და 1924 წლების „ბედნიერებას“?

მაკდონალდის დაპირება ჩერჩილმა ვადის დაზუსტებით გაიმეორა და ეტილიმ ალასრულა. ვაჟკაცური ჯენტლმენობის და ჯენტლმენური ვაჟკაცობის სიტყვა სიტყვა იყო და სიტყვა — საქმე. უბადლო პრეცედენტების შემოქმედმა ხალხის გენიამ თავისი სამშობლოს გარეთაც გაიტანა დაუნერვლი სამართლის კვერთხი და ამ ორი ათეული წლის მანძილზე არა ერთმა და ორმა ქვეყანამ იზეიმა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის დიდი თარიღი.

საფრანგეთის რევოლუციამ მეცხრამეტე საუკუნეს „ადამიანის მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ დროშად დაუტოვა. ერთა უფლებების დაცვა კაცობრიობას მეოცე საუკუნემ ჩაუნერა.

ჩვენ სოციალ-დემოკრატები მიჩვეულნი ვართ, რომ ისტორიული მოვლენები მოუნყვეტლად კაუზალურ მწკრივში განვიხილოთ. მარქსიზმს ეროვნული ჭირ-ბოროტება კლასთა ბრძოლის ქვემდებარე პრობლემად მიაჩნდა და არც შემცდარა. იგულისხმებოდა, რომ არა მარტო ეროვნული, არამედ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადანყვეტას გამარჯვებული პროლეტარიატი ჯეროვნად მოახერხებს. ჩვენ ვიცით, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა მარქსი პოლონეთს და ისიც არ ეპარებოდა, რომ იმპერიონსათვის სამხრეთში საქართველო ისეთივე როლს შეასრულებდა.

კლასთა ბრძოლის ამ ეტაპზე ეროვნული პრობლემა ამ ბრძოლის აქტუალურ ამოცანად გადაიქცა. ძალთა კონცერტში სახელმწიფო კაპიტალიზმის (ბოლშევიზმი, ფაშიზმი) შემოჭრამ ეროვნული მოძრაობის აქტივიზაცია განაპირობა.

კონკურენციის პირობებში ბურჟუაზიულ სამყაროსთან შექიშპებული და, მეორე მხრივ, ანტაგონისტურადვე დაპირისპირებული ექსპლოატირებულ მასებთან, სახელმწიფო კაპიტალიზმის რუსე-

თი და ჩინეთი ყველაფერს აკეთებენ დაპყრობილ ხალხთა თავიანთ ნიაღში ეროვნული გათქვეფისათვის. დამპყრობელი ერის შოვინისტური ორიენტაცია ამ პოლიტიკის ნაცადი იარაღია და ხალხთა ერთიანობის, მუშათა კლასის კონსოლიდაციის უსასტიკესად შემაფერხებელი. სადღეისოდ ეროვნული მოძრაობა კლასთა ბრძოლის ორგანულ ამოცანად იქცევა. ჰუმანიზმის და დიალექტიკის მარქსისტული მოძღვრება მას თავისი ფართო კონცეფციის საკუთარ სიტყვად გულისხმობს.

„ჰაბეას კორპუსის“ ქვეყანამ ერის უფლებათა შეუვალობის საქმეშიდაც ყველას წინ გაუსწრო. საოცარი გაბედულებით და გონიერებით მან გადაჭრა მეოცე საუკუნის ეს მძიმე პრობლემა – თავისი სახელმწიფოს შიგნით და გარეთაც იღნვის საერთაშორისო ოჯახში საკაცობრიო ნორმატივების დამკვიდრებისათვის. ინდოეთი ბრწყინვალე პრეცედენტია და სანიმუშო მაგალითი იმისა, თუ როგორ და რა დონეზე უნდა მოაგვარონ დამპყრობელ-დაპყრობილებმა ეს ყველასათვის საჭირობო საკითხი. ინდოეთი ჩემი ქვეყნისათვის უეჭველი წინამორბედია, აუცდენელი, როგორც მზის ამობრწყინება მის კაშკაშა ცაზე.

სხვა ქვეყნების ბედ-იღბალს თუ არ შევეხებით, საქართველოსთვის „რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია“ „ბრესტ-ლიტოვსკის ზავით“ დაიწყო. ამ ხელშეკრულებით, ისე, რომ პატრონისათვის არც კი უკითხავს, ვითარცა საკუთარი პროვინცია, ლენინმა ბათუმი ოსმალეთს გადაუბოძა. ოტომანთა იმპერიისათვის რევოლუციონური ბათუმის ფეშქაშით კვლავ დაიხურა ევროპის კარი საქართველოსთვის.

და როცა დავიბრუნეთ... მე წილად მხვდა ოსმალთა ურდოებით კვლავადაც აოხრებული მესხეთის ნახვა. ეს იყო ბორჯომი - აქეთ-იქით გაყრილი გედებივით მოქათათე, დამსხვრეული ქანდაკებების ნამსხვრევები, დაღწილი ლარნაკები, იშვიათი მხატვრობის იავარქმნილი ტილოები, საუკუნეებიდან გადმოსული, უმოწყალოდ დაჩეხილი ავეჯი, დაფლეთილი წიგნების გორები, ჩასისხლიანებული ჭრილობებივით გადახსნილი, მოელვარე ტარსიკონის ძონისფერი ყდები... და აბასთუმნის ხეივანი... როიალ-პიანინოების გრძელი შპალერი, ბეთჰოვენის და შოპენის ძირს დაყრილი, დაგლეჯილი სიმები, დაწნკვილი კლავიშები და გამომიგნული, პრი-

* *საწყისი სიტყვები კანონისა პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ, მიღებული ინგლისის პარლამენტის მიერ 1679 წ.*

ალა ყუთების... საქათმეები. დიახ, პიანინო-როიალის საქათმეები, სადაც ჩაბუდებული შინაური ფრინველები კრიახობდნენ... და ხეივანში ბუდედაკარგული დედა ფრინველივით დანრიალედა, შავ საქათმეებს გარს უვლიდა, არ ვიცი, ვინ იყო, შეშლილის ლანდი გრძელი ჭალარა თმა, დაღარული მაღალი შუბლი, ჭმუნვარე თვალების ჩაციებული მზერა, მონოგრამებით მოჭედილი ჯოხი, სახელურს თხელი თითები ნერვიულად აწვალებდნენ... იაფფასიანი ლაფანის ნახატი ნუ გეგონებათ, ეს ბავშვის თვალებით მინახავს.

მაგრამ აოხრებული მესხეთი მხოლოდ ავბედითი პრელუდია იყო იმ დიდი სულიერი აოხრებისა, რომელიც საქართველოს ჯერ კიდევ წინ ედო. როცა ვუცქერი ჩვენი ხალხის უბედურებას, მის ზნეობრივ გავერანება-განადგურებას, მელანდება გამოშიგნული როიალები, იავარქმნილი ტილოები, ტარსიკონის დაფლეთილი ყდების ჩამუქებული სისხლის ლაქები.

1937 წელი საქართველოში მთელი თავისი ძალმომრეობით, თვითნებურობით, ტერორით, მასიური მკვლელობებით, წამებით, პროვოკაციებით, სიყალბე-ფალსიფიკაციებით, უკანონობა-უსამართლობით ოკუპაციის დღიდან დაიწყო და არც შენელებულა დღემდის, ოღონდაც ამ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე სახე იცვალა, უფრო საშიშად შემპარავი, მომწამვლელი და სულიერად გამაჩანაგებელი გახდა.

ვერ მოგიხსრობთ იმას, როგორი თავგამეტებით ებრძოდა დამპყრობლებს ქართველი ხალხი: დემონსტრაციები, მანიფესტაციები, მიტინგები, ობსტრუქციები, პარტიზანული რაზმები, აჯანყებები... ბობოქარი ქალაქები, ბობოქარი სოფლები. ჩვენი იყო ოჯახი, ქარხანა, ტიპოგრაფია, უნივერსიტეტი, ქუჩა... ერის გული იატაკქვეშეთში ფეთქავდა. დაზგები, მერხები, დანესებულებების უჯრები, შენობათა ფასადები პროკლამაციებით ივსებოდა. თეატრებში, კინოებში, ლექცია-სხდომების დარბაზებში მოფარფატე ფურცლებიდან ხალხის რისხვა ქუხდა. ჩეკასთან, მეტეხისა და ორთაჭალის ციხეებთან იყინებოდნენ, თაკარა მზის ქვეშ ოფლში იწურებოდნენ პატიმრების მოზღვაებული ჭირისუფლები. სპეციფიკური იერის ტყავის ქურთუკებში კედელს მიყუდებული ვიგინდარები თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ და განუყრელი მზესუმზირის ჩენჩოთი იფურთხებოდნენ...

იმ ლეგენდარულ წლებზე ტომები დაინერება, მაგრამ მასალის დამუშავება-შეკრებისათვის ძალა აღარ მეყოფა. მხოლოდ გაკვრით შევეხები არანაკლები მნიშვნელობის წერილმანებს, რომელნიც მაშინდელ ვითარება-სულისკვეთებას ასახავენ. ციხე-გადასახლების

ზოგ რამ ამბავსაც ჩავურთავ. სწორედ კონდენსირებულად იქ მელანდებოდა ხელისუფლების სახე-იერი და მებრძოლთა დაუთმობელი, შეუპოვარი გულისტქმა.

ჩვენი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვითგამორკვევა შედარებით ადრე დაიწყო. რევოლუციური ქარიშხლის, დიდი სოციალური ძვრების პირობებში, ამ თაობას მოძალებული საზოგადოებრივი სტიმული და ასევე მოძალებული საზოგადოებრივი ინიციატივა ახასიათებდა.

თვითმპყრობელობის დამხობამ გულგრილი ფილისტერებიც თან ჩაიყოლა. დაიბადა სრულიად ახალი არსება-მოქმედი მოქალაქე ამ სიტყვის ფართო, ღრმა და, რაც მთავარია, საყოველთაო გაგებით და პიროვნული თვითშეგნებით. ახალი ცხოვრების ავანჩაენში ყველა უნდა გარკვეულიყო, თავისი პოზიცია განესაზღვრა, მისი ნგრევა-შენების პროცესებში თავისი ნვლილი შეეტანა. გულხელდაკრეფილი ველარავინ დარჩებოდა, ვერც ძველისა და ვერც ახლის მოტრფიალე.

ბავშვებსაც მრავალი საქმე გაგვიჩნდა. ეს საქმე-ინტერესები საზოგადოებრივად გვეერთიანებდა, სულ მთლად უცნობთან უფრო მტკიცედ და შინაარსიანად გვაახლოებდა, ვიდრე ამას ადრინდელი ინტიმური, ოთახისეული მეგობრობა აკეთებდა. აქ ბიბლიოთეკას ვაარსებდით, იქ სპექტაკლს ვდგამდით, ჯგუფებს ვამეცადინებდით, ან ჩვენი დონის ჯგუფში თვითგანვითარებას ვეტიანებოდით, ვანყობდით ფასიან საღამოებს, შემოსავალს სკოლის აგებასა თუ მეორე ვაჟთა გიმნაზიის ლიტერატურულ წრეს ვახმარდით. ერთ-ერთი საღამოს შემოსავალი სოციალ-ფედერალისტების პარტიას გადავეცით. გაზეთმა „ტრიბუნამ“ შენიშულების თანხა, ჩვენი კლასი და საღამოს თავკაცები გამოგვაცხადა. გვეამაყებოდა, მაგრამ დიდი საქმე მაინც სკოლის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ჩავატარეთ. 1919 წელს გახსნილ ქართულ პარალელურ მესამე კლასში გადასაყვანად ჯერ თანაკლასელ გოგონას შევეუწინებოდით და, თუ არა გამოგვივიდოდა რა, მშობლებს ვესტუმრებოდით, ვაჯერებდით, დახმარებას ვპირდებოდით (ზოგს დედა ჰყავდა რუსი) და მიზანსაც ვაღწევდით. რუსულ პარალელურში ქართული გვარის გოგონა არ დაგვიტოვებია. მხოლოდ ვერაფერს გავხდით ლიდა რამიშვილთან. ჩემი კარგი ამხანაგი იყო და მისი არგადმოსვლა განვიცადე, როგორც პირადი მარცხი. ბოიკოტი გამოვუცხადე და სკოლა ისე დავამთავრე, მისკენ არც გამიხედავს (სამოციან წლებში ერთმანეთს გამოვეცნაურეთ. ქართველის ცოლი აღმოჩნდა, ენასაც კარგად ფლობდა).

ყოველთვის მასალის უქონლობა კი არა, მისი სიჭარბე მანვალეებს. მწერალი არა ვარ და ამ სიჭარბიდან არჩევნის გამოცდილება არა მაქვს. ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ჩემი საკმარისად მრავალფეროვანი მოგონებანი, როგორც იმ ადულებული დროის ფსიქოლოგიური და სოციალური მნიშვნელობის დოკუმენტი, რა თქმა უნდა, ჩვენი თაობისათვის სახასიათო მოვლენების ფარგლებში, მაგრამ დრო აღარ მრჩება და ყოველივე ამას ხაზი უნდა გადავუსვა.

აღსანიშნავია, რომ აჩქარებული მაჯისცემა საზოგადოებისა მესამე კლასიდან ე. ი. ნაციონალიზაციის შემდეგ უფრო ვიგრძენი. რუს-სომხობაში რევოლუციონურად მოაზროვნე უფრო მუშათა რაიონებში მოიპოვებოდა. ჩვენს სასწავლებელში თავად-აზნაურების, მოხელეების, ჩარჩ-ვაჭრების შვილები ჭარბობდნენ. ალბათ, პედაგოგებიც ძველი რეჟიმის ერთგულებით სცოდავდნენ. მეორე ქალთა გიმნაზია მარია ფედოროვნას სახელობისა იყო და დირექტრისად გვყავდა, ასე მახსოვს, არისტოკრატი ქალი, რომელიც, ალბათ, პედაგოგებსაც შესაფერისად არჩევდა. ეგაა, რომ დილდილობით „ბოჟე ცარია ხრანი“-ს და „მამაო ჩვენოს“ აღარ გვამღერებდნენ, თორემ არაფერი შეცვლილა.

მახსოვს, 1917 წლის თებერვალში მამაჩვენმა გულში ჩაგვიხუტა, ჰაერში ამისროლა და რევოლუცია მომილოცა. მისი აღელვებული სიხარული ცეცხლივით ნამეკიდა, იმ ნამსვე რევოლუციის ენთუზიასტად გადავიქეცი. ჩემი აღფრთოვანების მხიარულება მეორე დღეს კლასში მივიტანე. თავისი აღტაცება ალივჩინა ობოლენსკაიამ შემომაგება და სულ მოკლე ხანში პირველი კლასის წრიების რევოლუციის „აევანგარდში“ მოვექეცი. სრულიად უსწრაფესად ყველასათვის ნათელი გახდა, რომ დღემდე ჩვენ „გვმინავდით“ მასწავლებლის ძველი რეჟიმის უღლის ქვეშ, რომ ჩვენ უდავოდ ვეკუთვნოდით „ჩაგრულთა კლასს“, რომ სხვათა გარდა ჩვენი „მტარვალ-მჩაგვრელები“ იყვნენ მასწავლებლები.

„რევოლუციური გადატრიალება“ დაინწყეთ იმით, რომ კლასის დამრიგებელი კლასში აღარ შემოვუშვით. მიტინგი გავაჩაღეთ. მე და ობოლენსკაიამ კათედრიდან ხელების ენერგიული ქნევით და გაზეთიდან ამოკრეფილი მქუხარე სიტყვებით ერთხელ კიდევ დავასამარეთ რომანოვები, მემამულენი, კაპიტალისტები და, რა თქმა უნდა, მათ მივაყოლეთ, სასტიკად დავგმეთ ჩვენი უშუალო „მჩაგვრელი“ მასწავლებლებიც. მაშინ ტაშისცემის მოდა ისე გავრცელებული არ იყო და ყველამ ნივილ-კივილით დაგვაჯილდოვა. ამიერიდან მათი ერთადერთი იმედი ჩვენ უნდა ვყოფილიყავით.

მე და ობოლენსკაია ერთსულოვნად დეპუტატებად აკვირჩიეს.

მიტინგის შემდეგ სახლიდან მოტანილი წითელი ბაირალით პირველი კლასი სრული შემადგენლობით ცარიელ ეზოში გამოვეფინეთ. მწყობრად, საზეიმო მარშით ვსერავდით ცარიელ ეზოს და არ ვიცოდით, კიდე რა უნდა მოგვემოქმედა. ფანჯრებს მთელი სასწავლებელი მოაწყდა, მაგრამ შემოერთების სურვილი არავის გამოუმჟღავნებია. აგრესიის და თანაგრძნობის გარეშე, უბრალოდ ცნობისმოყვარეობისათვის შემოგვეცქეროდნენ. არ ვიცი, რითი დამთავრდებოდა ჩვენი ბეჩავი მანიფესტაცია სიცილით თუ ტირილით, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, კლასის დამრიგებელმა „მოსალაპარაკებლად“ მიგვიწვია.

ობოლენსკაია ტანადი გოგონა იყო, მე კი ძალზე მოცქმეტული და, ალბათ, ამიტომ კლასის დამრიგებელმა ხელი მომხვია, სამასწავლებლო დარბაზში შემიყვანა და „საზეიმო ვითარებაში“, როგორც პირველი კლასის დეპუტატი, შეკრებილთა წინაშე წარმადგინა. აქაც ეზოს ამბავი განმეორდა. აღმოჩნდა, რომ დეპუტატების წარმოგზავნის პრეტენზია არც ერთ კლასს არ განუცხადებია. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ჩემი მდგომარეობის კომიზმს აძლიერებდა. მასწავლებლები მიაღერებდნენ, „ლიდერობას“ მილოცავდნენ და მიცხადებდნენ, რომ ჩემს აზრს, როგორც „რევოლუციური დემოკრატიის“ წარმომადგენლისას, დიდი ღირებულება ექნება პედაგოგიური საბჭოს მომავალ სხდომებზე...

ნაციონალიზაციის შემდეგ სასწავლებლის იერი სრულიად შეიცვალა. მთლიანად ახალი იყო მასწავლებლების შემადგენლობა. მათ შორის მწერლები, მეცნიერები და სხვა საზოგადო მოღვაწენიც ერივნენ. ყველა თვალგახელილ, პროგრესულ ადამიანებად გამოიყურებოდნენ და კიდევაც იყვნენ ასეთები. გადახალისდა მონაფეობაც. შემოგვემატნენ ქუთაისლები და მრავლად ნაძალადევი-დიდუბიდან მუშათა ოჯახების შვილები. ისინი ჩვენსავით გადარუსებული არ იყვნენ. ჩვენს დაუოკებელ ენერჯიას სარბიელი მიეცა. კლასების კარჩაკეტილობა არ იგრძნობოდა, პირიქით, მთელი სასწავლებლის მასშტაბით საოცრად კარგი სიახლოვის ატმოსფერო შეიქმნა. ჩემი საუკეთესო მეგობარი ვერა ასათიანი ერთი კლასით წინ მისწრებდა, ამალია მშვიდობაძე რამდენიმე კლასით და ა.შ.

1921 წელმა მეხუთე კლასში მომიწინაო. სასწავლებელში არ მახსოვს არც ერთი კომუნისტი მასწავლებელი, კლასში არც ერთი კომკავშირელი და არც ერთი მონაფე, რომლის მშობელი კომუნისტი ან თანამგრძნობი ყოფილიყოს.

განახლდა ოკუპაციის დღეებში შეწყვეტილი მეცადინეობა. ჩუმად შევედით კლასში, უხმოდ მიუფუჯეკით მერხებს. ეს იყო სამ-გლოვიარო შეყრა. აცრემლებული თვალები მასწავლებლების, მონაფეების, გულდათუთქული წყვეტილი თქმა... და უცბად დიდი საზრუნავიც.

ოღლა ვესეის ასული სანიკიძე-ვალაბუევა სკოლის დირექტორის მოადგილე (ესერი, დამფუძნებელი კრების დეპუტატობის კანდიდატი) სკოლის ეზოში ცხოვრობდა. მისი ბინა სამზარეულოდ გადაიქცა. საცა კი ვნებდობდით, ვაგროვებდით ფულს, უფრო ხშირად პროდუქტებს, მახსოვს, სხვადასხვა საელჩოებიდანაც მოგვექონდა. ვამზადებდით სადილებს, ვიყავით რეცეპტებისა და სამზარეულო ნიგნების ტრიალში. დამზადებული მიგვექონდა სხვადასხვა საავადმყოფოებში, სადაც ომში დაჭრილები გვეგულებოდნენ. მათ შორის იყო დემნა შენგელაია. წინ მიდგას, ჩვენ რომ დაგვინახავდა, მისი მჭმუნვარე აღფრთოვანების გამომხატველი სახე: ქართველო ქალებო!..

მალე გაჩნდა იატაკქვეშეთიც. ჩამოყალიბდა სოციალ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების ჯგუფები, უფრო მასიური ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაცია. მე და ვერას გულმა მისკენ გაგვინია და ჩვენი დაახლოება-მეგობრობის საფუძველიც სწორედ იქ მუშაობა გახდა. ჩავუჯექით მარქსიზმის შესწავლას. ვკითხულობდით დიდ ნოეს, არჩილს, პლექანოვს, კაუცკის და, ვინ მოთვლის, ვის აღარ. თანდათან ენგელსისა და მარქსის ნაშრომებსაც მოვკიდეთ ხელი.

მახსოვს, აგია აბაშიძე ერთ ოთახში ფედერალისტებთან თათბირობდა, მეორეში კი ჩვენ, პავლე სვანიძის მეთაურობით (აგია და პავლე, პაექრობის დახელოვნებული ოსტატები, დიდი ნიჭის და ერუდიციის ახალგაზრდები, 1924 წელს დახვრიტეს).

იმ პერიოდში მარქსიზმი ნამდვილად ნეტარების წყაროდ გადაიქცა ჩვენთვის. როგორც შეყვარებულ ყმანვილს ატკობს და აბრუნებს სუფთა ლირიკის პოეზია, ისეთივე ძალით, თუ მეტით არა, მოქმედებდა ჩვენზე მარქსისტულ მოძღვრებაში ამა თუ იმ აზრის აღმოჩენა და საჭოჭმანო საკითხთა გადაწყვეტის მიგნება. ვკითხულობდით თავდავინყებით, რეტი გვესხმოდა, ზედიზედ ვათენებდით ლამეებს. ვის ეცალა ალგებრა-გეომეტრიისათვის?! გვხიბლავდა პლექანოვი დიდი გზნების და ბრწყინვალე ლოგიკის პოლემისტი. ვეკამათებდით, ტყავს ვაძრობდით ფედერალისტებს. შეიქმნა თეორიული ორომტრიალის დაძაბული ატმოსფერო და პრინციპულმა დავა-კამათმა იმდენად გაგვიტაცა, რომ ერთ ხანს

ბოლშევიკებიც კი დაგვაინყდა.

ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა გამობრძმედილი და პოლიტიკურად დიდი მომზადების ავანგარდი: დათა ყიასაშვილი, მიშა ჩაჩუა, გენო ბელთაძე, მიშა ჩოგოვაძე და მრავალი და მრავალი სხვ.

იატაკქვეშეთი საქართველოში არასდროს კონსპირაციის განკერძოებული სამყარო არ ყოფილა. იგი ხალხის გაორებული ცხოვრების ერთი მხარე იყო, რომელსაც მეორისაგან მკვეთრი საზღვრით ვერც გამოყოფდი. დროადრო ვულკანივით ამოსკვდებოდა, აზვირთებული ლავასავით წამოვიდოდა მისი გულისთქმა, მოედებოდა ქალაქებს, სოფლებს, აგიზგიზდებოდნენ ქუჩები, უინმორეულნი ფაფარს აიყრიდნენ დროშებით, სიმღერებით, სიტყვებით... დაერეოდნენ ხელისუფალნი, გადაჯეგავდნენ, დაარბევდნენ უიარალოდ გამოსულ ხალხს და მიწის ქვეშ უჩინარდებოდა, ყრუდ გუგუნებდა თავისუფლებისათვის ამხედრებული სული ხალხისა, ერისა, მოძალადე დამპყრობლების წინააღმდეგ ძალას იკრებდა გაუტყეხელი ნება ქვეყნისა...

აგერ გამოდიან მონაფეები თავიანთი სასკოლო ოთახებიდან მწყობრად, ორგანიზებულად, თავშეკავებული შემართებით ქვემოთ მიუყვებიან კიბეებს. ცარიელდება სკოლა. სადგურებში ორთქმავლები ანივლდნენ, მათ შეუერთდა ქარხნის საყვირი, მერე — მეორე, მესამე... აქა-იქ ზარების რეკავაც გაისმის. თავიანთი რაიონებიდან მუშები უკვე დაძრულან. მაშ, ჩვენც უნდა ვიჩქაროთ. შერენგებს მასწავლებლები აქეთ-იქით აწყვებიან, ყვირიან, ცალყბად აჯერებენ და უკან ეძალებიან მორჩილებიდან გამოსულ მონაფეობას და... თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლები სცვივათ... გიორგი ახვლედიანი. იგი ჩვენი სკოლის დირექტორია: „ბავშვებო, რას სჩადიხართ, დაბრუნდით!“

გზას ვულობავ. გამარჯვებული მხიარულებით მისკენ ნაბიჯი გადავდგი. მან დაიხია. კიდევ ერთი, კიდევ მეორე. ეს თამაშია. მიზანსცენისათვის პარტნიორებს რეპეტიცია არ გაუვლიათ. პატივცემული გიორგი უკვე კაბინეტშია. მიყურებს, თითქოს მეკითხება, ახლა როგორ მოვიქცეო?

— კაბინეტში ჩაკეტილი ხართ და არაფერი შეგიძლიათ. თუ გნებავთ, ნარკომს დაურეკეთ. კარგად ბრძანდებოდეთ!

ჰაეროვანი ამბორივით ლიმილს ვუგზავნი, კარებს ფრთხილად ვუხუროვ და ქუჩაში გავრბივარ.

სხვადასხვა ვარიანტებში ყველგან იგივე ხდებოდა. დემონსტრანტებს კვლავ „ნაგაიკებით“ კაზაკები დაგვერივნენ. ისმის მო-

წოდება: „ამხანაგებო, ვიკრიბებით მეორე ვაჟთა გიმნაზიის ეზოში!“

ცალ-ცალკე და უფრო ჯგუფებად, ვინც კი მოძალადეებს გად-
აურჩა, პირი დათქმული სკოლისაკენ იბრუნა.

დიდი ეზო გაჭედილია ყოფილი რეალისტებით, ქალებით, მასპინძლებით და კიდევ არამონაფური იერის მოქალაქეებით. ზოგი ნაცნობია, ზოგი უცნობი და, რა თქმა უნდა, ზოგიც საეჭვო. ხელშეუშლელად, ერთიმეორეს მიყოლებით, ორატორები მოქადაგე ქრისტესავით მთელი სიგრძე-სიგანით, ხან ერთი ფანჯრის რაფაზე გამოჩნდებიან, ხანაც – მეორეზე. უკან შეჯგუფული მონაფეების თავები მათ ფერხთით მოჩანან, ალბათ, ემზადებიან გამოსვლისათვის. ფანჯრების ასეთ მოულოდნელ ცვლას რაღაც საზეიმო მხიარულება შეაქვს შეკრებილობაში. თითქოს უხილავი კომანდის ქვეშ, განვრთნილი რაზმივით, მთელი ეზო ხან იქით მიტრიალდებოდა, ხან აქეთ. ეს უდავოდ „ახალგაზრდა მარქსისტების“ ფანჯარაა, აგერ მოპირდაპირე ფედერალისტებს დაუმართობელებიათ, ამ მესამეს კი ნამდვილად ეროვნულ-დემოკრატიები ფლობენ. უკანა ჯგუფი, ცოტა არ იყოს, ნაიმეჩხერებს.

ჩვენ არ ვეკუთვნივთ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას! აცხადებს მეოთხე ფანჯარა, ჩვენი დროშა პოეზიის ქნარია, მაგრამ თავისუფლების გარეშე პოეტებს სიცოცხლე არ შეუძლიათ. ძირს მოძალადენი! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!!!...

გამოჩნდნენ სხვადასხვა ჯურის ხელისუფალნი. „ნაგაიკები“ მიუმალავთ. მარო მიქელაძე-ორახელაშვილი რაღაც ყუთებზე შემდგარა, ხელებს აქეთ-იქით აქნევს, ტურებს ამოძრავებს, ჩვენამდე ცალკეული სიტყვები და ანეული ხმის გაბზარული ბგერები მოდის: „ძირს გამყიდველი! ძირს სამშობლოს მოღალატე! ქუჩაში ხომ დაგვარბიე, აქ როგორ გაბედე მოსვლა, ჯალათო?!...“

ბიჭები თავგამოდებით უსტვენენ. სტვენა ქალებს არ გვეხერხება. ბიჭებს ყვირილ-ყვირილით ვუერთდებით.

ამხანაგებო! ფედერალისტების ფანჯრიდან დათიკო კანდელაკის ხმამ იჭექა. მაშინვე მაროს ზურგი ვაქციეთ. ნამსვე სიჩუმე დამყარდა. რა ბიჭია! აზრი ვაჟაკურად მართალი! დაუფარავი აღშფოთება, ზიზლი... მისი ოქროს თვალები დამამახსოვრდა. ეს უცნაური ფერი სხვისათვის არასოდეს შემინიშნავს. დათიკო კანდელაკი 1924 წელს დახვრიტეს... თბილისის სკოლების სხვა ეზოებში, უნივერსიტეტში, სხვა ქალაქებშიც იგივე ხდება. ხალხს ერთი გული ჰქონდა და ერთი სუნთქვით სუნთქავდა.

ქუთაისში, დემონსტრაციის დარბევისას, ნატო ცნობილადეს

ჩეკისტები გამოედევნენ. ნატომ რომელიღაც ქუჩის კუთხეში შეუხვია და ვილაცის სახლში შევარდა. ოჯახი მშვიდად საუზმობდა. ნატოს პატარა გოგონასათვის ხელი უტაცია, კალთაში ჩაუსვამს და, ბავშვი ვიდრე ატირდებოდა, ან უფროსები აღშფოთდებოდნენ, ზღაპარი წამოუნყია. შიგადაშიგ თავისი გაჭირების ამბავიც გაურევია. უჩუმრად სუფთა თეფში და ჭიქა წინ დაუდგამთ. შებინდებისას ოჯახის უფროსს მკლავგაყრილი სახლიდან გამოუყვანია და მიუცილებია კიდეც.

რა დიდია, რა ნეტარია ხალხთან ერთობის გრძნობა! საოცარი ძალისაა ეს უხილავი ძაფები, ყველას რომ განუყოფელ ერთეულად ამჭიდროებს. ყველა ერთსა გრძნობს, ყველა ერთს ფიქრობს და კარნახის გარეშე ყველა ერთი მიმართულებით ილტვის.

შემფოთებული ოთხი ამხანაგი (სამი ვაჟი და მე) ვერის დაღმართზე ვდგავართ. სასწრაფოდ, გადაუდებლად ფული გვჭირდება... დაყოვნება გამორიცხულია. ბევრი აღარ მიფიქრია, ჩვენკენ მომავალი ქართველი გავაჩერე: „ღვთის გულისათვის, სწრაფად ფული და მისამართი“. უცნობმა საფულედან დასახელებული თანხა ამოიღო და გამომინოდა: „მისამართი არ გინდათ, ყველა ვალდებულნი ვართ!“ ნაიჩურჩულა მან და გამცილდა. არ ვიცი, რა სასწაულით მიხვდა ჩემი ასეთი ბანდიტობის მიზეზს.

მრავალსტუმრიან ქორნილს მიშა კოლუაშვილი ესწრებოდა. მეც იქ ვიყავი. უცნობმა და ნაცნობმა ყველამ იცოდა, ვინ იყო მიშა და როგორ დასდევდნენ მას. ქორნილმა მშვიდად ჩაიარა. დილით პარიკაკეტებული, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, სადაც ორი ყუმბარა ყოველთვის ეგულებოდა, იგი რუსთაველის პროსპექტს წყნარად შეუყვა.

მიშა კოლუაშვილი, სოციალ-ფედერალისტი, იმ დროს ცნობილი ტერორისტი იყო და იატაკქვეშეთში ჩეკას ჯაშუშებს და პროვოკატორებს დაუზოგავად ავლებდა მუსრს. მიშა იყო ბაღის სათნოების და რაინდული სულის ქართველი, ამას ვამბობ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. მის მიმართ მტერიც და მოყვარეც მოწინების გრძნობით იმსჭვალებოდა. მიუხედავად მისი ძლიერ სახიფათო საქმიანობისა, ფრანგები რომ იტყვიან, სწორედ პირადი „შარმის“ წყალობით მიშამ 1924 წლამდის გაძლო. მართლაცდა რალაც მომაჯადოებელი ძალა გააჩნდა. ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებამ ვერა და ვერ გამოიმუშავა მასში თავდაცვის, ფრთხილი უნდობლობის ბუნებრივი რეფლექსები, სუფთა გული ვერ დაგესლა მდბაბალი ბინიერების — ეჭვის ჭიამ. გენდობოდა სრულად. ძალდაუტანებელი თავისთავადი რწმენა ამხანაგის პატიოსნებისა

ყველას იმორჩილებდა, თითქოს გარდაქმნიდა, ასუფთავებდა. მის გადამდებ მიამიტობას თუ გულის სიბრძნეს, არ ვიცი, რა დაეუძახო, არავითარი საზღვარი არა ჰქონდა. ანონილ-დანონილი, მოზომილი ნდობის გარეშე, ლალი, თამამი ურთიერთობა ირგვლივ სისპეტაკის ატმოსფეროს ქმნიდა და უნებურად კრძალვის გრძნობას ინვევდა ყველაში, ვისაც წილად ხვდა მასთან სულ მცირედი დაახლოების ბედნიერებაც კი. ქალაქად თუ სოფლად თითქმის ყველა იცნობდა, ხოლო მთიულებს მასზე მზე ამოსდიოდათ.

მახსოვს, სახლში ღამით დავბრუნდი. მთელი ქალაქი ფეხით მქონდა შემოვლილი (ფული სად იყო), მერე როგორი გადარეული, სწრაფი ნაბიჯით. წინდები, სადაც კაბის ქობა ეხახუნებოდა, წრიულად შემოცვეთილ-შემორღვეულიყო. რალაც-რალაცები გადავმალე. ჭამისა და ღამეული მონესრიგებისათვის ძალა რომ მომეკრიბა, დასასვენებლად მივწევი. ჩამძინებოდა.

ადექი, შვილო, მოვიდნენ! აფორიაქებული შემოვარდა დედაჩემი. უეცარი გავიძევა გულის ფრიალს ინვევდა. ერთი კი მოვახერხე: არ გაალოთ! და ჩემს საკუჭნაოს ვეცი. დანვის დრო აღარ იყო, მაგრამ საიმედო ადგილი დაგულელებული მქონდა. მოვნესრიგდი და კიბეებზე დავეშვი. დაკეტილი რკინის ალაყაფს ეჯაჯგურებოდნენ. ხელის ფანარი მომაშუქეს:

გააღეთ!

ტყავის ქურთუკი თვალში მომხვდა, ეს მანდატი იყო. არც ამიხედავს, რიკულებში ხელი გავყავი:

ორდერი!

ამას უყურე?! მე შენ გიჩვენებ ორდერს! გააღე-მეთქი!

ცეცხლი წამეკიდა, ჯიქურ შევხედე და... ენა დამება --- მიშას და ერთის მომლიმარე სახეები შემომეფეთა...

გულმოსული ვიჯექი.

მოიცა, ლიზიკო, ნუ იბღვირები, შენ ის იკითხე, საიდან მოვდივართ და მომიყვა (მაშინ ჩაიკოვსკის, ყოფილ ჟუკოვსკის, ქუჩაზე ვცხოვრობდი): ჩიტაძის აღმართს რომ ამოდიოდნენ, მომყოს ეთქვა: თუ მენდობი, აბა, ერთი ჩეკაში შევუხვიოთო, გამომძიებელთან მიგიყვან, შენს ძებნაში ღამის არის, ჭკუა რაც გააჩნია, ისიც დაკარგოსო. მიშას ხელები ჯიბეებში ჩაულაგებია და უკან გაჰყოლია. წარუდგენია: ამხანაგია რაიონიდან, ესეც კოლუ-აშვილის კვალდაკვალ დარბის, მაგრამ ყნოსვა მასაც ატყუებსო. აქეთური-იქითური უსაუბრიათ და მშვიდად გამოსულან. ჩემი სახლის გაყოლებასზე, პირდაპირ, კიტა მაჩაბლის ქმარი, ბაგრატიონი ცხოვრობდა. ჩეკისტი იყო და სახით მის გარდა მიშას ვერავინ

ცნობდა, თუმცა, როგორც მიშა ირწმუნებოდა, სააგენტურო ნიშნების დაზუსტება არც მას შეეძლო. არც ერთი მიშას ფოტო ჩეკას არ გააჩნდა, მაგრამ გამცემი, ჩეკას მოსყიდული ჯაშუში გეგეჭკორი მიშასაც გამოუჩნდა, რომელიც თავის ვინრო წრეში მანვე მიიღო. შურისმაძიებლებმა გეგეჭკორს ტაშკენტამდე მისდიეს. გაშლილ სუფრაზე ბირდაბირად ერთ-ერთმა მათგანმა თავისი ბრაუნინგის ტყვიები მოლაღატეს შეაღია.

მიშა კოლუაშვილი 1924 წელს დახვრიტეს. სიმლერა ჰქონდა ამორჩელებული, ტკბილად ლილინებდა ხოლმე: „ღამევ, მშვენიერო, ნუ გათენდები მალე“... ორ ოქროს მონეტას ჰაერში აისვრიდა, აათამაშებდა, იტყოდა: „როცა აღარ ვიქნები, შესანდობარი გამიკეთეთ აი ისე, როგორც გვჩვევია, მწვანე მოლზე, ტკბილად“... და მორიდებული ღიმილით კვლავ ჯიბეში შეინახავდა. შეუსრულეს?! მონეტების გადაცემა კი არა, თავისი თავის აფეთქებაც კი აღარ დასცალდა. ჭურვი, რომელიც ყოველთვის მზადყოფნის მდგომარეობაში ჰქონდა, გეგეჭკორს წინასწარ გაუქმებინა.

კურთხეულ იყოს შენი სახელი, ქართული ვაჟკაცობის დიდო რაინდო!!!

ავად ვიყავი. ვალიკო კანდელაკი და ვასო კაპანაძე შემოიჭრნენ:

— რა დროს ნოლა! არავის გვიშვებენ, ნამოდი!

სწრაფად ვიცვამ. ორი ნანნაეიც ჩამოვუშვი. გრიშაშვილის დიდი ფორმატის ვარდისფერყდიან წიგნს პროკლამაციების მოზრდილი დასტა ამოვაფარე.

შემიშვი რა, ჩემი ბიძაც იქ არის! ძალიან გეხვენები! ველრინები კარებში გადარაჯებულ ორ „ლიკვიდატორს“.

-- გაუშვი! — გადაულაპარაკა ერთმა მცველმა მეორეს, ჭკუას ისწავლის!

მანაც მხარზე ხელი მომითათუნა და კარი გამიღო. რადგან მე უკვე შემიშვეს, ჩვენებიც გაბედულად ამოქმედდნენ. კარები შემოამტერიეს და ქანდარაზე შემოცვივდნენ. მეც იქა ვარ და მეორე რიგში ვზივარ.

ეს თბილისის საბჭოს დაბალქანდარიანი პატარა დარბაზია. ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს. მიმდინარეობს ყოფილი სოციალ-დემოკრატების ე.წ. „ლიკვიდატორების“ სხდომა. პრეზიდიუმში საშა ცინცაძე და საშურა სიხარულიძე შეენიშნენ. „უფროსებიდან“ დამამახსოვრდა ლეო რუხაძე. ისიდორე მანწკავა და სხვანი პარტიის თვითლიკვიდაციის ამ უბადრუკი ინსტენიერების ტალღაში არიან მოყოლილნი. გაბედული სიტყვებით გამოდიან, ამხელენ

ამ კამპანიის ჩეკისტურ სარჩულს, მასობრივად მოჰყავთ შანტაჟის, ფალსიფიკაციის, სიყალბის მაგალითები. ზოგი ბაიბურშიც არ არის. არც არასდროს ყოფილან სოციალ-დემოკრატები. „ობსტრუქტანტების“ გამოსვლებმა დისკუსია პრინციპიალურ სიმაღლემდე აიყვანა:

დღეს თუ პროლეტარიატს სამშობლო არ გააჩნია... მარქსს არსად უთქვამს, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი მას ხვალაც ვერ მოიპოვებს! რიხიანად ამთავრებს ისიდორე თავის სიტყვას.

მომხრე და მონინაალმდეგეთა შეძახილები. დარბაზი აჩოჩკოლდა. ისიდორეს სიტყვამ გამიტაცა. პროკლამაციები გადამავინყდა. ჩვენები შეშფოთებული არიან, ჩემ გარშემო ანრიალდნენ. ვერ უპატივბიათ ასეთი ხელსაყრელი მომენტის გაშვება. მეც ძალიან გულმოსული ვარ, არ ვიცი ჩემზე თუ მათზე. ყოველ შემთხვევაში, არ ვეპუები და ღრენით ვისტუმრებ.

ლეო რუხაძის გამოსვლამ ენერგიული ობსტრუქცია გამოიწვია. დარბაზის მიმართულებით პროკლამაციების დასტა ზევით შეეცხორცნე. ტრაექტორია დიდებულია. თეთრი ფურცლები ჰაერში შეთამამდნენ და ფანტელებივით ლამაზი რხევით პარტერისაკენ დაეშენენ.

რა თქმა უნდა, ყველამ შენნიშნა თითქმის, თუმცა ქანდარაზე ერთი არ დარჩენილა. გაიოზ დევდარიანი, როგორც სტუმარი, ქანდარაზე იყო და ჩემ შორიახლოს იჯდა.

ის პატარა იყო! გადაულაპარაკა მეზობელს.

ბიჭებმა გაიგონეს და თვალებით მჭამენ — ნადიო. დასვენება ასეთი მოულოდნელი პასაჟის შემდეგ ფიცხლად გამოცხადდა.

აიბარგე! სწრაფად! ნუთებს ვითვლით! — ამიარ-ჩამიარეს ყოფილმა მარქსისტებმა. პატიოსნება ჯერ არ დაუკარგავთ, მაფრთხილებენ. მათ შორის გაჩეკისტებული, მაზურერიანებიც არიან (გვარები აღარ მახსოვს, ზოგი „ფიშტიონანა“ საზღვარგარეთაც მალე გაეპარათ). ნასელა არ მინდა. სხდომის განახლებას მოუთმენლად ველი. ემხში ვარ შესული, თუმცა იმასაც ვგრძნობ მიუტეველად ვცოდავ და მომხვდება. ნინასწარ ვანყობ „უკანასკნელ სიტყვას“: დიახაც, ავად ვიყავი, მოვალეობის გრძნობამ მიმტყუნა, ყოველ შემთხვევაში, დამიქვეითდა. გარდა ამისა, ნასელა უდიდესი ტაქტიკური შეცდომა იქნებოდა ეჭვს დამიდასტურებდა... მაგრამ, ვინ გაცლის! ვასო და ვალიკო მომაჯადოებელი ლიმილით ჩემკენ ემურებიან. აქეთ-იქით მკლავში ხელი გამიყარეს, მწარედ დამჩქმიტეს კიდევც, ისე, რომ ეს საძაგელი ლიმილი სახი-

დან არ მოუშორებიათ, კარებამდე მიმაცილეს და უსინდისოდ გამომაპანჩურეს.

დაბოლმილი ნამოვედი. ეს აშკარა ძალადობა იყო, დაბრიყვება. „აქცია ბრწყინვალედ ჩავატარე“, ამყად ვესაუბრებოდი საკუთარ თავს, და არავითარი რეპრესია არ მომელოდა, მაგრამ „დაჩაგვრა“ არ უქმარებიათ, მომხხვედრეს კიდევც, „სასტიკი“ ზომებითაც დამემუქრნენ...

რალა გავაგრძელო, პროკლამაციების გადაყრა მართლაც ყველასათვის თვალსაჩინოდ მოხდა. ხალხის ერთსულოვანი ხელშეწყობით სახლში უვნებლად დავბრუნდი. ასეთი იყო სულისკვეთება, ხალხთან სრული კონტაქტის განცდა, ერთობის, მთლიანობის დიდი მხნეობა და დიდი ხალისი.

ვასო კაპანაძე და ვალიკო კანდელაკი 1924 წელს დახვრიტეს, გულმართალი, ენერგიული, წმინდა აზრისა და წმინდა გრძნობის ახალგაზრდობა! მრავლად იყვნენ ასეთნი... კურთხეულ იყოს თქვენი სახელი...

საბჭოეთის პენიტენციარულ სამყაროში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი ცხოვრების უბედურება უფრო შიშვლად ჩანს. დანოლა-წინააღმდეგობის სიმძაფრე კონდენსირებულად ვლინდება და ყოველდღიურობაში შემაზრზენი დრამატიზმით აღსაავსე კოლიზიებს წარმოშობს. აი, რამდენიმე მაგალითიც:

1923 წელს მეტეხის ციხის ეზოში გოგი მამალაძის მიერ კლდეზე ამოკვეთილ იქნა საქართველოს სახელმწიფო გერბი თეთრი გიორგი. ჩვეულებისამებრ დილას, როდესაც პოლიტპატიმრები იქ „დიდებას“ გალობდნენ, შულმანი მათკენ მუქარით გამოქანებულა. მას სიკვდილის კომენდანტს ეძახდნენ დასახერეტი პატიმრები გაჰყავდა. ყვებოდნენ, რომ ასეთ შემთხვევებში ამალითურთ გალემილი მოდიოდა. საკნის ზღურბლზე შეჩერდებოდა და შეუდგებოდა თავის სადისტურ ნამებას. ამღვრეული თვალებით მთელ საკანს მოივლიდა, თითოეულს მიაშტერდებოდა, შეძრავდა, გააქვავებდა. მერე ხელს ნელა ასწევდა, განწირულს ასევე ნელა თითს დაუქნევდა...

როდესაც აყვირებული შულმანი გუნდთან მიჭრილა, ისიდორე რამიშვილს თავისი განუშორებელი კვერთხით მისთვის ქუდი მოუშვლეს და მიწაზე გადაუგდია. მცოვანი რევოლუციონერის მზერაში ისეთი რისხვა და ზიზღი აღბეჭდილა, რომ შულმანი ადგილზევე გაქვავებულა. ჰიმნის დასრულების შემდეგ ისიდორეს ერთ-ერთი ახალგაზრდისათვის უნიშნებია, ქუდი მიანოდეთ. გონს მოსული კომენდანტი კვლავ აღრიალებულა. ისიდორეს სიტყვა

შეუწყვეტიანება და დინჯად დაურიგებია როდესაც ეროვნული პიშინი სრულდება, ვისიც არ უნდა იყოს იგი, ქუდის მოხდა ყველასთვის სავალდებულო არისო.

პატიმრები მშვიდად დაშლილან. საქციელნამხდარი ჯალათი პირდაღებული დარჩენილა. შულმანი ისიდორეს დიდი პატივით ეპყრობოდა. ერთხელ უკითხავს რა შემძლია თქვენთვის გავაკეთო? ისიდორეს გაღიმებია: ჩემთვის არაფერი, თუ შეგიძლიათ, ამ ახალგაზრდას ნუ აწვალბებთ, გაანთავისუფლებთ! მიუთითებია კახელ ყმანეილზე, რომელსაც ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რაზმთან კავშირი ბრალდებოდა. სიკვდილის კომენდანტს სიტყვა პირნათლად აუსრულებია.

ამ ჯალათის „მოღვაწეობასთან“ დაკავშირებით ერთი დრამატული ეპიზოდიც მახსენდება. დასახვერეტად ხალხი ჯგუფებად გაჰყავდათ. „დიდების“ გალობით მიდიოდნენ. ესეც ტრადიციად იყო ქცეული... მძაფრი მოლოდინით გაძაგრული ციხე გვიან იძინებდა (მაშინ არ უშლიდნენ. ძილი კომანდით ოცდაჩვიდმეტის შემდეგ შემოიღეს). რამიშვილი ჭადრაკს თამაშობდა (საუბედუროდ, სახელი აღარ მაგონდება), შულმანისაკენ მედიდურად გაუხედავს, ნარბები შეუყრია, მშვიდად გამოუცრავს ჯერ პარტიას დავასრულებო...

მომყავს ფაქტები, მომყავს იმისთვის, იქნება ვინმემ, სასწაულით გადარჩენილმა, გაიხსენოს, შეავსოს დაღუპულთა დიდსულოვნების, ძნელი მხნეობის უკვალოდ გამქრალი მარტიროლოგი და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ბრძოლის ოდითგანვე ლეგენდარულ მატრიანეში მეოცე საუკუნის ფურცლები მშრალ ბნკარედად მაინც დაუტოვოს შთამომავლობას...

ისიდორე რამიშვილს ყველა „რეეოლუციის პატრიარქის“ სახელით იცნობდა. ჩემდა სავალალოდ, იგი არასდროს მინახავს. მახსოვს მხოლოდ, 1933 წელს ვორონეჟის ჩეკაში როგორ დამიდონინ გამომძიებელმა ისიდორეს ფოტოსურათი: „ახლაც იუარებთ მასთან კავშირს?!“ -- გამარჯვებული იერით მითხრა მან. დღესაც არ ვიცი, რატომ უნდა ყოფილიყო ჩემთვის ან მისთვის ფოტოსურათი კონსპირაციული კავშირის მამხილებელი საბუთი.

სურათიდან ღრმა მოხუცი შემომცქეროდა ბრძნული სიდინჯით აღსავსე, გაუტეხელი, უზომოდ მშვიდი, იმ უდრტივინველი სულიერი სიმშვიდით ნათელქმნილი, რომელიც მხოლოდ ნამდვილ მრწამსს, საკუთარი სიმართლის განცდას ახლავს თან. მაღალი ინტელექტის კეთილშობილი თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი, თითქოს რალაცას გეკითხებოდა და ამ შეკითხვაში თითქოს პასუხ-

იც იყო.

აუნერელმა აღელვებამ დამრია ხელი როგორ?! მოხუცი, რომლის ანაბეჭდიც ასე მოქმედებს, რომლის დანახვითაც განინმინდები, მისი მაღალი ადამიანობის მწვერვალისაკენ აიზიდები, გალიაში უნდა ჰყავდეთ ყველასგან გადამალული?! და ქვეყანას ეს ვირთხა-მურთხები უნდა პატრონობდნენ?! ეს გარენარნი უნდა რყენიდნენ ახალგაზრდობას?! დაუსჯელად, განუკითხავად უქადაგებდნენ, რომ ჯაშუშობა, დამბეზლებლობა, გამცემლობა მოქალაქის უპირველესი ღირსებაა, რომ სულმდაბალი, მონური თვინიერება მორჩილება, ჭეშმარიტების საკუთარი გაცდის უარყოფ-უგულებელყოფა პროლეტარული ეთიკის დედაბოძია?! ნადირისა და მხეცის ძალმომრეობა კლასთა ბრძოლის დედააზრია?!.. არ ვიცი, სხაპასხუპით რა მივაყარე გამომძიებელს, როდესაც წამოვხტი...

ახლავე საკანში გამიშვით! მივახალე ბოლოს.

ივანოვი, რომელიც თავჩაქინდრული მისმენდა, ხმის ამოუღებლად ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ზედამხედველი გამოიძახა.

ჩაფიქრებული კონსტიტუციის ეშხით, თავისი გულუხვი მოწყალებით შექექლუცებულმა ურჩხულმა, რომელიც გულით, სულით, აღნაგობით, სისხლით, ხორციტ, ფრჩხილის ნიბომდე ურჩხულია და მხოლოდ ურჩხული „პერანგის“ გამოცვლა მოინადინა, პოლიტ-პატიმრების განთავისუფლებაც დაიწყო. თბილისში დაბრუნების უფლება ისიდორე რამიშვილსაც უბოძეს, რომელსაც გადასახლებათა პრონიალში ყველგან თან ახლდა თავის კმაყოფაზე მყოფი ცოლი და ღრმად მოხუცებული სიდედრი.

ორიოდე თვის შემდეგ ისიდორე ბერიამ დაიბარა და მცირე საუბრის შემდეგ გამოუცხადა, რომ საქართველოს ჰავა მას არ უხდება და რომ ვლადიკავკაზში, უკაცრავად, ქ. ორჯონიკიძეში, თუ მის მახლობლად, თავს უკეთესად იგრძნობს. კვლავ აიყარა სამი ბედკრული მოხუცი... მსჯავრისა და სამართლის გარეშე. ასე გააძევა ნითელმა ბატონმა მოსკოვის სიგელ-გურჯებით მიმტკიცებული „თავისი“ მამულიდან ამ მამულის ერთგული შვილი. ისევ და ისევ იგივე შავბედიტი ტრაგედია კაცობრიობის ისტორიისა. საყოველთაო სიკეთისათვის ამ „ჰავის“ შეცვლას შეაღია ოცნება-იმედით, წვალება-ჯახირით, ნაკუნ-ნაკუნად დაღწილი თავისი სიცოცხლე „რევოლუციის პატრიარქმა“ და მხოლოდ იმისთვის, რომ თვითონაც მისი მსხვერპლი გამხდარიყო... ნუთუ გოლგოთა მარადიული სიმბოლოა ადამიანის დაწყველილი ხვედრისა?! და ამიტომაც

ბრძოლა და ბრძოლა, ვიდრე გოლგოთა არ მოისპობა... გვერჩიოს პურს, სისხლით დანამულს, ეკლის გვირგვინის სისხლის წვეთები, ღვარძლიანი ხითხითის ნუნკალი ფურთხი, გოლგოთა, გოლგოთას ძირში მცონარე ცოხნას და გოლგოთა ბოროტ სიზმრად გადაიქცევა...

1937 წელს ისიდორე რამიშვილი ვლადიკავკაზის ჩეკაში დაიღუპა... რა ბედი ენია ორ უპატრონო მოხუცს, არ გამიგია.

გოგი მამალაძე ნიჭიერი სტუდენტი, „ახალგაზრდა მარქსისტი“, დაპატიმრებული იყო 1923 წელს. 1924 წლის აჯანყებამდე ადრე რეპრესირებული ქართველები, რომელთაც აჯანყებაში მონაწილეობა არ ბრალდებოდათ და ვერც დაბრალდებოდათ, ხელალებით ირან-თურქეთის ყიზილბაშური ადათით, ყველა მძევლებად გამოაცხადეს. აჯანყების დღეებში, მხოლოდ ერთ ღამეს, თუ არ ვცდები, პირველ სექტემბერს, მეტეხიდან 6000 ასეთი მძევალი დახვრიტეს. მათ შორის იყო გოგიც. იყო თქმა, რომ უკვე ფსიქიკურად დაავადებულს საკანშივე გაუსწორდნენ და კედელზე მიაშხვრევეინეს ტვინი... მაგრამ, ვინ იტყვის, თუ რა ხდებოდა მეტეხის და სხვა დილეგებში იმ სისხლიან ღამეებში?

იმხანად სუზდალის პატიმრებიდან ქართველთა ჯგუფი წამოიყვანეს. მათ შორის ნოე ხომერიკი, გოგიტა ფალავა და სხვები. სუზდალსა და როსტოვს შორის ისინიც სადღაც უკვალოდ ჩაიკლეს...

იატაკქევეშეთი ციხეებთან ყოველთვის მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. ასევე აჯანყების ყოფილ პარიტიტულ კომიტეტებთანაც. არალეგალურ ლიტერატურასაც უღევად ვანვდიდით და გადაცემებში ისე მოხერხებულად ვჩქმალავდით, რომ საიდუმლო ფოსტა ერთხელაც არ ჩავარდნილა (ხელმძღვანელობდა ნადია ჯინორია-შალამბერიძე). ეჭვი აიღეს. ჩეკას კომენდანტის მეთაურობით მეტეხის ზედამხედველები საკნის გასაჩხრეკად მოვიდნენ. ჩვეული სიღინჯით კოტე ანდრონიკაშვილმა კომენდანტს ორდერი მოსთხოვა. პოპოვმა პროკურორს მიაშურა.

ასე როგორ გაგაბრიყვეს, საკანში პატიმრის ჩხრეკას რა ორდერი უნდა სჭირდებოდეს?! – თავში ხელი უტაცია პროკურორს. აქოშინებულ კომენდანტს მხოლოდ ფერფლი და პატიმრების თავაზიანი ღიმილი დახვედრია.

ერთ ამხანაგს, გვარი არ მახსოვს, რომელსაც რაღაც დოკუმენტის კითხვისას წაუსწრეს, სიფრიფანა ქალღიმილი დაუკუჭაეს და პირში ჩაუგდია. მისძალებიან, მაგრამ მას წერილის გადაყლაპვა რაღაცნაირად მოუხერხებია:

ძამავ, ამ საქმეს ახლა კუჭის გაჭრა თუ უშველის! მხიარულად შესცინა გაჭირვებულმა.

თავისუფალ გადასახლებაში მყოფმა ამხანაგებმა ზამთრის ეკიპირებისათვის კუთვნილი წლიური ათი მანეთი მოითხოვეს. ფულის გაცემას აჯახიერებდნენ:

— ისეთ ადგილებში გიკრავთ თავს, „სადაც მაკარი ხბოს არ გადევნის“, მუქარით დაუსრულებიათ თავგასულ ჩეკისტებს მათთან მოლაპარაკება.

მეორე დღეს ასამდე ქალი და კაცი ჩემოდნებით და ლოგინებით ჩეკას მიადგა და მის გარშემო დაბანაკდა. დაფეთებული ჩეკისტები გარეთ გამოცვენილან.

— თანახმად თქვენი ზეპირი განკარგულებისა! — ცივად უპასუხეს ჩვენებმა.

დაიშალეთ, არას გერჩით, გეხუმრეთ!

ჩვენები ფეხს არ იცვლიდნენ. ათ-ათი მანეთიც სასწრაფოდ ჩამოარიგეს. პოლიტგადასახლებულებმა თავაზიანი დაცინვით გული იჯერეს და სახლებისაკენ იბრუნეს პირი.

არავინ იფიქროს სათბურების მომარაგებისათვის ეს მცირედი თანხა ბოლშევიკების ლმოზიერება ყოფილიყოს. ძალმომრეობით გაციმბირებულმა პოლიტგადასახლებამ მძაფრი ბრძოლით ოდით-განვე დაანესებინა რომანოვების შინაგან საქმეთა სამინისტროს ამისათვის საჭირო თანხები. „რევოლუციურ მთავრობას“ საბჭოეთის პატიმრებმა კვლავ ბრძოლით გამოსტაცეს ასეთი სრულიად უცილობელი ღონისძიების აღდგენა, რომლის მესამედ გაცოცხლებისათვის დღევანდელ პოლიტდევნილებს კვლავ იერიშები დასჭირდებათ.

ძვალ-რბილში გამჯდარი მათი ბიუროკრატიზმი ზოგჯერ ხელსაყრელი იყო. მოსკოვის გარეშე ვერაფერს გვიბედავდნენ და ასეთი „სკანდალების“ პანიკური შიში ჰქონდათ. ცნობილია, რომ „კაკ ბი ჩეგო ნე ვიშლო“ სუბორდინაციით არაქათგამოცლილი ჩინოვნიკების მოდუსს განსაზღვრავს. უადგილო ახიერებას ჩვენც გაეუბრბოდით, მაგრამ, თუ რაიმეს ვინყებდით, ბოლომდე დაუთმობელი უნდა ვყოფილიყავით. ჩვენი ხასიათი კარგად იცოდნენ და მაინცდამაინც არ გვაცივდებოდნენ. გადასახლების ადგილებში შედარებით ზავი და მშვიდობა ორივე მხარეს აწყობდა. ზოგჯერ გულისხმიერებასაც იჩენდნენ — დ. ტარლე, სოციალ-დემოკრატი, აკადემიკოსის, ვგონებ, ძმა თუ ბიძაშვილი, პარაბელიდან ჩეკას უფროსს ურეკავს და კოლპაშევი ჩამოსვლის ნებართვას თხოვს.

— ბოლოს და ბოლოს, თქვენი გადაია ხომ არ უნდა გამხადოთ?!

რადგანაც კბილი გტკივით, ექთანისაგან ნებართვა წამოიღეთ და ჩამოდით! უპასუხა ტოლმაჩოვმა ტარლეს, რომელსაც არც ერთი კბილი არ ანუხებდა.

მაგრამ ზავი და ლმობიერება ჩვენს სიფრთხილეს ვერ მიაძინებდა. დროდადრო ზემდგომ ხელისუფალთ ჩვენი დარბევის შიზოიდური ჟინი მოუვლიდათ ხოლმე. კამპანია ხელქვეითების რბილი თათებიდან ბრჭყალების გამოჩენით იწყებოდა. მათი დამოკიდებულება ჩვენდამი პოლიტიკური კონიუნქტურის ბარომეტრი იყო. საომარი ოპერაციების დაწყებას მეტწილად მომზადებული ვხვდებოდით.

1932 წელს კურსკში ოთხმოცამდე, თუ მეტი არა, გადასახლებული ვიყავით თავმოყრილი. ზოგი მეორე ვადას ასრულებდა, ზოგიც მესამეს. ჩვენი უმონყალო დევნის სიდუხჭირეს აორმაგებდა ადგილსამყოფელის გაუთავებელი ცვლა. ათეული წლობით სამშობლოსა და ოჯახისაგან მოწყვეტა არ კმაროდა, მანანწალა-ბოგანოსავით გვახეტიალებდნენ. ისედაც ვაინაჩრულ საყოფაცხოვრებო ბაზას ძლივს შეაკონინებდი და კვლავ უნდა აყრილიყავი, გულიდან მოგეგლიჯა ჩასახული მეგობრობა, კეთილი ამხანაგობა, ნაცნობობა, კვლავ სამუშაო უნდა გეძებნა, ძნელად შესაძენ საოჯახო წვრილმანებზე უნდა გეზრუნა და ა. შ. ეს იყო ჩვენი უსინდისო წვალება, რომელსაც იმპერიის პენიტენციარულ პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია. ახლაც მოულოდნელად გამოგვიცხადეს, რომ ქალაქიდან ჯანდაბაში გადასახლებისათვის მოსამზადებლად 24 საათი გვეძლევა.

ჩეკადან პირდაპირ ფოსტაში წავედით, პეშკოვას ტელეფონით დაუკავშირდით და ჩვენი ანიოკების მორიგი უბედურება ვაცნობეთ. ეკატერინე პავლეს ასული პეშკოვა, ყოფილი ესერი და გორკის ყოფილი მეუღლე ვინავერთან ერთად მოსკოვში პოლიტ. ნითელ ჯვარს ხელმძღვანელობდა და გავლენითაც სარგებლობდა. მისმა შუამდგომლობამ მიზანს მიაღწია. განკარგულების გაუქმების შესახებ მეორე დღესვე მიდებოდა. დამზადებული საგზურები ჩეკისტებს ხელში შევატოვეთ. ასეთ ოპერატიულობას ჩვენგან არ მოელოდნენ და კბილებს აკრაჭუნებდნენ. პოლიტკოლონია ყოველთვის ერთსულოვნად მოქმედებდა. ამჯერად რუსი ამხანაგები არ შემოგვიერთდნენ, საგზურები დაუყოვნებლივ გამოართვეს და ქალაქი დატოვეს. გზიდან მათ უკვე არავინ დააბრუნებდა.

ამგვარი ეპიზოდების გახსენება უამრავი შეიძლება. იყო ამკარა კურიოზებიც: სუზდალში.

ნესტორს საქართველოს მინა დიდი პატივით ჰქონდა შემონახ-

ული.

რა არის ეს? გაოცებულა და გადაყრა მოუნდომებია ციხეების სამმართველოს უფროსს ანდრეევას ქალს თავისი საინსპექციო ჩამოვლის დროს. ერთი მუჭა მინისათვის თქვენმა დამთხვეულმა იმნაიშვილმა კინალამ მცემა! უჩივლია ანდრეევას ციხის მამასახლისთან.

ამ „რიაზანსკაია მადონამ“, რომელმაც „რევოლუციური“ მოღვაწეობის ასპარეზად ციხეების განმგებლობის მეტი ვერაფერი შეარჩია (მაშ, ემანსიპაცია რის მაქნისია?!), თავისი სამწყსოს ასეთივე საინსპექციო შემოვლის დროს ელვის სისწრაფით პირდაპირ სახეში მიახალა კატიუშა პრეობრაჟენსკაიას დედათქვენი გარდაიცვალაო. ტუბერკულოზით დაავადებული კატიუშა იქვე გულნასული დაეცა...

წვლებით და რუდუნებით კოტე ბოკერიას ხუთი წინილა თავის ლოგინში თვითონვე გამოეჩეკა. იზოლატორის ადმინისტრაცია მთლად აგიზგიზებულა. „ცოცხალი თავით წინილებს არავის დავანებებდი!“ ღიმილით მიყვებოდა კოტე და მაშინაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ცხადი იყო ეგზომ კაპას კრუნხს ქორი ვერაფერს დააკლებდა.

1928 წელს სოხუმის ჩეკას (მაშინ უკვე პოლიტსამმართველო ეწოდებოდა) თავმჯდომარემ, ნაჭყეპიამ გამომიძახა. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მასთან. სიმართლე რომ ვთქვა, არც ვიცოდი, ვინ იყო. შესვლისთანავე დაკითხვაზე უარი განეცხადე და ჩემთვისაც სრულიად მოულოდნელად პატიმარი ქალის განთავისუფლება მოვიტხოვე. იმ დღეებში იგი ჩემს საკანში შემოიყვანეს. სამი შვილის პატრონს, მარტოხელა ქალს, ერთი წყვილი კონტრაბანდა წინდებისათვის გამომძიებელი კარადაში ამწყვდევდა, აშიმშილებდა, ფეხზე ათევიანებდა ლამეს, მკერდში მუშტებს უბრაზუნებდა და ა. შ. ეს ჩემი პირველი პატიმრობა იყო და, ცხადია, გამოცდილება მაკლდა, მაგრამ აღშფოთება იმპულსურად მამოქმედებდა. ბევრი მწარ-მწარე მივაყარე მაშინ ნაჭყეპიას.

გამოვარკვევ! დაიღვრიმა მან და უკან გამომისტუმრა. მეორე დღეს საკანში თავზე წამომადგა: გადაეცით თქვენს „პროტეჟეს“, რომ დღეს გაანთავისუფლებენ!

ეს როცა ასე მოხდებოდა, ისედაც დაინახავდი, მაგრამ მან საჭიროდ ჩათვალა თავისი ექსტრაყურადლებისათვის ხაზი გაესვა. ალბათ, სწორედ ჩემმა გამოუცდელიობამ გაჭრა. მაშინ თავს მანონებდნენ და თავს მიქონავდნენ კიდევ. „პროტეჟე“ რუსულად მუხლებში ჩამივარდა. ასეა თუ ისე, იგი მაინც კანონის დამრღვევი

იყო. მაღლი მოიხსეს, მაგრამ კანონის მთავარი დამრღვევი გამოძიებული?! ცემა-რტყმევის ოსტატი და მერე ვისი?! გალია „საღდათკა“ იყო უბრალო, ბეჩავი ქალი.

1929 წელს ომსკის საეტაპო ციხის აბანოს წინა ოთახში, რომელიც შიშველი ქალებით იყო სავსე, მამაკაცები შემორეკეს. ნახევრად ჩაცმული ვიყავი და, ალბათ, მოქმედება ამან გამოადვილა. ვილაცას ხის კუთალი ვთხლიშე, ვილაცას კიდევ რალაც...

საკანში რომ შეგვყარეს, კარებს ვეძგერე. ბრახუნით, ღრიალით იქაურობა ავიკელი (მტვრევადი რამე თუ მომხვდა ხელში, დავლენე), ვიდრე პროკურორი არ გამოცხადდა. პატიმრები დაკითხეს და ოქმი შეადგინეს. ქალებმა სიცხე გამიზომეს. 39,5 ხაზი მქონდა. რალაცა დამალევენეს. რამდენიმე საათის შემდეგ ნორმალური ტემპერატურით გამომეღვიძა. სხვათა შორის, პატიმრისათვის ასეთი გადარევა, საუბედუროდ, ტიპურია. ამით სარგებლობენ. სახიფათო პროვოკაციაში ამხანაგები რომ არ გააბა, პირველ რიგში, თავშეკავება უნდა გახსოვდეს.

იმავე წელს ნესტორ იმნაიშვილი, მიშა ვინაგრაღოვი, კატიუშა პრეობრაჟენსკაია და მე ტომსკის ციხეში ვიმყოფებოდით, საიდანაც გემით ნარიმის მხარეს უნდა წავეყვანეთ. ერთი ქალი გვახლდა. გამომძიებელი დამუქრებოდა თავს ნარიმში ამოგაყოფინებო. ქალს ხელები აღუპყრია: გემუდარებით, მხოლოდ ნა „რიმ“!

უფიქრია, იტალიის დედაქალაქს მთავაზობენო. ბრალდებაზე-დაც სიხარულით დათანხმებულა (ფანტასტიკურ ბრალდებათა მიღება-არმიღებაზე ჩეკაში დიდი ვაჭრობა იმართებოდა ხოლმე. ცხარე ცრემლებით ტიროდა. „სახელმწიფო დანესებულებაში განა ტყუილი დასაშვებია?!“ გვეკითხებოდა ზიზლით, თითქოს მის უბედურებაში ჩვენც ხელი გვერია...).

ნესტორთან და მიშასთან კავშირი სწრაფად გავაბით. საერთო მოთხოვნილებანი დავაზუსტეთ. მალე ოთხივენი ჩეკაში გადაგვიყვანეს. სეპარატულ მოლაპარაკებაზე უარი ვთქვით, თავმოყრას ვითხოვდით. არ გეთანხმებოდნენ. რა თქმა უნდა, კომანდის გარეშე სოლიდარობის ინიციატივა კონტრრევოლუცია არის. სულ უბრალო კოლექტიური მოთხოვნილებაც კი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კოლექტიურია, კრიმინალად უნდა შეფასდეს.

ნესტორმა და მიშამ კარს დაუშინეს. ჩვენ ბანი მივეცით. ბრახუნის ინტერვალებში მე და კატიუშა ვალსს ვუვლიდით. მარტოობა გვიხაროდა (საეტაპო ციხეებში პოლიტპატიმრები „ურკებით“ გატენილ საკნებში ვიყავით გამომწყვდეულნი). ცეკვა შეგვანყვებინეს, ზევით ყველას ერთად გვიხმობდნენ. კაბინეტში შემ-

დეგი სურათი დაგვხვდა: მიშა პირმობრუნებული იჯდა და ჩუმად სიცილით იგუდებოდა. მთლად აჭარხლებული ნესტორი ჩეკას უფროსის ცხვირწინ ხელებს ენერგიულად იქნევდა, დიდრონ თვალებს აბრიალებდა და „მოვკლავო!“ ყვიროდა.

უფროსი პატარა, მრგვალი კაცი იყო. ღილისმაგვარი ნვრილი თვალები ხორცში ჰქონდა ჩამჯდარი. სავარძელში, მიბმული გოჭივით დაფეთებული ტრიალებდა, აშკარად შიშობდა „გადარეული კავკასიელი“ მასაც არ სწვდომოდა ყელში. ყოველ შემთხვევაში, ზარს ხელიდან არ უშვებდა.

— თქვენ ხომ იურისტი ხართ, შემომაგება მან სიტყვა ისე, რომ დაჯდომაც არ უცლია, აუხსენით, რა მოელის ზედამხედველის მოკელისათვის!

ციხის ზედამხედველს დედა შეეგინებინა და ნესტორი ამაზე ყვიროდა დერეფანში არ დაეინახო, მოვკლავო.

იურისტობა ჯერ არც მომლანდებია, მაგრამ შევიფერე და დიდი რიხით დავინყე:

— Преступление содеянное в состоянии невменяемости в вину не вменяется!

„ფრიად განსწავლულმა“ დავარიგე კიდეც, რომ პასუხისგება არც მას ასცდება, ვინაიდან პატიმრის სამართლიანი გაფრთხილება ყურად არ იღო და საქართველოში დედის გინებისათვის კელა კანონით დასჯას არ ემორჩილება.

ირწმუნა თუ არა მან ჩემი „ავტორიტეტული“ ინტერპრეტაციები, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩაიდუდღუნა მოვაგვარებო. მაგრამ ვინ აცალა?

— ახლავე! დაიღრიალა ნესტორმა, რომ დაებრუნდები, მისი სიფათი (მორდა) არ დამანახოთ!

უფროსმა ტელეფონის ყურმილს ხელი დასტაცა და ისეთი რიხით გასცა ბრძანება, რომ ვერც კი დაიჯერებდი, ღილისთვალებას ამდენი თუ შეეძლო.

მეორე და ასეთივე კატეგორიული მოთხოვნილება ალტერნატივად წარუდგინეთ — უკეთუ საერთო ეტაპის ფორმირება ყოვნდება, დანიშნულების ადგილზე სპეცკონვოით გავეგზავნეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში პეშკოვას მეშვეობით გავასაჩივრებდით თავისუფალი გადასახლების მისჯილთათვის პატიმრობის გახანგრძლივების უკანონობას. ვაჭრობა არ დაუნყია.

მესამე მოთხოვნაზე ჩვენ, ოთხივენი, გადასახლების ერთ პუნქტში განვენესებინეთ, ყოვლისშემძლე მწყალობელივით თავი დაგვიკანტურა და „სუსტი სქესის“ წარმომადგენლებს თანაგრძნო-

ბით გადმოგვხედა, ცოტა სხვანაირადაც, აქაოდა, მეც კაცი ვარ, გამეგებო, მაგრამ დაბლვერილები რომ დაგვინახა, ნამსვე ოფიციალურ „მაღალ დონეს“ დაუბრუნდა.

მეოთხე პუნქტი იყო თვიური კმაყოფისა და ეკიპირების წლიური ათი მანეთის დაუყოვნებელი მოცემა. მამაჩემს როსტოვის გადასახლებაში, როგორც ტახტის აზნაურს, თვიური კმაყოფის 15 მანეთი ეძლეოდა, „უაზნოებს“ ამის ნახევარი. ახლაც წითელ აზნაურებს, ოპოზიციონერებს 15 მანეთი ჰქონდათ დაწესებული, ჩვენ კი, რევოლუციის ნაბურღებს 6 მან. და 25 კაპ. გვაკმარებდნენ.

ლიბერალური ფამილიარობით თუ ემშაკობით უფროსმა გვანუგეშა:

უფულობის ნუ შეგეშინდებათ, თქვენს ამხანაგებს ურთიერთდამხმარე სალარო აქვთ!

შემპარავ ბრალდებას სათანადოდ შევეუღრინეთ. ტელეფონს დასწვდა და იმავე რიხით გასცა განკარგულება. ამ სიტუაციაში, ვგონებ, ტელეფონი მისი ავტორიტეტის ერთადერთი საყრდენი იყო. სხვათა შორის, თვიურ განაკვეთზე პრეტენზიის კანონიერებაში ეჭვი დღესაც მეპარება, ვინაიდან იმჟამად ციხის კმაყოფაზე ვირიცხებოდით, მაგრამ ჩვენს გაჭირვებულ ყოფაში პრეტენდენტების შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მას კი ნამდვილად „ფართო დიაპაზონის“ უესტები უნდა ყვარებოდა.

ჩემს კერძო მოთხოვნაზე ცაცა დარახველიძესთან ნახვის უფლება მოეცა (წინა დღით მან ამანათი გამომიგზავნა), გაკვირვებით შემეკითხა:

ვინაა თქვენი და პირის შეკერა როდის მოასწარიტ?! (თურმე ცაცასაც ეთხოვა ჩემთან შეხვედრა).

დეიდაა! ვუპასუხე მე.

რით დაამტკიცებთ?

სანინააღმდეგოს დამტკიცება თქვენ გმართებთ! სასტიკად ვინყინე მე. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, დასტური მომცა.

Чрезвычайно опасная женщина! ღრმააზროვნად დასძინა მან ცაცას მისამართით.

განცხადება არა ნაკლები ღრმააზროვანი სიჩუმით მივიღეთ. მათ ესახელებოდათ „საშიშ“ პირთა განმგებლობა (ცაცა დარახველიძე საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი იყო). ჩვენ კი, წვრილფეხნი, ავტორიტეტს ვეფარებოდით და ფონს ასე გავდიოდით.

ბოლოს ეტაპის მოსამარაგებლად რომელიმე ჩვენგანის გარეთ გაშვება მოვითხოვეთ.

გაძლიერებულ ულუფას გამოგიყოფთ! მწყალობელი მფარველის ღიმილით დაგვასაჩუქრა უფროსმა და, როდესაც ყველა ნამონეული დაგვინახა, სასწრაფოდ დაუმატა: რა თქმა უნდა, გაგიშვებთ კიდევ.

ბლოკადა სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა. ახლა კი პრესტიჟის დაბრუნება გადანიჭვითა და შეუსიტყველებელი მბრძანებლობის ტონით დაუმატა:

-- კანდიდატს მე შეეარჩევ!

ნესტორს გადახედა, ალბათ, იფიქრა ციხეში ზედამხედველს მიკლავს, ღმერთმა იცის, გარეთ რას მოიმოქმედებსო. არც მე მოვენონე ორ დღეში უკვე „ტიოტკა“ გაიჩინაო. თვალში მიშაც არ მოუვიდა, აქოჩრილი შეველიურით, პენსნეთი, „ქასოვოროტკით“ და კოპნია წაღებით. რევოლუციური ფილმიდან ამოჭრილ კადრსა ჰგავდა და, რა თქმა უნდა, ნმინდა წყლის არ უნდა ყოფილიყო, თორემ ოქტომბერს როგორ შემოუნყრებოდა? უფროსის ჩაკუპატებულმა თითმა კატიუმას დაუმიზნა. ჩვენც ისლა დაგვრჩენოდა, მისთვის მაღალი ნდობის გამოცხადება მიგველოცა.

ახლად „გაბეზბოჟნიკებული“ უფრო საშიშია, თქვენი მიწიერი ღმერთი სტალინი ხომ არაფრად მიაჩნდა, ახლა არც ზეციერს მოერიდება! შეეცადა ნესტორი თვითკმაყოფილების ნუთები ჩაემნარებინა მისთვის.

უფროსმა მიმოიხედა — ჩემი თანდასწრებით სტალინის აგდებას ყური არავინ მოკრასო და კატიუმას მიაშტერდა, მაგრამ მისი სათნო ღიმილი ვის არ დაამშვიდებდა?! (სუზდალში კატიუმა შევიდა როგორც მორნმუნე კათოლიკე და პატიმარი ამხანაგების ალყაში, მძაფრი შინაგანი ბრძოლა-ძიების შედეგად ხუთი წლის შემდეგ იქიდან სოციალისტი გამოვიდა).

ვსებ უდოვოლსტოვალ? ასეთი გალანტური რუსულით მოგვმართა უფროსმა და მოულოდნელად დაუმატა, ტოლკო უმენია ნე ბალოვატსია! (კულტურის მინისტრი ფურცევა აქ შოთას საიუბილეო სხდომას თავმჯდომარეობდა და აცხადებდა: „სლოვო პრეცტალიაეტსია“... და ბოლომდის სწორედ ერთხელაც არ უთქვამს).

თვინიერი „ბიძიკოს“ საწინააღმდეგო აღარც ჩვენ არაფერი გვექონია. „ნიჟე ტრავი“... იატაკის დონემდე ხელები დანია ნესტორმა ისე, რომ ორი მაგრად შეკრული მუშპტი გამოუვიდა და უფროსი თავისი ლამაზი, მომხიბლავი ღიმილით დაამოშმინა... 1932 წელს ვორონეჟის ციხეში მე და რიმა სარქისიანმა ყური მოვკარით თვითმფრინავის ასაგებად შეწირულებას აგროვებდნენ. მაშინ

ციხე საცხე იყო ორიოდ კილოგრამი თავთავისათვის ათ წელიწად მისჯილი დედაბრებით. რის ვაი-ვაგლახით საკნები დავირბინეთ და პატიმრებს განვუმარტეთ, რომ ფულის გაღება ნებაყოფლობითია და რომ არ დაისჯებიან, თუ კაპიკებს შავი დღისათვის შემოინახავენ... თუმცა ამაზე მეტად რალა შავი დღე მოელოდათ?! ხალხი მიმშვილთ იხოცებოდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ბიბლიაში ერთი პოეტური სხარტი თქმა არის. რუსულად მომყავს, ვინძლო თარგმანით არ გავაფუჭო. მოგეხსენებათ, ამ უკვდავი ნიგნის ერთ-ერთ პირველ მთარგმნელ ხალხს დღეს მისი მიგნება გაუჭირდება... ..„Не дожидай до края поля твоего, когда жниешь ты, а оставишься от жатвы не полбирай. Бедному и пришельцу остави то...“

დოვლათის ასეთ განიხებებს ჩვენი პატიმრები აბა როგორ დაუშვებდნენ?! ეკომონისტი მყისვე გაიანგარიშებდა სახელმწიფოს დანაკარგებს და, თუ ასეთი მომჭირნეობა გაველურებული ხალხით ციხეებს გაავსებს, არაფერია! ისიც მათივე იძულებითი შრომით დაბალანსდება და სახელმწიფო არას ნააგებს. გარდა ამისა, მათხოვრობა ფილანთროპიის ნაქეზება, ძველ რეჟიმული ზნეობრივი ფილოსოფიის, ხალხისათვის შეურაცხმყოფელი გადმონაშთის აღდგენა იქნებოდა, აი, ისე, როგორც საკუთრების საკითხში. ამიტომ ფილანთროპიაც სახელმწიფოს მონოპოლია უნდა გახდეს, აქეთ მოთლის იძულებითი მომადლების საბჭოურად მოდერნიზებული ფილანთროპიის მონოპოლია.

„მფარველი ანგელოზების“ წინაშე, როგორც ტაძარში, იხრებოდა მთელი საკანი, რუსულ მადლობას გენირავდნენ. ეგონათ, ობლიგაცია-შენირულება ციხეშიდაც სახელმწიფო ბეგარა-ვალდებულება იყო. ხელმოცარულებს ჩუმად კაპიკებს უგროვებდნენ, ვინ იცის, ერთის გამო მთელ საკანს არ დასცხრომოდა კიდეც რაიმე უბედურება. ამ საცოდაობის შემყურენი ბოლმით ვიგუდებოდით და ერთი საკნიდან მეორეში გადავრბოდით.

როგორც უმეცარი მოჭადრაკე იოლად განირავს ხის პაიკებს, ასევე გულცივი უგნურობით იყო გამეტებული ეს მიამიტი უმწეო ხალხი. მიძიმე ჯაფის მეტი, მონობის მეტი არა იცოდნენ მათმა პაპებმა, მათმა მამებმა. მათი ოფლით გამოიზარდნენ, მათი ხელით, სისხლით და უსინდისო მოტყუებით მიიტაცეს ძალაუფლება ახალმა ბატონ-პატრონებმა და, აი, დღეს მიმშვილთ იხოცებიან მხოლოდ იმიტომ, რომ თავის მინდორ-ველზე, თავისი ნაოფლარი მოსავლის აღების შემდეგ, რომელიც ვეშაპის სტომაქს ენიერებოდა, გაბედეს და რამდენიმე კილოგრამი თავთავი საკუთრივ თავისთვის

მობოჭეს. ეს რაღაც მოჩმახულ, გამრუდებულ ზმანებას ჰგავდა. უყურებდი და არა გჯეროდა... ეს ხალხი გრანდიოზული ეკონომიკური პროგრამის მტვერი იყო და მტვერზე არ ილაპარაკებს დიდი ოცნებით გატაცებული ბატონი.

„ფილანთროპები“ ჩვენც გვესტუმრნენ. დაესწროთ, რამდენიმე საკანში სიები შეედგინათ. ჩვენი იმედი არა ჰქონდათ და, როცა სიები ხელის მოსანერად მოვთხოვეთ, სიხარულით შემოგვაგებეს. დავუფხრინეთ და უკან მივაყარეთ.

პროკურორმა მოსვლა არ დააყოვნა. „სახელმწიფო ღონისძიების“ ჩაშლისათვის ღალატის მუხლით დაგვემუქრა (გამოძიების ქვეშ ვიყავით და მის მსვლელობას აშკარად ყაიმის პირი უჩანდა). მოვახსენეთ: ჩვენც ვაპირებთ საკითხის დასმას ციხეში ბნელი ძალების თარემის შესახებ, რომელნიც პროკურატურის მფარველობის ქვეშ ფულის გამოძალვას ეწევიან. პროკურორი გასავათებული ნავიდა.

ვორონეჟის ციხეში 62 ამხანაგი ვიმყოფებოდით. ვერ იქნა და საქმის დასრულებას ვერ ველირსეთ. შიმშილი გამოვაცხადეთ. გამოძიებელმა მოგვაკითხა შიმშილის მოხსნა და მომსახიბლად პოლიტსამმართველოში გადაყვანა შემოგვთავაზა (მანქანა გიცდითო!). ამხანაგების დასტურის გარეშე უარი ვუთხარი. არც ის თანხმდებოდა – ზედამხედველის მეშვეობით წერილობით დაკავშირებოდა მამაკაცების საკანს. გაცხარდა კიდევ: საიდუმლო კავშირისათვის დასჯითი ზომების ნაცვლად, აქაოდა, შიკრიკობას ჩვენვე გვავალებთო.

— არც მომინვევიხართ და არც არას გავალბებთ! კანონის დამრღვევი ჩვენ კი არა, თქვენა ხართ, „საქმე“ რომ ექვსი თვით გაგვიჭიანურეთ. პროკურორი იყო და პასუხს ველოდებით! ვუთხარი და ნ დღის ნაშიმშილარი ლოგინზე მივწექი. პირი ავიკარი. შემომიჩნდა, ამაღაპარაკა და მაინც ამაყვირა. კეთილი კაცი იყო, მაგრამ მეტისმეტად აბეზარი. ახლაც საყვედურებით ამიკლო:

— ხმას დაუნით მაინც, მთელმა ციხემ იცის, როგორ აბურჩად მიგდებთ (ტყუოდა, მოშიმშილესთან ვალდებულია). მთლად გამიფუჭეთ ავტორიტეტი!

— არა უშავს, მათრახით დაიბრუნებთ! — ვუპასუხე. უხერხულობას კი ვგრძნობდი, მაგრამ ტონის შეცვლა სარისკო იყო, სისუსტედ ჩაგვითვლიდნენ და ძალადობაზე გადავიდოდნენ. ყოველთვის ასე იცოდნენ.

ბოლოს თვითონ წაიღო ბარათი და პასუხის ნაცვლად ამხანაგების საკნის მამასახლისი დიმიტრი (გვარი აღარ მახსოვს)

მომგვარა. რაც მე დავაკელი, იმათ დაემატებინათ.

რუსულად ილაპარაკეთ! აქეთ-იქით მიმოიხედა ივანოვ-მა.

რა თქმა უნდა, სათქმელი ქართულად ჩავაბუღებულეთ და გამოძიებაზე იმ პირობით გავყევით, რომ 62-დან 50% დასკვნითი დაკითხვის შემდეგ მოვხსნიდით შიმშილს. პირობა ერთ დღე-ღამეში განახორციელეს.

რემონტთან დაკავშირებით ქვედა სართულის საერთო საკანში გადაყვანა დაგვიპირეს.

შესაფერისი პატიმრები შეგიჩიეთ! გვითხრა ციხის უფროსმა.

კატეგორიული უარით გავისტუმრეთ. ციხე მართლაც დატვირთული იყო, ცალკე საკნის გამოყოფას ვერ ახერხებდნენ. მოიბრინა პროკურორმაც.

თქვენ გამო რემონტს ვერ ჩავშლით, ძალით გადაიყვანთ! დაგვემუქრა იგი.

ბარიკადებს და სხვა ამისთანებს შევპირდით.

პოლიტსაკნის პრინციპს უსასტიკესად ვიცავდით. მთელ სიცოცხლეს ასე უსინდისოდ ციხეებში გვიშხამავდნენ და, ბუნებრივია, რომ „ურკებისაგან“ იზოლაცია, როგორც მინიმუმი, ჩვენი ძირითადი საზრუნავი იყო.

მამაკაცების კორპუსში გადაყვანა რომ შევთავაზებ, მთლად გადაირია.

ვორონეჟის ციხის მსგავსი ამბავი არ ახსოვს! მამაკაცების კორპუსში განა ქალები დასაშვებია?!

არც ამდენი უდანაშაულო ხალხის ნვალემა ემახსოვრება ვორონეჟის ციხეს! მოვაგონე ცივად.

ინიოკს, ინიოკეს და გამოცარიელებულ კორპუსში ჩაგვტოვეს. ორი დღის შემდეგ ციხის უფროსი გამოცხადდა.

მამაკაცების კორპუსში საკანი შეგიჩიეთ, თუ მოგეწონებათ!

ეგზომ პატივს არ ველოდით და უჩუმრად გავყევით უკან.

საკანი არ დაგვიჩუნიებია და სრული კაპიტულაცია ჩვენ მიერ შეწყნარებულ იქნა.

ეზოში სასეირნოდ გამოსულ ამხანაგებს ველაპარაკებოდი. ზედამხედველი მოიჭრა, ალიაქოთი ატეხა. გამოჩნდა უფროსი ზედამხედველიც.

რა ამბავში ხარ შენ? მოიჩრდილა მან თვალები, ესენი სტალინს არ ეპუებიან, შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ?! გადი გვერდზე,

ხალხს ნუ მინუხებ! განუმარტა მან გაჭიმულ ხელქვეითს.

ინციდენტთან დაკავშირებით საერთო სეირნობა და მისი გახანგრძლივება მოვითხოვეთ. ამის შემდეგ ერთად ვსეირნობდით.

ჭკუით ყოფილიყავი, არ გერჩია?! ახლა მწყემსე ერთი საათი და ამდენ კაცებში ეს ორი ქალი არ დაგეკარგოს! იმ გუშაგს ნიშანს უგებდნენ ზედამხედველები. ისიც კეთილად ილიმებოდა. რაოდენ კეთილია და რაოდენ საშიში რუსის სალდათი! ქართველს ყოველთვის საკუთარი დამოკიდებულება გააჩნია, რომელსაც სუბორდინაციის ფსიქოლოგიურ მარნუხებში ისე გაასრიალებს, ვითომდა აქ არაფერიო.

ციხის უფროსს თავი მოსწონდა, რომ გალიაში ასეთი „უცხო ჩიტები“ შეუფრინეს. ვილაც-ვილაცები მოჰყავდა, როგორც თვითონ ამბობდა და „ონაევარი ჭიკჭიკის მოსასმენად“ ცოლს რომ არ გაემხილება, იმას ვასმენინებდით. შიშნარევი ალტაცებისაგან იბნიდებოდნენ. ციხის მონყენილობაც რომ არა, „ჭიკჭიკს“ მაინც არ მოვაკლებდით. სიმართლის თესლი არ დაიკარგება, სადმე მაინც თავს ამოყოფს.

ერთხელ, როდესაც საკანში საკმარისად ციოდა, ციხის უფროსი შემოვიდა. ვილაც სამოქალაქო პირები შემოჰყვენენ.

რატომ არ დაგვინთეთ? შევეკითხე უფროსს.

ერთ-ერთმა ჩასუქებულმა პასუხი არ აცალა:

— აქ სულ არ ცივა! — და გაიარ-გამოიარა.

— ვისთან მაქვს პატივი და ჩემს „საქმესთან“ რა კავშირი გაქვთ?

— არავითარი!

-- მაშ, უსაქმოდ აქ შემოსვლა რად იკისრეთ?

— ხედავთ, რა ამპარტავენი ყოფილა?! — ავდებულად დაიღრიჯა.

— ვონ ოტსიუდა! — და ლოგინიდან ნამობტომაც ვერ მოვასწარი (გვციოდა და ვინეკით), რომ კარებში ბურთებივით გავარდნენ.

მოგვიანებით ციხის უფროსი შემობრუნდა:

— თავი მომჭერიტ, სტუმრები ობკომიდან იყვნენ... ნუხდა იგი.

— მერე და, რატომ არ იციან ადამიანს როგორ უნდა ელაპარაკონ?

იციან, მაგრამ რა ჰქნან? ამოიოხრა მან და კარიასკენ გააპარა თვალი, -- მე ნამყოფი ვარ საქართველოში, იქ ვმუშაობდი ცოტა ხანს, — თავისებურად მოუბოდიშა ობკომელებს ამ გულღია

ადამიანმა, რომელსაც ჩვენ მიმართ სიმპათიის დაფარვა ეძნელებოდა.

„გასართობი სანახაობისადმი“ ინტერესი მოწყენილი პროვინციისათვის დამახასიათებელი იყო. რომელიღაც ასეთი ქალაქის ჩეკაში გურული მოხვედრილა (გვარი არ მახსოვს). კაბინეტში ორი ჩეკისტის გარდა დივანზე ქალები ყოფილან ჩამწკრივებულნი. გამომძიებელი მალაღმარდოვნად ორატორობდა, საუბარში გურული ჩათრევას ცდილობდა, რომელსაც რუსული უჭირდა. როლში შესულს დაყვავებითაც მიუმართავს: „დოროგოი ტოვარიშჩი!...“ გურულს ბუდიდან თვალები გადმოვარდნია და მკერდზე მუშტები აუბრაგუნებია: „ია გუს, გუს! გურული გუს!..“ გამომძიებელი დაბნეულა, მაგრამ ქალები ყველაფერს მიმხვდარან და ხორხოცი შეუქმნიათ: „ონ გუს, პოტომუ ჩტო ტი სვინია!“ მხიარულად აუხსნია ერთ-ერთ მათგანს. „გასვინიავებულ“ ორატორს გურული „გუს“ სასწრაფოდ ქვევით ჩაუგზავნია. ამ უკანასკნელს რუსული ანდაზისათვის ყური მოეკრა „გუს სვინიე ნე ტოვარშჩი“ და ასე თავისებურად გამოუყენებია.

შესაძლებელია ამგვარი აგრესიულობა ვინმემ თავგასულობად ჩათვალოს. ეს არ იქნება სწორი. ნამდვილად უღირს და თაღლით მტარვალს ყოველთვის უნდა ეგრძნო წინააღმდეგობის ენერგიით დამუხტული ჩვენი თავშეკავება თუ თავშეუკავებლობა, აი ისე, როგორც აჩვენა ნესტორმა „ნიჟე ტრავი“ — ამობურცული, მოქმედებისათვის მზადმყოფი კუშტად შეკრული მუშტები. ასეთი გაჯიქებით თავდაცვის შეუვალი ზონა იფარგლებოდა. ფსიქოლოგიური ლაგამი გამორიცხავდა კონტრაგრესიას, დაჯაბნა-დაბრიყვების ცდებს და უზომოდ გვიადვილებდა ადამიანური მინიმუმისათვის უკვე სერიოზულ და სასტიკ ლაშქრობას. სუსტის მიმართ მოძალადენი ძლიერის წინაშე იკუნტებოდნენ. აღვირის ოდნავი მოშვება და მათი აშვება ერთი იყო. რა დააკავებდათ? კანონი? მართლშეგნება? ეთიკა? კულტურა? საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მთელ მსოფლიოში გამოძახილს პოულობდა თუ ჭოლა ლომთათიძის, თუ სხვათა წერილები? მხოლოდ საკუთარი თავის იმედით ვიყავით და გადაჭარბება არასოდეს ზედმეტი არ ყოფილა. ციხე-გადასახლების ადგილზე რომ მოხვედებოდი, წამსვე იგრძნობდი შენამდე ვინ გაიარა, გამოუცდლმა თუ გამობრძმედილმა, რომელიც თავის ნაკვალევზე სწორედ ასეთ ხელსაყრელ სიტუაციას გვიტოვებდა. იქნებ, ბევრი არაფერიც არ იცვლებოდა, მაგრამ ჩვენს უღიმღამო ყოფას ლაზათი ემატებოდა, ადამიანურ ღირსებას და მოქალაქეობრივ ტონუსს გვინარჩუნებდა. ესეც რომ

არა, სხვანაირობას მაინც ვერ მოვახერხებდით. მაშინ ჯერ კიდევ ადამიანები ვიყავით და ალქმა-რეაგირებაც ადამიანური გექონდა.

არანაკლები დევნა-ჯახირი და შეურაცხყოფა გველოდა კონსტიტუციასთან დაკავშირებით 1934 წელს ე.წ. განთავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. იქ, სადაც მუშაობის შესაძლებლობა იყო, ცხოვრების უფლებას („მგლის პასპორტი“) არ გვაძლევდნენ, სადაც გვეცხოვრებოდა სამუშაოს. გზადაგზა დავეხეტებოდი. ხან პურჭყითა და ნაგვით საესე ერთ სადგურში ამოვყოფდი თავს, ხანაც — მეორეში. ტანსაცმელი „საამო“ სურნელით მქონდა გაჟღენთილი, სული კი არანაკლებად გულისამრევი სანახაობით. მაგრამ აქაც მსუბუქი, ანეკდოტური ამბების გახსენება მებაღისება, რადგან თვალი ისვენებს, რადგან ელვაქუხილის შავი ღრუბელი მარად ეფინება შავბედით გზებზე...

ერთხელ შუალამის სამ საათზე თბილისში დაბრუნებული დილის ტრანსპორტის გამოსვლას ვაგზლის დარბაზში ვუცდიდი. საბჭოური პოლისმენი შემოვიდა. დარბაზის სიმშვიდე უცბად აქოთდა. მოხუცი მგზავრი სკამზე მიძინებული დაინახა, წამოდგომაც არ აცალა, ლანძღვა-გინებით დაითრია და გაცრეცილი პერანგის სახელო შემოახია. წესრიგისაკენ მოვუნოდე.

ვინ ხარ შენ? — შენობით შემომყეფა წესრიგის ბურჯმა, — ამას გავიყვან და სეირს გაყურებინებ!

— კიდევ აქა ხარ?! — საოცრად გაუკვირდა დიდ ხელისუფალს და რკინიგზის შინსახკომის განყოფილებაში მიმბრძანა. იქ პატაკი ჩამოკაკლა: -- სახელმწიფო მოვალეობის შესრულების დროს შეურაცხყოფა მომაცენა... — მეც ჩემი ვთქვი და უკანონოდ დაკავების პრეტენზიაც წამოვაყენე.

შინსახკომელმა „საზეიმო ვითარებაში“ კონსტიტუციის სახელით საყვედური გამოუცხადა თავის ხელქვეითს.

— ვინ დანერა კონსტიტუცია, შე რეგვენო, იცი?!

კონსტიტუცია დამტკიცებული არ იყო, მაგრამ პრესის მორიგი კომპანიით ყურები გექონდა გამოჭედილი. პასპორტს დიდხანს უკირკიტა.

— რალაც რიგზე არ არის! — დაეჭვდა იგი და მილიციაში წასვლა გალანტურად „მირჩია“, — გააცილე! — უბრძანა განბილებულ „რეგვენს“.

იგი მიხვდა, რა „გაცილება“ ევალებოდა, მაგრამ „საეჭვოს“ აღმოჩენა არ დაუფასეს და განანწყენებული დარჩა.

— რა ვიცოდი, ასეთ პატარა ქალს ამხელა ენა რომ ექნებოდა! — იდაყვებამდე მიანიშნა უფროსს, ოღონდაც ამას ნუ გამაყ-

ოლებთ, თქვენი ჭირიმე! შელაზღანდარებით დაუმატა მან, რა-
ღაი ყველა გაცინებული დაინახა. გუმანით ხვდებოდა, რომ მის
„ძღვევამოსილებას“ არაფერი ემუქრებოდა, ეს კია, „გრძელ ენას“
უნდა მორიდებოდა, რომელსაც კონსტიტუცია რატომღაც თურმე
ესარჩლებოდა. კარგად დაგეშილს არც ის ეშლებოდა, თუ რა ფასი
ჰქონდა ასეთ გამოსარჩლებას. აგერ ღამის სამ საათზე მილიციაში
უტუცავენ თავს.

მილიციაში სხვამ მიმიყვანა. ბევრ ხანს მაყურყუტეს, ალბათ,
მეტი, ვიდრე ინგლისში სერიოზული ბრალდების ნამოყენებას და
მის გარჩევას დასჭირდებოდა. მორიგე უფროსს შეეუტიე. თურმე
ვორონეჟის პასპორტი სამფურცლიანი ყოფილა, ჩვენი ქარ-
თულ-რუსული ექვსიანი. მათი უეიცობა თუ თვალთმაქცობა
ჩვენს ნერვებს უნდა ეზლოთ.

ბნელ დერეფანში უფროსი წამომენია. მხარზე მომითათუნა.

რა იყო, შე-ქალო, ხომ გაგიშვი და ხუმრობასაც არ კადრუ-
ლობ?! გულწრფელად ეწყინა მას.

ჩემი აქ არყოფნის ექვს წელიწადში სხვა იერი დასდებოდა
საქართველოს. ო, როგორ შეცვლილიყო!.. თავი უმწეოდ ვიგრძენი,
თითქოს მთლად გაშიშვლებული ვიყავი... „პირველ ყოვლისა, იუმო-
რის გრძნობა არ დაგეკარგოს!“ ვარიგებდი საკუთარ თავს.

რამდენიმე შტრიხით მოვხაზე მაშინდელი სულისკვეთება და
ძალთა თანაფარდობა. ვიმეორებ, ჩვენი ცხოვრება ისეთი მსუბუქი
და იოლი არ ყოფილა, როგორც სხვადასხვა დროის ამ ეპიზოდე-
ბიდან ჩანს. იგი სასტიკი იყო, თუგინდ ქუთაისში ჩემი ექვსი თვის
ჯახირი სამსახურთან დაკავშირებით. სათქმელი ბევრია და მძიმეა
სათქმელად... მაგრამ აი, რამდენიმე სურათი შედარებით მძაფრი
და დრამატული:

ოციანი წლების პირველ ნახევარში რუსეთის რევოლუციო-
ნერების ერთი ჯგუფი საბჭოურ კატორღაში — სალოეკაში გააგზა-
ვნეს. საერთო რეჟიმით, სისხლის დამნაშავეებთან გათანაბრებით,
კატორღული შრომით მათი გატეხა-გაჩანაგება სურდათ. პოლიტ-
პატიმრები თავდაცვის ყველა საშუალებებს მიმართავდნენ, ზოგი,
ამხანაგების უჩუმრად, ბრძოლა-პროტესტის უკიდურეს ზომას —
თვითმკვლელობასაც კი.

სალაგერო სისტემა ლენინის სიცოცხლეშივე არის ჩამოყალი-
ბებული. საბჭოური კატორღის მსგავსი, ბენკერდორფიდან დაწყე-
ბული, რომანოვების ჯალათებს არც კი დასიზმრებიათ. მაგრამ,
ვაი, რომ ოცდაჩვიდმეტი წლიდან ლაგერი ისეთ ჯოჯოხეთურ
სრულყოფილებას აღწევს, რომ ადამიანის ნორმალურ ფანტაზიას

შესადარი ნიმუშის გამონახვა გაუჭირდება, თუ ფაშისტურ ლაგერებთან მსგავსებას არ იუკადრისებენ.

ნარიმის გადასახლებაში სალოველი სოციალ-დემოკრატები გერმანე ბენიამინის ძე კონი და იაკობ ოსკარის ძე შტაკელბერგი მიაშობდნენ, თუ როგორ მოიკლა თავი ახალგაზრდა სოციალ-რევოლუციონერმა სანდომირსკიმ: ღამე ხელებზე ვენები გადაეჭრა. მოთქრიალე სისხლს იატაკი შეეღება. იატაკის მოვლა-დასუფთავება რიგრიგობით ამხანაგების საზრუნავი იყო. და შემდეგ... სისხლის ნაკვალევი თვითონ ყვებოდა ჭაბუკის უკანასკნელ ნაფიქრალს ტამბურში გასულიყო, დიდრონი თასი შემოეტანა, ჭურჭელი მაგიდასა და გადგმულ სკამს შორის ჩაედგა... ასე ნახეს დილას სისხლდაცლილი სკამზე მშვიდად იყო მისვენებული, მაგიდის ძგიდესათვის ჩაეჭიდა ორთავე ხელი, ისე, რომ სიცოცხლის ნაკადი პირდაპირ თასში ჩანურულიყო...

სიკვდილს გამოეძერწა სიცოცხლის უკანასკნელი ფეთქვა, წითელი ღვეთების სტროფებში გულის მარტივი ბალადა ჩანერილიყო, სისხლის ბილიკი გზას მიიკვლევდა მწვერვალისაკენ, სადაც ადამიანობის უქრობი ლამპარი ანთია... წითლად ღვიოდა გრაალის თასი...

წმინდა იყოს და მარადი შენი სახელი, სანდომირსკი!!!!...

პატიმრები, როგორც ყოველთვის, დილაადრიანად ზონის გარეთ სამუშაოდ გაიყვანეს. ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, ოღონდაც შეიარაღებული ბადრაგი ზომაზე ჭარბი ჩანდა. შემდეგ ოპერაცია ელვისებური სისწრაფით განვითარდა ჯალათებმა სროლა ატეხეს. იმ ვარაუდით, რომ პატიმრები უნებლიეთ გაიქცეოდნენ, ზურგში ნატყვიარს მასობრივი ურჩობისა და ორგანიზებული გაქცევის საბუთად გამოიყენებდნენ. პირველნამიერად ეს ასეც მომხდარა, მაგარმ სოციალ-დემოკრატ ბოგდანოვს, თუ გვარი არ მეშლება, რალაც ელვისებური სისწრაფით მოუსაზრებია:

-- შეჩერდით! ხელები მალლა! -- დაუყვირია მას.

დაჭრილ-დაკოდილთა უმრავლესობა წინა მხრიდან აღმოჩნდა დაკოდილ-განგმირული. ამბავი გახმაურდა. მეორე ინტერნაციონალმა საკითხი დასვა რუსეთში პოლიტპატიმრების ბანდიტური ულეტის შესახებ. სისხლიანი „სკანდალის“ შემდეგ გადარჩენილები სალოვეის კატორღიდან ნამოიყვანეს და იძულებითი შრომა ციხე-ცენტრალეებში იზოლაციით შეუცვალეს.

ოციანი წლების მეორე ნახევარში, თუ არ ვცდები, 1925 წელს, პოლიტპატიმრები კვლავ სალოვეის კატორღაში გაგზავნეს. ამჯერად ესენი იყვნენ ქართველი მებრძოლები. ჯგუფს მამასახ-

ლისობდა სოციალ-დემოკრატი აფთონ ნულაძე, რომელმაც სალოვის ეპიზოდი ნარიმის გადასახლებაში მიაჩნო.

არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნის დროს აფთონი ეჭვქვეშ დააყენეს უნდობლობა გამოუცხადეს. ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე იქნებოდა კონსპირაციის პირობებში ეს, როდესაც ჩეკა დასაჭერად დასდევდა, იატაკქვეშეთი კი ერიდებოდა და იზოლაციას უკეთებდა, მაგრამ აფთონი გამოცდილი რევოლუციონერი იყო. ერთი წლის წვლების შემდეგ საზღვარგარეთულმა ბიურომ უფრნალ „ბრძოლის“ მეშვეობით თავდებობა იკისრა და სრულიად რეაბილიტირებულ ჰყო. დეზორგანიზაციის მიზნით ჩეკა ხშირად მიმართავდა ასეთ ბინძურ ხერხებს, რომ საკომპრომეტაციო მასალა ჩინებულად აენყოთ.

თებერვალს აფთონისათვის ენისეისკში მოუსწრია. დილით ამხანაგები შემოცვენილან, მეფის გადადგომა მიუხარებიან. ხმაურით თავმობეზრებულ აფთონს მხარი უცვლია. ამასობაში რომელიღაც იქაურ ბობოლას ხავერდგადაფარებულ ყურთბალიშზე ქალაქის გასაღების უქონლობის გამო საპყრობილეს გასაღები მიუერთმეფია... აფთონს სხვებთან ერთად დროებითი ხელისუფლება ჩამოუყალიბებია და საქართველოსკენ წამოსულა. საბჭოურ გადასახლებაში ენისეისკის გავლის დროს იმავე საკანში მოხვედრილა, სადაც რევოლუციამდე ქვაზე ამოკვეთილი თავისი სახელი და გვარი დაუტოვებია.

კოლპაშევი ჩამოსულმა აფთონმა რუსი ამხანაგების თხოვნით საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ საინტერესო მოხსენება გააკეთა. სხვათა შორის, ებრაელების საკითხთან დაკავშირებით ისრაელის მიმართ თავისი სიმპათია არ დაუმალავს, რაც იმხანად რუს სოციალ-დემოკრატებში პოპულარობით არ სარგებლობდა. „ამ ნიჭიერი ხალხის საუკუნოვანი დევნით კაცობრიობას ისეთი დიდი ცოდვა მიუძღვის, რომ საფასურად მათი კუთვნილი მინა-წყლის დაბრუნებაც არ იკმარებს, თუგინდ ეს ხდებოდეს არაბებისა და სხვათა ტერიტორიის ხარჯზე, რომელიც თავზე საყრელად აქვთ ამ უკანასკნელთ, და, თუ ეს უსამართლობაა, იგი მცირედზე უმცირესია იმ დიდთან შედარებით!“ — დაასრულა აფთონმა თავისი სიტყვა.

სოციალ-დემოკრატმა გრიგოლ ბორისის ძე ველიკოვსკიმ მას ხუმრობით ავტანომნებავისმოვიჩი უწოდა. სახელი მოერგო. ზოგი ვერც კი მიხვდებოდა, აფთონ ონისიმეს ძე რომ მოგვეკითხათ.

ციხე-გადასახლებათა სუსხით და საკუთარი რიგორიზმებით მოზრული სიცოცხლე... და სადღაც ახალგაზრდული დუდილის

დაუხარჯავი გულმხურვალეობა, თითქოს სხვისი და საკუთარი ხილვისგან გადამალული, უნდომ სიღრმეში ჩაგუბებული. ზოგჯერ გეიზერივით ამოსკდებოდა გიჟმაყი რალაც, სულაც ბალღური და უკვირდა მნახველს ხანდაზმული ადამიანის შეუფერებელი ქცევა. იგი ცოცხლად მიდგას თვალნინ და დღესაც მიკენესის გული.

ქ. ტომსკი. სადგურისაკენ მივდივართ. ამხანაგები მეორე ტურის გადასახლებაში მაცილებენ. დავალებანი გავინანილეთ, დაღლილები ნამოვიშაღეთ. გარეთ გამოვედით. საამოდ ყინავდა. თოვლის ჩქარი ფანტელები ნარნარი სიმსუბუქით მოთამაშებდნენ და ფუმფულა ფიფქით მოსავდნენ გადაყინულ, გადაყვითლებულ არემარეს. მგონი, აფთონი დაიხარა, თოვლის გუნდა დაამრგვალა და გამვლელს ესროლა. მერე — მეორე, მესამე. თითქოს მერხს გამოქცეოდა ონავარი, ანცობდა, ცელქობდა, ფუსფუსებდა, ბედნიერი თვალეები უბრწყინავდა. ვერც ამჩნევდა, ანდა ამჩნევდა, მაგრამ ეხალისებოდა, რომ გამვლელები იშმუნებოდნენ ჭალარა კაცის ახირებაზე. ერთმა ქალმა დაუტატანა კიდეც. აფთონი თოვლს დასწვდა და ფაფუკი გუნდა პირდაპირ სახეში შეაფრქვია. გულსავსე მხიარულებით იცინოდა, თვალეები სიხარულის ნაპერწკლებს აკვესებდნენ და უცბად ქალმაც გაიღიმა...

თუ მეხსიერება არ მლალატობს, სალოვკის ჯგუფი 75 კაცისაგან შედგებოდა. გზაში კონსტანტინე გამსახურდია შემოუერთეს. ჩასვლისთანავე ქართველები სხვადასხვა „სკიტებში“ დაქსაქსეს.

უძველესი დროიდან სალოვკის კუნძული ვეებერთელა სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა. მის დაბურულ ტყეებში მრავლად იყო მიმოფანტული სამონასტრო სავანეები. ამ ადგილებმა სკიტების სახელწოდება მონასტრის ლაგერად გადაქცევის შემდეგაც შეინარჩუნა.

ქართველების უმრავლესობა აფთონის „სკიტში“ მოხვდა. დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადება. აფთონს მეტად მძიმე საქმე ეკისრებოდა. ჯგუფი ერთგვაროვანი არ ყოფილა. უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, იყვნენ სოციალ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატებიც. საჭირო იყო ადგილობრივი კონიუნქტურის სწორი შეფასება, ისე, როგორც თითოეული ამხანაგის სულიერ-ფიზიკური შესაძლებლობების ფრთხილი მოსინჯვა და ამის მიხედვით რეალური ვარაუდები.

სხვა ჯგუფებისაგან ქართველები ხალხმრავლობითაც გამოირჩეოდნენ და, როგორც ეს ყველა ეროვნულ-სახალხო მოძრაობას ახასიათებს, ჩვენს რიგებშიაც პროფესიონალებს გამოუცდელი ამხანაგები სჭარბობდნენ. თუ პატიმრობას ზოგი

თვითგანვითარებისა და ჩამორჩენილი ამხანაგების სწავლა-დანინაურებისათვის იყენებდა, რეჟიმის გაუმჯობესების საზრუნავით და სხვა შფოთით ავსებდა, უმრავლესობისათვის ციხე მძიმე განსაცდელს წარმოადგენდა. გულფიცხი ვაჟკაცები სიკვდილს უშიშრად ხვდებოდნენ, მაგრამ პატიმრობას ძნელად ეგუებოდნენ. ჩვეული გარემოსაგან მოწყვეტა, უქმად ყოფნა და ამით გამონეწეული აბეზარი კინკლაობა, ყოველდღიურობის მონოტონური ერთფეროვნება, უძილობა, ნოსტალგია და სხვა დემორალიზაციის საფრთხეს ჰქმნიდა. მასიურ ღონისძიებათა ჩატარებისას ასეთი საფრთხე აქტუალურ და მეტად საფრთხილო პრობლემად იქცეოდა. აქ დაშვებული შეცდომა შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო. ერთის უხეირობა-თავნებობა მთელ საქმეს გასწირავდა, ამას კი მძიმე შედეგებიანი დამარცხება მოჰყვებოდა. გამარჯვებულ ადმინისტრაციას ლაგამი არ გააჩნია. ფრონტზე უმამაცეს ბატალიონს მხოლოდ ერთი სარდალის პანიკაც კი გააფუჭებს, ამიტომაც ჯარში დისციპლინისა და პასუხისმგებლობის სისასტიკეა... ციხეში, სადაც საქმე გაქვს უმთავრესად შინაგან მორალურ დისციპლინასთან, ერთისა და კოლექტივის ზემოქმედების საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ციხეში ბრძოლის ოპერაცია სწრაფად არ ვითარდება და მომქანცველი წვრილმანებით გადატვირთული დიდ სულგრძელობას მოითხოვს. მტერი ცეცხლის ხაზს იქით არ არის და მთელი თავისი მზაკვრობით უშუალოდ გიპირისპირდება. ბრძოლა ხდება არა ორ თანაბარს შორის, არამედ ყოვლადშემძლე მბრძანებელსა და მისით შებორკილ პატიმარს შორის, რომლის იარაღი ერთსულოვნებაა და შინაგანი გამძლეობა მხოლოდ.

ამას ლაგერის სპეციფიკაც ემატება. ციხე თავისი ტერიტორიალური ერთიანობით და პატიმართა კომპაქტურობით ზემოქმედებისა და სოლიდარობის მეტ შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ადმინისტრაცია უფრო თავშეკავებულია და იძულების საშუალებანიც გარკვეულად რეგლამენტირებული აქვს, ხოლო ლაგერები ცენტრისგან დაშორების მიხედვით დამოუკიდებელ სახანოებად იქცეოდა, სადაც განუკითხაობით გარყვნილი სატრაპები მძვინვარებდნენ და საწარმოო გეგმის შესრულებით ზემდგომთა წინაშე პატივს იმსახურებდნენ. ასეთ ვითარებაში აფთონს უხდებოდა ამხანაგებთან საიდუმლო კავშირების დამყარება, მათი სულისკვეთების სათუთი ზონდაჟი, თავმოყრა და ორგანიზება წინდახედულად. გადანყდა შიმშილის გამოცხადება. აფთონს კ. გამსახურდია აფიქრებდა. საჭირო იყო მისი ბრძოლის გარეშე

დაყენება და მოსალოდნელი საფრთხისაგან საიმედოდ დაცვა. აფთონმა დიპლომატიურად გამოიყენა ის გარემოება, რომ კ. გამსახურდია არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებას არ ეკუთვნოდა და წინადადება შეიტანა მისი შიმშილისაგან განთავისუფლების შესახებ. ქართველებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი, მაგრამ კ. გამსახურდიამ ასეთი მოტივის უკმარობა სწრაფად იაზრა და დადგენილება არ მიიღო. ბევრი მსჯელობა-კამათის შემდეგ კომპრომისზე შეთანხმდნენ: თუკი შიმშილი იგრეკ დღეს გადასცილდებოდა, მას მოშიმშილებთან შემოერთების უფლება ენიჭებოდა.

აფთონმა ბრწყინვალედ ჩაატარა ეს მეტად მძიმე ოპერაცია. რა თქმა უნდა, ზოგ რამ უნესრიგობასაც ჰქონდა ადგილი, რაც სიმრავლეს და სიჭრელეს ბუნებრივად თან სდევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, 75 პატიმრის სასიკედილო შიმშილის ერთიანი ფრონტი ბოლომდის ურღვევი დარჩენილა. შიმშილი სრული გამარჯვებებით დასრულდა ქართველები არა მარტო იძულებითი (კატორღული) შრომისაგან გაანთავისუფლეს, არამედ სალოკვიდანაც ჩამოიყვანეს.

ბრძოლას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. სალოკვაში ვიქტორ ყარანგოზაშვილის საფლავი დარჩა. ვ. ყარანგოზაშვილი ეროვნულ-დემოკრატი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი შორეულ სკიტიში შიმშილობდა. გაუგებრობით თუ ადმინისტრაციის მუხანათობით იგი შიმშილის მოხსნის საკითხში ვერ გაერკვა და, თუ არ ვცდები, 48 დღემდე გააგრძელა შიმშილი. შემდეგ, თითქმის ცნობიერებადაკარგულს ჩაისა და სხვა ასეთი მსუბუქი სითხის მაგივრად, უვიცობით თუ იგივე ვერაგობით (საექიმო პუნქტიც არსებობდა და გამოცდილებაც საქმარისი ჰქონდათ), კვერცხი აჭამეს. „ბრძოლაში“ ნეკროლოგთან ერთად საფლავის ფოტოც იყო მოთავსებული.

როგორც წესი, მიცვალებულებს ფეხზე ნომერგამობმულებს შიშვლად საერთო ორმოში ყრიდნენ. ქართველებს დალუპული ამხანაგი ადამიანურად დაუსაფლავებიათ ცალკე საფლავიც გაუკეთებიათ, ფოტოც გადაუღიათ და მისი საზღვარგარეთ გაგზავნაც მოუხერხებიათ. მაშინ საქმიანობა და კავშირები თავის დონეზე იდგა.

აფთონ ონისიმეს ძე ნულაზე, სხვა მრავალ ქართველთან ერთად, 1937 წლის ბართლომეს ღამეებში სადღაც ამოახრჩვეს. დამოუკიდებლობის პერიოდში აფთონი ბათუმის მუშათა პროფკავშირებს ხელმძღვანელობდა. ჩემო ქვეყანავ, დაკარგული საფლავების ჭირისუფლობა შენი ხვედრია! დე, დაკარგვის სიუხვე შენი

არ დაიშრიტოს, ვიდრე არ დაშთეს მტაცებელ მტერთა გულის სიხარბე. მალაღფარდოვან სიტყყად არ ჩამითვალო. მთელი არსებით მჯერა თხუთმეტ ასნლიან დროშას თეთრი გიორგი იცავს, დაუზოგავად დაკარგულმა საფლავებმა გადაგარჩინა, დაკარგვის სიუხვემ შენმა გადაგარჩინა და დე, დაკარგვის სიუხვე შენი არასდროს დაიშრიტოს...

სოლოვეკის კატორლას საშინელი სახელი ჰქონდა გავარდნილი. 1929 წელს ნარიმის ეტაპს სოლოვეკელების ხეიბართა ჯგუფი შემოუერთეს. მეტ-ნაკლებად ყველას ერთი ხელი ჰქონდა მოკვეთილი, ზოგს მთელი მკლავი, ზოგს იდაყვამდე, ზოგ „ბედნიერს“ კი მხოლოდ მტევანი აკლდა. ერთ-ერთმა იმათგანმა, ინჟინერმა, ამიხსნა, რომ პატიმრები ურთიერთდახმარებით ხან თვითონვე იჩეხავდნენ, ან იმტვრევდნენ ხელს ცულით ან რასაც მოიხელთებდნენ ხე-ტყის დამზადების დროს. მათ სახეებს ინდივიდუალობის ნატამალი აღარ აჩნდა. ოდესღაც სულიერი ავლა-დიდების გამომსახველი ნაკეთები ახლა ელემენტარულ გრძნობებს აირეკლავდნენ მხოლოდ. ვინ იცის, რა ცისკროვანი აზრები ლელავდნენ ამ მაღალი შუბლს მიღმა, როგორი ვაჟკაცური შემართებით აინთებოდნენ თვალები და სიყვარულის ნათელი ეფინებოდა ამ ჩაშავებულ ტუჩებს... ნაშთად ქცეული და მაინც მეტყველი ნაკეთები საოცრად კონტრასტულობდნენ გამოცარიელებული ფიტულების უმეტყველობასთან. ჯგუფი უცნაურად ერთსახოვანი იყო, ერთის მთქმელი და გამომხატველი. ეს იყო დაშინებული, დამშეული და უკვე მორჩილი საქონელი, რომელსაც ამ ქვეყნისაკენ პირი აღარ უჩანდა.

შესაძლებელია, ასეთ განადგურებას გადაურჩა კონსტანტინე გამსახურდია. მას თავისი საქმე და საკუთარი ბედი გააჩნდა, მაგრამ მოპოვებული გამარჯვებანი თავისთავად გარკვეული რადიუსის ფარგლებში რიკოშეტით სხვებზედაც ვრცელდებოდა.

მრავალი ამბავი მახსოვს, ზოგი მონათხრობი, ზოგიც პირადად განცდილი. უგეგმოდ მიყვები რეტროსპექციის ზიგზაგებს, არ ვიცი, რამდენად გამართლებული იქნება ასეთი თხრობა, თუ არადა, გადაამონტაჟონ, უკეთუ დანერილს საზოგადოებრივი ღირებულება ექნება. ამავე მწკრივში ინტერესს მოკლებული არ არის რამდენიმე ფურცელი ჩემი შორეული წარსულისა. ამჯერად ხანგრძლივი ექსკურსი მომიწევს:

1928 წელს, ვგონებ აპრილში, ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა ლექციის აუდიტორიას თვალი მოავლო და მზერა ჩემზე შეაჩერა:

პატარავ, მითხრა მან თავისი მოულოდნელი უაქელაციო გადანყვეტის მანერით, აი. გასაღები, კარადიდან წიგნებს

გამოიღებ (ამას და ამას) და ხვალ დილით მოხსენებას გააკეთებ!

პირი დავალე. ასეთ მცირე დროში მასალის დამუშავებასა და ჩამოყალიბებას აბა როგორ შეეძლებდი?!

ნადი! მიბრძანა ლუარსაბმა, გასაღები შინამომსასახურეს დაუტოვე.

სასწრაფოდ გავვარდი, ნიგნები ნამოვიღე და ჩემს ოთახში ჩავიკეტე. საწერი მაგიდა ორ ფანჯარას შორის მედგა. მოსალამოებისას შევნიშნე, ქუჩიდან ვილაც გაუბედავად მითვალთვალებდა. ჩავიბრინე. ლიკო ხუციშვილი ციხიდან მითვლიდა, რომ ნამების შედეგად მირიან ბარამიძე ჭკუაზე შეშლილიყო, ორთაჭალის ციხის ფანჯრიდან ჩემი და ჩემი ოთხი ამხანაგის გვარებს გაპყვიროდა, ჩვენს გადარჩენას იხვეწებოდა და ა. შ.

მოხსენებისათვის ვისლა ეცალა?! საქმეების მოგვარებას დაუყოვნებლივ უნდა შევდგომოდი. დიდი წვლებით, გამჭოლი ეზოების მეშვეობით ვახერხებდი უკვე ადევნებული „ფილერების“ ჩამოშორებას და შედარებით მოკლე დროში დასახული გეგმა შევასრულე. საჭირო იყო პირადის მონესრიგებაც. თბილისიდან უნდა წავსულიყავი, რომ ჩხრეკა-დაპატიმრების სანახაობა, ბინის აქოთება, ოჯახის ინტიმში მოურიდებელი ფოთარი მშობლებისათვის ამერიდებინა. ასე იქნებოდა საქმისათვის უმჯობესი. არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლას აზრი არ ჰქონდა, ამხანაგები კი ჩემთან სიარულს არ მოიშლიდნენ. ჩემი და აგრონომი სტაჟიორად იყო სოხუმში. აფხაზეთის იუსტიციის კომისარიატში სტაჟიორის საგზური ამხანაგებმა სასწრაფოდ გამომინახეს.

ლუარსაბთან გამოთხოვებაზე თავს უარი ველარ ვუთხარი. სტუმრები ჰყავდა. ნაწყენი ცივად დამიხვდა. ნიგნები დაეუბრუნე და გულდათუთქული უკან ნამოვედი, მაგრამ ლუარსაბს არაფერი გამოეპარებოდა. ბნელ სადარბაზო კიბესთან ნამომენია, ხელი მომხვია, შემომამბრუნა, სტუმრებს კარი მიუხურა, გვერდზე მომისვა.

თქვი!

ასე უდიერად დავალების შეუსრულებლობას ჩემგან არ მოვლოდა, აგერ ნიგნებიც დავუგვიანე, უკვირდა. ახსნა-განმარტებას თავი ველარ მოვაბი, ბოლოს ნავილულულე, რომ უნივერსიტეტში აღარ დავბრუნდებოდი. ლუარსაბმა ჩემი უქუდოდ სიარული და ხელმოკლე ჩაცმულობაც ივარაუდა და დიდი მორიდებით დახმარება შემომთავაზა. ვუთხარი, რომ მშობლები მსახურობდნენ და ნაკლებობას არ განვიცდიდი.

მაშ? ჩაციებით ჩამეკითხა.

ლუარსაბი მიყვარდა, მალულობანი რა საკადრისი იყო. როცა გაიგებდა, უნდობლობა ენყინებოდა. ვუთხარი, რაც მომელოდა. ხელები მუხლებშუა ჩაინყო, წარბები ასწია, ჩაფიქრდა.

ჩტოჟ, ნადო ი სანოჩკი ვოზიტ!

მერე გაიარ-გამოიარა და მითხრა, რომ მეცნიერებისათვის თავი არ დამენებებინა, მასთან კავშირი არ დამეკარგა და ხელმძღვანელობას არ მომაკლებდა. ტკბილ-მწარე ღიმილით გამოვეთხოვე. თავზე ხელები შემომაჭდო, მიმიზიდა, შუბლზე მაკოცა:

ს ბოგომ! და გამომიშვა.

ქუჩაში მისი სახლის კედელს მივეყრდენი, ქვითინი ნამსკდა. გამოვიტირე, სამუდამოდ გამოვეთხოვე საყვარელ მასწავლებელს, უნივერსიტეტს და კიდევ ბევრ რამე სხვას...

ყველაფერი დასრულდა. საქმე ამქვეყნად აღარ გამაჩნდა. მინდოდა ყველაფერი მალე მოთავებულიყო. მეორე დღეს სოხუმს გავემგზავრე. ქალები ჩემთან ერთად ზღვაზე სიარულს ერიდებოდნენ. მეუბნებოდნენ არასიმპათიური და უტიფარი „კავალრები“ გყოლიათო. დაუფარავი მეთვალყურეობა მალე დაპატიმრების ნიშანი იყო.

გამეცნო ვილიამ სპირო, ვინმე გერმანელი, მოსკოვის რომელიღაც უნივერსიტეტის ლექტორი, „როტ-ფრონტის“ კორესპონდენტი. მერე ნაეიკითხე შავგერემანი თავის მოგონებებში მას ახასიათებდა როგორც ავანტიურისტს, ქუჩების აურზაურისა და პუტჩების თავკაცს. 45 წლის იქნებოდა, წარმოსადეგი, დარბაისელი, ევროპულად განათლებული, იცნობდა ფილოსოფიას, ფროიდს და მაშინ ჩემთვის უკეთესი სანუნკარი არც მოიძებნებოდა. ხოლო, როდესაც „ფილოსოფოსი“ პოლიტიკურ თემებს უხეშად მიეძალა, ჩემთვის გასაგები გახდა, რა უნდოდა მას.

ერთხელ ჩერნიავესკის მთაზე ცხვირსახოცი ჯოხზე გამოაბა, ვითომდა მეორე ინტერნაციონალის სიგნალები უნდა ეჩვენებინა ჩემთვის. არ ვიცი, რაში უნდა დასჭირებოდა ფრიად სახმელეთო ორგანიზაციას საზღვაო სიგნალები, ეჭვი კი ავიღე, ვილაც ფარულად ფოტოაპარატს აწვალებდა. რას ვკარგავდი, მაგრამ ნეგატივი მაინც გავუფუჭე თავი ბალახებში ჩავმალე. იატაკქვეშეთს ჩამოშორებული და საპატიმროდ გამზადებული ჩემს შეხედულებებს არ ვფარავდი, მაგრამ ევროპელი კომუნისტი (ამას არც ის მალავდა) საბჭოურად გაენვრთნათ, ან დაექირავებინათ და ჩემთან მოეგზავნათ. შემეზიზნა, თავი შორს დავიჭირე.

ამრიგად, ჩემს საქმეში სპიროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, კა-

ზუს ბელის¹ როლი ეკისრებოდა, ვითომდა მოქალაქის რევოლუციურმა სიფხიზლემ მტერი აღმოაჩინა და ჩეკას ნიჭიერმა გამომძიებლობამ იგი საბოლოოდ გამოავლინა. მათ უყვარდათ ასეთი ინსცენირებანი, მაგრამ მე ღია კარტით ვაპირებდი თამაშს. ძირითადი ბრალდება უკვე დამტკიცებული მეგულებოდა, მინდოდა საქმე არ გაჭიანურებულიყო. ამხანაგების გამოცდილების მიხედვით გამოძიებისათვის ორ თვეს ვვარაუდობდი, რაც მე მანყობდა. მალე გამაციმბირებდნენ და ზამთრის მძიმე ეტაპი ამცდებოდა. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ საქმე მ თვეს გასტანდა და მომავალი წლის ივლისამდე ციხე-ეტაპებში ვიჩანჩალებდი.

როგორც იქნა, 16 აგვისტოს ჩემი მომავალი გამომძიებელი კოზლოვსკი სამსახურში წასვლამდე ადრე დილას მესტუმრა... ჩხრეკის შემდეგ გემრიელად ვისაუზმე. კოზლოვსკი მოთმინებით მელოდებოდა. ღიმილით მითხრა:

— მოხარული ვარ, რომ დაუპატიუებელმა სტუმრობამ მადა არ გაგიფუჭათ!

არც თქვენ გექნებოდათ ცუდი მადა, თუმცა სამარცხვინო ოპერაციისათვის ემზადებოდით. თქვენი აგენტების შემყურე დიდი ხანია მოგელით! ვცადე მოულოდნელობის ეფექტი გამეფუჭებინა მისთვის.

კოზლოვსკი პატიოსანი ადამიანი აღმოჩნდა. პირველი დაკითხვა იმას მოანდომა, რომ დიდი სიფრთხილით, მაგრამ საკმაოდ მისახვედრად სპიროსთან დაპირისპირებისათვის მოვემზადებინე. მეც გადაკვრებით მივახვედრე, რომ გარეთ ყოფნისას ჩემთვის სპიროს როლი უკვე გარკვეული იყო.

სპირო მამხილებელ მასალაზე ნურას უკაცრავად იყო და სიყალბე-სიცრუის გზას დაადგა. ასე, მაგალითად, მოულოდნელად გამოაცხადა, რომ მე მას, უცხოელს, მივანოდე 1924 წლის აჯანყების წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო ოპერაციების საიდუმლო მასალა. თუ რა, კონკრეტულად ვერაფერი თქვა, ოღონდაც უცხოელს და სამხედროს დაჟინებით იმეორებდა. მიკიბულ-მოკიბული თქმებიდან საბრალმდებლოდ ვერას გამოიტანდი, ან რა კრიმინალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმას, რაც პრესაში და პარიტეტული კომიტეტის გასამართლების მასალებში უკვე მოხსენებული იყო?

ასე რად ცდილობს ჯამუშობის მუხლისათვის?! მიკვირდა მე.

* ფორმალური საბაბი წინააღმდეგობისა (ბრძოლის).

ამით ხომ მთელ თავის ჩვენებას საექვოდ ხდის. ჩეკაც კი, რომელიც არავითარ სიყალბეს არ მოერიდება, ისეთ პოლიტიკურ აბსურდამდე მაინც არ მივა, რომ ეს მუხლი მე, ახალ მარქსისტს ნაშომიყუნოს. საქმის ვითარებას მხოლოდ თბილისში მივხვდი.

სპირომ ამ სახის იერიშები გააძლიერა. მობეზრებულმა მაგიდაზე ხელი დავარტყი და კოზლოვსკის მოვაგონე, რომ დაპირისპირებულს უშუალო მიმართვის უფლება არა აქვს და რომ გამოძიება მისი საქმეა და არა აგენტის ასეთმა სწავლულმა მუტრუკად დარჩენა როგორ მოახერხა-მეთქი. მის სიბრიყვეს კოზლოვსკიც კარგად ხედავდა. ჩიქორთულად მოლაპარაკე „მუტრუკი“ გაისტუმრა და სოხუმის საქმე დასრულებულად ჩამითვალა, მაგრამ თბილისის პატიმარს იქ მხოლოდ თბილისის განკარგულებით გადამიყვანდნენ და მან ესეც ფრთხილად მიმახვედრა.

კოზლოვსკის რიგი ამბებისა და მონაყოლთაგან სარწმუნო აღმოჩნდა: ყირიმის ერთ-ერთ სასახლეში გაგარინას ქალი საქმროს ელოდებოდა, რომ სასახლის საიდუმლო გვირაბით ზღვაში გაეღწიათ და შემდეგ გემით – საზღვარგარეთ. საქმროს დანახვის მოლოდინში კარი გაეღო პირობითი კაკუნის შემდეგ და ნითლების დანახვაზე გული წასვლოდა. კოზლოვსკის და მის ამხანაგებს უმწიერო ქალიშვილი შებრალებოდათ და იმავე გვირაბით უვნებლად გაესტუმრებინათ.

ბუტირკის ციხეში ნატაშა გაგარინას შეეხვდი. თავისი ოჯახის თავგადასავალს მიყვებოდა. უფროსი დის შესახებ ზუსტად კოზლოვსკის ნათქვამი გაიმეორა. „ნითლების შესევის“ შემდეგ მისი და სასახლიდან გასული არავის უნახავს და ნატაშა დარწმუნებული იყო, რომ იგი სასახლეშივე მოკლეს, ალბათ, წვალება-შეურაცხყოფის მიყენებაც მოახერხეს. ეს ამბავი კოზლოვსკის ნაამბობით დავუსრულე. ნატაშამ ტირილით გული იჯერა, ნათქვამი ენიშნა, ყური მოკრული ჰქონდა დის საზღვარგარეთ ყოფნის შესახებ.

კოზლოვსკისათვის თეთრგვარდიელ გამომძიებელს თავში რევოლვერი ჩაერტყა. დეპრესიული სულიერი დაავადებით ნითლებს გაეთავისუფლებინათ. ალბათ, რაც მტერმა დააკლო, 1937 წელს მოყვარე შეასრულებდა.

მალე ჩემი პიროვნებით ნაჭყეპიაც დაინტერესდა. სოხუმის პატიმრობაში „მეარსიყებოდნენ“, მერე მივხვდი ბერიას პროვოკაციაში ჩემი ჩარევის იმედი ჰქონდათ, მაგრამ მათი დამოკიდებულება ნანილობრივ წრფელიც უნდა ყოფილიყო. ნაჭყეპია მამას არწმუნებდა, ვითომც მან გამოძიება ისე წარმართა, რომ ჯამუშობის მუხლი მომეხსნა. სინამდვილეში კი სპიროს სიბრიყვის,

კოზლოესკის პატიოსნების, აგრეთვე ჩემი მხიარული დაცინვის, ბრალდების ირონიული აგდება-გაბათილების გამო საქმის შეთხი-პნა ველარ მოხერხდა.

ნაჭყეპიას ჩემი ტროცკისტან შეყრა ჰქონდა ახირებული (აგა-რაკზე იყო თუ სააგარაკოდ ელოდებოდა, აღარ მახსოვს).

-- ერთი შეხვედრა და ყველაფერში დაგაჯერებთ! მარნ-მუნებდა იგი.

ერთხელ ღამე საკნის კარზე მომიკაკუნა, მაგრამ გამოძახებით აღარ „შემანუხა“, უკვე ვინეკი. მეორე დღეს ბოდიშიც კი მოიხადა „უდროო გაღვიძებისათვის“ თურმე თავისი ამხანაგისათვის უნდა წარვედგინე. კაბინეტში ხანდაზმული ქალი იჯდა. არ ვიცი, ვინ იყო. თვითონ კი მრავალმნიშვნელოვნად გადამიკრა კრემლიდან არისო. მაშინ თავი მარქსის ფორმულებით მქონდა გამოტენილი და აბა რას გახდებოდნენ, ესეც რომ არა, მათი უმგვანო ამბების გახსენებაც საკმარისი იქნებოდა. „პაექრობამ“ დიდხანს გასტანა. ბოლოს ნაჭყეპია ფეხზე წამოდგა და, თითქოს იუბილარი ვიყავი, ხოტბა-დიდებით შემამკო: -- თქვენს თავს „რევოლუცია“ ბნელ ძა-ლებს არ დაანებებს! პათეტიკურად დაასრულა მან და თავისივე სიტყვით გულაჩუყებულმა ხელი გამომიწოდა, ალბათ, როგორც „რევოლუციის“ სანინდარი და მითხრა:

-- ხელი უკან ნუ მიგაქვთ, ამ მარჯვენამ სახნისი მიატოვა, რომ რევოლუციის სარეველა კაფოს და ერთხელაც არ შერცხვენია!

საიუბილეო ქათინაურები მერე იმ ქალმაც მომახსენა:

-- დღეს თუ ხვალ, ვიცი, ჩვენს რიგებს შემოუერთდებით! დარწმუნებით მეუბნებოდა ის. თურმე ათი წელიც არ გაივლიდა და ისინი თუ არა, მათი კარგი მეგობრები ჩემს „რიგებს“ თვითონვე შემოუერთდებოდნენ.

ყურადღებას არც ნაჭყეპიას მოადგილე გერმანე ჯინჯო-ლია მაკლებდა. მაღლიერებით ვიგონებ, რომ ძნელად საშოვნელი წიგნებით მამარაგებდა. პატარა უსიამოვნება მაინც მოგვივიდა: გა-მომიძახა. პაპიროსის კვამლით დაბურუსებულ კაბინეტში ათიოდე სამოქალაქო პირს მოეყარა თავი. იყო რესპუბლიკის პროკურორიც, იუსტიციის კომისარიატიდან ვიცნობდი. თავაზიანად მომიკითხა. მერე ერთმანეთთან საუბარი გამართეს კაკი წერეთელი გასაბ-ჭობებულა, აგერ-აგერ ჩამოვაო და ა. შ. გაჩუმებული ვიჯექი. ბო-ლოს ბრაზი მაინც მომერია:

— თქვენ რომ ჩემი სადგომის გასაღებსა ხართ დაუფლებული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ სპექტაკლებში მონაწილეობა მაიძუ-ლოთ! — გაგულისებულმა ვუთხარი ჯინჯოლიას.

პროკურორმა თქვენი ნახვა მთხოვა! — მიპასუხა განბილებულმა.

საკანში დაფიქრებული დაებრუნდი, თითქოს მენიშნა. შესაძლოა იცოდნენ, რომ წერეთლის აზრებს ბევრ რამეში ვიზიარებდი, ამის გამო მძაფრი შეკამათებაც კი მქონია ზოგიერთ ამხანაგთან, მაგრამ ვის შეეძლო ამბის მიტანა?! სათითაოდ ვიხსენებდი ამხანაგებს და უფრო თავს ვაჯერებდი, რომ საუბარი უცაბედი დამთხვევა იყო და სხვა არაფერი.

ჯინჯოლიას ცოლი ლაგერში ვნახე. 1937 წელს, როდესაც სტალინის ხელმონერით ბრძანებდა მიეღო ფიზიკური ზემოქმედების ანუ წამების საყოველთაოდ შემოღების შესახებ, ცოლთან ბავშვივით ატირებულყო. მაშინ უკვე აჭარის შინსახკომის კომისარი ყოფილა. მალე დაუპატიმრებიათ და დაუხვერეტიათ.

საბჭოთა საგამომძიებლო ორგანოებში წამება ყოველთვის იყო. წყილი წინდისათვის გალინას საკმაოდ აწვალებდნენ. მირიან ბარამიძე წამებით გატეხეს და გააგიჟეს, ლეო ბერიძეს ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული, პროკლამაციებით ხშირად ქვეყნდებოდა წამებით გატეხილთა აღსარებანი. მახსოვს, კალანდაძე, რომელიც დანერილებით აღწერდა, როგორ დაღუპა ტიპოგრაფია და ა. შ. მაგრამ 1937 წელს „ფიზიკური ზემოქმედების“ მეთოდებმა საინკვიზიციო ჯალათობის ხასიათი მიიღო და ფანტასტიკურ ბრალდებათა თავზე მოხვევის, პირადი ანგარიშებისა და მრავალ ფარულ ბოროტმოქმედებათა საყოველთაო საშუალებად იქცა.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში უკვე ჩატარებული იყო საარაკო პროცესები: რამზინის, ბაზაროვის და სხვ. მაშინ ნარიშის გადასახლებაში ვიმყოფებოდი. გაუგებარ საშუალებათა კომპლექსს, რითაც ჩეკა ახერხებდა გამობრძმედილი რევოლუციონერების გატეხას და მათ საზღაპრო ამეტყველებას, მარკ ლევიშმა არა ნაკლებ გაუგებარი სახელი ანთროპოგაგია შეარქვა. გულუბრყვილონი ვიყავით, ვერ წარმოგვედგინა, რომ ანთროპოგაგია თავის კულმინაციას მიაღწევს და გადაიქცევა ხელისუფალთა პოლიტიკური ბანდიტიზმის, ფალსიფიკაციის, სიყალბის, განუკითხავი უღეტის საყოველთაო და ერთადერთ საშუალებად. ბუხარინის, ზინოვიევისა და სხვა მრავალთა საჯარო პროცესები კომმარს უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. ამ საინკვიზიციო და მათ შორის ტელეპათია-ჰიპნოზის დანაშაულებრივი მეთოდების გულდასმით შესწავლა მომავალი მკვლევარის ამოცანაა.

ჩემს საკანს ფანჯარა არ ჰქონდა, ამიტომაც კარებს ღიად მიტოვებდნენ. მოულოდნელად ჩამკეტეს. გასახედი ქუჭრუტანაც კი

არ გამაჩნდა. აი, წინდაუხედაობა რას ნიშნავს... ვინ იცის, ციხეში როდის რა დაგჭირდება. გაფაციცებით ვაყურადებდი, როგორი შლიგინით მიჰყავდათ პატიმრები, თითქოს დაცარიელდა ჩეკა, სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კი უკუმოქცევის ნაკადი მეტი სიმძაფრით დაიწყო. მე ჩემი დამემართა, ვიდრე გავიგებდი, რაში იყო საქმე. ტყეში გასულ ორ ძმას ემუხვარებს ჩეკისტი მოეკლათ. სარევეან-შოდ ძირფესვიანად შეიპყრეს ემუხვარები, მარშანია-მარლანიები, ძიბშიბა-ანჩაბაძეები, შერვაშიძეები ყველა თავის ძიბა-ძუძუმტეებით, მაგრამ ამაზე შორს აღარ წასულან.

გურიამი, მაგალითად, მილიციონერი ობოლადის (ალაჰმა უწყის, ვის მიერ და რატომ) მოკვლისათვის 84 უდანაშაულო გლეხი დახვრიტეს (აქ თავადები დაინდეს და, რა თქმა უნდა, მადლობა უფალს). ნაზუქის შორეული გამიზნების პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

საქართველოსთან ისტორიულად შესისხლხორცებულ აფხაზეთს დღეს უკვე მტერი მოყვრისაგან ვეღარ გაურჩევია. იტალიის შესახებ, ვოინიჩის თქმის არ იყოს, აფხაზეთიც გონდაკარგული ლოთივით ჯიბგირს ეხუტება, როდესაც იგი მას ჯიბებს უცარი-ელებს.

ყაჩაღად გავარდნილ ემუხვართაგან ორნი - 17 და 18 წლისა ჩემდანაც შემოიყვანეს. ვიდრე შემეჩვეოდნენ, ქურციკებით თრთოდნენ და კუთხეში იბუზებოდნენ.

— ქართული არა, რუსული ასწავლე! შორიდან მიყვიროდნენ მათი ნათესავები. მარწმუნებდნენ, რომ ყველა მათი უბედურების ამტყეხი საქართველოა და, თუ საქართველო ტერორსა და განადგურებას გაასკეცებით განიცდიდა, ამის მოსმენაც არ სურდათ.

სოხუმში სამი თვე გამაჩერეს. იმ დროის ჩემს უფაქიზეს მოგონებად ჩისტოვი დარჩა. საკანი კომენდატურის გვერდით იყო. როცა უფროსები ნავიდ-ნამოვიდოდნენ, მორიგე ჯარისკაცები ჩემს საკანში შემოგროვდებოდნენ. ზოგი ნარებზე, ზოგი იატაკზე მოენწყობოდა და იყო გაუთავებელი სჯა-ბაასი მთვარესა და ვარსკვლავებზე, ქალაქსა და სოფელზე, გუშინდელსა და დღევანდელზე, ცასა და დედამიწაზე. დილას ყველა თავის საქმეს უბრუნდებოდა — მე პატიმარი ვიყავი და ჯარისკაცები — ბადრაგის სამხედრო დისციპლინის ერთგული მორჩილნი.

ჩისტოვი ყველასაგან განირჩეოდა. უფრო ლალა, „ღიადკა“ იყო, რუსულ ლიტერატურაში რომ შემხვედრია. თითქოს განგებას გამორჩენოდა, უშნოდ და ულამაზოდ აეყარა ტანი, სიგრძეში

ცალგვერდულად ანონილიყო. მიმოხვრა მოუსვენარი ჰქონდა, იფიქრებდი, საკუთარი თავის რცხვენია და თითოეული მოძრაობა კადნიერებად მიაჩნიაო. მოკრძალებული ადამიანის შთაბეჭდილებას სახის წითური ფერი საგანგებოდ აძლიერებდა. გახუნებული წარბების ქვეშ პანია თვალები ჰქონდა შეყუჟულ-შეფარული, აქეთ-იქით ცქიფად წამომხტარი ყურები, ვითომც უმეტესი ჯაფა მათ ეკისრებოდათ, დამახასიათებლად გამოკვეთავდნენ მის მაინცა-დამაინც არასახარბიელო გარეგნობას, მაგრამ ამ წითური სახიდან თუ უსახობიდან, ამ თვალებიდან თუ ჭურჭრუტანებიდან, თითქოს სარკმელს მოსდგომოდა, ცხადლივ გიმზერდა მისი გულის სიკეთე და სათნოება.

თუ სადილს დამიგვიანებდნენ (მამას დავალებით, წარიშკინების კერძო სამზარეულოდან მიგზავნიდნენ), ჩისტოვი ისე შფოთავდა, თითქოს აგერ-აგერ შიმშილისაგან სული უნდა ამომხდენოდა... თავს მევლებოდა ფაქიზი გულისხმიერებითა და მონივნებით. მისთვის რალაც ზეარსება ვიყავი და რუსული თავდადებით მეთაყვანებოდა. მეც სამაგიეროს ვუხდიდი.

აი, ხომ ხედავთ! – საიდანღაც ამოაძვრინა მან პატარა ჯვარი, განა თქვენ არ შეგიძლიათ ასე?

არა, ჩისტოვ, მე ასე ვერა, თუგინდ იმისთვის, რომ მომავალში აღარავითარი ჯვარი არავის დასამალი არ გაუხდეს.

აგრეა, ჩაფიქრებული მპასუხობდა იგი, მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ არ იცით... მე იქაც (თბილისში) მიმუშავია...

გამომიცხადეს თბილისში წასვლა. ამის შესახებ კოზლოვსკიმ წინასწარ გამაფრთხილა (საკანში შემომიარა):

მხოლოდ თქვენებურად კიდევ... და ხელი გაკრა, თითქოს წერდა.

საქმე იმაში იყო, რომ ადრევე ჩემს დას წერილით გამოძიების დასრულება ვაცნობე, თანაც დავუმატე, რომ, კოზლოვსკის სიტყვით, ჩემი თბილისში გადასაყვანად იქიდან განკარგულების მიღებაა საჭირო. წერილი ჩავარდა. კოზლოვსკის საყვედური უთხრეს.

ჯინჯოლიას მიჰყავხართ! მრავალმნიშვნელოვნად დასძინა მან, მაგრძნობინა, რომ ჩემ გარშემო სერიოზული ამბები ტრიალებდა და რომ სიფრთხილე და დაკვირვება მმართვედა. ჯინჯოლიას რიგითი პატიმრისთვის არ შეანუხებენო. ასეთ გასაოცარ მზრუნველობას იჩენდა იგი.

მთელ ჩემს აფორიაქებულ, მრავალნაირი თავგადასავლის გრძელ გზაზე, საბედისწერო წუთებში, ჩემგან სრულიად დაუმსახურებლად, არა ერთი და ორი ადამიანი მომშველებია, მტერი თუ

მოყვარე. ბევრისაგან და ბევრისაგან ვარ დავალებული. რა ინვე-
და ასეთ განწყობას, არ ვიცი. ამაზე ხშირად მიფიქრია. იქნებ ის,
რომ პატარა ტანის ქალი ვიყავი, კეთილი ადამიანები კი ქვეყნად
არ იღევა, მაგრამ უმწეობა და სათნოება არ მახასიათებდა, პირიქ-
ით, ძალღივით ღრენა ვიცოდი; იქნებ, ეს ღრენა მშველოდა...

ჩემს ნაცნობებს შორის იყო კ.კ. მის შესახებ ბევრ ცუდს ამ-
ბობდნენ. ერთხელ ვკითხე:

რატომ იჩენთ ჩემ მიმართ ამდენ სიკეთეს?

ისე შემომხედა, თითქოს მის წინაშეც ახლა წამოიჭრა ეს
საკითხი.

— დალახვროს ეშმაკმა, არ ვიცი, პატარა ხართ, არ მემეტე-
ბით...

საბედნიეროდ, ბადრაგად ჩისტოვი მომყვებოდა. ისე აფაც-
ურდნენ, ფულის მიღებაც არ მაცალეს (მამას გამოეგზავნა).
კოზლოვსკიმ სესხი შემომთავაზა, არ ავიღე, ძალიან ვანყენინე
(ჩეკისტისაგან არ მიიღეთო). ფული არც ჩისტოვს პქონდა. ნავსად-
გურში ფეხით ნავედით, იქ ჯინჯოლია დაგვხვდებოდა. ვფიქრობ,
განზრახ ქალაქში თავისუფლად გავლის საშუალება მომცა.

შუა გზაზე მოგვაგონდა, რომ პურის ულუფა მაგიდაზე
დაგვრჩენოდა.

— ახლავე მოვიტან! -- ვუთხარი ჩისტოვს.

მან ბარგი ჩამოიღო და მშვიდად ჩამოჯდა.

კომენდატურაში ისე შევევარდი, როგორც საკუთარ სახლში.
სოხუმში ჯერ კიდევ ნეტარი პატრიარქალობა სუფევდა. დაილო-
ცოს პროვინცია და მათი გულმართალი უეშმაკობა. „განსწავლუ-
ლებს“ მარნუხები ურჩევნიათ. ალბათ, უკმარობის კომპლექსია
უძლურთა „ძალოვნების“ გამოჩინება. ულუფას ხელი დავტაცე,
მორიგე გუშაგს, რომანოვსკის, ერთხელ კიდევ გულითადად
გამოვეთხოვე და ჩისტოვს მივაშურე.

გემით ეტაპირება ამჯერად ჩვეულებრივი მოგზაურობის ხას-
იათს ატარებდა. მე და ჩისტოვი მესამე კლასში მოვეწყვეთ. ჯინ-
ჯოლიამ მოგვაკითხა -- მესამე კლასი ფორმალაა და კაიუტაში
წამობრძანდითო. უარი ვუთხარი, ვახშამზედაც. განწყენებული
წავიდა. ჩისტოვის პურს ცოტა წავაციცქნე, საიდანღაც მსხალიც
გაჩნდა -- ჯარისკაცმა გამოგვიგზავნა.

წამოსვლისას ჩისტოვი ოცნებობდა: ჯინჯოლია ფოთში
საქეიფოდ თავისიანებს გაჰყვება, მე სასტუმროდან (სასტუმროში
ღრმად იყო დარწმუნებული) ზღვაზე წამიყვანს, იქ ნებიერად ვი-
სეირნებ, თვითონ კი ყაზარმაში წავა, იქ თავისიანები ეგულებოდა,

ოჯახის ამბავს გამოიკითხავს, ფულსაც დაესესხება, შეეხულება და დაბრუნებულებს უსათუოდ შემორჩენილი ექნებათ. მერე რესტორანში ნამიყვანს...

ლიმილით ვუსმენდი, ჩისტოვს სჯეროდა, რომ „ამხანაგა“ (ასე მეძახის) მას არ აწყენინებს. ნავსადგურიდან ჯინჯოლიამ ჩეკაში დარეკა, ტრანსპორტი გამოიძახა და, ჩისტოვისათვის მოულოდნელად, ლინეიკით პირდაპირ პოლიტსამმართველოში მივრახრახდით. პატიმრის გადაბარების პროცედურა მოკლე დიალოგით დასრულდა. ჯინჯოლიამ კომენდანტს უბრძანა:

კარგ საკანში მოათავსეთ, სადილი რესტორნიდან მოუტანეთ!

არ მინდა!

შიმშილს აცხადებთ?

არა, ფული არა მაქვს, ციხის ულუფას მომცემენ, ალბათ!

გადახდა თქვენ არ გეხებათ! მეგრული თავაზიანობით იუკადრისა ჯინჯოლიამ.

არა!

ჩისტოვი მის უკან დგას და თვალებით მემუდარება. მე კოპებს ვკრავ და ისიც დაღონებული ისუსება.

ფოთის საკანი დამამახსოვრდა, როგორც საძაგელი ნასიზმრალი. ვინრო სარკმელი ეზოში გამოდიოდა, დანესტიანებული მინური იატაკი ადამიანის განავლით და რატომღაც ცხერის ცურვლით იყო დასვრილი. ვირთხები ფეხებში გამებლანდნენ და თავიანთი უმგვანო წრიპინით ნარებქვეშ მიიმალნენ, მაგრამ აქ მთავარი კედლები იყო. ვიღაც ატეხილ „ურკა“ პატიმარს თავისი ეროტიკული გახელების სულისკვეთება ნახშირით კედლებზე აღებეჭდა. ეს იყო პათოლოგიური სიმრუშის, სექსუალური გადარევის პორნოგრაფიული სიბილნე. თვალს ვერ აარიდებდი, ყველა კედელი იყო წარყვნილი, ნარების ფიცრულიც კი არ დაენდოთ. მაშინ 22 წლის დედის ბუდიდან ახლად გადმოსული გოგო ვიყავი. ანგარიშმიუცემლად ჩემოდანს ხელი დავტაცე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, კარებს დავუშინე:

უნმინდურებო, ნადირებო... – გავეყვიროდი უთავებოლოდ.

გარეთ გამობრძანდით, პატენი, ეზოში „იპრაგულკეთ“, თუ

* „ურკა“ სისხლის სამართლის კოდექსის ორი მთავრული ასოს კომპოზიტია და ნიშნავს სისხლის სამართლის დამნაშავეის შემოკლებულ სახელს.

საკანს ვერ შეეწყვეთ! მელრიჯებოდა შეშინებული კომენდანტი.

— აქედან დამეკარგე, ახლავე ჩამკეტე, შე ურჯულო შენა!...
დავულრიალე აქაქანებულ ბედოვლათს.

ციხის მსახურმა ჩემს ულოგიკობას თავი ველარ გაართვა, ხე-
ლები გაასავსავა და კარები სწრაფად გადამირაზა. გიჟი თუ ვეგ-
ონე.

ჩისტოვს სიტყვა არ უთქვამს. კარის გარე ზღურბლთან ჩამ-
ჯდარიყო და მისი ბორგვა, მოუსვენარი ტირილი, მძიმე ოხვრა და
ვიში მესმოდა. ჩემს ფიქრებში ვბორიალობდი. ერთხელ კი შევახ-
სენე ტოლებში წასულიყო, გაურკვეველი ბურღუნით შემეპასუხა.
მერე ისიც მიმავინცდა.

ამ უნმანური სიბილნის გვერდით... დინჯად, კრიჭაშეკრული
მწუხარებით, თითქოს შავადმოსილი მემატიაწე მიაბიჯებდა...
და მეც მივყვებოდი მას, მივყვებოდი წვრილად ჩანანერებს. ლა-
კონიურ ნაწყვეტებში იშლებოდა შემზარავი ამბები მარტილო-
ბისა: თარიღები, ანდერძები, უკანასკნელად ამოხეთქილი ლექსი...
დახოცილთა და ნამებულთა გვარები, გვარები... უამრავი გვარი -
ახალგაზრდების, მოხუცების, მამების, შვილების...

მზე ჩაინურა. მწუხრი ჩამოდგა. ყური მოვკარი ჩისტოვი
წავიდა. მალე დაბრუნდა, კარი გაუღეს, თავდახრილი მოაბიჯებდა.
რალაც პატარა შეხვეული ნარზე ნინ დამიდო, რალაც წაიბურღლუ-
ნა, უმაღლე გარეთ გავიდა და კვლავ თავის ალაგს დაუბრუნდა.

ამანათი თეთრი პურის პანანა ნაჭერი იყო, ვარდისფერ ქა-
ლალდში ფაქიზად გახვეული.

ირგვლივ დახოცილთა და ნამებულთა ლანდები... და გულისამ-
რევი სიბილნე... აღმფოთებული იყო, შეძრწუნებული, წარყვნილი
და შეგინებული წმინდათაწმინდა გულის, სულის, სხეულის... და
ამ უკუნეთში, ქვეწარმავალთა საბრძანებელში სიფრიფანა პურის
ნაჭერი ფაქიზი ზრუნვით, კრძალვით მორთმეული...

ახლაც მიძნელდება განცდილის თხრობა, მიძნელდება იმის
თქმა, რომ დავიჩოქე, რომ პურს ვემთხვიე, რომ ობოლი ცრემლი
მოსწყდა მშრალ თვალებს... დღესაც გულში მაქვს პურის ნაჭერი...
ჩემი გზების ქარტიხილებში ავგაროზივით დამიფარა, შემინარჩუ-
ნა სიკეთის რწმენა...

სენტიმენტალებია?.. ეგზალტაციაა?.. შეიძლება. ციხეში
მგრძნობელობა განსაკუთრებულია. იქ სიტყვა ყუმბარასავით
სკდება, ნამცეცი გრანდიოზულად იქცევა, გარე ქვეყნის უმნიშვნე-
ლო კონტრასტები იქ ერთმანეთს მძაფრად ეხეთქება, მთელ არსე-
ბას შეძრავს და მისი დანალექი სამარადისოდ ჩაგრჩება გულში. ნე-

ტავ, რატომ გეპოდიშებით ამდენს?! ადამიანებო, ნუ შეგრცხვებით კეთილი ცრემლის, თუ ძუნძმა ცხოვრებამ ამის მიზეზი გამოიმეტა თქვენთვის...

დალამდა. საკანში ნათურა არ იყო. ვირთხები გამოძვრნენ, ფხაკურობდნენ და წრიპინებდნენ. გასვრილ იატაკზე სიარული აღარ ხერხდებოდა. ნარზე წამოვჯექი, ფეხები ავიკრიფე. ჩისტოვი სადღაც წავიდა ისევ. მალე სარკმელს მოადგა, შემომხმამანა, რიკულეებში ხელები გამოყო, ნუმნუმას მოუკიდა, მერე მეორეს, მესამეს... სადღაც ეშოვა ორი კოლოფი. მასთან მივედი. მკრთალი შუქი წამიერად გამოტივფრავდა ხოლმე მის შეშფოთებულ, მჭიმუნვარე სახეს და ასე მეგონა, რომ მასზე ახლობელი ამ ქვეყანაზე არავინ მყავდა.

მე ვუყვებოდი საკნის წარსულს — თუ როგორ გასულან ამ გომურიდან ოთხი ბიჭი. თერამეტი, წლისანი ყოფილან, თანაკლასელები... ერთი თურმე ლექსებსა წერდა, კრიალა ცა ყვარებია და თვალუფუფუნა გოგო... მაგრამ ახლა ნენა ახსოვდა მხოლოდ, ხელ-ფეხს უკოცნიდა და პატიებას სთხოვდა... ამ გომურში მამაშვილი ყოფილან ერთად. ასკდებოდა კარებს და ძაღლივით ყმუოდა თურმე, როდესაც პირველ გამოძახებაზე ჯერ შვილი წაუყვანიათ...

ოხ, რა ცოდოა ადამიანი! ოხ, რა ცოდოა ადამიანი!.. — რეფრენივით მოისმოდა ჩისტოვის მიყრუებული ხმა და ვერც კი ამჩნევდა, რომ სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა.

სადა ხარ, ჩისტოვ? ან როგორ დასრულდა შენი გზა? დიდი სიკეთის საზღაურად თუ მოეპკურა ორიოდე წვეთი მაინც შენს მართალ გულს?..

სადგურში ეტლით წაგვიყვანეს. ჯინჯოლიას თავისი რანგის ორი ფოთელი ახლდა.

როგორ შეენყვეთ ფოთს? მკითხა მან. ალბათ, კომენდანტის ანგარიშები უკვე ჩაებარებინა. ვუპასუხე, რომ თუკი ცხებ ქვეყნის კულტურისა და ზნეობის მაჩვენებელია, როგორც პენიტენციარისტები გეასწავლიან, ფოთს დასაკვეხი არაფერი აქვს.

— „ლიუდი გუმანნიე, დღია ნას ტუმანნიე!“ — ჩალექსა ფოთის ჯალათმა. არ ვიცი, ასევე ფიქრობდა თუ არა, როდესაც მარნუხები მასაც აგემეს. იქნებ, ჩემი ნათქვამიც გაახსენდა, რომ უკანონობა გაუმაძღარი მხეცია, რომელიც დღეს თუ ხვალ პატრონსაც დაგლეჯს.

ჯინჯოლიამ მეორე კლასი შემომთავაზა. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. მე და ჩისტოვი მესამეში მოვენყვეთ. ზევითა თაროზე

დამაბინავეს. ჩამოსვლისას სათუთი სიფრთხილით მეხმარებოდა, თითქოს ეშინოდა ხელში არ შემომემსხვრესო. თანამგზავრები აღმაცერად გვიყურებდნენ.

მე არას ვუხსნიდი, ვიცოდი, დაინყებოდა აქეთურები-იქეთურები და ჩისტოვს უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებდი.

ჯინჯოლიამ ბარათის წერისას შემომისწრო. ასეთი საჯარო ნასწრება რეაგირებას ავალებდა და მანაც ხელი გამოიშვირა:

მომეცით!

სასწრაფოდ დავხიე და ფანჯრიდან გადავყარე (დედას ვთხოვდი, მის მიერ ნაჩუქარი ჩემი ოქროს საათი ჩისტოვის გოგონასთვის ჩემგან ესახსოვრებინა და თავის მხრიდანაც არაფერი დაეშურებინა). ახლა მიხვდნენ ჩვენი თანამგზავრები. ზოგი რას მთავაზობდა, ზოგი -- რას. ჩისტოვს უალერსებდნენ. გაჩნდა ცივად მოხარშული დედალი, ღვინო. შიმშილი არ დაგვიმალავს. ჩისტოვმა ღვინო გადაკრა და თვალის ნამს ველარ ერეოდა...

თბილისში ჩასვლისას ჯინჯოლიამ ჩვენი ტრამვაით წასვლა ბრძანა და გაგვეცალა. აშკარად სახლში მისვლის შესაძლებლობას მაძლევდა. არ ვენდე (წერილის შემდეგ). ჩისტოვს უზომოდ ვუფრთხილდებოდი. აღმართზე მან ბარგი ჩამოიღო და გამომეთხოვა:

— თქვენთვის ვილოცებ!

მიმიყვანა კომენდატურაში და გადამაბარა. კარებთან კიდე ერთხელ შემოტრიალდა, ჩათუთქული მზერა გულში ჩამიტოვა და ამის შემდეგ მისი გზა-კვალიც აღარ მინახავს.

ჩეკას საპყრობილეში ჩემი ცხოვრება მრავალმნიშვნელოვნად დაიწყო. უფანჯრო საკანს კარებზე ამოჭრილი ჰქონდა პატარა ოთხკუთხედი, რომლის ფიცრული დარაბა გარედან იყო გაკეთებული. მალე ჩემი და მეზობელი საკნის დარაბები გამოაღეს. თუ რამდენად მახვილია პატიმრის გულისყური, ეს მხოლოდ პატიმარმა იცის. უცბად ისაზრებ იმას, რისი მიხვედრა გარეთ გაგიჭირდებოდა. ყურები ვცქვიტე. ხიფათის მომასწავებელი რალაც უნდა მომხდარიყო, რალაც საკვანძო, რაც ჩემი საქმის მიმართულების, ჩემი და მათი ტაქტიკის განმსაზღვრელი იქნებოდა.

მალე მეზობელ საკანში დიდების ჰანგზე ჩემი სახელი და გვარი დაამღერეს. ეს უტიფარ თამაშსა ჰგავდა. მაშასადამე, იმდენად მოგებულნი არიან, მხიარულ განწყობილებას არც კი ფარავენ, პირიქით, საქმეს კომიკურ ელფერს აძლევენ და ჩემშიაც შესაფერ განწყობას ქმნიან, რომ ასეთმა ატმოსფერომ გამიადვილოს რალაც-რალაცების მსუბუქად გადაწყვეტა. ერთი სიტყვით, კუკუდა-

მალობანას თამაშს არ აპირებდნენ, მაგრამ ამის მოხალისე არც მე ვიყავი და ეს მათ უკვე კარგად იცოდნენ სოხუმის პაექრობებიდან. საჭირო იყო ამ თამაშის მიზეზ-მიზნის ზუსტი დადგენა, რომ თავდაცვა შეუცდომლად წარმემართა.

„მომღერალი“ გოგი კუტალაძე აღმოჩნდა:

ყველაფერი იციან, ძალიან მანამეს, ორი თვეა ეზივარ...

გოგი ისიდორე რამიშვილის ნათესავი, მუშათა ტრადიციული სოციალ-დემოკრატია ოჯახიდან, თვითონაც მუშა და სოციალ-დემოკრატი, სამწლიანი გადასახლებიდან იყო დაბრუნებული და არალეგალურ მუშაობას განაგრძობდა. უდავოდ ვენდობოდი. გული ჩამიწყდა, მაგრამ ამით რომ ფარ-ხმალს ვერ დამაყრევიებდნენ, ვფიქრობ, ეს მათაც კარგად იცოდნენ. ხერხი მეტად გაცვეთილი და პრიმიტიული იყო. გოგი ჩემთვის არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენდა. მისი გატეხა ჩემში მორალურ შოკს ვერ გამოიწვევდა და ვერც ჩემს შეხედულებებზე მოახდენდა გავლენას. ვიპეორებ, მათ საკმარისად კარგად ვყავდით შესწავლილი. მაშასადამე, აქ სხვა რალაცაში იყო საქმე. მართლაც, თითქოს რეჟისორი ჩქარობდა უკვე მომზადებულ სპექტაკლში ჩემთვის განკუთვნილი მიზანსცენა ჩემამდისაც მალე დაეყვანა, ვინაიდან პროლოგი ამით არ დამთავრებულა.

ზევით-გამომიძახეს. გამომძიებელი ანკეტას მივსებდა. ტელეფონმა დარეკა. დასტურის შემდეგ კაბინეტში ლიკო ხუციშვილის უფროსი და მარო შემოვიდა. გამომძიებელმა ტელეფონით გასცა განკარგულება პარმენ ფირცხალაიშვილის სანახავად ამოყვანისა და საკანში ჩემი დაბრუნების შესახებ. მალე პარმენი შემოიყვანეს და მეც იმავე ზედამხედველმა წამიყვანა.

მაროს დები ქეთო და ბოკა 1926 წლიდან საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ. პარმენი ქეთოს ქმარი თუ საქმრო იყო. ამრიგად, მისი დაპატიმრება და საქმის გამოძიების დასრულება მამცნეს, მაგრამ რატომ? ვგონებ, მართლდებოდა ჩემი ეჭვი.

პარმენი და ლორდელი საზღვარგარეთის ბიუროს ემისრებად ჩამოვიდნენ და პირველსავე ნაბიჯებით ჩვენი უნდობლობა გამოიწვიეს. წარმოიშვა პარალელური ორგანიზაციები, მასიური ჩავარდნები ქრონიკულ უბედურებად იქცა, ხელმძღვანელი ორგანოების ჩამოყალიბებას ორგანიზაცია ველარ ასწრებდა. ასეთ პირობებში მუშაობის შეჩერება-კონსერვაცია უმჯობესი იქნებოდა, მაგრამ სწორედ ეს უნდოდა ჩეკას. იატაკქვეშეთს ჯამუშ-პროვოკატორებით აავსებდა, ვინ იცის, რა პოლიტიკურ ავანტიურებს გაითამაშებდა და რამდენს იმსხვერპლებდა. ვინაიდან ხალხს, ამ

სიტყვის სრული მნიშვნელობით, და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ბრძოლის შეჩერებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდა. ვიდრე ძალა შეგენედა, ორგანიზაციის გადარჩენაზე ვზრუნავდით და ხალხს პროვოკაციების ანკესებს ვარიდებდით. ამ სახის მუშაობამ ბევრი ამხანაგი შეინირა. 7 წელი გავძელით, ახლა კი უახლოესი შეგობრები ვერა ასათიანი, კოკი იოსელიანი და სხვები უკვე გაციმბირებული იყვნენ.

პარმენს ბარათი გაეუფ ზავნე, შეხვედრას ვუთანხმებდი, ვითომდა განხეთქილება-პარალელიზმის სალიკვიდაციოდ. გამოუცდელილობით თუ ბოროტებით მათ უკვე იმდენი ჰქონდათ დაშავებულ-გაფუჭებული, რომ ეს საკითხი გადაჭრით უნდა გარკვეულიყო და, უკეთეს შემთხვევაში, ანგარიშის ჩასაბარებლად და პასუხსაგებად ორივენი უკან უნდა გაბრუნებულიყვნენ. მათი განვევის მიზნით ისილორე მანწკავა საფრანგეთში გაიგ ზავნა, მაგრამ ჩვენი საზღვარგარეთ მყოფი ხელმძღვანელობისაგან ჯერჯერობით არაფერი ისმოდა. ჩვენი შეხვედრა იქნებოდა გადამწყვეტი. თუ ნებაყოფლობით არ წავიდოდნენ (ორგანიზაციის მოთხოვნა ამისათვის სრულიად საკმარისი იყო), პროკლამაციით ან სხვა საშუალებით უნდობლობა უნდა გამოგვეცხადებინა, შესაძლებელია, მდგომარეობას მეტიც დაეკისრებინა ჩემთვის...

კონსპირაციის პირობებში ემისრებისათვის აცილების მიცემა პატარა საქმე არ არის. დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებდა. რა თქმა უნდა, პასუხი არ დამცალდა. მასიურ ჩაევარდნებთან დაკავშირებით არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა გამართლებული არ იქნებოდა. რისი გაკეთებაც მოხერხდა, გაეაკეთე გზები გადავზურე, კავშირები უფრო გავასაიდუმლე, საქმიანობა თითქმის დავაკონსერვე, ვიდრე საზღვარგარეთიდან ვინმე არ ჩამოვიდოდა. ...მაგრამ სოხუმში სამი თვე ჩემი გაჩერება, „არშიყობის“ ატმოსფერო, შემდეგ თბილისში ასეთი შეხვედრა-მიხვედრები რალაც საფინიშო მზადებას მოასწავებდა. ჩანს, მოქმედების ადგილმა ჩეკაში გადმოინაცვლა ე. ი. პარმენი გარეთ უკვე გამოუსადეგარი გახდა. მაშასადამე, უკვე ვილაც ჩამოსულა, მაგრამ, ვინაიდან ჩეკა ასე აშკარად მოქმედებდა, თავს გამარჯვებულად გრძნობდა.

რას აპირებდნენ? რალაც ზარ-ზეიმით მორიგ დარტყმას! გოგისთან გასაუბრება, ოთართან შეხვედრა, მაროს მზრუნველობის სადემონსტრაციო სანახაობა (ხუციშვილები დედიან-ბუდიანად ჩვენი ოჯახი იყო. პარმენის მიმართ ამგვარი ყურადღება მისი პოლიტიკური რენომეს დაცვას ნიშნავდა) და სხვა მრავალ რალაცას

მოსანაევბდა, მაგრამ რას? თავსამტვრევი შეკითხვებით საკანში დავნრიალებდი. სარკმელს აღარ მილებდნენ. მიხაროდა. მიხაროდა პარმენის ჩაეარდნაც ასეა თუ ისე, მისი დამაზიანებელი მუშაობა აღკვეთილია, მაგრამ ღორდელი? შეიძლება, აქაა ძალის თავი... არა! პარმენი მაროსთან ერთად შემახვედრეს, მაშასადამე, რალაც მნიშვნელოვანი აქციისათვის იყენებენ და ეს აქცია აშკარად ჩემთვისაა გამიზნული. რამ გატეხა გამოცდილი გოგი, თანაც იმდენად, რომ ჩემთან ასეთი ბილნი კომედიის გათამაშებაზე დაიყოლიეს? რა და ვინ გადარჩა? რად მიქმნიან შთაბეჭდილებას, რომ ჩემი საქმის გამომძიებით არ არიან დაინტერესებული? როგორ უნდა მოვიქცე, რომ ხიფათში არ გამაბან? კოზლოვსკიმ კარგად იცის მათი მუშაობის მექანიკა, ტყუილუბრალოდ ასეთი დაჯინებით სიფრთხილისაკენ არ მომინოდებდა. ან მეტად გულუბრყვილოდ ჩამთვალა, ანდა ჩემ მიმართ მილებული ინსტრუქციების მიხედვით დაასკენა, რომ სერდოზუული საფრთხე მომელის... ვფიქრობდი და ვფიქრობდი, მაგრამ გადაუჭრელი კითხვების გარდა თავში არაფერი მომდიოდა.

რამდენიმე დღე და მელიქაძემ გამომიძახა. გაცნობა-მოკითხვის შემდეგ მითხრა:

თქვენი ამხანაგები ყველა ქვედა სართულზე მყავს დაბინავებული. მენშვეიკები (ასე იხსენიებდნენ ყოველთვის ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც) პოლიტიკურად განიარაღებული არიან და რომ იცოდეთ როგორ! მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა მან, გნებავთ, მოგიყვებით, რას აკეთებდით, თუმცა უფრო საინტერესოა, რა ხდება ამჟამად თქვენს იატაკქვეშეთში... და ა. შ.

საუბარი მიმდინარეობდა მსუბუქ ირონიულ ტონში და ჩემგან მას აშკარად არაფერი უნდოდა, ყოველ შემთხვევაში, ეშმაკური კითხვებით არ ცდილობდა რაიმე ნამომცდენოდა.

საქმეების გადაბარებისას კატეგორიული უარი ვუთხარი ყველას და მათ შორის გოგის – საკომუნიკაციო ხაზების ჩაბარებაზე: გორი, ჭიათურა, თელავი, ქუთაისი და სხვ. არც თბილისის ხაზი მიმიცია. მე უშუალოდ დაკავშირებული ვიყავი მუშებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ჩვენი ინტელიგენციის ოჯახებთან... ზოგი ამხანაგი იყო, ზოგი -- თანამგრძნობი, აქტიური დამხმარე და ა. შ. იმ ღამის საუბარში ამ უამრავი ხალხიდან არც ერთის გვარი ყურს არ მოხვედრია. გულში ჩემს თავს მხურვალე მადლობას ვუუბნებოდი. მაგრამ იყვენენ მუშაობაში უშუალოდ ჩაბმულნი, იყო ტიპოგრაფია, სტეკლოგრაფი, ბეჭედი, ბინები, გამოცხადების საიდუმლო ადგილები და სხვ. თავში ერთი აზრი მიტრიალებდა

— როგორ დამენამუსებინა გოგი კუტალაძე, რომ არ ეთქვა ის, რაც ჯერ ნათქვამი არ ჰქონდა. დარწმუნებული ვიყავი და ახლაც მჯერა, რომ იგი აგენტი არ იყო, ნამებით გატყვეს და ზოგი რამ ათქმევინეს.

ბოლოს მელიქაძემ მითხრა: „

თქვენი ამხანაგები მთხოვენ, სადღეისო ამოცანების გასაკვევად ყველა ერთად შეგყაროთ.

ვუპასუხე, რომ გამოსარკვევი მე პირადად არაფერი მქონდა.

პარმენისადმი მინერილი ჩემი წერილი ნინ დამიდო. თურმე, ნუ იტყვით, ლორდელს ჯიბით ორი თვე უთრევინა და ჩხრეკის დროს ამოუცლიათ. გულიანად გამეცინა.

ნეტავი, ასეთი ზღაპრებით თუ არწმუნებთ ვინმეს?

კარგ გუნებაზე შევიქენი, რადგან ფინალი გაირკვა. ცხადია, მასიურ დეკლარაციას ამზადებდნენ. მართლაც, სხვა რა უნდა ყოფილიყო? მაშასადამე, ეს პამპულობა თავიდან უნდა ამეცილებინა და სხვა არაფერი, რაც არავითარ სიძნელეს ჩემთვის არ წარმოადგენდა. დიდხანს აღარ შევყოყმანებულვარ, წერილი მივიღე და:

ჩვენებას საკანში დავენერ, თუ ნებას მომცემთ! — ვუთხარი მელიქაძეს. იგი დამთანხმდა.

სარკმელი კვლავ სასწაულად გაიღო.

— გოგი, რა გიყავი, ბიჭო, ხელი რატომ მოგანერინე? (ჩავარდნილ ბარათს, როგორც დროებითი კომიტეტის წევრი, ხელს გოგიც აწერდა) ეს ხომ ჩემი ახირება იყო. საქმის კურსში რომ არ იყავი, შენ საცოდავო შენა, რატომ განვალებდნენ, აბა, რა გქონდა სათქმელი ორიოდ სისულელის გარდა?!

ხო, ხო, ასეა, ლიზიკო! საცოდავი ხმით მიდასტურებდა გოგი. თითქოს რალაცის თქმას აპირებდა და ვერ გაებედა. ეს, ალბათ, მეთვალთვალე გამომძიებელმაც შეატყო, ვინაიდან სარკმელი სწრაფად გადაიკეტა.

გამოძიება სულთანიშვილს გადაეცა. რაშიც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ იცოდნენ, ვუდასტურებდი. ამით მინდოდა, მეტი დამაჯერებლობა მისცემოდა ჩემს უარყოფას, მაგალითად, რომ ტიპოგრაფია არც მქონია, რომ ეს იყო მხოლოდ ფანდი, რათა პარმენი ორგანიზაციის აღჭურვილობით მიმეზიდა და ჩვენი მალე შეხვედრის სურვილი მასში გამეცხოველებინა, რომ სტიკლოგრაფის გადამალვის ადგილი ჩემ გარდა არავინ იცის და ა. შ.

იმედი მქონდა, რომ ზოგი რამ მაინც გადარჩებოდა მატერიალური ბაზიდან, რომლის შექმნა ორგანიზაციას სულ უფრო და უფრო უჭირდა. ზოგი ამხანაგიც გადარჩენილი მეგონა. ტიპოგრაფიის ად-

გილი ვიცოდით მხოლოდ ითხმა, რომლებმაც მის გადაზიდვა-გადამალვაში მივიღეთ მონაწილეობა. მაშინ უკვე მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავი და ეს ამბავი ძალიან გაგვიძნელდა. ღამით გადავიტანეთ. წინა ეტლში მე და გოგი ვიყავით, მეორეში მიშა კუტალაძე და საშა მელიმონაძე.

იმედები ამოა აღმოჩნდა. როგორც ამხანაგებმა მეტეხში მაცნობეს, მდგომარეობა გარეთ სულ სხვანაირად ვითარდებოდა. გოგის დედა ისიდორე რამიშვილის და იყო. ოჯახი სრული ნდობით სარგებლობდა. უმცროსი შვილი ქუჩას გაჰყვა და გაფუჭდა. ჩეკა ასეთ პიროვნებას გვერდს როგორ აუვლიდა?! დაუტრიალდნენ, მოისყიდეს, გააჯაშუშეს და შემდეგ პროვოკატორის როლიც წარმატებით შეასრულებინეს. მისცეს ტექნიკა, რადიომიმღებიც კი. მიშა კუტალაძემ არა ერთი და ორი ასეთი დააღუპინა ჩეკას. მისმა ყოფილმა საცოლემ თ. გ.-მ მისი მოკვლა განიზრახა, მაგრამ ციხიდან ვიღონე და გადავაჯერე. აბა, რა ვიცოდი, რომ ასეთ უშუალო და მხიარულ ბიჭს იმ ზომამადე შეეძლო გაათახსირება და ამდენი უბედურების დატრიალება?!

დრო ნელა მიდიოდა. ვკითხულობდი გაზეთებს (მაშინ არ გვეკრძალებოდა) და პატარა ნრუნუნათი ვერთობოდი. ძალიან დავმეგობრდით, ხელიდან ვაჭმევდი. შეფარვითი ქურდული ქცევა მას არ ახასიათებდა, მშვიდად თავისთვის ფუსფუსებდა. კალთაში ამომიძვრებოდა ხოლმე და თვალებში შემომცქეროდა. უკვე მომინაურებული დამიხვდა.

მელიქაძემ გამომიძახა:

პარმენი და ლორდელი თქვენთან შეხვედრას ითხოვენ!

სიხარულით გული ამიფანცქალდა, ვინაიდან „თავმოყრაზე“ კრინტს აღარ ძრავდა. კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ჩეკას გამომძიებლებს უშუალოდ ვესაუბრები და მათი აგენტები ახალს რაღას მეტყვიან?! ვუპასუხე მხიარულად მელიქაძეს.

სევერიან და სევასტი რამიშვილებიც ამასვე მთხოვენ!

თუ არ შენუხდებით, იგივე გადაეცით, რაც ახლა მოგახსენეთ!

სეითი ავადაა, მაგრამ თქვენ სანახავად მოსვლას აპირებს!

გადაეცით, რომ პოლიტსამმართველო პოლიტსალონად არ მიმანია!

ახლა გაფაციცებით ველოდებოდი, როდის გამოქვეყნდებოდა დეკლარაცია, ვის გვარებს ამოვიკითხავდი. ცხადი იყო, ზარ-ზეიმი არ შედგა. მელიქაძემ კვლავ გამომიძახა. დეკლარანტებთან შეხ-

ვედრაზე უკვე აღარ ლაპარაკობდა. თურმე, ნუ იტყვით და სავსებით საკმარისი იქნებოდა, თუ აღუთქვამდი „ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციასთან“ კავშირის განწყვეტას და მხოლოდ „ბუდე გრიზტ გრანიტ ნაუკი“. პროფესორები ამბობდნენ... და სხვა თავის მომქონავნი.

მალე მამას შემახვედრა, რომელსაც თავისი პარტიული ამხანაგი (ყოფილი) ახლდა. სახით არ ვიცნობდი და, ვგონებ, თედო ღლონტი უნდა ყოფილიყო. ვიდრე მამა ცოცხალი იყო, ამის დაზუსტება არ მომგონებია. რალაცით მეტად დაძინებული მეჩვენენ. მამასგან ეს სრულიად მოულოდნელი იყო და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მეუბნებოდნენ:

— გინდა თუ არა სიტყვა მიეცი, აქ არაფერი სამარცხვინო არ არის, რწმენაზე ხომ არ ამბობ უარს, არც გთხოვენ ამას. რომ გამოხვიდე, იმ ნაძირალებთან მაინც არ ნახვალ, ვიცი. შენც ხასიათი. უნივერსიტეტი გაგზავნის საზღვარგარეთ-სასწავლებლად.

— მამა, რას ამბობთ, განა აქედან უსასყიდლოდ და ნაუხდენლად ვინმეს გაუშვებენ, ასეც რომ იყოს?!

მელიქაძეს „სასტიკად ეწყინა“ ვიცით, ვის რა უნდა მოვთხოვოთ. საგანგებო შეხვედრა გამომძიებლის დაუსწრებლად ხდებოდა, რაც ჩეკაში მიღებული არ იყო. სულმა ნასძლიათ და მაინც მოგვაყურადეს. მელიქაძემ ჩემი ნათქვამი სიტყვასიტყვით გაიმეორა.

კვლავ გამოძახება-იერიშები... ასეთი ჩაყინება მაფიქრებდა. რომელი საზოგადო მოღვაწე ვიყავი, რომ ჩემს პოლიტიკურ ფერისცვალებას მათთვის სასურველი პოლიტიკური სკანდალი გამოენვია. ან მერყეე ადამიანად მიმიჩნიეს და მაცივებოდნენ. მაფიქრებდა მამაჩემიც გამოცდილი, პრინციპული. ასე რამ დააფრთხო, რომ უღირს წინადადებას მთავაზობს, თანაც „ნაძირალებთან არ ნახვალ“. მამას სოციალ-დემოკრატები არ უყვარდა, მაგრამ ასე არასდროს მოუხსენებია.

ბოლოს, მორიგ გამოძახებაზე მელიქაძემ მოულოდნელად გამომიცხადა, რომ ვინაიდან ჩემი დახსნის ცდებმა ამაოდ ჩაუარა, ახლა იძულებულია მთელი სიგრძე-სიგანით ჩემი პასუხისმგებლობის საკითხი დასვას.

— აი, რა ბრალდება გეკისრებათ ყველას!

დაშიფრული დოკუმენტები, გასაღები და ტექსტიც წინ დამიდო.

თუ არ მენდობით, შეამონმეთ!

კითხვა დავინყე და თმები ყალყზე დამიდგა. ეს იყო ჯამუშური მუშაობის მამხილებელი საბუთები. საზღვარგარეთის ბი-

უროს ბრძანებით და პოლონეთის გენშტაბის დავალებით ვითომ ჩვენი იატაკქვეშა ორგანიზაციები სარწმუნო პირთა მეშვეობით აგროვებდნენ და უშუალოდ გენშტაბს ანვდიდნენ სამხედრო. და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო ცნობებს. ჯაშუშურ საქმიანობას ხელმძღვანელობდა კონსპირაციული სახელით ვინმე „იაკინთე“.

მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკური პარტიის მიმართ ასეთი ბრალდების წამოყენებას ბოლშევიკური ჩეკა თუ იკადრებდა მხოლოდ. აბა, ვინ დაიჯერებდა ასეთ უტიფარ და პოლიტიკურად სრულიად უმეცარ პროვოკაციას?! მაგრამ, სადაც საზოგადოებრივი აზრი, პრესა, სასამართლო, კანონი და კანონის წინაშე პასუხისგება არ არსებობდა, ყოველგვარ ბრალდებას დაამტკიცებდი.

თავზარდაცემული ვიჯექი.

წყალი ხომ არ მოგანოდოთ? ცუდად გათამაშებული თანაგრძნობით მეკითხებოდა მელიქაძე. კმაყოფილებას ვერ მალავდა და ამან უცბად მომიყვანა გონს.

არა, შემახვედრეთ „იაკინთესთან“... ან რომელიმე რწმუნებულთან.

კვლავ უარი.

ვინ დაგიჯერებთ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია პოლონეთის გენშტაბის ჯაშუშურ მომსახურებას ეწევა?!

კურიერი დოკუმენტებითურთ მესაზღვრეებმა შეიპყრეს.

ვინ არის „იაკინთე“, რად ფარავთ მას? ისიც თქვენი კაცია და დოკუმენტებიც. ასეთივე წარმატებით შეგიძლიათ დაგვადანაშაულოთ თვითმპყრობელობის აღდგენის სამსახურშიც.

დაახლოებით ამგვარი იყო იმ ღამის დიალოგები. შევლაპარაკდით. მელიქაძეს წონასწორობა არ დაუკარგავს და, ვგონებ, ზომაზე მეტი მომითმინა.

ორიოდე დღის შემდეგ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ბერიას წერილი დაშიფრული და გაშიფრული დოკუმენტების ფოტოპირებით, ქუჩური სტილის კომენტარებით და მისებური დამუქრებებით.

1937 წელს ამ სახის „თაიგულები“ ჩვეულებრივ ამბად იყო ქცეული, მაგრამ მაშინ ეს იყო პოლიტიკური ხულიგნობის უმაგალითო აქცია. არც ერთი სახელმწიფო ამას ვერ გაბედავდა, დრეიფუსის და ბეილისის პროცესები სამარცხვინო, შორეულ მოგონებადღა დარჩა. მტკივნეულად განვიცდიდი ჩვენი წმინდა საქმის შებლაღვას და ლაფში ამოსვრას, მაგრამ ემოციები ხელს არ მიშლიდა, პირიქით, უფრო ამახვილებდა გონებას. აშკარად ვხე-

დავდი, თუ რა გამანადგურებელი კამპანიისათვის იყო გამიზნული ასეთი უმგვანო სიყალბის ცილისწამება.

იქ, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ერიდება თავის არსენალში მოაქციოს პოლიტიკური პარტიისათვის შეუფერებელი საშუალებანი, კარგავს იდეურ-პოლიტიკური პრესტიჟის შეუვალობას, მორალურ-იურიდიულ იმუნიტეტს და იოლად ნადგურდება. სწორედ ეს იქცა უკრაინის, აზერბაიჯანის, შუა აზიისა და სხვა ეროვნული მოძრაობის აქილევსის ქუსლად. ჯაშუშობის ინტერვენცია-დივერსიების და სხვა ამგვარ ბრალდებათა მემკვიბით ბოლშევიკებმა მათი ძირფესვიანად განადგურება შეძლეს.

კარადა-საკანში გადამიყვანეს.. საკანში გაუვალი ბოლი იდგა. შემოიხედავდა თუ არა ზედამხედველი, ფეთებით ახსნიდა ხოლმე კარების მომცრო დარაბას. ფეხები კედელზე მქონდა მიბჯენილი, ვაბოლებდი და აფორიაქებული ფიქრებით, ღმერთმა იცის, ვათენებდი თუ ვალამებდი ჩემს დღეებს. რა ხდებოდა გარეთ, ვინ იყო პასუხისგებაში მიცემული? აი, თურმე რატომ ამოიჩემა სპირომ ჯაშუშობის მუხლი, მე კი სიბრიყვედ ვუთვლიდი. განა არ უნდა მცოდნოდა, რომ აქ ყველა ზამბარამომართულივით მოქმედებს, მხოლოდ დირექტივებს ემორჩილება?

— ჯაშუშობაზე ყბედობას როგორ აბედვინებთ ამ გარენარს? ხომ იცით, ვინა ვარ და თქვენ კომუნისტს, განა პოლიტიკური სინდისი არაფერს გავალებთ? — ვსაყვედურობდი კოზლოვსკის.

ამრიგად, ჩემი საქმე, თავიდანვე „პროფესიონალიზმის“ ნიშნით უნდა დანყებულიყო. ბრალდებაში მუხლს შეიტანდნენ და მერე გიყვარდეს, მისი შემდგომი განვითარება, სისხლხორციანად შეუხამებდნენ ჩემს, ვითომდაც, სოხუმის ნამოლევანარს აქაური ბრალდების სტილს. ახლა ისიც გასაგები იყო, თუ რა ნუმპეზე ლაპარაკობდა მამაჩემი და რითი იყო ასე უზომოდ შემინებული. აი, თურმე რატომ „მეარსიყებოდნენ“ და ვითომდაც მპატრონობდნენ:

— თქვენ არ იცით, ვისთან გაქვთ-საქმე, ახალგაზრდა ხართ, გვენანებით, ჩირქისაგან გვინდა თქვენი სახელი დავიცვათ და სხვა ამისთანა დეკლარაციები სულთანშიშვილისა თუ მელქაძისა. განსაკუთრებით უკანასკნელი სდებდა თავს ჩემი სახელის დაცვაზე. ჩემს გამოუცდელობას ვარაუდობდნენ — გავაბრიყვებთ და დავიყოლიებთო.

მაგრამ „ახალგაზრდა მარქსისტი“ ვიყავი. ვკითხულობდით, ვდავობდით, თეორიულ, ტაქტიკურ, პრაქტიკულ ყველა საკითხს დიდი ყურადღებით ვეკიდებოდით, თითოეულ დებულებას ნაირ-

გვარ გამძლეობაზე—ვამღწმეობდით. საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო საკითხიც იყო, ეს თავისებურება დიდ სიფრთხილეს გვავალებდა. ჩვენი ხელმძღვანელობა დიდ სიბრძნე-გამოცდილებას და მაღალ პრინციპულობას ავლენდა შიგნით და განსაკუთრებით — გარეთ. ჩვენი პოლიტიკური აღზრდისათვის ესეც კი საკმარისი იყო, მაგრამ ბრმად არაფერს ვღებულობდით, უმკაცრეს კრიტიკას არ ვერიდებოდით. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია იყო სკოლა, წრთობა და ახალგაზრდობის სერიოზული მომზადება საზოგადო საქმისათვის.

ვერც დამაჯერეს და ვერც გამაბრწყვეს, მამა კი დააჯერეს და შეაშინეს, რომ ჯაშუშების ბანდაში ვარ გარეული. პრესის მონოპოლიის პირობებში მასიურ დეკლარაციაზე ცოცხალი საბუთი სხვა რა იქნებოდა?! თვითონვე აღიარეს და დაგმეს. აი, დოკუმენტებიც. სხვა რალა საბუთი იყო საჭირო. აი, ამიტომ უნდოდათ ჩემი გარეთ გამოსვლა, ამიტომ მპირდებოდნენ სწავლისათვის საზღვარგარეთ მივლინებას. სხვა პატიმარ-ამხანაგებსაც, ალბათ, ასევე ამუშავებდნენ. ნუთუ, ვინმე დაიყოლიეს? ეს უკვე უბრალო სალიკვიდაციო დეკლარაცია არ არის. ველავდი, ვფიქრობდი, გოგი მაგონდებოდა. თითოეულ ამხანაგს ხელახლა ვამონმებდი და უზომოდ ვასკდებოდი გულს.

კვლავ მელიქაძესთან -- თურმე მუსიკა ჰყვარებია, თურმე დღეს საინტერესო ოპერა იყო, მაგრამ თავს როგორ დამანებებდა?!

ვიცი, რასაც განიცდით, მეც სოციალ-დემოკრატი ვიყავი... და სხვა ამისთანები. იმ ღამესაც მკვახედ შევლაპარაკდით.

ფაქტი უპირამაია ვეშჩ! მელანქოლიურად იმეორებდა იგი.

გატრუნულ კატას ჰგავდა. ჭკვიანი იყო, ცბიერი და ვერაგი. მასთან ყოველთვის მძაფრად ვიყავი დადარაჯებული, მისი თათების სირბილე მძაგრავდა.

გახსენით „იაკინთე“, დააკონკრეტეთ. ბრალდება: სად, როდის, ვისთან, როგორ... რა თქმა უნდა, „იაკინთეები“ არიან და კვლავაც იქნებიან, მათთან ბრძოლა კონტრდაზვერვის ამოცანაა. თქვენ მშვენივრად იცით, მათთან არაფერი გვესაქმება. რატომ შეწყვიტეთ ჩემი საქმის გამოძიება, არ საჭიროებთ განა დამატებით მასალებს? თუ ეს დამატებითი მასალა თქვენთვის ხელსაყრელი არ არის?

სრულიად მოულოდნელად და ყოველგვარი თანმიმდევრობის გარეშე მელიქაძემ კურსი დიამეტრალურად შეცვალა. თვალეზი

დავაჭყიტე. თურმე ჯაშუშობის ბრალდებას ჩვენ არავინ გვიყენებდა (ვერ გამიგეთო!). -- საზღვარგარეთის ბიურო ჯაშუშურ საქმიანობას თქვენს ზურგს უკან ენეოდა და უნებურად მორალური პასუხისმგებლობაც თქვენი ასატანი ხდება. ძალიან შენუხებულია რღლანდ თალაკვაძეც! -- უეცრად დაუმატა მან და ერთი სიურპრიზის ელდა კიდევ მაგემა.

როლანდი საზღვარგარეთ მეგულებოდა. ლადო გიორგობიანის, გერმანე ლლონტისა და სხვათა დაღუპვის შემდეგ 1925 წელს 26 ამხანაგი დახვრიტეს. დაჭერას და სიკვდილს გადარჩენილი იგი არალეგალურად თითქმის რომ ჩემი სახლიდან წავიდა საზღვარგარეთ. „ფორვერტში“ გამოქვეყნებული იყო მისი წერილი. ნათქვამი არ დავიჯერე. მელიქაძემ „საქმე“ გადმოიღო. როლანდი ლენინგრადის გზით წამოსულიყო არალეგალურად და საქართველომდე ვერ მოეღწია. ცხადია, მისი დაბრუნება დაკავშირებული იყო ისიდორე მანცკავას საფრანგეთში ჩასვლასთან. ალბათ, ეს შორეული და სახიფათო გზაც იმიტომ აირჩია, რომ ფირცხალაიშვილს არ შეეყოდა, ვინაიდან საზღვარგარეთთან საკომუნიკაციო ხაზი მას პქონდა ხელში ჩაგდებული. მაშასადამე, იქ, ბიუროში ფირცხალაიშვილი უკვე მხილებული იყო, ჩეკამ დაასწრო, ვითომდაც შეიპყრო დაროგორც „ემისარი“ ამ ბინძური ცილისნამებისათვის გამოიყენა.

-- თქვენთან შეხვედრა მთხოვა! -- ცბიერად ამოიოხრა აშკარად მოგებულმა მელიქაძემ.

— თუ მართლაც საქმის გარკვევა გსურთ და ჩემი დაჯერება, შემახვედრეთ მასთან! — ვუთხარი მე.

რა თქმა უნდა, მელიქაძემ დაპირება არ შეასრულა. ცხადია, როლანდიც კარგად ხვდებოდა ჩვენი შეხვედრის მნიშვნელობას. საპირფარეშოში დაჭმუჭნული ქალაღდების მეშვეობით იგი შეეცადა ჩემთან კავშირი დაემყარებინა, მაგრამ ამაოდ. მე კი მივაგენი მის ნაწერს და ვერ დავუდასტურე. როლანდი საღლაც წინა საკანში იჯდა, მე კი — კარადაში, დერეფნის ბოლოს. „ოპრავკის“ გათავების შემდეგ საპირფარეშოს პირწმინდად ასუფთავებდნენ. ვერც კაკუნით მივაგენი, მეზობელი კარაღები არ მპასუხობდნენ.

ჩემი ნახვა გოგი კუტალაძემ მოისურვა. არ გაეძალიანებულვარ. გამოცვლილიყო, ნანვაღევი ჩანდა, თვალს ვერ მისწორებდა.

— რას აპირებ? — მკითხა მან.

— ბრძოლას! — მოვეუჭერი მოკღედ.

— ვერას გახდებით, საქმე გათავებულია, ბრალღება დოკუმენტალურად დამტკიცღდა! — გოგის ნაცღლად მიპასუხა მეღიქაძემ, რომეღიც ჩვენს შეხვედრას ესწრებოღდა.

სულ ტყუილებით დადიხართ! მწარედ ჩაილაპარაკა გოგიმ, გაზეთში განცხადება გაგზავნილი მაქვს, სინანული გვიანაა... შვილები ჩემი სარჩენია. ხო, ასე ატყუებენ მუშებს, ჩვენი მთავრობაა, კაპიტალისტების ხომ არა... — ზიზღმა და გამოუთქმელმა ტკივილმა ტურჩები აუთრთოლა, მერე თავი ჩალუნა და სიტყვა აღარ დაუძრავს.

მშვიდობით, გოგი, ნათელი ყოფილიყოს შენი გზა!.. ეს სიტყვები გულიდან აღმომხდა. საკანში ცრემლები წამსკდა. კიდევ ერთი განადგურებული ამხანაგი, იგი წელში ველარ გაიმართება. მუშათა კლასის ბედი გაიზიარა, არც მას უნერია წელში გამართვა, ვიდრე იარსებებს „პროლეტარიატის“ დიქტატურა.

იმავე კვირას ფირცხალაიშვილის, ლორდელის და გოგის განცხადებანი (ცალ-ცალკე) გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. ეს მანინც პატარა სიხარული იყო. მხოლოდ სამის ინდივიდუალური განცხადება. ამ ბრალდებასთან დაკავშირებით მრავალრიცხოვან, კოლექტიურ დეკლარაციას სხვა უღერადობა ექნებოდა, ბრალდების დასტურის სადარი. ამის შემდეგ ჩემი მეტეხში გადაყვანა აღარ დაუყოვნებიათ.

ამხანაგებიდან მეტეხში დამიხედნენ გურული, ახალგაზრდა ქალი, ლენა, გვარჩარ მახსოვს და აიკანუშ ოგანეზოვა, დანარჩენები სხვადასხვა ბრალდებით იყვნენ. დამამახსოვრდა ბეგთაბეგიშვილი უწყინარი, მოუჯახე ფრანგი ქალი. მეტეხში გადმოყვანისას სიკვდილმისჯილთა ერთეულში ჩაკეტეს. ერთი თვის შემდეგ დახვრეტის განაჩენი სამი წლით თავისუფლების აღკვეთით და იძულებითი შრომით შეუცვალეს, საერთო საკანში გადმოიყვანეს.

ლაგერი, სამი წელი... რისთვის?! — ხელებს იმტვრევდა ჟერმენი, რომელსაც ოთხი წლის გოგონა სახლში უდედოდ ურჩებოდა. ის კი ვერ გაეგო, ანდა ვერ დაეჯერებინა, რომ სამ წელს წინ სიკვდილის განაჩენი უძლოდა. ასეთი იყო ყოველთვის მათი სამართალი. „ლენინის ნორმების“ დარღვევაზე მაშინ აყვირდნენ, როდესაც საბჭოური მართლმსაჯულება თვითონაც იწვინეს.

„საშიში ჯაშუში“ იყო სანდრა მეენდორფიც. უალრესად ინტელიგენტი ესტონელი მხატვარი ქალი, რომლის სულიერი სიფაქიზე და სისუფთავე თავისთავად აკეთილშობილებდა ყველას, ვინც მის ატმოსფეროში მოექცეოდა. იყვნენ კიდევ სხვა მრავალი „ჯაშუში“ ქალიც, ორიოდე რელიგიური „პროპაგანდისათვის“.

განსაკუთრებული ინტერესი ოგანეზოვას ქალმა გამოიწვია. მეტეხში დილაადრიან მიმიყვანეს. ლენასა და აიკანუშას საკანში მოვხვდი. ისინი ჯერ ისევ მწოლიარენი დამიხედნენ. სალაში კი

მალისეს და არც განძრეულან. უყურადღებობა გამიკვირდა და მენყინა. შემეკითხნენ ჩეკაში ხომ არ მენახა, ან რაიმე ხომ არ მქონდა გაგონილი ლიზიკო ქავთარაძის შესახებ. გამოვემცნაურე. ორივენი მყისვე წამოხტნენ და ჩემ გარშემო ამხანაგურად დატრიალდნენ. რას იზამ, ჭრელ-ჭრელი ხალხისგან თავი ჰქონდათ მობეზრებული და ტრადიციული გულისხმიერება მათაც ღალატობდა.

სოხუმიდან ჩემი ჩამოყვანა, აქ, ჩეკაში ჩემი ყოფნა მყისვე გაეგოთ, თუმცა ერთეულში ვიჯექი და კაკუნითაც ვერავის ვუკავშირდებოდი. მაშინ შიგნიდან და გარედან ყველა გვეხმარებოდა. პოლიციური რეჟიმის სიდუხჭირეში სწორედ უცნობთა უანგარო ხელშეწყობა გვიადვილებდა ჩვენს მეტად გართულებულ საქმიანობას.

აიკანუშამ მიაგებო, რომ დაშნაკებში გახშირდა მარქსისტული გადახალისება და რომ მათ გამოეყო და ჩამოყალიბდა „ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაცია“, რომ საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი რამდენიმე თვის წინათ მეტეხში ჩამოუყვანიათ, მათ შორის მისი ქმარიც. ამხანაგების დავალებით, იგი ეზოშივე სიტყვით გამოსულა. თანამოაზრენი მეტეხს დიდი გულითადობით მიუღია. აიკანუშა რეპრესიების მეორე ტალღაში მოყოლილა და სამი წლის პატიმრობა მეტეხში უნდა გაეტარებინა. მიყვებოდა, რომ სომხეთის მარქსისტები ძალების კოორდინაციის საკითხს აყენებენ, რომ მათ ჯერჯერობით არ გააჩნიათ საზღვარგარეთული წარმომადგენლობა და პრესა, რომ მათ იციან და ეამაყებათ ქართველი ახალგაზრდობის შეუნელებელი ბრძოლა და რომ ამ გარემოებამ ითამაშა არა უკანასკნელი როლი მათ ჩამოყალიბებაში. აიკანუშამ ნაიკითხა სუზდალიდან მიღებული ქმრის ბარათები. ჭკუადამჯდარი, ენერგიული და გაბედული აზროვნების ადამიანი ჩანდა. სომხები ჩვენთან კავშირს მოითხოვდნენ, იქნებოდა ეს პარიტეტულ სანყისებზე თუ სხვა სახით. ამ საკითხის გადაჭრაში პრიორიტეტი ქართველების გამოცდილებას უნდა მინიჭებოდა.

გარეთ კავშირი უკვე აღდგენილი მქონდა. მინერ-მონერა წარმოებდა აბრეშუმის ნაჭრებით. საიმედო და სანუგეშო არაფერი ისმოდა გარე ქვეყნიდან. რა თქმა უნდა, აიკანუშასთვის არ დამიმაღავს იმ დროის ჩვენი კონიუნქტურა. სამომავლოდ დავთქვით ორგანიზაციების ურთიერთმიგნების გარანტირებული კოორდინატები, სადღეისოდ კი, ვიდრე მდგომარეობა არ გამოსწორდებოდა, თავშეკავება ვამჯობინეთ.

ლენას დახმარებით მამაკაცების კორპუსსაც მალე დავუკავშირდი. ამხანაგებმა მაცნობეს, რომ პროვოკაციული ცილის-

ამების წინააღმდეგ ზომები უკვე მიღებულია, სათანადო მასალები გარეთ გადაგზავნილია, განცხადება-პროკლამაცია მალე გამოვა და ერთ ეგზემპლარს დაუყოვნებლივ მომანვდიან. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავის რიგზე იყო, ისე, როგორც უნდა ყოფილიყო და მეც დავწყნარდი.

რამდენიმე დღის შემდეგ, ვიდრე მამაკაცების კორპუსი გამო-მიგზავნიდა, ამ პროკლამაციის შინაარსს გავეცანი საკმაოდ გრძელი ციტატებიდან, რომელნიც შესაფერისი კომენტარებით უხვად იყო მოყვანილი გაზეთ „კომუნისტის“ მონინავეში: „იატაკქევმ მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ახალგაზრდები-სა და პარტიის, ერთობლივად აცხადებდნენ, რომ საქართველოში ამ ორგანიზაციების არალეგალური მუშაობა არ სცილდებოდა იდეურ-პოლიტიკურ საზღვრებს, ხოლო თუ საზღვარგარეთული ბიურო ბურჟუაზიული სახელმწიფოების დავალებით პარალელურად ეწეოდა ჯაშუშური ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ამაზე პოლიტიკური და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც მასვე უნდა ეკისრებოდა“.

ასეთი სამარცხვინო, ვერაგი, პროვოკაციული და სრულიად ბრიყვეული განცხადება მხოლოდ ჩეკასათვის იყო ხელსაყრელი და მხოლოდ ჩეკა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ავტორი. საბჭოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა შპიონაჟის ბრალდების წამოყენებით ბიუროს საფრანგეთიდან გაძევებას თუ ვერ მოახერხებდა, ყოველ შემთხვევაში, საკითხს მაინც დასვამდა, რასაც ბიუროს მიმართ, შესაძლოა, საფრანგეთის მთავრობის მიერ რაიმე შეზღუდვა-შევიწროება გამოეწვია. მართალია, ბრალდება საკმარისად დასაბუთებული არ იყო, მაგრამ პოლიტიკური სკანდალის საბაზად სავსებით გამოდგებოდა.

პოლონეთის გენშტაბის სასარგებლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შპიონაჟში დადანაშაულება თავისთავად ოდიუზურად გამოიყურებოდა და ასეთ ვითარებაში საქართველოს არალეგალური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ამ ბრალდების რაღაცა სახით მიღება-აღიარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომაც უნდა შექმნილიყო და შეიქმნა კიდევ ოფიციალური, ფორმალურად სრულიად მართებული პოლიტიკური დოკუმენტი, პროკლამაცია-განცხადების სახით, სადაც ორგანიზაციის უფლებამოსილი ცეკა, თავისი ავტორიტეტული გამოსვლით დამაჯერებლობას სძენდა ბერიას წერილში მოყვანილ საგამომძიებლო მასალას.

ბრალდების ცილისმწამებლური სიყალბის ენერგიული მხ-

ილების ნაცვლად, რაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ცეკა (ვითომდაც) იძულებულად სცნობდა თავის თავს, წინასწარ ხელიწაწო აშკარა ფაქტის უარყოფაზე, თითქოს ამოად მიიჩნევდა ამ სახნის ყოველგვარ ცდას, პირიქით, დანაშაულის სიმძიმის ბიუროზე გადატანით ემიჯნებოდა მას და ასე შეფარვით-ალიარება ბრალდების (ვითომდაც) უდავო და ურყევ საბუთიანობას.

ასეთი იყო პროკლამაცია-განცხადების ქვეტექსტი. გამიჯვნის პოზიცია ემსახურებოდა პოლიტიკურად და იურიდიულად მეტად უმწეო ბრალდების, არა ნაკლებად უმწეოდ განმტკიცების ცდას. პროკლამაციის სადაურობაზე ორჭოფობა-გამორიცხვადიყო, იგი ბლროტმა ხელმა დაწერა. თუ არას ვიტყვი იმაზე, რომ ბიუროს პოლიტიკურ-მორალური შეღახვა ზოგ გულუბრყვილოს მაინც დააეჭვებდა, ისიც უდავო იყო, რომ სირაქლემასავით საკუთარი ფრთის ქვეშ თავის შეფარებით ვერ აიცვლებ ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობაზე პასუხისმგებლობას. ბიუროს და, მაშასადამე, პარტიის პოლონეთის ჯაშუშ-აგენტად აღიარება ცვლიდა მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას და სისხლის სამართლის გარკვეულ კატეგორიაში გადაკყავდა იგი. ჩეკას ფართო გზა ეხსნებოდა, შპიონაჟის მუხლით გათვალისწინებული სანქციები გამლყენებინა. თუ რა ველური დაუნდობლობით აკეთებდნენ ამას, ჩვენ ეს სხვა რესპუბლიკების მწარე გამოცდილებიდან ვიცოდით.

ძნელია იმის აღწერა, რას განვიცდიდით მაშინ. სასოწარკვეთილებამ ყელში წამიჭირა, უძღურებისა და სიმარტოვის გრძნობამ შემიპყრო, აღარავის ვენდობოდი, მეგონა, ყველგან ჩეკა იყო ჩასაფრებული, მეტეხშიაც, და როგორ ვადანაშაულებდი ჩემს თავს...

რატომ ჩავებარდი? თბილისიდანაც წავედი, მალე დაპატიმრებას ვნატრობდი. კურორტზე წაებრძანდი... ეს ოხერი სიტყვა ამეკვიბატა და პირდაპირ მაცოფებდა (ამაზე მაშინ არც მიფიქრია, იქ წავედი, სადაც და მეგულებოდა. მინდოდა დაპატიმრების შემთხვევაში უგზო-უკვლოდ დაკარგვის ზედმეტი შფოთი-ვარამი მშობლებისათვის ამერიდებინა). მერე იქ ვიგინდარა სპირო ავიკიდე, ვეყბედებოდი, როგორც მეპრიანებოდა. ფუი, ჩემს ქალობას! ზედმეტი არა მითქვამს რა, მაგრამ იქ ამას არ კითხულობენ. საკმარისია უცხოელს დაელაპარაკო და შპიონაჟის მუხლი უკვე ზურგზე გაქვს მიკრული. ჩინებულად გამოიყენებდნენ პერსონალურ ჯაშუშობასაც ენევიან, რადგან ასე არიან განვრთნილნი და ამას არიან ჩვეულო.

მიშა კოლუაშვილმა ბოლმით აღსავსე ჩვენება-ანდერძი დაგვი-

ტოვა, ვერაფერი შემავნებინა. ხო, „მეტად დიდ საქმეს მეტად პატარა ადამიანებმა მოვიკიდეთ ხელი“. თურმე, ასე ყოფილა, მიმა, პირველ გამოცდაზევე ჩავიჭერი. პასუხისმგებლობას გავექვეცი კურორტზე, უკან ლორდელი და ფირცხალაიშვილი მოვიტოვე. ვიცოდი, საქმეს ლუპავდნენ, ერთ-ერთი უდავოდ ჩეკის აგენტი უნდა ყოფილიყო. მამ, ბოლომდე რად არ ჩავყევი, რად არ ვამხილე, ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ იყო?

ის აღარ მახსოვდა, არ მინდოდა გამეხსენებინა, რომ თითქმის მარტოდ ვიყავი დარჩენილი. მასიური ჩავარდნები ერთიმეორეს მისდევდა. ვიდრე მონამლული ჰაერი დაინმინდებოდა, ჯაშუშებით სავსე ორგანიზაციას საიმედო და საჭირო ამხანაგებს არ ვაკარებდი, ვუფრთხილდებოდი. ამ მოკლე დროში ისედაც ამაოდ გაციმბირდა უზომო ხალხი. სწორედ ამიტომ განვაცხადე უარი ცეკას ჩამოყალიბებაზე. დროებითი კომიტეტის შექმნა ვამჯობინე. მას თავის თავზე უნდა აეღო ორგანიზაციის აღჭურვილობის, მატერიალური ბაზისა და კადრების შენარჩუნება, ვიდრე უფრო ღირსეულნი და გამობრძმედილნი კვლავ საჭეს დაუბრუნდებოდნენ.

უშუალოდ ჩვენთან, წრეში, აღარ იყვნენ სანდო და გამოცდილი ამხანაგები, მხოლოდ მათთან ერთად, უფრო სწორედ, მათი მეთაურობით შემეძლო გადამედგა ეს ფრიად საჭოჭმანო და საპასუხისმგებლო ნაბიჯი, როგორც იყო აკრედიტებული ემისრებისათვის აცილების მიცემა. შესაფერისად უფლებამოსილი ხალხმრავლობის პირობებში ეს ვერც ისიდორე მანწკავამ გაბედა. საშუამდგომლოდ და ამ საკითხის ავტორიტეტული გადანყვეტისათვის ორგანიზაციამ იგი საზღვარგარეთ მიაყვლინა.

მანგრამ პროკლამაციების შემდეგ ძალიან ავირიე, საღი მსჯელობა აღარ შემეძლო. სულ ისე გამოდიოდა, რომ ყველაფერში მხოლოდ და მხოლოდ მე ვიყავი დამნაშავე.

საქმე გავეცი, მოლაღატე ვარ! — ვუყვიროდი ლენას და საცოდავი გოგო მთლად გადავრიე. დალაგებით ვერ ვუხსნიდი, თუ თვითონ აკლდა გაგება, არ ვიცი. ეს კია, რომ მთელი ამ კორინტიელთ მთავარ მიზეზად მე მიმიჩნია. ვეცოდებოდი, ტიროდა, მარწმუნებდა:

ახლა, რაღაი ჩვენმა კაცებმა ითავეს, ყველაფერს მოავგარებენო.

ისტორიამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თავისი ხალხის ეროვნული ბრძოლის მესვეურობა დააკისრა. იგი პირსისხლიან ვეშაპს უპირისპირდებოდა და ამ უთანასწორო ბრძოლაში სრული ფიზიკური გადაგვარების საზღვარზე იდგა. მოვა

დრო, გულდასმით შეისწავლიან ჩვენი ისტორიის ამ უმძაფრეს ხანას. იმასაც იტყვიან, თუ რა სიფრთხილით, მაღალი გონიერებით და თავდაუზოგავად უძლოდა იგი ერს...

მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ყველა მისი მრავალნაირად გატოტვილო ორგანიზაციებით ფაშიზმმა სულ მცირე დროში ისე გააქრო, რომ მისი ნასახის მოძებნაც კი გაძნელდა. არც იტალიაში ეკავათ უკანასკნელი ადგილი სოციალისტურ პარტიებს. მათაც იგივე ბედი ეწიათ. საუნის ბუშტებივით გაქრა რევოლუციური და დემოკრატიული სულისკვეთების მრავალმილიონიანი არმია რუსეთში, უსწრაფესად მოიგუდა მისი ძლევამოსილი სოციალისტური მოძრაობა, რომლის მასშტაბები და რადიკალიზმი მარქსში ალტაცებისა და შიშის თანაბარ გრძნობას იწვევდა...

მაშ, რამდენი უნდა შეძლებოდა ამ ციციქნა ერს და მის მებრძოლ ორგანიზაციებს?! 1921 წლიდან მოყოლებული სისხლიანი ტერორი მუსრს ავლებდა ქვეყანას, განსაკუთრებით განადგურდა გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის ავანგარდი, დამპყრობლებმა თითქმის რომ პირწმინდად ამოუყუყუეს, ვინც გადარჩა, რუსეთის იზოლატორ-ცენტრალებში და შორეულ ციმბირში გახიზნეს. ვინ მოსთვლის დაღუპულთა სახელებს, თითოეული მათგანი მომავალი ძიების, სათუთი შესწავლა-შეხსენების დიდი თემაა...

სეითი ბრძოლის შეწყვეტას მოითხოვდა ხალხის განადგურება-გადაშენებით სამართლიანად შეშინებული, შეგუების „ახალ გზებს“ ეძებდა. არტემ ჩაჩუამ სტამბა-ბეჭედი პატიოსნად ჩაგვება-რა და ამ „ახალ გზას“ მიაშურა. მისი საბოდიშო ვიზიტებით გული მქონდა შენუხებული. უნივერსიტეტის სალიკვიდაციო კომიტეტიდან სპეციალური დავალებით ლომჯარია სახლში მენწია. მუტერლინგის სიჩუმის მეტყველებაზე ერთსაათიანი საუბარი გავუბი. ზოგი უხმაუროდ ცილდებოდა აქტიური ბრძოლის საქმიანობას და შორიდან ხელშემწყობის პოზიციას იკაევებდა. ჭკვიანმა და ძალიან საყვარელმა ლადო ფირცხალავამ სევდიანი ირონიით მითხრა: ახლა ის დრო დადგა, როდესაც ადამიანები თავის პირად ცხოვრებას უბრუნდებიან.

ცნობილმა მწერალმა:

იქნებ, კალმით მაინც გავაკეთო რაიმე!

და ა. შ...

მაგრამ სეითიც, „ახალი გზების“ ყველა სჯულის მაძიებელი, პირადი თუ საერთო ინტერესით, თვალთმაქცურად თუ გულწრფელად მტერთან დაზავებული, ყველა თანაბრად გაუმადლარი ვემა-

პის დამარქაფებული ულუფა იყო, ყველას თანაბრად მონამეობრივი სიკვდილი წინ ელოდა.

ხალხის გაჩერება და შესვენება, დროებით მაინც, საჭირო გახდა. სისხლიან ბრძოლებში განადგურებულ ერს ძალ-ღონე უნდა ადგედგინა. ბრძოლის აღმავლობისათვის არც იმდროინდელი პოლიტიკური კონიუნქტურა იყო ხელის შემწყობი, უახლოეს პერსპექტივაში არა ჩანდა რა. გარე ბოლშევიკების ავანტიურები რღვევადეზორგანიზაციის კორიანტელს აყენებდა, მუშათა საერთაშორისო მოძრაობის კრიზისს სრულიად ხელოვნურად და შეგნებულად ქმნიდა... შიგნით რუსეთის რევოლუციური ძალების აქტივიზაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. საზოგადოებრივი აზრი, გუშინ ჯერ კიდევ ასე თამამი და შეუპოვარი, დღეს პარალიზებული, ინერტულ ბალასტს წარმოადგენდა, მას „ტრიუმფატორები“ მქუხარე ოვაციებისათვის იყენებდნენ. ბოლშევიკური პარტიის შიგა ოპოზიცია დღითიდღე იზრდებოდა, სხვადასხვა გადახრის ჯგუფები სოკრებივით მრავლდებოდა, მაგრამ თავისივე წვენში იხარშებოდა. ოპოზიციას ხალხის აზვირთების პანიკური შიში ბოჭავდა, მასებს ლაჩრულად ერიდებოდა.

საქართველოში პირიქით თვით ხალხი ბოზოქრობდა, საერთო მდგომარეობას ანგარიშს არ უწევდა, აქტიური წინააღმდეგობისათვის გვიბიძგებდა, მას თავისი მკლავის სჯეროდა, ჯერ კიდევ თვითმპყრობელობასთან ბრძოლის პაერით სუნთქავდა. მან, სწორედ მან დაამხო მტარვალი მტერი, თვით გახდა ქვეყნის პატრონი, თავისუფლების სიტკბო ჯერ კიდევ ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და გამარჯვებული, ამაყად ფეხზე წამომდგარი ერი, თავისი მყოფადის შემოქმედი ერი ხელახალი მონობის უღელს ვერ მოითმენდა, თავისი ხელით მოპოვებულ თავისუფლებას შემოსეულ მოძალადეებს ვერა და ვერ დაუთმობდა.

1924 წლის აჯანყების შემდეგ ჯერ ორი თვეც არ იყო გასული, სიმინდის ყანაში კრების ჩატარება მომიხდა და, აი, სოფლის უბრალო გლეხები, ოჯახის მამები და შვილები ანთებული თვალეებით მიბღვერდნენ. ისინი სრულებითაც არ ჰგავდნენ დამარცხებულ, იმედგაცრუებულ ხალხს.

ასე გადაეცით, დამაბარეს მათ, - ჩვენ დღესაც ყველაფრისთვის მზადა ვართ!

ქალაქზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო და მით უმეტეს - ახალგაზრდობაზე.

სიტუაცია კონიუნქტურებზე ხომ არ გვიპირებთ მოხსენებას? ნაიბუზღუნა ერთ-ერთ კრებაზე მუშამ. - დანარჩენები

მორიდებით ილიმებოდნენ. ვერ გავიგე, ამიხსნეს უფრო ადრე სწავლული ამხანაგი სწევოდათ თურმე და ამ ორი სიტყვის წვალე-ბით სიქა გაეცალა მათთვის.

ერთხელ სტუდენტებმა ცარიელ აუდიტორიაში შემომწყვდიეს. ჯერ მშვიდად მელაპარაკებოდნენ რგოლები ჩამოეყალიბები-ნათ და ორგანიზაციასთან კავშირს მოითხოვდნენ. არც ერთს არ ვიცნობდი, თანაც მდგომარეობა უკვე არეული იყო. რა თქმა უნდა, ვიუარე - მისამართი გეშლებათ-მეთქი. ბოლოს გაცხარდნენ:

პატივცემულო დიქტატორმა, - ამხედ-დამხედა ერთმა, კიდევ კარგი, რომ ღმერთს ტანი არ მოუცია, თორემ ვინლა შეგ-წვდებოდა?! პაპიროსს რომ ექაჩები, თავი თამარ მეფე ხომ არ გგონია?! ეს ქვეყანა ჩვენიც არის, საქმეს უთქვენოდაც ავანყობოთ... - და სხვა ასეთები. როგორ მომაგნეს, ვისგან რა პქონდათ გაგე-ბული, ვერ ვათქმევინე. ვისაუბრეთ, დავიყოლიე. მიკიბულ-მოკიბ-ულით მივახვედრე, რომ საჭიროა ლოდინი. პაპიროსის „ქაჩვზე“ შემომწყარლსაც მეგობრულად დავცილდი.

-- თამარი რომ ვახსენე, ეს ისე, გული მოვიფხანე! დაირცხ-ვინა მან.

ამას წინათ ავად ვიყავი. გ. მხეიძე მომიყვანეს. არ ვიცი, ვინ მიჩიულა ექიმების გამონერილ წამლებს არ ღებულობსო. გულ-მოსულმა მითხრა:

— აბა, ინექით და ქაჩეთ პაპიროსი!

ვუპასუხე, რომ „არ მიღება“ ყველა ექიმზე არ ვრცელდება. გულში კი გავიფიქრე — შეიძლება პაპიროსის „ქაჩვას“ მეორედ მისხენებს-მეთქი. ვინ იცის, სტუდენტების ვინაობა არ გამიგია, არც მერე შემხვედრიან, უნივერსიტეტში სიარული მალე აღმეკვე-თა. ცოტა გადაუხვიე, ბოდიში მომიტხოვია.

ასეთი იყო სულსიკვეთება და საკმარისია, პარტიას მუშაობა შეენელებინა, ბრძოლის მეთაურობას თავზეხელაღებული ექს-ტრემისტ-პოლიტიკოსები დაისაკუთრებდნენ. სხვას რაღას ინა-ტრებდა მაშინ ჯერ კიდევ შეფარულად ველიკოდერჟავული კრემ-ლი, რომელიც არაერთარ ბოროტებას არ ერიდება, უბრძანებდნენ აქაურ ჭკუამოკლე ჩინოვნიკებს და უარესად ააოხრებდნენ ქვეყა-ნას.

დიახ, მეცხრე ზვირთი მიგვაქანებდა: ბრძოლა და ბრძოლა. ამას მლითხოვდა ერი, რომელმაც მთელი თავისი ისტორიით დაამტკი-ცა, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“... ლიტონი სიტყვა არ ყო-ფილა მისთვის... და ასე იყო, ვიდრე სისხლისგან არ დაინრიტა და მერე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, გაჩანაგებული ხალხი

ნაზუქისა და მათრახის უმძვინვარესი, უბილნესი ხერხებით ისე დააძაბუნეს, რომ მტერსაც და მოყვარესაც დღეს იგი თავისი უქმი და ასწილად გაზვიადებული ყბედობის თემად გაუხდია. მაგრამ...

მე მინახავს ძვირფასი ტილო, დიდი შთაგონების ნაყოფი. გადაეჯეგათ, ნებილნათ, ლაფში ამოესვარათ... და მაინც როგორ ბრწყინავდა ფერთა სიუხვის გამოსხივება, სიბილნეს სძლევდა და ანათებდა უკვდავი სულის შემოქმედება...

მესხეთი... პრიალა შავი ყუთების საქათმეები, იავარქმნილი ტილოები, დამსხვრეული ქანდაკებანი, სისხლის ლაქებად ჩამუქებული ტარსიკონის ნაფლეთები გავერანებული ნიგნსაცავისა...

ასეთია ჩვენი ისტორიული ბედი თუ უბედობა და აქ ვერაფერს გაანყო. ჩვენ გავნადგურდით და არა მცდარი პოლიტიკური კურსის შედეგად, როგორც ზოგიერთები გესაყვედურობენ. ეს იყო, ვიმეორებ, საქართველოს ისტორიული ხვედრი, ბედისწერასავით გარდაუვალი. და ვინ იტყვის, რომ სწორედ ასეთი განწირული თავდადების უთანასწორო ბრძოლებმა არ გადაარჩინა ხალხი ეროვნულ გაცამტვერებას?!

ამ შეუპოვარმა, უშუალოდ იმპულსურმა, დე, „განწირულმა სულისკვეთებამ“ საუკუნიდან საუკუნემდე ნირშეუცვლელად გადაატარა თავისი ჩუქურთმასავით უფაქიზესი პატარა ერი, დღესაც საოცარი ვაჟკაცობით გამორჩეული.

პლენანოვი სასტიკად წინ აღუდგა (აღარ მახსოვს) რომელიც დემონსტრაციის თუ გაფიცვის ჩატარებას, რომელიც გამარჯვებული რეაქციის პირობებში მძიმე და საზიანო დამარცხებით უნდა დასრულებულიყო. მაგრამ სიტყვამ რომ არ გაჭრა, გიორგი ვალენტინოვიჩი თვითონვე ჩაუდგა სათავეში მის მიერ დაგმობილ, მიზანშეუწონელ ღონისძიებას.

აკადემიური მსჯელობა იოლია, ცხოვრება კი აკადემიური წესრიგგანობით არ მიიმართება. ძნელია „ჭკვიანურად“ გაეთიშო და განუდგე ხალხს, მაშინაც კი, როდესაც იგი მცდარი გზით მიდის. ვერ შეძლებ, შორიდან უყურო მის უბედურებას და თუგინდ ეს იყოს არა სულმდაბლობა, არამედ სულგრძელობა, ობიექტურად ეს შტრეიკბრეხელობა გამოვა და ამაშია საქმე.

1929 წლის შპიონაჟის ბრალდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ ოცდაჩვიდმეტის ფაშისტურ-ბოლშევიკური ეპოპეის გაუბედავი მოსინჯვა იყო, მისი მკრთალი რეპეტიცია კონკრეტული დადანაშაულებისა და სათანადო სანქციების მიყენების გარეშე (ყოველ შემთხვევაში, სხვას ვერაფერს მიადნიეს), მაგრამ იგი მომაკვდინებელ შეურაცხყოფად და საბედისწე-

რო პროვოკაციად მივიჩნიე, მზად ვიყავი, თავი დამედო, რათა სა-
შიშ ხულიგნურ ცილისნამებას ჩვენი საქმე არ შეებღალა და უფრო
მეტად არ გაენადგურებინა.

მამაკაცების კორპუსისაკენ არც გამიხედავს, აღარავის ვენ-
დობოდი. საქართველოს კომპარტიის ცეკას, სახკომსაბჭოს და
პროკურატურას განცხადება-პროტესტი გაუფუგავენე. ბერიას ნერ-
ილის კვალდაკვალ ბრალდების სიყალბეს ვამხელდი. „იაკინთე“ კვ-
ლავ გასაიდუმლოებული რჩებოდა, მიუხედავად მისი დოკუმენტე-
ბითურთ საზღვარზე დაპატიმრებისა. „იაკინთეს“ ჯამუშური ქსე-
ლის არც ერთი აგენტი არ იყო დასახელებული, არ იყო მოხსენებ-
ული რა კავშირი (ვისთან, როდის, სად) ჰქონდა ჯამუშების ბანდას
საზღვარგარეთის ან საქართველოში მოქმედ არალეგალურ პოლი-
ტიკურ ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთული წრეებიდან, სახ-
ელდობრ, ვისგან იყო მიღებული ამ სახის დირექტივა. არც ერთ
პასუხისგებაში მიცემული პოლიტიკური პატიმრებიდან ეს ბრალ-
დება არ ნაუყენებიათ, გამოძიება ამ მიმართულებით არც წარმოე-
ბდა და ა. შ. პროცესუალური ნორმების მიხედვით მოვითხოვდი
საჯარო გასამართლებას პასუხისმგებლობის სრული გაზიარებით,
წინააღმდეგ შემთხვევაში ვაცხადებდი სასიკვდილო შიმშილობას.

კარგად მესმოდა, რომ ერთპიროვნულ გალაშქრება-პროტესტს
დიდი პოლიტიკური ღირებულება არ ექნებოდა, მაგრამ სხვა გამო-
სავალი არ გამაჩნდა. საჭირო იყო, განსაკუთრებით ამ უგუნური და
პროვოკაციული პროკლამაციის შემდეგ, საქვეყნოდ, მთელი სიგ-
რძე-სიგანით, ხმამაღალი, კატეგორიული პროტესტი, უსათუოდ
მსხვერპლის გალებით და ისე სასკანდალოდ, რომლის მიჩუმათე-
ბას ვერ მოახერხებდნენ და რომელიც საყოველთაო გამოხმაურე-
ბას და აღშფოთებას გამოიწვევდა.

დანიშნულ დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, პასუხი არ
მიმიღია. ციხის უფროსს -- დავეიდოვს შიმშილობის გამოცხადება
ვაცნობე და სათანადო რეაქციის შექმნა მოვთხოვე. ცალკე საკანში
ჩამკეტეს და ცალკე ზედამხედველი მომიჩინეს. ამრიგად, დაიწყო
ჩემი ნახევრად პროტესტისა და ნახევრად მოთხოვნის შიმშილი,
რომელიც, ალაჰმა იცის, რით დამთავრდებოდა. ჩემთვის სიკვდი-
ლი მქონდა გადაწყვეტილი (მაგრამ სადღაც ვიმედოვნებდი, ვოც-
ნებობდი, და ეს სიკვდილზე უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ
მამაკაცების კორპუსი შემომიგნადებოდა).

მიამბიტი გულისხმიერებით და სხვა მიზეზით (მაშინ ყველაში
ექვი მეპარებოდა) ქალებმა ლუმელში სანოვავის წინასწარ მომა-
რავება შემომთავაზეს - ასე გააკეთა №-მაო. გავაფრთხილე, რომ

ზედამხედველის თანდასწრებით საკნის ყველა კუნჭულს შევამოწმებდი და მათაც ხელი აიღეს თავიანთ დათვურ სამსახურზე, მაგრამ არცთუ მთლიანად, რაც მეტად ძვირად დამიჯდა.

იერიშები პირველი დღიდანვე დაიწყო. პროკურორები, გამომძიებლები, უცნობი პირები, ექიმი, ციხის ადმინისტრაცია მოსვენებას არ მაძლევდნენ. მაჯერებდნენ, მემუქრებოდნენ, იძულებითი კვებითაც მაშინებდნენ და ა. შ. მოშიშმილე მკაცრ რეჟიმშია და პატიმრის საერთო უფლებებით არ სარგებლობს. მიუხედავად ამისა, მოულოდნელად მამასთან სანახავად გამიყვანეს. ვუყურებდი მის კეთილშობილ, მდუმარე მწუხარებით აღსავსე სახეს და პირველ სიტყვას გულისფანცქალით ველოდებოდი:

იმის უფლება მაინც მომეცი, შვილო, რომ შენი შიკრიკი ვიყო! მითხრა მან და ცრემლი ჩამოუგორდა.

შვებით ამოვისუნთქე, მონინებით მადლობა მოვახსენე, განცხადების ნომერი და თარიღი მივეცი. მიხევედრილიყო ჩემი სანყალი მამა, რომ ჯაშუშების ბანდაში კი არ ვიყავი მოტყუებით ჩათრეული, როგორც მელიქაძე ირწმუნებოდა, პირიქით, ჩეკისტი პროვოკატორები ისევ და ისევ ცდილობდნენ მებრძოლი ხალხისათვის ხერხემალი გადაეტეხათ. ამიტომაც ახლა სულ სხვანაირად შემომავება ხელი და თუგინდ მისი შვილი დალუპულიყო კიდევაც, აღარ უღალატებდა თავის მოქალაქეობრივ ღირსებას და მართალ საქმეს.

აღტყინებული ვიყავი, შიმშილი სულაც არ მიძნელდებოდა. სისუფთავეს ენერგიულად ვიცავდი, ვინმენდდი კბილებს, ყოველდღე ლოგინს ვბერტყავდი, გატაცებით ხმამაღლა ვკითხულობდი „ფაუსტის“ ქართულ თარგმანს. უზომოდ მალეღებდა პირველი სცენა და ფაუსტის მონოლოგი (რუსული პროზაული თარგმანიც მქონდა). დღესაც ნათლად მახსოვს მაშინდელი ახლებურად ნაფიქრ-ნააზრევი...

ძირს გართხმულა ფაუსტი მინის ღვთაების წინაშე, რომელიც მასვე გამოუხშია... ადამიანს ღვთაებრივი ნიჭი აქვს მეობის შიგნით, რომ გარე სამყაროში აამოქმედოს დიდი ძალები, მაგრამ რა ხშირია, როდესაც ძირს ეცემა, ვერ ერევა მის მიერვე ამოძრავებულ სტიქიონებს. მართლაც, რა არის პირველი - სიტყვა თუ საქმე?!

მაგრამ ასე იყო თუ ისე, მაინც მთელი არსებით (და არა მხოლოდ გონებით) მჯეროდა სიკეთის, სიმართლის, გონიერების გამარჯვებისა. დიდებულ განწყობილებაზე გახლდით. თურმე ძნელი არ ყოფილა ამ სახით, ამ მიზნით თავის მოკვლა. ეს იყო რეალურად აუცილებელი, რასაც ნავარაუდევია რეალური შედეგი

ექნებოდა. შინაგანად მე არავითარი დაძლევა-გადალახვა არ დამჭირვებია, მჯეროდა და მთელი არსებით მნადდა ის, რასაც ვაკეთებდი. ნადილი ცივი, საქმიანი, რეალური გაანგარიშება იყო და სხვა არაფერი.

ციხეს რომელიღაც დელეგაცია ესტუმრა. ზედამხედველი გვერდზე ჩამოაყენეს. კარის შემინულ პატარა სარკმელში ერთმანეთს ენაცვლებოდა გაოცებული, შეშფოთებული სახეები. ქალები ღანვებს ისრესდნენ და ლაპალუპით ცრემლები სცვიოდათ. მე კი ჩემი ლოგინიდან ყველას ღიმილით ვეგებებოდი, თანაგრძნობისათვის მადლიერი ატირებულ ქალებს კოცნას ვუგზავნიდი. მერე ლენამ და აიკანუშამ მითხრეს, რომ შიმშილის ამბავი მათთვის უჩურჩულებიათ. შენუხებულან, მიმქრალი სახე და ამოღამებული თვალები თურმე ზომაზე მეტ შთაბეჭდილებას ტოვებდა. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვიყავი. ამბავს გარეთ გაიტანდნენ და მეც ეს მინდოდა. დელეგაცია ქარხნებიდან იყო.

მეექვსე დღეს ნითლად გამომაყარა. ექიმმა ორგანიზმის საერთო მონამვლა დაადგინა და გამომიცხადა, რომ იგი ვალდებულია გადამიყვანოს იძულებითი კვების კურსზე, უკეთუ შიმშილს ნებაყოფლობით არ მოვხსნი. მაგრამ მე ეს არ მალეღებოდა, ვიცოდი, სანამ ცნობიერება მექნებოდა, ძალით ვერაფერს გახდებოდნენ.

— ვაითუ ვერაფერი მოასწარი, თავს კედელზე გავიხეთქავ! მხიარული სიცილით გავისტუმრე ციხის ექიმი.

მეცხრე დღეს ქალებმა, როგორც ყოველთვის, ზედამხედველის მეშვეობით თბილი წყალი შემომიგზავნეს. კბილების განმენდისას ცოტა მეტკბილა. შემინულ სარკმელს ლენა მოადგა.

— ჩემს აქ ყოფნაში ერთმა ქალმა სამი დღე იშინებოდა და ამასვე ჩიოდა! ამიხსნა მან.

დაუფჯერე. ბოთლი ნარჩენი წყლით ზედამხედველს გავატანე. კაცმა არ იცის, რატომ გავაკეთე ეს, იქნებ ინსტიქტმა მიკარნახა, ყოველ შემთხვევაში, ანგარიშმიუცემლად, არაცნობიერად, რადგან, როგორც წესი, წყალს ყოველთვის ვიტოვებდი. სხვათა შორის, ზედამხედველი გერმანელი ქალი იყო, ქერათმიანი და ლამაზი, გარეგნობასთან შეუფერებელი მკაცრი ხასიათის, მოუდრეკელი ფორმალისტი. როდესაც ფაშისტი ზედამხედველი ქალების შესახებ ვკითხულობ, ყოველთვის ის მაგონდება. ქართველი ზედამხედველი მოვალეობის შესრულების დროს განსაცვიფრებელ ადამიანურ მოქმედებას იჩენს, რუსი ბრმა შემსრულებელი ავტომატია, გერმანელი თავისი საქმის ბისმარკია. ცოტა ხნის შემდეგ ზედამხედველი შემობრუნდა ბოთლითურთ.

წყალი დალიეთ? მიმითითა მან ბოთლზე. კითხვა ბუნებრივად უღერდა, ეჭვი არ ამიღია.

ტკბილები გამოვინმინდე! ასევე ბუნებრივად ვუპასუხე, ნუ დამიტოვებთ, როცა დამჭირდება, გამოგართმევთ.

მალე უფროსის თანაშემწე მოვიდა:

შიმშილის რომელი დღეა?

ვუპასუხე.

ტკბილი წყლით შიმშილი, ალბათ, არ გაგიჭირდებათ!

ეს იყო შიმშილის ჩაშლის უსინდისო ცდა. საბედნიეროდ, ვიდრე ფიქრი და ეჭვი დამეუფლებოდა, რეაგირება იმპულსურად, ელვის სისწრაფით მოხდა, წამოვხტი:

ვონ ოტსიუდა! შევეყვირე გაცოფებულმა და ისიც სწრაფად გამეცალა. განცხადება დაუყოვნებლივ დავწერე და ციხის უფროსს გაუგზავნე. ვინაიდან ტკბილი წყლის უსმელობის ხელშესახები საბუთი მე არ გამაჩნდა, ცხრა დღის შიმშილი გაუქმებულად გამოვაცხადე, ე. ი. ოფიციალურად შიმშილობა დღეიდან უნდა ჩამთვლოდა, რა თქმა უნდა, შიმშილის ფიქტიური შეწყვეტის გარეშე. ასეთი თვითდაზარალების საკომპენსაციოდ კატეგორიულად მოვითხოვედი, რომ შეურაცხყოფისათვის მის თანაშემწეს ჩემ წინაშე ბოდიში მოეხადა.

ამრიგად, შანტაჟი ძირფესვიანად აღკვეთილ იქნა. კმაყოფილი ვიყავი, რომ სწორად და სწრაფად მოვისაზრე უსინდისო ფანდის გაუქმება-გაბათილება, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო ჩემს ხარჯზე. 9 დღის შიმშილი არ არის იოლი საქმე, მისი გაუქმება ძვირად დამიჯდება, მაგრამ ამას არ მაკმარებდნენ, საჭირო იყო წინასწარი ვარაუდები. გაფაცვიცვებით ვფიქრობდი და მოსალოდნელი იერიშების სანინაალმდეგო გეგმებს ვანყობდი.

უცბად შემინულ სარკმელს ქალები მოაწყდნენ. ტიროდნენ, ყვიროდნენ, ჯერ ვერაფერი გავიგე, ციხის უფროსთან ყოფილ-ყვნენ გულახდილად ყველაფერი ვუთხარი, ტკბილი წყალი დღეს შემოგაპარეთო, ძალიან გვეცოდებოდითო და ახლა მზადა ვართ, ტირილით გავსკდეთო. დავიდოვს ეთქვა, რომ არაფერს მემართლებოდა და ქალებისათვის დაევალებინა, რომ რაიმე ელონათ, რათა განცხადება უკან წამელო, ციხის პრაქტიკამ შიმშილის ამ სახით გაუქმება და ადმინისტრაციის ბოდიში არ იცისო და სხვა ამდაგვარი.

სიტყვა არ მითქვამს. თავჩალუნული საწოლს დაეუბრუნდი... კიდევ ერთი ლალატი... რალაცნაირად მოვწყდი, თითქოს ნიადაგი გამომეცალა. კარგი, რომ ტკბილი წყლის მიზეზი განცხადების შემ-

დეგ გავიგე, თორემ პროტესტზე მორალურ უფლებას ჩემს თავს ველარ მივცემდი. გინდა ამხანაგს გაეკეთებინა, გინდა მე, პასუხისმგებლობა ერთია და ამის შემდეგ განა რად ღირდა სიცოცხლე?! მჯეროდა მათი უგნური გულკეთილობისაც, მაგრამ მათი დანახვა მიმძიმდა, თვალს ვერ ვუსწორებდი, ჩემს თავს ვადანაშაულებდი — ჩემი ამოცანები, ალბათ, კარგად ვერ შევაგნებინე ამ სულელ კეთილ გოგონებს. თითქოს ქვეყანა დაცარიელდა. საშინელი სიმარტოვის განცდა კვლავ დამეუფლა. აღარ ვმღეროდი, აღარც ალტაცებული დეკლამაცია... ვერ ვკითხულობდი, ჩუმად ვინეჭი, ძალიან მინდოდა კედლისაკენ მებრუნა პირი, მაგრამ ამის უფლება არ მქონდა, რადგან ყოველთვის მზად უნდა ვყოფილიყავი. სარკმელთან ლენას, აიკანუშას ან სხვა ქალის შენუხებული სახე გამოჩნდებოდა და უმაღვე ქრებოდა. დერეფანიც მიჩუმდა. როგორც ნესი, პოლიტპატიმრებისა და ურკების საკნები არ იკეტებოდა. კორიდორებში ყოველთვის მხიარული ან ანჩხლი ღრიანცელი იდგა ხოლმე, ახლა კი თითქოს სულთმობრძავი ავადმყოფის სახლში ყოფილიყვნენ, ყველა ფეხაკრეფით დაიარებოდა.

— გინდა, თმას დაგივარცხნით? ლოგინს დაგიბერტყავთ? მთავაზობდნენ ჩემ მიმართ შეცვლილი ზედამხედველნი. მე კი მხოლოდ ერთი რამ მინდოდა, რომ არავის ხმა არ გამეგო, არავის თვალეები არ დამენახა... დეპრესიამ გაიარა, მაგრამ მხიარული ალტყინება კი აღარ დაბრუნებულა, კვლავინდებურად ყველაფრისათვის მზად ვიყავი, პირქუშად, უსიხარულოდ, გაასკეცებულად ვფრთხილობდი მოულოდნელ ბარიერს არ ნავენყდომოდი. სიგნალის ან შემწეობის იმედი არ მქონდა, მარტო ვიყავი.

გამომძიებლებმა, პროკურორებმა, ექიმმა და სხვა უცნობმა პირებმა სიარულს მოუხშირეს. აღარავის ვედავებოდი, ერთსა და ორს ვედავებოდი:

— განცხადებაზე პასუხი! — ლაპარაკის გათავეების ნიშნად პირს ვიბრუნებდი.

მჯეროდა და ახლაც მჯერა ადამიანის ადამიანობისა. ეს არ არის ნაციონალური დასკვნა, ასე განვიცდიდი და განვიცდი, სულსა და სხეულს ასე სწამს, ჩემი ქართველობაც, ალბათ, ამაშია. ბევრი რამ სწორედ ამ ნათელმა გრძნობამ ამატანინა და ამარიდა კიდევ. მაგრამ მაშინ ტყის ნადირივით აღარავის ვენდობოდი, ზიზღი გულის რევასავით მანვებოდა. ეს უმძიმესი განსაცდელია, ეს ვაკუუმი, არაადამიანური, ურწმუნო მარტოობის საშინელება. ასე ვფიქრობ — ადამიანს ამაზე უარესი არაფერი დამეპრთება.

დადგა მეთერთმეტე დღე. მოუსვენარს გამომეღვიძა, ტანმა

რალაც იაზრა. ბევრჯერ სასწაულებრივ გადავურჩენივარ მის ბასრსა და შუემცდარ ალლოს. სადღაც მიმალულია მისი უფაქიზესი მგრძნობიარე ლოკატორები. სხეული თითქოს უფრო გონიერია, ვიდრე ადამიანის გონება. ხიფათის მოახლოება ცხოველური ყნოსვასავით ვიგრძენი და თადარიგს შევეუდექი. როგორც მოშიშპილეს, საკანს არ მითბობდნენ. ცივი მარტის დასაწყისი იდგა. სიცივე მოვიმიზეზე და ქალებს ლოგინისათვის ოთხი ცხელი წყლით სავსე ბოთლი მოვატანიე, მაგიდის ძველებური მძიმე სარკვეც მინდა ზოგჯერ ჩავიხედო-მეთქი.

ნამუადღევს ზედამხედველებმა ჩამოიარეს. უჩვეულო სიჩუმე ჩამონვა, მერე გასკდა, იფეთქა... გარეული ნადირივით აიბურძგნა ციხე, აღრიალდა, აღმუვლდა, კარები ბრახუნისაგან ზანზარებდა, ცოფმორეული თავდავიწყება რკინას ზათქანით ეხეთქებოდა, ჩხრიალით ცვიოდა დალენილი შუშები. არის რალაც უზომოდ შემაშინებელი ციხის განრისხებაში.

მოულოდნელი სისწრაფით ჩემი საკნის კარი გაიხსნა. გაასკეცებული ღრიანცელი გაორკეცებული ძალით შემოიჭრა, თითქოს ჰაერში ბზრიალასავით ტრიალებდა აწყვეტილი, ფაფარაშლილი მხეცი. კართან ზედამხედველი მამაკაცები ჩამწკრივდნენ, ნაბიჯი არ გადმოუდგამთ, ხელები უკან ჰქონდათ დაწყობილი, ღვედებს მალავდნენ. ნამოვიჭერი. ბოთლი და სარკე საფეთქლებთან დამიზნებით გაშლილი ხელებით მეჭირა. რატომღაც ერთი ბოთლი ვისროლე, კედელს შეასკდა, მეორეს ხელი დაეტაცე: არ მომეკაროთ, თავს გავიხეთქავ!

კორპუსის საკნები ჩაეკეტათ, ზედამხედველ ქალებს ჩემს შეკვრაზე უარი ეთქვათ ვერ მოვერევიოთ, და ჩემი შებოჭვასავედმყოფოში წაყვანა მამაკაცებისათვის ებრძანებინათ. ეზოში ციხის სასწრაფო დახმარება გამზადებული ჰყავდათ. ოპერაციას მელიქაძე ხელმძღვანელობდა, მასვე გამოუშვია პოლიტპატიმარი ქალები, შეშინებულნი, რომ რაიმე უბედურებას ავიტეხდი, ჩემს დაყოლიება-დამორჩილებაზე დასტური განეცხადებინათ. და, აი, საშინელი ნიოკით საკანში ქალები შემოცვივდნენ. წელში მწვდნენ, სარკესა და ბოთლს ხელიდან მგლეჯდნენ, ძალა გამიასკეცდა, ქალებს ბევრი ცუდი ვაკადრე ამხანაგები მეგონეთ, ჯალათები ყოფილხართ-მეთქი.

ამ ორომტრიალში მოულოდნელად შემოლაგდნენ დავიდოვი, პროკურორი, მელიქაძე, სულთანისვილი და კიდევ ვიღაც უცნობი. დაბნეული ჰიპნოზიორივით მელიქაძე ხელებით რალაც პასებს აკეთებდა, თან ერთსა და იმავეს იმეორებდა:

დანყნარდით, დანყნარდით!

ქალები გადამავეინყდა, ათასნაირი ეპითეტებით ვამკობდი, საკნიდან ვდევნიდი. ამასობაში ქალები და ზედამხედველები გავიიღნენ. საიდანღაც სკამები გაჩნდა. მელიქაძე ვითომდაც ბრაზ-მორეული ყვიროდა, რომ „მხეცობა თეთრხალათიანებმა“ ჩაიღინეს, რომ მან არაფერი იცოდა და, აი, ცეკას ნარმომადგენელი თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით არის მოსულიო.

თანდათანობით დავეშოშინდი. ექიმი არ გავიკარე და ისიც საკნიდან გავიდა. ცხადზე უცხადესი იყო ის, რომ ოპერაცია ჩაიფუშა, საავადმყოფოში ჩემი ძალით გადაყვანა არ მოხერხდა, რასაც შიმშილისათვის და, მაშასადამე, ჩემი მოთხოვნისათვის ბოლო უნდა მოელო. საქმე ახალ სტადიაში შედიოდა. საჭირო იყო გონების მოკრეფა. გაძაგრული, ენერგია მოჭარბებული ვიყავი, მაგრამ ხაფანგის შიში მქონდა, რამდენადაც შემეძლო, ვცდილობდი, ენერგია აღმედგინა, წონასწორობა მომეპოვებინა და მობილიზებული დაეხვედროდი ახალ განსაცდელს.

დაიწყო მოლაპარაკება. ცეკას ნარმომადგენელმა მელიქაძეს სიტყვა ჩამოართვა, შემეკითხა, რა იყო ჩემი სადღეისო მოთხოვნილებანი. გავუმეორე განცხადების არგუმენტაცია და მისი დასკვნითი ულტიმატუმი: ვუჩივი სახ. პოლ. სამმართველოს საგამომძიებლო ორგანოს, რომელმაც პროცესუალური სამართლის ელემენტალური ნორმების დარღვევით ნამოუყენა საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიას მძიმე და შეურაცხყოფელი ბრალდება, ამიტომაც საქმის გამოძიება უნდა გადაეცეს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს საჯარო გასამართლების წესით.

— ჩეკა თავის საიდუმლოებას ვერ გახსნის! — ოფლს ინმენდდა მელიქაძე.

რომ საკითხის სიმძიმე „საგამომძიებლო საიდუმლოებაში“ კი არ მდგომარეობს, არამედ თვით ბრალდებაში, რომლის მუხლი უმაღლეს სასჯელსაც კი ითვალისწინებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პარტიის პოლიტიკური დისკრედიტაციისათვის გამიზნული ცილისწამების უკანონობას, ამის მტკიცება დიდხანს არ დამჭირვება.

— ჯაშუშობის ბრალდებით არც ერთი სოციალ-დემოკრატი პასუხისგებაში არ არის მიცემული! იძულებით აღიარა მან.

ცეკას ნარმომადგენელი ნერვიულობდა, მეორე ზიზღნარევი ირონიით მელიქაძეს შეჰყურებდა.

— მაშასადამე, ბრალდება მითიურ „იაკინთეს“ რჩება, ანუ ბერიას და, ალბათ, თქვენც! — ვუთხარი მელიქაძეს.

პროკურორი საქმის გამოსწორებას შეეცადა:

რა უფლებით ჩივით? თქვენმა ცეკამ მართებული პოზიცია დაიკავა და პასუხისმგებლობა თავიდან მოიხსნა. საზღვარგარეთული ბიურო თვითონ იტყვის თავის სიტყვას.

გავახსენე განცხადებაზე ხელის მოწერა და ჩემი უფლებამოსილება. გაუუმეორე აგრეთვე, რომ, ვინაიდან ბიუროს ხელმძღვანელ ორგანოდ მიიჩნევთ, მის საქმიანობაზედაც პასუხისმგებლობა ჩვენ გვევალება და რომ საფუძველი არა გვაქვს, იგი ასეთად არ მივიჩნით, ვიდრე ჩვენი საერთო პოლიტიკური მრწამსი, მუშაობის პარტიული პრინციპები და სხვა იგივე რჩება, როგორიც დღემდე იყო.

საბრალმდებლო დასკვნისათვის დასაბუთებული მასალა არ გააჩნდათ. მეც კარგად მესმოდა. სამარცხვინოდ განბილებული იყვნენ. საჯარო გასამართლება გამოირიცხა. შიმშილს აზრი ეკარგებოდა. გარდა ამისა, ისიც აშკარა იყო, რომ მისი ხელოვნურად შეწყვეტისათვის ყველაფერს იღონებდნენ. ძალა მათ ხელში იყო და ვერაფერს ველარ გავხდებოდი. საჭირო იყო მდგომარეობის გამოყენება, მიღწეულის განმტკიცება:

წერილობით დამიდასტურეთ ჩემ მიერ წამოყენებული მოთხოვნები და თქვენი ოფიციალური უარი!

კვლავ გაიმართა ვაჭრობა. ცეკას წარმომადგენელი კოპებს კრავდა, მეორე ტურებს იკვნიტდა, პროკურორს და მელიქაძეს ელეთმელეთი მოსდიოდათ. მე სათქმელი აღარა მქონდა რა. ძალიან დაღლილი ვიყავი და გაეჩუმდი. საკითხი ჩეკისტმა გადაწყვიტა წერილობითი საბუთი ჩამაბარეს.

კი, მაგრამ, მოახერხებთ საზღვარგარეთ გადაგზავნას? დაიღრიჯა მელიქაძე.

ვუპასუხე, რომ ამ ბილნი პროვოკაციის მხილებისათვის რაც მოხდა, ისიც საკმარისია, რომ ბიუროს ასეთი ფარატინა ქალაღდი არ დასჭირდება, მისი პოლიტიკური რენომე-ავტორიტეტი ცნობილია და ასეთი შებღალვისაგან ჯეროვნად დაცული და, თუ ხელისუფლებას ნდობა-პატივისცემა რამედ უღირს, ის ურჩევნია, აღკვეთოს უდანაშაულო ხალხის განადგურებისათვის გამიზნული მაქინაციები.

სახელმწიფო სახელმწიფოში გაქვთ, თავნებობას საზღვარი არ უჩანს, განმკითხავი კი არავინ არის.

ტირადა გადაყლაპეს და წამოიშალნენ.

დავიდოვმა ექიმს მოუხმე. მან ლიმონიანი ჩაის განკარგულება გასცა. „სტუმრები“ რატომღაც ფეხს ითრევდნენ, ალბათ, ციხის

სკანდალის შესახებ იცოდნენ და დავიდოვსაც მათი იმედი ჰქონდა. მეც ვიფიქრე ჯანდაბას თქვენი თავი, რადგან არ მეშვებით, ამ სპექტაკლსაც გაგემბეთ-მეთქი. ჩაის მიღებაზე უარი განვაცხადე. ქანცმიხდილნი კვლავ სკამებზე დაეშვნენ. დავიდოვმა ჩეკისტს გადაულაპარაკა, მის თვალბში ნადლად სითბო ტრიალებდა. ბოდიშის ცენდემონიალის შემდეგ საკანში მარტო დავრჩი. შემოცვივდნენ თვალცრემლიანი ქალები, ბავშვივით ამიტატეს, საერთო საკანში გადამიყვანეს, ქათქათა ლოგინში ჩამაწვინეს. ჩაის შემდეგ მძიმედ ჩამქინა. მელიქაძე აღარ შემხვედრია. 1937 წელს დახვრიტეს. თავის ხაფანგში თვითონვე მოემწყვდა. ღმერთი რომ მნამდეს, შენდობას შევთხოვდი. უაზროდ გაულეტილები მეცოდებიან. გულს ვერ უბრძანებ, რა ექნა, ასეა...

დავიდოვის განკარგულებით მეორე დღეს ნახვაზე გამიყვანეს. თურმე დავიდოვი ჩემდამი „პატივისცემით განმსჭვალულიყო“. ბოდიშმა თუ მოახდინა შთაბეჭდილება (ვგონებ, ისიც დახვრეტილია). დედა ორივე მხრივ ხელმკლავით შემოიყვანეს. ისიც შიმშილობდა თურმე... იყო ცრემლი და სიხარული. სახეგაბადრული მამჩემი დარბაისლურად ვილაც ხანდაზმულ მსახურს ესაუბრებოდა, მამას პატიმრობიდან მეტეხს რომ შემორჩენოდა.

ჭკაპში მამას შუამდგომლობას უკანასკნელი როლი არ უთამაშია ჩემს საქმეში. შეჭრილიყო აურზაურით ციციქნა შვილი მელუბებო! ყველა ფეხზე დაუყენებია. იქ, რა თქმა უნდა, არაფერი სცოდნიათ. განცხადების ძებნა დაუნყიათ, ჩეკაში აღმოუჩენიათ და ბერიაც იძულებული გამხდარა, განცხადება ადრესატისათვის გადაეგზავნა.

კურთხეულ იყოს თქვენი სახელი, ჩემო საყვარელო დედა და მამა! მშობლიური ეგოიზმით ჩემს საქმეში თქვენ არასდროს ჩარეულხართ. უზომოდ გიყვარდით და შიშით გამწარებულნი ყოველთვის თავს მევლებოდით...

ერთხელ დედა ბელურასავით აბუზული სავარძელში შეყუყული დამხვდა. როიალის ქვეშ რალაც მოზრდილ ყუთს თვალს არ აცილებდა.

-- შეილო! გაფითრებული ტუჩებით ესლა მოახერხა.

ამხანაგებს სტიკლოგრაფისათვის რეაქტივები მოეტანათ და ეთქვათ, ხელი არავინ ახლოსო. დედას ასაფეთქებელი მასალა ჰგონებია, სავარძლიდან ფეხი არ მოუცვლია და რამდენიმე საათი შიშით აკანკალებულს წამებით გაუტარებია. ერთი საყვედურიც არ წამოსცდენია... ჩემო აბუზულო ბელურავ, ჩემო დედავ, ქართველო დედავ...

მაპატიოს მკითხველმა, თუ გრძელი ციტატებით შევანუხე. ასეთები ვიყავით, სინამდვილე ავსახე (ბევრი რამ სიტყვასიტყვით მახსოვს), ავსახე იმისთვის, რომ სრული სისავსით გადმომეცა მაშინდელი სულისკვეთება და სილაღე ჩვენი. ასეთი სიმამაცე მაძლავინწურ მეტიწრობადაც არ ჩაითვლება. შინაგანად ვიყავით თავისუფალი ადამიანები, ამ სიტყვის უზუსტესი მნიშვნელობით, მონური გვემა-კრძალვის, დამამცირებელი გაორების გარეშე. ადამიანური და მოქალაქეობრივი იმპულსები თვით შებოჭვა-თრგუნვას არ განიცდიდა, აზრისა და სიტყვის უფლება იყო ორგანული, თავისთავადი თვისება ჩვენი სულიერი ყოფისა.

მონაყოლიდან ისიც აშკარად ჩანს, რომ გარე მოვლენათა საზოგადოებრივ ნუბაში 1937 წელს არაფერი შეუცვლია, არარსებული „ლენინური ნორმები“ არ დაურღვევია. იგივე წნეხი, იგივე არნახული თაღლითობის ბილნი მეთოდები, იგივე სიყალბე, ცილისწამება, პროვოკაცია, განუკითხაობა, მასიური წამება, უკანონობა-თვითნებობა, რომელსაც საზღვარი არ ჰქონდა და არა აქვს დღესაც. არ არსებობს ხალხის წინაშე ანგარიშგება-პასუხისგების კანონები და ინსტიტუტები, დამუნჯებულია ენა, დავსებულია თვალი, დამბლადაცემულია საზოგადოებრივი ნებისყოფა. მსოფლიოს გამარჯვებული დემოკრატიის ეპოქაში სასაცილოა საბჭოთა ხალხი უფლებათწარჩინობისა და ქმედობათწარჩინობის სუბიექტად წარმოიდგინო, იგი უზურპატორთა სათარემო ობიექტია, მისი მზაკერული პოლიტიკის ბრმა იარაღი, გაუგონარი ცინიზმის ანექდოტია საბჭოეთის საარჩევნო თამაშ-კომედიები.

ვიმეორებ: საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემა იყო და არის ლენინის მიერ შექმნილი, მისით დაკანონებული უკანონობის მძვინვარე სისტემა. თვალშეუნვდენელი სივრცეებით, ბიუროკრატიული ცენტრალიზმით, თვითმპყრობელობის სამასწლოვანი გამოცდილებით საიმედოდ განმტკიცებული იგი სადავეშივე სპობს ყოველგვარი წინააღმდეგობის შესაძლებლობას, რუსული ბარბაროსობის არტახებში გუდავს ქვეყნის სასიცოცხლო ძალას. თავნება პოლიტიკის საბედისწერო, მწვავე შეცდომებს და მათი გამოსწორების არა ნაკლები ტანჯვის სიმწვავეს ხალხი საკუთარ სხეულზე განიცდის. ათეული წლების მანძილზე ხალხი განწირულია მორჩილად მიიღოს ბოლშევიკების საქანელა, თანაბრად მტკივნეული მარჯვენა და მარცხენა ზიგ ზაგები. მიიღოს სამხედრო კომუნიზმი და ნეპი, განკულაკების ყლეთა-ანიოკება და „გოლოვოკრუჟენიეს“ თაღლითობა, სოციალიზმის დეკლამაცია-დეკლარაციები და სახელმწიფო კაპიტალიზმის მძვინვარება, კაცობრიობის მხსნელის მესიანის-

ტური ბოდვანი და დაპყრობილი ხალხების ეროვნული გაჩანაგება, ინტერნაციონალიზმის ქვეშ იმპერიალისტური კომპლექსი, რკინის ფარდა, გამანადგურებელი იზოლაციონიზმი, მარქსიზმის ნიღბის ქვეშ დემოკრატიული ქვეყნიერების მიმართ სიცრუე-ფალსიფიკაციები, ავანტიურები და ფაშისტური აგრესიის აქტიური ხელშეწყობა, მერე კი ჩვიდმეტი წლიდან დაწყებული უგუნური პოლიტიკის შედეგად ველური ომი 20 მილიონი მსხვერპლის გაღებით, 1937 წელი და „პიროვნების კულტი“ – სტალინი, ხრუმოვიც, ბრეჟნევიც და ვინ იცის, წინ კიდევ რამდენი უბედურება აქვს მისაღები...

ლენინის სისტემა რუსეთის ველურობით, მისი ისტორიული მონობით მორგებული და შეგუებული წყობილება არის და იგი რკინის კანონზომიერებით თავისი განვითარების გზით მიიმართება. ზევიდან წამოსულმა მენეჯერივით მან თან წარიტანა ყოველგვარი სახის პროგრესიული წინააღმდეგობა, ხალხი კელავ დააჩოქა, ნება ამოაცალა, აზრი დაუხშო, ქმედობის ძალა-უნარი წაართვა და ვინ იცის, რამდენი დროა საჭირო, რომ კელავ ფეხზე დადგეს. თუ დღეს ოცდაჩვიდმეტი წელი არ მეორდება მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოეთის წყობილების ველურობას გვერდში საიმედოდ ამოუდგა უმაგალითო გარყვნილება კორუფცია, ცინიზმი, მრავალი სახეობის პარაზიტიზმი, მღრნელობა-მტაცებლობის ფართო შესაძლებლობანი, საზოგადოებრივი დაკნინება და ადამიანის გაპარტახება. რუსეთი დღეს მზად არის ყოველგვარი სახის „პოგრომებისათვის“, მაგრამ ხელსაც არ გაანძრევს, რომ დაკარგული თავისუფლება, ხალხის სუვერენული უფლებამოსილება, კანონი და სამართალი დაიბრუნოს. გულგრილი ცნობისმოყვარეობით იგი შესცქერის „სასახლის გადატრიალებებს“, მმართველთა ჩინოვნიკურ ინტრიგებს და აზრადაც არ მოსდის, რომ თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური ბედ-იღბლის გადანყვეტაში ხმა აღიმალლოს.

1914 წელს „მიქაელ მთავარანგელოზის“ ჯვაროსნებმა ხალხი პატრიოტული ენთუზიაზმით აანთეს. „მამულიშვილური“ გრძნობები ბრბომ ჯეროვნად გამოავლინა. განურჩევლად მტრისა თუ მოკავშირისა — გერმანიის თუ საფრანგეთის, თუ სხვა უცხოელთა ფირმები დაარბია, გაყვლიფა და გაძარცვა, მაგრამ ეს იყო ბრბო, რომელთა „პოგრომები“ საყოველთაოდ იყო ცნობილი.

კიევში წითელი არმიის დახვეის და ფეხდაფეხ მომყოლი ფაშიტების შემოსვლით წარმოქმნილი უპატრონო შუალედი ხალხმა იმისთვის გამოიყენა, რომ ქალაქის საეაჭრო ქსელს შეესია და საქონელი პირწმინდად დაიტაცა. კუზნეცოვი „ბაბიი იარში“ იგონებს, როგორ მიათრევდა იგი ნადავლ ჯაგრისებს.

სძულდათ თუ უყვარდათ ბოლშევიკური ხელისუფლება, ეგებებოდნენ თუ უფრთხოდნენ ფაშისტურ ოკუპაციას? ორივე შემთხვევაში თანაბრად ძარცვა-გლეჯის საყოველთაო რეაქცია ჩვენი დროის საოცრებათა მოვლენების მწკრივს განეკუთვნება. მაღალი ხარისხის სოციალური გრძნობები ველურ ტომებსაც ჭარბად გააჩნია. მაშ, შევჩენკოს, კოროლენკოს, პლენანოვის, დიადი რევოლუციური შემართების ქვეყანა, ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ საყოველთაო გაფიცვების ჩატარება ძალუდდა, რომელმაც თებერვლის რევოლუციით მსოფლიო შეძრა, 28 წლის განმავლობაში მოკლე დროში ისე როგორ გაანადირეს, რომ დიდი განსაცდელის უამს ჯაგრისების, ჭინჭებისა და სხვა საქონლის მიტაცება იფიქრა მხოლოდ?! მეორე მსოფლიო ომის ანგარიშებიდან ამ ფაქტს ვერ ამოიღებ, იგი მრავალ და მრავალ გმირობას გადაწონის.

ხალხში გარდატეხა მოახდინა ფაშიზმის ცხადად ნახულმა საშინელებამ. თქმა არ უნდა, უკანასკნელი როლი აქ არ უთამაშია ერენბურგის, ტოლსტოის, სიმონოვისა და სხვათა პატრიოტულ გულისტკივილს, გონსმოსული ხელისუფლების უმკაცრეს რეჟიმსა და დისციპლინას, მოქალაქეობრივი მოვალეობის მომთხოვნ მონოდებას და დავალებას, დობისა და ძმობის გამოცხადებას სტალინის მიერ, განსაკუთრებით მოკავშირეთა დიდ დახმარებას; და მაინც, გარდატეხის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ფაშიზმის მხეცური ზრახვებისა და მოქმედების გამოვლინება რჩება.

ნაპოლეონმა ბატონყმობის გაუქმება ვერ გაბედა. ალერსიანი „შერ ამი“ რუსეთის ხალხურ ლექსიკონში შევიდა როგორ „შერამი-ჟნიკი“ ანუ მტაცებელი, მყვლეფავი. ასეთია მოძალადის მოდუსი, თუგინდ იგი ფაშიზმის უკულმართობითაც არ იყოს დადალული. ვაისა და ვუის შეყრა-გაყრის სიბრძნე ხალხს კარგად აქვს ათვისებული თავისი ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საბჭოეთი რუსეთის ნიადაგზე აღმოცენდა. მომავალი მკვლევარნი ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, მის სიავეარგეს სათანადო გამართლებებს მოუძებნიან, მაგრამ საქართველოსათვის ეჭვიმუტანლად იგი გარედან იყო თავს მოხვეული, უცხო და არაბუნებრივი ძალდატანება. ჩვენთვის — მარქსისტებისათვის მისი ისტორიული განვითარების გზები და ლოგიკა საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, მაგრამ, ვაი, რომ ამ შორეულ, ჩახლართულ გზებზე ჩვენ ვიყავით მარტოხელა, უმცირესი და უსუსური ერთეული, რომელიც ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდა ვემპას, და მაინც ვიყავით... ვიყავით როგორც ჩაუქრობელი შუქურა, როგორც ნუგეში და სანინდარი.

გარე და შინა წინააღმდეგობა-სირთულეს ბოლშევიკებმა თავი ველარ გაართვეს. ძალაუფლების უზურპატორი და დიქტატორი გორდის კვანძის გახსნით თავს არ ინუხებს, მისი გადაჭრა ეადვილება და, აი, დადგა ის მრისხანე დღეც...

იატაკზე გართხმული ვაგდივარ... ჩემი სხეული, ჩემად რომ ვთვლიდი -- ლალი, ხელშეუხებელი... ამაყი ყოფილა, დიდი სირცხვილისა და რიდის მქონე... მაგრამ მე იგი აღარ მეკუთვნის, ბრდღენიან, კეპავენ... ეს არ არის მხოლოდ ტკივილი და მხოლოდ შიში. შემზარავია ფიზიკური შეურაცხყოფა. ამაზე უნინ არც დაეფიქრებულვარ, თურმე როგორი ზუსტი გამოთქმა ყოფილა. შეურაცხყოფის, უზომო დამცირების გამანადგურებელი ძალა იმდენად დიდია, რომ მოგკლავს, თუ შეურაცხმყოფელი არ მოკალი. აი, თურმე, რატომ ეძგერებიან ხოლმე ალბათ ჩვენი ბიჭები. „კულტურული“ თავდაჭერა, ზიზლი და მით უფრო სასამართლოში გაქცევა პირდაპირ სამარცხვინოა და სასაცილო. ეს კრიზისია. თუ საპასუხო ძალა არ აღმოგაჩნდა, ის, რაც იყავი, უკვე მეკვდარია.

ნამუსახილი ქალი ძნელად თუ გამოიხედავს. თავს იკლავს და ხშირად, რაც თითქოს პარადოქსალურია, კახპად იქცევა. ასეთია ერის ბედიც. თუ მოძალადეს არ უმკლავდება, იგი კატასტროფული სისწრაფით იხრწნება. უნდა მოერიო! მორჩა და გათავდა! თუ არადა „ვაი, დამარცხებულს!“ მონობა არის განცდა არა ბატონის ძლიერებისა, არამედ საკუთარი უძლურებისა. ამამია მონობის ფსიქოლოგიის, საერთოდ მონობის ერთ-ერთი და ძლიერი წინამძღვართაგანი. მონა იმიტომაც არის მონა, რომ შინაგანად არის პატივყარილი და მუხლზე დაჩოქილი. საშინელია მონათა ამბოხი, შურისგებაში საკუთარი უკმარობის დაძლევის გააფთრებაც არის. მას შეუძლია, დიახ, შეუძლია! გახელებულს ყველაფერი ეცოტავეება და ხარბი ვნებით ენაფება საკუთარი ძალის ჭაშნიკს. ასეთია პუგაჩოვი, რაზინი და რუსეთის ოქტომბერიც. მათ აჯანყებას ყოველთვის ერთი დასასრული აქვს: მოხედვასაც ვერ მოასწრებ და ახალი მონობის უღლის ქვეშ ამოყოფ თავს. გამანთავისუფლებელი თებერვალი ლენინმა ოქტომბრით მოკლა. კერენსკიმ სამართლიანად მას რუსეთის შარლოტა კორდე უწოდა.

მონაფეობისას ქუჩაში მიმავალ მე და ჩემს დას ვილაც ხულიგანი დაგვეტაკა. მტაცა ხელი და ლოყაზე თავისი დორბლიც მაგემა. ლაჩრობა არ გამომიჩენია, გავსდიე, ჩემი ჭკუით რალაც უსამველოს ვუპირებდი... მიუხედავად ამისა, ჩემს დას დიდხანს თვალს ვერ ვუსწორებდი. თურმე, ისიც. გვრცხვენოდა ორივეს. კი, მაგრამ ვისი?! სალად რომ ვიმსჯელო, სირცხვილი აქ მოძალადეს მართებს

და არა მისი ხულიგნობის უდანაშაულო მსხვერპლს და მაინც აქ მრუდე, თავდაყირა ემოციის რაღაც კანონზომიერება არის. შერცხვენილ-დამცირებული სწორედ მე ვიყავი. აბსურდია, მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტია.

მე აღარა ვარ 17 წლის და მაინც მიჭირს...

დამაპატიმრეს 1940 წლის 15 მაისს, სამსახურში, ნაშუადღევს, 4 საათზე. დერეფანში ოთახებიდან გამოცვენილი თანამშრომლები შეშფოთებული თვალებით მეკითხებოდნენ. მხრებს ვიჩჩავდი. სახლში ნამიყვანეს, იქაურობა გადააქოთეს. როგორც ყოველთვის, უამრავი ნიგნი, ხელნაწერი, უმთავრესად მამაჩემის, მოურიდებლად გადაალაგეს და, რა თქმა უნდა, ნაიღეს. წერილებიც, სურათებიც. გადარჩევით თავს არ ინუხებდნენ, არც მერე დაუბრუნებენ ოჯახს. უძვირფასესი საოჯახო რელიკვიები, ზოგჯერ ისტორიულად მნიშვნელოვანი, უგნური ხელით სანაგვეშია გადაყრილი... დღესაც მალეღვებს მოგონება ნიგნების უეციცი და უტიფარი ღლეტისა... 1931 წელს მერინგის მარქსის ბიოგრაფიაც კი ნაიღეს, აგაცლიდნენ ესენინს, ბლოკს... ახლა კი ოცდაჩვიდმეტ წლამდის გამომცემლობა მთლიანად საექვოდ იყო მიჩნეული.

მამა 1939 წელს გარდაიცვალა... მწარედ მაფიქრებდა ბავშვი (დისშვილი). ცოდვა აღიარებული სჯობია, ასე მეგონა, უჩემოდ მის აღზრდას ვერაფერს მოახერხებდა.

თუ არის პანსიონები, გთხოვთ, ბავშვი დახურულ სასაწავლებელში აღზარდოთ! სასონარკვეთილი ვწერდი ლაგერიდან. ბავშვთა საზოგადოების აღმზრდელობით მნიშვნელობას ახლაც უპირატესობას ვანიჭებ.

დედა... ჩემი დაპატიმრება მისთვის უბედურება იყო აღუწერელი. დედა, საქმელი გამატანე! (ამის დავინყება მერე ძალიან დატანჯავდა, ნეტავ, არც მეთქვა!).

მექანიკურად ქათამს ბარკალი მოაჭრა, ორი თხელი პურის ნაჭერში ჩადო, თითქოს სამსახურში საუზმეს მატანდა. სახეზე, მკლავებზე, მთელ სხეულზე კანი თითქოს ხორცს მოსცილდა, გრძელ, ბრტყელ ფალასებად ჩამოეკიდა თურმე. ასეთი უჩვეულო და საშინელი შესახედავი რამდენიმე დღე ყოფილა, მერე გაუვლია. ერთხელ კიდევ შეგვყარა ბედმა ეტაპის წინ, რამდენიმე წუთიან შეხვედრაზე და... მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ ჩვენია, ნუ შევანუხებთ სხვას. საქართველოში ოჯახს ვერ ნახავ, მსგავსი და ამაზე მეტი უბედურებაც მოსაგონებელი რომ არა ჰქონდეს.

საკანში დამიხედნენ პედაგოგი ნინო. ხუნდაძე-გაბუნია, შინსახკომის კომისრის მეუღლე, თამარ მეტრეველი, ჩეკისტის

მეუღლე, რომელიც 37 წელს წაეყვანათ და, ალბათ, დაეხვრიტათ კიდევ. თამარი, ვგონებ, კინომსახიობობდა. მესამე იყო საქმის გადასინჯვაზე ლაგერიდან ჩამოყვანილი 19-20 წლის მონათე გოგონა.

მალე ზევით გამომიძახეს. ვილაც წუნკალი მეკითხებოდა:

საპრეტენზიო ხომ არაფერი გაქვთ? და იქვე შემომიტია,

საათი დედას რატომ გადაეცით, ქურდები ხომ არ გგონივართ?

— რალაც უნმანურად ჩაიფრუტუნა, მომესმა, თითქოს, ბ... მინოდა. გიჟივით წამოვევარდი:

— გაიმეორეთ, რა თქვით?

მშვიდად მიპასუხა, არაფერიო. გულში შემრცხვა კიდევ, ვიფიქრე, აბა, როგორ იკადრებდა, სამიკიტნო ხომ არ არის?! აი, რას ნიშნავს ტენდენციური განწყობა, უკადრისი რამ მომეჩვენა.

იმავე ღამეს კვლავ გამომიძახეს. გცემენო — შეშფოთდნენ ქალები. რამდენიმე ქვედა საცვლისა და წინდის ჩაცმას მაიძულებდნენ. ყური არ ვათხოვე. გაგულისებულმა ხალათი გადავიცვი:

— ღამის ორ საათზე თუ ლოგინიდან წამოგაგდებენ, იმის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ საპარადოდ გამოწყობილი ვეახლები!

დაახლოებით ასევე მოვიბოდიშე იქაც, როდესაც მაგიდასთან სკამი შემომთავაზეს (თურმე, სკამი და მაგიდასთან მიპატიყებაც დიდი პატივი ყოფილა, როგორც მერე ქალებმა ამიხსნეს).

ჩემ წინ შუახნის, ჭაღარაშერეული ჩეკისტი იჯდა (მერე შევიტყვე რაფავა). ქართველი, თავაზიანი, როგორც იტყვიან, კეთილშობილი იერით.

არ ვიცოდი მაშინ, რომ შინსახკომი ბიჭბუჭებით იყო სავსე და ქუჩის ვიგინდარები განაგებდნენ ხალხის ბედ-იღბალს. რატომღაც ჩემი შეხედულებების დაზუსტებით დაინტერესდნენ. არ მახსოვს, რა კონტექსტში კაკი წერეთლის მოხსენიება დამჭირდა.

— მისამართი! შემომბლავლა ერთ-ერთმა ასეთმა ხულიგანმა. გურული ბიჭი იყო, გვარი არ მახსოვს.

— არ ვიცი.

თქვი, თორემ...

— შესაძლებელია ოდენკური, პარიზი, ყენევა.

უხ, შენი..., უნმანურ გინებას არ ასრულებს. შენ-ობის გარეშე მიმართვა ვერ წარმოუდგენია.

ვახსენე ოტიტო ბაუერი. იგივე შეკითხვა.

ზუსტად ვერ გეტყვით, რომელ სასაფლაოზეა დაკრძალული.

— უხ, შენი... — მაგრამ ეს მერე იყო. ახლა კი ჩემ წინ მჯდომი

დარბაისელი-ჩეკისტი, ასეთებს ვიყავი მიჩვეული, ჩემს გამოძიებლად მივიჩნე.

— მოკითხვა-მადლობის ფორმალობის შემდეგ, რაც მსუბუქი ირონიის, ასე ვთქვათ, სალონურ სტილში ჩატარდა, იგი პირდაპირ საქმეს შეუდგა:

ყველაფერი ვიცით, დაფარვას აზრი არა აქვს, მოყვეით თქვენი არალეგალური მუშაობის შესახებ!

ვუპასუხე, რომ ჩეკისტების ყოვლადმცოდნეობაზე უკეთესი წარმოდგენის ვიყავი, რომ არ ვმუშაობდი და ბედნიერად ვთვლი თავს, ვინაიდან ერთხელ მაინც მომეცა შესაძლებლობა ამ კედლებში გულმართალი განცხადება გამეკეთებინა.

— ცრუობთ! მითხრა მან.

სიცრუე არ დამჭირდებოდა, საკმარისად გამოცდილი ვარ. ბრალდებას მივიღებდი და ჩვენებაზე უარს გეტყოდით.

ნაგლო ვრიოტე, კაკ ბესტიჟაია უენშჩინა!

სასტიკად დავემუქრე და, ალბათ, გულიც „გავუხეთქე“ „რევოლუციური“ სამსაჯავროს მაღალ წარმომადგენელს. ჩემი ჭკუით აცილებაც მივეცი. სასაცილო ბეკეკა ჩლიქებს აბაკუნებდა და მართლაც სასაცილო იყო, მაგრამ მგლებმა სიცილი არ იციან...

სკამი იქით გადავარდა, მე აქეთ. დამითრიეს, მომერივნენ ვაჟკაცები, მაგიდის ირგვლივ თრევა-თრევით მტვერი მომანმენდინეს და კაბინეტის შუაგულში, რაც, როგორც ჩანს, საასპარეზო მოედანი იყო, რაფავას ფერხთით გაცოფებულნი დამეძგერნენ. გვემდნენ და ცეცხლს უყიდებდნენ სხეულს. ბოლოში მათრახებს თუ შოლტებს რაღაც ნახნაგოვანი რკინები ჰქონდა გაკეთებული და გავარვარებული სიმწვავე განსაკუთრებით ძლიერი იყო, როდესაც რკინები ძვლიან ადგილებს სუსხავდა. იდგა ზათქი და ისეთი ღრიანცელი, თითქოს ერთ ქალს კი არა, მთელ ჯარს ავლებდნენ მუსრს. ბლავილში ცალკეულად, შეურევლად სუსტი ხმაც განირჩეოდა. უცნობი და უცხო ბგერები იყო. ასეთი „ულერა“ ჩემგან არასდროს გამიგონია... ჯოჯოხეთის კრიმანჭული სატანას დაენერა...

ვის ხვდებოდი გასტრონომში, ვის? თქვი, თქვი! — დამბლადონდენ გამგელბული ჯალათები და თავანყვეტილნი კეპავდნენ და კეპავდნენ ცოცხალ ხორცს. ტვინშიდაც ელვასავით ჭექს და ტრიალებს საბედისწერო „ვის“. მაშასადამე, დასამალია, რადგანაც ვმაღავ, მაშასადამე „არ ვიცი“ ეჭვს ადასტურებს და ხიფათს უქმნის იმას, ვინც ჩემსავით ნიშანში ყოფილა ამოღებული. ...მაგრამ გასტრონომში პირად საქმეზედაც კი არავისთან დამინიშნავს პაემანე. მალე ისიც ჩემსავით ჩავარდება ამ სატანჯველში, თუ ჩავარდნილი

არ არის უკვე (მერე გავიგე, პართენი ჩემზე ადრე, სისხამ დილით ნაეყვანათ).

ბოლო არ უჩანს ბლავილსა და ცეცხლის სეტყვას, მაგრამ ამ ჯოჯოხეთურ ღრიანცელში ახალი სიტყვები იჭრება:

გასტრონომში რად ხედებოდი ხურციძეს, რად ხედებოდი, რად მალავდი, რად ხედებოდი, რად მალავდი?!

— აი, თურმე ვის... კვირა არ გაივლიდა, სამჯერ მინც არ შემოეცლო პართენს ჩემთან სახლში. გასტრონომი რად უნდა დაგვჭირვედოდა?! ანდა ჩვენ, საკმაოდ გამოცდილნი, კონსპირაციული შეხვედრისათვის ხალხმრავალ გასტრონომს რატომ ამოვირჩევდით?! მაგრამ სიმართლე არავის აინტერესებს. ნადირებმა აინყვიტეს, სხეული ერთ მთლიან ტკივილად იქცა. დაბეგვილი ძვლების სიმწარე, დწეხილი ხორცის მდულარება, გავარვარებულ თონეში ვინვი...

რაფავა სკამზე ზის, როგორც ამნეზე, და იქიდან ალაგებს კადრებს...

— უეცრად, ელვისებური სისწრაფით ყველაფერი შეწყდა. არ ვიცი, რატომ. თითქოს კინოლენტა გადაჭრეს. გამოვიხედე და პირველი, რაც თვალში მეცა, რაფავას სახეა, თეთრად თეთრი. თავრუ მესხმის თუ სინამდელია?! ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი, მიტკალივით გაფითრებული სახის ყველა ნაკეთი დახტის, იკრუნჩხება, იმანჭება, ერთმანეთს ენაცვლება... მე ქვემოდან შეეცქერი, მონუსხული ვარ და გაძაგრული, ასე თუ ბოჭავს ფრინველს გველის თვალები. მოჩვენებასავით გაქრა მბრდღენავი ცეცხლის ქაოსი.

მაგრამ არ წყდება ჯოჯოხეთური ფანტასმაგორია. უეცრად აზვავდა ახალი უცნაურობა, რალაც სრულიად შეუსაბამო, ირაციონალური, გაუგებარი. იდუმალი ფენებიდან საიდანღაც გამოჟონა თუ ღვართქაფად გადმოსკდა, ნიაღვარივით წამოვიდა რალაც და მან ყველაფერი წალეკა, გულში ზღვად ჩადგა. დაიფარა, ჩაიძირა ტკივილიც, შებლალვის სირცხვილიც, ზიზღიც, სიძულვილიც, შიშიც... აღარაფერი აღელვებს მის წყნარ ზედაპირს და ეს წყნარი ზღვა გრძნობა არის ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული სიბრალული, გულშემატკივარი შეცოდების ნაცნობი გრძნობა და სხვა არაფერი... მაგრამ ჩემ ირგვლივ ყველაფერი ჯადოსნური სისწრაფით იცვლიდა ფერს, ზომას, მოცულობას. დნებოდა, იჩუტებოდა, პატარავდებოდა. ჩემი ხელქვეითი მორჩილი, უბრალოდ ხელმისაწვდომი ხდებოდა.

— როგორ მეცოდებით, რა საბრალო ხართ, რა უბედური...

გულმხურვალედ ვეჩურჩულებოდი მას.

რაფავა თითქოს ქარის ტალღამ ასხლიტა. თვალი თვალში

გამიყარა. ზიზღს ვერ მიაგნო, ვერც დაცინვას. გაქევეებული იჯდა. შესაძლებელია, რაღაც ალლოთი ყველაფერს მიხვდა, იქნებ, უფრო მეტს, ვიდრე მე მაშინ... და კვლავ უკონტროლოდ, თითქოს ჩამორღვეული კედლის იქით სხვა ზეცა იყო და სხვა ხმელეთი, ნდობით, როგორც ახლობელს, რომელსაც ზოგავ და უფრთხილდები, მორიდებულად შევჩვიე:

დავიღალე!...

მან აქეთ-იქით გადაყრილ ფეხსაცმელებზე თავის ოსტატებს ანიშნა. ამჯერად ამნედან კადრებს მე ვალაგებდი...

ქრისტიანი არა ვარ, არც ლმობიერება მახასიათებს, „თვალი თვალის ნილ“... და თუ მორალური სრულყოფის უმაღლესი საფეხურია „რამეთუ არ იციან“... მე ამ დონემდის არასდროს ავმადლებულვარ, პირიქით, ვგმობ კიდევაც ამ პრინციპს. „რამეთუ არ იციან“ თუ იციან, ნებით თუ უნებლიეთ, იგი დაუნდობელი მტავალი იყო ჩემთვის, ჯალათი მკვლელი ჩემი საყვარელი ამხანაგების, ჩემი საქმის, ჩემი ქვეყნის. ჯალათად მოხსენებაც კი დიდი პატივია მისთვის. ინდოეთის ბრაჰმმაში ნათქვამია, რომ ჯალათსაც შეუძლია თავის ადგილას კარგი იყოს. ამ აბსურდის შემოწმებას არ ვაპირებ, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანის მსოფლგაგება სიკარგის შესაძლებლობას ჯალათსაც უტოვებს. ესენი კი ნადირები არიან, მხეცები, განა შეიძლება ცოფიანი ძალღი შეინყალო, რომელიც შხამავს და ანადგურებს სიცოცხლეს დედამინაზე?!

მაგრამ ნუთის მესაედ ნანილში თვალწინ წარმომიდგა სურათი: ჩემ ფერხთით ხუთი ნადირი სუსტ ქალს დარევიდა და ეს ჩემი ბრძანებით ხდება. უზომოდ შემეშინდა მაშინ, არ ვიცი, როდის, მაშინ, როდესაც მის სახეს ნავეანყდი, თუ უკვე ამგვარი შიშით შეპყრობილმა შევხედე მას. აღარ მახსოვს, მაგრამ მახსოვს უსაშველო უბედურება, რომელიც მის სახეზე აღბეჭდილიყო. ეს განივთებული, ანივლებული, აკივლებული უსაშველო სასონარკვეთა, რომელიც შლეგივით მოვარდნილი აქეთ-იქით აწყდებოდა რაღაც უხილავ ზღუდეებს... ნყეულიმც იყოს ან და მარადის ლენინი, ნყეულიმც იყოს სტალინი, ნყეულიმც იყოს რუსეთი... ხალხისთვის თავდადებულნი ცოფიან ძალებად გადააქციეს, ხალხს მიუსიეს...

მაგრამ საკითხის ეს მხარე ამჯერად არ მაინტერესებს. ფაქტია, რომ დღეს ის ცოფიანი ძალღი იყო, სრულიად გადაუჭარბებლად, სრულიად რეალურად საინკვიზიციო სამძებროს მხეცი-ჯალათი, მამ, მისი შეცოდება გულმნ როგორ გაბედა?!

დიდი განსაცდელის ფამს, როდესაც გულს ყოველგვარი პირობითობა შემოადნება, აღზრდით რომ მიუღია, წიგნიდან უსესხებია,

გარე ქვეყნიდან შეუსუნთქავს, თავს იჩენს ნამდვილი ფესვი და ის, რაც ნამდვილად დაემყნო და შეესისხლხორცა მას. მაშ, სად უნდა ვეძიო ამ შეუსაბამო განცდის ფესვები?

შესაძლებელია მისი ძირი ქალის დაუთრგუნავ, მარად ცოცხალ დედურ სანყისებშია ჩამალული. მას აღმოუფხვრელად ახსოვს თავისი შობილი: ჩვილი, უმწეო, უსუსური, მთელი თავისი პანანა არსებით მას მინდობილი და ეს ხსოვნა დედის გულში შეცოდების, შებრალების გრძნობადაა ჩაკირული. გულს არ სჯერა, თვით ჯალათს ვერ იმეტებს ჯალათობისთვის, შვილი მისთვის უცოდველია და სამუდამოდ შეცოდებული. დედობა დიდი საიდუმლოებაა, ქალის გულში ბევრი რამ იქიდან მოდის უცნაური, გაუგებარი, სრულიად შეუსაბამო. ხომ გამოზარდა მგელმა მაუგლი?!

ვენინგერი ქალებს დედებად და კახპებად ანანილებს. ეს არ უნდა იყოს სწორი. კახპამ არ იცის, სად და როგორ ნაუსწრებს მას დედური გრძნობა, ვის წინაშე აციაგდება ყოვლის მპატივბელი შეცოდების უსაზღვროება...

ანდა, იქნებ, აქ საუკუნეებით აკუმულირებული ზნეობრივი კულტურის სანყისებია და განსაცდელის უამს ჩემმა ქართველობამ თქვა უკანასკნელი სიტყვა ადამიანისა. არა კოლისეუმი, არა „ლობნოე მესტო“, ტაძრები დარჩათ ცად აზიდული ქართველებს, ტაძრები მარად სიკეთის და ნათელი გონების სათნოებისა... ან იქნებ აქ არაფერ შუაშია საუკუნეები და ქართველობა. ეს ღვთაებრივი სიკეთის დასაბამია ადამიანში, მისი ძირეული თვისებრიობა დაბადებიდან თანდაყოლილი, ზეგარდმო ნიჭი (ან მიწიერ-სოციალური, ამას მნიშვნელობა არა აქვს), ნიჭი, რომელიც უმკვიდრებს ადამიანს უზენაეს ადგილს მთელ სამყაროში. ამ ნიჭმა, ამ ძალამ აიყვანა ჯვარზე იესო...

ან, იქნებ, აქ სხვა რამეა...

ატოტმანებული წყალი რომ დაშოშმინდა და დაინმინდა, ფსკერზე შემოგრაგნილ გველს ნაანყდა ჩემი თვალები. სადღაც ამბობს შატობრიანი თუ ჰაინე (კარგად არ მახსოვს) და მეც გველს ვხედავ დღეს: შხამიანს, მაცდურს, შენიღბულს. სიძაბუნე ჩემი ჩაიმალა ლამაზ სამოსელში, რომ შეცოდებით მტარეალის გული მომეგო. შევიცოდე ეშმაკურად, რომ მასაც შეეცოდებოდი. დიახ, ეს იყო ის, რაც უმძლავრესია ადამიანში და არა ცით ბოძებული, ტყიდან გამოყოლილი ალლო-ინსტიქტი, მძლეთამძლე ფესვი ყოვლის, უმტყიცესი ბალავარი, რომელზედაც დაფუძნებულია მთელი ბუნება. ჯადოქარივით იგი ყველაფერს ნიღბავს და ამ შენიღბვის საჭიროება მხოლოდ მან იცის. ღმერთს სატანად მოგივლენს, სა-

ტანას ღმერთად დასახავს, ნაგიყვანს მარცხნივ და არა მარჯვნივ და მერე შენ სასწაულად მიიჩნევ ამ საბუთმოკლებულ არჩევანს. იდუმალია, ამოუცნობი, გრძნეული ცხოველური ინსტიქტი ჩენი. ნამქერის კორიანტელში თოვლში დაკარგული გზით თუ უგზოობით, ღამის წყვდიადში იგი ნაპრაღის პირას ცხენს გაატარებს და სახლში უვნებლად მიგიყვანს. ეს არის ნამდვილზე უნამდვილესი და „ენიგმაზე“ „უენიგმესი“

არა, არ ვიცი, რამ ამოსტყორცნა სასწაულებრივ ჩემი შეუსაბამო განცდა, ზენარმა თუ ქვენარმა არსებამ ჩემმა. არ ვიცი და არც არასდროს მეცოდინება.

„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთა წინაშე არც კი მოლანდებიათ...“

რა თქმა უნდა, ციხის გარემო თავისთავად უჩვეულოა და არა ცხოვრებისეული. ასეთივეა ალქმაც, განცდაც, რეაგირებაც. შეგრძნება პარადოქსალურია: სულიერად გათოშილს სხვისი მდულარე თანაგრძნობა სიცივის უმეტეს განცდას იძლევა, ყინვასავით გნვავს და პირიქით. მოშლილია თანაზომიერი რიგი მოვლენებისა. უცნობ სივრცეში მიექანები: აღარც ზაფხული, აღარც ზამთარი, აღარც ზღვა და აღარც ხმელეთი. რას ნაანყდები, გადაიჩეხები, სად ნახავ ბუდეს, რას დაკარგავ და რას შეიძენ ვის შეუძლია ამის განჭვრეტა?! პატიმრობა კატაკლიზმია და ცხოვრებისეული მასშტაბები აქ არაფრად გამოგადება.

1948 წელს, ყარაბაღის კომენდატურაში, სადაც საეტაპოდ გამზადებული პატიმრები ვიმყოფებოდით, ცემა-ტყეპით ქალი შემოაგდეს, წრე შეკრეს და შუაში მოიქციეს. ზედამხედველები კაცები იყვნენ. სალდათურ „ბათინკას“ თუ რკინის მუშტებს ხან მუცელში ამოკრავდნენ, ხან ძუძუებში. გასროლის ძალა-ინერციით ისიც აქეთ-იქით ეხეთქებოდა. ერთმანეთს მოხერხებულად „ანვდიდნენ“, ხელიდან ერთხელაც არ გავარდნიათ. გულდასმით ბურთაობდნენ, ოსტატურად. მერე გონებაშიხდილი მოკვეთილივით მინაზე დაენარცხა, როდესაც ხელი უშვეს...

ყოველივე ეს სამი-ოთხი ასეული ადამიანის წინაშე ხდებოდა. მონა მონას ფატრავდა კრიჭაშეკრული მონების წინაშე... არ ვიცი, ვინ იყო ის ქალი, არ ვიცი, რა დანაშაული მიუძღოდა მას, ვიცი მხოლოდ, რომ ბედნიერია ის, ვისაც ასეთი სპექტაკლის ანაბეჭდი გულით არ დააქვს...

ყელიდან რალაც ბგერები აღმომხდა. ქალებმა ხელი წამატანეს და უკან მომაქციეს, მაგრამ ეს აღარ იყო საჭირო. უკან ლაგერის რვა წელი მქონდა მოტოვებული. მე ვიყავი ის, ვინც უსიტყვოდ,

სულდაცემული მორჩილებით ყველაფერს იტანს, ყველაფერს იღებს, ყველაფერს ურიგდება... ვის უნახავს შინაური პირუტყვი მეორეს ესარჩლებოდეს, თუკი მასთან უღელში შეებმულს კეტით დაერევიან?! პატრონს არც ნაცემი გაუძალიანდება, უღელში მყოფსაც არ ემდურება, მორჩილი ჯიუტობით ფეხს არ მოიცვლის, ცემას აიტანს და მერე ნაბიჯს მაინც გადადგამს.

შიშველი ხელით ვინ შევარდნილა მშიერი მგლების ხროვაში?! ხო, იყო დრო, ნონა და ზომა ჩვენ არ ვიცოდით, თავდავინყებულები, ანგარიშმიუცემელი ნახტომისათვის მთელი ჩვენი არსება მზად იყო, ეს თავისთავად ხდებოდა და ვახდენდით კიდევაც სასწაულს. ურისკო გათვლას ჭკვიანი მანქანაც მოახერხებდა. მგელს რომ შენი შვილი გაეტაცა, ხომ შევარდებოდი?! მაგრამ აღარსად იყო ამბოხივით ამომსკდარი ცეცხლნაკიდებული რისხვა, შურდულივით დაჭიმული ნებისყოფა... იყო მიუსაფარი სიშიშვლის, კულტი უძღურების, უიმედო განწირულების სასონარკვეთა და კიდევ თვითდაცვის ალღო სადღაც სიღრმეში თვლემდა... როგორც კომმარი ლამის ბოჭავდა იგი ისედაც მოდუნებულ ნებისყოფას და მხოლოდ გახრჩობდა, სულს გიხუთავდა, სიზმარეული ბუნდოვნებით განძრევის უნარს გართმევდა...

ყარაიაზის სამელიოროაციო სამუშაოზე ნაადრევად გაჭაღარავებული პირუღიმარი დაძონძილი კაცი მინახავს. ყრუ-მუნჯი მეგონა. გაქვავებულ გლუვ სახეზე სიცოცხლის ნატამალსაც ვერ შეამჩნევდი. დაბინდებამდე დღენიადაგ დაქოქილი ავტომატივით წელამდე წყალში ტრიალებდა, მერე მარტოდმარტო არაყს მიუჯდებოდა. პროფესიით იურისტი იყო. რომელიღაც ქალაქის გავლისას, არ ვიცი, რა ფერის (ნითელი, თეთრი თუ მწვანე), სალდათები მის ბინაში შეცვენილან, გაუთოკავთ და ცოლისთვის ხელი დაუვლიათ. ალბათ, ავხორცობის უინს ახურებდა გათოკილი ქმრის იქ დასწრება, თორემ მოკვლა ან მისი გათრევა ნადირებს სრულებითაც არ გაუჭირდებოდათ. ცოლს გაძაგრული ქმრის ფერხთით ამოხდომია სული. ჩვენც შინაგანად ასეთი გათოკილები ვიყავით...

კარგია, რომ შეიძლებოდეს ამ საკუჭნაოს ამოშანთვა, კარგია, როცა თოვლის ბაბუასავით ყველას ღიმილით დაასაჩუქრებ, მაგრამ მე არ გამაჩნია ბაბუას ბოხჩა. ძალას ვინ გატანს, იყავი შენთვის გაჩუმებული... მაგრამ, მაშინ რა ვუყო ლანდებს, გარშემო რომ მესევიაან?!

ბავშვობის ხანა უმრავლესობისათვის უდარდელია და ბედნიერი, მაგრამ ბუნებას საკმარისად უზრუნვია იმაზე, რომ ნეტარი დროიდან მესხიერებას რაც შეიძლება ნაკლები შემორჩენოდა.

დავდივართ ოპტიმიზმით შენიღბულები და ერთმანეთს კურტუა-ზულად ვატყუებთ. მოლა ნასრედინი საკუთარი თავის მოტყუება-საც ახერხებდა. ასეა განა?!

შვეცთამ უკანასკნელი ციხის გაუქმების რომელიღაცა წლისთავი იწვევსასწაულს. განა ეს ფაქტი საკმარისი არ არის, რომ გააჩუმო სხვადასხვა სჯულის სექპტიკოსები და პესიმისტები?! და მეც აბსოლუტურად მჯერა, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება უბედურებაა და მიუტყევებელი ბოროტმოქმედება. თუ სიღამპლენი არ შეგპარვია, ბრძოლა და ბრძოლა, ვიდრე ქვეყანას მოძალადენი რყვნიან, ბილნავენ, ანადირებენ, სიყალბე-სიცრუის ნუმპეში ახრჩობენ.

1947 წლის ღრუბლიან დღეს გავცქეროდი შავ ბოლში გახვეულ ბარაკს. ინვოდა ზონის შორეული ბუნაგი. დამატებითი მავთულხლართებით იგი სასტიკად იზოლირებული ზონა იყო ჩვენს სალაგერო ზონაში. დღე-ღამე იქ „შტრაფნიკები“ იყვნენ ჩაკეტილნი. და, აი, სწორედ მათ რასკოლნიკებივით ცოცხალი ადამიანების კოცონი ააბრიალეს... დადუმებული მინა ცეცხლის ენებით შეჰლალადებდა მდუმარე ზეცას...

ინკვიზიციამ აუტოდაფეებით გაამდიდრა კაცობრიობის მარტიროლოგი, ფაშიზმმა მხრჩოლავი გაზის აბანოებით, ბოლშევიზმმა სხვა უბედურებათა გარდა თვითდანვის კოცონებით შეამკო იგი. რომანოვების რუსეთი კლავდა ჭავჭავაძეებს, პუშკინებს, სახრჩობელაზე აგზავნიდა პესტელს, რილევს, პეროვსკაია-კიბალჩიჩებს, არსენა ჯორჯიაშვილებს. ციმბირი ძმათა სასაფლაოდ გადააქცია. ლენინის რუსეთმა (მათივე ენით რომ ვილაპარაკოთ) 1913 წელს ასტრონომიული მაჩვენებლებით გადააჭარბა და კიდევ რაციონალიზატორული ღონისძიება დანერგა; პაოლო, ესენინი, მაიაკოვსკი, ცვეტაევა, ფადეევი, ტერენტი, გალაკტიონი, გომართელი, ჟღენტე და, კიდევ ვინ მოთვლის ვინ, თვითმომსახურებას ბრწყინვალედ ანხორციელებენ. 1937 წელს თვითმკვლელობა რიგით მოვლენად იყო ქცეული. რომელი ქვეყანა რომელზე უარესია? რომელიც შემართულ მებრძოლს კლავს, თუ ის, რომელიც მებრძოლს იმდენად ანადგურებს, რომ იგი თვითმკვლელობამდე მიჰყავს?!

ისტორიამ იცის მადლიანი დრო ხალხს ამალღებული სულისკვეთება იცავს და მაშინ ვაჟკაცობა ჩია ადამიანსაც უად-

* (ფრ.) მონინებით, ხიბლით.

ვილდება. მაგრამ არის ხოლმე შავბნელი, ბედკრული პერიოდებიც, როდესაც დიდსულოვანი გმირობა სიცილს იწვევს მხოლოდ და მხოლოდ და უარეს შემთხვევაში ცოდვა-ბრალდაც კი ჩათვლებათ ხალხის ერთგულ შვილებს! -- ნაღვლიანი ღიმილით მეუბნებოდა კოკი იოსელიანი.

ვიცოდით, ძმაო, რომელი დროის შვილები ვიყავით და მაინც დალუპვისაკენ მივისწრაფოდით, რადგან სხვა გზა არ იყო ჩვენთვის. ცეცხლს ვეტანებოდით, ფუჭად ვინვოდით და ისიც ვიცოდით, რომ ჩვენი ხვედრი ფერფლია მხოლოდ, მაგრამ განა როდესმე ჩამქრალა ჩვენი კერია საქართველოში?! მამა-პაპისაგან ასე გჩვენებია --- კერიის ცეცხლს ვუფრთხილდებოდით, ფერფლში ვახვევდით და ვინახავდით. ნაცრის ქვეშ ლეველფი-ლადარი ყოველთვის გვეგულებოდა.

აგერ მისი ნაპერწკალი ლადოს ყაყაჩოებში გაღვივდა, აგერ ცხრა მარტი ცეცხლად ავარდა და მისი ბრიალი მთელი პლანეტის ცის ტატნობს მისწვდა... ფერფლი-ნაცარი არავის ხიბლავს, არავის შემურდება, მაგრამ ხომ ვინმემ უნდა იკისროს ჩანაცრება და ფერფლად ქცევა!..

1924 წელი გვერდში ამოუდგება სხვა ლეგენდარულ თარიღებს. ეს თარიღები ჩვენს ქვეყანაში არ ილეოდა, თორემ ქართველი როგორღა შემოსძახებდა: „ხელი ხმალს იკარო“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „მუმლი მუხასაო“... თორემ „რიაბინუშკას“ სევდა გაგვათავებდა, მიუსაფარი ცირცველა ხიზნობას მოინატრებდა, მუხასთან მიცოცდებოდა, ბეჩავ თავს შეაფარებდა... ჩვენს კერიასთან სამასი არაგველი დაზრდილა, ცოტნე, არსენა და კიდევ ვინ მოთვლის, ვინ და რამდენი. განა თუ რამ შექმნა ლეგენდა ამირანისა?! ყველაფერშია ცხოველმყოფელი ცეცხლი, ნათელი ჩვენი ლადარის: თუ ნიკონმინდა, ალავერდი, სვეტიცხოველი, თუ ციხენი ჩვენი, თვალშეუდგამნი. ჩუქურთმა, სიმღერა, ლექსი. ძველ ეტრატებში, ოპიზრების უკვდავებაში, ვაჟკაცურ სიტყვა-ბგერაში... განა თვით ბაგრატიონთა გვარმაც მარგალიტებით მოჭედილი გვირგვინი არ დაუტოვა თავის ქვეყანას?! რომელი ერი გაგვიტოლდება მეფეთა ბრწყინვალე რიგით? ვახტანგი, დავითი, თამარი, გიორგი, პატარა კახი, ქეთევანი და ღიმიტრი, პეტრე იბერი, ვახუშტი, ვახტანგ თუ არჩილი, თეიმურაზი. სასწაულებრივად საოცარს ყველას და ყოველივეს ვერ მოთვლი და ამიტომ შოთას ვახსენებ მხოლოდ, ჩვენი დიდების მწვერვალს. საამაყო რამ თითოეულ ერს გააჩნია, მაგრამ, თუ ჩვენი ქვეყნის წარსულს გახედავ, სასწაულად ისიც კი მოგჩვენება, რომ საქართველო დღესაც არსებობს.

არა, კერიას ვერ ჩავაქრობდით, თორემ ეს ციციქნა ერი ალექსანდრეს და პეტრე ბაგრატიონს ვერ შესწირავდა, დიდ მედროშეებს კარლოს და კაკის ვერ მიავლენდა, სტალინსაც ვერ ელირსებოდნენ... თედორე მღვდელსაც ვერ „ვასესხებდით“, რომ მისი დიდება გლინკას საქვეყნოდ ეთქვა...

არა, კერიის გაცივება ჩვენ არ შეგვეძლო, თორემ ჯვარი და ხერთვისი განრისხდებოდნენ, იმ სიმაღლიდან დაეშვებოდნენ, დაიქუხებდნენ და ფეხქვეშ მოგვიტანდნენ, მტვრად გვაქცევდნენ... ხოდა, კისრულობს ქართველი, არ თაკილობს ფერფლსა და ნაცარს...

ფეხზე ნომერგამობმული, ძალღებვიით ორმოებში ხართ ჩაყრილნი... ვერა, ვერ დაგიტირებთ, ცრემლებისათვის ჩვენ არასდროს მოგვიცლია... და მაინც ვიხრჩობი, ძმაო... აგერ, კარი გაიღება, შემოგროვდებით... თითქოს არც კი ყოფილა ეს ოთხი ათეული წელი... მე არასდროს მიფიქრია უთქვენოდ ყოფნა და დღესაც თქვენა ხართ ცოცხალი ჩემში...

ორმოებს გათხრიან ჩვენი შვილები. ასე მგონია, ასე მწამს ვინმე ქართველი არსაკიძის მტევანს გამოიბამს, ცამდის აზიდავს აკლდამას. არ ვიცი, როგორ და იგი ჩვენს კერიას დაემგვანება, ნათელი იქნება, ბედნიერი, იმედიანი... ერის მარადი საგუშაგო თქვენს წმინდა სახელებს ჩაიბარებს... მაგრამ ვიკმაროთ... მსურს მსჯელობა ცივი, დაუნდობელი. ნუ დამძრახავთ, თუ კვლავ ოხვრა აღმომხდა. ასეთი იყო თქვენი მამების, თქვენი დედების ხვედრი და წილი...

რატომ ჩვენდა დაუპიითხავად?

ქალაქში ღამით ჩამოვედი. გულმა არ მომიტმინა, ლენინის მოედნისაკენ გავწიე. პუშკინის სკვერი მოშლილი დამიხვდა, მისი ფართობი თავისთავად მოედანს შერწყმოდა. მომეწონა ლალად გაშლილი სივრცე...

სიბნელებში, მინის ზედაპირზე, რალაც დავლანდე. ვიფიქრე — სკვერი ტოპონიმურადაც უნდა გაუქმდეს, პუშკინის ძეგლს საკუთარი სახელობის ადგილი დაეკარგება და, ალბათ, ეს ფუძის ნარჩენებია, ხოლო ძეგლი უკვე სხვაგანაა გადატანილი და ამშვენებს ჩვენი ქალაქის რომელიმე ნებისმიერ, ისედაც მშვენიერ კუთხეს-მეთქი.

მაგრამ პუშკინი ძველ ადგილას იდგა, თითქოს უსახლკაროდ დარჩენილი, როგორც მიტოვებული, ზურგშექცეული სტუმარი.

ამონაშენი კი ცოკოლით შემოვლებული ტიპური საფლავი აღ-
მოჩნდა, ასეთივე ტიპური სასაფლაოს ქვით შუაგულში.

ნითელი მოედანი გამახსენდა. კრემლის კედელი და მისი ფუძე-
გარემო ბედნიერ შესაძლებლობას იძლევა, ისე შექმნა პანთეონი,
რომ მოედნის არქიტექტონიკა არ დაარღვიო, პირიქით, მეტი სიდი-
ადე შემატო რჩეულთა შორის რჩეული სამარხებით.

...მაგრამ ლენინის მოედანი სახელწოდებით, ადგილმდებარეო-
ბით, გარემოცვით, კონფიგურაციით ამის შესაძლებლობას სრუ-
ლიად გამოორიცხავს. მაშ, ერთადერთისათვის სასაფლაოდ რად
გადააქციეს? გაეფიქრე გულდანყვეტილმა და ასანთს გაეკარი,
რომ იმ ბედნიერის სახელი გამეგო, რომელსაც ლენინის გვერდით
(რადგან სკვერი მოშლილია) მარადიული საყუდელი მოუპოვებია.

უზომოდ გამიკვირდა -- კამო-პეტროსიანის საფლავი?! მისი
ნეშტის გადასვენება შესაფერის საპატიო ადგილზე განა დღემ-
დის არ მომხდარა?! ასეთი რა გაგვიჭირდა, მთავარ ადგილას სპე-
ციალური სასაფლაოც კი გაგვიხსნია! და მერე სად?! მაშ, ამიერი-
დან მოედანს რა უნდა ეწოდებოდეს? კვლავ ლენინის მოედანი? ეს
ხომ პუშკინისა და კამო-პეტროსიანის სახელების უგულებელყოფა
იქნება! ამას არც ლენინი დაუშვებდა. დიდი ადამიანი იმით არის
დიდი - სხვას კი არ ყლაპავს, არამედ გამოავლენს, აამაღლებს და
საკუთარ ადგილს დაუმკვიდრებს ხალხის ხსოვნაში.

მაშ, რა დაეარქვათ? კამო-პეტროსიანის ძეგლიც მალე დაიდგ-
მება. მაშასადამე, ისტორიული თანმიმდევრობით მოედნის სახ-
ელწოდება ამგვარად აყლერდება: პუშკინ-ლენინ-კამო-პეტროსი-
ანის მოედანი. ამრიგად, ქალაქი დავამახინჯეთ, მთავარი მოედანი
ძეგლებით უგემოვნოდ ჩაეხერგეთ და ერთიმეორისაგან და-
მოუკიდებლად ადამიანების ხსოვნაც, ასეა თუ ისე, შევლახეთ.

ნეტავ, მსგავსი რამ ვინმეს თუ უნახავს, ან გაუგონია?!

ახლა სხვა თვალსაზრისითაც შევხედოთ - არის სადმე ისეთი
ქვეყანა, დიდი, ანდა სულ მცირედი, სადაც დედაქალაქის მოედანი,
ვთქვათ, ლონდონში, მოსკოვში, პარიზში, დათმობილი აქვს არა-
ინგლისელს, არარუსს, არაფრანგს და ა. შ.? ამას არა მარტო განხ-
ორციელებულად, არამედ წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენ.

არ არსებობს ერი, რაგინდ ხელმოცარულიც არ უნდა იყოს,
რომ თავისი ეროვნული საქმისა და არსის გამომხატველი შვილი
არ ჰყავდეს, თავისი ეროვნული სიამაყე, თუგინდ ეს „სიამაყე“ სხვა
ერის დიდი შვილის ერთ ჯიბეშიც კი არ ეტეოდეს.

მაშ, შეიძლება, რომ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მოედანი სამ
არაქართველს დაეთმოს?!

ვ. ი. ლენინი დავისა და მსჯელობის გარეშეა. ვინ გაბედავს, ვინ იკადრებს ასეთ შეფასებას?! იგი ეროვნულიცაა და ზეეროვნულიც, მაგრამ არაქართველობის ელემენტი საოცრად დომინირებული, პირდაპირ მლალადებელი გახდა, როდესაც მოედანზე დამატებით ორი არაქართველი გაჩნდა.

ვაი, საცოდავო ქვეყანავ! საკუთარი დედამოედნის ღირსად ერთი შვილიც კი ვერ გამოგიზრდია!!!

მაგრამ სწორედ ამ პანანკინა ერმა, რომლის ხვედრითი წონა რუსეთის იმპერიის ერთ-ნახევარ პროცენტსაც კი არ შეადგენდა, ძალა და ღონე შეჰმატა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის აენგარდს, მეტი, არა ერთი და ორი გამოჩენილი მოღვაწე მისცა საქართველოს, რუსეთს, მსოფლიოს.

საკმარისია, გავიხსენოთ აგრეთვე ისიც, რომ 1917 წელს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა პირველმა საბჭომ პირველ თავმჯდომარედ ერთსულოვნად სწორედ ქართველი დაასახელა, რომელსაც ლენინმა საგანგებო თხოვნით მიმართა საპატიო პოსტი მიეღო და პირველი რევოლუციური სახელმწიფო ორგანოს პირველ თავმჯდომარედ დარჩენილიყო. შემთხვევითია ეს ამბავი?!

შეგვიძლია აგრეთვე გავიხსენოთ, რომ მრავალი წლის მანძილზე, როდესაც გამარჯვებული რეაქცია მძვინვარებდა, მთელი მსოფლიოს გასაგონად ქუხდა სახელმწიფო სათათბიროში ქართველების ხმა: ძალმომრეობის მამხილებელი, დარბეული ხალხის გამამხნეველები, მუშათა კლასის მაორგანიზებელი. როდესაც ყველგან ევროპის პარლამენტებში სოციალისტური პარტიების წარგზავნილები ხმას აძლევდნენ ომისათვის სახსრების გამოყოფას, ხოლო სახელმწიფო სათათბიროში ფრაქციის სახელით, რომელსაც ქართველი ხელმძღვანელობდა, დიახაც, მას ეკუთვნოდა დიდი პატივი ძმათა ულექის დაფინანსებაზე მტკიცე უარის განცხადებისა. შემთხვევითია ეს ამბავი?!

კაზემატიდან ქართველი დეპუტატის მოღწეულმა წერილმა მთელი ევროპა შეძრა. ეს იყო უდიდესი ზემოქმედების საბრალმდებლო მხილება თვითმპყრობელური ჯალათობისა. მთელი მისი შემოქმედება ვაჟკაცური მონოდება: სიმართლისათვის, სიკეთისათვის, ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისათვის — არასოდეს ჩაიფერფლება ისე, როგორც თვით ჭოლა ჩაიფერფლა ამ უთანასწორო ბრძოლაში...

თუ ჩვენს მოედანს ჯორჯიაშვილის საფლავი არ შემორჩენია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არსენას სახე ჯალათებმა კირით დაგმანეს და ამოჭამეს, რათა ჭირისუფალ ხალხს მისი სამარისათვის

ვერ მიეგნო...

აღარ ვახსენებ მრავალთა და მრავალთა სახელებს, არც იმათ, ვინც ათეული წლები ემსახურა დიდ რუსულ საქმეს და მრავალეროვან საბჭოთა კავშირს. ჩვენი რევოლუციონერი მებრძოლების მარტივროლოგისა და პანთეონის ზერელე შეხედვაც კი მეტად შორს ნავციყვანდა.

მაგრამ ჩვენ არ მოვიტხოვთ ამ მოედანზე მათი ძეგლების აგებას და მით უმეტეს, არა გვაქვს არავითარი საფუძველი მივცეთ კამო-პეტროსიანს განსაკუთრებული უპირატესობა, გამოვარჩიოთ სხვა ღირსეულთა შორის იმდენად, რომ ლენინის მოედანზე, ვითარცა მის სწორს, ძეგლი ავუგოთ, ან დაუუტოვოთ საფლავი.

არის კიდევ მესამე მოსაზრება: კამო-პეტროსიანი ჩვენს ქვეყანაში დაიბადა, აღიზარდა, ჩამოყალიბდა. იგი ქართველი ერის საჩინოებელი შვილიც არის. ყოფილ ერენის მოედანზე სახელმწიფო ხაზინის გატაცება მან ბრწყინვალედ ჩაატარა. ერთ-ერთ ევროპულ ბანკში ბანკნოტების გადახურდავებისას ერთ-ერთ რევოლუციონერს, როგორც იტყვიან ხოლმე, მაჯაში ხელი წაატანეს. ბანკნოტების ნუმერაციამ ამ გატაცებული ხაზინის გენეზისი დაადასტურა. ეს ამბავი ევროპულ სკანდალში გადაიზარდა. რეაქციულმა პრესამ განგაში ატეხა, ბანდიტიზმის ბრალდება წამოაყენა. საქმე იმით დამთავრდა, რომ მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩატარებული ოპერაცია შეაფასეს, როგორც მუშათა კლასის საბრძოლო ტაქტიკისათვის შეუფერებელი ანარქისტული აქტი და ბანკნოტების დანვა მოითხოვეს. რ.ს.დ.მ.პ. დადგენილებას დაემორჩილა და შესასრულებლად მიიღო.

საკითხს არ ვარჩევ. გაკვრით აღვნიშნავ: ისტორიაში ჯერ არცნობილი მასშტაბის მასიური დარაზმვა, რომელსაც მუშათა კლასი მეთაურობს, თავის ბრძოლაში ემყარება ფართოდ გაშლილი ერთიანი ფრონტის ტაქტიკას. მარქსისტული ფილოსოფიის პოზიციებიდან იგი ვერ მიიღებს ინდივიდუალისტურ, ანარქისტულ აქცია-ექსცესების მეთოდებს, რაგინდ მაღალი რევოლუციური ტონალობისა და ეფექტური შედეგების მომცემი არ უნდა იყოს ასეთი მეთოდების გამოყენება.

კამო-პეტროსიანი არ ყოფილა გეზის მიმცემი თეორეტიკოსი, სულისჩამდგმელი პრაქტიკოსი, დიდი მასშტაბის ორგანიზატორი და ა.შ. ბირდაბირად შერკინების მძაფრი რომანტიზმის, თავდაუზოგავი შემართების ბობოქარი პიროვნება, მძაფრი რევოლუციური სიტუაციებისა და იერიშების უბადლო ხელოვანი ასეთი იყო კამო და ასეთად დარჩა ბოლომდის. მისი მფეთქავი, მაღალი

ხარისხის რევოლუციური ენერჯის სხვა რელსებზე გადაყვანის სიძნელე, თუ არა ვცდები, ვ. ი. ლენინსაც კი აფიქრებდა.

კვლავ და კვლავ დაინერება ტომები, კვლავ და კვლავ აისახება მისი ელვარე ინდივიდუალობა, საქმენი საარაკონი... და მაინც კამო-პეტროსიანის რევოლუციური ფიგურა არავითარ შემთხვევაში არ იქნება, ვერ იქნება დამახასიათებელი ჩვენი მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისათვის... და, როგორც ასეთს, ნამყვანის უპირატესობა ვერა და ვერ მიენიჭება.

მაშ, რად ეანიჭებთ?!

თუმცა, კიდევ არის ერთი თვალსაზრისი. ერევნის კინოსტუდიაშექმნა ფილმი „საგანგებო დავალება“:

კამო-პეტროსიანი ვ. ი. ლენინის დავალებით თბილისში შაუმიანთან მიემგზავრება. მას ქართველი ჯარისკაცი ახლავს, სიბრიყვემდე მიამიტი, უმეტარი, თითქმის დებილი. გზაში ისინი გადაეყრებიან დენიკინელ ქართველებს. ერთი ხელის მოსმით კამო-პეტროსიანი მათ ყველას პანტასავით მიწაზე დაყრის. შემდეგ კამო და მისი დებილი დაინახავენ, როგორ ისერიან აღშფოთებული მგზავრები გაქანებული მატარებლიდან ერთ ვინმე ქართველ სპეკულიანტს. თბილისში ჩამოსვლისთანავე, იქვე, ნაბიჯის გადაუდგმელად, მათ შეეფეთება გალემილ ქართველ ლოთთა ჯგუფი. კამო-პეტროსიანი, ვითარცა დევგმირი, ისევე იოლად მიყრი-მოყრის ლოთებს, როგორც დენიკინელებს.

ვაი, საცოდავო საქართველოვ! დებილების, შავრაზმელების, სპეკულიანტებისა და ლოთების ქვეყანავ! შენს წიაღში ერთი პოზიტიური პერსონაჟისათვისაც ვერ მოიძებნა ისტორიული ნატურა! ალბათ, ამიტომ „საგანგებოდ დააეალა“ რეჟისორმა ვ. ი. ლენინს, რომ კამო-პეტროსიანი „საგანგებო დავალებით“ თბილისში მხოლოდ შაუმიანის მისამართით გაეშვა. კარგია, რომ კამო ასეთ „განდიდებას“ არ შესწრებია, ერთხელ კიდევ შეასკდებოდა ელექტრონის ბოძს, ან უკვე „საგანგებოდ“... მის სამშობლოში, საქართველოში, არც ერთი მისი ქართველი მასწავლებელი, არც უფროსი მეგობარ-ამხანაგი, არც ბრწყინვალე ოპერაციების გულადი მონაწილენი...

ვინ იცის, იქნებ, მართალია ის რეჟისორი?! და თუ ასეა, სამართლიანად მიუკუთვნებიათ მისთვის ღირსება ლენინთან გვერდით ყოფნისა, რათა სამარადისოდ დაეკავებინა ჩვენი ქვეყნის დედადგილი. აღარც მე მეთქმის რაიმე...

კამო-პეტროსიანის ანტიპოდები მის დროსაც მრავლად დაბორიანობდნენ. ნარჩენი ახლაც აქა-იქ დაძვრება. რა ძეგლები

აფეთქებულა საქართველოში! დიდი თუ პატარა შეშფოთებულია ამ ზოოლოგიური „ეროვნულობით“. ხოდა, გავა წლები, ბევრი და ბევრი... „ჯავახკას“ ჯადოქართა მეხსიერებაში ამოტივტივდება ქარავენ სარაის ემბლემით „ერევანსკი“ ან გარდასული სახელი მოედნისა, კამო-პეტროსიანის ძეგლსაც ნახავენ, ფილმსაც... ვინ იცის, კიდევ მოერიოთ ტყიური ცოფი და ჩვენი ხელოვნების მუზეუმი, კიდევ სხვა ახლომახლოც ჰაერში აიტაცონ, ვითარცა უცხო რამ, გარეული და შემბლაღავი მათი „ეროვნულობის“... ღვთის გულისათვის, ხომ შეიძლება გთხოვოთ, რომ ამაზედაც ცოტა იფიქროთ“

შენიშვნის სახით: ჩვენს ქალაქში მნიშვნელოვანი ნაგებობა და ძეგლი ისე არ დაგვიდგამს, რომ მათი პროექტები ფართო განხილვის საგანი არ გამხდარიყოს. მაშ, ახლა რატომ ჩვენდა დაუკითხავად?!

1971 წელი, 25 ივნისი

გადაუდებელი საძმე

ამა წლის 2 მარტს გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა პროფ. დ. მგელაძისა და პროფ. დ. ჭანტურიშვილის ერთობლივი წერილი „როგორ ვასწავლით?“, სადაც გაშუქებულია რუსული ენის სწავლების მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში.

პატივცემული ავტორების ვინაობა წერილში მოყვანილი მასალის სიზუსტე-სიმართლის თავდებია. იგი დაწერილია, როგორც იტყვიან, თვითგვემა-თვითკრიტიკის უმძაფრესი სისასტიკით, საგანგებო ზარების რეკით და საქმის დაუყოვნებელი გამოსწორების მოწოდებით.

ჩვენც არაფერი გვექნებოდა სათქმელი – საქართველოში ადამიანს ვერ ნახავ, მთელი მონდომებით ხელს რომ არ შეუნყობდეს რუსულის დაუფლებისათვის ღონისძიებათა განხორციელებას... მაგრამ ამ საჭირობოროტო საკითხის გარჩევა-დასაბუთების პროცესში წერილმა ამოზიდა უზომოდ დიდი და მძიმე პრობლემა, რომლის წინაშე მრავალი და, მათ შორის, რუსულის სწავლების საკითხიც სხვა მწკრივში გადაადგილდა და ხარისხიც მკვეთრად შეიცვალა.

სიტყვა ავტორებს დაუთმოთ: „როგორც უნივერსიტეტის, ისე ყველა ინსტიტუტის სასწავლო დისციპლინების პროგრამებში მითითებულია რუსული წყაროები, რომელიც დასამუშავებელი

ლიტერატურის მინიმუმშია გათვალისწინებული. ზოგიერთი დისციპლინის პროგრამაში რუსულ ენაზე მითითებული ნყარობის პროცენტი 100-ს უახლოვდება"..." „სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს რუსული ტექსტის ნაკითხვას და გარჩევას"..." „მამ, როგორ აბარებენ ისინი ჩათვლას და გამოცდებს საგანში? როგორ და კონსპექტებით"..." „იშვიათი გამონაკლისის გარდა ყველა ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში საგნის ხელმძღვანელი ურიგდება ამ ვითარებას და სტუდენტი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს კონსპექტური და, მაშასადამე, ერთობ შეზღუდული ცოდნით"..."

წერილში მოყვანილი ცნობით პირველი და მეორე კურსის შემონმებული სტუდენტების 77% თურმე თავიდანვე სწორედ ასე ყოფილა განწირული -- უვიცობა და უნიგნურობა მათ გარდაუვალ ხვედრად ქცეულა.

სურათი იმდენად შემადრწუნებელია, რომ გადაჭარბების ან შერბილების შიშით ციტატის მეტი შეკვეცა ველარ გაგებდე.

საპროგრამო ლიტერატურის მინიმუმში ქართული ნყარობის უქონლობა, აქედან „კონსპექტური სწავლება" და, მაშასადამე, „ერთობ შეზღუდული ცოდნით" უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება, ამ ვითარებისადმი სწავლულთა შეგუება-შერიგების განწყობა ერისათვის ისეთი დიდი უბედურებაა, რომ უარს ვამბობ, გავიგო, როგორ აქციეს წერილის ავტორებმა ასეთი საბედისწერო მდგომარეობა მეორეხარისხოვან საკითხად და როგორ დააკისრეს მას მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტის ფუნქცია, მხოლოდ და მხოლოდ რუსულის სწავლების გაძლიერებისათვის მოყვანილ მტკიცება-დასაბუთებაში.

ჩვენი საუკუნის პირობებში ერისათვის მომაკვდინებელი იქნებოდა, თუ იგი უგულვებელყოფდა მოზღვაებული ინფორმაციის ათვისებისათვის კიბერნეტიკული მანქანების გამოყენებას, ჩვენ კი ეპოქის ბრძოლა-ჭიდილში „კონსპექტური ცოდნით" ვაპირებთ ქვეყნის მოვლა-პატრონობას და მის შენებას!

ეს ამბავი უზომოდ სასაცილო იქნებოდა, ასე უზომოდ სატირალი რომ არ იყოს.

შესაძლოა სწორედ ამგვარად ადაპტირებული „კონსპექტური" სისტემის წყალობით 1929-1970 წლების განმავლობაში ჩვენმა საშუალო, სპეციალურმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 503,4 ათასი სპეციალისტი და მათ შორის უმაღლესმა სასწავლებლებმა 229 ათასი მაღალი კვალიფიკაციის მქონე. მოგეხსენებათ, განათლების მაჩვენებლებით შორს უკან მოგვიტოვებია არა ერთი და ორი მონინავე ქვეყანა. ისლა დაგვრჩენია, სახელის მეტი

განდიდებისათვის სწავლების ეგზომ იოლი და ჩქაროსნული მეთოდები მათაც შევთავაზოთ.

ერის განადგურებისათვის ზემოხსნებულიც იკმარება, მაგრამ კონსპექტური სწავლება „ერთობ შეზღუდული ცოდნის“ ვაი-უბედურება არ არის მხოლოდ. „ერთობ შეზღუდულ ცოდნასთან“ ერთად სტუდენტი იძენს ერთობ შეუზღუდავ, ასე რომ ვთქვათ, აბუჩად აგდების დამოკიდებულებას და არა მხოლოდ ცოდნის მიმართ.

ცოდნა-გამოცდილება არსებობის ძირითადი, ყველაზე უფრო საჭირო, საპატიო საშუალებათაგანია, ადამიანის და მოქალაქის ავკარგიანობის მაჩვენებელი, მისი ვარგისიანობის, გამძლეობის ხარისხი. და, თუ ამ ძირითადზე უძირითადესს აბუჩად ავიგდებთ, რაღა დარჩება ისეთი, რასაც ამგვარადვე არ მოვეკიდებით?!

იოლი ხერხებისა და ილეთების ჩვევა-გემოვნება სწავლებით არ იფარგლება, დროთა განმავლობაში იგი მთელ სულიერ სამყაროში მოიკიდებს ფეხს, ნებისთ თუ უნებლიეთ ბევრ სხვასაც გადაედება. რა სჯობს იოლ ფონს?! შეფარვით იერცობა ზერელე და, მამასადამე, უპასუხისმგებლობის მსუბუქი ატმოსფერო, ყალიბდება ნიადაგის ისეთი სტრუქტურა, რომელიც უხვად ნამოზრდის ჭინჭარს, სარეველა-სანაგვე და შხამიან ბალახს.

გავიხენოთ საქ. კომპარტიის ცეკას პლენუმის მასალები, საჯარო გადმოცემისა და პრესის მხილებანი, სასამართლოს ქრონიკა, დამნაშავეთა ვინაობა და დანაშაულებათა ხასიათი, ყოველდღიურად საგრძნობი საზოგადო და პირადი ყოფიერების ჩრდილოვანი მხარეები და ა. შ.

თქმა არ უნდა, ყოველივე ამას თავისი კომპლექსური მიზეზები გააჩნია, და მათ შორის უკანასკნელი ადგილი არ უკავია აგერაგერ გადატანილ დიდ ომს, როდესაც საზოგადოების ძალ-ლონე ირაზმებოდა სამერმისო ამოცანების ხარჯზე ომის გადაუდებელ საჭიროებათა ირგვლივ, სწორედ ამ მერმისის შენარჩუნებისათვის.

მაგრამ ამის დადგენა და მიზეზთა მიზეზის ძიება შორს ნაგვიყვანდა. ფაქტია, რომ მიზეზთა კომპლექსში ერთ-ერთი ძირითადთაგანი სწავლების სწორედ ამ სახის აბუჩად აგდების შემოჩვეული ჭირი ყოფილა.

პატივცემული ავტორები ცოდნის უკმარობას რუსული ენის მასწავლებელსაც საყვედურობენ (ასეთი კადრების % საგანგაშო რომ არ იყოს, ალბათ, არც მოიხსენიებდნენ). რუსული ენის დარგები რუსული წყაროებით სავსებით უზრუნველყოფილია,

მაშასადამე, „კონსპექტური სწავლების“ მაიძულებელ მიზეზად წყაროების უქონლობა არ გამოდგება. მაშ, რამ განაპირობა „ერთობ შეზღუდული ცოდნის“ დიპლომი? ხომ არ შეიძლება რუსული წყაროების აუთენტიკულობა რუსული ენის არცოდნით ეპატიოს დიპლომანტს?! მაშინ გამოვა, რომ რუსული ენის არცოდნის გამო სტუდენტმა რუსული წყაროები ვერ აითვისა იმიტომ, რომ რუსული წყაროების აუთენტიკულობის გამო რუსული ენა ვერ შეისწავლა. ასეთი რამ ბავშვობაში გაგონილი ხუცესისა და მისი ძაღლის გაუთავებელ სიმღერას მომაგონებს. თუ აბიტურიენტმა რუსული ენის დარგი აირჩია, უნდა შეესწავლა კიდევ, რომ არმცოდნე მცოდნე გამხდარიყო, სხვა შემთხვევაში კი მას პედაგოგის უფლებები არ უნდა მინიჭებოდა. სხვა სახის მსჯელობა აქ სრულიად გამორიცხულია.

პატივცემული ავტორები იმ ფრიად საჩოთირო მოვლენასაც აღნიშნავენ, რომ რუსულის უხეირო ჩარევით ქართული მეცნიერების შემაზრზენი დამახინჯება ხდება და პირიქით. მათი სამართლიანი დასკვნით, ასეთმა მოუბარმა ხეირიანად არც რუსული იცის და არც ქართული. ქართული ენის სწავლებას რუსული წყაროები არ უნდა სჭირდებოდეს. მაშასადამე, „კონსპექტური სწავლების“ მაიძულებელ მიზეზად ენის უცოდინარობით წყაროების აუთენტიკულობას ვერც აქ მოიხსენიებ. იქმნება ჯადოსნური ნრე. გაურკვეველი რჩება, რა რის შედეგია: რუსული ენის უცოდინარობა აპირობებს „კონსპექტურ სწავლებას“, თუ პირიქით, „კონსპექტური სწავლება“ რუსულის უცოდინარობას.

პატივცემული ავტორების მიერ საკითხის დასმა და მისი გადაჭრა, ბევრი რომ არ ვთქვათ, მეტად უცნაურად გამოიყურება: საქართველოში ქართული უმაღლესი სასწავლებლების ქართული განხრის ფაქულტეტები, რომელნიც ქართველ ახალგაზრდობას ამზადებენ, ძირითადად საქართველოშივე გამოყენება-მომსახურებისათვის ქართული წყაროებით უზრუნველყოფილი არ არის. მაშასადამე... აქ კი სრულიად საოცარი დასკვნაა გაკეთებული გავაძლიეროთ რუსული ენის სწავლება, რომ რუსული წყაროები ავითვისოთ. გამოდის, რომ ქართულ ენაზე სწავლება რაღაც ფაქტალური, გარდაუვალი აუცილებლობით სწორედ რუსული წყაროებით უნდა ხდებოდეს.

შეშვლად და ლოგიკური თანმიმდევრობით საკითხის დასმა და გადაჭრა სწორედ ასე გამოიყურება. თუ რამდენად აბსურდულია იგი და ოდიოზური, ვფიქრობ, არავისათვის მტკიცებას არ საჭიროებს და, რა თქმა უნდა, პატივცემული ავტორებისთვისაც.

ქართველი ხალხი „ერთობ შეზღუდულ ცოდნას“ თუ იკმარება და, სწავლა-გამოცდილებას აბუჩად აიგდებდა, ჯორჯიენ, გიორგენის საპატიო სახელწოდებასაც ვერ დაიმკვიდრებდა, პურისა და ლენინის საიდუმლოებას ვერ მიაგნებდა, ხერთვისს და სვეტიცხოველს ვერ ააგებდა, შეკრულ სამაჰმადიანო აღმოსავლეთის ლაშქარს ბასიანში ვერ დაამარცხებდა, რუსთაველსა და სხვა უდავო თუ სადავო დიდი სახელის შვილებს მსოფლიოს ვერ გაუზიარებდა და ა.შ.

ისტორიული ძნელბედობის მიუხედავად ამ ციციქნა ერის ნი-ალში არასოდეს შეწყვეტილა შემოქმედებითი ენერჯის აკუმულირება და მისი დულილი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ჩვენ თამამად ვიტყვით, რომ ვართ ერი შემოქმედი, ერი მშენებელი, ერი სიკეთის მთესველი, სამხედრო სასწაულების მომნიჭებელი, მხნე და სიცოცხლისუნარიანი. მაშ, დღეს კი რა გვემართება?!

დიახ, მტერი შემოგვეპარა, მუსრს გვაველებს, განადგურებით გვემუქრება... მსგავსი ვერაგი და საშიში მტერი კაცობრიობას არა ჰყავს, არ ჰყოლია, არც ეყოლება. მას უფიცობა-უნიგნურობა ჰქვია და ნუთუ ძალა არ გვერჩის ძველებურად, დიდგორულად „არა!“ ვუთხრათ მის მძვინვარე თარემს?!

ასპინძის ბრძოლაში ერეკლე II 3000 მეომრით 60 000 ლეკ-ოს-მალოს ლაშქარი წელში განყვიტა. ასეთი სასწაულები ჩვენს წარსულში არა ერთი და ორია, დღეს კი ერის განკარგულებაში აკადემიის სისტემის 41 სამეცნიერო-კვლევითი დანესებულების ციხესიმაგრეა და 19300 მეცნიერ-მუშაკთა რეგულარული არმია.

მრავლისა და მრავლის გაკეთება შეიძლება. ასე, მაგალითად, თითოეულ კვლევით ინსტიტუტში ჩამოყალიბდეს განყოფილება, რომელსაც დაევალება მაპროფილებელ დისციპლინებში რუსული-დან და დამატებით სხვა უცხო ენებიდან ქართულზე საჭირო ლიტერატურის თარგმნა, პარალელურად გამოიყოს ჯგუფი, რომელიც აგრეთვე კოლექტიურად დაამუშავებს კომპილაციურ, ან სრულიად ორიგინალურ წყაროებს ქართულ ენაზე. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ლექსიკოგრაფიული საქმიანობის დაგეგმვა, ტექნიკური ლექსიკონების შედგენა და მათი სისტემატური შევსება.

ნუ ვიტყვით, რომ აღნიშნული სამი მიმართულებით კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის გაფართოება მათ პროფილს არ შეეფერება. სპეციალიზირებულ კვლევით ინსტიტუტებზე უკეთესად ამ საქმეს ვერავინ გააკეთებს. ორში ერთი ან სწავლება წყაროების მიხედვით რუსულ ენაზე გადავიყვანოთ, ანდა უახლოეს დროში ქართულ ენაზე სწავლება ქართული წყაროებით ვუზრუნველვყოთ.

„ტენციუმ ნონ დატურ“.

სერიოზული მსჯელობა სწავლების დონის ამალღებაზე, მომ-
ახოვნელობის გაზრდაზე, მეცნიერებათა დარგების და მათ შორის
ქართული და რუსული ენების დაუფლებაზე შესაძლებელი იქნება
ჰხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა დასამუშავებელი წყაროებისა
და სწავლების ენობრივი სხვაობა.

ზემოთ ნათქვამი მიახლოებითი და მოკრძალებული
ვარაუდებია. თუ რა სახით და რა სახსრებით მოხდება ამ გადაუდე-
ბელი ამოცანის განხორციელება, ამას საქმიანად და ავტორიტეტ-
ულად გადანყვეტენ კომპენტეტური ორგანოები და სწავლულთა
ფორუმები, რომელთაც ახალგაზრდობის და, მაშასადამე, ჩვენი
ქვეყნის მომავლის წარმართვა ევალება.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი რესპუბლიკის
წარმატებანი არცთუ დიდად მიგვანიშნებს „შეზღუდული ცოდნის“
დიპლომებზე, მაგრამ შეშფოთება-დაფიქრების მიზეზი საეცებით
რეალურია. ნება მიბოძეთ, მადლობა მოვახსენო პატივცემულ ავ-
ტორებს ხალხის სამსჯავროზე ეგზომ საქარბოროტო საკითხის
გამოტანისათვის.

1973 წელი, 25 მარტი.

თემო ჯაფარიძის მხატვრული გამოფენის გამო

საექსპოზიციო დარბაზში შესვლისთანავე თვალში გეცემა
თემო ჯაფარიძის შემოქმედების ჭარბი სიუხვე. აიღებ კატალოგს
ხელში და ორ-ნახევარი წლის ნაღვანი გაგაკვირვებს: ორასი მხატ-
ვრული ნამუშევარი!

როგორ მოასწრო ახალგაზრდა მხატვარმა სრულიად განსხ-
ვავებულ, ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართულმა ამდენი თაფლის
დაგროვება?!

აღბათ, ესეც შემოქმედების იღუმალი პროცესების ამოუხს-
ნელი ამოცანაა, თუმცა გამოფენა, ვგონებ, მონოდებულია, რომ
განციფრების ყველა საფეხური გადაგატაროს.

გადასცილდები თუ არა დარბაზის ზღურბლს, მყისვე მონ-
ყდები გარე ქვეყანას, თითქოს ვილაცამ კარ-ფანჯარა დაგიხურა
და შავი ფარდა ჩამოაფარა. აღარ გესმის ჩვეული ცხოვრების მჩ-
ქეფარე ხმები, მიღმა დარჩენილა ქუჩების შფოთი: აღარც სიცილი,
აღარც ღიმილი და აღარც ცრემლი ცხოვრებისეულად უბრალო
და გასაგები. სიცოცხლის დინამიკური ფეთქვა შეწყვეტილია: თუ
სიყვარული და ყვავილები, თუ ვაჟკაცობა ან დამარცხება, თუ სიყ-

ეთე ან ბოროტება... გამქრალია ჩვეული რიტმი ჩვეული დღეების. ნუ ეძებ მშობლიურ ჰანგებს, სამყაროს მრავალნაირად აფერადებულს, უხვსა და მდიდარს, შენი ქვეყნის მკრთალ ანარეკლსაც ვერ დაინახავ.

ნაცვლად ამისა: უსახო სახეების მჭევრმეტყველება, უთვლო თვალების საოცარი ზემოქმედება, აზრისი, რომელიც გაფრთხობს და მაინც გიპყრობს; დეფორმირებული კონტურების, სიბრტყეების, ფიგურების უცნაური ძალის ექსპრესია... და ეს ყოველივე როგორც ღალადი... როგორც განგაში, შორეული სიღრმეებიდან ყრუდ ნამოსული...

და ფერები!..

ტილოებში საგნობრივად განივთებული საღებავების შეგრძნება თითქმის რომ დაკარგულია. ეს სურათების გამოსხივებაა, ფერთა სინათლის ციმციმი, რომლითაც ირგვლივ გაჟღენთილია ჰაერი, როგორც იუღინთება იგი ყვავილების უცხო სურნელით, მუსიკის მქროლავი ბგერებით.

ფერწერის დომინირებული უპირატესობით აქ ფერი არ ხლერს ყურადღებას და თავისკენ არ მიიტაცებს. ჰაეროვანი შუქ-სინათლენი გარს შემოგერტყმის, მსუბუქად სევდის ნისლებში გაგახვევს, რბილად და ფრთხილად გულისყურს გიკრეფს, ფიქრის შესატყვის განწყობას გიქმნის.

თუ ხელოვნებას ძალუძს აზროვნების ფერებით გადმოცემა, თემო ჯაფარიძეს ეს შესძლება. დე, მეპატიოს უცხო სიტყვა, სათანადო ვერ გამოვნახე, ეს მედიტაციის ფერებია, თვით ამ პროცესის საოცარი ათინათება, რომლის ზეგავლენას, არ შევცდები, თუ ვიტყვი, ყველა აქ მოსული განიცდის.

მინდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ თავისებურების მიუხედავად, გამოფენა ნატურის დამახინჯების შეგრძნებას არ იძლევა, არ გალიზიანებს ბუნების ტლანქი შებლაღვით, ულტრა-ულტრა ორიგინალობით, თავმომწონე რებუს-რებუსებით, რომელიც მიზნად ისახავს ბლოკირებას და „ბურჟუას ეპატირებას“, როგორც ფრანგები ამბობენ ხოლმე.

აქ ყველაფერი გათბობს სილამაზის ფაქიზი ემოციით, გვალერსება მშვენიერების გრაციოზული სიფაფუკით, მწყაზარი, ნარნარი ჰარმონიულობით ანელებს და აყურებს გამოფენის მძაფრ აღელვებას.

უაღრესად სათუთი ესთეტიკური სიამოვნება, რომელსაც აქ მხატვრობა განიჭებს, თემო ჯაფარიძის არარეალისტური ხელოვნების საიდუმლოებას წარმოადგენს (შენიშვნა: რეალისტი

არც პიკასო ყოფილა, მაგრამ მისი მხატვრობის ქმედითი ძალის რეალობაში, ვგონებ, არავინ დაეჭვებულა).

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ თემო ჯაფარიძის შემოქმედება მრავალპლანიანობით არ განირჩევა, პირიქით, გაღარიბებული, ნაძალადევად გაღარიბებული თემატიკის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს, მაგრამ მონოლითური მთლიანობა მისი ძირითადი ნიშანთვისებაა. ტილოების ზედმინეწით ორგანული ერთიანობა გამსჭვალულია, უფრო მეტიც, შებოჭილ-შეპყრობილია, ერთი ფიქრით, ერთი ჭმუნვით და თითქოს ერთი სუნთქვითაა დანერილი.

ფილოსოფიური აზროვნება ტილოებში და ტილოებით, რომლის ტრადიციას საქართველოში დიდი ხანია ფეხი აქვს მოკიდებული და, რომელმაც ასეთი ბრწყინვალე გამოხატულება შპოვა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში, აქ უკიდურესობამდე არის დაყვანილი. ამას, ალბათ, ახალგაზრდული ექსტრემიზმი განაპირობებს, მნიფობის „შტურმუნდდრანგი“ გადაფასების, ნეგაციის და მიღების მწვავედ აფორიაქებული სულისკვეთება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ასაკობრივი ფსიქოლოგიის კანონზომიერება, თუმცა, ვიმეორებ, ახალგაზრდობაზე შემასწორებელი კოეფიციენტის გარეშე გამოფენის სრული გაგება-გააზრება გაძნელებული იქნება.

ასეა თუ ისე, შემოქმედების მონოლითური ერთიანობა აქ შემოქმედის მონოლითური ერთიანობაა. ასექტურად განდგომია იგი ბუნებისა და ცხოვრების მრავალფეროვან სახიერებას, მხატვრისათვის ეგზომ მომხიბლავს და შემაცდუნებელს. მას არ იზიდავს ჩვენი სამყაროს თვალ-მარგალიტი, არც ვარამი და არც სიხარული, არც ეროვნული რაობის წვდომა, ასე წარმტაცი ქართველისათვის.

მხატვრის სული და გული, მისი ღრმად ემოციური აზროვნება თავიდან ბოლომდე მხოლოდ ერთი განცდით არის შეძრული. ზღაპრის ჯადოსნურ კლდესავით აღმართულა კითხვის ნიშანი მისი შინაგანი ხილვის წინაშე და, ასე მგონია, არ დაიჯერებს გაჩირაღდებულ ქვეყნიერებას, ამ კლდის იქით რომ გადაშლილა, ვიდრე ზღუდე არ გაირღვევა, ვიდრე ამ საკითხს თვით არ გადაჭრის.

მარადიულად საჭირობოროტო, ყველა დროის ჰუმანისტების დიდი ტანჯვა და დიდი ძიება, დღეს ეს საკითხი ჩვენი ეპოქის ზოგადსაკაცობრიო ტრაგედიის უმძიმეს და უმძაფრეს დედასაკითხად გადაქცეულა: სად არის ქვეყნის მეუფე?! ბუნების დიადი გვირგვინოსანი, მძლეთამძლე ადამიანი?! სად არის, სადა?! რად ატუზულა იგი უმწეოდ, გაძვალტყავებული მათხოვარივით დამცირებული იმ ქვეყნიერების კარიბჭესთან, რომლის სიმდიდრე მის გენიას

ნარმოუქმნია?! რამ დაამარცხა ადამიანი?! რად განრთხმულა იგი ბედშავი ძალის წინაშე, რომელიც მასვე გამოუხმია?!

მთელი გამოფენა ამ საკითხს უტრიალებს. შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ მიუჩინებელი ამოჩემება არის მხოლოდ ეპიგონობა, დასავლეთის ნალელიანი რემინისცენციების გამოძახილი, მიმბაძველობა, მოდური გატაცება, რასაც ხშირად ახალგაზრდული კეკლუცობის ელფერი დაჰკრავს ხოლმე... მაგრამ საკმარისია შევხედოთ უდიდესი გულწრფელობითა და აღელვებით დანერილ პორტრეტს ჭაბუკისა, მწარე ფიქრებით რომ გათანგულა და მყისვე უკუაგდებთ ამ მოსაზრებას. ეს პორტრეტი თითქოს ხელოვნებაც კი აღარ არის, გულის ამონაკენესია, რომელსაც ნალველი ასე უზომო მოზღვავეებით თან ამოუტანია.

არა, ინფლაციის სუნი აქ არ ტრიალებს. გამოფენის მორალური ფასეულობა უზრუნველყოფილია მხატვრის სულიერი ავლადიდებით, მისი ბაჯალლო ფიქრითა და ბაჯალლო გრძნობით.

ლირიკული გადახვევის გაჭიანურებად თუ არ ჩამეთვლება, მინდა მოგითხროთ, რომ გამოფენის დათვალეირების დროს (შესაძლოა სხვა ყლერადობის) გოეთეს „ფაუსტის“ პირველი სცენის ერთი სურათი ამეკვიცა: ზვიადი სასონარკვეთით აღტყინებული ფაუსტი უხმობს დედამინის სულს, რომ პასუხი სთხოვოს, გაარკვიოს არსობის აზრი, რომ გამონახოს თავისი მეობის შეფარდებანი, თავისი ადგილი ბუნების დიად ნყობაში...

შეტორტმანდება ქვესკენელ-ზესკენელი და იდუმალი სული დედამინისა გამოცხადდება ძეკაცის კადნიერებით განრისხებული, მაგრამ ვერ უძლებს ადამიანი ღვთაების ძალმოსილების უსაზღვროებას. შავი მაგიის ჯადოქარს ამარცხებს ხილვა ღმერთისა. იგი უმნეოდ ძირს დაეცემა, განირთხმება ძალის წინაშე, რომელიც თვითონ გამოიწვია.

ასე მგონია, გამოფენის მხატვრული შიფრის გასაღებს ამ სურათმა მიმაგნებინა.

აქ თითოეული ტილო ადამიანის უმნეობას, მიუსაფრის უნუგეშობას, მის შინაგან დაუცველობას მოგვითხრობს. ყველა ტილოში დაბორკილი სულის გამოუთქმელი სევედაა გამოსახული.

აგერ, ადამიანები შეჯგუფულან, მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს, მაგრამ სად არის ერთობის გრძნობა, ყველას რომ დენივით უვლის, ყველას რომ შეკრავს და მედგარი მხნეობის მესამე ძალას წარმოშობს, ათჯერ უმეტესს მათი უბრალო ჯამისა?! უხილაემა „რაღაცამ“ ჯგუფი დამარცვლა უსუსურ ერთეულებად და მხოლოობის, საკუთარი ხვედრის წინაშე მარტოდ დარჩენის დალი

დაასვა...

ან სამეული: უდაბურ, ცარიელ სივრცეებში, როგორც არარაობის პირას, გზა აღკვეთილი და დაკარგული. არსად ისმის ძახილი ძმისა... აქ პანორამას ბიბლიურ სიდიადემდე მიულწევია.

ანდა, ამ ქალის სახე, ცას რომ შესცქერის და უსიტყვოდ იმას მიიღებს, რასაც უმზადებს ზეცა. არ ამბობდება გული, რადგან ამბობი ამაოა. ასე არ იყო განა გუშინ?! შენს ბედს განაგებს სხვა რაღაც ძალა და იგი შენთვის უძლევია...

ან ეს ოჯახი გაძარცვული, გაძვალტყავებული მათხოვრებისა, საქონელივით მორჩილი, განწირულების სევდით აღსავსე, ხელიც უმწეოდ ბავშვის გულ-მკერდზე განსვენებულია...

ანდა, დედა ბავშვით: ბალლი კრავივით უცოდველი, ბალლი კრავივით შეწირული, ბალლი ჯვარცმული იესო...

მაშ, ფეხის თითოეულ გადადგმაზე შვილი ჯვარცმული?! როგორ გაუძლებ ამას, როდესაც ოცმა საუკუნემ ვერ გაანელა იმ ერთი დედის ცრემლის მდულარება?!

ყველა კედლიდან, ყველა ტილოდან გიმზერს იგივე „გალახული“, თავისი უძლურებით დამარცხებული, ფეხქვეშ გათელილი, უზომოდ დაუცველი ადამიანი, მაგრამ არამც და არამც დავრდომილი, არც ხეიბარი.

განა ფაუსტის იმ ნუთიერი უმწეობის გამრავლებულ ანაბეჭდად არ გეხატებათ ეს სურათები?! და განა სწორედ იმ ნუთებში არ ვლინდება ფაუსტის დიდი ადამიანობა, რომელიც გაივლის, გაუძლებს მეფისტოფელის ქარცეცხლს და უფსკრულებსაც, რომელიც ატბორებულ კუნძულს მიაგნებს, შემოქმედების სიხარულით და სიყვარულის ბედნიერებით გაანათებს იქაურობას!

მე არ ვიცი და, შესაძლებელია, არც თემო ჯაფარიძემ იცის, როდის და როგორ მიიღო მან იმ პირველადი შთაბეჭდილების საბედისწერო ელდა, რომელიც ქვაკუთხედად დაედება ხოლმე სულიერ ზრდა-განვითარებას და, რომელმაც, ჯერჯერობით ვთქვათ ასე, მასში ადამიანის უკმარობის კომპლექსი განაპირობა.

მაგრამ განა ეს საკითხავია? ჯერ არ ნაშლილა ფაშიზმის მოლანდებანი, იავარქმნილი ადამიანის უბედურება, კელავაც მოგვესმის გამარჯვების მძლავრი გუგუნნი და...ამ გუგუნში შავბედილად შეჭრილი საყვირის ხმა, საგანგაშოდ ანივლებული: კაცობრიობის, ადამიანის, ადამიანობის სასტიკი დამარცხებისა ხიროსიმა და ნაგასაკი!!!

ომის შემდგომი თაობა ამ შოკისაგან ადვილად ვერ განთავისუფლდება. გადატანილი ტრაგედიები, მეტ-ნაკლებად მთელს

მსოფლიოს შეეხო, მეტ-ნაკლებად თითოეულში და ყველაში გამოიწვია რეზონანსი. აქედან ხვალინდელი დღეც, როდესაც იცი და არ იცი, რომ ვილაცის და რალაცის სიგიჟე ცივილიზაციის, კაცობრიობის ბედისწერად მოგვევლინება.

ყოველივე ამით არის დამძიმებული დღეს ჰაერი და, გინდა არ გინდა, დამოუკიდებელ ძალთა რეალური ვითარებისა, იგი უშუალო ზეგავლენას ახდენს და თრგუნავს ადამიანის ფსიქიკას.

ასე შეიძლება დაიხატოს ომის შემდგომი, ატომის დროის ადამიანის სულისკვეთება. ეს განსაზღვრა გავულგარებისა და გაპრიმიტივებისაგან თავისუფალი არ არის, მაგრამ პირობითია, კრებადი და საკმარისად ვრცეული. იგი ითავსებს ჩვენი დროის ბნელი ძალების აღრევას, ამ აღრევის სიმძაფრეს, მასშტაბურობას და მასთან შეპირისპირებული ადამიანის, უფრო სწორედ, ადამიანურობის უმწეობას, უძლურს იმით, რომ იგი ვერ მიიღებს დაუზოგავ და განურჩეველ საშუალებათა თანაბარფასიანობის პრინციპს.

სადაც არ უნდა იყოს და ვინც არ უნდა იყოს, შემოაცალეთ მას ჩვენი დროის და საქმის ზინზილაკები და თქვენ წინაშე გამოივლდება დათრგუნული, უმწეო ადამიანი, შეცბუნებული საშინელებით, რომელსაც დასაბამი მან თვითონ მისცა.

ასეთია თემო ჯაფარიძის ადამიანი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ზერელე შეხედვით, რადგან აქ იწყება შემოქმედების ალქიმიის კიდევ ერთი უცნაურობა: თქვენ არ იცით, როდის და როგორ, მაგრამ თქვენსა და მხატვარს შორის საოცარი კონტაქტი დამყარებულია. თურმე თქვენ ენდობით მას, გჯერათ მისი, უზომოდ გჯერათ.

დააკვირდით ამ სახეებს, როგორი უსაზღვრო სიკეთე, გონიერი, უაღრესად გონიერი სათნობა, ნატიფი ადამიანობის, მაღალი კეთილშობილების უძლევი სინათლეა თითოეულში. ადამიანის შინაგანი მშვენიერების ასეთი ნვდომა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ნამდვილად უყვარს და ესმის ადამიანი, ვისაც მთელი არსებით სჯერა, რომ ადამიანობა დაუთრგუნავი ძალაა და მას ვერაფერი დაამარცხებს.

აქ აღმოუფხვრელი და უშრეტი სილაყვარდის საკუთარი ატმოსფეროა შექმნილი. შექსპირის სამოცდამეექვსე სონეტის სასონარკვეთას, მიქელანჯელოს სულისშემხუთავ გმინვას, სევდიანი მიღების პესიმიზმს თითქოს აქ ყველა სურათი ეხმაურება და იგივე სურათები თავისი სინათლით და სილაყვარდით უკუაგდებენ და აცამტკვერებენ ამ სულისკვეთებას.

არ შემიძლია ელემენტებად დავშალო ეს უხილავი ნაკადი, არ

ვიცი, საიდან მოდის იგი და არ ვიცი, რომელი ლოკატორები იღებენ მას ასეთი ადეკვატური სიზუსტით... მუსიკასა და ადამიანის ქვეფსიქიურ არეს შორის უხილავი სიმებია გაბმული. ჩვენ არ ვიცით და არც არასოდეს გვეცოდინება, როგორ იქმნება ორის შეხვედრისა და შერწყმის მესამედობის ქიმია.

საგულისხმოა, რომ თემო ჯაფარიძეს ორგანულად არ შეუძლია ბოროტების, სიმახინჯის, გროტესკის ასახვა. ეს ყოველივე შემოქმედების მიღმა არის დატოვებული. გულდაგულ დაივლი დარბაზს და არც ერთი მახინჯი სახე! დორიან გრეის კარჩაკეტილი პორტრეტი აქ არსად არის. მას ადამიანის ბოროტების ხრწნილი არ ეკარება.

ჩაფიქრებული „მწლიარე ქალის“ (ისევე როგორც „მჯდომარე ქალის“) ფიგურა, ჭმუნვა-დარდით მოქუფრული, მაინც შინაგან სინათლეს ასხივებს და მშვიდია იმ კამკამა, წყნარი სიმშვიდით, რომელიც მხოლოდ სიმართლის რწმენას თან ახლავს.

ნდობით აღსავსე თვალებით, თავისი შინაგანი დაჯერებით გოცებულნი გიმზერენ „გალახულები“. მათ არ იციან ნადირის შიში, აი, ის შიში, აკანკანებული ეშვებით რომ ემზადება ნახტომისათვის.

შეიძლება წინამორბედი არიან? განა შორსაა ის დრო, როდესაც კაცობრიობა იუცხოებს და ზიზლით შეხედავს გალახვის, გაჩანაგების, შებლაღვის, კაციჭამიობასა და სხვა დღევანდელ სიბილწეს, როგორც დღეს უცხოობს და ზიზლს გამოთქვამს თავისი პრეისტორიის კანიბალიზმის მიმართ?!

არც გულისწყრომა, არც ნუნუნი, არც სამდურავი ოჯახის მამის საოცრად ნათელ სახეში. ალბათ, ასე შესვამდა ციკუტას ის დიდი ბრძენი... შესაძლოა, შედარება ზომიერების გრძნობას მოკლებულია, მაგრამ არის რალაცა, რაც თანასწორობის ნიშანს დაუსვამს დიდს და პატარას.

კონტრასტული ასოციაციით ვიგონებ ფრანც კაფკას. ბოროტების შემადრწუნებელი ფერიების მიღმა დიდი ჰუმანისტის გულისტივილი და გულისწყრომა კედელს ასკდება, მაგრამ სიმახინჯე ასეთი იუველირული სიზუსტით ასახული, თითქოს თვითონაც ბოროტებით არის ვნებული, გზარავს და სიკეთის რწმენას ძირს უთხრის, რომლის გარეშე აღარც სიყვარულია, აღარც შემოქმედება, აღარც ჯვარი და აღარც ხერთვისი.

შესაძლოა მამხილებელი იელოვასავით დაუნდობელი და მრისხანე უნდა იყოს, შესაძლოა ისიც, რომ ადამიანებს უყვართ, როდესაც თავზე ხელს გადაუსვამ და სისუსტეში თანაუგრძნობ, შესაძლოა ისიც, რომ სწორედ აქ არის კაფკასეული სულიერი

უსინათლობისა და სულიერი პარაზიტოზის შხამიანი ძირები (აქ ჯალათობამდე ერთი ნაბიჯია). მე ამ საკითხის გარჩევას აქ არ შევეუდგები, მაგრამ დედის სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა, რომელსაც თავისი შობილის დიდი პატიების დიდი გაგება ასაზრდოებს, ზოგჯერ უტყუარი ეტალონია ჩვენი დროის ურთულესი მორალური პრობლემების გადანწყვეტაში.

მაგრამ, იქნებ ასეთი გაგება ბეკეკას გულუბრყვილო კიკინია... მგლების ხროვაში... ან დიდსულოვნების ძალიან მაღალი მწვერვალი, რომლის დალაშქერა კაცობრიობას ჯერ კიდევ წინ უდევს, ანდა ერთიც და მეორეც ერთად...

და კიდევ: შესაძლოა, ამაშია ჩვენი ეროვნული გამძლეობის, ჩვენი ზნეობრივი კულტურის აღმოუფხვრელი საფუძვლები, სასწაულებრივ გადარჩენილი და დღემდე ნირშეუცვლელად მოტანილი... ნუ ჩაეფელობით, როგორც იტყვიან, კონიუნქტურულ, წარმავალ წვრილმანებში. არის უახლოესი თარიღები, არის ეროვნული სულის ხვაშიადები... ჩვენს ისტორიაში ახალგაზრდობას ოქროს ფურცელი ჩაუნერია და მათ წინაშე მონინებით თავი დავებართო.

დიახ, თემო ჯაფარიძის ადამიანი მიუნვდომელი დარჩენილა ბოროტებისათვის. თითოეული პორტრეტის სახეს შეუბღალავი ღირსებისა და სიკეთის შარავანდედი მოსავს. კეთილი გონიერება და გონიერი სიკეთე ადამიანის ხელშეუხები ატრიბუტია, დაუძლეველი, დიადი ძალა მარადისობისა.

ასეთია ცნობიერი და ქვეცნობიერი ნანამძღვრები თემო ჯაფარიძის შემოქმედებისა, ასეთია ნათელი ქვეტექსტი მისი სურათების გამოფენისა. სხვაგვარად არც იქნებოდა. თემო ჯაფარიძე ალიზარდა, მომნიფდა და ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყნის ატმოსფეროში. არ შეეცდები, თუ დავუმატებ, რომ სწორედ ამითაა თემო ჯაფარიძე ჩვენი უალრესად ეროვნული მხატვარი.

უნებურად კვლავ შეჩერდები თავდახრილი ახალგაზრდის წინ. გულისტკივილით შესცქერი მწუხარე ფიქრებში გაძაგრულ ჭაბუკს. ძლიერია ამ პორტრეტის ცოცხალი მეტყველება, მისი უკუქცეული სხივი თითოეულ სურათს თან ახლავს: აქეთ-იქით სიმწრით გაშლილი ხელები, მტევნები მუჭებად შეკრული, თითქოს ხელებიც ფიქრს დაუმუხტავს. დალილი თავი მაგიდაზე მძიმედ, მოკვეთით დაგდებულა, სახეც ჩაუმალავს, ქვეყანას თვალს არ უსწორებს. სასონარკვეთას, სევდას და ბოლმას გამოუტყვიფრავს თითოეული ნაკვთი და ხაზი... ამოკუნთული ბეჭები, ფესვებივით მისწრაფებულად ამოზიდული, როგორც ძირები... სადაც ადამიანის გენიის ფრთები იზრდება...

ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის უღრმეს მადლობას ვწირავ თემო ჯაფარიძეს.

უსურვებ ახალგაზრდა მხატვარს ძიების, მიგნებისა და გამარჯვების ფართო შარაგზას. დედური დალოცვით მინდა თან გავატანო ჩემი რწმენა, რომ ეს სწორედ ასე იქნება.

1968 წელი, დედაქალაქი.

პირველი თოვლი

ცუდიცუნები

მე ვცხოვრობ ორსართულიან, არცთუ ისე დიდ სახლში. ჩემი მეზობლები დაოჯახებული ხალხია. მხოლოდ მე ვარ მარტოხელა შეზიზნული ქვედა სართულის უღიმღამო, მოგრძო კოლოფის-მაგვარ ოთახში. სახლის ბინადართაგან ცოტა ვინმეს ვიცნობ. „ბაი-ყუშია!“ ასე ამბობენ ისინი ჩემზე. მხოლოდ მოხუცმა კელლემ იცის შემოვლა ჩემთან. მეზობლებს ემდურის, მათ მოუსვენარი, მტირალა შვილები ჰყავთ: ცუდიცუნები* ასე უწოდებს ლიტველი მანდილოსანი ამ შფოთიან ბავშვებს. ხშირად ვისმენ პანანინების ქოთქოტს და ჩუმად სოლიდარობას ვუცხადებ მათ. ისინი ჩემი თანაზიარი არიან, ჩემი ბედისა და თვისებისა. მეც ცუდიცუნი ვარ: დიდი, ბებერი ცუდიცუნი... როდესაც სახლის პატარა ბინადარნი ტირილით იკლებენ იქაურობას და ანუხებენ მოხუც კელლეს, მე გაგულისებული დავდივარ ჩემს გალიაში და უხმოდ წარმოვთქვამ მქუხარე სიტყვებს მათ წინააღმდეგ, ვინც ასეთი ძლევაგამოსილებით ეუფლება და განაგებს პატარა ადამიანების ბედ-იღბალს. მაგრამ ამის შესახებ არაფერს ვეუბნები ჩემს კეთილ კელლეს. ეს დარბაისელი მანდილოსანი მეგობრულადაა ჩემდამი განწყობილი და სრულიადაც არ იქნება კარგი, შევესიტყვო მას, როდესაც პატარებს კიცხავს და ცუდიცუნებად აცხადებს მათ.

ო, ქალბატონი კელლე ძალიან ჭკვიანი ქალია! ყოველთვის იცის, დერეფანი როდის და ვინ უნდა დაასუფთაოს, ან ქვანახშირი სად უნდა დაეკბინაო და შეიძლება თუ არა, რომ მეც შევიძინო კარტოფილი, როდესაც სახლს მოადგება დიდი ფორანი და მეზობლები

* ქალბატონმა კელლემ, ალბათ, რუსულის მცირე ცოდნის გამო „კლახუნ“ აწარმოვა სიტყვა „კლახოისაგან“. მე კი „ცუდიცუნად“ ვთარგმნე.

ასეთი გაბედულებით სწრაფად აცარიელებენ მას.

არასოდეს ვიცი ჩემი მოვალეობა და მით უმეტეს, არ ვიცი, ხომ არ ეწყინება ვინმეს, თუ ორიოდ კილოგრამი ავიღე ამ ფორანიდან. მოხუცმა კელემ კი ყოველთვის დაბეჯითებით იცის და არასდროს ცდება. მას ყველა უსიტყვოდ უგონებს. ჩემთვის დიდი პატივია სიახლოვე ასეთ ჭკვიან და საიშედო ადამიანთან...

მეშინია ჩემი მეზობლების. მათ ცუდიცუნების მკაცრი განკითხვა იციან. არასოდეს მაპატიებენ, თუ იატაკის რეცხვა ანაზღად გადამავინყდა, ან კიდევ სხვა დანაკისრი. უფროსების დიდი საქმეებით გადატვირთულნი ისინი უბოდიშოდ მიაბიჯებენ და მტკიცედ სჯერათ თავიანთი ურღვევი უფლებებისა. მათ წინაშე ყოველთვის დამნაშავე ვარ და ბრალდებული. მართლაც და, ხომ არ შეიძლება არ იცოდდე, როგორ ეწყობა ნესიერი ადამიანების ცხოვრების ავანჩავანი?!

დღეს სევდიანი ღამეა...

ზევიდან კვლავ დამტირიან პანანინები, ვილაცა ღნავის კედლის იქითაც. ტირის და ღმუის ქარბუქი გარეთ. ბორგავს ბებერი ცუდიცუნიც, შფოთავს, გალიის კედლებს აწყდება, აღვიძებს ავდრიანი ღამის ღმუილი მივიწყებული შორეთის პანგებს. წამოიშალნენ, შემომესივნენ მოგონებანი... იმარცვლებიან, ინასკევიან, არ მცილდებიან... და ამ სულისშემბუთავი ღამის ქვითინში წარმოსდგება, ცოცხლდება ამბავი ბებერი ცუდიცუნისა...

ხუთიანი მინუსით

მაშინ მესამე კლასში ვიყავი. ქართულ ენას გვასწავლიდა საბავშვო მწერალი, ქალბატონი ანა. არავის უწერდა ხუთიანს. ალბათ, ფიქრობდა, რომ ასეთ მაღალ შეფასებას თვით შინაგანი ბუნების გამო არც ერთი ჩვენგანი არ იმსახურებდა (მეტად თავდადებული, ფუქსავატი ახირებებით სცოდავდა მესამე კლასი). სასწაული მაინც მოხდა... ქალბატონმა ანამ მოგვცა თავისუფალი თემა „პირველი თოვლი“ და, რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც ორიოდ დღის შემდეგ მან ხმამაღლა ნაუკითხა კლასს ჩემი „პირველი თოვლი“ და მრავალნაირად გასწორებულ რვეულში ვეებერთელა მინუსით ვეებერთელა ხუთიანი აღმოვაჩინე.

არ ვიცი, რა მოენონა, კარგ ხასიათზე თუ იყო. აი, ქეთინოსთვისაც ოთხიანი დაუნერია, თუმცა მას ხუთიანი ეკუთვნოდა და კიდევ პლუსი. ქეთინო ჩვენ შორის ლიტერატურული ტალანტით იყო განთქმული და მის „პირველ თოვლს“ უდავოდ იდეაც ჰქონდა: იგი პოეტურად გვისურათებდა ზამთრის ადრიანი დილის გაქათქა-

თებულ სილამაზეს და პირველი თოვლის ხელუხლებელ სინმინდეს. მერე მოგვითხრობდა, როგორ გაიღვიძა სოფელმა, როგორ გაიღო სახლის კარები, ბოსლები, სალორეები, საქათმეები, როგორ გამო-ლაგდნენ აქეთ-იქიდან ორფეხ-ოთხფეხნი, გამოეფინენ ხროვა-ხროვად, წალიკ-წალიკად ტვირთიანნი და უტვირთონი, მოცინარე და მოლუშული, დიდი და პატარა და გულცივი სულერთიანობით გათელეს, ნუმპე-ტალახად აქციეს სპეტაკი სინმინდის პირველი თოვლი. აქ იყო იდეა. იქ კი, ჩემს მოთხრობაში, არ ვიცი, რა მოე-წონა?!

გრამატიკასთან უბრად ვიყავი, არც სასვენ ნიშნებს ვწყა-ლობდი, ასოებიც კი მეშლებოდა, სუფთა წერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მეტად უბადრუკად გამოიყურებოდა ჩემი „პირველი თოვლის“ რეეული. ყოველივე ამისათვის ქალბატონმა ანამ ვეე-ბერთელა მინუსი დამინერა, მაგრამ ხუთიანი რაში მივიღე, ეს იყო საკვირველი.

ჩემს წაწერაში სულ მცირე იდეასაც ვერ მიაგნებდი. მოსაწყენად ვყვებოდი სრულიად ჩვეულებრივ ამბავს: დედამ როგორ გამაღვიძა და, ჯერ კიდევ ლოგინში, როგორ გამაოცა მბრწყინავმა სინათლემ. წამოვხტი, ფანჯარასთან მივირბინე, კაშკაშა სხივებში თეთრად გადაპენტილმა არემარემ თვალი მომტაცა. ავწყვილდი, დედას კისერზე ჩამოვეკიდე. დედამ შუბლზე მაკოცა, პირჯვარი გადამ-ნერა: მრავალ ბედნიერ ზამთარს შეგასწროს ღმერთმაო. მადლობა ვუთხარი, ვაკოცე კიდევ, ჩქარ-ჩქარა ჩავიცვი, ჩაისაც ძლივს მოვ-ერიე, თვალები მე და ჩემს დეიდაშვილს კარისაკენ გაგვირბოდა და სწორედ ამ დროს, ბედი არ გინდა, ფრიად სერიოზული მიზეზის გამო ერთმანეთს სასიკვდილოდ გავებუტეთ. გათავდა ბედნიერე-ბა. თოვლი აგერ-აგერ დადნებოდა, თოვლჭყაპში კი ცხვირსაც არ გაგვაყოფინებდნენ. რალაც უნდა გვეღონა, მაგრამ სანამ თავი ჭკუას ძალას ატანდა, ხელი უნებურად გაიოზის ხელს შეეხო. მან გაბრწყინებულმა შემომხედა, მეტიც არ იყო საჭირო. გახარებ-ულებმა ერთმანეთს შეეჭყივლეთ, ხელიხელჩაკიდებულები გარეთ გავევარდით და თოვლობანას მხიარული თამაში გავაჩაღეთ.

არ ვიცი, რისთვის შეიძლებოდა აქ ხუთიანის დაწერა? ღმერ-თისთვის ხომ არა, ბოლოსდაბოლოს?! მაგრამ ქალბატონი ანა მონინავე ქალი იყო და ღმერთის შესახებ არაფერს გვასწავლიდა... კიდევ და კიდევ გადავიკითხე ჩემი „პირველი თოვლი“ და მაინც ვერ მივხვდი, რითი დავიმსახურე ასეთი მაღალი შეფასება. მაგრამ ქალბატონი ანა ჩვენთვის მეტად ძნელად გასაგები არსება იყო. რალაცნაირი კაპრიზები სჩვეოდა, ამოჩემება იცოდა, უმიზეზო ათ-

ვალისწუნება და ასეთივე არცთუ სამართლიანი სიმპათიები.

მე ის არ მყვარებია და მაინც ხუთიანი, ან კიდევ არ ვიცი რა, შინაგანად მძრავდა, მაცბუნებდა და მე, რომელიც ღვარძლიანი ურჩობით, დაუთმობელი სიკერპით გამოვიჩრდი, მის წინაშე ფარულად ვთროდი, უჩვეულო კდმა მეუფლებოდა და რალაციის მოლოდინში მანამდის უცნობი სიმები ჟღერდნენ ჯანყისათვის მარად გამზადებულ ჩემს უკმეხ გულში. ისიც ჩემდამი ამ დროის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას და აღერსს იჩენდა.

ინყებოდა ზაფხულის არდადეგები. ბავშვები მასწავლებლებს ეთხოვებოდნენ. თვალწინ მებატება კაშკაშა, მზიანი დღე და ქალბატონი ანა მხიარულად აჟივჟივებულ მონაფეთა წრეში. ისინი ერთმანეთს არ აცლიან, სხაპასხუპით ეკითხებიან — რა დანერონ, რა წაიკითხონ, რა გააკეთონ არდადეგების განმავლობაში. ქალბატონი ანა უპასუხოდ არავის ტოვებს, ურჩევს, ენაწყლიანობს და ეხუმრება გარშემორტყმულ გოგონებს. იგი ადვილად იმორჩილებდა ბავშვებს, სხარტი იუმორით ხიბლავდა, ხატოვანი სიტყვით, მოხდენილი ყესტით, თუნდაც ხმის მეტყველი ინტონაციით, როცა კარგ გუნებაზე იმყოფებოდა. გუნება კი სწრაფად ცვალებადი ჰქონდა.

მე ვიჯექი ყველასგან შორს. მათკენ არც ვიხედებოდი. მოულოდნელად ქალბატონმა ანამ გაარღვია შეჯგუფული ბავშვების რკალი და ჩემთან მოვიდა:

შენ რას დამინერ, ჩემო პატარავ? — მკითხა მან და აღერსიანად ხელი მომხვია.

მისთვის არ შემიხედავს, თავიც არ ამინევია. ნელა მოვიშორე მისი ხელები. გავცილდი, დაფის იქითა მხარეს ნავედი, ხელები სახეზე ავიფარე და მთლიანად მივენდე უმწეო ბავშვის გულჩათხრობილ სულისკვეთებას.

— რა დაეუშავე, რა ვანყენინე?! გაკვირვებასა და სინანულს გამოთქვამდა შენუხებული მასწავლებელი, მაგრამ მან მალე დატოვა კლასი და მონაფეებიც ჩუმად გააყენენ.

რა დამიშავა? განა შემეძლო ეს მცოდნოდა? ჩაგუბებულმა ქვითინმა გზა ვერსად ნახა. შემეძლო განა ამის ახსნა, როდესაც არც ახლა ძალმიძს ვთქვა, რა ხდებოდა იმ დღეს ჩემს გულში? განა ზღვამ იცის, საიდან მოდის და რად აბრუნებს მას მიმოქცევა?! სად მომენახა სიტყვები, როგორ ამეხსნა, რომ ეს კაშკაშა, ყველასთვის ბედნიერი მზე გაუვალ წყვდიადს მახვევდა... რა ვიცოდი, რადავარ მარტო და რატომ არის ეს სიმარტოვე ასე მხუთავი, ასე მწირი და უდაბური... შემეძლო განა მცოდნოდა, რას განიცდის ტუსა-

ლი დილეგის ყრუ ერთეულში, როდესაც ზევით, შორს ამოჭრილი სარკმელი, ასე უღმერთოდ მიუწვდომელი, რიკულებს შორის სხივს შეაპარებს და უეცრად კედლის ნაცრისფერ ქვაზე ააციალებს?! არა, ამის თქმას ვერ შევძლებდი... ნუ გინდა, ნუ შეიხედავ საკანში, როდესაც ცოცხლებისათვის მზე ბრწყინავს გარეთ და ნუთიერი გასრიალება სხივის სასონარკვეთას ააფეთქებს საკირესავით მიტოვებულ, გადამწვარ გულში.

ვინ იცის, რატომ ღმუის ეზოში ძალღი? უნებურად მეგობრივ-საკენ ნაბიჯს გადადგამ, როდესაც წყნარ და ნათელ ოთახში ველურად შემოიჭრება თავგანწირული გლოვის გოდება. ძალღის გულში ვის ჩაუხედავს? ვის უცვნია მისი ვარამის იდუმალება? რა ეცხადება მას? შეიძლება, აი აგერ, თვალწინ გაუქრა წამი სიცოცხლის ნეტარებისა, რომელიც აღარასოდეს განმეორდება, შესაძლებელია, წინათგრძნობის ფარულმა ბიძგმა მიახალა იგი არყოფნის მიჯნას და ოცნებასავით წარმტაცმა ღამემ სიკვდილის სევდით შეძრა გრძნეული გული...

არა, ვერაფერს გიამბობდით. იდუმალებით არის აღსაესე ადამიანი და უფრო მეტ შეუცნობელ თუ შეცნობად იდუმალებას ზრდის და აღვივებს შეკრული კვირტივით ჯერ გაუშლელი, პატარა გული...

შავი კარადა

მაშინ ხუთი წლისა ვიყავი, შეიძლება ცოტა მეტის, იქნებ ცოტა ნაკლების. ჩვენ ყველასგან განცალკევებით ვცხოვრობდით და არავის ჰქონდა ისეთი კეთილი სახლი და არსად იყო ისე წყნარად, ისე მშვიდად მობიბინე ბედნიერება, როგორც ჩვენს სახლში. ეს ილია ჭაჭავაძის სახლი იყო. დიდი მოძღვრის სული თავისი ფიქრისა და ჭმუნვის საყუდელს კვლავადაც ეფინებოდა. ირგვლივ ყოველივე მისით სუნთქავდა, მისით ჟღერდა, მისით აფრქვევდა შენახულ ნათელს. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მამას სტუმრები ჩვენთან ყოველთვის ამალღებულად განწყობოდნენ, კეთილშობილი გრძნობა-აზრებით იმსჭვალებოდნენ, სასოებით სილამაზის წინაშე თავს დაბლა ხრიდნენ, მხოლოდ სიკეთეს შეჰფოფინებდნენ, მხოლოდ სიმართლეს მოციქულობდნენ და წრფელი გულიდან ამოსულ თქმაში ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის, ადამიანისათვის გზნება-ოცნება ფიცის დადებად ისმოდა.

მე და მაგდას ყველანი გვეფერებოდნენ, გვიღიმოდნენ, ძალიან კეთილი იყვნენ, ალერსიანნი. ხელში ამიყვანდნენ ხოლმე, მაგიდაზე დამაყენებდნენ და იქიდან ილიას ლექსებს ვეუბნებოდი, ჩემი

დედიკო რომ მასწავლიდა. მიყვარდა მაგიდაზე დგომა და ხელების გაშლით ლექსების თქმა. უფრო ძალიან კი, როდესაც დედიკო ამ ლექსებს მასწავლიდა, მომინებოდა, ჩამიხუტებდა, თბილად ვიყავით, ტკბილად და, როცა ერთად ვამბობდით „ქართულის დედაო, ძუძუ ქართველისა“ მე გული მიჩუყდებოდა ჩემი დედიკოც ხომ დედა იყო, მეც დედა ვიყავი ნუცასი, ცუგრასი და კიდევ სხვა თოჯინების. ძალიან საყვარელია, როცა დედა ხარ. მაშინ ყველა გიყვარს, რადგან ყველანი ისეთები არიან, რომ შენ გიხაროდეს და გიხაროდეს.

უფრო გვიან, როდესაც დედა ილიას სახლის აუგს ამბობდა და რალაცის გამო საყვედურობდა, შევიტყვე, რომ ილიას სახლი სულ კეთილი არ ყოფილა და ცუდის გაკეთება მასაც ცოდნია. თურმე, სხვაგან რომ გვეცხოვრა, ყველაფერი შეუმჩნეველი დარჩებოდა, ილიას სახლი კი ნიშანში ყოფილა ამოღებული და იქ ყველაფერს უფრო ადვილად იგებდნენ, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეგოთ. არ ვიცოდი, ვის რა არ უნდა გაეგო, მაგრამ ილიას სახლმა რომ ვილაცას რალაც გააგებინა, რაც მათ არ უნდა გაეგოთ, ეს უკვე ვიცოდი.

ერთხელ ღამით ჩვენთან მოვიდნენ დიდულვაშიანი კაცები. მამას სტუმრებს ისინი არ ჰგავდნენ. დიდულვაშიანმა კაცებმა ილიას სახლი თავიდან ბოლომდე გადააქოთეს და დილაადრიან მამაც სადღაც წაიყვანეს, თუმცა მამას მათთან წასვლა სულაც არ უნდოდა. ეს მაშინ ვიგრძენი, როდესაც მამიკომ სულ სხვანაირად ჩამიკრა გულში, ვინ იცის, კიდევ როდის ჩამიკრავდა და როდის დამიკოცნიდა თვალებსა და ხელებს.

დიდულვაშიანებს საზიზლარი ჟანდარმები ერქვათ. ასე უძახდა მათ დედა. საზიზლარი ჟანდარმები არ შემეყვარდა, რადგან ჩემს სათამაშოებს ხელში იღებდნენ, აქეთ-იქით ატრიალებდნენ და, თუმცა თამაში არავისათვის არ დამიშლია, არც ერთმა მათგანმა ერთხელაც კი არ გამიღიმა.

საზიზლარმა ჟანდარმებმა მოაგროვეს ბევრი ქალაღი, კიდევ ბევრი და ბევრი წიგნი, მერე არც არავისათვის უკითხავთ ისე, თითქოს მათი ყოფილიყოს, შეკრეს და თან წაიღეს. საზიზლარი ჟანდარმები არა მარტო მე, არამედ არავის მოწონებია ჩვენთან. დედაჩემი კატასაც საზიზლარ ფისოს ეძახდა. არც ის ეკითხებოდა ვინმეს, თუ რაიმეს მოიწონებდა, მაშინვე დაიტაცებდა ხოლმე... და მაინც ყველას უყვარდა. დედა ზურგზე ხელს გადაუსვამდა, აი, შეყაჩაღანაო, ეტყოდა. ალბათ, არ შეიძლება, ყველა ფისოსავით იქცეოდეს. ...მაგრამ ეს ყველაფერი მერე იყო. მაშინ არ ვიცოდი, რომ

ილიას სახლს ცუდის გაკეთება შეეძლო და მეგონა მარტო ჩვენ კი არ გვინდოდა მასთან ყოფნა, არამედ მასაც უნდოდა, რადგან ჩვენ ყოველთვის გახარებული ვიყავით და, ვინც ჩვენთან მოდიოდა, ისიც ხარობდა. ...და მაინც რალაც ხდებოდა ჩემთვის გაუგებარი. უფროსები ზოგჯერ რალაც-რალაცებს ჩურჩულებდნენ, რალაცას ამბობდნენ, სახეებიც ცუდი ჰქონდათ. მათი დანახვა მაშინ აღარ მინდოდა და ჩუმიად გავებოდი. აღარც ტკბილი თამაში გამოდიოდა. ნარამარა უკან ვიხედებოდი. შიში მალე გამივლიდა ხოლმე და სულაც მაინცდებოდა. მაგრამ არაფერი ქრება უკვალოდ, რალაც რჩება და სადღაც სიღრმეში ილექება. პატრონისაგან დაუკითხავად მუშაობენ მალულად ლოკატორები...

მამა ჯერ არავის ნაეყვანა, ყველაფერი კარგად იყო, ჩვენ ბედნიერები ვიყავით და ჩემი სიზმარიც მაშინ ვნახე:

ნინიკომ სასეირნოდ წაგვიყვანა. ზამთრის დილა იყო. ეზო და კარ-მიდამო თოვლს დაეფარა, იმ პირველ თოვლს, რომლის დანახვაც ყველას უხარია. მე და მაგდა თავიდან ფეხებამდე თეთრებში ვიყავით გამონყობილი: თეთრი ქუდეები, თეთრი პლუშის პალტოები, ბენვის საყელო, მუფთები, მუფთის თასები, ოღონდ ნაქსოვი თეთრი გამაშებიდან კალოშებს შავი ცხვირები ჰქონდა გამოყოფილი. ნინო შავებში იყო ჩაცმული: ბოა, პალტო, მუფთა, შავი ქუდიდანაც სიფრიფანა შავი პირბადე სანახევროდ ჰქონდა სახეზე ჩამოშვებული. ყოველივე ისე, როგორც ცხადლივ იყო ხოლმე. მერე აღარ მახსოვს, ისინი როგორ დავკარგე, მაგრამ მე მარტო დავრჩი და მარტო დავბრუნდი სახლში. არ შემშინებია. იქ თითოეული კუთხე ვიცოდი ფარული და მიუგნები, გადაკარგული შუკები, ადგილსამყოფელი ტახტის, კარადის. ყველანი ხომ ერთად ვთამაშობდით: მე, სკამი, სავარძელი, მაგიდა და მაგიდის ოთხივე ფეხიც. აქ, ჩემს ბუდეში, ყველაფერი ცოცხალი იყო, ნაცნობი, ახლობელი და საყვარელი.

სახლს მივუახლოვდი. მუფთაში ფრთხილად მოვსინჯე ოთხკუთხა მუყაოს ორი ფურცელი. მათ წინასწარ გამოეჭრი ხოლმე, როცა სასეირნოდ მივდივართ, იმიტომ, რომ დერეფანში, სადარბაზო კარის მარჯვენა მხარეს დგას დიდი დათვი დოჩა. თათებში მას დაკბილული თეფში უჭირავს და ყოველთვის სადარბაზო ბართებს ელოდება. დოჩას პირისპირ, კარების მეორე მხარეს, ასევე უკანა ფეხებზე თათებში თეფშით დგას მისი შვილი დათუნა და ისიც ბართებს ელოდება. სტუმრები მარტო ჩვენთან კი არ მოდიან, ზოგი მათაც ესტუმრება, ბართს უტოვებს და მიდის. დღესასწაულზე მათ უფრო მეტი სტუმრები მოსდით, ვიდრე ჩვენ და ბევრი

ბარათიც უგრავდებათ.

მე უფრო დათუნა მიყვარს, პატარაა და იმიტომ. დოჩა კი დედაა, უფროსი. დათუნა ჩემზე მაღალია, მაგრამ ადვილად ვწვდები და თეფშზე ბარათსაც ადვილად ვუდებ. დოჩასთვის კი ამას ძნელად ვაკეთებ ფეხისწვერებზე. დათუნა და დოჩა ჩემს ბარათებს ყოველთვის ელოდებიან და მათ არასდროს ვატყუებ იმიტომ, რომ მე ისინი მიყვარს და კიდევ იმიტომ, რომ ამის გაკეთება ძალიან მიხარია.

ჭიშკარი გავაღე, პატარა ყვავილნარი გადავიარე, სახლთან მივედი. სადარბაზოს კარები რატომღაც ფართოდ გახსნილი დამხვდა. ყურადღება არ მიმიქცევია. გულისყური იქით მქონდა, როგორ მივართმევდი და როგორ გავახარებდი ჩემს მეგობრებს. მუფთიდან ორი მუყაო ამოვიღე და განაბულმა ტკბილ მოლოდინში ზღურბლს გადავაბიჯე... მაგრამ დათუნა და მისი დედა იქ აღარ იყვნენ. ისინი აღარსად იყვნენ! დერეფანი იყო სულ ცარიელი! დიდი დარბაზიც! აღარც მაგიდა, აღარც ტახტი! სულ არაფერი! იყო სხვა რაღაც: ჭუჭყი და მტვერი, იატაკზე ფალას-ფულასი ეყარა, მინის ნამსხვრევები, ძეძგვი, ნარჩენი თოკის, ქალაღდის... გარშემო კი არავინ და არაფერი იყო.

ოთახები სულმოუთქმელად შემოვირბინე. აქ, სახლის ბოლოში, მშობლიური ხმებითა და ხმაურით სავსე სამზარეულო მელოდებოდა, გემრიელი და სანუკვარი უცხო ნუგბარის ტკბილი სალარო. ქვაბ-ქოთნებს შორის ტრიალებდა ჩემი ბუზლუნა პელო, ღიმილიანი და საყვარელი. აქაც ყოველივე ნაცნობი იყო და ახლობელი: ლანგარი მოხალული ნუშით, როდინი დანაყული ნიგვზით, ავანდასტა კიდევ რაღაცით... ეს უცნაური, ეს შემზარავი კუკუდამალობანა ჩემთვის სახლს რომ გაუმართავს... ვერა და ვერა! დაკარგულ ჩემს ქვეყანას აქ ველარ დამიმალავდა... მაგრამ გამოცარიელებულ სივრცეში აქაც არავინ იყო და არაფერი... მხოლოდ კარადა იდგა, დიდი შავი კარადა კუთხეში იდგა, თავის ადგილას... აღარსად იყო სახლი, მე რომ მიყვარდა, სადაც ამდენი მეგობარი თავს მეხვეოდა. ამ საშინელი, უცხო სახლის სიცარიელე, შემზარავი, აუტანელი, ყველა კუთხიდან ჩემკენ იწვედა, სიჩუმე ფარული მუქარით მსუდრავდა, სუნთქვას მიკრავდა...

კარადასთან უხმოდ მივედი, კარი გავაღე და შევიმაღე ბნელ ფულუროში. არც კი ვიცო, რატომ. იქნებ, იმიტომ, რომ კარადის შიდა სიცარიელეში იკუმშებოდა, მცირდებოდა ეს უსამველო არარა სივრცე, ან, იქნებ, იმიტომ, რომ კარადაც სულ მარტო იდგა, როგორც მე და ამ შემზარავ, უსახო სახლში მხოლოდ ის იყო ჩემი

ნაცნობი და ახლობელი.

შავ კარადაში შევიმალე და ერთი ხელით კარი მივხურე, მეორეში მაგრად მქონდა ჩაბლუჯული ორი მუყაოს ქალაღლი... შემორჩენილი ორი მუყაო და მათ აღარავინ ელოდებოდა...

მაშინ 5 წლისა ვიყავი. ცხადად მიდგას წინ ძველი კარადა. ქვევით, სიგრძეზე უჯრა დაყვება. მჭიდროდ არ იხურება და ცალგვერდულად არის გამოწეული. შუაგულში მსხვილი და მრგვალი სახელურია გაკეთებული. კარადა ძველისძველია, გარდასული დროის, სიძველისაგან ჩამავეებული.

მაშ, რა უნდა მეთქვა თქვენთვის, ქალბატონო ანა? ჩემი ნათქვამი იქნებოდა არეული და უთავბოლო, ჩემთვისაც გაურკვეველი და ბუნდოვანი. თქვენ გაგეცინებოდათ, რომ მესამე კლასის მონაფე ბუდიდან ამოვარდნილი ბარტყივით თრთის, რადგან მას, ხუთი წლის ბავშვს ცუდი სიზმარი ესიზმრა, რადგან კარადა სულისშემხუთველად ბნელია, რადგან კარადის იქით უსახო სახე ნყვდიადზე უფრო საზარელია, რადგან ხელს უქმად შემორჩა ორი მუყაო, რომელთაც უკვე აღარავინ ელოდებოდა... ჩემი ნათქვამი იქნებოდა არეული და სასაცილო და ვერაფერს აგისხნიდით, რადგან ამის ახსნა დღესაც არ შემიძლია...

ქარი ასკდება სარკმელს. ავად მძვინვარებს ქარბუქი. მსხვერპლი სწყურია აფთარს. ტრიალებს კორიანტელი. ზმუის და ღმუის აფთარი. ეს მეჯლისია სატანის, ფიფქი-ფანტელით დაჩითულ კაბებს ავი სულეები აფრიალებენ. ეს უწყინარი და უნაზესი ფიფქი-ფანტელი, ხელში რომ შემოგადნება... მათი თვალთმაქცი უწყინარობა ბუნებას ბოროტ ხუმრობად ჩაუფიქრია... ადგილი ვერ მონახავს... ტირის და გოდებს მთელი ქვეყანა...

დღეს იმდენი წლისა ვარ, რამდენისაც თქვენ იქნებოდით, ქალბატონო ანა, როდესაც თქვენი მონაფე იყო თორმეტი წლისა. არა, არ იქცა შუქურად ჩემთვის ის ხუთიანი, მაგრამ, არ ვიცი რატომ, სადაც გულის სიღრმეში, სულ მიკარგულში, ბუნდოვნად კრთოდა ოცნება, რომ ხელს მომკიდებდით და მე და თქვენ ერთად ნავიდოდით, არ ვიცი, სად... ალბათ, უმშვენიერეს მხარეს, სადაც სინათლევ სხვანაირია... სულ ჩემად, სულ იდუმალად, უნებურად, გაურკვეველად, ბუნდოვნად, უანგარიშოდ ველოდი ამ დღესასწაულს...

მაგრამ, თუ დაუბრუნდით თქვენს მონაფეს, სასონარკვეთილს?! იქნებ, უმადურობა იუკადრისეთ, იწყინეთ?! ან არადა, რა მოგაგონებთ?! ჩემისთანას ათასს და ათასს გაუვლია თქვენს ფართო გზაზე. ო, რომ იცოდეთ, როგორ მჯეროდა თქვენნი!..

დავხუჭავ თვალებს, არ შევხედავ კარის გაღებას. თქვენს მოსვლას, სულერთია, მაინც გავიგებ: შეიკუმშება გული, მთელი არსება გაიძაგრება და, აი, მოდიხართ! ხელები ჩემკენ გამოგიშლიათ, საოცრად კეთილი ღიმილი აშუქებს თქვენს სახეს. ხელისგულები გადამიშალეთ, თმა შემისწორეთ, თქვენს უბეში თავი ჩავმალე და გზაშეკრული ცრემლი გადმოსკდა თვალებს, ნეტარი ცრემლი შვების, თავისუფლების...

რა იქნება მერე? აბა, რა ვიცი?! შესაძლებელია ის, რაც არასდროს ყოფილა, შეიძლება სიცოცხლე გახდეს სხვანაირი, იქნებ ისეთი, როდესაც ციდან გალობა გესმის, იქნებ, ისეთი, როდესაც აღმოგხდება არნამღერი, ერთადერთი სიმღერა შენი, სიმღერა ფრთაშესხმული სულისა, აღმაფრენისა!..

არა, არ ვიცი, რა იქნება, იქნებ, არც არაფერი იყოს არც ცის გალობა, არც სიხარულის აცისკროვნება. შესაძლებელია ეს მხოლოდ წამია, იგი არის დასაწყისიც და დასასრულიც, მის იქით აღარაფერი იქნება. დე, იყოს ასე! დაიმსხვრა ჩემი კარადა, ის აღარ არის! ცა ცისფერია და დედამინა ფერად-ფერადი! ეს ზეცის გახსნის სასწაულია!

მინახავს ცის კიდობანი როგორ გაიპო, ღამის ნყვდიადში ოქროს ორ ძგიდედ უხმოდ გაიღო ზეცის კარები. პელომ ამიხსნა -- თუ მოვასწრებ სურვილის ჩათქმას, ამისრულდება. დღეს მოვასწრებ! დღეს შევთხოვ ზეცას -- დამიბრუნოს ჩემი დათუნა და კიდევ დოჩა, დამიბრუნოს დაკარგული ჩემი ქვეყანა! დამიბრუნოს სიყვარული ნდობით აღსავსე გულისა...

მაგრამ არა! ზეცა ორ ძგიდედ არ გააპოხილა, არ მომხდარა სასწაული! თუმც საიდან უნდა გცოდნოდათ ხუთი წლის ბავშვის სიზმარი, ანდა ოცნება მისი, რომელიც გაურკვეველი მკრთალი ლანდივით კრთოდა მის გულში? თავისი ოცნების პირ-სახე არც მას უხილავს გარკვევით. თქვენ მოგეწონათ მისი მოთხრობის არგამოგონილი ბავშვური გულუბრყვილობის ყოფითი უბრალოება და საიდან უნდა გცოდნოდათ, რომ მოუსვენარ თქვენს უკმეხ მონაფეს სადღაც სიღრმეში ჩალექილი აქვს „პირველი თოვლის“ სხვა ბედისწერა, რომ არის ხოლმე დღეები სინათლით სავსე, მზიანი...

მაგრამ იცოდით განა რაიმე თქვენი მონაფის შესახებ? რა მოსთხოვეთ მშობელს, როდესაც ბავშვს იბარებდით? რა მოგიტანათ დედამ მეტრიკის გარდა, სადაც მღვდელი და მონაფეები ადასტურებდნენ დაბადების დღეს და ქრისტიანული სჯულის მიღებას? ბედის უკულმართობა დაბადების დღიდან იწყება (თუმცა, ალბათ, უფრო შორიდან და უფრო შორიდან). თავყანს ვისა სცემ -- იელო-

ვას, ზევსს, ან სხვა რომელ ღმერთს? ვის ირწმუნებ იესოს, ბუ-
დას, მუჰამედს, ან, იქნებ, არც ერთს? საოცარია! რწმენა სულისა
ისე გადადის, როგორც ოჯახის გვარიშვილობა!!

ნათლობა კუბოზე

იმ სავალალო დღეს, როდესაც დავიბადე, ბაბუა ლუარსაბი
გარდაიცვალა. დედა ლოგინში იწვა. ოჯახის საქმეს განაგებდა და
თაოსნობდა მოხუცი ბებო. მის საღვთო ნივთებში ეწერა, ან იქნებ,
სხვამ უთხრა ვინმემ, რომ ოჯახში თუ არის მიცვალებული, ახალ-
შობილი მოუნათლავი არ უნდა დარჩეს და რომ ნათლობა კუბოზე
არის დანესებული.

თავიანთ უფლებებში მტკიცედ დარწმუნებულმა უფროსებმა
მიცვალებულის კუბოზე ემბაზი დადგეს და ახალშობილს ნაკურთხი
წყალი აპკურეს. აღასრულეს რა ეს ქრისტიანული წესი, აზიარეს
ბაღლი სიცოცხლეს თუ სიკვდილს, უფროსები დაუბრუნდნენ თა-
ვიანთ დიდ საქმეებს და ბევრი რამ გადაივიწყეს. ბაღლის კი რა
ვთქვათ? მისი სიცოცხლის პირველი ჟღერა მოხუცის უკანასკნელ
ამოსუნთქვას საბედისწეროდ შეხვდა, შეეკრა...

ულრან ტყეში მინახავს ტყუპი ხე, საოცრად გადაკლაკნილ-
გადაგრეხილი, შეზრდილ-შებორცებული, იდუმალებით აღსავსე
ერთიანი გარჯით მთლად დაბურული. ასე შემორჩა ბავშვის უსიერ
გულს, ჯერ მიუწვდომელ ულრან ტევრს სანყისისა და აღსასრუ-
ლის ეს ველური შენაზარდი მარად უცნობი ორის ...მაგრამ სიკვდი-
ლი, დაბადების ჟამს მოსული, თავის ანაბეჭდს ბავშვის გულში ვერ
ჩატოვებდა. ნათლობის ამბავს გაიხსენებდა ვინმე, სიტყვას მოაყ-
ოლებდა, გაიხუმრებდა, კიდევაც გაიცინებდა... ბავშვებს ყურები
აქვთ დაცქვეტილი, მახვილი სმენა აქვთ, ძალიან მახვილი.

ხის ტოტებს შორის მონავარდე ციყვებივით ეზიდებიან
პანანინები და აგროვებენ თავიანთ გულებში, როგორც ბუდეში,
რასაც მოუსვენარი თათუნები დღის ფუსფუსში ნაანყდებიან. გულ-
დასმით შეკრეფილია, რაც გადაუყრია უფროსების ხელს ჩენჩო,
მარცვალი, საჭირო და სულ წვრილმანი, ფასიანი თუ ფასმოკლე-
ბული ყოველივე რუდუნებით თავმოყრილია. მისით უჩინარ ნაძ-
ვის ხეს მორთავს, ყველასაგან საიდუმლოდ გულის სიღრმეში რომ
აქვს დაცული. მოკაზმავს, მცხუნვარე ფანტაზიით გააჩირაღდნებს
და ფერად-ფერად შუქთა ციმციმში, თუ თვალის მომჭრელ ელვა-
რებაში თქვენ ველარ იცნობთ ნაყარ-ნაყარ რამერუმებს, რაც ნაგ-
ვის ყუთისთვის გაქვთ განკუთვნილი.

რალა არ არის ამ ნაძვის ხეზე? ჯადოსნურ მუქ-ჩრდილებში აღმასებისა თუ ცრემლების აკიდოები. აგერ მისი ჭრელ-ჭრელი ყვავილწნულები, რალაცის მანიშნებელი, ქარაგმები და ქარაგმები. მათ ძირეულ აზრს ველარ მიაგნებ. რად განუხეხს და ვის გაგონებს ეს დედოფალა?.. აი, ეს კი თქვენია. გახსოვთ, უდარდელად რომ მოისროლეთ? აქ კი რარიგ ამღერებულა!.. რას არ ნახავთ ნაცნობს თუ უცნობს, შიშველს, გაძარცულს, გალამაზებულს, დამახინჯებულს, გონჯსა და უმგვანოს და თითოეულს სადღაც, როგორღაც საოცრად მართალს, საოცრად ნაცნობს, ახლობელს, შენიანს და სულ სხვაგვარად, ძირეული არსით გადახსნილს.

ფუსფუსით დაქანცული თათუნები სანთლებს თუ ველარ წედებიან, მაშინ ნაძვის ხე სიზმარში აელვარდება საფრთხილო, ზოგჯერ ძალიან საშიში, გროტესკული გაზვიადებით, როგორც ანდერსენის ზღაპრულ სარკეში. ხდება ხოლმე, ნაიქცევა ანთებული ხე, ბავშვს მოიყოლებს და ახლობლები დასტირიან მოულოდნელად ჩანახშირებულს. როგორ დაინვა, რამ დანვა — არავინ იცის. ბედნიერები გადარჩებიან, დამწვარი თუ გამოჰყვებათ. უფროსებს უკვირთ და ნაიარევს რომ უყურებენ, გულიც კი მოსდით, ტუქსავენ ბავშვებს. ...მაგრამ უფროსებს ბევრი აქვთ საქმე და საზრუნავი: არა უშავთ რა, ქორწილამდე მოუშუშდებათო! ანუგეშებენ თავის თავს და პატარებსაც, და ასეც ხდება. ნაიარევი პირს შეიკრავს, მაგრამ ნითელ ნაჭდობს კი ტოვებს.

ერთხელ, ქვიშხეთში, როდესაც ბავშვებს დასაძინებლად ამზადებდნენ, პატარა გოგო დაიკარგა. თავზარდაცემულმა დედამ აგარაკები შემოირობინა. ეძებდნენ ყველგან, მაგრამ გოგონა არსად ჩანდა. ბოლოს მეზობელ სახლშიც შეიხედეს. იქ კარ-ფანჯარა იყო მთლიანად ღია. ხრწნილით გაჟღენთილი ოთახის ბინდში სანთლები ენთო, შუაში კუბო იდგა თავგადახსნილი. ღამის მთვეელი, ალბათ, გასული იყო. პატარა გოგოს სკამი მიედგა, აცოცებულიყო და იდაყვებით კუბოს ნიბოზე დაყრდნობილი გულმოდგინე ყურადღებით დასცქეროდა მიცვალებულს.

შეშინებულმა დედამ ბავშვი აიტაცა და სახლისაკენ გააქანა. ბავშვი არ ტიროდა. დედამ სასწრაფოდ მოანესრიგა, ლოგინში ჩაანვინა და ტკბილად რომ ჩასძინებოდა ხმადებლა ნანას ულილინებდა, მაგრამ პატარა თვალგახელილი იწვა.

— დაიძინე, გენაცვალე, დახუჭე შენი ღამაზი თვალები! -- უყვავებდა დედა და ზურგზე ხელს ნაზად უსვამდა.

-- დედიკო, შეიძლება ღია თვალებით დავიძინო? -- ჩუმად შეეხვეწა გოგონა.

როგორ შეიძლება, გენაცვალე, შეშფოთდა დედა, დაიძინებისას თვალებს ყველა უნდა ხუჭავდეს. მამიკო ხომ ხუჭავს, მაგდაც, დათუნაც, ცუგრააც... შენც დახუჭე და მაშინ ძილიც მალე მოვა შენთან, შვილიკო.

გოგონას ძალიან უყვარს თავისი დედა და თვალებს მორჩილად ხუჭავს.

როგორ გამეპარა, იქ რამ შეიყვანა?! კიდევ კარგი, რომ ფაფა არ ნაულო და არ მიაძალა, როგორც თავის თოჯინებს. რა სირცხვილი იქნებოდა, ფიქრობდა დედა.

ნუცა უნდა მოვნათლო! – მოულოდნელად ნაიჭურჩულა პატარამ.

თოჯინებს აბა ვინ ნათლავს?! შეიცხადა დედამ, დაიძინე, ჩემო სიხარულო, დაიძინე...

ბაიებს?

ბაიებს, რა თქმა უნდა, ყველას ნათლავენ. ხვალ ვილაპარაკოთ, ახლა კი ნანა, ჩიტუნავ, ნანა...

კარგია, რომ უკვე ნუცაზე ფიქრობს, გადაავინცდა ის საშინელი ოთახი. ვაითუ შეშინებულია და მალავს, სიტყვას ბანზე აგდებს... მაგრამ არა, ასეთი ციცქნა რას მიხვდებოდა... ხვალ სულ მასთან ვიქნები... ფიქრს აგრძელებს შენუხებული დედა.

ბაიებს რატომ ნათლავენ, დედიკო?

მამ როგორ, მოუნათლავს მფარველი ანგელოზი არ ეყოლება, ამას ხომ შენ თვითონ მიხსნიდი? ხვალ კიდევ ვილაპარაკოთ, ახლა კი ნანა, საყვარელო!

დედიკო, ნუცა მომიყვანე, ჩემთან დაიძინოს!

დედამ თოჯინა მოუყვანა და გვერდით მიუწვინა. თვალდახუჭულმა გოგონამ ხელები მოხვია და გულში ჩაიხუტა.

ის უკვე გამოფრინდა, დედიკო?

ვინ შვილო?!

ანგელოზი.

გამოფრინდა, რა თქმა უნდა, გამოფრინდა! შენ კი აქამდე არ გძინავს.

გოგონამ იცის, რომ ანგელოზი უკვე გამოფრინდა. იქ, სახლში, სანოლთან ოქროსჩარჩოიანი სურათი ჰკიდია. ფანჯარაში, საიდანაც ამ ნუთს ანგელოზი შემოფრინდა, ვარსკვლავებიანი ღამე იყურება. ანგელოზი ბაიას სანოლზე დახრილა. იგი ძალიან ღამაზია და, თუმცა ბაიას თვალელები დახუჭული აქვს, სულ ერთია თავის ანგელოზს მშვენიერად ხედავს, რადგან სიხარულისგან აგერ-აგერ გაელიმება. მეორე სურათში, გვერდით რომ ჰკიდია, ისევ ვარსკვ-

ლავებიანი ღამეა. სახლი შორიდან მოჩანს, ბავშვი კი ანგელოზს წამოუყვანია, რომ კარგი სიზმრები აჩვენოს. თეთრი ფრთები ანგელოზს ღამაზად გადაუქცევს, ბაიას კი არ მიაფრენს, არამედ ხელჩაკიდებული მიჰყავს. ბაია ფეხშიშველი მიცუნცულეებს და, ღამის გადაფრინდეს, ისე უხარია. სახლში არავინ ასე არ გაატარებდა, ყველა ეტყოდა არ შეიძლებაო. პერანგის ერთი მხარე ბაიას ჩამოჩაჩვია, ანგელოზი ამას ხედავს და აინუნშიც არ ავდებს იყოს ჩამოჩაჩული, ხომ არავინ უშლის... მფარველმა ყველაფერი ყველაზე უკეთ იცის და ისეთებს არ დაინყებს, სახლში რომ იციან ხოლმე. ბაია მასთან ძალიან ბედნიერია. ალბათ, სახლშიაც ბედნიერია, მაგრამ მფარველ ანგელოზთან კი უთუოდ სულ ძალიან და სულ ძალიან.

უნახესმა მოგონებამ სიამით აავსო პატარა გოგონას გული, თითქოს იმ ბაიაში განსახიერდა, მისი განცდებით ტკებუდა... და, აი, უცბად სანთლები და ოთახის შუაგულში „ის“, „ის“...

დედა, „იმასთან“ ანგელოზი არ იყო!.. შეტოკდა ბავშვი. ვისთან არ იყო, ვინ არ იყო?! დაიბნა დედა.

— „იმასთან“, — ოდნავ გასაგონად ნაიჩურჩულა გოგონამ.

შენ საიდან იცი, შენ ხომ „იმის“ ანგელოზს ვერ დაინახავდი?!

ხო, დედიკო, მაგრამ „ისიც“ არ ხედავდა. „ის“ მარტო იყო. „იმას“ ერთხელაც არ გაუღიმიო, სულ, სულ ერთხელაც...

დაიძინე, გენაცვალე, პატარებმა ძილის წინ ბევრი არ უნდა ილაპარაკონ. ხვალ ყველაფერს ავიხსნი. გინდა, გიმღერო ნანა, შეილიკო?

— მინდა! გულჩათხრობილი ამბობს თვალდახუჭული გოგონა. მას ძალიან უყვარს დედიკო, ყველაზე ძალიან და ცდილობს დაძინებას, მაგრამ, ალბათ, ცუდი ბავშვია, რადგან ძილსაც არ უნდა მას მიეკაროს, თუმცა რამდენი ხანია თვალეები დახუჭული აქვს. დღეს, ალბათ, შავი ანგელოზი მოფრინდება და შავ სიზმრებს აჩვენებს, უფროსებს არ უგონებს და იმიტომ. გოგონას ძალიან უნდა ჰკითხოს თავის დედიკოს როგორ გააკეთოს, რომ ყოველთვის დამჯერი იყოს, მაგრამ ესეც ხომ არ იქნება კარგი, რომ ჰკითხოს, იმიტომ, რომ მაშინ დამჯერი არ იქნება. დედამ ხომ უთხრა, დაიძინეო, მან კი არ დაიძინა და რაღაცებს ეკითხება კიდევ. დედა ამბობს, რომ დამჯერ და წესიერ ბავშვებს ამ დროს ყველას სძინავთ, — ნალვლიანად გაიფიქრა პატარა გოგომ და თავისთვის ჩუმად ამოიხსრა.

ბავშვს კიდევ იმის თქმა უნდოდა დედიკოსათვის, რომ „იქ“

შავი ანგელოზიც არ იყო. მართალია, სხვა სხვის ანგელოზს ვერ ხედავს, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ „ისიც“ არაფერს ხედავდა, რადგან სულ არ ეტყობოდა, რომ „იგი“ თავისთვის ხედავდა იმას, რასაც სხვა ვერაფერს დაინახავდა და ეს ძალიან ცუდია, როდესაც სულ მარტო ხარ არც თოჯინა, თუგინდ თვალდათხრილი, არც მურია, თუგინდ სულ დაგლეჯილი, თოჯინას კაბაც კი არ აგდია სადმე გვერდით და არავინ და არაფერი არ არის, შენ რომ ხედავდე ისე, შენ რომ გიყვარდეს ისე, თუგინდ, შენ რომ გელიმებოდეს ისე, შენ რომ გეტირებოდეს ისე... მაგრამ გოგონას არაფერი უთქვამს თავისი დედიკოსთვის, რადგან უნდოდა დამჯერი ყოფილიყო, ანდა როგორ მოეხერხებინა იმის თქმა, რაც რაღაც ღრმა ფარული გრძნობით მხოლოდ პატარა გულმა იცოდა. იცოდა ის შემზარავი „არარა“, რასაც ვერც სიტყვით, ვერც უსიტყვოდ ვერაფერს მიახვედრებდა.

საბრალო, გაუგონარი, ურჩი ბავშვები! პანანინები, შინაგანად დაუცველები, უსუსურები, ერთი მუჭა ყვითელი ფუმფულები, ნინილას თვლებით რომ შემოგცქერიან... ქორივით დასტრიალებს მათ შავოსანი, თავს დააცხრება, შავი სიზმრებით უჩანაგებს პატარა გულებს.

თქვენ არ შეგეძლოთ გცოდნოდით ბავშვის სიზმრები. სიზმარი უხილაფია, მაგრამ თუ ხილულიდან იცოდით რამე?! რა მოგიტანათ, რა მოსთხოვეთ დედას, როდესაც მან შეილი გადმოგაბარათ?!

ჩემმა მეგობარმა ბერი იცოდა ჩემ შესახებ, უფრო მეტი, ვიდრე მე შემეძლო მცოდნოდა. თქვენ, ჩემო თეთრფრთიანებო, იცოდით რამე? მაგრამ გქონდათ უფლება, რომ გცოდნოდით?! თქვენ, შემოქმედთა შორის უდიდეს შემოქმედს, თქვენ, ჩემს ბედსა და უბედობას, ქვეყნის ბედ-ილბაღს, მის ხვალისდელ დღეს, მის სიკეთეს და საბედისწერო უბედურებას?! ღმერთის ძალა ხელთ ავილიათ, არ გეშინიათ, მითხარით, არ გეშინიათ?!

ადგილი ვერ მომიხსახავს, თეთრმა აფთარმა ამშალა. ქარბუქი ღმუის, ქარი ზუზუნებს, ფანჯრებს ასკდება. ვილაცა ჩივის და შევლას ითხოვს. გოდებს, ქვითინებს მთელი ქვეყანა. ნუთუ არ გესმით?! ნუთუ არ გესმით?! ამ ჯოჯოხეთურ კრიმანჭულებში ამოზიდულა, ხვიასავით დაგრაგნილი ერთადერთი ხმა — სასონარკვეთის, უიმედობის... სევდით გაგუდული პანანინების... და იმათი --- დაფის იქით რომ ნასულან და სასნაულს ელოდებიან.

ხო, ქარბუქში იწერებოდა ეს სტრიქონები... გათოშილ მარტობაში, გაბოროტებული ბუნების ძალთა პირისპირ, თეთრი ქაოსის გააფთრებაში, აწყვეტილი ავი სულების შაბამის ხმებში...

სასონარკეთის ღმუილში... ახლა კი იმ ხმების გახსენებაში რიტორიკულ რეფრენად მეჩვენებიან.

ქარბუქის კორიანტელში ტალღა-ტალღა წამოსულ მოგონებებს ამ ჯოჯოხეთური ორკესტრის ხმებიც ერთოდა, ენივთებოდა და ამძაფრებდა მათ ყლერადობას.

განვლილი სიცოცხლის წარმოსახვანი უკანა სელებით მაბრუნებდნენ შორეთისაკენ, მაბრუნებდნენ უთავბოლოდ, არევიდარევიტ და მინც რალაც თავისი თანმიმდევრობით. ალბათ, ასეა ყველა. როცა სიცოცხლის მწუხრი დადგება, განციდილის განცდა, ალბათ, ჰანგს იცელის, სხვანაირად ახმინდება. თვითდაცვის იდუმალი იმპულსებით ტკბილ-მწარე სიამით გარდაისახები: ხან ბავშვივით ატიტინდები, ხან აკვნესდები დაუბრუნებელი წუთების განციდით. ალბათ კვნესაც, ალბათ, ტიტინიც ანმყოსაგან იცავს გაძარცულს არარას პირას გარინდულს და გახვევებულს...

გულის სიკეთე

ერთხელ გოგონას დედა ავად გახდა. შემფოთებულა ყველა, შიშსა და მოუსვენრობას მოუცავს სახლი. მამა, რომელსაც ყოველთვის სადღაც ეჩქარებოდა, ახლა ავადმყოფის სანოლს არ შორდებოდა. კუთხეებში უფროსები გაუთავებლად ჩურჩულებდნენ და რალაც გადაუდებელ საქმეებზე აქეთ-იქით დაქანაობდნენ. იღებოდა და იხურებოდა საოცრად მომრავლებული კარები. პატარა გოგომ არც კი იცოდა, რომ სახლს ამდენი კარები ჰქონდა და მათი გაღება-დახურვა ასეთი არასასიამოვნო იყო.

სანოლ ოთახში დახურული კარების მიღმა დედიკო იწვა. გოგონა თავის სათამაშო კუთხეს არ ცილდებოდა, ფეხებში არავის ებლანდებოდა. ნიხაოს ერთი მხარე ახლა უკვე ყოველთვის ჩახსნილი ჰქონდა, რადგან უფროსებს მისთვის აღარ ეცალათ. ეს გოგონამ კარგად იცოდა, არავის ანუხებდა, არ ჭირვეულობდა, ოლონდ არ მოსწონდა უფროსების სახეები, მათი მიჩუმათებული ფუსფუსი, ყრუ ქოთქოთი და თავისი კუთხიდან არც გამოდიოდა. სულაც არ ეტირებოდა. თოჯინებს უყვავებდა, ბანდა, აჭმევდა, იქაურობას ასუფთავებდა. ბეჯითად საქმიანობდა პატარა დიასახლისი თავისი დიდი ოჯახის ღამაზე კუთხეში და სულ მღეროდა. ბაბუასავით ჭალარა ღმერთს ის უამბობდა, როგორ უყვარს და ეცოდება თავისი დედა, როგორ უნდა, სულ მასთან იყოს. როდესაც აძინებენ, დახუჭულ თვალებში დედა აღარ მოჩანს და ეს ძალიან სანყენია, მოსანყენია, მაგრამ მფარველი ანგელოზი, რომელმაც იცის, რომ

პატარებს უდებობა არ შეუძლიათ, მოფრინდება ხოლმე, აჩვენებს დედიკოს, მამიკოს, ყველას, ვინც უყვარს და ისინი უფრო ლამაზები, უფრო კარგები არიან, როდესაც მათ მფარველი ანგელოზი უჩვენებს.

ახლა დედიკო თავის ოთახში ცოტა ხანს იწევა და მზე რომ დღეს გვიან დააღამებს, დედიკოც ადგება. ყველა გახარებული იქნება: ნუცა, დოჩა, დათუნა, ყველა და ღმერთიც ძალიან. ღმერთმა დაინახა, როგორ უხარიათ ერთმანეთთან ყოფნა დედიკოს და ბაიას, აიღო და სამუდამოდ ბაიას დედიკო აჩუქა და დედიკოს

ბაია. ნაზად ნკრიალებდა ბავშვის ხმა და უფროსები სიმღერას მას არ უშლიდნენ. უხმოდ ტიროდა ავადმყოფი თავის სანოლში, ცრემლს მალულად იშორებდა მამა, სურდოს უჩიოდა, სიმარტოვეში ჩაბერებული ექიმი ხმაურით ცხვირს იხოცავდა და, თითქოს ვიღაცას უწყობდა, ფრუტუნ-ფრუტუნით ამბობდა, რომ ბავშვი არსად წაეყვანათ, სიმღერაც არ დაეშალათ, რადგან ასე უნდოდა ავადმყოფს... და მიჩუმებულ, გარინდულ სახლში, თეთრი მტრედით ტაძრის გუმბათში, ბავშვის სიმღერა დაფარფატებდა... იგი მღეროდა იმის შესახებ, რომ ღმერთი პატარებს თვალს არ ამორებს, მაგრამ ბავშვები ბევრი არიან, ამიტომაც ღმერთი ყველას მფარველ ანგელოზს უგზავნის, რადგან ანგელოზი მისი თვალია. მზეც ცაზე დადის და იქიდან სხივებს აგზავნის. ღმერთიც ასეა, ცაზეც არის და დედამინაზეც. გოგონა უამბობდა თავის ღმერთს, თუ როგორი ბედნიერია და თხოვდა, რომ შავი ანგელოზი მასთან აღარ მისულიყო, მაგრამ, თუ მაინც მივიდოდა, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ძალიან, ძალიან აუცილებელი იქნებოდა. ნეტავ იცოდეს, როგორ მოიქცეს, რომ დამჯერი იყოს და შავმა ანგელოზმა შავი სიზმრები არ დაასიზმროს, უსათუოდ გააკეთებდა. ...თუმცა კეთილი ღმერთი ყველაფერს კარგად აუხსნის, დედიკოც მალე ადგება, ისევ მხიარული დედიკო იქნება და „ბეგალინასაც“ ჩაიცვამს, რომელზედაც ბევრი, ბევრი ციციანათელა აქეთ-იქით დაცქრიალებს (ეს ლურჯი ბეგალინის კაბაა, გრძელი ტრენით, კაბას ბრჭყვიალა კილიტებით მორთული ვუალი ფარავს).

დედიკოს შავ თმაშიც რაღაც უელავს, თვალეტიც უბრწყინავს, ღიმილიც. ცის ანთებული ვარსკვლავია მაშინ დედიკო – იისფრად, ვარდისფრად, ოქროსფრად ციმციმებს. რატომ არ შეიძლება, რომ დედიკო სულ ასეთი ვარსკვლავი იყოს?! მაშინ პატარა გოგოს თავისი დედიკო უფრო უყვარს, ვიდრე ყოველდღე და ძალიან უნდა ყველაფერი ისე გააკეთოს, რომ დედიკო სულ იღიმებოდეს. ...მაგრამ ვარსკვლავებიან „ბეგალინას“ დედიკო ყოველ დღე არ იც-

ვამს მხოლოდ მაშინ, როცა ლამპები ანთია. ალბათ, სხვანაირად არ შეიძლება. მერე დედიკო მამას სხვაგან მიჰყავს იმიტომ, რომ მარტო მას კი არ უყვარს დედიკო „ბეგალინაში“, ყველას უყვარს და კეთილ მამას იგი მიჰყავს, რომ ეს სიხარული მათაც აჩვენოს.

გოგონა ფიქრობს თუ დედიკო ყოველთვის ანთებული ვარსკვლავი იქნება, გოგონა თავისთავად გახდება დამჯერი. მას უნდა ყოველთვის იყოს დამჯერი, მაგრამ, როდესაც დედიკოს „ბეგალინა“ აცვია, ყველა ეუბნება, რომ იგი ძალიან კარგი და დამჯერი გოგოა და, თუმცა ლოგინში დედა კი არა, სხვა აწვენს, შავი ანგელოზი ერთხელაც არ მოფრინდება ხოლმე მასთან.

ღმერთმა ეს ყოველივე კარგად იცის და თვითონვე გამოიგონა, მაგრამ მერე კიდევ უფრო უკეთესს გამოიგონებს, დედასაც მალე ააყენებს, დედიკო ისევ ვარსკვლავი რომ იყოს, ოღონდ გოგონა ძალიან ეხვეწება, რომ ეს ცოტათი მაინც მალე გააკეთოს. ასე გალობდა პატარა, რომელსაც სჯეროდა, რომ დედამინაზე მხოლოდ სიკეთე ხარობს და ცაში სიყვარულის დიდი ღმერთია. მას ყველა ახსოვს და ეცოდება, ყველას ლამაზ დედიკოს ჩუქნის და კიდევ ანგელოზს, რომ სიყვარული სულ ყველგან იყოს. ასე სჯეროდა გოგონას პატარა გულს და სხვანაირად თუ შეიძლებოდა ყოფილიყო, არც კი იცოდა. მალლა ცაში ალაღუნდა სიკეთის დიდ საგალობელს, ღმერთს სიკეთისა და სიყვარულის შარავანდედით მოსაგდა, სიკეთის ღმერთი კი თვით მისი გული იყო. პანანა ფუნჩულა ფეხებით მიბაჯბაჯებდა იგი ხრიოკ მინაზე და ყველასათვის ყვავილივით გადაშლილი თავისი გული მიჰქონდა...

ბავშვობის წმინდა გახსენების ნათელ წუთებში თუ შექმნა ადამიანმა რელიგია სამოთხის ნეტარებისა. შურისძიების მრისხანებამ, უსასტიკესმა სასონარკვეთამ წარმოქმნა რელიგია განსჯისა და განკითხვისა, ჯოჯოხეთური გამოსყიდვისა, სამარადისო სასჯელის უბოროტესი ბოროტებისა.

თქვენ ვერ იცანით ის მგალობელი თქვენს მონაფეში. შეხედეთ ამ პალიმფსესტს! იქნებ, მიაგნოთ ნაკვალევს! ბევრია აქ ჩანანერი, თქვენიც აქ არის. ჟამი სიცოცხლის წერდა... ჟამი სიცოცხლის ფხეკდა... გაქრა უკვალოდ ის მგალობელი. ამოიფხიკა მოზარდიც, დაფის იქით რომ სასნაულს ელოდებოდა...

აჭრილი რძესავით ირევა ნისლი. ფიფქი ნისლს ამღვრევს, ტრიალებს კორიანტელი... „სუსხურას“ ლექსი გულში მაქვს ჩარჩენილი. საოცარია მისი ხვედრი, საოცარია ისიც, რომ ზედმინუნითი სისრულით მეორდება ეს მისი ხვედრი ადამიანთა ცხოვრებაში და, ალბათ, კვლავ და კვლავ განმეორდება.

„სუსხურა“-ს ლექსი იბსენის კალამს ეკუთვნის. ბევრი ესმოდა ადამიანის ამ შეუდარებლად ფაქიზ გულთამხილავს, ადამიანური სიკეთის მჭკრეტელს და მისი ჩუმი ხმით მომღერალს:

„На севере дальнем та птица живет,
Над фиордом на скалах гнездо себе вьет
И пух из груди своей щеплет она,
Гнездо устилает, надежды полна
Душа рыбака закаленная сталь,
Он грабит гнездо, ему гаги не жаль,
Жестокость сильна, но сильна и любовь
У гаги из груди сочится виоль кровь,
Отрабит вторично он гага опять.
Торопится гнездышко пухом устилать
Но, если в третий раз та же беда
Снимается гага с пустого гнезда,
Туман прорезает кровавая грудь
На солнечный юг держит гага свой путь.“

მაგრამ ხდება ხოლმე, სამხრეთიც ქრება. ირგვლივ ნისლი ირევა მხოლოდ და გაძარცული ბუდეა მხოლოდ... გარს უფრიალებს სუსხურა, ვერ თმობს, ვერ ტოვებს ცარიელ ბუდეს, ბუდეს, რომელსაც მკერდიდან მოგლეჯილი, სათითაოდ ამონიკნილი ბუმბულით შეკრავს, მოფენს სიცოცხლისათვის, ნათელი დღისათვის, სიყვარულისთვის... დადის და დადის გაყვლეფილი ბუდის გარშემო, გასისხლიანებული მკერდით სივრცეს ასკდება, ნისლს ედავება... აი, გამოჩნდა თეთრებში ვიღაც, მისკენ ესწრაფვის! მოფრინავს თეთრფრთებიანი მისი მფარველი, დიდი სიკეთის მახარობელი! ...მაგრამ არა და არა! ეს ალამია ბოროტებისა! ეს აფრა არის, თეთრი აფრა დაუნდობელი მეზადურისა... თეთრფრთებიანი ბავშვობას გაჰყვა და ისე გაქრა, როგორც ბავშვობა....

გაორებული სამყარო

საბრალო გოგონა, ის მალე მიხვდა, რომ დედამინაზე ყოველივე ასე არ ხდება, როგორც ეს უნდა მაღლა ზეცაში მყოფ ღმერთს. ჩვენს ნათელ სახლს შავი ღრუბელი ჩამოაწვა. მამა დილით ნაიყვანეს და მოიქუფრა ქვეყანა. ღრუბლის ჩრდილი ყველაფერს გადაეფინა. დათუნაც კი ისე არ კრეჭდა თავის თეთრ კბილებს, როგორც ყოველთვის... სიჩუმე იდგა და რალაც-რალაცებზე გაუგე-

ბარ თქმათა ჩურჩული. ყველა დაბალი ხმით ლაპარაკობდა, უკან ვიხედებოდი, მაფრთხობდა უჩინმაჩინის ქუდში ვილაც მდევარი. ყვირილი მინდოდა, მაგრამ ბავშვის მახვილი გუმანი ყვირილს მიხმობდა.

დედა ხშირად კითხულობდა წერილად ნაწერ სიფრიფანა ქალღმერთებს. თუ შეეუსწრებდით, უბეში ინახავდა, გაველიმებდა, მაგრამ თვალეებში ღიმილი არა პქონდა და ვიცოდი, თუ ახლოს არ ვეგულეობდით, ჩუმიად ტიროდა კიდეც.

ერთხელ, როდესაც ოთახში უცაბედად შევედი, მე თვითონ დავინახე, როგორ ჩამოუგორდა ცრემლი და ცხვირის ბოლოში როგორ ეკიდა. ამას ვხედავდი და ჩუმიად ვიჯექი. დე, ეკიდოს, ოღონდ დედას ნუ ეცოდინება, რადგან სხვისი ცრემლის დანახვა ხომ ცუდია და შენსას რომ ხედავ ხომ სულ ცუდი და ცუდი. მეც ისე ვიჯექი, თითქოს არაფერი ხდება. მეორე ცრემლი ჩამოგორდა და პირველი მაშინათვე მონყდა. დედამ ხელსახოცი ამოიღო და სახე მოინმინდა. ცრემლები აღარ მოგორავდნენ.

ბებო ჩამოვიდა. ხატების წინ კანდელები აციმციმდა და სახლმა უფრო მოიწყინა. ჩემმა მხიარულმა დედიკომ სიცილი სულ მთლად გადაივიწყა, თითქოს არც კი იცოდა, როგორ იცინოდა უწინ.

დღეებს ტყუპებივით ველარ გაარჩევი ერთმანეთისაგან. ილიას სახლსაც ველარ იცნობდი, რატომღაც დიდი გახდა, ძალიან დიდი, ოთახი ოთახს დაშორდა, კუთხე – კუთხეს. გული აღარავისკენ მიწევდა, ფეხებიც უჩუმრად მიძლიანდებოდნენ და სიარულზე უარს ამბობდნენ. ყველა თავის ადგილზე იყო და მაინც ეს არა ჩემი სახლი მთლად გაუცხოვდა და დაცარიელდა. გაქრა ჩემი ბუდე, სადღაც გაქრა.

როდესაც მამა ჯერ არავის ნაეყვანა, სახლში ხშირად დიდ მაგიდას შლიდნენ, ლარნაკებში ვარდ-ყვავილები კაშკაშებდა, გაჩირალდნებული ჭალის ქვეშ სარწყულებში ფერად-ფერადი სასმელები ციმციმებდა. მამას სტუმრები მაგიდას უსხდებოდნენ, რალაც-რალაცებს ერთმანეთს ეუბნებოდნენ და გულიანად იცინოდნენ. მერე რომელიმე მათგანი წამოდგებოდა, ჭიქას აიღებდა, გულმხურვალედ ბევრს ლაპარაკობდა, ყველა ყურადღებით უსმენდა, მერე ისინიც ფეხზე დგებოდნენ და ბედნიერი სახეებით შესცქეროდნენ ერთმანეთს, თანაც მალე ანეულ ჭიქებს ჯახუნ-ჯახუნით აწკრილებდნენ, გეგონებოდა, ყველა დაბადების დღეს იხდისო და ერთმანეთს ამას ულოცავენო. ზოგჯერ რომელიმე წარბებს ჭმუხნიდა, გულმოსული ვილაცას კიცხავდა და სასტიკად სჯიდა. მერე ყველას ისევ რალაც გაუხარდებოდა, სახეები გაუბრწყ-

ინდებოდათ, ისევ ფეხზე დგებოდნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ და ჭიქებს უჭახუნებდნენ. მე არაფერი მესმოდა, ვიცოდი მხოლოდ, რომ ყველას უხარია, რადგან მალე დიდი სასნაული დადგება ახალი წელი, ან აღდგომა. მამამ ამიხსნა, რომ ეს იქნება სრულიად სხვანაირი დღესასწაული, ალბათ, ყველაზე დიდი აღდგომა, როდესაც ყველაფერი სულ კარგად იქნება და ყველანი სულ ძალიან კარგად. მე, რასაკვირველია, ცუდად არ ვიყავი, მაგრამ მაშინ სულ სხვანაირად უნდა ვყოფილიყავი, ისე კარგად, რომ არც კი ვიცოდი როგორ.

მამამ ისიც ამიხსნა, რომ ყველა ბავშვი ჩემსავით ბედნიერი არ არის და დამპირდა, რომ მათ შესახებაც მიამბობდა, როცა ცოტა ნამოვიზრდებოდი, მაგრამ მამა ნაიყვანეს და მაგიდაც დიდი გახდა, ძალიან დიდი და მონყენილი. ნელა მიდიოდნენ დღეები. დღესასწაულზე, რომელიც აგერ-აგერ უნდა მოსულიყო, არავინ ლაპარაკობდა, მე კი ისე მინდოდა, რომ ელაპარაკათ და ჭიქები ეჭახუნებინათ. იქნება, დედიკო ცოტათი მაინც გამხიარულებულიყო. მამას გახსენება დედას აღარ უყვარდა. ჩვენც ამას როგორღაც ვხვდებოდით და მამას შესახებ არც ველაპარაკებოდით, მაგრამ მამიკო ამიტომ უფრო მეტად გვიყვარდა, დედას კი ყველაზე უფრო, ამასაც როგორღაც ვხვდებოდით.

აღარც დიდ ჭაღებს ანთებდნენ. ნეტავი, აენტოთ კიდევ. ანთებული ჭაღების ქვეშ დედა უფრო ლამაზი და მხიარული იყო ხოლმე, მაშინ მამა კედლიდან თარს ჩამოიღებდა, დედას გაუნოდებდა და ეუბნებოდა: „ჭირიმე, გვიმლერე რამე!“ დედაც მღეროდა „ტყემ მოისხა ფოთოლი“, „შორიდან შემოგვეპარა“ და კიდევ ბევრ სხვა სიმღერას. როცა ძალიან გამხიარულდებოდა, დაიწყებდა ხოლმე: „მკოცნა, მკოცნა, მკოცნა, მკოცნა“. მამას სტუმრებსაც ეს სიმღერა ძალიან ამხიარულებდა. ჩამწკრივდებოდნენ, დედასთან მიდიოდნენ და ხელზე კოცნიდნენ. ...მაგრამ ეს ყოველივე მამასთან ერთად ნაეიდა. მოსელას კი მამა რატომღაც აგვიანებდა.

მამას სტუმრები იშვიათად მოდიოდნენ, დედას ეჩურჩულებოდნენ და სიფრიფანა ქაღალდებს აძლევენ. მაშინ დედას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაცა ტკიოდა და ცდილობდა, ეს ტკივილი ყველასგან დაემალა. მათ ჩურჩულს ვერ ვიგებდი, მაგრამ ვიცოდი, რომ მამიკოს შესახებ ლაპარაკობდნენ. ერთხელ გავიგონე კიდევ, როგორ უთხრა დედას ძია ნოდარმა:

ქალბატონო თამარ, ტყუილუბრალოდ თავს რად იკლავთ?! გიორგის არავინ ჩამოახრჩობს. იმ ლამეს თქვენ სასწაული მოიძოქმედეთ გიორგი გადაარჩინეთ და ბევრი სხვაც. „იმის“ შესახებ

ხელთ არაფერი აქვთ, დანარჩენი კი რა სათქმელია?! წიგნები-სათვის, წაწერებისათვის, თუგინდ პარტიული მუშაობაც დაუმტკიცდეს, მკაცრ სასჯელს ახლა უკვე ველარც ბედავენ.

ეს ყოველივე ჩემი ყურით გავიგონე. არ ვიცოდი, რა იყო ჩამოხრჩობა და ასე ძალიან რატომ არ უნდოდა დედას, რომ მამა ჩამოეხრჩოთ, მაგრამ დედა რომ ვაჟკაცი იყო, ეს უკვე კარგად ვიცოდი.

დილით, როცა ნინიკო ჩვენ წასაყვანად მოვიდა, დედამ ხელში ამიყვანა, მაგიდაზე დამაყენა, ჩამაცვა პალტო, დამახურა ქუდი, ყველაფერი მომიწესრიგა, მკლავებში ხელი მომიკიდა და მკითხა:

— მამა ხომ ძალიან გიყვარს?

— ხო, ძალიან, დედიკო!

— მაშინ იცი რა, წასვლისას მამიკომ ეს ნერილი შენ დაგიტოვა და დაგიბარა, რომ ძია ნოდარისათვის წაგეღო. შენ ხომ ძია ნოდარიც გიყვარს? ოღონდ ძალიან კარგად უნდა შეინახო. რა გაქვს მუფთაში, მუყაო? აი, მასთან ერთად გეჭიროს, მხოლოდ თათუნები ერთხელაც არ გამოყო მუფთიდან, არც მუყაოში შეიხედო, ვითომც იქ არაფერი გაქვს. სეირნობის შემდეგ ნინიკო ძია ნოდართან მიგიყვანთ და, როდესაც ძია ნოდარი თვითონ მოგთხოვს, პაკეტი მხოლოდ მაშინ გამოიღე მუფთიდან და პირდაპირ ხელში მიეცი. შენ ჩემი შვილიკო ხარ და ყველაფერს ისე გააკეთებ, როგორც მამიკომ დაგიბარა. მეორედ შენ წაიღებ, მიუბრუნდა დედა მაგდას, ელიკო ხომ შენზე პატარაა.

მაგდას თვალებზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. უმცროსობის უპირატესობას მაგდა წინ ვერ აღუდგებოდა და, რადგანაც დედა შეჰპირდა, რომ მამიკოსგან ძიას ისიც მალე წაუღებდა რალაცას, ბედს შეურიგდა და ორივენი ჩვეულებისამებრ ნინიკოს მშვიდად გავეყვივით.

სახლთან თეთრწინსაფარიანი მეეზოვე იდგა. მას გაბუსტული წითელი ცხვირი ჰქონდა და მოღუშული პირისახე. იგი საცოდავად იყო ხოლმე ატუზული ჩვენი პატარა ყვავილწარის რიკულებს იქით. ასეთი მონყენილი ადამიანი არ მენახა. ჩვენ გარშემო ყველა ბედნიერი იყო, ყველა ილიმებოდა, ის კი — არასოდეს. იმიტომ, რომ მთელ ქვეყანაზე არავინ ჰყავდა საყვარელი და მას არასოდეს არაფერი კარგი არ ახსენებოდა. ძალიან მეცოდებოდა. ერთხელ, როდესაც ძალიან გაუბედურებული მეჩვენა, ტირილი მომიწინდა და, რაც შეიძლება სიყვარულით ვუთხარი: დილა მშვიდობისა, „პაგანაია როჟა“!

ის კი ძალიან გაცხარდა, ბევრი მწარე სიტყვა თქვა, მერე დე-

დასთან გაიქცა. მალე მეც დამიძახეს. დედას თვალები უცინოდა, მაგრამ მკაცრად მიხსნიდა, რომ უნდა მეთქვა: „დილა მშვიდობისა, ბატონო მეეზოვე!“ და „ბატონს“, როგორც ლექსში იციან ხოლმე, ამაღლებული ხმით გამოთქვამდა. მეც ვცდილობდი ისე მეთქვა, როგორც დედა მასწავლიდა, რომ მეეზოვესათვის მესიამოვნებინა, რამეთუ მისი წყენა სულაც არ მინდოდა. სახლში მას ყველა „პაგანია როყას“ ეძახდა. მამას სტუმრებიც და მეც დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს მისი სახელი იყო. ...მაგრამ მეეზოვე დღეს ძალიან მეჯავრებოდა. ის თან მოჰყვა საზიზღარ ჟანდარმებს, მათთან ერთად გულმოდგინედ ფათურობდა და, როდესაც საზიზღარმა ჟანდარმებმა მამა წაიყვანეს, მეეზოვეც მათთან იყო. ძლიერ შემჯავრდა და ისე ჩაეუარე, თითქოს იქ არავინ იყო და არც „დილა მშვიდობისა“ მითქვამს მისთვის.

ძია ნოდარმა გულში ჩამიკრა, ოქროს თათუნები გაქვსო. მერე ორივენი მუხლებზე დაგვისვა. მაგდამ მაშინვე პატარა ჯიბიდან საათი მოაცალა, ყურთან მიიღო და სმენად იქცა. მე ერთი ხელი კისერზე მოვხვიე, ავფოფხდი და მისი ხშირი წარბების დალაგებას შევეუდექი. ბენეს ბენეზე ვადებდი, თითს პირში ვისველებდი და ისე ვგლისავდი, რომ პირდაპირ დახატული გამოდიოდა, თანაც ნინიკოს ვუსმენდი.

ძია ნოდარს ის უამბობდა, რომ დედიკოს საზიზღარი ჟანდარმები სანოლ ოთახში არ შეუშვია ადგომა მაცალეთ, ჩაუცმელი ვარო. თვითონ კი ქალღლები ამოუღია და უბეში დაუმალავს. ასე რომ არ მოქცეულიყო, საზიზღარი ჟანდარმები მამიკოს ამ ქალღლებსაც წაართმევდნენ და ეს ძალიან ცუდი იქნებოდა მამიკოსათვის. აი, მაშინ გავიგე, რომ დედა იყო დიდი ვაჟკაცი. ძია ნოდარი ნინიკოს წარამარა სიტყვას აწყვეტინებდა და სულ იმას გაიძახოდა: ასეც ვიცოდი, ვაჟკაცობაც ამას ჰქვია, არ დაიბნა, გადაგვარჩინა, რა დიდებული ქალია! აი, ეს არის ნამდვილი ვაჟკაცობა, შიშმა არ დასძლია, არ დააბნია, პირიქით, აზრი მოუკრიბა და აამოქმედა.

ნინიკომ ისიც უამბო ძია ნოდარს, რომ მე წიგნებს ცეცხლი წავუკიდე და ილიას სახლიც კინალამ გადავებუგე. ძია ნოდარმა ბევრი იცინა, მერე აგვიხსნა, რომ წიგნებს ცუდი ადამიანები წვავენ, აი, ისეთები, რომლებმაც მამა წაიყვანეს, რომ წიგნები ჩვენი ულატო მეგობრები და მასწავლებლები არიან და მათ ძალიან უნდა ვუფრთხილდებოდეთ. მერე მუხლებიდან ჩამოგვსვა, სურათებიანი წიგნი მოგვითანა, ბევრი რამ აგვიხსნა და წიგნებიც გვაჩუქა.

მამასაც ჰქონდა სქელი ოქროსასოებიანი წიგნები, ფერად-ფერადი სურათებით: კურდღლები, თევზები, ჩიტები გამლელი

კუდებით, როგორც დედიკოს მარაო, კიდევ ნაირ-ნაირად მორთული, ან სულ ტიტლიკანა ადამიანები, რომელთა მსგავსი არსად შემხვედრია. მეც მქონდა ბევრი სურათებიანი ნიგნი. ძალიან მიყვარდა. მამას ნიგნები ხომ სულ საკვირველი და საკვირველი იყო. ისინი ძალიან მიყვარდა, მაგრამ, როდესაც დავინახე, დედა როგორ ტიროდა და დილაადრიან მოსულ დედას ეუბნებოდა, რომ საზიზღარ ჟანდარმებს ის ნიგნები რომ არ გამოეჩხრიკათ, მამას ვერც ნაიყვანდნენ, ძალიან გავბრაზდი მამას ნიგნებზე. მამას ხომ საოცრად უყვარდა ისინი, ხომ უელიდა, ალაგებდა, ხომ დიდხანს რჩებოდა მათთან, იმათ კი ისე გააკეთეს, რომ მამა სახლიდან ნააყვანინეს. „ნაკადული“ ხომ მოიქცა კარგად, ხომ მოიქცა! ძია ნოდარსაც ძალიან მოეწონა ისინი და ბევრი იცინა, როდესაც წინიკომ მათი ამბავიც მოუყვა.

დერეფანში ერთმანეთის პირდაპირ, კედლებთან ორი უზარმაზარი გრძელი სკივრი იდგა. ორთავეს ლამაზი ხალიჩები ეფარა, მაგრამ ჩვენ ზედ არასოდეს ვსხდებოდით. მათთან მიკარებაც კი სასტიკად აკრძალული გეჭონდა. იქ სამხედრო აღჭურვილობა ყოფილა ჩალაგებული, ზევიდან კი წყება-წყება ჟურნალები. ღრმა სკივრები უამრავ ჟურნალს იტევდა. მათი ამოყრით გაბრაზებული ჟანდარმები აბუზღუნებულან, არ ვიცი, ჟურნალის სახელწოდება „ნაკადული“ ვინ გააგებინათ:

— ჩორტოვო დული! იშ, კაკ პრიდუმალი! ნა-კა-დული! ნა კა, მოლ, დული (გამოდირდა - აჰა, ბრანებიო)!

— გეყოფათ, ნულარ ამოყრით. ზოგი „დული“ სხვასაც დაუტოვეთ! — ჩაუცინია უფროსს და ჟანდარმებისათვის სკივრების მიტოვება უბრძანებია. ასე გადაურჩენია „ნაკადულს“ მამაჩემისა და მისი მეგობრების ეს მცირედი, ან იქნებ, არცთუ მცირედი არსენალი და, რა თქმა უნდა, სერიოზული ბრალდებაც აუცდენია მათთვის. მაგრამ ეს უკვე მოზრდილმა გავიგე. მაშინ კი მხოლოდ იმას მივხვდი, რომ ზოგი ნიგნი სულაც არ ყოფილა ბოროტი. აი, „ნაკადულს“ თურმე მამასათვის რალაც ძალიან კარგი გაუკეთებია. მაშ, სხვა ნიგნები რად მოიქცნენ ასე ცუდად?! ისინი მამას ოთახში აქეთ-იქით იყვნენ გაფანტული, შუაგულში კი ნიგნების დიდი ზვინი იდგა.

სასწრაფოდ სამზარეულოში გავიქეცი. ასანთს დავტაცე ხელი, მამას ოთახში შევირბინე და ნიგნებს ცეცხლი მოეუკიდე. უფროსებმა ცეცხლი ჩააქრეს, მე კი ძალიან გამიჯავრდნენ. დედა ამბობდა, რომ მამა არ მყვარებია, რადგან მისი საყვარელი ნიგნების დანვა მინდოდა, არც მაგდა, რადგან იმასაც ცეცხლი მოედებოდა. მეც

ყვევროდი, ფეხებს ვაბაკუნებდი. მე ხომ ისე მინდოდა გამეკეთები-
ნა, რომ ყველასათვის კარგი ყოფილიყო და სრულიადაც არ იყვნენ
შესაბრალისი ეს საძაგელი წიგნები, რომელნიც ასე ძალიან მინდ-
ოდა დამეგლიჯა, ფეხქვეშ გამეთელა, დამენვა და დამეხრუჟა... ხო,
ეს ცუდი, ბრაზიანი დღე იყო. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც არა-
სოდეს. ილიას სახლიც ცუდი იყო და ბოროტი. აირია ქვეყანა! სა-
ვარძლები, ტახტები, კარადები ყველაფერი ადგილებიდან გად-
მომხტარიყვნენ, თითქოს გაქცევას აპირებდნენ, თითქოს, აქ აღარ
უყვარდათ ყოფნა, თითქოს, ჩვენ აღარ ვუნდოდით. მათ ჭუჭყიანი,
რუხი, გაუხარელი ზურგები ჰქონდათ, წინ კი მთლად გარეთ გამო-
ყრილი აბუნულ-დაბუნული შიგნეული. აღარსად იყო ლამაზი, კრი-
ალა, ფერად-ფერადი, გახარებული, კოპნია პირისახეები. ყველანი
გაჯავრებული, გაავებულნი ილრინებოდნენ, მწარედ იკბინებოდ-
ნენ, ხან გვერდში მუჯღუგუნს გკრავდნენ, ხანაც ფეხებში გებ-
ლანდებოდნენ. საიდანლაც პირდაპირ თავზე გახტებოდნენ, მერე
უცბად ყირაზე გადადიოდნენ, ჩქარ-ჩქარა მიგორავდნენ, რადგან
ჩვენი დანახვა სულ აღარ უნდოდათ.

მაგიდებს ველარ მიეკარებოდი იქიდან ჭექა-ქუხილით რა-
ლაცები ცვიოდა და ნამსხვრევებად იფანტებოდა. ყველაფერი
ფუხფუხებდა, ძიგძიგებდა, ხრიალებდა... სიარულიც კი საშიში იყო,
შეიძლებოდა დაკარგულიყავი ყირაზე შემდგარ ამ უცხო ქვეყნის
ორომტრიალში. შენი საკუთარი კუთხისათვისაც კი ველარ მიგეგ-
ნო არეული და აშლილი აღარც ის ჰგავდა თავის თავს. ყველას
სძულდი და შენც აღარავინ გიყვარდა.

დედასაც შევეურიგდი და მანაც ამიხსნა, რატომ არ იყვნენ მამას
წიგნები ბოროტი და დამნაშავენი. ძია ნოდარსაც მამასაგან რალაც
კარგი მივეუტანე და გავახარე, წარბებიც კარგად დავულაგე, კიდევ
ნახატებიანი წიგნები მისგან საჩუქრად მივიღეთ და სახლში რომ
დავბრუნდით, „ნაკადულსაც“ ვაკოცე და მეცა და „ნაკადულმაც“
ძალიან გავიხარეთ, მაგრამ დღე მაინც ძალიან ცუდი იყო და გულ-
საკლავი. მეც სადლაც მინდოდა გავექცეულიყავი, რომ არავინ და
არაფერი მენახა.

როცა დავიძინე, ჭინკები დამესივნენ, ბანჯგვლიან თათებში მო-
მიმწყდოეს, მწინკნიდნენ, ხელებს მიტრიალებდნენ, თმებს მაგლე-
ჯდნენ... მერე ჭიაკოკონა დაანთეს და მაგდა შიგ გადაისროლეს.
მე ავფართხალდი, ყვევროდი. მაგდამაც გამოიღვიძა და ტირილი
დაიწყო. დედამ თავის სახლში გადაგვიყვანა და ორივენი მაგრად
გულში ჩაგვიკრა.

ასე გვეძინა მამას ნაყვანის პირველ ღამეს სამივეს ერთად...

და ასე დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება ახალ ქვეყანაში, რომელიც ორად გაიპო ჩემთვის. იქ კი, შორეულ პერსპექტივაში, სადღაც შორს მამა მიდიოდა... ხან პატარა წერტილად ჩანდა, ხან ინთებოდა, ხან კი ქრებოდა, კამკამა ელვარებით გაბრწყინდებოდა და ხანაც უკვალოდ იკარგებოდა...

სამყარო ჩემშიც ორად გაიპო: ვიცოდი, რა იყო სიყვარული, მისი ლაყვარდით ვიყავი გარემოცული და გაჟღენთილი, მაგრამ იმ დღეს სულ სხვა გრძნობა შევიცანი, რომლის სახელიც გაცილებით გვიან გავიგე... და იმ დღეს პირველად არ მოვინდომე ადამიანის სახის დანახვა, ღრძოდ და ბოროტად არ მოვინდომე მშვიდობის დილა მესურვებინა მისთვის... იმ დღეს პირველად ამიტაცა შურისძიებამ, ხარბად მწყუროდა ფეხქვეშ მეთელა, ვინც სიხარული ჩააქრო ჩვენს ლამაზ სახლში და გაავებული შევცქეროდი, როგორ თრთოდნენ და იკლავებოდნენ აღმოდებული წიგნები... და პირველად იმ დღეს სათუთ პანგებად აწყობილი, ასე ლამაზი, ასეთი მღერადი ქვეყანა ჩემ წინ ლაყვარდი სიკეთით რომ იშლებოდა, უმსგავსო ობობებიანი ზურგით შემოტრიალდა, მის ნაცრისფერ ქსელში გამაბა და სიყვარულის ნათელი ასე დაშრიტა უმანკო, პატარა გულში... მაშინ გავიგე, გულით კი არა, არც გონებით, სულ სხვანაირად, რომ სიხარული, სიყვარული, თვით პარმონიაც არ ყოფილა არსი ქვეყნისა. იგი მწყაზარი სულის ათინათია, ნკრიალა ჟღერა უცოდველი გულისა. მოვა დრო და ეს შენი ლამაზი ქვეყანა სადღაც გაქრება, იგივე სამყარო მრისხანებით ყალყზე დამდგარი თავს დაგატყდება, შმაგი მძვინვარებით დაგატრიალებს, გაგხვევს ქაოსში, თავისად გაქცევს, თავის ცოფს შეგყრის, დაგიყოლიებს, დაგიყოლიებს და შენშიდაც აღმუვლდებიან გააფთრებული ქაოსის ხმები, მგლებივით დაუნდობელნი, დღემდის უცნობი და არყოფილი შენთვის.

ასე შევადგი ფეხი ამ სამყაროში, ასე ვეზიარე უფროსთა მოუწყობელ, ძაბუნ ქვეყანას, ასე გაორდა ჩემი არსება, ასე დაიწყო გზა სამარადისო განმეორების, ასე გავხდი უფროსთა მსგავსი, მათი სახისა, მათი გვარისა...

ეს იყო და ეს. მერე ყოველივე თავისი გზით წარიმართა, ისე, როგორც ეს ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრებაში ხდება ხოლმე. იყო სიხარული, იყო მწუხარება. სედიანი, უაზრო, უმგვანო და უსამართლო, როგორც ყოველთვის იყო უმეტეს უმრავლესი... და ბედუქულმართი ცხოვრების გზებზე იყო წუთები, იყო წლები... უხმოდ იხურებოდა კარადის კარი... და ხელს ეჭირა შემორჩენილი ორი მუყაო... მათ აღარავინ ელოდებოდა...

ილიას სახლის ანდერძით, მამისა და მამის სტუმრების გულში ჩარჩენილი გზებით, იმ ანთებული ვარსკვლავის სხივით, დაკარგული მეგობრების სევდა-ნალველით ჩაკირული რწმენათა რწმენით განველე და დავასრულე ჩემი ცხოვრების ყამირი გზა...

შემინდოს მოძმემ, ჩემმა ქვეყანამ და მომავალმა...

1950 წელი, ნოემბერ-მაისი

ქ. კოქჩეტავი

(რუსულად ესე ჩემი ნაწერი ვთარგმნე ქართულად და შევასწორე 1973 წელს დედაქალაქში)

მიზანთროპი

მოთხრობა

მამინ მე ვცხოვრობდი ერთ-ერთ პატარა მიყრუებულ ქალაქ №-ში. დიასახლისი, რომლისგანაც ბინა ვიქირავე, შუახნის ქალი იყო: მაღალი, ჯანმბაგარი, ეშმაკური წვრილი თვალებით, ცოცხალი, მოძრავი და ყოველთვის მხიარული. შეიღები დაებინავებინა, თვითონ კი მარტო სახლობდა. ქვრივის პირობაზე საკმაოდ კარგად ცხოვრობდა. მსუბუქად დააქანებდა თავის ხანდაზმულ ჩაფსკენილ სხეულს და გლეხის უტყუარი ალლოთი, ზოგჯერ არცთუ არა ქორული ხელმოსმით, მარჯვედ მიუძღოდა ოჯახურ საქმეებს.

ხელს არაფრით მიშლიდა. ჩვენი შორ-სიახლოვის ურთიერთობა თუ მეზობლური კინკლაობით არა, აბეზარი მოშინაურებითაც არ მემუქრებოდა. ეს კი მე სავსებით მანყობდა... მაგრამ, თუ დიასახლისთან დაახლოება გამორიცხული იყო, როზასთან დამეგობრება მოულოდნელად და უცბად მოხდა.

როზა იყო უბრალო ეზოს ძალი ლამაზი, მოხდენილი, უხებენვიანი, ფუმფულა კუდითა და ბედნიერი თვალებით. მისი მოგრძო ტანის გულ-მუცლის სითეთრე შეუმჩნეველად და ნაზად ზურგისაკენ გადადიოდა ჩალისა და ვარდისფერში. როზაც, ალბათ, ამიტომ შეარქვეს, რომ ვარდისფერი ბენვი ჰქონდა – გრძელი, სუფთავარცხნილი და ფაქიზი.

პირველსავე დანახვისას მოსაფერებლად გინვევდა და არა მხოლოდ გარეგნობით. ყოველთვის აღფრთოვანებული, სიყვარულით გაჟღენთილი და ალერსიანი იყო. თითქოს აწვალებდა სიხარულისა და სიყვარულის ჭარბი მარაგი და არ იცოდა, კიდევ რაზე და ვისზე დაეხარჯა. ნალვლიანი და გაანჩხლებული არასოდეს მინახავს. ლალი და მხიარული სულ თამამის, სულ ცელქობის გუნებაზე იყო.

როდესაც ეზოდან გამოვარდებოდა და ყეფას გააბამდა, ასე

გეგონებოდათ, რომ მეგობარი მოგეარდა შენი მოსვლით საოცრად აღტაცებული. მოგახტებოდა, გაგლოკავდა, ბზრიალასავით დატრიალდებოდა, სადღაც გაექანებოდა, თითქოს ეძებდა ვის გავუზიარო ჩემი ასეთი უზომო სიხარულიო, თითქოს მეზობლებს იხმობდა: მოდიო, ნახეთ, რა ბედნიერება მენვიაო. მერე ისევ შენ გარშემო წრეს ავლებდა, მინაზე გაგორდებოდა, დაიკლაკნებოდა, კვლავ ფეხზე იყო და კვლავ გარს გევლებოდა – კოპნია და ლამაზი, კეთილი და ალერსიანი, შენით გახარებული და ბედნიერი.

როზა ყველას უყვარდა, ყველას სიამოვნებდა მისი დანახვა: დიდსა და პატარას, ადამიანსა თუ პირუტყვს. ასე გასინჯეთ, კატასაც კი, რომელიც მხოლოდ ზრდილობისათვის იფხორებოდა უხსოვარი დროით ადათი არ შემელახოს და გვარი არ შეეარცხვინოო. ძაღლებს ხომ, ნულარ იტყვიო! გამოჩნდებოდა თუ არა, მთელი უბნის ძაღლები მისკენ გამოვრბოდნენ ზოგი ფეხებში ებლანდებოდა, ზოგი თავს ევლებოდა და ისიც ყველასთან ასწრებდა გათამაშებას. იდგა ერთი მხიარული წკაენკავი, ბლლარძენი, კბენა და კოტრიალი. მისი მოვარდისფრო ზურგი ყველგან ელავდა ხან ერთი მხრიდან, ხან მეორედან გამოუსხლტებოდა ტოლ-მეგობრებს, დაასრიალებდა თავის მოქნილ სხეულს და, ვგონებ, ბექდის რგოლშიაც არ გაუჭირდებოდა მისი გატანა.

ასეთი იყო როზა და იყო რალაც საერთო მასსა და მის პატრონს შორის. ანგარიშმიუცემლად ორივენი ყოფნის უშუალო სიხარულით ლალობდნენ და თამაშ-თამაშით მსუბუქად მიაქროლებდნენ თავის დღეებს.

ასე ვცხოვრობდი ამ ორთა შორის. როზა მოულოდნელობას გამოიციხავდა. ნეგატიური სურვილები, ალბათ, სიბერის პირველი ნიშანია. მოქანცულ გულს არ უნდოდა, რომ რაიმე მომხდარიყო. ის იყო კარგი, რომ არაფერი ხდებოდა... მაგრამ თურმე ვარდისფერ სახლსაც სჭირდა უბედურება. გვერდით საშინელი მეზობელი აღმომჩნდა და თავისი არსებობა პირველსავე ღამეს მამცნო.

შემზარავი ყმული ზედ ყურში ჩამესმა. ნუთუ ღამემ ჩემი მხიარული მეგობარი თავის პირქუშ რაინდად გადააქცია?! მყისვე ლოგინიდან წამოვიჭერი და ფანჯარას მივაშურე. სავსე მთვარის ცისფერი ღამე იდუმალებით შეკრულიყო. უსასრულო მყუდროება სუფევდა და ისეთი ღრმა იყო ეს მდუმარება, რომ იფიქრებდი ვილაც ჯადოქარს ქვეყნისათვის გული ამოუცლია და მისი ძვერა სწორედ მაშინ შეუჩერებია, როდესაც ასე წარმტაცი და განაზებული საოცნებოდ ემზადებოდა.

ეზოს ტაფობი ცარიელი აღმოჩნდა. შორეული ლანდიც კი არსად

იყო. გლოვისა და უიმედობის საყვირმა კვლავ შეანძრია სამყარო... ცისფერი სიჩუმე კიდევ უფრო გაღრმავდა... შემფოთებული თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი. ღმუილი თითქოს საიდანღაც ზევიდან მოდიოდა. ღობის იქიდან რაღაც შენობა იყო მოდგმული. სახურავის სიბრტყეზე ძაღლის სილუეტი მკვეთრად გამოჩნდა. აი, თურმე სად ასულა ქვესკნელის იდუმალი პეროლდი! ცისფერ სინათლეში ჩაკირული შავი ქანდაკება უძრავად იჯდა როგორც „ნოტრდამის“ ქიშკია.

ვის არ სმენია ძაღლის ყმუილი, ვის არ უგრძვნია უნებური ჟრჟოლა?! მაგრამ ეს სულ სხვა გოდება იყო, სულის სიღრმიდან ამოხდენილი გმინვა, რომელიც პასუხს აღარ მოელის, რომელმაც არ იცის თანაზიარი და თანაგრძნობა, ღაღადი, რომელსაც მზიანი დილა აღარ უწერია... ეს იყო განუსაზღვრელი, მიუსაფარი მარტოობის სასონარკვეთა არარაობის იდუმალების პირისპირ...

შესაძლებელია ამ ნეტარ ღამეს გრძნეული გული სიკვდილს ხედავდა ან ბურუსიან სიზმარში იყო ქვეყნის ზღაპრული სილამაზე, ჩვენებასავით ხელშეუხებში, მირაჟით მიუწვდომელი, ზმანება იყო მისი დაკარგული ბედისა... თითქოს ღმუოდა შიშვლად მთენილი სული, სხეულისაგან რომ გათიშულა, სამარადისოდ რომ დაუქარგავს თავისი სადგომი, თავისი გარსი, რომელსაც ველარასოდეს, ველარასოდეს ველარ მიაგნებს...

ტიუტჩრევის ლექსი ამეკვიატა...

„Так смотрят души с высоты на ими брошенное тело“...

მაგრამ ეს არ იყო ციურ ნეტარებას ზიარებული სულის სიმშვიდე, მინიერ ჭმუნვა-ვნებათა შფოთისაგან განრიდებული. ეს იყო გამოუთქმელი სასონარკვეთა, დაუხვეწელი ლტოლვა, გულშემზარავი მნუხარება სხეულისათვის, სიცოცხლისათვის...

მინას და ცასაც წვდებოდა საიქიოს მაცნეს ღაღადი. მისტიკური სპექტაკლი იყო ცისფერი ღამე და შავი ლანდი ბედისწერასავით აღმართული მის ლურჯ სივრცეში...

ედგარ პოს ყორანი თუ შეეხიზნა და რაღაც საშინელებას მაუწყებს იგი, ან იქნებ დემონი იყო ყველასაგან შეჩვენებული და გარიყული...

ლანდი შეინძრა, ფეხზე წამოდგა, სახურავის კიდესთან მივიდა და იქ გაქვავდა. ნეტავ სად იცქირებოდა? სიცოცხლის ნიაღში თუ არარაობის უფსკრულში? დიდხანს იდგა უძრავად, მერე უაზროდ აბორიალდა, შემფოთებული ანრიალდა თავის კვარცხლბეკზე. რაღაც ნკმუტუნი მომესმა, რაღაც ბუზღუნი, თითქოს მუქარა, თითქოს ტირილი... მერე ისევ შუაგულს დაჯდა... შავი ფრთები კვლავ გაიშალა, ღამის სიღურჯეს დაემხო და ცისფერი სინათლე ჩააქრო...

თავი ბალიშში ჩავრგე...

შემდეგ დღის სინათლეზე ვნახე ვეებერთელა ძალი იყო, ძვალკუნთიანი, ალბათ, მეტად ღონიერი. რუხი მოკლე ბენვი ალაგ-ალაგ შავი ლაქებით ჰქონდა მოთხუპნული, თითქოს ვილაცას მუჭა-მუჭა გაზეთილი მური მიეყარა მისთვის. უსიცოცხლოდ გაშეშებული და უდრეკი უცნაურად დადიოდა. ზამბარაშემართული ავტომატივით ჯერ მთელ ტანს უკანა ფეხებზე აზიდავდა და მხოლოდ მერე ტყუპად გადაადგამდა გახვევებულ წინა თათებს. ფეხები მომტკრეული ჰქონდა. მისი უმიზეზო სიავით დაფეთებული გამვლელები ცემდნენ და ესროდნენ ყოველივეს, რასაც კი მოიხელთებდნენ.

რალაც გაუგებარი შურისძიებით იყო ანთებული, რალაც ბოროტების დაუცხრომელი ჟინი ახრჩობდა. დიდსა თუ პატარას — ყველას უღრენდა და გულის გასახეთქად მისი ბრაზიანი ყეფაც კი კმაროდა.

არ ვიცი, რამ გააბოროტა. შესაძლებელია, პატრონმა დაგეშა ასე. დიდმა სიყვარულმა დიდი სიძულვილი ასწავლა და ასეთ სიავეს გულმოდგინე სამსახური უკარნახებდა, ან, იქნებ, უშნო, ახმახი ტანი ტოლ-ამხანაგებს უკან ახევიანებდა, მარტოობას მძლავრი კუნთები და ბასრი კბილები უქმნიდა. არ ვიცი რატომ და რისთვის, მხოლოდ ეს კია, რომ ძალს ყველა სძულდა ბრმა სიძულვილით და ყველა ამითვე პასუხობდა. კაცთაგან მოძულეებული, სასტიკი კაცთმოძულე იყო.

თუ ფანჯარაში დამინახავდა, დიდ ბრტყელ თავს უნდოდ გასწევდა, მთელი ტანით ისე შეტრიალდებოდა, თითქოს უბრად იყო ჩემთან და შეხედვაც კი ეზარებოდა. როცა მზე გამოანათებდა და ირგვლივ სიცოცხლის ჟრიაშული ინყებოდა, მიზანთროპი სადღაც გადაიკარგებოდა. თავს არიდებდა სინათლეს, ყოველ სულდგმულს და თვით სიცოცხლეს. ყველას გაურბოდა ბედშავი და ყველა გაურბოდა მას, ვგონებ, პატრონიც. კუდიც კი მოკვეთილი ჰქონდა, თითქოს ვილაცამ ივარაუდა, რომ სიყვარულით კუდის გაქნევა არასდროს და არავისთან დასჭირდებოდა. გარიყულმა და კაცთმოძულემ, ამპარტავანმა და ქვეყნის ურჩმა არ იცოდა, რა იყო კუდის ძალღური ქიციანი.

ზოგჯერ მთელი დღეები არ ჩანდა, მერე მოულოდნელად გამოანათებდა, ვინმეს თავს დაატეხდა ბრაზით ადულებულ გულისწყრომას და ასევე მოულოდნელად გაუჩინარდებოდა. ბიჭები არასოდეს ახელებდნენ, მაგრამ, თუ თვალს მოჰკრავდნენ, ისე არ გაუშვებდნენ, უკან ჯოხი ან ქვა არ დაედევნებინათ. ყრუ და ბრმა იყო ორივე მხრიდან ეს შმაგი მტრობა.

მიზანთროპი უფრო ხშირად თავის კვარცხლბეკზე მინახავს. იქ მედიდურად მიდი-მოდოდა. ზოგჯერ ზევიდან მრისხანედ ჰქუხდა მისი ყეფა. რად ყეფდა, ვის უყეფდა?! ვის უმიზნებდა გოროზ მუქარას?! ვისთან უნდოდა ორთა ჭიდილი, ვის ამარცხებდა, ვის გამობდა?! ცას ემდუროდა თუ დედამინას?! ზოგჯერ, როგორც იმ ღამეს, სახურავის კიდესთან გაქევავებოდა და დიდხანს უმზერდა იქიდან ქუჩას...

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, სამსახურში ნასასვლელად გამზადებული ქუჩაში გამოვედი. რა თქმა უნდა, იქ საპატიო ესკორტი მელოდებოდა. როზა ყოველთვის მაცილებდა, მას კი უზნის ძალღებები აეტორღილებოდნენ ხოლმე. ასეთი ფართო „საზოგადოების“ თანხლება მაიძულებდა შუაგულ გზაზე მეარა და, ალბათ, დიდად სასაცილო იყო ეს უჩვეულო კორტეჟი, მაგრამ როზას ხელს როგორ აუუქნევდი?!

როზამ დღესაც მხიარულად შემომყეფა, შემომახტა, გამლოკა, მერე თანატოლებს ჩაუქროლა, გაიკუნტრუშა, სხვებიც აიყოლია, ისევ ჩემთან გაჩნდა და ჩემ გარშემო დატრიალდა. სხვები შორიახლოდან იმზირებოდნენ და მორიდებული კმაყოფილებით კუდებს აქიცინებდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ როზას მიბაძვა უტიფრობა იქნებოდა და მისი უპირატესი უფლების შელახვა.

მოულოდნელად მიზანთროპი შემომეფეთა. ეზოს კარებთან იდგა და ყურადღებით იცქირებოდა. ჩემ გარშემო სიყვარულისა და მეხვედრის ბედნიერება სუფევდა.

უეცრად დაიძრა და ჩვენკენ წამოვიდა. ყვითელი თვალები შორიდანვე გამიყარა. სახტად დავერჩი და გავეშედი. ეს იყო უჩვეულო, არნახული ამბავი. როზამ ხტომა-კუნტრუში შეაჩერა და ანგარიშმიუცემლად გვერდში ამომიდგა. დანარჩენებიც შეჯგუფდნენ. ყეფა და ღრენა არ იყო. სრული სიჩუმე იდგა. ის ტყუპად ადგამდა თათებს და ბეჯითად მოინეედა ჩვენკენ. პირისპირ მოვიდა. ჩემ წინ გაჩერდა. ყვითელი თვალები გამიშტერა. ურჟოლამ ამიტანა ან მეცემოდა, ან ძაღლები ერთმანეთს დაერეოდნენ და ატყდებოდა ორომტრიალი.

უეცრად მან ახმახი ტანი აზიდა, ყალყზე გაიჭიმა და... მძიმე თათები მხრებზე შემანყო. თავბრუ მესხმოდა, აგერ-აგერ ჩავიკეცებოდი.

ბრტყელი თავი ორი მტკაველით იყო ჩემგან დაშორებული, ანთებული ყვითელი შუქი თვალსა მჭრიდა და მაბრმავებდა. არ ვიცო, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს უცნაური სანახაობა. მას შეეძლო მცემოდა, თავ-პირი მოეჭამა, მაგრამ რატომღაც მაშინ ამაზე არ მი-

ფიქრია, ვგრძნობდი, რალაც უჩვეულო ხდებოდა, რასაც, ალბათ, ვერც გავიგებდი.

რატომ მოვიდა, რატომ შემანყო მხრებზე თათები? არც მომეფერა, არც დამიღრინა. თვალს არ მაცილებდა, რალაც გაოცებული კითხვით მიმზერდა, რალაც დაჟინებული მოლოდინით... არა, ეს უცნაური მზერა ჩემ იქით მიდიოდა, თითქოს გულისყური შიგნით ჰქონდა მიმართული. შეპყრობილივით ახირებული, რალაცას უსმენდა, რალაცას ელოდა მძაფრი მოლოდინით. თითქოს იქ, მისი არსების სიღრმეში რალაც უნდა მომხდარიყო, რალაც ბედნიერი და საზეიმო უნდა დაბადებულიყო, ის რალაც, რაც ყველასი აი, ამ ერთობას ქმნიდა, ასეთ ლალ ნავარდს, ალერსიან ნკავნკავს და მხიარულ კოტრიალს. აი, ამ მხრებიდან, ამ მზერიდან უნდა ნამოსულიყო მისთვის უცნობი ნაკადი.. განა როზა ასე არ იქცეოდა? ალბათ, აქ არის სადლაც სიცოცხლის ეს ჯადოსნური ძალა. იგი მიაგნებს თავის კუთვნილს და მაშინ გაქრება ყრუ კედელი, ასე უსამველოდ აღმართული მასსა და ქვეყანას შორის...

რა ვიცი, რას მოელოდა, ან რა უნდოდა... რისთვის შემანყო მხრებზე თათები ამ უბედურმა... თავზე ფრთხილად ხელი გადაუხვი, მაგრამ დენი არ გაჩენილა და ლალი სიხარული არ აუღერებულა მის არსებაში, თითქოს, მიხვდა, რომ ეს გაუბედავი ხელის მოთათუნება იყო. მხოლოდ მოკრძალება მისი უიმედო განწირულების წინაშე და კიდევ შებრალება ქედმოხრილი დამარცხებული სიამაყისა.

ძალლებს კუდები დაეშვათ. მის ირგვლივ ყრუ სიჩუმე იდგა, მისი მარტოობის ცივი მდუმარება... აი, თურმე რა ყოფილა განდევნილი და ქვეყნის ურჩი... მარტოობის მწირი უდაბნოს ამპარტავანი მფლობელი...

მის თვალეში ნაპერწკალი აკიაფდა. იდუმალ სიყვითლეში რალაც გამოუთქმელმა გაიელვა, მერე ისეე ჩაქრა... მიზანთროპი მინაზე დაეშვა, გატრიალდა და თავისი უცნაური ხტომა-ხტომით პატრონის კარებს მიაშურა. იქ გაქვადა. მზერა კვლავ ჩემკენ ჰქონდა მოპყრობილი. ვერაფერს მიუხვდი, ვერ გავუგე საბრალოს. ალბათ, მომეჩვენა — თვალეში სითბო ჩაუდგა. თითქოს პირველი ცდა ჩაატარა და კმაყოფილი დარჩა... მაგრამ, რა ვიცი... გული ბოლმით ამევსო. გამოვტრიალდი და სამსახურის გზას დავადექი. ესეც მომეჩვენა ალბათ, დარცხვენილი ძალეები ჩუმად მომყვებოდნენ. მალე გამცილდნენ.

ორი დღის შემდეგ გავიგე — მიზანთროპი ვილაცას მოეკლა.

10 იენისი, 1961 წელი, დედაქალაქი.

ჩემი ახალგაზრდა კოლეგებო!

გამოსაღმების უამს, ჩემი ცხოვრების, რა თქმა უნდა, მეტად დრამატულ ნუთებში, მინდა თქვენ წინაშე უკანასკნელად დავაბალანსო ჩემი ნაფიქრ-გამოცდის ანგარიშები.

ჩვენი საქმისათვის მე არ ვყოფილვარ შემოხიზნული გადამთიელი და ვიგინდარა. მისი მკვიდრი გახლავართ.

გეგმიური მეურნეობა ჩემი თაობის ახალგაზრდობის გარიჟრაჟზე ჩაისახა. ჩვენ დავარწიეთ მისი აკვანი, ჩვენს ხელში აიდგა მან ფეხი. ჩვენს მხრებზე გადაიარა სუსხიანმა ხუთწლეულების ბობოქარმა ეპოქამ.

კაცობრიობის წარსულსა თუ აწმყოში, მეცნიერების მტვრიან ფოლიანტებსა თუ ახალშობილ ტომებში ვერას, ვერას ამოიკითხავდი და ისწავლიდი, სანიმუშოდაც ვერას ისესხებდი. სწორედ ამიტომ ჩვენი დრო იყო ჭმუნვა-ყოყმანის დიდი ეპოქა, ეპოქა ბრძოლის, მძაფრი ძიების, მგზნებარე მიგნებისა და გაბედული გადწყვეტისა.

„გზები უვალი“ ჩვენგან „თელილი“ ჩვენივე იკირწყლებოდა.

უკაცრიელ ყრუ ადგილებში თუ ქალაქების ქუჩაბანდებში, ხშირად დაბურულ და გათოპილ სადგომებში, ვით უჩინარი ქონდრისკაცები ჩვენ ვმუშაობდით დღელამურად. არსად ვჩანდით, ისევე, როგორც არ ჩანს ჰაერი... ჩვენ შესახებ სიმღერებს არ მღეროდნენ. გმირი არ გვყავდა (აღბათ, არ იცის დიდმა ქორალმა ხმა ცალკეული).

იტყვით მენდელეევის ტაბულა, რენტგენის სხივები და იცით, ვის უნდა უმადლოდეთ. ასე არ იყო ჩვენს შემთხვევაში. არავინ იცოდა, ვინ წამოიწყო, ვინ გააგრძელა და ვინ გამართა. შედუღებულ მუშაობაში იჭედებოდა ჩვენი სადღეისო აღჭურვილობა. ეს იყო ჭეშმარიტად ერთობლივი შემოქმედების დიდი ფერხული, რომლის ხილული მთლიანობა მრავალ უხილავ პლასტიკურ მოძრაობათა ნაწილაკებისაგან შედგებოდა.

უჩინარობა არ გვანალღებდა. ფერხულის რიტმი გვიპყრობდა და გვახლებდა მიგნების მხურვალე სულისკვეთება.

ამბობენ: ანაზღეულად ბუდა წაანყდა დაკოდილ არწივს. შეიცოდა, ღმერთს შეავედრა და საზღაურიც აღუთქვა. მყისვე დაეშვა სასწორი ციდან. შთაგონებულმა მოტეხილი ფრთის საფასურად უმაღლე მკლავი მოიკვეთა, მაგრამ სასწორი არ შერხეულა. მოიკვეთა ფეხიც, მკლავს დაანონა, შემდეგ მეორეც. სასწორი კი არ გათანაბრებულა. მაშინ მიხვდა ბუდა, რომ გამოზომილი შეწირ-

ულება არ მიიღება და მთელი სხეული შეაგდო სასწორის თეფშზე, რომელიც მყისვე გაუთანაბრდა მეორეს. მძლავრად მოიქნია არნივმა შეხორცებული ფრთები და ცის კამარას მიაშურა.

მიზანს ის აღწევს, ვინც საქმეს მთელი გულით მოეკიდება, ვინც არ არწყავს საკუთარ ძალას, არ გაზომავს, რადგან საზომად არც არსენას ადლი იადლებს. უსაზომოა იგი ძალა და მთელ არსებას უდრის. მხოლოდ ასე და მხოლოდ ასე თუ შეიძლება ცხოვრება. რადგან სიცოცხლე შემოქმედებაა და შემოქმედება თვით სიცოცხლეა. ამის გარეშე საქონლის ჭაპანწყვეტაა, მონური უილაჯობა და გაუხარელი კაცუნას ვაგლახი დაბუნი. მაშინ მკედარია ადამიანი საქმისათვის და საქმე მკედარია მისთვის, ისევე, როგორც მკედარია ლეგენდის ცნება იმისათვის, ვისაც ცხოვრების აზრი მსუყე სუფრასთან ცოხნა ჰგონია!!! ვით კეთრს, უნდა ერიდო ასეთ ხვედრს და იგემებ ბრძოლის სიხარულს, გახდები უტეხი და გაბედული, შეუცდომელი და გამარჯვებული, ის ბედნიერი შემოქმედი, რომელიც „ინვის და არ იფერფლება“, ის ბედნიერი ადამიანი, რომელმაც მიაღწია ადამიანობის უმაღლეს მწვერვალს – თავისუფლებას. რადგან არ არის უმეტესი უბედურება, ვიდრე მონობა და უფრო დიდი ბედნიერება — თავისუფლება. მაგრამ თავისუფლება ხელაღებული თავენებობა არ არის...

ეკონომისტების დიდი არმია ემსახურება დიდ საქვეყნო საქმეს. მესაჭეობაც მას ეკუთვნის.

დასრულდა მორფოლოგია. ბევრი ხანია დაიწყო ჩვენი საქმიანობის მეცნიერული დამუშავება, გაშალაშინება. შექმნილია უმდიდრესი ლიტერატურა. უფრო მძლავრად დიდი ძიება დღესაც გრძელდება, ან თვალსაჩინოდ და, შეიძლება, უფრო იოლად, რადგან უკვე არსებობს ისტორია, წარსულის ხორცშესხმული ნაფიქრ-ნააზრევი.

რომელიღაც აღმოსავლური რელიგია, არ ვიცი რატომ, მართლმორწმუნეებს უკრძალავდა შაბათ დღეს საქმიანობას და მით უფრო ამ მიზნით ხმელეთით მოგზაურობას. მორწმუნეს, თუკი სადმე მიემშურებოდა, წყლით უნდა ემოგზაურა -- გემით ან ტივით და, აი, უფალს რომ არ წყენოდა და მიწიერი საქმეც ასრულებოდა, წყლით სავსე დოქებს ფეხქვეშ ილაგებდა და არხეინად ხმელეთით მიემგზავრებოდა დარწმუნებული, რომ მოხერხებულად მოატყუა თავისი ღმერთი.

არ ვიცი, რითი თავდებოდა ღმერთისა და კაცის ასეთი ანგარიშები. მოგეხსენებათ ღმერთის სისასტიკე და ჯოჯოხეთის მკაცრი სასჯელი.

მაგრამ ყველა რელიგიის ყველა ღმერთზე უსასტიკესი და ულმობელია ერთი, უფრო მრისხანე, ვით იელოვა. მის ფხიზელ თვალს ვერაფერს გამოაპარებ და წყლით სავსე დოქებით ვერ მოატყუებ. ეს გახლავთ ეკონომიკის ღმერთი, მისი რკინის კანონზომიერება. შეუწყნარებლად სჯის იგი ურჩებს, ვინც კი შებლაღავს მის უტყუარებას. საიქიოთი არ გემუქრება, სააქაოთი გსჯის, აქვე, ამქვეყნად. არას გაპატიებს, არ შეგინდობს, დოქებს მიგიმსხვერვეს და იმ ნუმპეში ამოგახრჩობს შენც და საქმესაც. მინას ფეხქვეშ გამოგაცლის, ცას ზევიდან დაგამბობს...

ადამიანი გახდა ბუნების ძალთა ბატონ-პატრონი, რადგან ამოხსნა მისი კანონი, შეიცნო უცილებლობის იდუმალება, კანონზომიერებათა გარდუვალობა. ამით გადიგდო ყმობის უღელი, თვითონვე დაიმორჩილა და თავის სამსახურში ჩააყენა ბუნების ძალნი.

ასეთი იყო და ასეთი არის ჩვენი ძირითადი ამოცანებიც: ეკონომიკის კანონზომიერებათა ზუსტი მიგნება, მათი გამოვლინება და სანარმოო ძალთა განვითარების სწორი მიმართვა.

ამ საკითხებში ეკონომისტი უნდა იყოს დაუთმობელი, გაუტყუებელი და თავისუფალი, ამ სიტყვის სრული და ფართო მნიშვნელობით (წყლიანი დოქების გარეშე).

„თავისუფლება სხვა არა არის რა, თუ არა შეცნობილი აუცილებლობა“. ამის შეგნება უტყუარი წინამძღვარია კაცობრიობის, ადამიანის სუვერენული მეუფეობის, თავისუფლების, ბედნიერების... ასე გვასწავლის მარქსის დიდი მოძღვრება.

ეკონომიკის „ღმერთის“ ერთგულ ქურუმებს, მის მებრძოლ ლაშქარს ჩემი სალამი და გულითადი სურვილი ყველგან და მარად გამარჯვებისა.

*ულრმესი პატივისცემით ლიზიკო ქავთარაძე
დედაქალაქი, 25.04., 1964 წელი*

„ეს ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორს ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერ მიყვარს სამშობლო“.

ლევან გოთუა. ეორკუტა 19516.

მანძილი, საკანი, ჯურღმული, დროის უსასრულობა, მარტიროლოგია, ფიქრი-ანალიზი, ოცნება ტუსალის (ზეკის) ცხოვრებაა, ხშირად გამოხატული უფერული ქალაქის ნაგლეჯზე, წერილებში. ლიზიკო ქავთარაძე პროფესიონალი რევოლუციონერი იყო. მის წერილებში მისი მსოფლმხედველობა, შემართება, დაუნდობელი პრინციპულობა (ახლობლების მიმართაც კი!) ჩაკირულია. ამავე დროს ფაქიზი გრძნობები დედ-მამისა და ოჯახის მიმართ, სადაც სთხოვს შენდობას იმ მწუხარების გამო, რაც მისმა პროფესიულმა მოღვაწეობამ მათ მიაყენა.

მისი ეპისტოლარული სფერო ცალკე განხილვის საგანია, რასაც გამომცემლობა შემდეგ გამოცემაში მოგანვდით, აქ კი გთავაზობთ მხოლოდ ორ წერილს.

„დიდი სიტყვაა წარსული... იგი მხოლოდ პირუტყვეებს არ ჭირდებათ“

(„ჯვარი ვაზისა“ 1. 20046.)

Леся! Гия неожиданно собрался в Москву и я спешу хотя-бы немного сказать из того, что тяжелым грузом лежит на душе.

«Я научилась отличать фальшивые камни от настоящих и поняла их истинную цену». Так примерно говорила ты уезжая из лагеря. Такой я знала тебя и такой любила. Нас сроднил не лагерь, а отношение к нему. Мы не смогли бы личные чувства укрыть в их собственной скорлупе, абстакгировать от этого страшного мира безумных ошибок, просчетов, насилия и преступлений, а так-же от главного и основного, что мы носили в душе.

Этот мир для тебя был, в какой то степени, неожиданностью и вызвал перелом. Для меня же его процессы были предвидимой закономерностью.

Мы шли разными путями и сошлись не на компромиссе, а именно на этом переломе. Мы смотрели не с одного окна, но мы искали и могли принять только правду и только правду. Все было ясно и понятно. Но вот наша последняя встреча и два, с виду незначительных факта:

1) На мои сетования ты ответила: «Грузинские ребята Бальзака могут читать и на русском языке.» – Звучало декларативно, жестко, раздраженно. В нем эхом отдался глухой шум прессы, взбалмученной подводными течениями. Дело, конечно, было не в тональности, но и по смысловому значению оно смахивало на императивное заявление.

Ток вот где оказалась ты! Но может это непродуманное замечание недопонимание того, что подобные высказывания имеют свою определенную ориентацию и свою непреодолимую логику, что это целая программа, а попробуй развернуть эту программу во всей ее последовательной полноте в ее исходных, мутно-грязных посылах, в ее аргументации «силою штыков»; в ее заключениях и выводах ликвидировать сокровенное, дорогое, что сохранялось мучительными тысячелетиями и, а это прежде всего, не тебе принадлежащее и не твоей кровю сбереженное. Мы зрелые люди и слишком хорошо знаем, как звучат слова на языке фактов.

Проверь и с другой стороны: Cui Prodest?* Кто бы мог голосовать за такое предложение, Леся? Шульгин, обними руками, да? Впрочем он уже это сделал, склонив свою седую волчью голову перед предприимчивыми и расторопными единомышленниками. Затем проголосуют и те из союза архангела Михаила, но им еще предстоит сказать свое и по своему. Сними один разговор – по Крылову. Но ты-то, как могла попасть в их компанию?!

2) Азербайджанец (не знаю его имени ни характера и степени

* (ლათ.) ვისთვისაა ხანარგებლო? кому выгодно?

ваших взаимоотношении) в твоём доме повторил то, что на улицах и базарах говорит чернь (в самом худшем смысле этого слова) – Сталин покровительствовал Грузии. Вплоть до освобождения от с/х палогов.

Твой гость и мой непосредственный сосед не мог не знать, что с/х палогов снижались везде для районов технических культур и в т.ч. для хлопководческих районов его родины. Он не мог не знать, что не в какой республике «наши покровители» не отчуждали земель с такой преступной беспардонностью, как они это делали в «покровительствуемой» ими Грузии. Не говоря уже о щедрых подарках в пользу богатой (землями) России и Армении. Азербайджану досталась жемчужина Кавказа Санигило, область Грузии в 20-тью тысячным грузинским населением, где все эти т.к. Азербайджан тоже обречен на обрусение, если только милостью шульгиловского бога «великая и неделимая» завершит свое дело №1 – бурно-интенсивную колонизацию и русификацию т. н. республик – своих «младших братьев». Твой гость и мой сосед не мог не знать, что под эгидой «покровителя» с 21г. Грузия истекла кровью, что методически уничтожалось все передовое, мыслящее и морально-устойчивое; что только в одну ночь и только в Тбилиси, в 24 г. было истреблено 6 тысяч лучших, отборных людей, цвет молодежи, первый сорт, как ты любила выражаться. Их списки прошли через мои руки потом. А ведь таких ночей было не одна и не два, и было так не только в Тбилиси, но и повсеместно.

Он не мог не знать, что масштабы 37г. в «покровительствуемой» Грузии, не идут в сравнение ни с какой республикой, в т. ч. и с Москвой. Я говорю об относительных соотношениях, досталось всем, дай боже! И, что в 49-50-ых годах, когда везде, более или менее утихомирилось, Из Грузии все шли и шли эшелоны увоза на север 30 тыс. или 50 тыс. точно не знаю политзаключенных с членами их семейств.

Вот такие были у нас «покровители». И это знали все, кто хотел что-нибудь знать. Я ответила ему резко, ты пашла возможным взволнованно /говоря мягко/ упрекнуть меня, что в твоём доме я позволила себе беспочтительное отношение к твоему гостю. Но ведь я была далека от дипломатических корпусов. Ты извини меня, пожалуйста, и не думай, что я позволяю себе хамство грубо извять тебя. Я просто хочу объяснить, что я воспитывалась в прокурорских, холостятских компаниях, где падрывались в жарких, жадных, беспощадных поисках истины; где грань за гранью, часть за частью лихорадочно, именно своими руками, просучивался мир, где люди не мыслили себе полуправд, а за правду и жизнь отдавали.

Мне известно, что людям свойственно ошибаться, но «ошибаться» в пользу господствующих настроений: грязных, провокационных, разжигающих дурные чувства – имеет свое имя, будь оно вовсе и не

провокатором, а простачком. А ведь в добрые времена такого «гостья» гнали из порядочных домов?!

В лагере ты отличалась замечательным чутьем распознавать из какого материала сделан человек. Ты сурово отгораживалась от ходульных, безответственных, от плоских туниц и от изворотливо-цветистых, от людей холуйской и рабской повадки (если даже от всей души) словом от всяких и разных подонков: по уму, по сердцу, по низкопробности материала, если даже все это было в потенци. Ты была очень разборчивой и не всякий мог рассчитывать на твоё гостеприимство.

Наберишь терпения и послушай еще немного о том, в какой обстановке столь «невишно ошибался» твой гость.

Известно, что кино массовое, наиболее действенное, опасное или полезное дело. Фильм – большой детский интернат. Там русские и не русские дети, среди них один единственный мальчик – грузин. Все как должно быть, дети как дети, с негативом и позитивом детских порывов. А вот этот единственный – испорчен до мозга костей. От природы такой, понимаешь: монстр, аморальное чудовище! Поражало изощренность режиссера, который для него изготовил подлости один хуже другого. И этот фильм, с благословения – вышестоящих – смотрится детьми!

Второй – ереванская продукция: год – 1917-тый. Камо – Лениным направляется в Тбилиси, с особым поручением, и конечно, к Шаумяну, с ним солдатик-грузин, великовозрастный болван (от природы), этакий туница-дурачек на фоне великодушного Камо! (гроготельно ведь!). Грузины №2 – спекулянта сбрасывают с вагона. Спекуляция, мелкая и крупная торговля тогда была в руках армян. Такого грузина (ведь это должно было быть типичным) при самом тщательном прочесе сыскать было трудно. Грузины №2 – у Деникина, с белогвардейцами. Камо снимки сталкивается по дороге и крушит их как Гулливер. И наконец грузины №4, в Тбилиси, у входа же – жалкие, безмозглые пьяницы, они правда, не имели отношения к Камо (просто жапровая картинка), но великодушный Камо, из революционной шепетильности, их великодушно уничтожил, сбросив всех в какую то канавку. После такого революционного подвига, он пошел искать вместе со своим болванчиком Шаумянца, единственного адресата Ленина (куда уж там грузинам!). Бедный Камо! Хорошо, что он не ложил да такого своего прославления. От стыда он захотел бы еще раз разломить себе голову об электрический столб.

Первую из своих трех книг, посвященных древней армянской истории, Тацит начинает так: - Двуличие армян известно всему миру. – Я, конечно, далека от таких обобщений, но представлять в таких «колоритных» разрезах страну, которая была в авангарде революционного движения, немножечко больше чем подлое двуличие.

А ведь ни одно самое захудалое сценарийко не проходит без цензуры

и санкции Москвы! Дело конечно не в даншакский шайке какой то килогруппировки. Но это знаменитое времени и об этом странно думать.

Страна тупиц, болванов, пьяниц и сискулянтов из революции вышла с социалдемократическим правительством, избранным свободным волеизъявлением народа. Его состав мог оказать честь любому просвещенному, демократическому государству Европы. Европейские рабочие прислали к нам свою ставку (IN CORPORE* и на высоком уровне): Каутский, Макдональд, Рендель, Ван Дерельде и другие. их поразило и они много писали о большой революционной перестройки осуществляемой прогрессивным народом с прогрессивным правительством во главе и... о чудеса! без большевистского каннибализма!

Дан пишет о Чхеидзе: - Революционная Россия, пролетариат должны знать кому об'язаны они тем, что в годы разгула контрреволюции, а затем и все десять лет, непереставал звучать на весь мир обличающий голос его представительства. впервые услышанный в думе зубров (так именовалась 3-ья дума - реакционного большинства). Дан, Гуревич (всех не перечислишь) рассказывают сколько такта и большого государственного ума проявлял Чхеидзе заставляя себя слушать, в условиях зажима, травли, жестких рамок думских наказов, направляя все свои усилия на то чтобы поднять, сплотить, воодушевить и вооружить разбитые ряды революции. В IV думе, по требованию Ленина, Маниловский отколол от С. Д. в самостоятельную фракцию большевиков. Задание расколоть и ослабить Маниловский получил одновременно и от жандармерии. Разоблаченный Буршавым, провокатор бежал за границу. Тогда надо было видеть с каким политическим мужеством, достоинством и тактом Чхеидзе сомкнул ряды фракции, вновь приняв оставшихся без председателя большевиков. Он сумел это сделать перед лицом злорадствующего врага и сумел так, что скандал не вошел в актив этого врага, а послужил посрамлению и разоблачению мерзостей самодержавия. Это он первый и кажется единственный в Европе голосовал против войны, против военных кредитов, несмотря на давление справа и слева, его авторитет был так велик, что его, избранника всей революционной России первым председателем Всероссийского Совета, победившие в Советах большевики, просили остаться в той же роли. Но Чхеидзе отказался сотрудничать с большевиками. Марсель Каиен прибывший в составе делегации, которая настаивала просила о продолжении войны в пользу союзников и Каиен проливавший тогда слезы об Эльзасе, вовсе не заботясь о судьбах русской революции, негодовал на Чхеидзе за его суровый отпор.

* (ლათ.) სრული შემადგენლობით, в полном составе.

«На примере К. Чхеидзе доказано, что маленький народ может дать большого человека, когда зачастую большой народ этого сделать не может». Отнюдь не товарищ по оружию сделал такое эксцентричное заявление в пользу страны болванов, пьяниц и спекулянтов (Минор).

Еще могу сказать, что когда Чхеидзе нельзя было избрать, от тупиц и спекулянтов Ц.К РСДРП-е поступило специальное письмо, что стране надо сделать все возможное, чтобы пойти на место Чхеидзе хоть на половину его стоящего. Был избран и послан И. Церетели, который, как говорили злые языки врагов (Денкици, Краснов), да впрочем и друзей тоже, оказался не только в половине, но и что-то слишком стоящим. Кстати, не помню в какой Думе, соотечественники (дельцы, спекулянты), подделали документы Церетели, которому для избрания требовался 25-летний возраст в то время, как ему было только 23г. «Двух лидеров русской революции», как их тогда именovala вся Европа, дала страна, удельный вес, которой в России составлял не 10, не 5, и не даже не 2, а всего на всего 1,25%.

Но меньшевики это «прохвосты» или «охвостье буржуазии» - не в счет или в дурной счет. Оставим их плакатной историографии. А вель и в стране победившего большевизма грузины играли не последнюю роль в т. ч. и Джугашвили (а мы только так его знали).

Надо и надо напомнить, что Джугашвили по своим качествам не привился на своей родине. В 21 году его штгыками импортировал в Грузию русский большевизм, но уже, как Сталина. Там была благодарная почва и он вырос в огромную фигуру с соответствующим огромным вкладом в историю и положительным и отрицательным и тут уже «не прибавить, не убавить». Прокрустовому ложу русской историографии ничего не дано.

Есть ли предел бесстыдству?! Да я смотрела этот фильм с великодушным Камо и мне было стыдно за страну Декабристов, за страну Плеханова, Чернышевского, Герцена.

Мне казалось, что ты меня хорошо знаешь, и что ты понимаешь, что во мне говорит не раздраженное национальное самолюбие, но ты все таки нашла возможным упрекнуть меня, защищая традиции гостеприимства.

Неужели ты не понимаешь с какой глубокой тревогой я смотрю на все, что творится. что для меня эти опасные умопастросения знаменуют серьезные и опасные дела?! я знаю и то, что в таких исторических ситуациях люди, которые сознают свое бессилие (законы — отличны и приливы истории) бегут кто куда: в прошлое, в декадентство, в потусторонний мир(не случайно тесософия расправила крылья!) бегут и в итальянский фашизм тоже. Я знаю, в своем горячем увлечении ты далека и не видишь многого, что творится под носом. Но если итальянской интеллигенции не уйти от моральной ответственности за фашизм, то что

сказать о русской интеллигенции?!

Ты пишешь блестящие статьи, по всем качествам они вызывают и во мне восхищение. Это полезно и нужно. Но спрашивается, зачем эти Эпиграфы? Они подешовке подчеркивают твою позицию, якобы по этой стороне все благополучно с точки зрения высокого авторитета здешних дел ты в праве страстно бичевать и обличать. Право на такую страстность тебе и так даст решительная воля всего прогрессивного человечества и быть может сознание и того, что не все благополучно и на этой стороне.

Но может ты стала думать по другому? Если бы ты это мне сказала, я не поверила бы тебе, Леля. Не поверил бы и Кин. Не поверил бы и В. Шнейдер, который горько острит, что он сидит в Академии, что бы, не дай боже, курчавые не проскользнули туда.

Ты конечно понимаешь, что проблемы наши не сужаются до национальных рамок. Это только симптомы, а дела, которые внушают тревогу гораздо больше и шире.

Я писала тебе, что проплакала всю книгу и поняла, как ты мне дорого, как я люблю тебя. Я одна. Леля, Вокруг меня только могилы моих безмерно любимых друзей и товарищей, погтя, которых я не стою. Там и могила Кина тоже. Но мне никогда не улыбалась роль жены Лота и не только могилы мешают мне благодушно и учтиво слушать таких, воленис-ноленс, политических мородеров, интеллектуальных босяков и бродяг, каким я восприняла твоего гостя.

Быть может это наш последний разговор, но и не хочу этому верить. Я вижу твои чистые, искренние глаза, правдивые и горестные и готова рветь и сейчас. Я знаю, что у тебя горе и мне так хотелось бы сейчас сидеть с тобой рядом. Но жизнь очень суровая штука и что бы она не стала еще суровее надо быть, прежде всего, суровым к себе, правдивым перед самим собой.

1966г. Кажется октябрь

Гриша! Как бы я могли ответить на письмо вот с таким милым восклицанием: «но и возраст чему то учит»... Мне кажется, уважающий себя человек вовсе не ответит, а человек лишенный этого чувства ответит в том же стиле.

Но хотя даже возраст не смог во мне исправить погрешности природы, я все таки не могу отважиться на такой стиль, не могу, потому что понимаю, как глубоко Вы любите Лелю и в какой степени «запальчивости» (тоже Ваше выражение) Вы написали мне то, что не достойно ни Вас, ни меня.

Там, где любовь, там и понимание. Это Большое чувство очень часто боль, сочувствие к объекту любви люди воспринимают, как

понимание отсюда субъективность исключаящее объективность, отсюда «большое ослепление». пользуюсь опять Вашим выражением. Мы с Вами отлично понимаем, что такое «большое ослепление» и главное одинаково обвиняем друг друга в этом грехе.

Ваше «большое ослепление» настолько ясно и приятно, что не требует обсуждения. Письмо было послано на Ваше усмотрение (я не знала в каком состоянии здоровье Лели). Вы сочли возможным ей отдать, значит объективно Вы его не расценили, как «обиду» (иначе, как самый близкий друг Лели и мой доброжелатель, во избежание случившегося предпочли бы мне возратить письмо. Но Вы его отдали адресату (за это я Вам горячо благодарна) и только после реакции Лели сочли его «обидой». То что для Вас мое письмо было только «обидой» я это понимаю хорошо и к Вам не имею претензии, но, что Леля ничего не поняла в моем письме и отнеслась к нему формально, став на позиции «обиды» - вот это уже именно то, о чем говорится: где кончается любовь там кончается и понимание. Недостаточность чувства так же «ослепляет», как и ее избыток. Будь все иначе она поняла бы, все мои тревоги и опасения. Она поняла бы, что невольно и она была причиной моих самых серьезных огорчений.

Вы пишете, что я требую от Лели «оправдываться за то, что глуповатый и милый бакинec наговорил». Но ведь, Грisha, Вы понимаете, что не это я требую у Лели. Ведь этот разговор состоялся после Бальзака.

И тем не менее достаточно было бы Леле краснком глаза взглянуть на меня и я бы немедленно настроилась бы к этому бакинцу юмористически. Но ведь произошло обратное: она упрекнула меня, избегая сущности вопроса и опять таки став на формальную позицию «обиды»: долг гостеприимства и. п. Вот, что меня тогда поразило. Мне и в голову не приходило, что я в доме у Лели. Я ощущала себя в своем доме и Лелин гость был моим гостем тоже. Вы пишете: «так не понять Лелю в ее лучших устремлениях в работе, которую все здесь – буквально все! понимают, как глубочайший отпор неофашизму». Милый друг мой, но я также не понимала Кию в его лучших устремлениях в работе, которую там в Москве буквально все! понимали, как глубочайший отпор фашизму. Не понимала или вернее хорошо понимала, вспоминая самодержавие, которое отвлекало русскую интеллигенцию от больших вопросов своей действительности внешними осложнениями в плоть до японской войны и т. д.

Нельзя кричать с такой страстностью о грязной квартире соседа, когда в твоей квартире ты сидишь по уши в грязи. Это не значит, что не надо бороться против неофашизма, но это значит – не делать тех эпитафий, которые я нашла в статье Лели и, которые громко заявляли с каких позиций бороться Леля, которые лгали, как лгали статьи

Кина, который погиб под наводнением этой фальши, лжи, лицемерия и преступного игнорирования именно демократических свобод, как единственной гарантии и от фашизма и от 37г. и прочих прелестей.

Мы с Вами принадлежим к страшному поколению. Грisha. Мы поколение убийц и мне не вероятно тяжело глядеть в глаза молодежи, в которых мы все чистое, прекрасное: веру и правду, в человека, в будущее. Мы с Вами авторы 37г.. фашизма, ужасных воин, дворцовых переворотов: мы заменили тирана болваном, болвана – ничтожествами. Обратили народ в великого статиста истории и, как можем всячески терзаем и мучаем его. Достаточно нам открыть рот, как мы изрыгаем фонтаны лжи, лжи, и лжи. Мы убиваем правду и заставляем каждого из них стать нашими сообщниками. Мы убивали и заставляли других убивать истинное чувства, искреннюю мысль, правду о действительности. Мы наводнили мир фальшивыми ценностями и заставляли их принимать за настоящие. Мы убивали 16 и 17 летних детей, которые несли красное знамя и портрет Ленина, только за то, что они искрене поверили в идола, которого мы придумали им и, которому заставляли слепо верить и поклоняться все их 17 лет. Мы замучали Пастернака, убили Есенина, Маяковского, Тиханна, Паоло... Мы убийцы, Грisha, грязные, омерзительные. И неужели Вы этого не понимаете? И Вы хотите, что бы я простила Леле ее правду о лжи и ложь о правде?!

Китай переживает то, что переживала Россия в 20-х годах и если здесь азиатский Марксизм мог натворить столько бед, в стране великих традиции, больших мыслителей, стране приближенной, пусть поверхностно, но все таки в какой-то степени, к европейской цивилизации, то этот азиатский Марксизм возведенный в куб, там в Китае, где буквально, с непредотвратимой силой оказалась китайская стена – только один Аллах может знать, во что все это обернется. И если страшные фанатики сегодня строят свою культурную революцию, то это ничто иное, как феникс китайской стены. Но здесь нужен поправочный коэффициент: они возведут эту китайскую стену лишь для того, чтобы взорвать ее и похоронить под ее обломками всю цивилизацию нашего мира.

И я уже не знаю, что страшнее фашизм или Маодедунизм. И мы, только мы с Вами, Грisha, ответственны за все это. Хочешь не хочешь, а отвечай. Это – мы, это – наше поколение. Грisha! Вот что и есть большая правда, которая заставляет меня быть жестокой и не понимать Лелю.

Я Вам как-то писала, что мы слишком увлекаемся «нагнетанием ужасов» (пользуюсь Вашим выражением). И за это от Вас я получила отповедь. И опять эта формальная логика. Что искусство не должно скрывать правды. Это мне хорошо известно. Но мне известен и

закон аберрации* тоже. Приглушенные чувства, от частоты повтарения, образование терпимости и принятие братоубийства, обесцениение человеческой личности и человеческой жизни.

На могиле Эл. Рузвельта есть эпитафия: «Она зажигала свечу там, где надо было проклипать тьму». Примерно так, если на перевираю. Так вот. Грisha, мне кажется, если уж нельзя искусству не сохранять память о тьме (а сохранять необходимо и я это знаю очень хорошо), так пусть она сохраняет память о тьме, которую разгоняет свет свечи. Вот это и будет истинно великое искусство. Сумейте это сделать, вот в этом задача искусства. Мысль требует развития, но в письме это было бы довольно долго. Для примера могу привести Войнич, которая тьму «ужасов» сделала только фоном, а яркий свет свечи дала Оводом и Монтанелли. И этим она достигла большего, чем нагнетанием ужасов, которым занимается армия бездарных писак и прочих работников искусства. Да куда идти дальше – не надо, казалось бы вовсе придумывать Оводов, достаточно одного Фучика.

Но и там мы умудрились Фучика сделать средством для показа ужасов.

Один мой товарищ, перед расстрелом в 24г. сказал то, что потом было опубликовано в его показаниях в официальной прессе: «самое большое горе в том, что слишком маленькие люди взялись за большое дело».

Не знаю полностью ли он был в это прав т. к. большое дело само по себе вызывает к жизни и больших людей, но если большое дело восторжествует к нему, как правило пристраиваются...

На этом обрывается. Кажется: декабрь 1966 года.

* (Лат.) заблуждение, отклонение от истины. ცდომილება, შეცდომა. გადახრა ქეშმარიტებისაგან. ქეშმარიტების უარყოფა, უარის თქმა.

ასე მგონია, ასე მწამს – ვინმე ქართველი არსაკიძის მტევანს გამოიბამს, ცამდის აზიდავს აკლდამას. არ ვიცი, როგორ და იგი ჩვენს კერიას დაემსგავსება, ნათელი იქნება, ბედნიერი, იმედიანი... ერის მარადი საგუშაგო თქვენს წმინდა სახელებს ჩაიბარებს...

ლიზიკო ქავთარაძე

სარჩევი

გია ჭუბაბრია. წმინდა საფლავებს მიღმა ჩვენი ნამდვილი სამშობლოა	7
გიორგი მაისურაძე. „აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“...	25
რუსუდან ჭუბაბრია. ჩემი „პატარა ბელადი“	33
გია ჭანტურია. უშიშარი მეციხოვნე	40
ქვეყანა დაკარგული საფლავებისა	43
ჩვენი ცხოვრების შავბნელი გზებით	58
არა ცოდნითა ერთითა (მოგონების ფურცელი)	153
«Амирспасалар» Вермишван поруганная честь армянского народа	157
Еще раз о поруганной чести	209
Елизавета Каїхосровна Кавтарадзе 20/1-1970 года	216
უშიშროების კომიტეტს	219
... „ჩვენ ოქროს ვმალავთ, ვატარებთ ძაძებს“	221
აქა ამბავი ფრაკისა და ქალამნისა	232
ყბაახვეული ქალი	351
ბებოს ბარათი	358
უმისამართო ბარათი	369
ფიქრები და ჩანახატები	276
რატომ ჩვენდა დაუკითხავად?	400
გადაუღებელი საქმე	408
თემო ჯაფარიძის მხატვრული გამოფენის გამო	410
პირველი თოვლი	418
ცუდიცუნები	418
ხუთიანი მინუსით	419
შავი კარადა	420
ნათლობა კუბოზე	421
გულის სიკეთე	430
გაორებული სამყარო	430
მიზანთროპი	44
ჩემო ახალგაზრდა კოლეგებო!	45
ნერილები	45